



766/2
1975
V

ქართველო
რაզმლოւა

V

საქართველოს სსრ ვიცეპრეზიდენტის აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ქ. თბილის სახლობის ხელნაზრითა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. С. КЕКЕЛИДЗЕ



ემდგრება აკადემიკოს ივანე ჭავახიშვილის
დაბადებიდან 100 წლისთავს



МРАВАЛТАИ

Историко-филологические
разыскания

V

Издательство «Медиагруппа»
ТБИЛИСИ · 1975



ფილოლოგიურ-ისტორიული
ძეგლი

V

გამოშეცემლობა «მეცნიერება»
თბილისი · 1975

13221

„მრავალთავის“ V ტომი ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს. იგი შეიცავს ივ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიის მისახულს მასალებს, ასევე სხვადასხვა ავტორთა წერილებს ქველი ქართული კულტურის ისტორიის, ქართული წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, დაბლომატიკის, ფილიგრანოლოგიის, ქრონოლოგიისა და განვალოგიის საკთხებზე.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მასალას ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივიდან, რომელიც ჭ. ქამილიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ეპრძოდ, ქვეყნდება მასი მიმოწერა პროფ. ჭ. პოლივეკტოვთან, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებანი ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსზე (ჭ. ჯანაშვილი, გ. თაყაიშვილი), რამდენიმე დაკუმენტი მეცნიერის ბიოგრაფიიდან.

დამტების სახით აქვთ გამოქვეყნებული ივ. ჯავახიშვილის მოსსერია ქართული სახსრორის ძეგლების გამოცემის შესახებ, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრეფისა და გაღმოწერის მის მიერ შედგენილი წესები.

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ც. კარაბრიშვილი (მდივანი),
ე. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ც. ქურციკიძე, მ. შანიძე,
ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშვილა.

ტომის რედაქტორი ე. ხოშტარია

© გამოცემლობა „მეცნიერება“, 1976.

გ 70202
M 607(03)-76 90—76



ნათალა ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის და საკართველოს მუზეუმი*

„მრავლიდან მცირედი აღწერა“
გ. მთაწმინდელი

ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს საქართველოს მუზეუმი.

იმისდა მიუხედავად, რომ ამ დაწესებულებასთან ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1917 წლიდან იყო დაკავშირებული¹, ხოლო 1931—1940 წწ. იგი უშუალოდ თანამშრომლობდა მუზეუმში, მისი მოღვაწეობის ამ მხარეს საგანგებოდ არავინ შეხებია².

ივანე ჯავახიშვილის მიერ საქართველოს მუზეუმში მოღვაწეობის კვალი მეტად მნიშვნელოვანია და მუზეუმის ორმავლობის პერიოდს ემთხვევა.

1919 წ., ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კავკასიის მუზეუმი საქართველოს მუზეუმიდ გადაეცელდა³. შემდგომ, საპკოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუზეუმს და მოქმედების ფართო ამოცანები დაუსახა, რის საფუძველზე საქ. მუზეუმის წესდგბაში მრავალი არსებითი ხასათის ცვლილება შეიტანეს. თუ მანამდე კავკასიის მუზეუმი სამეცნიერო სფეროში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიისაგან იყო დამოკიდებული, ამიერიდან საქართველოს მუზეუმმა მჭიდრო კავშირი დაამყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ხუთი წარმომადგენელი (მათ შორის ივანე ჯავახიშვილი) მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოში მუდმივი მონაწილეობით მათ საშუალება მიეცათ წარმართათ მუზეუმის მუშაობა და ხელი შეეწყოთ მისი მეცნიერული წარმატებისათვის. თუ მანამდე მუზეუმში არავითარი საგანმანათლებლო მუშაობა არ წარმოებდა და მას წმინდა სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა, ამიერიდან მუზეუმის წინაშე ახალი დიდი მნიშვნელობის ამოცანა დაისვა — იგი უნდა ქცეულიყო საგანმანათლებლო (სკოლებისათვის დამზარება) და სამეცნიერო

* მოხსენება წაკითხული იყო აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის III სამეცნიერო სესიაზე, 1955 წლის მაისში.

¹ გ. ღომთათიძე, „ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში“, „მიმომშილველი“ ტ. II, 1951, გვ. 1—36.

² ამ საკოთხს თავის ღრმიშე მოკლედ შეეხო პროფესორი გ. ჩიტაია. იხ. „აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის“, ენიმეის მომბე, XIII, 1941, გვ. 281—282.

³ იხ. ხელნაწერთა ინსტრუმენტში დაცული ივ. ჯავახიშვილის არქივი, №№ 918—924; 6. ქა 5 თარი ა, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი, „ძეგლის მეცნიერი“, № 37, 1975.

ცოდნის ფართო მასებში გამავრცელებულ დაწესებულებად. სხვადასხვა ფონ-დების (საეკლესიო მუზეუმის, წერა-კითხვის გმირცელებელი საზოგადოების, კუკისა და მუზეუმისა და სხვ.) გაერთიანებით შეიქმნა საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მსგავსი ბევრადაც არ არსებობდა და განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვდა.

ვინაიდან საქართველოს მუზეუმს წილად ხედა ზემოხსენებული მუზეუმების ყუთებში ჩალაგებული გაერთიანებული ფონდები და დაუმტავრებელი შენობა, ამის გამო იგი პირველ ხანებში საექსპოზიციო დაწესებულების როლს კერძოდ დასრულებდა. საქართველოს სსრ მთავრობის დამარცხით ამ შენობის სასწრაფოდ დასრულების შედეგად შესაძლებლი გახდა სამუზეუმი საქმის სათანადო დონეზე დაყენება და ხალხისა და მეცნიერთათვის მანამდე მიუწვდომელი ტერიტორია ექსპონატების თანადაონითი გამოფენა.

ამავე დროს, მუზეუმის ჩამოყალიბების პირველივე წლებშიც (1921 წ.) რუსეთში ყალბი ცნობები მიაწოდეს საქ. მუზეუმისა და საერთოდ ხელოვნებისა და არქეოლოგიური ძეგლების ვითომდა საგალალო მდგომარეობის შესახებ, რითაც საქართველოს მუზეუმისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა არსებობა კითხვის ქვეშ იქნა დაყენებული. ამ ყალბმა ხმებმა იმდენად სერიოზული ხსიათი მიიღო, რომ ცენტრიდან მთავრობის ჩარევა და საქართველოში ამ მდგომარეობის გამომრჩევენი, საგანგებო წარმომადგენლის მოვლენა აუცილებელი შეიქნა. ამავე დროს საქართველოდან გაწევეული იყო აეადემიისი ე. ლანცერები⁴, მუზეუმში არსებული მდგომარეობის მოსახსენებლად. რსესარ-ს მთავრობამ ზემოხსენებული ღონისძიების საფუძველზე ამ პროვოკაციას სათანადო შეფასება მისცა. თავის მხრივ, საქართველოს სსრ მთავრობამაც გამოყო მდგომარეობის შემსწავლელი სარევაზო კომისია (თავმჯდ. ივ. ჭავახიშვილი), წევრები: აკადემიური ცენტრის თავმჯდომარე მიხ. თაქთაქიშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ალექსანდრე ნათაშვილი და სოლომონ ჭურდიანი, სამუზეუმის მართველობის გამგე დიმიტრი შევარდნაძე, კოპტაციით კომისიაში შეფასილი იყო ზაქარია ყანჩაველი).

კომისიამ თრი თვეს მანძილზე (1921 წ. 20 დეკემბრიდან) „საქმის სისწორით შეფასებისათვის“ დაწვრილებით შეისწავლა მუზეუმის მდგომარეობა მისი დააზსებილან უკანასკნელი ჰერიონი სათვლით და იგანე ჭავახიშვილმა საქართველოს სსრ მთავრობას ფართო, დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა.

მოხსენება სამნაწილიანია:

1. მუზეუმის ისტორიის მოქლე მიმოხილვა.
2. მუზეუმის საქმის წარმოება და მდგომარეობა დაარსებიდან 1921 წლამდე
- და 3. მუზეუმის ირგვლივ შექმნილი ვითარების მიზეზები.

ივ. ჭავახიშვილის მიერ სარევაზო კომისიის სახელით წარდგენილ დამაჯერებლად დასაბუთებულ მოხსენების საფუძველზე საქართველოს სსრ მთავრობამ სათანადო გადაწყვეტილების მიღებით ბოლო მოულო ყალბ განვაშ.

1923 წ. 12 ნოემბერს საქ. სსრ სახელმისამართის დაადგინა მომხდარიყო მუზეუმის რეორგანიზაცია⁵. ამ დადგენილების საფუძველზე არსებული სამუ-

⁴ ლანცერე ე. ევგენი ევგენის-ძე (1875—1946) საბჭოთა გრაფიკისა და მხატვარი, 1922—34 წწ. თბილისის სამხატვრო აეადემიის პროფესორი.

⁵ ივ. ჭავახიშვილის არქივი, №№ 918, 919, 920.

⁶ ივ. ჭავახიშვილის არქივი, №№ 918—924.

ზეუმო ფონდების, ეკლესიებიდან შეგროვილი კოლექციებისგან და რუსეთში დან ჩეხების წესით ჩამოტანილი სამუზეუმო ფასეულობათაგან თბილისში 2 მუზეუმი უნდა დაარსებულიყო: საქართველოს საბუნებისმეტყველო და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი.

საბუნებისმეტყველო მუზეუმი უნდა გამოყოფილიყო საქართველოს მუზეუმისგან, რომელიც განსახომის უნდა შეეცვლოს მასალებით თბილისში არსებული სხვა საცავებიდან, დანორტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

რაც შეეხება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს, მას საფუძვლად უნდა დასდებოდა იმ დროს მუზეუმში არსებული არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებათა კოლექციები და მათ შეერთებოდა განსახუმის გამგებლობაში მყოფი, სათანადო საცავებში დაცული კოლექციები.

ამასთან დაკავშირებით 1923 წ. 20 დეკემბერს საქართველოს სსრ განსახუმის ბრძანებით (№ 179) შედგა „სამუზეუმო საქმეთა რეორგანიზაციის კომისია“ ორი სექციით — საისტორიო-საეთნოგრაფიო და საბუნებისმეტყველო. კომისიას დაევალა ამ დადგნილების სასწრაფოდ განხორციელება. პირველ სექციას თავმჯდომარეობდა ივანე ჭავახიშვილი⁷.

ივ. ჭავახიშვილი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა ჭერ წელგაუმაგრებელი საქართველოს მუზეუმის ამგვარად დანაწილებას. მისი აზრით, რაღაც ჭართული მეცნიერება ახალგაზრდა საბჭოურ მეცნიერებათა რიგში თავისი ადგანის განმტკიცებისათვის იღვწოდა, ამისათვის სამეცნიერო ძალების კონცენტრაცია და გაერთიანებული ერთეულების არსებობა იყო უცილებელი, და არა მათი დანაწილება. ამასთან დაკავშირებით, პროფესიონალი გიორგი ჩიტაია იგონებდა: „...განსვენებული მუზეუმის მთლიანი სახის შენარჩუნებას მოითხოვდა და მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა... ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული მუზეუმის პროფესიონალებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ“⁸.

ივანე ჭავახიშვილმა შეძლო სათანადო ორგანოებში ამ ღონისძიების უდრობის დასაბუთება. ამ ღონისძიებამ არც სხვა მეცნიერთა შორის ჰპოვა მომხრეები და, როგორც ცნობილია, აღიარც განსორციელებულია.

ივანე ჭავახიშვილი „საქართველოს მუზეუმს... უდიდეს როლს აკისრებდა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი ფართოდ სახავდა მუზეუმის ამოცანებს და ამ ამოცანების შესასრულებლად იღვწოდა“⁹.

ივანე ჭავახიშვილი საქართველოს წარსულის ნიერთიერი საგანძურის თავმოყრის, დაცვისა და შესწავლის საქმეს თავდაცებული გულისხმიერებით შეიძლებოდა.

1929 წელს მუზეუმს საბოლოოდ გადაეცა თბილისში სხვადასხვა ქართულ კულტურულ დაწესებულებებში თავმოყრილი სამუზეუმო ხასიათის განხეული (სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექცია და ფონდები საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის და ძეველი ქართული ხელოვნების მუზეუმისა, რომელიც შემდეგში მუზეუმ „მეტეხის“, ანუ დღევანდელი ქართული

⁷ ივ. ჭავახიშვილის არქივი, №№ 918, 924.

⁸ გ. ჩიტაია, აკადემიკოს ივანე ჭავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთვის, ენიმისის მომბეჭ. XIII, 1941, გვ. 282.

⁹ ივანე, გვ. 281.

ხელოვნების მუშებმის ბაზაზ ქუთა და სხვ.). ივ. ჭავახიშვილი ამ საქმის ხელშეკრულების მტკრელი მონაწილედ და ერთ-ერთ სულისხმადგელად გვევლინება.

1931 წ. სექტემბრის 27-ს ივ. გავახიშვილი საქართველოს სსრ განსაკუომის ბრძანებით (№ 243) საქართველოს მუზეუმის მეცნიერ კონსულტაციად დაინიშნა¹⁰. ივ. გავახიშვილი — დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგიის აღმიანი — აღტაცებით შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. თუმცა მისი განმრთელობა უკვე საქმაოდ შერეველი იყო, იგი მუზეუმის ცხოვრების ყოველწლილმანს დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა (ასანიშნავია ისიც, რომ მუზეუმში მუშაობის პირობები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, წლების მანძილზე საქმაოდ ძიმიებ იყო, ვინაიდან შენობა არ თბებოდა). ივანე გავახიშვილის მუზეუმში მოსელასთან დაკავშირებულია არაერთი მნიშვნელოვანი ლინიძეება, რომელსაც ქვემოთ ვეხვით.

ვე. ჯავახიშვილს, პირველ ყოვლისა, სამუზეუმო მეცნიერთა კადრის აღზრდა-მომზადება მიაჩნდა აუცილებლად. ამ ღონისძიების განხორციელება, მისი აზრით, მხოლოდ თვით მუზეუმში იყო შესაძლებელი. იგი წლების მანძილზე იღვწოდა ამ საქმის განსახორციელებლად — მოუწოდებლა დირექტორისა და მეცნიერთა უფროს თაობას ხელი მოეკიდათ უმცროს მეცნიერ თანამშრომელთა მომზადებისათვის სპეციალური და ზოგადი კურსების თუ ლექცია-სემინარების ჩატარებით, ოქმების დამუშავებითა და ყოველდღიური სპეციალისტის სამუზეუმო სამიუშაოების ხელმძღვანელობით.

კხადია, ივანე გავახშვილი ამ საქმეში მხოლოდ მოწოდებებით არ კმაყოფილდებოდა, ვინაიდან მუშებუმის ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე დასაყენებლად ეს ლონისძიება მას გადაუდებელ და აუცილებელ პირობად მიაჩნდა, იგი სათავეში ჩაუდგა მის განხორციელებას¹¹.

1938 წ. 16 მაისს მეცნიერებულ ყრილობაზე მან გააკეთა მოხსენება თემაზე „საქ. სახ. მუზეუმის მეცნიერებულ მომზადების შესახებ“.¹² ამავე საკითხს მიეძლვნა 1938 წლის 18 სექტემბერს საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაკითხული მოხსენება¹³. იგი ხაზს უსვამდა მუზეუმის საგანძუროს ღირებულებას, რაც უდიდეს მოვალეობას აკისრებდა მუზეუმს, როგორც საქართველოში ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-საგანძინაოთლებლო დაწესებულებას. „ასეთი კულტურული ღირებულების საგანძურო ბევრგან არ არის, — ამბობდა იგი,— და ეს გარემოება ჩვენ უდიდეს მოვალეობას გვაისრებს. მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო და საგანძინაოთლებლო დაწესებულებად იქცა... მუზეუმის შენობა სამუზეუმო მოლვაშვილისათვის მხოლოდ ნივთიერს საგამოფენო საფუძველს წარმოადგენს; მთავარი მნიშვნელობა თვით მუზეუმის ფონდების აღწერილობასა და სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და მუშავების საქმიანობასა ქვეს, რადგან მათ მეცნიერულ მომზადებასა და პრეტიკულ სამუზეუმო ტექნიკის ცოდნაზე, ისევე როგორც ნიშა და სამეცნიერო კვლევა-ძიების გაჩაღებულ დაუტარობელ მუშაობაზე არის ღამიკიღებული ყოველი მუზეუმის, როგორც სამეცნიერო-საგანძინაოთლებლო დაწესებულების, წარმატებაცა და მისი მნიშვნელობაც“. თუ საქართველოს მუზეუმს ამ თვალ-

10 օջ. Հայախօթցուուս արմիզո, № 107.

¹¹ *ed.* 30, N^o N^o 943, 960, 961, 967, 970.

12 Տպ. Թուշելին արքուն, 1938 թ. Տպմբեծո; օպ. Քազակովունիս արքուն, № 943.

საზრისით მიუღებით, — აღნიშვნავდა ივ. ჯავახიშვილი, — უნდა გვასსოვდეს, რომ წარსულში სამუშეუმო მუშაობისათვის სათანადოდ მომზადებული ქართველი მუშაკები არ გვყავდნენ“. მიტომ სწორედ ამგვარი კადრის აღზრდას მიიჩნევდა მუზეუმის გადაუდებელ ამოცანად. იგი ამბობდა: „სამუშაოდ, ამ საკითხისათვის თავიდანვე არავის ყურადღება არ მიუქცევია და ამიტომაც ახალგაზრდა თანამშრომლები სამუშეუმო მუშაობაში ძველი შეგირდობის წესით ეგმიგოდნენ, ვინაიდან უნივერსიტეტში ისინი მხოლოდ ზოგად კურსს ისმენდნენ“. მუზეუმში მოღვწე მკვლევარისათვის კი ივანე ჯავახიშვილს ეს სრულიად არ მიაჩნდა საქართვისად. მისი აზრით, მუზეუმის მეცნიერ მუშაქს გაღრმავებული სპეციალური ცოდნა უნდა ჰქონოდა. „მუზეუმის სამეცნიერო დარგის მუშაკი, — ამბობდა იგი, — უეპველად მკვლევარი უნდა იყოს; მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი თავის მოვალეობის პირნათლად შესარულებას და მუზეუმშაც ახალ-ახალ წვლილს შესძენს“. „სამუშეუმო მუშაქს სამი თვისება უნდა ჰქონდეს: 1. ის მეცნიერი მკვლევარი უნდა იყოს, 2. მან სამუზეუმო ექსპონატების დაცვა-კონსერვაციის წესები და საშუალებაც უნდა იცოდეს, ყველა თეორიულად, ზოგმა მათგანაც კი საგანგებოდ პრაქტიკულადაც, 3. მან მუზეუმის, როგორც საგანგანათლებლო დაწესებულების ამოცანებიც კარგად უნდა იცოდეს და სამუზეუმო საგნების გამოფენის, ექსპოზიციის პრინციპებიც“.

როგორც ზემოთ აღინიშვნა, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ამგვარი კადრის მომზადება საქართველოს მუზეუმის კედლებში უნდა მომზადარიყო: „უნდა დაუყოვნებლივ ახალი კადრების მომზადებას შეეუღეთ“, — ამბობდა იგი ზემოხსნებულ მოხსენების დროს; იგი მეტასაც მოთხოვდა — საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს მუზეუმთან, როგორც ამგვარი ხასიათის ცენტრალურ დაწესებულებასთან, საგანგებო კურსების და პაირანტურის მოწყობას, რის მეობებით საქართველოს სხვა მუზეუმებისათვისცაც სათანადო კადრი მომზადებოდა. ამიტომ, მისი აზრით, საკი. მუზეუმის დირექტორი, სამეცნიერო საბჭო, განყოფილების გამგები და პრატორგანიზაცია ვალდებული იყვნენ თვით ეზრუნათ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების მომზადებაზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ივანე ჯავახიშვილმა პრაქტიკული ამოცანები დასახა:

1. ყოველ განყოფილებაში, განყოფილების გამგებს, ან საგანგებოდ შერჩეულ პირს (უფროსს მეცნიერ მუშაქს) სისტემატური მუშაობა უნდა ეწარმოებინა უმცროს მეცნიერ მუშაკებთან. იგი ყოველგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებს ითვალისწინებდა და სახავდა სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგალითად, თუ კი ასეთი პირი, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი მუზეუმშივე არ აღმოჩნდებოდა, დირექტორის უნდა ეზრუნა ასეთი სპეციალისტის დროებით მოწვევის შესახებ.

2. ლექციებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა სემინარულ, პრაქტიკულ მუშაობას; სამუზეუმო ტექნიკის ცოდნის შეძენა-გაღრმავების საშუალებით დანერგილიყო სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩევევბი.

ივანე ჯავახიშვილი სასურველად თვლიდა დამუშავებული თემების გასინჯვას მათ ღირსება-ნაკარგულ მითითებით და, სანიმუშო მოხსენებების საქართველოს მათ ღირსება-ნაკარგულ მითითებით და, სანიმუშო მოხსენებების საქართველოს მათ ღირსება-ნაკარგულ მითითებით და, სამეცნიერო მსჯელობაში წრითაბაც, მუზეუმს კი ამავე კვლევა-ძიებაში და სამეცნიერო მსჯელობაში წრითაბაც, მუზეუმს კი ამავე

ვწით საკუთარი გამომცემლობისათვის დასაბეჭდი სამეცნიერო შრომებში ფინანსის შექმნის საშუალება ეძღვოდა.

3. მეცნიერ მუშავებისათვის ივანე ჭავახიშვილი სავალდებულოდ ხდიდა მიღდინარე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კურსში ყოფნას, რისი სრული საშუალება ჰქონდათ მათ არსებული ბიბლიოთეკისა და უცხოეთან გაცვლით მიღებული ლიტერატურის მეშვეობით.

4. ყოველი მეცნიერი მუშავისათვის ივანე ჭავახიშვილი სავალდებულოდ თვლიდა ქართულისა და რუსული ენის გარდა ერთი უცხო ენის დაუფლებას და მოუწოდებდა დირექციას მოწვევია კვალიფიცირებული ლექტორები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების მაგალითს თვით ივანე ჭავახიშვილი იძლეოდა. შემდეგში, როდესაც მუშავებში ისტორიის განყოფილება დაარსდა, ივანე ჭავახიშვილმა მატერიალური კულტურის ისტორიის სხვადასხვა საყითხებზე ჩაატარა ლექციების მთელი ციკლი, რომელთაც სხვა განყოფილებათა თანამშრომლებიც ესწოდებოდა. გეგმის გარეშე ეწყობოდა (ერთხელ კეირაში) პრაქტიკული მუშაობა-მეცადინება ძველი ქართული წერტილობის ნიმუშებზე. სემინარზე დასამუშავებლად თანამშრომლებს ეძლეოდათ ოემები, რომელთა დამუშავებას უშუალოდ ივანე ჭავახიშვილი ხელმძღვანელობდა¹³. ამგვარივე სემინარებს ატარებდნენ თავთავიანთ დარგში პრაფესიონერები — გ. ჩიტარი — ეთნოგრაფიაში, ბ. კუფტინი — მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს არქეოლოგიის საყითხების შესახებ; განათხარი მასალის ლაბორატორიის ხელმძღვანელობდა ისტორიკოსი სტეფან მენოვშავილი და სხვ. დაწესდა პრასემინარები ძველ ქართულ ენასა და მწერლობაში, კატალოგიზაცია-ინვენტარიზაციის საქმეში; ამასთანავე ჩამოყალიბდა გმულები უცხო და რუსული ენის შესაწავლად, რასაც საგანგებოდ მოწვევული პირები ხელმძღვანელობდნენ.

ხელაწერთა განყოფილების თანამშრომელთათვის ივანე ჭავახიშვილს უცილებლად მიაჩნდა აღმოსავლური ენების შესწავლა, როგორც არაბულის, ისე სპარსულის, თურქულისა და ძველი სომხურის. იმის გამო, რომ თანამშრომლებმა არ იცოდნენ ეს ენები, მუშავები იძულებული იყო სპეციალისტები გარედან, ხელშეკრულებით მოეწვია. ამას კი, ივანე ჭავახიშვილისავე სიტყვით, უნდა ბოლო მოღებოდა და „მუშეუმს თვისი მუდმივი კადრი ჰყოლოდა“.

1937 წ. 28 თებერვალს (ბრძ. № 82) საქართველოს მუშეუმში ივანე ჭავახიშვილის უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ისტორიის განყოფილება. 1937 წ. მარტის 13-ს ივ. ჭავახიშვილი დაინიშნა ისტორიის განყოფილების გამგედ¹⁴. ამ განყოფილების დაარსების უცილებლობა განსაკუთრებული სიმწვავათ წამოიჭრა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავთან დაკავშირებულ იუბილესათვის სამზადისის დროს, როდესაც იუბილეს მომწყობი საგანგებო მთავრობის კომისიის შეიქმნა და შოთა რუსთაველის საგანგებო მუზეუმიც დაარსდა¹⁵. ამ მუშეუმის ძირითად საცურკველს საქართველოს მუშეუმის ფონდები წარმოადგენდა, რომელიც თანდათნ ისებოდა, რაღაც ამ პერიოდის ნივთიერი კულტურის ნაშთების, როგორც სოციალური კულტურის ისტორიის ერთ-ერთი წყაროს შესწავლა, აუცილებელი შეიქნა.

¹³ ივ. ჭავახიშვილის არქივი, № 426.

¹⁴ იქვე, № 930—936, 941 (განსაკუთრებით 932).

¹⁵ იქვე, № 1012, 1013.

ივანე ჭავახიშვილმა მუზეუმის ისტორიის განყოფილებას მიზნად დაუსახა საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიული ნივთიერი კულტურის ძეგლების მეცნიერული შესწავლა. ამისთვის საჭირო შეიქნა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებებში არსებული საისტორიო კოლექციების გადმოცემა ისტორიის განყოფილებისათვის. ამ ღონისძიების სისრულეში მოყვანა გაართულა და გააჭიანურა ზოგიერთ თანამშრომელის წინააღმდეგობამ, რის გარე ივანე ჭავახიშვილს კარგა ხანს უხდებოდა მუზეუმში ისტორიის განყოფილების არსებობის უკილებლობის მტკუცება. ნივთების გადმოცემი და მიმღები კომისიები კი უკვე 1937 წ. მარტინ აჩაიძემ დადგინდა¹⁶.

ივანე ჭავახიშვილს განხრასული ჰქონდა ფონდების ცალკეულ სახეობებზე (ტანისამოსი, ავეგი, ჭურჭელი, სამხედრო საქურცელი და სხვ.) მეცნიერ თანამშრომელთა გაბიროვნება მათი სათანადო შესწავლისა და დაცვის მზნით, ხოლო ამ განხრასხის მთელი სისრულით განხორციელება ფართობის სამცირის გამო მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. იგივე გარემოებამ შეაფერხა ფონდების საბოლოო გადმოცემაც.

ივანე ჭავახიშვილის გამგების პერიოდში (1931—1940 წწ.) ისტორიის განყოფილებამ გადმოცემული კოლექციები მოაწესრიგა და დაწმინდა, რისთვისაც ივ. ჭავახიშვილმა საგანგებო ინსტრუქცია შეიმუშავა¹⁷.

ცალკე გამოიყო სტრატიგირაფიული ფონდი და ისტორიის განყოფილებასთან დაასდა სტრაგისტიკის ქვეგანყოფილება. მის ხელმძღვანელად და ამ დარგის პეციალისტის მოამზადებლად მუზეუმში ლენინგრადიდან მოიწვიეს ცნობილი ხელვნებათმცოდნე მარიამ ივანეს ასული მაქსიმოვა, რომელსაც მუზეუმის დირექციამ მიამაგრა უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სარა ვასილის ასული ბარნაველი.

1937 წელს გამოცალკევდა ნუმიზმატიკური ფონდები, დაასდა ნუმიზმატიკის კაბინეტი, რომლის გამგებ დაინიშა თამარ ნიკოლოზის ასული ლომიური. აღნიშნული ფონდები სანიმუშოდ მოწესრიგდა და მეცნიერულად დამტავდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ძველ ეკლესიებში შემონახული კედლის მხატვრობის პირების გამომსალებად დაიგზავნა მხატვართა ექსპერტიები. ასევე გაკეთდა ჩუქურთმაბარელოფების ესტაბები.

გროვდებოდა ეპიგრაფიული ძეგლები, რის საცუდველზე აღმოცენდა „ქვის ფონდი“. მხატვრების მიერ მინიატურებიდან გადმოღებული იყო ტან-საცმლის, იარაღის, ჭურჭლის, ავეგის, სხვადასხვა სახეების პირები და ჩუქურთმების ესტაბები.

მოწყვეტილ ქართული იარაღის გამოფენა. ნუმიზმატიკის კაბინეტმა საგამოფენოდ მოამზადა მონეტები (გამოფენის მოწყვობას ხელი შეუშალა ფართობის სიმცირემ).

ისტორიის განყოფილების სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო სამუზეუმის ნივთების შეძენა ოვახებში, მათი შეგროვება გათხრების საშუალებით (შეა საუკუნეების პერიოდის) და სხვ.¹⁸

ისტორიის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს იმ

¹⁶ ივ. ჭავახიშვილის აჩვივი, № 947, 968 და ივ. ჭავახიშვილის განცხადება საქ. მუზის დირექტორისადმი. ის. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის არქივი, ფ. № 2189. ხ. რ. მეტრეველი — კვალი განათლებული. „ხელოვნება“ 1975. გვ. 24—81.

¹⁷ იქვე, № 946, 947, 954, 955, 957, 958, 966, 968.

¹⁸ იქვე.

დიდ სამუშაოში, რომელიც ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით
(სარეწაო კოპერაციის ხარჯებით) შინამრეწველობისა და წერილი ხელობის
ნოტის ისტორიისათვის მასალების შეგროვების მიზნით¹⁹.

ამასთანავე, ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილისა და მისი განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობა რუსთაველის ეპოქის ნივთიერი კულტურის გამოფენის მომზადებაში.

ამ ორივე დარგში ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა საგანგებოდ შესასწავლია, ამიტომ აქ მას მხოლოდ ორი სიტყვით ვეხებით, იმდენად, რამდენადც ყოველ მათგანში სათანადო დაწესებულებათა შორის ერთგვარი კოორდინაცია არსებობდა და ძირითადად ერთი და იგივე პირებს უხდებოდათ მუშაობა.

ისტორიის განყოფილება მონაწილეობდა შუასუკუნების მთელი რიგი ძეგლების არქეოლოგიურ გათხრებში, რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას ივანე ჯავახიშვილი უწევდა. ასეთებია მაგ.: რუსთაველის საიუბილეო გამოფენასთან დაკავშირებით: 1) გუდარეხის, ბოლნისის, დმანისის, გეგუთისა და სხალტბის ჭყალსადენის არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი), 2) ძველი ანაგის, კოლოთოს და სხვ. დაზვერვა და შემდეგ გათხრა (ხელმძღვანელი სტ. მენოვაშვილი). ყველაზე ფართო ხასიათს ატარებდა მცხეთა-სამთავროს და ბოლოს არმაზის ნეკროპოლის გათხრები (ხელმძღვანელი ალ. კალანდაძე).

ყოველ ასეთ ექსპედიციას წინ უსწრებდა სამეცნიერო თემების დამუშავება, საჭირო ლიტერატურის შესწავლა არქეოლოგიის მეთოდების დარღვი და სხვ. ყოველივე ზემოხამოთვლილი სამუშაოები, რასაკირველია, იგეგმებოდა ისტორიის განყოფილებაში.

ისტორიის განყოფილებაში გამოცალკევდა და ალირიცხა განათხარი ძეირფასი ნივთები და მონატები. ამან დაუდო საფუძველი საგანგებო საცავის (სეიიფის) დაარსებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა განყოფილების გეგმებში ასახული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა²⁰. აქ გვინდა შევხერდეთ ივანე ჯავახიშვილის პირად გეგმაზე, რომელიც მისი გარდაცვალების გამო განუხორციელებელი დარჩა. სხვათა შორის, ირკვევა, რომ ივანე ჯავახიშვილსა და გრიგოლ შერქეულს გადაწყვეტილი ჰქონდათ ერთად გამოიცათ იტალიელი მხატვრისა და მისიონერის კასტელის ალბორი, რომელიც შეიცავს XVII ს. საქართველოს ისტორიული პირების, მოსახლეობის ტიპებისა და ლანდშაფტების ჩანახატებს.

არანაკლებაა საყურადღებო ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობა სხვა განყოფილებათა მუშაობის წარმართვაში.

პირველ ყოვლისა, შევეხოთ არქეოლოგიის განყოფილებას.

1934 წელს საქართველოს მუზეუმის დრეკციამ ივანე ჯავახიშვილს განსახილველად გადასცა არქეოლოგიური გამოფენის გეგმა: „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“. ამის საპასუხოდ ივანე ჯავახიშვილმა დირექციას წარუდგინა შერილობით „რამოდენიმე მოსაზრება საქართველოს მუზეუმის გამოფენის შე-

¹⁹ ივ. ჯავახიშვილის არქეო, №№1149, 1150, 1151;

²⁰ იქვე, № 954, 955, 959.

სახებ“ — „კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური გან-
ყოფილების მასალების მიხედვით“²¹.

მან დაწერილებით შეისწავლი როგორც გეგმა, ასევე გამოსაფენი მასალა
და წარმოადგინა არა მარტო დასაბუთებული შენიშვნები და მოსაზრებები,
არამედ თათოეულ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდა ლიტერატურა, განიხი-
ლა და შეისწორა წარწერების ტექსტი, განმარტა და დასაბუთა ყოველი თა-
ვისი შენიშვნა და ფაქტურად ძირეულად გარდაქმნა გამოფენის გეგმა. პირ-
ველ ყოვლისა, მან თვით გამოფენის სათაურის შეუსაბამობა დაასაბუთა. ამ
საკითხს შეეხო არქეოლოგი გიორგი ლომათათიძე თავის წერილში „იგანე ჭავა-
ხიშვილი და გათხრით არქეოლოგია საქართველოში“, სადაც მან სეროთ და-
გნიხილა ივანე ჭავახიშვილის ლვაწლი ქართული არქეოლოგის დარგში.

ასევე ცალკე განხილვის თემა იყანე ჭავახიშვილის მოღვაწეობა ხელნა-
წერთა განყოფილებასთან დაკავშირებით.

პროფესორმა კონსტანტინე გრიგოლიშვილმა, რომელიც იმხანად ხელმძღვანე-
ლობდა ხელნაწერთა (ანუ როგორც მაშინ ეწოდებოდა — პალეოგრაფიის) გან-
ყოფილებას, ერთ-ერთ თავის მოხსენებაში²² ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი და-
მარება, რომელსაც წლების მანძილზე უშევდა ოც. ჭავახიშვილი განყოფილე-
ბას ყოველნაირი ჩრევთ და მითითებებით.

ხელნაწერთა განყოფილების მთავარ ამოცანად ივ. ჭავახიშვილი ხელნაწე-
რების და საბუთების აღწერილობის შედგენასა და პარალელურად საკვლევო-
სამუშაობას მიიჩნევდა. ამის საჭიროებას იგი ხაზს უსეამდა და არ
იზიარებდა აზრს, რომ ამ განყოფილების პირველ და მთავარ ამოცანას თით-
ქოსდა მხოლოდ ტექნიკური აღწერილობა წარმოადგენდა. იგი თვლიდა, რომ
ერთდროულად სამეცნიერო კვლევა-ძიებაც არის საჭირო. აღწერილობას სა-
მეცნიერო კვლევა-ძიებაში გამოცდილი და დახელოვნებული პირი უნდა ახორ-
ციელებდეს.

მეორე — ივ. ჭავახიშვილი არ იზიარებდა აზრს იმის შესახებ, თითქოს,
საშური არ იყო მეცნიერული აღწერილობის შედგენა და განყოფილებას თავ-
დაპირებელად მასალის უბრალო რეგისტრაციი უნდა ეწარმოებინა. ვინაიდნ
ივანე ჭავახიშვილს მანამდე ასებული აღწერილობები დამატაყოფილებლად
არ მიაჩნდა, იგი მოითხოვდა ამ საქმის დაუყოვნებლად დაწყებას: „საშეილი-
შვილო საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ და შვილიშვილებს გასაკეთებლად არ
გადავცეთ... ამ საქმეს ჩვენ ვერ გადავდებთო“, — აღნიშნავდა იგი.

ივანე ჭავახიშვილი თვლიდა, რომ განყოფილებაში თავმოყრილი ათი ათა-
სი ხელნაწერის ნამდვილი სამეცნიერო ღირებულებაც კი არ იყო გამორჩეუ-
ლი: „ჩვენ გვესაჭიროება მათი ვრცელი აღწერილობა, — ამბობდა იგი, — ამ
მხრივ დიდად ჩამორჩენილი გვაქს სამუშაო“ და ეს ნაკლი უპატიობებლად მი-
აჩნდა — „ასეთი სახის აღწერილობა დიდ დახმარებას აღმოუჩენდა ჩვენში
მკვლევარ-მეცნიერებს — მაშასადამე, ამ სამუშაოს კიდევ გადადება შეუძლე-
ბელია“²³. მისი გარსულით, ამ სამუშაოს ჩატარებას რამდენიმე წლით გან-
საზღვრული, გარკვეული გეგმა ესაჭიროებოდა და ყოველ წვრილმან საკითხ-
ზე ამავეილებდა ყურადღებას: „კარგ მუშაკს სამუშაო დღის განმავლობაში
არა უმეტეს სამი ხელნაწერის გაკეთების საშუალება ექნება“²². მეტის გავე-

²¹ ივევ, № 420.

²² საქ. სახ. მუშეულის სამეცნიერო საბჭოს 1939 წ. 8 ოქტომბრის სხდომის ოქმი. საქ.
მუშეულის არქივი.

თება, შისი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა. ამასთანავე, იგი ყურადღებას კვალი ხვილებდა იმაზე, რომ გარდა ადრინდელი ხელნაშერებისა, არსებოდდა ხელნაშერებისა, საუკუნის ფონდებიც ასევე აუშერელი — „სწორედ ამიტომ... მთავარ და პირველ ამოცანად ხელნაშერთა განყოფილების მუშაობაში ეს“ უნდა ყოფილიყო დასახული.

ამასთანავე, ივანე ჯავახიშვილი საბუთების მოწესრიგება-აღწერილობასაც განსაკუთრებულ უზრადლებას უმომბდე²³.

ამ საკითხშიც, რასაკირევლია, ივ. ჯავახიშვილმა ლონისმიების პრაქტიკულ განხორციელებას მიმართა. მან შეაღინა ხელნაშერთა აღწერილობის ინსტრუქცია²⁴, რომლითაც, მცირეოდენი ცვლილებებით დღევანდლმდე ხელმძღვანელობს ხელნაშერთა ინსტრიტუტი.

რაც შეეხება ხელნაშერებისა და საბუთების დაცვასა და მოვლას, მისი აზრით, მთავარი იყო მათთვის სათანადო ადგილის მიჩნა: „ყველა ხელნაშერსა და საბუთებს, — წერდა იგი, — საგანგებო ბუღები ესკიროვებათ²⁵.

ივანე ჯავახიშვილი უშუალოდ ეცნობოდა ფონდების ფიზიურ მდგომარეობას, მისი აზრით, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ქაღალდის საბუთები იმყოფებოდა, — „ზოგჯერ, — მანი მდგრადა იგი, — მოვეხსენებათ პატარა ასოსაც რა დიდი მნიშვნელობა აქვს, საბუთება კი წმირად დაფლეთილია“.

ხელნაშერთა დეზინსექცია-დეზინფექციის საქმეც ივანე ჯავახიშვილის ინციდაში წარიმართა. მისი აზრით, ამ დარგში შესწავლილი უნდა ყოფილიყო რუსეთის სპეციალისტთა გამოცდილება და საჭირო იყო ადგილობრივი სპეციალისტების ენტომოლოგ-ქიმიკოსთა მიზიდვა.

საქართველოს მუზეუმის დირექციაში და სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წამოიჭრა საკითხი ხელნაშერთა განყოფილებაში ქართული ხელნაშერების კონცენტრაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილმა დასაბუთებული საწინააღმდევო წინადაღება წამოაყენა. მისი აზრით, საბჭოთა კაფშირის სხვადასხვა ქაღალდება და სამეცნიერო დაწესებულებებში თავმოყრილი ქართული ისტორიული ხელნაშერების გამოთხვევას შესაძლებელი იყო საპირისპირო მოთხოვნა მოჰყოლოდა. ამიტომ მისი აზრით, უკვე დაბრუნებული ხელნაშერებით დაქმაყოფილება აჯობებდა. გარდა ამისა, ხელნაშერთა კონცენტრაცია ხანძრის შემთხვევაშიც საშიშროებას ქმნიდა. ამიტომ ამ საშუალებისთვის მიმართავა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა. რაც შეეხებოდა საქართველოს ცენტრარქივს, სადაც ხელნაშერ-საბუთებზე იმხანად არაეთიარი მუშაობა არ მიმდინარეობდა და არც შენობა იყო ხანძრისგან სათანადოდ დაცული, ივანე ჯავახიშვილი ამ კერძო შემთხვევაში საჭირო ლონისძიების განხორციელებას გადაუდებლად თულიდა. ე. ი. მოითხოვდა იქაური ფონდების მუზეუმის ხელნაშერთა განყოფილებაში გაღმოტანას.

ივანე ჯავახიშვილს არც საქართველოს სსრ სხვადასხვა ქაღალდების მხარეთ მცოდნეობის მუზეუმებში მყოფი ყველა ხელნაშერისა და საბუთის საქართველოს მუზეუმისათვის გადმოცემა მიაჩნდა მიზანშეწონილად. „იქაც საჭიროა, რომ ასეთი მასალები მეცნიერულ კვლევა-ძიების გარეშე არ დარჩეს, ამიტომ ჩვენ მოვალეობი ვართ ამას ხელი შევუწყოთ და თუნდაც ვაიძულოთ იქაური კადრები ამას არ გაუჩინდნენ“. მაგრამ იმ მუზეუმებიდან, სადაც საბუთებს

23 იხ. სქ. № 22.

24 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 972.



ხიდათი ემუშავებოდა, მათი საქ. მუზეუმში ჩამოტანის მომხრედ გამოღიოლა: „მე მომხრე ვექნებოდი, რომ იშვიათი, უნიკალური ხასიათის ხელნაწერები ფრანგულებისა ბაბუთებიც სრული და სათანადო დაცვის შინით შეგროვილ იქნას მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში“.

ამავე სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლებს აქტუალ მოსკოვ-ლენინგრადისა და საქ. სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში დაცული ქართული ხელნაწერები და საბუთები. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვიდრე ხელნაწერთა განყოფილება თავის საქმეებს არ მოაწესრიგებდა, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მის თანამშრომლებს უფლება არ ჰქონდათ სხვას ამ მხრივ დახმარებოდნენ. იგი თვლიდა, რომ ეს სამუშაო, უპირველეს ყოვლისა, იქვე, ადგილობრივი ძალებით უნდა შესრულებულიყო — მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ლენინგრადში: „განა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშავები ამ ვალდებულებას გაეძლევინა?“²⁵

უცხოეთიდან ჩეკინი ხელნაწერებისა და ღოუმენტების დაბრუნებას და შეეძნს ივანე ჯავახიშვილი უიმედო ოცნებად თვლიდა. ასევე უიმედოდ იყო იგი განშტანილი საფრანგეთში გატანილი ძვირფასი განძეულისა და ხელნაწერების დაბრუნების საკითხშიც.

რა დიდი სიხარული იქნებოდა მისთვის, რომ მოსწრებოდა ამ განუხორციელებლად მიჩნეული ოცნების სრულებას.

1936 წ. 6 თებერვალს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება ქართული სისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. მასში მოცემული იყო საქმის ვითარების ისტორიული მიმოხილვა, იმ დროისათვის არსებული მდგომარეობა და დასახული იყო მომავლის პრესენტივები²⁶.

უფრო მოგვიანებით, უკვე მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე (1939 წ. 8 ოქტომბერს), ივანე ჯავახიშვილმა წარმოადგინა პროექტი-მოხსენება, რომელშიაც ვარაუდობდა 39 საისტორიო ძეგლის ხელახალ და პირველად გამოცემას, რის განხორციელებაც გაერთიანებული სამეცნიერო ძალებით ჰქონდა დასახულო²⁷.

1939 წ. 8 ოქტომბრის სხდომაზე განხილული იყო სხვა საკითხებიც და არჩეული იყო კომისია სხდომაზე წამოყენებული წინადადებების შეგამების საფუძველზე დადგენილების ჩამოსაყალიბებლად.

კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ივანე ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), პ. ინგოროვა, ალ. ბარამიძე და ხელნ. განყ-ბის გამგე კ. გრიგოლია. მათ მიერ შემუშავებულ დადგენილებებში დამტული იყო შემდეგი საკითხები:

1. შედგენილიყო ხელნაწერთა საყარალო აღწერილობა, ანდერძ-მინაწერების საძიებელა და საბუთების სამეცნიერო აღწერილობა.

2. ხელნაწერებისათვის მოშტანილიყო საცვები, დამზადებულიყო დაზიანებული ხელნაწერებისათვის მუყალოს ყუთები.

3. განყოფილების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულიყო ხელნაწერების სრული სამეცნიერო აღწერილობა, რომელიც უნდა ჩატარებულიყო სხვა-

25 საქ. მუზეუმის არქივი; სამეცნიერო საბჭოს 1938 წ. 8 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

26 იგ. ჯავახიშვილის არქივი, № 421.

27 იბ. საქ. საბ. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს 1939 წლის სხდომების ოქმები და დაზიება.

დასხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან ხელშეკრულებით მოწვეული უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაქების დახმარებით.

4. ძალაში დარჩენილიყო ხელნაწერთა და საბუთების აღწერისას, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცალკე ფონდების მიხედვით არსებული სათვალავი.

5. დაისვა საკითხი საქართველოს ცენტრალური და საბუთების (XVIII საუკუნის ჩათვლით) საქართველოს მუზეუმში გადმოტანის შესახებ.

6. დადგინდა უნიკალური და დაზიანებული ხელნაწერების ფოტო-პირების გადაღება და განყოფილებაში დაცვა საერთო სარგებლობისათვის.

7. გადაწყდა საქართველოს გარეთ, საცოთა კავშირის სხვა ქალქებში არსებული ხელნაწერების აღწერილობის შეტანა ხელნაწერთა განყოფილების საკარალოგო აღწერილობაში და მათგან უნიკალური ხელნაწერების ფოტო-პირების გადაღება და განყოფილებაში დაცვა.

8. დადგინდა ხელნაწერებისა და საბუთების ფიზიკური არსებობის გახანგრძლივების მიზნით მავნებლებთან ბრძოლა თანამედროვე ქიმიური საშუალებებით. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ხელნაწერთა განყოფილების და ქიმიურ ლაბორატორიის თანამშრომელთა გაერთიანებული ძალებით, სათანადო სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

9. ფართოდ უნდა გაშლილიყო წმინდა სამეცნიერო მუშაობა ყველა განყოფილებაში.

10. ხელნაწერთა და საბუთების სათანადო ღონებები მოვლა-პატრიონობის განსახორციელებლად დადგინდა შტატის შევსება დამატებითი თანამშრომლებით²⁸.

1940 წ. ივლისის 8-ს, ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა დელი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების მოკრეფისა და ცალკე გამოცემის საკითხი დაყენდა²⁹. შემდეგ მასვე ეთხოვა ანდერძ-მინაწერების მოკრეფისა და გამოცემის გეგმის შემუშავება. მაგრამ სახელმძღვანელოდ ივანე ჯავახიშვილმა მათანადო ინსტრუქცია წარმოადგინა³⁰.

ჯერ კიდევ 1932—33 წლებში ივანე ჯავახიშვილმა დასვა საკითხი განათხარი მასალის (ლითონის, ხის, ძვლის და სხვ.) ქიმიური ანალიზების ჩატარების შესახებ, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად და დაზიანებული ნივთების შენახვა-დაცვის მიზნით³¹.

ვინაიდან მუზეუმს სათანადო არც ლაბორატორია და არც თანამშრომელი არ გააჩნდა, ივანე ჯავახიშვილი პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებას თბილის სხვადასხვა ლაბორატორიებთან, მაგ. ქიმიკოს გ. ციციშვილთან (სანგიგიენის ლაბ.), კუპციითან, კულტურმანთან, პროფ. ქურდიანთან (დენდროლოგიის კათედრის გამგე) და ოვით ხელმძღვანელობდა მაგმებს.

შემდეგში, როდესაც მუზეუმმა არქეოლოგიური გათხრები წამოიწყო, ლაბორატორიის უქონლობის შეწყნარება უკვე შეუძლებელი შეიქნა. ივანე ჯავახიშვილმა მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანე-

28 იხ. საქ. სახ. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს 1939 წლის სხდომების ოქმები.

29 ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 1090.

30 ივ. ივ. 971.

31 იხ. საქ. სახ. მუზეუმის არქივი, სექტემბერი 1933 წ. 28 იანვარი.



ლობისთვის გამოყოფილი მთავრობის კომისიის წინაშე კატეგორიულად დამტკიცებული ვა საკითხი ქიმიურ-სარესტაცია-საკონსერვაციო ლაბორატორიის დაარსების შესახებ. მან დაასაბუთა ლაბორატორიის დაარსების უცულებლობა. სხვა რომ არა იყო რა, ლაბორატორიის უქონლობის გამო გარეშე ლაბორატორიებში განათხარი ლითონის ნივთების და საერთოდ მუშეუმის კოლექციების ცალკეული ექსპონატების ქიმიური ღამიულება ზედმეტ ხარჯს იწვევდა. ამ ვიზუალურ ნივთები დაუმუშავებელი რჩებოდა. მთვარობის კომისიის წარედგინა ლაბორატორიის დაარსებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წინასწარ შეიმუშავა ქიმიკოსმა კუცერმანმა ივანე ჭავახიშვილის უშუალო მონაწილეობით.

ამის შედეგად საქართველოს სსრ სახეობისაბჭოს წინაშე აღიძრა შუამდგომლობა ქიმ-სარესტაცია-ციონ ლაბორატორიის დაარსების შესახებ და მასვე წარედგინა დასაბუთებული მოთხოვნა-მონსტრება და ზუსტი ხარჯთაღრიცხვა.

1939 წ. ოქტომბრისათვის დაარსდა შეზეუმში ქიმიური ლაბორატორია და გამგედ დაინიშნა ქიმიკოსი კუცერმანი, ხოლო თანამშრომლად ტექნოლოგი ელ. თუშიშვილი³².

წალეის არქეოლოგიურ ექსპედიციაში პროფესორ ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი ხის ეტლის (მესამე ათასწლეული ჩ. წ. ო-დე) კონსერვაციის საკითხთან დაკავშირებით ივანე ჭავახიშვილი საქესპერტო კომისიას თავმჯდომარეობდა³³. ივანე განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ამ უნიკალური ძეგლის შენარჩუნებით, რომელიც, მისი თქმით, „მეორე შემთხვევა იყო მთელ მსოფლიოში და პირველი ამგარად შენახული“.

ივანე ჭავახიშვილმა სპეციალისტების წინაშე დააყენა საკითხი ეტლის ხის ნაწილების კონსერვაციისათვის სასწრაფო ზომების მიღების შესახებ.

იმავე საქესპერტო კომისიის სხდომის (1939 წ. 26 დეკემბ.) ოქმიდან ცნობილი ხდება, თუ როგორ დაწვრილებით და როგორი დაინტერესებით განიხილა ივანე ჭავახიშვილმა ეს საკითხი და მოითხოვა კომისიისაგან ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ცდების დეტალური შესწავლა და საუკეთესოდ მიჩნეული საშუალებების შერჩევა ეტლის ხის ნაწილების კონსერვაციისათვის (მონაწილეობდნენ — კუცერმანი, თუშიშვილი, მოწვეული ქიმიკოსი ჭავახიშვილი, ბოტანიკოსი ლ. ჭავარიძე და იაცენკო-ხმელნიცი, თვით ბორის კუჭტინი და ივანე ჭავახიშვილი).

ამ ზრუნვის შედეგი დღესაც თვალსაჩინო ყველასთვის, ვინც მუშეუმის არქეოლოგიურ გამოფენას ინახულებს.

ივანე ჭავახიშვილი თავის მოხსენებაში საქართველოს უმაღლეს საბჭოს პირველი მოწვევის სესიაზე (1940 წ.) აღნიშნავდა, რომ მუშეუმის ქიმიკოს-ტაცია-ციონ ლაბორატორიის მსგავსი ლაბორატორია სულ სამია საბჭოთა კავშირში — ლენინგრადში, მოსკოვა და თბილისში... საღლეისოდ ეს ლაბორატორია აღარ კმაყოფილდება მარტონდენ ანალიზებითა და რესტავრაციით, არამედ არაერთ სამეცნიერო საკითხების დამუშავებას ახდენს.

ივანე ჭავახიშვილის ყურადღების და ზრუნვის საგანს მუშეუმის აღმინისტრაციულ-სამეცნიერო საკითხებიც წარმოადგენდა.

³² იბ. საქ. სახ. მუშეუმის ისტორიის განყოფილების არქივი, ოქმი № 3, 1939 წ. 19 მაისი. და იუ. ჭავახიშვილის არქივი. №№ 962, 963, 967, 979.

³³ იბ. საქ. სახ. მუშეუმის ისტორიის განყოფილების არქივი — 1939 წ. 5 ნოემბრის აქტი და იუ. ჭავახიშვილის არქივი № 969.

მუშაობი მმარტე მდგომარეობაში იმყოფებოდა ფართობის სივიწროვის უზრუნველყოფა
შორის, რაც განსაკუთრებული საგრძნობი შეიქნა ისტორიის განყოფილების და-
არსებასთან, ასევე არქეოლოგიური გათხრებიდან მოზღვაცებული ნივთების
შემოსვლასთან და რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოწყობასთან დაკავ-
შირებით.

ივანე ჯავახიშვილი წლების მანძილზე ზრუნვადა მუხევების შენობის გა-
რეშე დაწესებულებათაგან განთვისუფლებაზე. ქამსარესტავრაციონ ლაბორა-
ტორიის დაარსების ღროს კვლავ წამოიჭრა ეს მტკიცნეული საკითხი. ერთ-
ერთ საორგანიზაციონ თათბირზე ივანე ჯავახიშვილმა კატეგორიულად დასკა-
მუხევებისათვის დამატებითი ფართის გამოყოფის საკითხიც.

1939 წ. 1 სექტემბერს მან განცხადებით მიმართა საქართველოს კა (ბ) ცკ-ს პირველ მდივანს კანლიღ ჩატვიანს და მთავრობის თავმჯდომარეს ვალ ბაქრაძეს მუზეუმისათვის ფართობის გაიღების შესახებ³⁴.

1940 წ. 9 სექტემბრის თავის კერძო წერილში ივანე გავახიშვილი წერდა: „როგორც იყო, საქართველოს მუზეუმს გვერდით მდებარე შენობა გადმოეცა (ეს შეეხებოდა სავაჭრო ტექნიუმისა და სარჩეო ლაბორატორიის მიერ დაკავებულ ფართს); ხოლო მასწავლებლის სახლისა და ტიპოგრაფიის შენობის შემორჩება გერაც არ განხორციელებულა“. იმავე წერილიდან ჩანს, რომ იგი ამ ფართზე წალეისა და მცხეთა-სამთავროს მასალის გამოფენის მოწყობას აპირებდა²⁵, ხოლო მასწავლებლის სახლის შენობაში საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთთავის მოწყობა ივარიუდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი მუზეუმის დამმზადებელი შენობის არქიტექტორის საკითხების განხილვაშიც მონაწილეობდა. სახელობრ., 1923 წ. იგი თვემ-ჯდომარეობდა მუზეუმის ფასადის პროექტის საკონკურსო უკრის. წარმოდგენილი პროექტის³⁷ განხილვის შედეგად ჯილდო აჩქირებულ ნიკოლოზ სავე-როვს მიეკუთვნა — „შედარებით დამპერაციულებელ პროექტისათვის“, რო-მელშიც შენებლობის დროს ცულილებები უნდა შეტანილყო. მეორე ჯილ-დო მიეკუთვნა პროფესორ კალგინს (მხატვრულად შესრულებულ პროექტში). ივანე გავახიშვილმა ორართა მნიშვნელოვანი შენიშვნა მისაცა აღმოჩენა³⁸.

ივანე გავახიშვილის მიერ იქნა შემოღებული მუზეუმში შემოსული ნივთების ერთიანი საჩეგისტრაციო დაფარი, რაც საფუძვლად დაედო მუზეუმის განძულობის დაცვისა და ორიცხვის განყოფილებას. იგი დიდ ყურადღებას ქვევდა და აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოს მუზეუმში საკუთარი საგამოცემლო ბაზის არსებობას, რისთვისაც სტამბა „შჩომას“ შენობის გაღმოცემაზე ზრუნვისას უმთავრესად თვით სტამბის მიღებაზეც ფიქრობდა, რაც დიდად შეუწყობდა ხელს მუზეუმის მერინერული მუშაობის და საგამოცემლო საქმიანობის გაფართოებას.

1939 წ. ერთ-ერთ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ივანე გავახიშვილმა წამოაყენა წინადაღებები გამომცემლობის საქმიანობის გასაუმჯობესებლად³⁸. ფულადი სახსრების დასაგროვებლად მან მიზანშეწონილად მიიჩნია გამომცემ-

³⁴ ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 949, 964, 965, 1064, 1106.

35 ♂♂, № 1473.

26 ož 30, № 1011.

³⁷ იბ. საქ. სახ. მუზეუმის არქივი, საქმე 318, 1923 წ. 20 დეკემბერი.

38 იგ. ჯავახიშვილის არქივი, №№ 950, 951 და სამ. საბ. შეცულების სამეცნიერო საბჭოს 1940 წ. 1 ნოემბრის სხდომის ოშთ (იგ. გამომტ. გამგის შ. ჩერებას მოხსენება).



ლობასთან გაერთიანებულიყო: 1. სამხატვრო განყოფილება (ლია ბარათე გამოცემის მიწნით). 2. საამქინდაო სახელოსნო და 3. ფოტო-კაბინეტი.

თუმცა ერთხანს ეს ღონისძიებები სისრულეშიც იყო მოყვანილი, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო როგორც თვით გამომცემლობის არსებობა, ისიც, მეტად დღემოკლე აღმოჩნდა.

როდესაც რუსთაველისა და მისი ეპოქის მატერიალური კულტურის ისტორიის გამოფენა ეწყობოდა, საჭირო გახდა სრულიად ანალი საგმოცემო ავეჯის დამზადება. ამ საკითხსაც ივ. ჭავახიშვილი დიდი ყურადღებით მოეცერო. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მიზანშეწონილი და თანაც მოხდენილი ავეჯის ნიმუშები დამზადებულიყო სპეციალისტ მთატერების მიერ. თვითონვე ხელმძღვანელობდა მაღალვალიზიცირებულ დურგლების მოწვევასა და სხვა წერილმანი საკითხების მოგვარებას. ამასთან დაკავშირებით მუზეუმში საუთარი საღურგლო სახელოსნო დაარსდა.

იგანე ჭავახიშვილი ფოტოლაბორატორიის მუშაობაშიც ცვლილებების შეტანას მოითხოვდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმოჩნდა ქართული პალიმფსესტები. მას დიდი დამხარება გაუწის პროფესორებმა ფიზიკოსმა ალექსანდრე დიდებულიშვილმ და ქიმიკოსმა იოვ. ქუთათელაძემ; ხელნაწერთა განკოფილებაში საგანგებო ფოტოგრაფიზების ლაბორატორიის და ხელნაწერიდან ფოტოპირების დასამზადებელი აპარატების მოწყობაში.

აქვე უნდა მოიგოგონოთ ივ. ჭავახიშვილის ზრუნვა ხელნაწერთა განყოფილების სამეცადინო დარბაზში მუშაობის პირობების გაუმჯობესებაზე. შემოღებული იყო ყუთები ხელნაწერებისა და საბუთების შესანახად. მოწყო ახალი სეიფი მუსულმანური ხელნაწერებისათვის. ცველაზე მეტად ივანე ჭავახიშვილს აწუხებდა ხელნაწერებისა და საბუთების ჩესტაგრაციის საკითხი. აგრეთვე სეიფიდან სამეცადინო დარბაზში ხელნაწერებისა და საბუთების გაცემის საქმის მოუწესრიგებლობა. იგი წუხადა, რომ „სეიფიდან ამა თუ იმ დაკვეთილ საბუთის ან ხელნაწერის გაცემისას არ ხდება მათი გასინჯვა — არც მათი სეიფში დაბრუნებისას. მეთვალყურეთა მოვალეობაც არ არის გარკვეული და ამ მხრივაც ჩვენი წერილობით განძეულობა საფრთხეშია ჩაიკრძნილი. საჭიროა დაუყოვნებლივ გადასინჯულ იქნას მთლიანად არსებული წესები და შემოღებულ იქნას მომსახურეობის დეტალურად დამუშავებული წესი — მისი მეცნიერო განხორციელებით. ეხლავე აუცილებელია გადაირჩეს საბუთები და ხელნაწერები, რომელთა მდგომარეობა განსაკუთრებულ საფრთხეშია დაზიანების მხრივ და მანამდე, სანამ ეს დოკუმენტები და ხელნაწერები არ იქნება სათანადო აღდგენილი და მათი ფოტოპირები გადაღებული, აღიკვეთოს, აქეთების სეიფებიდან სამეცადინო დარბაზში გაცემა, გარდა... საგანგებო ნებართვისა“. დანარჩენი, დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული, ხელნაწერების გაცემა, მისი აზრით, შეიძლება მხოლოდ კვალიფიცირებულ მუშაკებზე. ამავე დროს საჭიროდ მიაჩნდა შემოღებულიყო ხელნაწერების გაცემა დარბაზში მომუშავეებზე მინახასმულ კოლოფებში და მხოლოდ ასეთ პირობებში მისცემოდათ მათ მელნის ხმარების ნებართვა.

ამ საკითხებით ივანე ჭავახიშვილი უკანასკნელად გამოვიდა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1940 წლის 15 ნოემბერს³⁹. მას შემდეგ სამაშულო ომშა შეაფერხა იმ დროს დასახული ღონისძიებათა განხორციელება. შემდეგში,

39 იბ. საქ. სახ. მუზეუმის სამეცნ. საბჭოს 1940 წ. სხდომის ოქმები.

წლების განვითარებაში აღნიშნული გეგმიდან მრავალი ღონისძიება განხორციელდა და საკმაოდ თვალსაჩინო შედეგიც მოგვია.

ივანე ჯავახიშვილის მოღაწეობის შემთხვევლის მხარეა მისი დამკიცებულება თავის თანამშრომელებთან, განსაკუთრებით კი ახალგზრდობასთან. ამ შემთხვევაში მის გულისყურს არ გმობარება მუხეუმის მეცნიერ თანამშრომელთა მატერიალური მდგომარეობა და მას მუდამ აწუხებდა მათი ქონებრივი ხელმოკლეობა. ყოველი ცალკეული თანამშრომლის პირობებით დაინტერესებული, იგი დიდ გულისხმიერებას იჩენდა და ზრუნავდა ამ პირობების გაუმჯობესებაზე.

იმ მოხსენების დროს, რომელშიც ივანე ჯავახიშვილი სამუშაუმო კადრების მომზადებას შეეხო, იგი ამ საკითხზედაც შეჩერდა და აღნიშნა, რომ საჭიროა მუშაუმის მეცნიერ მუშავთა ქონებრივი მდგომარეობა იმდენად მაინც გაუმჯობესდეს, რომ მათი ხელფასი საშუალო სკოლის კვალიფიცირებულ მასწავლებლის ხელფასზე თუ მეტი არა, ნაკლები მაინც არ იყოს: „ამჟამად — დასძენდა იგი (ე. ი. 1938 წ.) მათი ხელფასი იმდენად მცირეა, რომ მუშაუმის მუშავებმა ასეთ ქონებრივ პირობებში ძალიან ძნელი იქნება დიდხანს გაძლინ და სხვაგან, სადაც უკეთესი ქონებრივი პირობებია, არ გადავიდნენ. ვისაც მეტი ცოდნაცა აქვს და საქმიანობაც მოეთხოვება, იმას ქონებრივი პირობებიც უკეთესი უნდა ქონდესო“ და თვლიდა, რომ მუშაუმის დირექციას ევალებოდა ამ საკითხისათვის ქერთვანი ყურადღება მიექცა, ხოლო თითონ უშუალოდ მიმართავდა სათანადო ორგანოებს ამ წინადაღებით.

იმავე 1938 წლის ოქტომბერში მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიურ ექსპედიციაში მყოფ ალ. კალანდაძეს ივანე ჯავახიშვილი წერილით ულრცავდა მთავრობის გადაუწყვეტილებას გათხრების წარმოებისათვის სათანადო სახსრების გამოყოფის შესახებ და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის დაპირებას ახარებდა, და სხვადასხვა განკარგულებებთან ერთად, წერდა: „თქვენი კვებისა და ბინის საკითხიც მაწუხებს და ამაზედ ცნობის შეკრება და გამორკვევაც არის საჭირო. დიდი და ფრთხიად პასუხსაგები საქმე იწყება და უნდა ყველანი ვეცადნეთ, რომ იგი ღირსეულად შეესრულოთ და პარტიის ორგანოების ნდობა გავამართოთ“⁴⁰.

როგორი მზრუნველი იყო ივანე ჯავახიშვილი ყოველი ცალკეული თანამშრომლის მიმართ, როგორ ეხმარებოდა ყველას სამეცნიერო მუშაობის წარმართვაში — რჩევებითა და უშუალო მონაწილეობით, როგორ ამხნევებდა და ანუგაშებდა თანამშრომლებს, ამასთან დაკავშირებით უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება.

ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა და მზრუნველობდა მუხეუმის კოლექტივში ურთიერთ კეთილგანწყობილებისა და მაღალი ზნეობრივი სულისკვეთების განმტკიცებას, რომლის თვალსაჩინო მაგალითს ყოველი მისი მოქმედება იძლეოდა — დარბაისლური სიღინჯე, თავმდაბლობა, თავშიონობა, დიდი ტაქტი და იმავე დროს საკუთარი ლირსების მაღალი შეგრძნება...

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მუხეუმში თანამშრომლობისა და უფრო ძლიერულ პერიოდშიც თვის ყურადღების გარეშე არ ტოვებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მხარეთმცოდნეობის მუხეუმებს (მაგ., ზუგდიდის, ქუთაისის, თელავის და სხვ.), რაც აგრეთვე სახულია მის პირად არქივში.

⁴⁰ ე. ჯავახიშვილის არქივი, № 1432.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც არა ერთი კულტურული და სამეცნიერო ინსტიტუტის განმანათლებლო საქმიანობის აქტიური მონაწილე და ხშირად წამომწყები და ხელმძღვანელი, აერთიანებდა, ათანხმებდა და ათავსებდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას.

ამ წერილში მოცემულია ივანე ჯავახიშვილის ამ ერთ უბანზე მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა, რასაც არაფითარ შემთხვევაში არა აქვს ამომწურავი გამოკვლევის პრეტენზია, ვინაიდან ასეთი ხასიათის ნაშრომი „მრავალთა ვის“ საგამომცემლო შესაძლებლობებს ბევრად აღემატება.

Н. И. ДЖАВАХИШВИЛИ

ИВАНЕ ДЖАВАХИШВИЛИ И МУЗЕЙ ГРУЗИИ

(Р е з ю м е)

В статье освещена деятельность И. А. Джавахишвили в Государственном Музее Грузии, первоначально в качестве члена Ученого Совета, а затем научного консультанта (с 1931 г.) и заведующего отделом истории (с 1936 г.), охарактеризована его забота о подготовке и воспитании кадров, об организации научной работы и экспозиции памятников материальной культуры Грузии, об уходе и описании рукописных фондов музея.

მლინი მითრაველი

შეხანის უდაბნო—XI საუკუნის უცნობი ქართული სტრიპტორიუმი პალესტინაში

ქართველთა მოღვაწეობას პალესტინაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ყველაზე ძლიერი ცნობები პალესტინაში ქართველთა კოლონიზაციის შესახებ შემოგვინახა პეტრე იბერიელის ცხოვრებამ. პეტრე იბერიელმავე ჩა-უყარა საფუძველი ქართველთა სავანებს როგორც შიგ იერუსალიმში, ასევე იერუსალიმის გარეთ, პალესტინის უდაბნოებში. ამ დროიდან მოყოლებული არ ჰქონია ქართველთა საქართველოს კულტურული ურთიერთობა პალესტინასთან, რომელიც ქრისტიანული სამყაროს უდიდეს სიშიმიდედ და კულტურულ ცენტრიდ ითვლებოდა მთელი შუალუკუნების მანძილზე.

პალესტინის ქართულ კოლონიას თავიდანვე თავისი მემატიანები არ ჰყოლია (ბევრად შეკრეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ მხრივ ათონის ქართველთა კოლონია). ცნობები ქართველთა მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში შემოუნახავს იქ გადაწერილ ხელნაწერთა ონდერ-მინაწერებს, სულთა მარტიანებს, სააღაპე წიგნებს, პალესტინის ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-წამების წიგნებსა და ბოლოს „ქართლის ცხოვრებას“, საღაც ასახულია ის დახმარება და ზრუნვა პალესტინის ქართულ მონასტრებშე, რომელსაც ქართველი მეცენები იჩენდნენ საუკუნეთა მანძილზე.

პირველი ქართველი მეცნიერი-მოგზაური, რომელიც შეეცადა წარმოედგინა ქართველთა მოღვაწეობა პალესტინაში დასაბამილან XVIII საუკუნემდე, შეეფასებინა მისი როლი საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, იყო ტიმოთე გაბაშვილი. მანვე დაგვიტოვა პალესტინის ქართველთა კოლონიის პირველი ისტორია, დამყარებული აღგილშე ნანაში ქართული სიძველეების შესწავლასა, თუ აღგილშე გაგონილ გაღმოცემებზე.

იერუსალიმში მოპოვებული მასალების საფუძველშე ტიმოთე გაბაშვილმა „მიმოსლვაში“ შეიტანა ცნობები 20-მდე ქართული მონასტრისა თუ სამწირველოს შესახებ.

ტიმოთე გაბაშვილი და ალ. ცაგარელი ერთად 30-მდე ქართულ მონასტერსა და სამწირველოს ასახელებენ პალესტინაში. მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილი ცნობები არ არის სრული: „კვალად იერუსალიმს მონასტრები არს აღშენებული ქართველთაგანვე, არამედ მე ვერ შევიგნ, ვის მიერ აღეშენეს“ — წერდა ტიმოთე გაბაშვილი. მართლაც, დასადგენი და აღსადგენი პალესტინაში ჭერ კიდევ ბევრია. დღეისათვის პეტრე იბერიელის მიერ პალესტინასა და ეგვიპტეში აშენებული ეკლესია-მონასტრების ადგილდებარებაც კი არ არის დაზუსტებული. ბოლო წლებში სირია-პალესტინასა და ეგვიპტე-



ში წარმოებულ ინტენსიურ არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად გამოვლინდა არა ერთი მნიშვნელოვანი ქართული ძეგლი¹, მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშვნავია ბირ-ელ-კუთხის ქართული მონასტერი ბეთლემის უდაბნოში, გათხრილი V. Corbo-ს მიერ².

ქართულ ხელნაწერთა სინური და იერუსალიმური კოლექციების შესწავლაში ბევრი საინტერესო ცნობა გამოავლინა პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. ამ გზით გახდა ცნობილი მასალები კაპპათას, დერტივისა და დერტუფას ქართველთა სავანეების შესახებ³.

წინამდებარე გამოკვლევაში შევეხებით ქართული კულტურის დღემდე უცნობ კიდევ ერთ კერას პალესტინაში — შეპანის უდაბნოს და მის მაშენებელს გაბრიელ შეპანელს, რომლის შესახებაც ცნობები შემოგვინახეს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ანდერტ-მინაწერებმა.

1972 წელს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერმა Géorg. 28. ამ ხელნაწერში აღმოჩნდა XII საუკუნის შუაწლების ჯვაროსანთა საინტერესო მოსახსენებლები⁴, ხოლო მათ რიგში ჩართული იყო კიდევ ერთი მოსახსენებელი, რომელიც ჯვაროსანებს არ ეყურებოს, მაგრამ იმავე დროისა კი არის.

ეს მოსახსენებელი განწევებულია შეპანის უდაბნოს მაშენებლის გაბრიელის შეილიშვილებისათვის და ასე იყითხება: „ქ. უფალო ღმერთო, დაიცვენ და შეიწყალენ მანი ჩუენი იოსებ და იოანე, გაბრიელ შეპანის მა შეენებელისა შვეცილის შვილნი, და ლირს ყვენ ჩუენ გუარელთა მმობასა და შეპანისას“ (246 v).

მოსახსენებელი XII საუკუნის შუა წლებში განწევებულია იოსებ და იოანესათვის, რომელთა ვინაობაც მინიშებულია გაბრიელ შეპანელის პირვენებით, რომელიც, როგორც ჩანს, XII საუკუნის შუა წლებშიც ჯვრის მონასტრის კრებულში დიდად პომულარული პიროვნება ყოფილა. ამ ღროვასათვის გაბრიელ შეპანელი, როგორც იზკვევა, ცოცხალი აღარ არის (ამის შესახებ ქვემოთ), მაგრამ მისი შეილიშვილნა მოღვაწეობენ მის მიერ აშენებულ შეპანის უდაბნოში და ამ უდაბნოს ქართველთა კრებულის წევრები არიან.

1 ქ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 5.

2 P. Virgilio Corbo. Gli scavi di Kh. Siyar el-Ghaman (Campo dei Pastori) ei monasteri dei dintorni. Publicationi dello Studium Franciscanum, № 11, Gerusalemme, 1955.

3 ქ. კვერი ლი ძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო სუურნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ეტიუდები IV, გვ. 202; АНТИОХ Стратиг. Пленение Иерусалима Персами в 614 г. Грузинский текст исследовал, перевел и арабское извлечение приложил Н. Марр. Т. Р. Х. СПб., 1909, стр. 62 — 64; ქ. მეტრე კვერი ლი, დერტავასა და დერტუფას ხელნაწერების ირელივ (კოდიფილოგიური შენიშვნები); იმპტება ივა. გ. წერეთლისამდიმი მიძღვნილ საიუბილო კრებულში.

4 ამ მოსახსენებულების შესახებ ი. ქ. მეტრე კვერი ლი, ჭვრის მონასტრის კოდე ერთი ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. ი. ქ. გავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთვისადმი მიძღვნილი სიუბილო კრებული. 1976.

5 ამ ხელნაწერის აღწერილობა და ზოგიერთი ობიექტი მოსახსენებული პირველად გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა. ჩვენთვის საინტერესო მოსახსენებელს ე. თაყაიშვილი შემდგენიარებად კათეტლობს: „ქ. ოთ ღ. ღ. დაცვენ და შეიწყალენ მანი ჩუენი ის სბ და ის: გბრლ კელანის მშენებლისა შეილის მეონი და ღირს ყვენ ჩუენ გრძლთა მმობასა და შეპანისა (?)“. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბაბლიოთეკის ქართ. ხელნაწერები და 20 ქართული საიდუმლო დამზერლობის ნიშანი. პარიზი, 1933, გვ. 64.

ამივე დროს, ისინი ჯერის მონასტრის კრებულთანაც მშიდროდ არიან და უძრავიანი ჰის მოწმობს მოსახსენებლის შემდეგი პერიოდი: „ლირს კენ ჩურ ჯუარელთა ძმობასა და შეპანისასა“.⁶ ამ მხრივაც, მოსალოდნელია, იოსები და იოანე გაბრიელ შეპანელის დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობდნენ.

ამ მოსახსენებლის გაცნობისთვის ჩვენთვის აშერა გახდა, რომ XII საუკუნის შუაწლებში ჯერის მონასტრის კრებულისათვის კარგად ცნობილი და დაფასებული გაბრიელ შეპანელი უკვალოდ ვერ დაიყარგებოდა და მის შესახებ ცნობები კვლავაც იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში იყო საძებარი.

ამ თვალსაზრისით იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შესწავლამ, მართლაც, გამოვლინა სხვა მასალაც გაბრიელ შეპანელის შესახებ, რამაც მოგვცა საშუალება არასრული, მაგრამ მანც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა გაბრიელის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ.

გარდა პარზის N 28 ხელნაწერისა, ცნობები გაბრიელ შეპანელის შესახებ დაუცავს კიდევ ორ იერუსალიმიურ ხელნაწერს: Jer. 50-სა და Jer. 42-ს.

ხელნაწერი Jer. 42 სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილია, როგორც ახალი ტიპის თვენის შემცველი ხელნაწერი. იგი დაწერილია ორი სხვადასხვა ხელით, XI ს. ტიპიური კალიგრაფიული ნუსხეულით, ამიტომ ხელნაწერის თარიღი (XI ს.) ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მაგრამ პალეოგრაფიული ამონაცემებით ამ თარიღის დავიწროება ძალზე გაძირდებოდა. ხელნაწერის გადაწერის თარიღის დავიწროება შესაძლებელი ხდება იმ მოსახსენებლებით, რომლებიც გადაწერითა ხელითა შეტანილი ამა თუ იმ დღესასწაულის სათაურის გვერდით ხან სინგურით, ხან კი არა. ეს მოსახსენებლებია:

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე გ(ი ო ო რ გ)ი (1v, 45r, 238r).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ა)მად გ(ა)ბ(რ ი ე)ლ (141 v).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ე ფ თ ჟ მ ე (143v, 163 r).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ბ ა ს ი ლ ი (172 r).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე გ ი ო ო რ გ ი პ რ თ ხ თ რ ე, ა(მ)ენ (211 r).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ა)მად გ(ა)ბ(რ ი ე)ლ შ ე პ ა ნ ე ლ ი (164 r).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე გ(ი ო ო რ გ)ი და ე ს ა დ ა (252 v, 272 v).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე გ ი ო ო რ გ ი მ წ ა რ ე დ ც ლ ვ ი ლ ი (275).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მჩხრეკალი გ ი ო ო რ გ ი (294 v).

მინაწერები შესრულებულია ტექსტის ხელით.

მოსახსენებლის ფორმა „ქრისტე შეიწყალ...“ ნიშნავს იმას, რომ აქ მოხსენებული პირები ცოცხლები არიან. მაშასადამე, ხელნაწერი დაწერილია გორგი-პროხორებს სიცოცხლეში 1066 წლამდე. გორგი-პროხორებს მოხსენება იმასაც ნიშნავს, რომ ხელნაწერი გადაწერილია გორგი-პროხორებს მამობის წლებში⁷, ე. ი. 1061 წლამდე. რა დროიდანაც ჯვარის მამად გორგი-პროხორებს მიერ დადგენილი გორგია ჩანს.

აქ მოხსენებული გორგი არის თუ არა გორგი-პროხორებს შემცველელი ჯვრის წინამძღვანი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ხელნაწერის გა-

⁶ ლ. ჭ ღ ა მ ა ი ა, იოდასაფის საგალობლის ახალი ვარიანტი, ხელნაწერთა ინსტრუმენტის მთამბე, III, 1961.

⁷ გორგი-პროხორებს აქ ჯვარის მამად არ იწოდება, ჯვარის მამად არც გორგია წლებული, რაც გვაძლევს უფლებას ჯვარის მამად მანც გორგი-პროხორებ მიენინოთ. არ არის გმორიცხული, რომ ამ ნაკლებ ხელნაწერს ბოლოში ექნებოდა ანდერძი ჯვარის მამისა და ხელნაწერის გადაწერის თარიღის აღნიშვნით.



დაწერის დროისათვის ეს გიორგი ჯვარის მამის წოდებას არ ატარებს. ერთი უფრო ცნობილია აშეარა, რომ ამ მოსახლეობის შემთხვევაში მოხსენებულ გიორგი ხელნაწერის ერთ-ერთი გადამწერი უნდა იყოს. ამას მოწმობს გიორგის უკანასკნელი მოსახლეობელიც, სადაც ის თავის თავს მჩხრე კალს უშოდებს (294v). ხელნაწერის მეორე გადამწერი უნდა იყოს ესაია, რომელიც გიორგისთან ერთად არის მოხსენებული ორჯერ. ამ ვარაუდის სისწორეს დასტურებს ხელნაწერი Jer. 71, რომლის გადამწერიც აგრეთვე ესაია არის. Jer. 42-ისა და Jer. 71-ის ხელი სავსებით იდენტურია (ცნობა Jer. 71-ის გადამწერის ესაის შესახებ მოვკეთოდა ლალი ჭრამაიმ).

თუ ზემოთ ჩამოთვლილ პირთა სის გამოვაკლებთ გიორგი-პროხორეს, გიორგისა და ესაიას, დაგვრჩება მამა გაბრიელი, რომელიც იგივე გაბრიელ შეპანელი უნდა იყოს, ბასილი და ეფთემე. უნდა ვითიქროთ, რომ სამივე ვიორგი-პროხორეს თანამდებროვენი არიან, ჯვრის მონასტრის კრებულის წიგნ-ჩები, ან ამ კრებულში დიდად პატივცემული პირნი. მათგან გაბრიელი იწოდება შეპანელად და მამად, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის იგი შეპანის მონასტრის მამა, ანუ წინამდებარი ყოფილა. მაშასადამე, გიორგი-პროხორეს სიცოცხლეში, უფრო ზუსტად, მისი წინამდებრობის წლებში, 1061 წლამდე⁸, გაბრიელი უკვე შეპანის მამად იწოდება. ე. ი. ამ დროისათვის გაბრიელს უკვე გაუშენება შეპანის უდაბნო და აქ თავი მოუყრია ქართველთა ძმობისათვეს, გამხდარა ამ მონასტრის წინამდებარი და შეპანელის წოდება მოუკოვებია. ამავე დროს, გაბრიელ შეპანელი, ჩანს, ჯვრის მონასტერში დიდად პატივცემული პირი ყოფილა, ანდა, უფრო საფიქრებელია, აღრე წევრი იყო ჯვრის ძმობისა, საიდანაც ის გაეშურა შეპანს. ჯვრის მონასტრის ხელნაწერის მოსახლეობებში იგი არ მონასტრის კრებულის წევრთა შორის მოიხ-

⁸ 1061 წელს ჯვრის მონასტრის წინამდებარად ჩანს გიორგი. იგი თავის მავივრად დაადგინა ჯვარის აღმშენებელმა და პირეულმა წინამდებარისა გიორგი-პროხორემ არინონ სუდაბრში წასცლის წინ. გიორგის წინამდებრობის წელი შემოვალია Sin. 17 ხელნაწერის ანდერქმა: „დაწერე წმიდად ეს წიგნი წმიდას ქალაქისა იერუსალემის, მონასტერებს წმიდას ჯვარის, მამია გიორგისა, ქრისტემან აღიდენ სული მათი, კელითა უნდოდას გაბრიელ საყ უარ ელის ითა, შემოსა ქელითა მისილეთ... შეუნდენ, ამენ. ქრისტემანი იყო საა (308 v), ე. ი. 1061 წ. (იც. გაეხმარებილი კოთხულობს სპ, რაც აშეარად შეცდომაა, იხ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 40).

იმავე გაბრიელ საყუარელი ხელთა გადაწერილი Sin. 16 ხელნაწერი (II—7). ამ ხელნაწერის ანდერქი აშეარად დაკარგულია. იგი ე. გარიტმაც გამოაქვეყნა ა. ცაგარელის მიხედვით: „ძალითა, ძალითა და შეწერნით ღუთისათ ღირს ვექმენ მე, გლასაკი და უნარებულეს ყოველთა დანიელ მოგებად და დაწერად წმიდას ამის სულთა გამნათლებელისა სახატებისა და დაწერებულ ღმრთისა და სალკვალებელისა სულისა ჩემისა, სულისა მოძელებელისა ჩემისა გიორგი გიორგი გიორგი გიორგი სა და მამისა გიორგი გიორგი სა. სულისა მშობელთა ჩემთა... დაწერა წმიდად ეს ოთხთავი ქალაქისა იერუსალიმს, მონასტერებს წმიდას (ჯვარის — ე. მ.) და მამიბასა გიორგისა — ღმერთმან აღიდენ სული მათი — ჰელით გაბრიელ საყუარელისათ. ღმერთმან შეუნდენი ქორნიკონი იყო ხიბ“ (იხ. A. ცაგარელი. Памятники грузинской старинны в святой земле и на Синае, გვ. 199; Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte. Louvain, 1956, p. 53). ქორნიკონი (ხებ) ამ ანდერქში არ არის სწორად მითითებული. ეს ან გადამწერის უნდობელი შეცდომაა, ან ა. ცაგარელმა ვერ გამოიილ სწორად, ვინაიდან ქორნიკონი ხებ უდრის 992 წელს. ამ წელს კი არც ჯვარი იყო ჯვრ აშენებული და არც მისი მაშენებელი გიორგი-პროხორე იყო დაბადებული. თუ გავითვალისწინებთ გარიელ საყუარელის პირევლი ხელნაწერის (Sin. 17) ანდერქის თარიღს ხებ, მეორე ხელნაწერში მოსალოდნელი იყო ხებ, რაც უძრის 1062 წელს. სამწერაროდ, ანდერქის დაკარგვის გამზ, ამის შემთხვება შეუძლებელია.



სენიორა, მაგრამ არა როგორც ჯვარელი, არამედ როგორც შეპანელი. გადაცემის რიცხვის მისახსენებლების ასტებობა ჯვრის მონასტერში გადაწყვიტილ ხელნაწერებში მოვთვის გაბრიელ შეპანელისა და ჯვრის მონასტრის ძმობის ახლო ურთიერთობას და თანამშრომლობას.

ამრიგად, Jer. 42 ხელაწერის მინაწერ-მოსახსენებლებმა შემოფარგლუს გაბრიელ შეკანელის მოღვაწეობის დრო: გაბრიელი ყოფილა გიორგი პროხორეეს თანამედროვე (საფიქრებელია უმცროსი). მას შეპანის უდაბნო გაუშენებია ჯერ კიდევ გიორგი პროხორეეს მამობის დროს, ე. ი. 1061 წლამდე. ამავე მოსახსენებლებმა ისიც გაარკვია, რომ გაბრიელი შეპანის უდაბნოში გადასვლის შემდეგაც არ წყვეტს კავშირს ჯვრის მონასტრის კრებულთან. ჯვართან კავშირის ამ ტრადიციას აგრძელებენ შეპანის უდაბნოს მოღვაწენი, გაბრიელის შვილიშვილი XII საუკუნის შუა წლებში.

Jer. 50 ხელაწერი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა შეპანის ძმობისა და გაბრიელ შეპანელის მოღვაწეობის შექმნალისათვის.

ეს ხელნაშერი აღწერილი აქვთ R. Blake-ს⁹. ხელნაშერს იდენტიფიკაცია ა. ცაგარელის აღწერილ ხელნაშერებთან ვერ მოხერხდა. არ არის შესული ის არც ნ. მარის აღწერილობაში¹⁰.

ხელნაშერი დაწერილია XI საუკუნის თავისებური ხელით (არაკალიგრაფიული), რამაც გაუქნელა R. Blake-ს მისი დათარილება. ხელნაშერის თარიღიად ის მიიჩნევს XIV—XVI სს, მაგრამ კითხვის ნიშნის ქვეშ¹¹, ე. ი. არ არის დარწმუნებული თავის ვარაუდში. სინამდვილეში პალეოგრაფიულად ხელნაშერი XI საუკუნისაა. პალეოგრაფიულ მონაცემებს საცხებით უჭერს მხარს სხვა მონაცემებიც, როგორც ამას ქვემოთ დავნიახავთ. ხელნაშერი თავნაკლულია, შეიცავს 256 ფ; იქ्यება ტ რევულით; ქალალდისაა (სინესტისაგან ძალიერ დაზიანებულია). გადისწერია ვინმე იოანე.

ხელნაშერი შეიცავს წმიდათა ცხოვრებებს.

1. [თუმცა მასისა კდ. ცეკორე ბაჲ და განვებაძ წმიდასა და ნეტარი-
სა მამისა ჩუქუნისა სვერე ნისი საკრე ველთმოქმედისა, რომე-
ლი დაქვრდებულ იყო მთასა საკურველსა, სანახებსა ანტიოქიისასა და ბრწყინ-
ვიდა ვითარება მთებით თავსა ზედა სუერისასა] ¹². 2r—67r.

კენოვრება ნაკლულია, გამოცემის შინედფით იწყება რა თავით (შტრ. გა-
მოცამას: Keimena. ტ. I. 4. კულოიდს გამოს. 1918 წ. 23. 247).

2. „თუესა ივლისსა კდ ქართულად და ბერძულად თუესა სეკცენტრისა ა.—ცხოვრებად წმიდისა სუიმეონ მესურტისა და საკურველთ-მოქმედისა, რომელ დამკვიდრებულ იყო მთასა ზედა ჰალაბისასა“ 67r—140v (ტექსტი გამოცემულია, იხ.: Vie géorgien de S. Symeon Stylite l'ancien et de S. Ephrem, éditées par Gérard Garitte, CSCO, vol. 171, Louvain, 1957).

3. "თუესა იყლოსსა ც. წამებად წმიდისა და ყოვლად ქებულისა, ლუარ-ლიან-შემოსილისა გმირისა პროკოპისი.— მათ დღეთა შინა, ოდეს

⁹ R. Blake, Catalogue des manuscrits Géorgiens de la Bibliothèque patriarcale Grecque à Jérusalem. Orient Chrétien, 3-série, t. III—V, 1924—26.

10 6. မာရီ၊ အေရာင်သာလိပ်စီး ဒေသတွေ့၏ နောက်ဆုံးရတာ မြှုပ်၍ ဝလ္မာရိရာလုပ်ပါ။ 1955.

¹¹ R. Blake, იუვ. ანალოგიური შეცდომები R. Blake-ს სხვა ხელნაწ. აღწერილობაშიც აღსა დაშვილებული.

¹² R. Blake-*s* სწორად არა ექვთ დაღვენილი ამ თავნკლულ ტექსტის რობაც. ის მას სწორებს მიმათ სწერანს (ვატერბოლის): *Sentences des Pères et Vies de saints.*



იგი დეოქლიტიანე და მაქსიმიანე იყვნეს მშეკრობელ მეფობასა და პრომთა სამართლებულებისა შერჩენთას...“ 140v—163r (თარგმანი ეფთვიმე ათონელისა, ეტიუდები, V, გვ. 225).

4. „თუესა დეკენბერსა კგ.— წამე ბაჲ წმიდათა და ყოვლად ქებულისა (!) ათთა ქრისტეს მოწამეთა ათ, რომელი კრიტეს აწამნეს.— ქე შე ივნე, გრლ...“ 163r—167r (თარგმანი დავით ტბელისა)¹³.

5. „ცხოვრება და მოწყალება წმიდისა ამბა სკმეონისი, რომელსა ეწოდა ქრისტეს ღმრთისათვს სულელ, რომელი აღწერა ლეონტიოს ებისკოპოსმან ნიკოლოზელმან, რომელ არს კვპრესაა...“ 167r—192r. კიმენური რედაქციისა¹⁴.

6. ცხოვრება და განგვება წმიდისა და ნეტარისა და მოძლუარისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისა მამისა ჩუნისა იოანე იქრობირისა, კოსტანტინეპოლელ მამამთავრისა და პატრიარქისაა“. 192v—257v (ძველი რედაქციის ცხოვრება, რომელიც შესულია, აგრეთვე, 968 წლის ხელნაწერში H—2124).

ხელნაწერში თავმოყრილია კიმენური აგიოგრაფიული ტექსტების ძველი თარგმანები. მათგან ყველაზე ცვინძლელია ექვთიმეს თარგმნილი პროკოპის წამება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მეტყველებს კრებულის სიცვლეზე.

Jer. 50 ხელნაწერს ერთვის მრავალმხრივ საყურადღებო ანდერძი, რომელიც აქ მოგვყავს, ვინაიდან ის დღემდე სრულად გამოქვეყნებული არ ყოფილა: „დიდებაა შენდა ქრისტე, დიდებაა შენდა ქრისტე, დიდებაა შენდა ქრისტე, გადიდებ, გაქებ, გაკურთხე[ვ] და გმადლობ შენ, უფალო, რომელი-ეს ჰყავ ჩემ ზედა შენითა აურაცხელითა სახიერებითა და მიუწდომელითა მოწყალებითა და კაცტ-მოყუარებითა დიდი ესე კეთილი და სიხარული სულ-თა და კორცთა ჩემთა და ლირს მყავ მე, არალირისი ესე აღწერად წიგნსა ამას წმიდასა, განმანათლებელსა სულთა და კორცთასა და სწორსა წმიდისა სახა-რებისასა.

ესმას სიბერისასა მიმწევდნა და შემიწყალა სულიერად და ხორციელიად, მსგავსად მოძლურისა თვისისა ქრისტესა დიდებულმან მისგ[ან] წმიდამან სკმე-ონ და კურთხეულმან დედამან მისმან წამიდამან მართა, რამეთუ თუალთა მომკლებოდა და არა ვაგონებიდნ, და ვაიძულე თაგასა ჩემსა და კადნიერ ვიქმენ ამის თვეს, რომელ ახალ შენი და გლა ახაკი იყო წიგნითა; ჩამეთუ კაცი ესე ფრიად შეიყუარა ქრის-ტემან ქუეყანასა ზედა და მის მიერ ურიცხუნი სულნი განანათლნა და განა-რინნა ცოდვათაგ[ან] და საცოლთა ხოლო ეშმაკისთა; და წმიდამ ესე სა-ხელგანთქმული და დიდებული წმიდამ სუმძეონ თვისითა მოწყალებითა შემ-წედ და მკურნალად სულთა და კორცთა მოსცა სოფელსა და გამოიჩინა ნათე-სავთა შორის ადამისთა [და] სწორად წმიდისა ნათლისმცემელისა შეიყუარა და მის მიერ შეაჩურენა ბოროტი მტერი კაცთა ნათესავისა ეშმაკი და მრავალი სარცხუნელი საქმენი მის ურცხუნი(ო)სნი განაცხადნა და იგი დაპკდა ქუე-კნელისა სიღრმეთა. და ამ მეცა, გლახაკი, [ვეველრები ქრისტესა ღმერთსა, რამთა ამის წმიდისა სკმეონის მაღლითა და მეოქებითა მეცა შემინდვნეს ყო-ვალნი უგუნურებანი და შეცოდებანი და მედგრობანი ჩემნი სახიერებისა მი-

¹³ ქ. კავკალიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 131; ეტიუდები, V, გვ. 198; Keimena, I, 1918, გვ. XVIII.

¹⁴ ქ. კავკალიძე, ეტიუდები, V, გვ. 136.



სისათვეს წმიდისა, რომელი კურთხეულ, წმიდა და დიდებულ არს და ასე ცის მისამართი უკუნისამდე, ამინ.

აწ ღ(მერ) თშემოსილნო წმიდანო... მამანო და ძმანო, გვედრები ცოდვილი ქრისტეს სიყუარულისათვეს: ვინცა ღირს იქმნეთ წარკითხვად წმიდისა ამის ცხორებისა, თქვეთ წმიდითა პირითა თქ(უ)ნითა მოტევებად ცოდვათა ჩემთავ და თქ(უ)ნცა მეტხველთა და მსმენელთა მადლი მისი მოგ[უა]ნიჭენ, ამინ.

დაწერა წმიდასა უდაბნოსა შე ჰანს მამობასა გაბრიელ ტფილე ლისა, რომელ მან აღაშენა უდაბნო შე ჰანს ღმერთმან. შეუნდევნ და სასულელი შრომათა მისთავ მიანიჭენ ველითა ჩემ ფრიად ცოდვილისა იოგანს ეს ითა. შემინდევთ უცბად ჩხრეკა, გვედრები ღმრთისათვას¹⁵ (66v—67r).

ამავე ხელნაწერში გვხდებით მინაწერებს: „ათთა კრიტეს მოწამეთა“—ს სათაურის შემდეგ გადამწერის ხელითვე წერია: „ქრისტე შეიწყალე იოვანე, გ(აბ)რ(იე)ღ“. ე. ი. ამ მინაწერში მოხსენებულნი არიან ერთდროულად ხელნაწერის გადამწერი იოვანე და გაბრიელი, შეპანის მაშენებელი, რომლის მამობას გადამწერა შეპანის უდაბნოში ეს ხელნაწერი.

87v-ზე ვკითხულობთ: „უფალო, აღიდე შამია გაბრიელ შე ჰანს მაშენებელი“. 167r-ზე მთავრულით: „ქრისტე შეიწყალე ბერი“. ეს შესანიშნავი ანდერძი გვაწვდის ახალ ცნობებს დღემდე უცნობი ქართული საკანის — შეპანის უდაბნოს — შესახებ.

რა შეიძლება ითვეს ამ ანდერძის მიხედვით: გაბრიელ შეპანელი ტყილელი ყოფილა; მას XI საუკუნეში შეპანის უდაბნო გაუშენებია და, როგორც უდაბნოს პირველ მაშენებელსა და მამას, შეპანელის წოდება მიუღია.

ეკლესია-მონასტრების კტიტორები ქართულ წერილობით წყაროებში მაშენებელი ბლებად იწოდებიან. ასე უწოდებენ ჯრის მონასტრის კტიტორს გიორგი-პროხორეს ხელნაწერთა ანდერძებში: „ერსუ ქრისტე, აღიდე სულითა მამა პროხორე, ჯვარისა მაშენებელი“ — ვკითხულობთ 1055 წელს პროხორეს სიცოცლეში და ჯვარის მამობას გადამწერილი ხელნაწერის ანდერძში¹⁶. ათონის დიდებული ლავრის მაშენებელი ის საპატიო წოდებას კი იოანე სვინგელოზი ატარებს¹⁷. ასე შეპანის მაშენებელ არის წოდებული გაბრიელ თბილელი Jer. 50 ხელნაწერის გადამწერის იოანეს შეირ.

მონასტერ-ეკლესიათა პირველ მაშენებლებს მშენებლობის დამთავრების შემდეგ თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდათ „ახალშენისათვის“ საჭირო სამღვდელმასახურო თუ სხვა სულის მარგებელი წიგნების მოგება და მონასტერ-ეკლესიებში მათი დადგება. ასე მოიქცა პროხორე, ჯრის მონასტრის მაშენებელი. მან მონასტრის მშენებლობის პროცესშივე დაწყო ზრუნვა სამონასტრო ბიბლიოთეკის შექმნაზე და მოკლე ხანში თავი მოუყარა ხელნა-

15 ანდერძის ეს უკანასკნელი აბზაცი მოჰყავს თავის აღწერილობაში Blake-ს: „დაწერა წმიდას უდაბნოსა შე ჰანს (შე ლანს) მე-ბა (Sic.) გვ-ღ ტყილელის, რწნ ღლაშენა უდაბნო შე ლანი... კელითა ჩ-მ ფრიად ცოდვილისა იოვანესითა“. R. Blake-ი, როგორც ჩანს, უპირატესობას აძლევს „შე ლანის“ წაკითხვას, თუმცა იქვე მოჰყავს მეორე წაკითხაც — შეპანი. ანდერძში მკაფიოდ იკითხება „შეპანი“. ამ წაკითხვას მხარს უჭირს გაბრიელის მოსახუნებლები Géorg. 28-სა და Jer. 42 ხელნაწერებში.

16 Jer. 14, 478v.

17 ათონის იეკირის მონასტრის 1074 წ. ხელნაწ. აღმებით, 1901, გვ. 216.

შერთა მშვენიერ კოლექციას. ზემოთ მოყვანილი ხელნაწერის (Jer. 14) გრძელებული დამწერი წერს: „დავემოწაფე ღმერთშემოსილსა და წმიდასა მამასა პროხორეს, რომელმან დიდითა მოღუწებითა შუენიერად და კეთილად აღაშენა მონასტერი... პატიოსნისა ჭუარისა და დასხნა მას შინა ყოველნი შუენიერი და კეთილნი წიგნი საღმრთონი“ (496 გ).

ასევე დავით ჭიბიძემ მის მიერვე აშენებულ „ძელი ცხორების“ ეკლესიაში (საკირველ მთაზე) დადგა რომანა წმიდაში გადაწერილი სვანებისი: „ბრძანებითა მამის ძმისა ჩემისა დაგითისითა დაიდგა ესე წიგნი მის მიერვე აშენებულსა ეკლესიას, საყოფლასა წმიდისა ძელისა ცხორებისასა, სამსახურებლად ყოველთა წმიდათა და სამოძლურებლად“¹⁸.

ახლად აშენებულ ივერის მონასტრის ბიბლიოთეკის შექმნა-გამდიდრებაზე ზრუნავდნენ, პირველ რიგში, მაშენებელი იოანე, ამასთანავე ეკვთიმე და გიორგი მთაწმიდელები და ამ მონასტრის მთელი კრებული.

ახლად გაშენებულ შეპანის უდაბნოს ბიბლიოთეკის გამდიდრებაზეც ზრუნავდნენ ამავე უდაბნოს ძმობის წევრები. ამ მიზნით გადაუწერია იოანეს Jer. 50 ხელნაწერი: „ღირს მყავ მე, არალრსი ესე აღწერად წიგნსა მას წმიდასა, განმიათლებელსა სულთა და კორცთასა და სწორსა წმიდისა სახარებისა...“ უდაბნოსათვეს, „...რომელი ახალ შენი და გლახაკი იყო წიგნითა“, — კითხულობთ ანდერძში (საფიქრებელია, რომ ხელნაწერის მინაწერში მოსხენიებული ბერიც შეპანის კრებულის ერთ-ერთი წევრი იყო და Jer. 50 ხელნაწერის შექმნის მონაწილე, მომგებელი, დამხმარე, მზრუნველი).

Jer. 50 ხელნაწერის ანდერძი გვაცნობს გაბრიელ შეპანელის ვინაობას, — ის ტფილი ყოფალა. თუ როდის იყო გაბრიელი თბილისის მთავარეპისომისა და როდის დატვა მან საქანისკომისო კათედრა და წავიდა იერუსალიმში, ამის შესაბეჭდ ცნობებს ვერ მივაკლიეთ, ვანადან ტფილების ქრისტოლიგი დღრეულ საუკუნეებში, კრძოლ ჩვენთვის საინტერესო XI საუკუნეში, დაგვენილი ამ არის. ცნობებს ამ დროის ტფილების შესახებ კანტიუტრად გვხდებით ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში. ვარა და გაბრიელ შეპანელისა, XI საუკუნის იერუსალიმერ ხელნაწერებში კიდევ ერთი ტფილელი ჩანს, ეს არის სტეფანე ტფილელი, გადამწერი № 12 იერუსალიმის ხელნაწერისა (II. 115): „დაიწერა და განსრულდა ქოირსისა და წერ კოდილიასა სტეფანესთა ტფილელისდრო წმიდასათვე გელაშვის იშრუსალემშა, მონასტერსა ქართულთა ჭავანს“, — კითხულობთ ამ ხელნაწერის ანდერძში (472r).

1027—34 წლებში კი ვიწმე დავითს გადაუწერია ხახულის მონასტერში „ითანეს თავის თარგმანებას: ხელნაწერ შემდეგ ჭრის მონასტერში გაიზარენა (Jer. 30—მარიო, Jer. 32—მლეიკით). ხელნაწერის ანდერძი „დაითს“ შემოდან განსხვავებული და გვიანდელი ხელით მიწერილი აქეს „ტფილელი“, თუ ეს უკანასკნელი ცნობა მართალია, მაშინ ზემოთ განხილულ სამ ხელნაწერში სამი ერთმანეთს მონაცემელ ტფილელი უნდა კვადარულოთ: დავით ტფილელი (Jer. 32), გამრაველ ტფილელ ტფილელ ანდერძი (Jer. 50) და სტეფანე ტფილელი (Jer. 12).

კიდევ ერთი ტფილელი ჩანს ათონის ალაბეში: „ას სენ მარტინის ძე თ ფილელი ხანაშერი“ (თონის იერის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღმართ, 1901 წ. აღმართ № 148), მაგრამ ეს აღმართ XII საუკუნეში უნდა იყოს განწყენებული.

ამ ანდერძთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე საკითხი წამოიჭრება:

1. როდის გადაუწერილი ხელნაწერი.

18 ე. მეტრევალი, შევი მთის შწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, საქ. სახ. მუცურუმის მოამბე, XX B, ვვ. 102.



2. ამ ერთი ხელნაწერის მიხედვით შეიძლება თუ არა შეპანის უფლატზე გვუწოდოთ სკრიპტორიუმი?

3. რა დრომდე არსებობდა შეპანის უდაბნო, როგორც ქართული სავანე?

დავითყოთ უკანასკნელი საკითხით: Géorg. 28 ხელნაწერის ზემოთ მოყვანილი მოსახსენებლის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ XII საუკ. შეუ წლებში შეპანი ჯერ კიდევ მოქმედი მონასტერი იყო და იქ ამ დროს მოღვაწეობდნენ გაბრიელ შეპანელის შვილიშვილინი — ისებ და იოანე. მაგრამ ამის შემდეგ, საფიქრებელია, შეპანის უდაბნოში ქართველთა სავანემ მაღლ შეწყვიტა არსებობა, ამის სასაჩვებლოდ მეტყველებს შემდევი:

ა) XII საუკუნის შემდეგ გაბრიელ შეპანელისა და შეპანის უდაბნოს ხსენება იერუსალიმის ხელნაწერებში აღიარ გვხვდება.

ბ) შეპანის უდაბნოში გადაწერილი Jer. 50 ხელნაწერი აღრევე იქცა ჯერის მონასტრის საკუთრებად. ამას მოწმობს შეპანის ხელნაწერის ერთი მინაწერი: „პროტიპი, მეოთხ ეყავ სულსა ნიკოლოზ ბედიელისასა წინაშე ქრისტესა“ (162 v). ჩვენის ვარაუდით, ეს იგვევ ბედიელ-ყოფილი ნიკოლოზ კათალიკოსია, რომლის აღაპი ჩაწერილია ჯერის მონასტრის სააღადე სვინაქსარში და თარიღდება XIII საუკუნის დამლევით¹⁹. საფიქრებელია, რომ ნიკოლოზ ბედიელმა ჯერის მონასტერში ნახა ეს ხელნაწერი და იქვე ჩაწერა თავისი მოსახსენებელი. ამჩიგად, შეპანის უდაბნოს ხელნაწერი, არაუგვიანეს XIII საუკუნის დამლევისა, ჯერის მონასტრის საკუთრებად ქცეულა, საფიქრებელია. ამ დროისათვის შეპანის უდაბნოში ქართველთა ძმობის იქ მოღვაწეობის შეწყვეტის გამო. ამჩიგად, შეპანის უდაბნოში ქართველთა მოღვაწეობის ხანად, პირობითად, XI—XIII საუკუნეები უნდა განვსაზღვროთ.

შეპანის ქართული სავანის ხანობრივი უნდა აიხსნას ისიც, რომ ამ უდაბნოს სახელწოდება აღრევე მიეცა დავითყებას თვით ჯერის მონასტერშიც კი. ამას მოწმობს შეპანის ხელნაწერზე (Jer. 50) გვიანდელი, XV საუკუნით შესრულებული მინაწერი: „ქართველთა მონასტრისა შპნისა ეს წიგნი“ (66v—67r). მინაწერის ავტორს, ჩანს, ხელში ჩავარდნია შეპანის ხელნაწერი (რომელიც ამ დროს უკვე ჯერის მონასტერში იყო გადატანილი), წაუკითხავს ხელნაწერის ანდერძი, არასწორად ამოუკითხავს უდაბნოს სახელწოდება — შეპანის მაგივრად შპნი (პ-სა და პ-ს გრაფიკული მსგავსების გამო) და ვინაიდნ ეს სახელწოდება მისთვის უცხო იყო და ამ დროისათვის დაკარგულ-დავითყებული, ამიტომ როგორც ამოუკითხავს, ასევე შეცდომით დაუწერია.

დავუბრუნდეთ პირველ საკითხს, თუ როდის უნდა იყოს გადაწერილი შეპანის უდაბნოს ხელნაწერი Jer. 50. თვითონ ხელნაწერი ამის თაობაზე არავითარ ცნობებს არ გვაწვდის, პალეოგრაფიულად კი იგი XI საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს. ხელნაწერის გადაწერის თარიღის დავიწროებაში გვეხმარება Jer. 156 ხელნაწერი, რომელთანაც Jer. 50-ს საერთო მასალა აღმოაჩნდა. ამ ხელნაწერს რთული და საინტერესოს ისტორია აქვს. ის თავდაპირველად შეიცავდა მხოლოდ „მართას ცხოვრებას“, გადაწერილს შავ ანუ საკირველ მთაზე 1040 წელს. შავი მთიდან იგი იერუსალიმში წაულია და ჯერის

¹⁹ ქ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონის ისტორიისათვის, 1962, აღაპ. № 100, და მისი კომენტარი.

ვფერობთ, რომ ხელნაწერ კრებულში არსენს პირველად შეუტანია „ათ-თა კრიტელთა წამება“, რაკე სე საგანგებოდ აღნიშნავს ამ ტექსტის წარმომავლობას. როგორც „პროკონის წამება“, ასევე „ათთა კრიტელთა წამება“ ამავე თანამიმდევრობით შესულია შეპანის ხელნაწერში — Jer. 50²¹. ამიტომ, სა-ფერობელია, რომ ამის გადამწერს ან Jer. 156 ხელნაწერი ჰქონდა ხელთ, ან მისი დედანი. ამიტომ Jer. 50 დაახლოებით ისევე უნდა დათარიღდეს, როგორც Jer. 156, ე. ი. 1065 წლის ახლო დროით.

და ბოლოს უკანასკნელი საკითხი: შეიძლება თუ არა შეპანის უდაბნოს ქართველთა სავანე სკრიტორიუმაზ მიყიჩიოთ ჩეკნმდე მოღწეული ერთად-ერთი ხელნაწერის მიხედვით? ვფიქრობთ, რომ შეიძლება.

ყოველ ეკლესიას, თუ მონასტერს მღვდელმსახურებისათვის ესაკიროებიდა გარეველი რაოდენობა წიგნებისა. აუცილებელი მინიმუმი იყო: სკინაქ-სარი, ახალი და ძველი აღთქმის საკითხავები, უმნი, სადღესასწაულო, კურთხევანი და სხვ. ეს წიგნები (ხელნაშერები) უნდა ჰქონდა გარესამყაროს მოწყვეტილ ქართველთა საგანეს შეპანშიც. ნაწილი იმ ხელნაშერებისა შეპანის მონასტრის კრებულმა, აღბათ, თან ჩამოიტანა, ან თანდათან ჩამოქვრდა უახლოესი დიდი სკიაპტორიუმიდან – ჯრის მონასტრიდან, ხოლო შემდეგ ადგილობრივ ხდებოდა სამონასტრო ბიბლიოთეკის შექსება. ბიბლიოთეკის შექსების მიზნით, ოცანებმ თავს იდგა Jer. 50 ხელნაშერის გადაწერა: „კადნიურ ვიქემენ ამისთვეს, რომელ ახალ შენი და გლახაკი იყო წიგნით ა“. ბიბლიოთეკის გამდიდრების ეს საპატიო მიზანი თხოულობდა კალიგრაფებისა და მწიგნობრების კადრებს, რომლებიც, თუ ვიმსჯელებთ Jer. 50-ის მიხედვით, შეპანის მონასტერში უნდა ყოთლილიყონ.

საინტერესოა ერთი გარემონტაც. ოსანე ჩივის, რომ „შეპანი იყო ახალ-შენი და გლობაზე წიგნითა“. თოქქს მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ ვითარებაში იოანეს ეზრუნა პრაქტიკული დანიშნულების სამღვდელმსახურო წიგნების გადაწყრა-გაზრავლებაზე; სინამდვილეში მისი გადაწყრილი ხელნაწერი აგიოგრაფიული ხასიათის კრებულია, რომელსაც ლიტურგიკული დანიშნულება არა აქვს. ეს არის სულისმარგებელი საკითხავი წიგნი, რომლის ძირითადი ნაწილი უკავია სვიმეონ დევლისა და სვიმეონ ახლის მესვეტეთა, ე. ი. უდიდეს მეუღლებნოეთა და ასკეტთა ცხოვრებებს, რომლებიც, საფიქრებელია, შეპანის უდაბნოს ქართული კრებულის ასკეტურ მიღრეკილებათა შესაბამისად იყო

20 დეკემბერით ამ ხელაშერის შესახებ ის. ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამშენებლობრივი ურთიერთობანაშრომლობის ერთი ფაქტი. აკლ. ნ. ბერძენიშვილისადმი მიღწენილ საცილეო კრებული (იბეჭდება).

²¹ „ათთა კრიტელთა წამება“ იერუსალიმის სხვა ხელნაწერებში არ გვივლება.



შერჩეული. საინტერესოა ისიც, რომ ამავე კრებულში შესულია ჯვრისა და გვირჩევა ნასტერში თონინიდან მიღებული და ე. იქამდე იქ ნაკლებად ცნობილი და გავრცელებული „ათა კრიტელთა წამების“ თარგმანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეპანის კრებულის მწიგნობრები თვალ-ყურს ადევნებლენენ იმ ახალ ლი-ტერატურას, რომელსაც ჯვარი ლებულობდა სხვადასხვა ქართული სკრიპტო-რიტუებიდან და ცდილობდნენ ახალი თარგმანებით შეესოთ შეპანის ღარიბი ბიბლიოთეკა. ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ შეპანში მოღვაწე მწიგნობრები გარკვეული პრინციპით არჩევდნენ მათვეს საჭირო და საინტერესო მა-სალებს. ასეთი გეგმისზომიერი მუშაობა კი უნდა მიუთითებდეს შეპანში სკრიპტორიუმის (აღმათ მცირისა და ახალის) არსებობას, რომელსაც ევალებოდა ამ სამუშაოს განხორციელება და რომელიც აღმათ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯვრის მონასტრის სკრიპტორიუმთან და, შესაძლოა, მის ფილიალსაც კი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ჩეენს განკარგულებაშია შეპანის უდაბნოს მონასტრის მხოლოდ ერთი ხელნაწერი, ვფიქრობთ, რომ ეს ხელნაწერი შემთხვევით მოვლენა არ უნდა იყოს ამ უდაბნოს კოლექტივისათვის. აქ უნდა ყოფილიყო პატარა სკრიპტორიუმი თავისი კალიგრაფებით, მწიგნობრებით, რომელიც ზრუნავდნენ უდაბნოს ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე მათი მოთხოვნილებებისა და გემოვნების შესაბამისად.

ჩვენამდე მოწეული ცნობები რომ შევაჭამოთ, შეპანის უდაბნოს შექმნის ისტორია და იქ ქართველთა მოღვაწეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. შეპანის უდაბნო გაუშენებია გაბრიელ ტფილელს გიორგი-პროხორეს წინამძღვრობის დროს, არა უგვიანეს 1061 წლისა. გაბრიელი შეპანის უდაბნოს მაშენებლად იწოდება XI საუკუნის ხელნაწერთა მოსახსენებლებში და ანდერებში.

2. შეპანის უდაბნოს ქართველთა ძმიბას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯვრის მონასტრის ძმობასთან. გაბრიელ შეპანელს ჯვრის მონასტრის XI საუკუნის ხელნაწერებში, პროხორე ჯვარელის სიკოცელეში, განწესებული აქვს მოსახსენებელი პროხორესა და ჯვრის მონასტრის მოღვაწეთა გვერდით.

3. შეპანის უდაბნოში გაბრიელის მამობის დროს მოღვაწეობდა ოიანე, რომელსაც გადაუწერია Jer. 50 ხელნაწერი უკვე კარგა ხნიერს. ეს ხელნაწერი ოიანე გადაწერა გაბრიელ ტფილელის შრომათა სახყიდლად.

იოვანე ცოდვილი კვალიფიციური გადამწერია, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა. ამ ხელნაწერის გადაწერის დროისათვის შეპანის უდაბნო იყო „ახალშენი და გლახაჟი წიგნითა“. იოანეს მიზანი იყო გაემდიდრებინა „ახალშენი“ წიგნებით.

4. შეპანის კრებულში გაბრიელის და ოიანეს თანამედროვე მოღვაწეა კინგე ბერი (საუკუნარი სახელია), რომლის მოსახსენებელი მთავრულითაა ჩაწერილი ხელნაწერში. შესაძლოა, ბერმა გარკვეული წვლილი შეიტანა Jer. 50 ხელნაწერის შექმნაში.

5. გაბრიელ შეპანელი ჯვრის მონასტრის კრებულში ჯერ კიდევ XII საუკუნის შეორე ნახევარში კარგად არის ცნობილი, როგორც შეპანის უდაბნოს მაშენებლი მოსახსენებელში. XIII ს. დასასრულისათვის შეპანის უდაბნოში ქართველთა საგანის არსებობა უკვე აღარ იყარაუდება. ამ დროისათვის შეპანის ხელნაწერი Jer. 50 უკვე ჯვრის მონასტერშია გადატანილი.



ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ იმის ძიებაზე, თუ სად მდებარეობდა შეპანის უდაბნო, ე. ი. სად არის საძებარი ქართველთა დღემდე უცნობი ეს კუთხით მონასტერი და სკრიპტორიუმი.

შეპანური ხელნაწერის ანდერძის მიხედვით (Jer. 50), შეპანი ყოფილა უდაბნო, უშენი ადგილი, რომელიც გაბრიელ ტფილელს გაუშენებია, რის გამოც მას შეპანელის წოდება მიუღია. პირველ რიგში გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს უდაბნო და ამის მიხედვით, რას უნდა წარმოაღვენდეს შეპანის უდაბნო.

ილ. აბულაძე თავის ძეველი ქართული ენის ლექსიკონში უდაბნო შემდეგნაირად განმარტავს: გაუშენებული, დაუსახლებელი ადგილი, ოჯორი, უტყვიდრო²². ორი უკანასკნელი განმარტება წყაროებიდან არის ამოლებული: „იყო ქუეყანა თქუენი უდაბნო (ოკე ჩი G), M ლევიტ 26,33“. ე. ი. უდაბნო ისმარტება „მცხეთის ბიბლიაში“, ხოლო გელათისაში უდაბნო ს სანაცვლოდ „ოქტია“ დამოწმებული; უდაბნო შეიძლება მილარის ხეობასაც ეწოდებოდეს, ასევე დაუსახლებელსა და უკაცუას: „დაახუედრა ეშმაკმან უდაბნო ს ა ა დ გ ი ს ა, პ ი რ ს ა მ დ ი ნ ა რ ი ს ა ს ა“ (მ. ცხ. 412). მაგრამ, უდაბნოს სხვა სპეციფიური მნიშვნელობაც აქვს, რომელსაც, აგრეთვე, ეხვდებით წერილობით წყაროებში: ეს არის ადგილი, თავისი ბუნებრივი მონაცემებით მეაცრი, მიუვალი, უშენი, მოწყვეტილი გარე სამყაროს, რომელიც ხორცის გვემის მიზნით თავის ადგილსამყოფელად გადაუქცევიათ ასევების. აქ შეიძლება იყოს გაუშენებული ერთი ან რამდენიმე მონასტერი და სენაკები, ხელოვნური ან ბუნებრივი გამოქვაბულები, სადაც მარტომყოფთა ცხოვრებას ეწვევიან ასკეტინი ანუ მეუდაბნოენი. უდაბნო შეიძლება ეწოდებოდეს როგორც მთავრიან ადგილს²³, ასევე, ვაკეს და ხეობასაც. თუ რა სახის ცხოვრება ევალებოდათ უდაბნოში მეუდაბნოეთ, ეს კარგად ჩანს ეგვიპტელ და სიჩიელ ასკეტთა ცხოვრებებში²⁴.

ქართულ წერილობით წყაროებში უდაბნო ეწოდება შიომღვიმის, დავით გარეჯის, ხანძთის სამონასტრო კომპლექსებს. უდაბნო ეწოდება ათონის მთასაც თავისი მრავლრიცხოვნი მონასტრებით.

საქართველოში უდაბურ, ძნელად მისასვლელ ადგილებში მონასტრების, სენაკების შენება და იქ სამონასტრო ცხოვრების განვითარება ქრისტიანული აღმოსავლეთის უკიდურესად ასკეტური მიმართულების გავლენის შედეგი უნდა იყოს. ახასიათებს რა დავით გარეჯის უდაბნოს, გ. ჩუბინაშვილი შენიშვნები: „Давид вдвоем с учеником Лукианом идет далее и в пограничном районе, в пустынных, выжженых солнцем горах Гареджийских, основывает пещерный монастырь. Нет сомнения, что здесь в выборе места сыграло значение общее сходство суровой, безотрадной, выжженной солнцем природы Гареджийского многогорья с местами, где он провел начальные годы подвижничества в Месопотамии“²⁵. „Устанавливается даже специаль-

²² ი. ლ. ა ბ უ ლ ა დ ე. ძვლი ქირთული ენის ლექსიკონი (ზავალები), 1973.

²³ ქაცინი ვინგე მეუდაბნო რომელი მყოფ იყენეს მთასა ზე და ა ის. ილ. აბულაძის ძე. ქართ. ენის ლექსიკონი, გვ. 234, მეუდაბნოები.

²⁴ უნდა მასლის ძლევა ამ საკოთხზე „მამთა ცხოვრება“. აქედან ერთ-ერთი ნიმუში მოტანილია ილ. აბულაძის ლექსიკონში: „განშორებულთა და მეუდაბნოეთა სრულთა უქმენებ ტრრილი და გლოვამ“ (მ. ცხ. 41 v).

²⁵ Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Очерк по истории искусства Грузии, Тб., 1948, стр. 4.

ный, пышный, конечно, условный титул ведавшего иерархически Гареи жийскими пустынями епископа Нинотцминдского, как архимандрита 12-ти пустынь²⁶.

უდაბნო ეწოდება დაუსახლებელ (უდაბურ), ჩვეულებრივ, მთაგორიან ოდგილს გაშენებულ სამნასტრო კოლონიას, რომელიც მოიცავს მონასტერს და ამ მონასტერთან დაკავშირებულ ბუნებრივ თუ ხელოვნურ სენაკებს, სადაც მეუდაბნერი, ანუ ასკეტი ცხოვრობენ. ათონის ერთ-ერთი აღაპის მიხედვით, შიგ მონასტერში მცხოვრებს შინა მყოფი ეწოდება, ხოლო სენაკებში მაცხოვრებლებს — გარე დაყუდებული ნი. ივერის მონასტრის პავლეს განწესებულ ერთ-ერთ აღაპში აშკარად არის გარჩეული ათონის უდაბნოში მცხოვრებ ბერთა ეს ორი კატეგორია: „განუჩინეთ მე, მამამან პავლე, მოძლუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან შინა მყოფთა და გარეთ დაყუდებულთა უდაბნოსათა ყოველთა ერთია სიტყვა...“²⁷.

პალესტინასა და სირიის ტერიტორიაზე მრავლად იყო უდაბური, უწყლო უდაბნოები, სადაც მიდიოდნენ განხოლვებული ცხოვრებისა და ხორცის გვემის მოტრფიალე ასკეტები, რომლებსაც ქართველები მეუდაბნოეს უწყლებენ. უდაბნოები უპირისპირდებოდნენ ხალხმრავალ, დიდ სამონასტრო ცენტრებს და აღმოსავლური მკაცრი ასკეტიზმის ტიპიურ კერებს წარმოადგენდნენ.

პეტრე იბერმა აშენა „სახლი სასტუმრო“ შიგ იერუსალიმში, „რათა განუსვენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“, თვითონ კი სულ უდაბნოსაკენ ჰქონდა თვალი: „მერმე წარვიდეს უდაბნოდ და შეერიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისათვისათვისათვის...“²⁸. ამ მონასტერთან, ანასტრისი პატრიარქის მოთხოვნით, აშენდა ეკლესიაც და ეწოდა მას ქართველთა მონასტერი.

ამის შემდეგ პეტრე კვლავ მიემართება უკვე სხვა უდაბნოში: „იორდა ან ეს პირსა, ადგილსა უდაბნოსა და იშენეს მონასტერი“. პეტრეს ცხოვრების ავტორი გვამცნობს, რომ „უდაბნოს მოყვარე იყო წმიდას ეს, და მრავალჯერ წარვიდის მარტოს უდაბნოდ, რათა მხოლოდ მხოლო ზრახვიდის...“²⁹. მეუდაბნოეთა ცხოვრებისადმი სიყვარულმა ის ეგვიპტის ასკეტებთანაც მიიყვანა: „პეტრე და მოწაფენი მისნი და იოანეცა ნეტარი წარვიდა ეგვიპტედ, სანახებთა სკიტისათა. მოპელიდეს და მოილოცვიდეს წმიდათა მამათა უდაბნოსათა და სურვიელ იქმნეს უდაბნოსა მას და გამოარჩიეს ეს ადგილი და აღაშენეს ეკლესიამ...“³⁰.

ასევე უდაბნოს ჩშირი სტუმარი იყო პროხორე ჭვრის მონასტრის აშენებამდეც და აშენების შემდეგაც. იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ ის დამკვიდრდა საბას მონასტერში და დაპყო „მას შინა წელი მრავალნი, ოდესმე

²⁶ იქვე, გვ. 4.

²⁷ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით. თბილისი, 1901, აღაპი № 155, გვ. 261.

²⁸ ქველი ქართული ლიტერატურის ქრესტონოთა, I, გვ. 260.

²⁹ იქვე, გვ. 263.

³⁰ იქვე, გვ. 262.

უ დაბნოს წარვიდის და იღუშინ ლოცვითა და მარხვითა, რამეთუ იყო
დიდად მოლვაშვი, და ოდესმე ლავრასა არნავი.

ჯვრის აშენების შემდგომაც, მას შემდეგ, რაც პროხორემ განუჩინა ჯვარს
„შესი და კანონ მონასტრისამ, მსგავსადცე წმიდისა საბაძს ლავრისა, და კუ-
ალად ალაშენა იერუსალემს ქსენადუქი ვრცელი და შუენიერი, და ვითარ
სარულ ყო ეს ყოველი შეწევნითა ღმრთისამთა, მეტე მოუძლურდა... და ამი-
სა შემდგომად წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს³¹. ეს უნდა მომხდარიყო
1061 წლის შემდეგ.

ამრიგად, შეპანის უდაბნოც, საფიქრებელია, მიუვალი, დაუსახლებელი
და მთავრობიანი ადგილი ყოფილიყო.

ქართული შეპანი არაბული შეიხან შეიხან-ის ან ქართული შესატყვისია.
არაბული ტოპონიმია. ეს ტოპონიმი გვხვდება როგორც ლიბა-
ნის ტერიტორიაზე, ასევე პალესტინაშიც — ტრანსიორდანიაში.

ცნობებს ლიბანის შიპანის შესახებ გვაწვდის ერნესტი რენანი თავის ცნო-
ბილ ნაშრომში Mission de Phénicie, რომელიც მიეძღვნა 1867 წელს ფრანგე-
ბის მიერ მოწყობილ ექსპედიციას ფინანსიში.

ლიბანი შიპანი (შეიχან) მდებარეობს მთიან მასივში, სოფელ ამშიტ-
იან (Amschit), რომელიც ძეველი ბიბლიური ქალაქის ბიბლოსის (დღეს
ქვებელის) მიდამოებშია. ეს მთიანი მასივი ლიბანის მთების გაგრძელე-
ბას წარმოადგენს და ხმელთაშუა ზღვის „სანაპირო მთიან“ ზონას³² ქმნის. ერნესტ რენანის ცნობით, „მდინარე ჰალაურის შესართავიდან თუ აპ-
ყვებით ბილიქს „სანაპირო ლიბანის“ პლატონსაკენ, მახვალთ ერთ მწვერვალ-
თან, რომელიც სამარხებითაა დაფარული. გზას თუ გაჟყვებით, შეხვდებით
სოფელ უიბელს, სადაც ავრეთვე, სამარხები და საწანახელებია კლდეში. იქ-
ვეა სოფელი შიპანი (შეიχან), ამ სოფელში არის მართლმადიდებლური ეპ-
ლესია, საკმაოდ დახვეწილი დორიული კაბიტელებით. კარიბჭეზე წარწერის
ფრაგმენტია, რომელიც სირიულს ჰგავს. ვარაუდობენ, რომ იქ იყო ბერძნუ-
ლი წარწერა, მაგრამ შეცდომათ — წერს რენანი³³.

შეიძლება თუ არა ლიბანის შიპანი მივიჩნიოთ გაბრიელის გაშენებულ
შეპანის უდაბნოდ?

ბიბლიური ქალაქი ბიბლოსი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში-
ვე გადაიტაცა ნამდვილ „წმიდა ქალაქად“, სადაც ყოველის მხრიდან მიდიოდ-
ნენ პილოგრიმები³⁴. ამდენად, სანაპირო ლიბანის მთების ამ უბანში სავებით
შეიძლება ვივარაულოთ სამონასტრო კოლონიები, რასაც მრავალრიცხვანი
სამარხების არსებობაც მოწმობს. ჩვენთვის საინტერესო ლიბანის შიპანი კი
სოფელია, საკუთარი სირიული ეკლესიით. რა თქმა უნდა, არ არის გამორი-
ცხული XI საუკუნეში ქართული სამონასტრო კოლონის არსებობა ლიბანის
სანაპირო მხარეში, და, კერძოდ, შიპანშიც, მაგრამ, ქართული წყაროების მი-
ხედვით, გაბრიელის გაშენებული შეპანი უდაბნო იყო, ე. ი. დაუსახლებელი

³¹ იქვე, გვ. 215.

³² იქვე.

³³ Mission de Phénicie, dirigée par M. Ernest Renan. Membre de l'Institut. Paris, MDCCCLXVII. pp. 239—240.

³⁴ იქვე, გვ. 219.



აღგილი. გარდა ამისა, შეპანის უდაბნო, მისი სიახლოებისა და კონტაქტების გადაცემისათვის მონასტერთან, ვფიქრობთ, უფრო პალესტინაშია საძებარი.

პალესტინის შიპანი მდებარეობს ტრანსიორდანიაში. ფიშერისა და გუტეს შედგენილ პალესტინის რუკაზე, რომელიც დღეს ცველაზე სანდოდ არის მიწერული, შიპანი არის მთა სოფელ სიხანთან, მდინარე არნონის ხეობის მახლობლად (იხ. რუკა); ეს ის არნონია, რომლის ხეობასაც შეაფარა თავი და თავის ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა კორგი-პროსორებმ. მთა დიდად არ უნდა იყოს დაცილებული მდინარის ნაპირს (არაუმეტეს 5 კილომეტრისა მასტრაბის მიხედვით). მდინარე არნონის შესახებ ერთ-ერთ საცნობარში ვკითხულობთ: „Истоки ее находятся в восточной пустыне, недалеко от „дороги пилигримов“. Протекая дикую долину между высокими скалистыми берегами, принимает в себя ручьи: Санде, Салихе и Вале. По выходе из гор, впадает в Мертвое море, образуя небольшую дельту“.

არნონი მდინარის ბიბლიური სახელწოდებაა. ის მიგნა იყო მთაბელთა და ომორეველთა ქუეყნებისა. ებრაელებმა გადალახეს არნონის მდინარე, რათა დაცუროთ ამორეველთა ქუეყანა. მთაბელთა ქუეყანა კი, ბიბლიური გადმოცემებით, ლოტიან იყო დაკავშირებული. ამ არეგარეს შეაფარა თავი, გადმოცემით, ლოტიმ იმის შემდეგ, რაც ის, მისი ცოლი და ორი ასული ანგელოზებმა გაიყვანეს სოდომიდან ამ ქალების ლვთის ჩისხით დაქცევის წინ. გზაში ლოტის ცოლი ქვის ქანდაკებად იქცა ლმრთის ცნების დარღვევისათვის, ხოლო ლოტი და მისი ორი ასული მივიღნენ ქალაქ სეგორში. აქედან კი „აღვიდა ლოტ სეგორით და დაჯდა მთასა ზედა და ორნი ასული მისნი მის თანა, რამეთუ შეეშინა სეგორს შინა დაკვირებაა“ (დაბადება, 19, 30)³⁵.

მთაბელთა მოდგმაც ლოტს უკავშირდება, ვინაიდან ლოტის უფროსი ქალიშვილის ძეს მოაბ ეწოდა. მთაბმა მისცა სათავე მთაბელებს.

შეპანი, ანუ შიპანი (Shihan), რომელიც ქართველებს აურჩევიათ თავის საყანედ, ჩანს, მთაბელთა ხალხის ისტორიასთან ოდითვანევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული. 1851 წელს ამ მთაზე აღმოჩინეს ერთი სტელა, რომელიც III ათასეულის დასასრულით თარიღდება (ამჟამად დაცულია ლუვრში).

მთაბელთა მიწაზე ბოლო დრომდე მიკვლეულია სულ 3 სტელა, აქედან ერთი — შეპანის მთაზე (იხ. Grand Larousse encyclopédique en dix volumes. 1963. t. VII, p. 409).

ხომ არ იყო შეპანის უდაბნო და არნონი დაკავშირებული ასვერ ლოტის სახელთან და გადმოცემებთან ლოტის შესახებ? ხომ არ არის შეპანი ის მთა, საღაც გამოქვაბულში შეაფარეს თავი ლოტმა და მისმა ქალიშვილებმა? რამე გარკვეულის თქმა ამის თაობაზე ძნელია, ვინაიდან ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა სახელი იმალება ამ მთის არაბული სახელის — შიპანის ქვეშ. ამ სახელწოდების ეტიმოლოგიაც არაფერს იძლევა.

ლოტის შესახებ ბიბლიურ გადმოცემებში სიგორი (სეგორი) შეიძლება იყოს ორიენტირი, რომლის მახლობელ მთაზე წავიდა სიგორიდან ლოტი თავისი ქალიშვილებით გამოქვაბულში საცხოვრებლად. მაგრამ, სიგორი დღეს არ არსებობს. ის არ არის შეტანილი არც ჩვენთვის ცნობილ პალესტინის ახალ

³⁵ წიგნინ ძუელის ალტერნატივური, ნაკვეთი 1, გამოსცა აკადემიური, თბ., 1947.



რუკებზე. მაგრამ ის დატანილია სამარშრუტო რუკაზე, რომელიც დაურჩეული იყო კომისალოვსკიმ მის მიერ გამოცემულ IV საუკუნის მოგზაურის მემუარების ტექსტს³⁶. სიგორი აქ არნონის მდინარის მარჯვენა ნაპირზეა მოთავსებული. რამდენად ზუსტია ამ ადგილის ლოკალიზაცია, ძნელი სათქმელია, ვინაიდან სიგორი ეკუთვნის სოდომის ხუთქალაქეულს (Пятиградие Содомское—Пентаполис), რომელთა ლოკალიზაცია დღესაც ვერ ხერხდება³⁷. ერთი მაინც ფაქტია, რომ სიგორი შიხანისაგან დიდად არ ყოფილა დაშორებული. შიხანი კი მდებარეობს არნონის უდაბნოსთან, ე. ი. მოაბელთა მიწაზე, რომელიც გადმოცემით, ლოტთან არის დაკავშირებული.

ჩვენი ჩრდილი, რომ გაბრიელი ტფილელის გაშენებული შეპანის უდაბნო სწორედ ტრანსიორდანის შიპანს უნდა გულისხმობდეს, იმანაც განამტკიცია, რომ იგი არნონის უდაბნოს მეზობლად აღმოჩნდა, არნონი კი, როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, ქართველებისათვის აღრევე ყოფილა ცნობილი.

*
* *

ზიბლიური ადგილების დაღვენა და მათი იდენტიფიკაცია თანამედროვე არაბულ სახელწოდებებთან მეტად რთულია. ამის თაობაზე ნ. მედნიკოვი წერს: „Отождествление современных местностей с библейскими при настоящем положении палестинологии далеко не доведено до желаемой полноты и для большей половины библейских местностей, современное отождествление их приходится сопровождать вопросительным знаком“³⁸.

ზეორე მხრით, ამ მთის არაბული სახელწოდება შიხან IX—X საუკუნეებში ჩანს არაბულ ისტორიულ წყაროებსა და გეოგრაფიულ საცნობაროებში. მაგრამ ეს ცნობებიც ყოველთვის არ ეთანხმება ერთმანეთს.

განვიხილოთ ეს ცნობები³⁹. میخان شیخان-ის შესახებ XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი იაჟუთი (+1229) წერს: „Сейхан селение в округе Меаба, в ал-Белкâ. Говорят, что там, на горе, находится могила Мусы (Моисея), сына Имрана“⁴⁰.

³⁶ Паломничество по святым местам конца IV века, изданное, переведение и объясненное И. В. Памяловским. ППС, т. VII, вып. III, 1889, стр. 172. ამ მოგზაური ქალის პიროვნება და სახელი საბოლოოდ დადგენილი არ არის. მისი მოგზაურობის რუსული თარგმანის შემსრულებელ-გამოცემებით ი. ვ. პომილოვსკი მას სილვანად (მრეცემ რუსულის და) მიიჩნევს. ეკვივულ გამოცემა-გამოკლევებში მას Egéri // Elhériá-ს უწოდებენ. ესარგებლობდა რა „მოგზაურობის“ რუსული თარგმანთ, ჩვენ მოგზაურ ქალს პირობითად სილვანას ცერტოდებთ.


³⁷ იქვე, გვ. 223.

³⁸ Карта Палестины, обработанная И. Фишером и Г. Гуте, издание Императорского Православного Палестинского Общества. Азбучный указатель собственных имен. Н. Медниковъ წინასიტყვაობა, გვ. VI.

³⁹ არაბული წყაროებისათვის ესარგებლობთ ნ. მედნიკოვის წიგნით: Палестина от завоевания ея арабами до крестовых походов по арабским источникам, ППС, т. XVII, вып. II, (1), вып. II (2), вып. II (3), вып. II (4).

⁴⁰ И. А. Медников, ППС, 11 (3), стр. 1051. ცნობა, რომ შიხანი იაჟუთის გეოგრაფიაშია დადასტურებული, პირველად მოგაწოდა პატიცემულმა მედლევარმა M. van Eshbroeck-მა, რისთვისაც უღრმეს მაღლობას მოკავშირებთ.

აქ იაკუთი სოფელ სეიხანს ეხება, რომლის მახლობლადაც ყოფილა მთა, სადაც, გადმოცემით, მოსეს საფლავი არის. მეორე ადგილას იგივე იაკუთი საკუთრივ ამ მთაზე ლაპარაკობს: „Шейхан—гора, господствующая над всеми горами, окружающими ал-Кудс (Иерусалим). Эта та самая гора, с верхушки которой Моисей взглянул на Иерусалим, счел его ничтожным и сказал; „О боже и это твой Кудс (твоя святыня)? И послышался голос: во истину ты никогда не войдешь в него! и он умер, не войдя в него“⁴¹



სოფელი სეიხანი და მთა შეიხანი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფიშერისა და გუტეს პალესტინის რუკაზე ერთმანეთის გვერდით, არნონის მდინარის სამხრეთით მდებარეობენ (იხ. რუკა). ამრიგად, მათი მდებარეობა საკეპით გარკეულია⁴², მაგრამ იაყუთის ცნობებში ამ მთასთან დაკავშირებულია ისეთი გაღმოცემები (მოსეს ამ მთაზე ასვლა, იქიდან ქანანის მიწისა და იერუსალიმის (ოლ-კუდსის) დანახვა, იქვე მოსეს გარდაცვალება, და ბოლოს გაღმოცემა, რომ იქ არის მოსეს საფლავი), რომელებიც ბიბლიური გაღმოცემებით დაკავშირებულნი არიან არა შეიხანთან, არამედ ნებოს მთასთან (ქართული ბიბლიის მიხედვით — ნაბას ან ნაბაგის მთა). ნებოს მთა კი მდებარეობს

⁴¹ И. А. Медников, ППС. II (3), стр. 1053.

42 1972 ජුලි "The Times Atlas of the World"-ට මෙරදනකින් උප්‍යාකී යා ප්‍රේන්තිල් දා-
රානිලි අර රෝස (සං. plate 35, Israel, Jordan).



შეკვდარი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იერიქოს გასწვრივ და იორდანების შესართავიდან 19 კილომეტრითათვის დაცილებული (იხ. რუკა).

„მეორე სჯულის“ წიგნში ნებოს შესახებ კითხულობთ: „და აღვდა მოსე არაბთად მობით მთასა მას ზედა ნაბაის, თხემსა ზედა ფაზგასა, რომელ არს პირისპირ იერიქოსა, და უჩუენა მას უფალმან ყოველი იგი ქუშყანა გალადისა, ვიდრე დანამდე, და ყოველი იგი ქუშყანა ნეფთალემისა და ეფრემისა და მანასესი, და ყოველი იგი ქუშყანა იუდაისი, ვიდრე დასასრულამდე ზღვსა, და ყოველი იგი უდაბნო, და ყოველი იგი გარემოს სოფლები, რომელი იყო ველთა შათ იერიქოსთა, ქალაქები იგი დანაკის-კუდოვანი, ვიდრე ს ე გო რა მ-დ ე. და ჰრეუა უფალმან მოსეს: ესე არს ქუშყანა იგი, რომლისათვეს ვ ე ფ-ც ა ბრაპამს, ისააქს და იაკობსა, და ვარქუ, ვითარმედ: ნათესავსა შენსა მიეს-ცე ეგვ-რა გიჩუშნე შენ და თუალთა შენთა იხილეს, ხოლო ვერ შეხედე შენ მუნ და მოკუდა მუნ მოსე, მონა იგი უფლისა, ქუშყანას მას მო-აბისასა სიტყვათა უფლისათა. და და ჰ ფ ლ ე ს ი გ ი ქ უ ე ც ყ ა ნ ა ს ა მ თ ა-ბ ი ს ა ს ა, მახლობელად სახლსა მას ფოგორისასა და არაეინ იცის საფლავი იგი მისი მოდლენდელად დღემდე“ (მეორე შჯულისა, თ. ლდ. 1—8)⁴³.

მეორე სჯულისას სხვა თავში იგივე ეპიზოდია გადმოცემული: „და ეტ-ყოდა უფალი მოსეს მას დღესა შინა, და ჰრეუა: აღვედ შენ მთასა მას აბა-რიმსა, რამეთუ იგი თვთ არს ნაბავი, ქუშყანასა მას მოაბისასა, რომელ არს პირისპირ იერიქოსა, და იხილე ქუშყანა იგი ქინანისა, რომელ-იგი მიისცე მე ძეთა ისხაელისათა სამკვდრებელად, და მ ო კ უ ე დ მ თ ა ს ა მ ა ს ზ ე დ ა, რომელსაცა აღწვდე მუნ, და შეეძინე ერსა მას შენსა, ვითარცა იგი არონ, ძმა შენი მოკუდა ორსა მთასა ზედა, შეეძნა მას თვსსა“ (ლდ. 50—52).

ამ გაღმოცემის მიხედვით მოსე გარდაიცვალა ნებოს მთაზე, მაგრამ დაუ-ლეს იგი „ქუშყანასა მოაბისასა... და არაეინ იცის საფლავი იგი მისი“.

ამ ლეგენდამ, როგორც ჩანს, შემდგომში განვითარება განიცადა. IV სუ-კუნის ცნობილმა მოგზაურმა ქალმა სილვიამ, რომელმაც განიზრახა წმიდა ალგილების მოხილვა, ნებოს მთის მიდამოებიც დაიარა და ბოლოს ნებოს მთა-ზეც ავიდა: „...Я возъимела желание отправиться в Аравию, к горе Навав, в ту местность, куда Бог повелел взойти Моисею, говоря ему: „Взыди на гору Аварим, сия гора Навав, яже есть в земле Моавли, прямо Иерихону, и видь землю Ханааню, юже аз даю сыном Израилевым во обдержание: и скончайся тамо на горе, на ниюже восходиши“⁴⁴.

ნებოს მთის წვერზე მოგზაურს პატარა ეკლესია უნახავს: „В этой церкви, на том месте, где находится амвон, я увидела небольшое возвышение такой величины, какую имеют обыкновенно надгробия. Тогда я спросила святых мужей, что это такое, и они ответили: здесь положен ангелами святой Моисей, ибо как писано, не уведа никто же погребения его; так как известно, что он погребен ангелами. И могила его, где он погребен, и до днес не указывается: а как нам была здесь указана нашими предшественниками, которые жили здесь, так и мы вам указываем; а эти предшественники говорили, что так им сообщили их предшественники⁴⁵“.

⁴³ დაბადება (ბიბლია), ნაწილი პირველი, ტფილისი, 1884, გვ. 434.

⁴⁴ Паломничество по святым местам конца IV века, Изд. И. В. Помяловского, ППС, т. VII, вып. II. 1889, стр. 117.

⁴⁵ იქვე, 83. 120.

როგორც ვხედავთ, უკვე IV საუკუნის მიწურულში მოგზაურ სილვანები წერებულია გადმოცემის ბოლოს მთაზე მოსუსტია მოსეზე გაღმოცემა, რომელიც ბიბლიური გადმოცემის ახალ ვარიანტს წარმოადგენს და რომლის მიხედვით ეკლესიაში მიუთითებენ ამბიონზე, სადაც დაუსვენებიათ ანგელოზებს გარდაცვლილი მოსე. მაგრამ მოსეს საფლავზე აქ არავითარი მითოთება არ არის, ვინაიდან ის დაასაფლავეს ანგელოზებმა და ადგილი დაკრძალვისა ცნობილი არ არის.

უფრო ვგიან იმავე გაღმოცემის განსხვავებულ ვარიანტს ვხვდებით პეტრე იძერიელის ცხოვრების როგორც ქართულ, ასევე სირიულ რედაქციებში. ნებოს მთაზე პეტრე ორჯერ ასულა. მეორედ ასვლისას მან იქ ნახა ერთი ბერი, რომელმაც პეტრეს უამბო შემდეგი: „პირველ მოსლვისა ჩემისა ადგილსა ამას, ვიხილე ქუაბი ერთი და შევედ შინა. და ვითარცა შევედ, ვიხილე გარდაცვალებული ბერი ვინჩე შეუნიერი და პირი მისი ნათობდა, ვითარცა მზე. და ვიხილე რა იგი, ამზორს უყავ პირსა მისსა შმიდასა შიშით და სიხარულით და დავისწავლე ადგილი იგი და წარვედ და მიუთხარ კაცთა ღმრთის-მოყუარეთა, და ვითარცა მოვედით, არღარა ვიხილეთ შმიდაა იგი. ხოლო სასწაული რამე ჩნდა-ღა, და ალვაშენეთ ეკლესიად ადგილსა მას. ამისა შემდგომად ვევედრენით ღმერთსა, რათა გმოგვცხადოს, თუ ვინ იყო შმიდაა იგი ბერი, და მეუწყა ღმრთისა მიერ ვითარმედ: «მოსე იყო ბერი იგი, დიდი წინასწარმეტყუელთა შორის»⁴⁶.

პეტრეს ცხოვრების სირიულ რედაქციაში ნებოს მწვერვალზე პატარა ეკლესის ისტორია სულ სხვაგვარად არის გაღმოცემული.

ამ ისტორიას, ისევე როგორც თავის თრივე მგზავრობას ნებოზე, პეტრე ქართველი პირველი პირით მოუთხრობს თავის მხლებლებს: „ჩენ გვითხრობდნენ ბერები, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ მთაზე (ნებოზე), რომ ისინ, ვინც აშენებდნენ ამ ეკლესიას, დარწმუნებული იყვნენ, რომ გვამი მოსესი მოთავსებული იყო ამ ადგილს, სადაც ტაძარია აგბული“. ამას მოსლებს ლეგენდა მწყემსი ბიჭის შესახებ, რომელიც ნებოს მთაზე წააწყდა გამოქვაბულს, სადაც მან ნახა მოსე, ლვთაებრივი მაღლით განათებული, სარეცელზე მჯდომი... და სხვა. ამ ადგილს, მწყემსის მითითებით, სოფელ ნებოს მცხოვრებმა ააგვს ტაძარი⁴⁷. ამ ლეგენდას შორეული მსგავსება აქვს იმ ამბავთან, რომელიც გადმოცემულია ნებოს ეკლესიასთან დაკავშირებით პეტრეს ცხოვრების მაკარი მესხის რედაქციაში⁴⁸.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ უკვე V საუკუნეში შემუშავებულია ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ბიბლიური ცნობების საპირისისიროდ, ეკლესია ნებოს მთაზე⁴⁹ აღმართულია მოსეს საფლავის ადგილას.

⁴⁶ „ცხორებად და მოქალაქობად შმიდისა და ნეტარისა მამისა ჩურენისა ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა შეფისაც“, ძელი ქართული ლიტერატურის ქრესტიანობით, I, 1964, გვ. 267. ეს ეპიზოდი მოთხრობილია პეტრეს მიერ პირველი პირით.

⁴⁷ Raabe, Petrus der Iberer, 1895, p. 88. ესაზე მონაბეჭდით ამ ეპიზოდის ფრანგული თარგმანით. იხ. Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie par Cobrol Fernand, 1935, ტ. 12, გვ. 1065—1066.

⁴⁸ აქ სხვობა იმდენად დიდია, რომ არატრით არ შეიძლება ამ რედაქციებს ერთი საერთო წყარო ჰქონდეთ საფლავლად.

⁴⁹ ნებოს თხემი და მის მისასელებლები ჯერ კიდევ IV საუკუნეში (სილვას მოგზაურობის დროს, მასზე აღრეც და შემღერია) მოუდგრინდა იყო პილიგრიმითა სამყოფლებით. პეტრე იძერიელის დროსაც ნებოს მთაზე ცხოვრობდნენ მარტომყოფი ბერები. V საუკუნის მიწურული-სათვის აქ უკვე აშენებულია ბაზილიკა სამონასტრო ნაგებობებით. ამ მთის შესწავლა გასული სულის 60-იან წლებში დაწყო, ხოლო 1933—39 წლებში მას თხრიდნენ და სწავლობდნენ.

როგორც ვნახეთ, IV საუკუნის მიწურულისათვის, ე. ი. სილვიას მოგზაურობის ბის დროისათვის, ეს ლეგენდა ამ სახით ჩამოყალიბდებული ჯერ კიდევ არ იყო და მოსეს ისტორია ბიძლიური გადმოცემის ფარგლებს არ სცილდებოდა იმ ეპოქის პილიგრიმთა წარმოდგენაში. სილვიამ ნებოს მთაზე ნახა ამბობნი, სა-დაც, აღვილობრივი გადმოცემით, ანგელოზებმა დასვენეს გარდაცვლილი მო-სე. მაგრამ ეს აღვილი საფლავის აღგილად არ იყო მიჩნეული, ვინაიდან ბიბ-ლით თუ სად დამარხეს მოსე, ცნობილი არ იყო.

ლეგენდა, ეტყობა, თავისი განვითარების შემდგომი გზაც განვლო და თავისი ასახვა ჰქონა არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფიკოსთა ზემოგანხილულ ცნობებშიც. მაგრამ გადმოცემა მოსეს საფლავის შესახებ, რომელიც ცველა მონაცემით ნებოს მთასთან არის დაკავშირებული, იაკუთის გაუკრცელებია თუ გადაუტანია ტრანსიორდანის მეორე მაღალ მთაზე შეიხანზე, რომელიც სინამდვილეში არავითარ კავშირში არ არის მოსეს შესახებ გადმოცემებთან.

შეიხანის ლოკალიზაცია იმავე იაკუთან საგებით გარკვეულია, ამიტომ ამ მთის აღრევა ნებოსთან არაფრით არ შეიძლება; მეორე მხრით, ვინაიდან გადმოცემა მოსეს საფლავის აღგილის შესახებ გარკვევით ნებოს მთასთან არის დაკავშირებული, ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ იაკუთი შეცდომით მიაწერს ნებოს მთასთან დაკავშირებულ ლეგენდას შეიხანის მთას. მართალია, ორივე მაღალი მწვერვალი მოაბელთა ქვეყანშია, ორივე მკვდარი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირთან მდებარეობს⁵⁰, მაგრამ ეს ორი მთა ერთმანეთისაგან საკმაო მანძილითა დაცილებული. ერთი — ნებო — მკვდარი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთითა, მეორე კი — მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით. სხვათა შორის, ამ შეცდომას აღარ იმეორებს მეორე არაბი ისტორიკოსი აბულ ფიდა (+1331); ის წერს: „Меаб, а это—ар Рабба... в З-м климате в ал-Белка. Автор Азизийской книги говорит: Меаб и город Азрух—главные города Джебеля и аш Шерата. Меаб город древний, первобытный, он пришел в упадок и превратился в селение, которое называется ар-Рабба, оно зависит от ал-Керака и отстоит от него меньше, чем на пол перехода, со стороны севера... близь ар-Раббы есть чрезвычайно высокий холм, видно издали и называется Шейханом. Меаб, как известно, упоминается в истории израильян. Автор Азизийской книги говорит: отсюда до Аммана, по дороге через Муджиб⁵¹—48 миль“⁵².

ნენ ფრანსისის ანგლიურ ბერები. ამ დიდი და ხანგრძლივი შრომის შედეგი გამოქვეყნდა 2 წიგნა: The Memorial of Moses on Mount Nebo. Part I. The text. Part II. The Plates, by Sylvester I. Saller. O. F. M. Printed by the Franciscan Press. Jerusalem, 1941. ეს წიგნები გამოვიდებულია პროფ. ვ. ჭაბაძის, რისოფილაც მაღლობას მოიხსენებთ.

50 ნებოს მთის მწვერვალიდან ჩანს შეიხანის მიდამოები, სოდომელთა მიწა. სილვა, ზემოთ მთხვენებულ მოგზაურობაში წერს: „С левой стороны (небо) мтис კელესის — ე. ბ.) мы выдели все земли содомитян, также и Сигор. Этот Сигор—один из пяти городов, существует телерь“, ის. სილვა მოგზაურობის დასახ. გამოცემა, ვ. 121.

51 მუჯიბ — მდინარე არანნის არაბული სახელწოდება.

52 Н. А. Медникова, ППС, 11(3), стр. 1149, ნ. ა. მედინოვს აბულ ფადას ცნობები სანდოდ მიაჩნია, ვინაიდან ეს უკანასკნელი, სხვა წყაროებთან ერთად, სარგებლობს X საუკუნის ავტორის აღ მუხალაბის „აზიზის წიგნით“.

აბულ ფიდა ოღარაფერს ამონბს იმის შესახებ, რომ შეიხანის მთაზე მართველი ხია წინასწარმეტყველი.

ამრიგად, ფიშერ-გურეს პალესტინის რუკისა და X—XIV სს. არაბული წყაროების მიხედვით შეიხანი პალესტინაში ერთია: ტრანსიორდანიაში, მთაბელთა მიწაზე (ქუეყანაში), მდინარე არნონის ხეობისა თუ უდაბნოს მიდამოებში, მკვდარი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთით. უფიქრობთ, რომ აյ არის საძებარი გაბრიელ შეპანელის მიერ გაშენებული უდაბნო, ქართული კულტურის დღემდე უცნობი კიდევ ერთი კერა⁵³. ამ ჩვენს ვარაუდს, როგორც ზემოთაც ითქვა, ამაგრებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — შეპანის უდაბნო არნონის უდაბნოს ან ესაზღვრება, ან მისი ნაწილი.

სავსებით შესაძლებელია, რომ პროხორე ცვარელი არნონის უდაბნოში ცწორედ შეპანის ქართული ახალშენისაკენ გაემართა, რათა ცხოვრების უკანასკნელი წლები ხალხმრავალ აღილებისაგან მოშორებით, „ლოცვასა და მარხვაში“ გაეტარებინა. შეპანში მას ეგულებოდა მისთვის კარგად ცნობილი და ჯვარის კრებულში დიდად პატივუებული გაბრიელი შეპანელი, რომელიც ჯვარში გადწყრილ ხელნაშერებში პროხორესთან ერთად მოიხსენება, როგორც შეპანის მაშენებელი.

პროხორე ჯვარელის სვინაქსარული ცხოვრება მეტად მოკლეა და პროხორეს ცხოვრების სურათს ძალზე სქემატურად გადმოსცემს, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება მისი გარდაცვალების უმაღვე მის მოწაფეს უნდა დაეწერა სწორედ არნონის უდაბნოში ყოფნის დროს⁵⁴. ცხოვრების სქემატურობა და სიმკლე განსაზღვრა მისმა სვინაქსარულმა ხასიათმა. ცხოვრებაში არ არის მითითებული ზოგი ისეთი ფაქტი, რომელიც დამოწმებულია პროხორეს მიერ შედგენილ ხელნაშერების ანდერძებში. ასე მაგ., სვინაქსარულ ცხოვრებაში არაფერია ნათქვაში პროხორეს მშობლებზე, ხოლო ჯვრის მონასტრის № 145 ხელნაშერის (ა. ცაგარელის კატალოგით, ნ. მარის კატალოგით — „ფრაგმენტები“)⁵⁵ ანდერძი კი ასახელებს პროხორეს მშობლებს — იოანესა და რიანუშის, და პროხორეს მოძღვარს იოანე სინელს. ამიტომ, უფიქრობთ, რომ პროხორეს სვინაქსარულ ცხოვრებაში პროხორეს უკანასკნელი წლების აღილებამყოფელი ზოგადიდ არის მითითებული — არნონის უდაბნო, კონკრეტულდ და უფრო ზუსტად კი ეს უნდა ყოფილიყო არნონის უდაბნოს გარევეული გეოგრაფიული პუნქტი შე პანის უ და ბ ნ ი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიყრაუდოთ, რომ XI საუკუნის 60-იან წლებში არნონის უდაბნოში ქართველთა ორი საეპი უნდა ყოფილიყო; ერთი — შეპანის უდაბნო, გაშენებული, როგორც ჩანს, პროხორეს შემწევიბითა და, შეიძლება, მითითებითაც გაბრიელ ტფილელის მიერ, ხოლო მეორე, იქვე მახლობლად, სადაც პროხორემ, თავის ორ მოწაფესთან ერთად, ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა.

ე.ი. აე ან ერთი და იგივე უდაბნო იგულისხმება, ან ორი ერთმანეთის მახლობლად მდებარე უდაბნო-სავარე. ჩვენ პირველი ვარაული უფრო რეალურად გვეჩვენა. ამას მხარს უჭერს ზემოთ განხილული ხელნაშერების ცნობები, რომ-

⁵³ სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არნონის ხეობა და შეპანის უდაბნო დღემდე არქეოლოგთა და მეცნიერთა ყურდაღების გარშემო დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არაფერია ცნობილი ამის შესახებ.

⁵⁴ ე. მეტ რეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 31.

⁵⁵ ნ. მ. რ. ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაშერთა მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 85—86.

ლებიც მოწმობენ პროხორეს და ჭვრის კურებულსა და გაბრიელ ტფილელ-შე-
ჰანელის დიდ ახლობლობასა და თანამშრომლობას, რამაც, აღბათ, გადაუყვე-
რინა პროხორეს წასვლა არნონის უდაბნოში იმის შემდეგ, რაც მან ჭვრის მა-
მობა თავს მოწაფეს გიორგის გადაულოცა.

ასე თუ ის, ერთი საცხებით უეჭველია, რომ გაბრიელ ტფილელმა და
პროხორე ჭვარელმა, დაახლოებით, ერთსა და იმავე ძროს (გაბრიელმა ცოტა
უფრო აღრე, ვინემ პროხორემ) მიატოვეს ჭვრის მონასტერი, გადალახეს იორ-
დანე, გადავიდნენ ტრანსიორდანიაში და განხოლობული ისკეტური ცხოვრე-
ბისათვის აირჩიეს მეტად მეტად ადგილი — არნონის უდაბნო, სადაც შეპანის
მიდანობებში გაბრიელმა გაშენა უდაბნო და შექმნა ქართველთა ძმობის ახალი
სავანე. შეპანის უდაბნო შეიძლება ყოფილიყო როგორც შეპანის მთის ფერ-
ლობებზე, ასევე ამ მთის ძირში, ვინაიდნ, როგორც ზემოთ დავინახეთ, უდაბ-
ნო ეწოდა როგორც მთაგორიან, კლდოვან აღვილს, ასევე დაბლობსაც, გაუშე-
ნებელს, დაუსახლებელს „ოჯერ“ ადგილს.

შეიძანი (ანუ შიხანი — Shihan), რომელიც ქართველებს აურჩევიათ თა-
ვის სავანედ, ჩანს, ლოტის მოდგმის მოაბელთა ხალხს ისტორიისთვის მჭიდ-
როდ იყო დაკავშირებული.

ჭვრის მონასტრის ადგილიც, გადმოცემით მიირანის მიერ თავდაპირ-
ველად მოპოვებული, აგრეთვე ლოტის სახელთანაა დაკავშირებული. ეს გად-
მიცემა ტიმით გაბაშვილის მიერ შემდეგნირიად არის მოთხრობილი: „პირ-
ველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ
წარმოვლენილ არს, მეცე კოსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს
და ჭუარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნა. რამეთუ ესე არს ადგილი იგი,
რამეთუ ლოთ სამი ხე — სარო, ფიჭვი და ნაძვი — დანერგა სასწაულად, უკე-
თუ ნიერეოს ცოდვა იგი, და სამიცე ერთ ხე დიდ აღმოკვდა. ამისა შემდგომად
მოსპრა იგი სოლომონ შენებასა ტაძრისასა, არამედ უქმად გამოჩნდა საქმარე-
ბა მისი მუნ და მდებარე იყო საჯდომად კაცთა გარე. ხოლო ჭვარცმასა უფ-
ლისამა, განგებითა ზენათათა მას ზედა აცვეს უფალი. რამეთუ მონაცევით ხი-
სა მის ძირი ქვეშე წმიდასა ტრაპეზისა დღესამომდე ჩანს. ხოლო ამისა შემ-
დგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ
არს მონასტერსა და ლავრასა შეიძლისა საბასა დაყუდებულა და მეფესა სა-
ქართველოსასა ბაგრატ კურობალატი საფასე დიდალი წარმოუცემია ლირისი-
სა პროხორესათვეს, რათამცა ჭვრის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია
ჭვრის მონასტერი შესაკრებელად ქართველთათვის“⁵⁶.

ლოტისა და აბრაჟამის გამოსახულებები დღემდე შემორჩი ჭვრის მონას-
ტრის კედლის მხატვრობას⁵⁷.

ამდენად, მოაბელთა მიწაზე ჩადენილი ცოდვის მოსანანიებლად ლოტმა
დარგა სამი ხე პალესტინაში, იმ ადგილას, სადაც შემდეგ ჭვრის მონასტერი
აშენდა. ამრეგად, ლოტის საშუალებით გაიბა ერთგვარი კაეშირი შეპანსა და
ჭვრის მონასტერს შორის. შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა,
რომ ჭვრის მონასტრის მაშენებელმა გიორგი-პროხორემ და მისმა თანამოლ-
ვაწებ გაბრიელმა ქართველთა ახალი სავანის ასაშენებლად შეპანის უდაბნოს
მიმართეს.

⁵⁶ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 77.

⁵⁷ Т. В. Вирсаладзе, Ростислав Иерусалимского Крестного монастыря и Шота Руставели, Тб., 1974, стр. 24.



მთელი ჩვენი მსჯელობა XI საუკუნის II ნახევარში შეპანის უდაბნოს აღართული სავანის არსებობის შესახებ დამყარებულია XI—XII სს. ხელნაწილების აღაპ-მოსახესნებლებსა და ანდერძებში შემორჩენილ ცნობებზე. თუ რამდენად სწორადაა ეს ცნობები გაანიჭიებული და შეფასებული, ამის შემნტება შესაძლებელია მხოლოდ არნონის ხეობისა და შეპანის უდაბნოს აღვილობრივ შესწავლის საფუძველზე. ჩვენი რწმენა, რომ ქართული წერილობითი წყაროების სისწორე შეპანის უდაბნოს ქართული სავანის შესახებ დადასტურდება არქეოლოგიური გათხრებით, ემყარება აღრე მიღებულ გამოცდილებას.

ჯიბისძეთა ხელნაწერის ანდერძის შესწავლის საფუძველზე, 1959 წელს გამოვთქვით ვარაუდი, რომ შავ, ანუ საკურველ მთაზე ჯიბისძეთა ინიციატივითა და შტრებულელთა მხარდაჭერით „ძელი ცხორების“ ქართველთა საყოფელი⁵⁸. წერილობით ცნობებზე დამყარებული ეს ვარაუდი დაადასტურა ლოს ანგელესის უნივერსიტეტის პროფ. ვ. ჯობაძის მიერ შავ, ანუ საკურველ მთაზე რამდენიმე წლის მანძილზე წარმოებულმა გათხრებმა. სამწუხაროდ, ამ გათხრების შესახებ პროფ. ვ. ჯობაძის მონიგრაფია მთლიანი სახით დღემდე არ გამოქვეყნებულა⁵⁹.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ШЕХАНСКАЯ ПУСТЫНЯ — НЕИЗВЕСТНЫЙ ГРУЗИНСКИЙ СКРИПТОРИЙ XI ВЕКА В ПАЛЕСТИНЕ

(Р е з и о м е)

На основании изучения колофонов и записей грузинских рукописей Иерусалимского Крестного монастыря, автор устанавливает, что во второй половине XI века некий Гавриил Тбилиси (тбилисский епископ) пользовался большой популярностью в Крестном монастыре и вел там активную культурную деятельность вместе со строителем монастыря Георгием-Прохоре. Но еще при жизни Георгия-Прохоре, Гавриил оставил Крестный монастырь и с группой монахов отправился в долину Арион (Трансиордания), и на горе Шихан (в грузинских записях — Шехан) основал и отстроил грузинскую обитель. В колофонах и записях рукописей эта обитель именуется Шеханской пустыней, Гавриил же — строителем Шеханской пустыни и игуменом монастыря. Автор предполагает, что в Шеханской пустыне грузинская братья вели немаловажную культурную деятельность, имея большую поддержку со стороны Крестного монастыря. В Шеханской обители монахи собирали необходимые для них книги, переписывали рукописи, следили за новой литературой, что свидетельствует о существовании там скриптория.

Основываясь на «Житии Георгия-Прохоре», автор допускает, что строитель Крестного монастыря Георгий-Прохоре последние годы своей жизни провел в Шеханской пустыне.

По письменным данным, грузинская обитель Шеханской пустыни просуществовала до начала XIII века.

⁵⁸ ვ. მეტრეველი, შავი მთის შეიგნობრული კრის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველი ნახევარში. აკად. ს. განაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XX B, 1959, გვ. ვვ. 85—104.

⁵⁹ ცნობები ამ გათხრების კონკრეტული შედეგების შესახებ მოგვაწოდა აეტორმა, რისთვისაც უღრმეს მაღლობას მოვახენება.

ნოდარ გოგიაშვილი

„ანასული ჩართლის ცეოვნების“ პირის გადაწყვიტის თარიღი

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI-ის წინარე რედიქტის დღემდე ცნობილი 5 ხელნაწერიდან ერთ-ერთი, როგორც ცნობილია, აღმოაჩინა ივ. ჭავა-ხიშვილმა 1913 წ., სოფ. ლამისყანაში, ა. ჯამბაურ-ორბელიანის სახლში. ივი დღეს დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში Q—795 შიფრით და ცნობილია „ქართლის ცხოვრების“ „ანა დელოფლისეული ნუსხის“ სახელში დღემდებით. ხელნაწერი, მასში დაცული ანდერძის მიხედვით, რომელიც ვეძმუნობს, რომ წიგნი გადაწერილია ალექსანდრე მეფის თანამეცხედრის ანა დელოფლის ბრძანებით¹, დათარიღებულია ივ. ჭავახიშვილის მიერ ალექსანდრე კახთა მეფის ზეობის წლებით (1476—1511 წწ.). თარიღი რამდენადმე უფრო დაკანკრეტულია პირობითად (ხელნაწერში ალექსანდრეს შეილების მოუსხენებლობის მიხედვით) 1479—1495 წლებით². მარიგად, ხელნაწერ Q—795 სახით ჩვენ ვაკევს „ქართლის ცხოვრების“ შემორჩენილ ხელნაწერთა შორის უძველესი ნუსხა,

1 ანდერძის ტექსტი შემდეგია: „საქმენი კელთა ჩურანთინი წარმართენ უფალო.

ცხოვრება და მოცეკვა ქართლისა და მოთხოვნა ნათესაობისა, და თუ რომელი რომელთა ტომთან ვართ, ან თუ ეითა მოვიქეცით და მივიღეთ სჭული ქრისტეანობისა და ვიცან ღმერთი, იმინეთ ალწერილი აბიათარისი.

ადადენ ღმერთმან და დამყარენ რათავე ცხოვრებათა შინა პატრიკინი: დელოფალთა დელოფალი ნეტან-დატევან, და ძე მათი მეუე ალექსანდრე და დელოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეუეთა და მთავარია მორჩმუნერი, მაშენებელი კალებითინი. რამეთუ ალვერდი წარტყულულ იყო წარმართთავან, რომელ სხუათა მეუეთა ვერ ჰყო ეყო განშედად და ალშენებად; ამათ ალშენეს და განწმინდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, ალშენეს ცად და გუმბათი და სახრინო რაბად რამე ალმატებულად და შემგავსებულად, ვითარება ფრთხილთა ქმნელთა ნიკონ სკელთით სკელთის შეუსწორებელობისა, და ალაკონ სწმილეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმილათა, წმილათა ხატთა და სწმილისა სამსახურებელთა ყოვლიდ დიდებულთა ყოვლითა სიეთითა, შეწირნა მრავალი ველების სამსახურებელად წმილისა გორგვისა და მოწესეთა მისთაუს, შემდგომად ამათ თანა რაოდენიმე ველებისან ალშენეს და რაოდენიმე წარმართთავან შეგინებული ვალესიანი განწმილენს სახლად ღმრთისა და წარსმართებულად მეფობისა თუსისა.

ღმერთო და ყოველნო წმიდან მისნო და წმიდაო გიორგი ალვერდისამ მთავარობია-მეო, მცეკვლ და მფარველ, მქანსა მდგომელ და განმმრკებელ ექვენენით რრთა ცხოვრებათა შინა პატრიკინთა: დედოფლებისა დედოფლებისა ნესტან-დარეჯანს, და ძესა მითსა, ღმრთი გურგანისანსა მეუესა ალექსანდრეს, და დედოფლებისა ანას, რომლისა მიერ გურგანი პატიოსანთა პატიოსანთა შიგნთა აღწერას; და დოფლებისა ანას, რომლისა მიერ გურგანი შეუძლებელ ველენით, არამედ პარმენებათა მისთავარი ურჩი ვემწოდის. ხოლო ჩვენ ძალისაგბრ ვითარება ძალაშედვა, ვალუწეთ, და დაცათ ნაღუაში ეს უნიონ და უშეურ არს, არამედ შენდობა იყან უველთავან“ („ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 363—364).

2 ივ. ჭავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 307.

რომელიც უაღესად მნიშვნელოვანი აღნიშნული „ქართლის ცხოვრებასთან“ კაშშირებული მრავალი საკითხის გასატვევად.

ხელნაწერის პალეოგრაფიულმა ანალიზმა დაგვარუშმუნა, რომ ის დაწერილია არა უაღეს XVI ს-ის II ნახევრისა და, ამრიგად, მისი დათარიღება უნდა გადმოიწიოს ერთი საუკუნით მაინც გვია. ამაზე, პირველ რიგში, მიუთითებს ხელნაწერის დაწერლობა, კერძოდ, ასოების — ა, ბ, რ, ჩ, ჭ, ვ, კ, შ, მ, ს, ხ, ნ — მოხაზულობა. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გაღამწყვეტია ბ და ჩ.

განვიხილოთ ამ ასოების მოხაზულობა:

ქართული მხედრული დაწერლობა XI—XIII ს-ში ჯერ კიდევ იმდენად ანუ კუთხოვნ ნუსხა-ხუცურათან, რომ მკვლევართა ნაწილი მას არც თვლის მხედრულად, არამედ — მრავლოვან, ანუ მდივანმწიგნობრულ ნუსხა-ხუცურად მიიჩნევს. მაგრამ ამ პერიოდის ბოლოს მხედრული დაწერლობა იმდენად დაშორდა ნუსხა-ხუცურს, რომ XIV ს-თვის მას სრულიად დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული სახე აქვს, თუმცა ნუსხა-ხუცურიდან ჭარმომავლობის ნიშნები ჯერ კიდევ შეინიშნება თვალნათლივ. XIV ს-ში მხედრული დაწერლობის განვითარება გრძელდება ნუსხა-ხუცურთნ მსგავსების ნიშნების გზით. დამწერლობის განვითარება მიმართულია ასოების მომრგვალება-გასიმეტრიულობისაკენ, ბუნების გაშვეულება-გასწორებისკენ. ამავე დროს, XIV ს-ის მხედრული სასიათდება გადაბმულობით, იწყება გაკრული მხედრულის, ანუ ნუსხური მხედრულის ჩამოყალიბება.

მხედრულის განვითარების ასეთივე ტენდენცია გრძელდება XV ს-შიც. ამავე დროს ცვლილება ხდება კბილებიანი ასოების კბილების გადაბმაში. თუ ადრე კბილები ერთმანეთს ებმოდა მორჩალურად, ტალლისებურად, XV ს-ში ეს გადაბმა თანდათან კუთხოვნან სახეს ლებულობს. ბუნები სწორდება და მაღლდება, სავსებით ყალიბდება ასო ა და ი; შევული ხდებიან ასოები პ და ჸ. ეს ასოები XV ს-ის II ნახევარში უკვე შემოტრიალებული, მარცხნივ მიქცეული იწერება. ასო ბ XV ს. II ნახევარში ორნაც ზევით იწევს, მეოთხე ხაზს აღარ სწერდება. ამასთან, შეკრული წრე რამდენადმე პატარავდება. ასოები თ და უ იმავე პერიოდში აღარ იწერებოდა აღმაშეტრიალებული. თ უმთავრესად ფეხზე დამდგარია სწორად, უ კი აღმაშეტრიალდება. და ლ ასოებს მარცხნი ფეხი კიდევ უფრო უგრძელდება, ხოლო ბოლო კბილი სხვა კბილების ტოლი და მსგავსი ხდება. ასო ვ-ს მარცხნა ფეხი უმოკლდება და ხაზს ქვევით აღარ ჩამოდის. ჸ-ს ზედა წრე რამდენადმე პატარავდება. ასო გ XV ს-ის II ნახევარში თითქმის ყოველთვის მარტივი მოხაზულობისაა. შედგენილი, როლი ნ, იშვიათადღა გვხვდება. ასო ქ-ს ბუნი მორკალური ხდება. ასოები ტ და ც რამდენადმე ვიწროვდება.

XV ს-ში უკვე შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ მხედრულის წერის ზოგიერთ ინდივიდუალურ თავისებურებებს.

მხედრულის სახეცვლილება XI—XIV საუკუნეებში უფრო სწრაფი და შესამჩნევია. შემდეგში ეს ცვლილებები უფრო მცირდება და ძნელი შესამჩნევი ხდება. კერძოდ, XVI ს-ის I ნახევრის მხედრული ძალიან მცირდება გაირჩევა XV ს-ის II ნახევრის მხედრულისაგან და მხოლოდ XVI საუკუნის II ნახევრის მხედრულში შეიმჩნევა თვალსაჩინო ცვლილებები XV ს-ის მხედრულთან შედარებით.

გრაფემა პ

ასო პ XVI ს-ის დასაწყისში გვხვდება ორი დაწერილობით: ახალი, ჩამო-
ყალიბებული მხედრული მოყვანილობის, რომელსაც ის ჯერ კიდევ XIV ს-ში
იღებს — ა და ძველი დაწერილობის, რომელიც მან ნუსხურიდნ განვითარე-
ბისას მიიღო ჯერ კიდევ XI ს-ში: (ჴ, ჵ), ძველი დაწერილობის ა გვხვდება
შხოლოდ მარცნივ გადაბმებში: ჴ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული
საბუთები: 1505 წ. — Hd 14.681; 1512 წ. — Ad 11 და სხვ.).

ძველი დაწერილობის ა გადაბმებში ქრება უკვე XVI ს-ის I ნახევარშივე.
ზოგჯერ ის გვიანაც გამოერევა ხოლმე, მაგრამ მას ასეთ შემთხვევებშიც თითქ-
მის აღარ უმჩნევა ძველი მოყვანილობა: ჵ (მაგალითად, ხელნაწ. ინსტ.
საბუთი 1597 წ. — Hd—14.425).

გრაფემა გ

XVI ს-ის I ნახევარში ასო გ ჯერ ისევ ხაზს ქვევით იწერება, ისევე, რო-
გორც XV ს-ის II ნახევარში, I და IV ხაზებს შუა, ხოლო ზოგჯერ — II და
IV ხაზებს შუა. ამასთან, მისი წრე იმავე ზომისაა, როგორიც XV ს-ის II ნახე-
ვარში, ე. ი. რამდენადმე დაპატარავებული წინა პერიოდთან შედარებით, მაგ-
რამ, გვიანდელთან შედარებით, მაინც დიდი: ჷ ჸ (ხელნაწერთა ინსტ. სა-
ბუთები: Hd 14.681, Ad 11, Ad 12, Hd 1332, Ad 1299, Hd 1532, Sd 798). ამ
პერიოდის ბოლოს ბ-ს წრე პატარავედება, მაგრამ ხაზს ზევით მაინც არ იწევს.
XVI ს-ის I ნახევარში ხაზს ზევით ბ ა რ ი წ ე რ ე ბ ა. პირველი
საბუთი, სადაც გვხვდება ხაზს ზევით დაწერილი ბ — I და III ხაზებს შორის,
არის 1556 წ. საბუთი (Sd—138). ამის შემდეგ ბ იწერება ჩვეულებრივ ხაზს ზე-
ვით, პატარა წრით: ჷ, თუმცა, ზოგჯერ ბ, ხაზს ქვევით დაწერილი აღრინ-
დელი მოხაზულობით, XVI ს-ის II ნახევრის საბუთებშიც გვხვდება (მაგალითად,
ხელნაწ. ინსტ., 1558 წ., Sd 734). ამრიგად, ხაზს ზემოთ ბ-ს დაწერა სრულიად
მტკიცედ იდებს ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად XVI ს-ის შუა წლებს და
უკელა ქართული წერილობითი ძეგლი, ხაზს ზემოთ
დაწერა ბანით, უნდა დათარიღდეს XVI ს-ის შუა
წლების შემდგომი ხანით.

გრაფემა გ

ამ ასოს მარცხნა რეალი ჯერ კიდევ XV ს-ის მიწურულში უმოქლდება.
XVI ს-ში ეს ასო იგივე მოხაზულობის რჩება, ზედა კბილი მოგრძოა და ხაზს
ქვემოთ ჩამოდის ჷ.

გრაფემა გ

ამ ასოს ზედა წრე დაპატარავებას იწყებს ჯერ კიდევ XV ს-ში. XVI ს-ის
მთელ სიგრძეზე ჰ-ს ზედა წრე ჯერ კიდევ აღემატება თავისი ზომით ქვედას

(ხელნაწ. ინსტ. Hd 14.681, Ad 12, Hd 1332, Ad 1299, Sd 734 და სხვ.), თუმ-
ცა არა იმდენად, როვორც წინა პერიოდში. გეხვდება რამდენიმე შემთხვევაში, როცა ზედა და ქვედა წრეები ასო ჟ-ს თანაბარი აქვს (Ad 11).

გრაფემები: მ, ძ, შ, ჩ, ნ, ს, ხ

ამ ასოების ბუნები ჯერ კიდევ XV ს-ის II ნახევარში იწყებს გამაღლე-
ბასა და გასწორებას, მაგრამ XVI ს-ში ამ ასოების ბუნები ჯერ კიდევ არ არის
მთლიანად გასწორებული, გარდა ს და ხ ასოების ბუნებისა, რომელიც, თით-
ქმის, სავსებით გასწორებულია.

ასო მ-ს ბუნი მოხრილია და ზედა რკალი ზოგჯერ თითქმის შეკრულ
წრეს ქმნის. ასო ძ-ს ბუნიც მორკალურია და ზოგჯერ ეს მორკალვა თითქმის
კუთხეს ქმნის შეეულ ბუნთან. ასო ხ XVI ს-ში ჯერ კიდევ გეხვდება ორი სა-
ხის: მარტივი და რთული — ძ-სთან გადაბმაში:

ასო ჩ-ს ბუნი XVI ს-ის I ნახევარში ჯერ კიდევ ხაზს ქვევით ჩამოდის
(ხელნაწ. ინსტ. საბუთები: Hd 14.681, Ad 11, Ad 12, Hd 1332, Ad 1299,
Sd 730, Hd 1532, Sd 138, Hd 2116). პირველი საბუთი, სადაც ჩ-ს
ბუნი მოკლეა და ხაზს ქვევით იღარ ჩამოდის, არის 1558 წ. ნასყიდობის წიგ-
ნი (Sd 734). ამის მომდევნო წერილობით ძეგლებში ჩ-ს ხან მოკლე ბუნი
აქვს, ხან კიდევ — ხაზს ქვემოთ ჩამოსული (Hd 2579, Ad 1654, და სხვა).
ასეთი ვთარება გრძელდება XVII ს-ის სიგრძეზე, თუმცა მის II ნახევარში
გრძელდებანი ჩ-ს იშვიათა.

ჩ-ს ბუნის ზედა განივი ხაზი უკვე რკალის ფორმას იღებს. ეს რკალი XVI
ს-ში, ჩვეულებრივ ჯერ კიდევ არ არის შეკრული, თუმცა, ზოგჯერ თითქმის
იკვრება (Sd 734), (Sd 527). ერთ შემთხვევაში კი (სიმონ I-ის
1594 წ. სიგვალი) ის უკვე შეკრულია: (Hd 1810). ამგვარად, ასო ჩ-ს სახე-
ცვლილება აგრეთვე იძლევა საყმაოდ თვალსაჩინო ქრონოლოგიურ საფეხუ-
რებებს: XVI ს-ის შუა წლებამდე მისი ბუნი უველა შემთხვეული გაში ხაზ
და ში ხაზს ქვემოთ ჩამოდის, ხოლო XVI ს-ის ბოლო წლებამდე მისი ბუნი და შემთხვეული არ არის.
XVII ს-ში ჩ-ს ბუნის ზედა რკალი ზოგჯერ შეკრულია და ზოგჯერ — გახსნილი.

გრაფემა მ

ასო თ, XV ს-ის I ნახევარში უფრო ხშირად ისევ აღმაშეტრიალებული
წერებოდა: . პერიოდ ნახევარში კი ის ფეხშე დამდგარია. სწორად ასე-
ვე ის XVI ს-ის I ნახევარშიც. XV ს-ის II ნახევრიდან თ-ს მარჯვნივ უჩნ-
დება დამატებითი მესამე კბილი ყოველ რობა, რომელიც მას ახასიათებს XVI ს-შიც
(ხელნაწ. ინსტ. საბ., Hd 14.481, Ad 12, Hd 1332, Ad 1299). ეს კბილი თან-
დათან თ-ზე მარჯვნივ მიბმულ პატარა განივ ხაზად იქცევა , რომე-
ლიც ჯერ ზეგით აქვს მარჯვენა კბილს, შემდეგ კი თანდათან ქვევით ჩამოდის
(ხელნაწ. ინსტ. Sd 138, Qd 6994, Hd 2579, Sd 734, Qd 4). გადაბმის დროს, ისე-
ვე როგორც წინა პერიოდში და მომდევნო პერიოდშიც, თ XVI ს-ში იღებს
ტალლისებური, განივი ხაზის სახეს: . XVI ს-ში გაღმონაშთის სახით,

ზოგჯერ ისევ გვხვდება ოღმაშეტრიალებული ო: ၇ (ხელნაწ. ინსტ. Ad 11, Sd 798), მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი გამონაკლისია და დამახსიათებელი იღარ არის XVI ს-თვის.

გრაფემა ჟ

ამ ასოს XV ს-ის II ნახევრიდან უკეთდება დამატებითი კბილი ჟ . ასეთივე რჩება ჟ, დამატებითი მესამე კბილით, XVI ს-ის ბოლომდე და XVII ს-ის დასაწყისშიც. ეს მესამე კბილი მას სცილდება XVII ს-ის I მესამედში.

გრაფემები პ და ჰ

პ და ჰ უკვე XV ს-ს II ნახევრიდან არა მარტო სავსებით შვეული, არა შედ ზოგჯერ სავსებით შემოტრიალებულიც არიან მარცხნივ. XVI ს-ში პ-ს და ჰ-ს ფუძეგანივი ხაზი დამატებით კბილად იქცევა და ვიღებთ სამებილიან პ-ს და ოთხ და კიდევ უფრო მეტ კბილიან ჰ-ს: ჟ — ჸ. ჟ — ჸ.

რკალად ჭეული ფუძე ჯერ კიდევ შედარებით პატარაა სხვა კბილებთან შედარებით. რაც მთავარია, XVI ს-ში პ და ჰ ჯერ კიდევ საკმაოდ შესამჩნევად ატარებენ იმ დროის მოხაზულობის კვალს, როცა მათი კბილები მარჯვნივ იყო მიქცეული. XVI ს-ში ხშირად არც კი გაირჩევა საითა კბილები შიქცეული: მარჯვნივ, თუ მარცხნივ.

გრაფემა ჸ

ასო ჸ-ს ბუნი XV ს-ის II ნახევარში შიგნით მორკალული ხდება, მაგრამ მას ჯერ კიდევ არა აქვს ზევით ქუდი. XVI ს-ში ჸ-ს უჩნდება პატარა ქუდი, რომელიც თანდათან დიდდება და XVII ს-ში უკვე მოზრდილია: ჸ.

გრაფემები ტ და ც

ასოებს ტ-ს და ც-ს უკვე XIII—XIV სს-დან აქვთ ჩამოყალიბებული მხედრული სახე. შემდგომში, უკვე XV ს-ის II ნახევარში, ისინი თანდათან ვიწროვდებიან. XVI ს-ში ისინი ძალიან მცირედ იცვლებიან და ეს ცვლილება მინიართულია უკვე არა იმდენად დავიწროვებისაკენ, რამდენადაც ამ დავიწროებული ასოების გასიმეტრიულობისაკენ.

ას ოების ღ, ღ, ჸ, რ, ჸ, ც-ს კბილები ჯერ კიდევ XV ს-ის II ნახევარში ებმის ერთობეორეს, უკვე, თითქმის, კუთხოვნად და არა ტალღისებურად. XVI ს-ში ეს გაუზოხვენება გრძელდება, თუმცა ასოები: ღ, ჸ, ც, ც-ს კბილები ხშირად ისევ ტალღისებურადაა გადაბმული.

ას ოების ღ, ღ, ჸ, რ, ჸ, ც-ს XVI ს-ში მარცხნივ აქვთ პატარა განივი ხა-

ზი — რ, რ, ჸ, ჸ, ჸ, ჸ. ეს განივი ხაზი ც, ჸ, ც ასოებს ჯერ კიდევ ნუსხურიდან მოსდევს, ღ, ღ, რ-ს კი ახლა უჩნდებათ.

* * *

განვიხილოთ Q—795 ხელნაწერის (კ. წ. „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების“) პალეოგრაფიული ნიშნები და განვსაზღვროთ ამის მიხედვით 4. მრავალთავი, V

ხელნაწერის თარიღი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძეგლის პალეოგრაფიულობა ნეშნები და, კერძოდ, ა, ბ, რ, ჸ, წ, კ, შ, მ, ს, ნ ასოების მოხაზულობა გამორიცხავს მის დათარიღებას XV ს-ის II ნახევრით და ათარიღებს მას არა უადრეს XVI—XVII სს-ბის მიჯნისა.

განსაკუთრებული და ით ნიშანდობლივია ამ მხრივ ზღვა ჩასონების მოხაზულობა:

ასო ბ, Q—795 ხელნაწერში წერია ხაზს ზემოთ, პატარა წრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVI ს-ის შუა წლებიმდე ეს ასო ხაზს ქვემოთ ჩამოდის. მხოლოდ ამ საუკუნის შუა წლებიდან გვხვდება ასო ბ ხაზს ზემოთ, პატარა წრით, თუმცა ზოგჯერ, ამ დროის შემდეგაც იწერება ის ხაზს ქვემოთ. არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ ბ არა თუ XV ს-ში, არა ამედ XVI ს-ის I ნახევრის გვარშიც კი, ხაზს ზემოთ იყო დაწერილი.

ასო ჩ-ს ბუნი Q—795 ხელნაწერში, ანასეულად ცნობილ „ქართლის ცხოვრებაში“, ხაზს ქვემოთ თითქმის აღარ ჩამოდის, ხოლო ზედა რკალი თათვების შეკრულია. როგორც აღვნიშნეთ, ჩ-ს ბუნი არა თუ XV ს-ში, არა მედ XVI ს-ის II ნახევრამდეც ძლიერ ჩამოგრძელებულია ხაზს ქვემოთ და ამ საუკუნის შუა წლებიდან მოკლედება, თუმცა საუკუნის ბოლომდე ჭერ კი-დევ არაიშვიათად გვხვდება ხაზს ქვევით. რაც შეეხება ზედა განივი ხაზის რკალს, იგი XVI ს-ის ბოლომდე ჭერ კი-დევ არ არის შეკრული, არამედ სავ-სებით გახსნილი და ოდნავ მორკალულია.

ასო თ ძეგლში გვხვდება მარჯვენა კბილის ქვევით მიბმული პატარა გა-ნივი ხაზით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XV ს-ში და XVI ს-ის I ნახევრაში თ-ს მარჯვენივ გბის დამატებითი მესამე კბილი და მხოლოდ ამ დროის შემდეგ ეს კბილი, ქცეული განივი ხაზია, თანდათან ქვემოთ იწევს.

ასო ა ძეგლში გვხვდება მხოლოდ ახალი დაწერილობით, არც ერთი შემ-თხვევა არა გვაქვს, რომ გადამამი ა-ს პერნელი ძველი მოხაზულობა, XV ს-ში და XVI ს-ის I ნახევრაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა ყოველთვის გვხვდე-ბა როგორც ახალი, ისე ძველი მოხაზულობით.

ასო გ ძეგლში გვხვდება თანაბარი ზომის ზედა და ქვედა რგოლებით.

ს, ხ, ჸ, ჹ ასოებს ბუნები საესებით სწორი და მაღალი აქვთ. ამას კი ად-გილი აქვს მხოლოდ XVI ს-ის II ნახევრაში.

კ, ვ ასოებს ამ ძეგლში აღარა აქვთ ზედა რკალის ხაზის სტრიქონს ქვემოთ ჩამოგრძელებული, რაც ახასიათებდა ამ ასოებს XVI ს-ის ბოლომდე.

პ და ჸ ასოები საესებით შევული და მარტივი შეტრიალებული არაა; აღარ ატარებენ მარჯვენივ მიქცევის კვალს, რაც არა მარტო XVI ს-ის, არამედ ხშირად XVII ს-ის პ და ჸ-საც ემჩნევა.

ი, ო, მ, ვ, გ ასოებს, თითქმის, უქრებათ დამატებითი პატარა განივი ხაზები მარტივი, რაც ამ ასოებს XVI ს-ის თითქმის მთელ სიგრძეზე ჭერ კი-დევ აქვთ.

ამრიგად, ასოების მოხაზულობით, ე. წ. „ანასეული ქართლის ცხოვრება“ ეკუთვნის XVI ს-ის ბოლოს, ან XVII ს-ის დასაწყისს.

განსაკუთრებული და ით მტკიცედ მიუთითებს ასეთ თარიღ-ზე ორი ასო: ბ და ჩ.



ძეგლის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს მისი ჰვირნიშანიც, რომელიც გვაცნობა ქართულ ხელნაწერთა ჰვირნიშნების მკვლევარმა ა. პატარიძემ, XVI ს-ის ბოლოს ეკუთვნის.

რაც შეეხება ძეგლის გადამწერის ანდერძს, როგორც ირკვევა, იგი არ ეკუთვნის ხელნაწერ Q—795-ის გადამწერს. ის ეკუთვნის ნამდვილი „ანასული ქართლის ცხოვრების“ გადამწერს, ჩვენ კი, როგორც ჩანს, Q—795 ხელნაწერის სახით ხელთა გვაქვს არა „ანასული ქართლის ცხოვრება“, არამედ მცირ გვიანდელი, ერთი საუკუნის შემდეგ გადამწერილი და შეესცებული პირი. „ანასული ქართლის ცხოვრება“ თავისი ანდერძიანად გადაუწერია უცნიშ გადამწერს XVI ს-ის ბოლოს, ან XVII ს-ის I ნახევარში და დაურთავს მისთვის ე.წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“ და „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, რომელიც ამ რედაქციით მოგვეპოვება მხოლოდ ამ ხელნაწერში. ხელნაწერი ნაკლულია. დაკარგულია „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ნაწილი და, შესაძლოა, სხვა ძეგლებიც, რომელიც ამ ხელნაწერში შედიოდა. ხელნაწერს, უნდა ვიფიქროთ, ბოლოში ექნებოდა მისი გადამწერს ანდერძიც. Q—795 ხელნაწერი რომ „ანასული ქართლის ცხოვრების“ პირია, ამას ნათელს ხდის ზემოალნიშნული ანდერძის მდებარეობაც. ეს ანდერძი მოთავსებულია არა ხელნაწერის ბოლოში, არამედ — დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ და ჩართულია* ძეგლის ტექსტში.

ივ. გავახიშვილმა, შეისწავლა რა ხელნაწერი Q—795-ის შედგენილობა, მივიდა დასკვნამდე, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხის გადამწერს XV ს-ში ხელთ ჰქონდა დედანი, შედგენილი 1222—1223 წლებში, როცა, ივ. გავახიშვილის აზრით, დაწერა „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“. ამრიგად, ივ. გავახიშვილი თვლილა, რომ Q—795 ხელნაწერი წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ XIII ს-ის დასაწყისის რედაქციის XV ს-ში გადამწერილ პირს³.

როგორც ირკვევა, Q—795 ხელნაწერი წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ XVI ს-ის ბოლოს, ან XVII ს-ის I ნახევარში შედგენილ რედაქციას, სადაც, გარდა „ანასული ქართლის ცხოვრებისა“, შევიდა აგრეთვე 4 მეტის: დემეტრე I, გიორგი III, თამარისა და ლაშა გიორგის მოკლე ისტორია (მას ივ. გავახიშვილი — „ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს“ უწოდებს). თვით „ანასული ქართლის ცხოვრება“ კი, გადამწერილი Q—795 ხელნაწერში, როგორც ჩანს, თავის მხრივ, ეყარებოდა „ქართლის ცხოვრებას“ XII ს-ის რედაქციას, რომელიც მთავრდებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიით.

„ანასული ქართლის ცხოვრება“, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდებოდა და მასში არ შედიოდა ე.წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“, ამას, გარდა იმისა, რომ გადამწერის ანდერძი მოსდევს დავით აღმაშენებლის ისტორიას, მოწმობს აგრეთვე შემდეგი: 1) „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ფენა, როგორც ეს ივ. გავახიშვილმა დაასაბუთა, თავდებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიით⁴. 2) ე.წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ თხზულება, შედის „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან მხოლოდ ერთში: Q—795-ში. 3) საეჭვოა, რომ ანა დედოფლის ბრძანებით გადამწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ გადამწერს შეეტანოს „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, რომელიც კრებულში შეტანილი ჩანს ე.წ. „ლაშა გიორგის დროინდელ მატიანესთან“ ერთად.

³ ივ. გავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 307.

⁴ იქვე, გვ. 307—308.



ბოლოს, როგორც მთლიანად ხელნაწერ Q—795-ის, ისე ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანის“ დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს ერთ აუკისებულებას: თამარის ისტორიის იმ მონაკვეთში, რომელიც შედის ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეში“, საქართველოს სამეფო დინასტია მოხსენიებულია ფორმით „ბაგრატიონი“, რომელიც არ შეიძლება ყოფილი მატიანეში არც ლაშა გიორგის ხანაში და არც XV ს-ში.

ამრიგად, Q—795 არის არა „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“, არამედ „ანასეული ქართლის ცხოვრების“ შევსებული პირი, ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ განსხვავებული რედაქცია, შედგენილი XVI ს-ის ბოლოს, ან XVII ს-ის I ნახევარში.

ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ქრებულში შეტანილია XVI ს-ის ბოლოს, ან XVII ს-ის დასაწყისში. ის დაწერილი ჩანს ამავე პერიოდში (შესაძლოა ოვთ Q—795 ხელნაწერის გადამწერის მიერ) და წარმოადგენს, როგორც ჩანს, 4 მეტის ისტორიაზე სხვადასხვა მატიანებიდან (პირველ რიგში, აღბათ, ამ მეფეთა ისტორიკოსთა თხზულებებიდან) ამოკრებილი ცნობებით შედგენილ მოკლე ქრისტიანულ კასტა.

Н. Ф. ШОШИАШВИЛИ

ДАТИРОВКА КОПИИ СПИСКА ЦАРИЦЫ АННЫ «ЖИТИЯ ГРУЗИИ»

(Р е з ю м е)

В труде рассмотрен вопрос датировки рукописи Q—795, хранящейся в Институте рукописей АН ГССР. Рукопись, найденная И. Джавахишвили в 1913 г. и исследованная им, известна в научной литературе, как список царицы Анны «Жития Грузии». Рукопись датирована XV веком.

В труде установлено, что рукопись Q—795 является не списком царицы Анны, а его копией. По палеографическим признакам и другим данным рукопись датируется рубежом XVI—XVII вв. Передатировка рукописи Q—795 требует пересмотра вопроса о составе списка царицы Анны «Жития Грузии», а также вопроса датировки исторической хроники, известной в научной литературе под названием «Летопись времен Лаша Георгия».

5 ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ თხზულების დათარიღების საკითხი მოითხოვს სამანებო განხილვას. ამ საკითხე ჩვენ მოხსენება წავიდოთხეთ 1975 წლის 25.IV თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა 6. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს და ს. ჯანაშვილს დაბადების 75 წლისთავს.

რამაზ პატარიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა პილიტები

ჩვენ დრომდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერი დაწერილია სარსულ უჭვირნიშნით და ევროპულ კვირნიშნიან ქაღალდზე.

ეტრატზე, ანუ პერგამენტზე დაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცამა, პლატონ იოსელიანის ცნობით, ეტრატზე გადაწერილი აქეთი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნი“, თითქოს, არსებობდა. ეტრატი ჩვენში საწერ მასალად უძველესი დროიდან იხმარება. XVI საუკუნიდან მისი მოხმარება თანდათანობით მცირდება, ხოლო XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე — საბოლოოდ ქრება. ამ დროიდან ეტრატზე მხოლოდ იშვიათად თუ იწერება ზოგიერთი ცალკეული დოკუმენტი. ეტრატზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნი“ რომ აღმოჩნდეს, XVI საუკუნისა მაინც უნდა იყოს, თუ უფრო აღრინდელი არა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციამ პროფ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით ქ. ახალციხეში მიაკვლია XVI საუკუნის „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ხელნაწერს. იგი ფრაგმენტულია, გადარჩენილია სულ ორი ფურცელი. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი გადაწერილია იტალიურ (კერძოდ ვენეციურ) ჭვირნიშნიან ქაღალდზე. სამწუხაროლ, ფურცელი იმდენად დაზიანებულია, რომ გადარჩენილია ჭვირნიშნის მხოლოდ ემბლემატური ნაწილი, ხოლო ლიტერული ნაწილი ხელნაწერს დაკარგული იქნა. ვენეციური ჭვირნიშნის ლიტერული ნაწილი, როგორც წესი (იშვათი გამონაკლისების გარდა), მოთავსებულია ფურცლის კიდეზე. ახალციხური „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს კი ფურცლის კიდეები ჩამოჭრილი იქნა.

1. ახალციხური ხელნაწერის ჭვირნიშანი (ემბლემატური ნაწილი): ღუშა წრეში (Якорь в кругу) ჩვეულებრივი სამყურით (იხ. ჭვირნიშანი № 1).

როგორც უკვე გამორკეული გვაქვს, ღუშა წრეში ჩვეულებრივი სამყურით, ქართული მონაცემების საფუძველზე, ძირითადად იფარგლება 1600—1628 წლებით.

უცხოური მონაცემებით, ჭვირნიშნის ქრონოლოგიური პერიოდი ზუსტად ენთხევეთა ქართულ მონაცემებს და გვაძლევს იგივე ქრონოლოგიურ პერიოდს: 1601—1628 წწ.

უფრო აღრე ჭვირნიშანი გვხდება შეტად იშვიათად, კერძოდ, 1580—1600 წლების ქრონოლოგიურ ფარგლებში.

როცა დადგენილია ამ ჭვირნიშნის ქრონოლოგიური საზღვრები, თავის-თვალი ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალციხური ფრაგმენტი უნდა გადაწერილიყო 1580—1628 წლების ფარგლებში. რადგან ნუსხის ხელი პალეოგრაფიულად უფრო სიძველისაკენ იხრება, ამიტომ, როგორც გამონაკლისი, „ვე-

ფხისტუყაოსნის“ ეს წესხა, შესაძლებელია, მე-16 საუკუნით დათარიღდეს, მაგრავაც განვითარება რამ არა უაღრეს 1580 წლისა.

გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე მხედრულ დამწერლობაში დიდი გარდატეხა მოხდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მხედრული დამწერლობა ძლიერ შეიცვალა და დღევანდელ მხედრულს დაახლოვდა. მხედრული დამწერლობის ეს დიდი ცვლილება დროის მշრად მცირე მონაკვეთში მოხდა, სწორედ XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ახალიცისური „ვეფხისტუყაოსნის“ გარული ხელი კი უფრო სიძეველისაკენ იხრება. ამდენად, „ვეფხისტუყაოსნის“ ეს ხელნაწერი თუ XVI საუკუნის დასარულს არა, XVI—XVII საუკუნეთა მიჯნას მაინც უნდა მივაკუთხოოთ.

უფრო ზუსტი დათარიღება ამ ხელნაწერისა არ ხერხდება იმიტომ, რომ მოცემული გვაქვს მხოლოდ ერთი სახის ჭვირნიშანი, ისიც დომინანტი, რომელიც შედარებით ხაგრძლივ იხმარება და მოცემული გვაქვს ჭვირნიშანის მთვლი სახი კი არა, არამედ მისი მხოლოდ ემბლემატური ნაწილი.

2. „ვეფხისტუყაოსნის“ H¹—599 თარიღიანია. გადაწერილია იტალიურ ჭვირნიშანიან ქაღალდზე, დასავლეთ საქართველოში, 1646 წელს, ცნობილი გადამწერის — მდივან მამუკა თავარანაშვილის მიერ.

ქართული მატიანების შესწავლისას, სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, გავმიჯნები აღმოსავლერ-ქართული და დასავლერ-ქართული ხელნაწერები. გამოიჩინება, რომ დასავლეთ საქართველოში XV საუკუნის დასასრულიდან სავაუნების მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ ევროპული (იტალიური) ჭვირნიშანი ქაღალდია ხმარებაში. სპარსული ქაღალდი დასავლეთსაქართველოში, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სრულებით არ ჩანს, ამიტომ სავსებით გასავებია, რომ „ვეფხისტუყაოსნის“ ეს უძველესი თარიღიანი ხელნაწერი გადაწერილია იტალიურ ჭვირნიშანი და არა სპარსულ ქაღალდზე.

„ვეფხისტუყაოსნის“ ამ ხელნაწერში დასტურდება სპეციფიკური იტალიური ჭვირნიშები XVII საუკუნისა (იხილეთ ამ ხელნაწერების ჭვირნიშები: 2, 3, 4).

ეს ხელნაწერი რესტავრირებულია გვიან, მე-18 საუკუნეში. ნაკლული დაგილები შეუციათ ახალი ფურცლებით. გვიანი ფურცლების იტალიური ჭვირნიშანი მიუთითებს XVIII საუკუნის 70-იან, 80-იან წლებს (იხილეთ ხელნაწერის გვიან ჩართული ფურცლების ჭვირნიშანი № 5).

3. „ვეფხისტუყაოსნის“ S—1418 უთარილოა. გადაწერილია იტალიურ ჭვირნიშანი ქაღალდზე. ხელნაწერი ფრაგმენტულია. სულ 10 ფურცელია. მიუხედავად ამისა, ხელნაწერში სამი სხვადასხვა სახის ჭვირნიშანია. ეს იმიტომ, რომ ერთი ხელნაწერის სხვადასხვა ფრაგმენტებია დარჩენილი. თავის მხრივ, ეს გარემობა ხელნაწერის ზუსტი დათარიღების შესაძლებლობას იძლევა.

ხელნაწერის ჭვირნიშანი („ვენივგვინი ვარსკვლავ-მთვარით“) XVII საუკუნის ვენეციური დომინანტური ჭვირნიშანის ერთ-ერთი სახეობაა. იგი გვხვდება ხანგრძლივი დროის მანძილზე 1630-იან წლებიდან 1690-იან წლებამდე. მაგ, იგი დასტურდება სისტორიი არქივის 1448 ფონდის № 2044 ღორუმენტში (1630 წლის) და ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგ თარიღიან ღორუმენტში: Hd—1710, (1638 წლის), Ad—1220, Hd—2770 (1689 წლის),

¹ H, A, S, Q ონიშნავს კ. კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდებს, ხოლო Hd, Ad, Sd, Qd — საბოთების ფონდებს.

Sd—64 (1691 წლის), Ad—69 (1693 წლის) და ხელნაწერებში: A—850 (1691 წ.) და A—105 (1697 წლის.) ამ ხნის მანძილზე, თუმცა ჩვენი კვირნიშნები შანი არ კარგავს რაიმე ნიშანს და არ იძენს რაიმე ახალ ნიშანს (ამ შემთხვევაში კვირნიშნის ახალ სახეობასთან გვექნებოდა საქმე), მაინც ღრითა მანძილზე მისი მოხაზულობის სპეციფიკა იცვლება და შედარებით რამდენადმე იხვეწირბა კიდეც. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენი კვირნიშანი განსაკუთრებულ მსაგასებას ამჟღავნებს 1650-იანი წლების პერიოდის ამავე სახეობის კვირნიშნებათ. ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მსგავსი მოხაზულობის კვირნიშანი დასტურდება შემდეგ დოკუმენტებში: Hd—14688, Hd—14685 (1651 წლის), Sd—745 (1651 წლის), Sd—746 (1653 წლის), Hd—14313 (1655 წლის), Hd—14657, Hd—14677, Sd—605 (1656 წლის), Ad—915 (1657 წლის), Sd—514 (1663 წლის), ისტორიული არქივის ფ. 1448 № 2157 (1664 წლის) და Ad—967 (1672 წლის) დოკუმენტებში. ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენი კვირნიშანი გვაძლევს 1651—1672 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს (იხილეთ „ვეფხისტყაოსნის“ ამ კვირნიშნის ორი ნიმუში: 6, 7).

ჩვენს ფრაგმენტულ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა ამისა, დასტურდება ორი იშვიათი კვირნიშანი. ამ სახის კვირნიშნები დროის მეტად ხანმოკლე მანძილზე ხმარებაში ან უფრო მეტიც: — ისინი ქალალდის მხოლოდ ურთ პროლექციაში იხმარება და შემდეგ აღარ მეორდებიან.

კვირნიშან „სამი გორა ჩიტით“ (ემბლემატური ნაწილი) ახლავს ლიტერული ნაწილი (იხ. კვირნიშანი, № 8).

იგივე კვირნიშანი ზუსტად იმავე ლიტერული ნაწილით მე-17 საუკუნის ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და ხელნაწერ დოკუმენტებში შეგვხდა მხოლოდ ორგზის. ერთხელ A ფონდის № 1345 ხელნაწერში (სავარაუდოა იგივე კონტრმარკით, რაღაც მისი მხოლოდ ნაწილია გადარჩენილი). ეს ხელნაწერი უთარილია, ამიტომ იგი საქმეს არ შევლის. მეორედ ეს კვირნიშანი იგივე ლიტერული ნაწილით აღმოჩნდა H—1719 ხელნაწერში. ხელნაწერი თარიღიანია, გადაწერილია 1667 წელს. ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ამ უნიკალურმა კვირნიშნებმა კიდევ უფრო დააზუსტა პირველი კვირნიშნის ქრონოლოგიური მონაცემები.

„ვეფხისტყაოსნის“ მე-3 კვირნიშანი, აგრეთვე, უნიკალურია თავისი მოხაზულობით. მაგრამ ეს კვირნიშანი სხვადასხვა მოხაზულობით მე-14 საუკუნიდანაა ცნობილი. ს. მ. ბრიკეს ცნობარში, კვირნიშნების სახელწოდებათა ფრანგული ინდექსის მიხედვით ეს კვირნიშანი რიგით პირველია: „Agneau pascal“, „Пасхальныи агнец“, „ალდგომის კრავი“. XIV—XV და XVI საუკუნეებში ამ კვირნიშნის ენეციური ნიმუში ქართულ ხელნაწერებში არ აღმოჩნდა. ქართულ სიტელებში ეს კვირნიშანი პირველად 1640-იან წლებში ჩნდება. „ალდგომის კრავი წრეში“ დასტურდება თარიღიან ქართულ ხელნაწერებში: S—1594 (1647 წლის) და A—186 (1653—55 წლების). „ალდგომის კრავი თრმაგ წრეში“ (ლიტერით A დამატებითი ნიშნის სახით) გვხვდება Hd—2578 დოკუმენტში (1668 წლის) და საესებით იგივე სახით H—1336 ხელნაწერ წიგნში (1669 წლის). მაგრამ ეს კვირნიშანი გვხვდება უფრო აღრეც, მაგ., S—30 ხელნაწერში (1633—1646 წლების), ხოლო პიცუდით № 2838—1647 წელს. „ალდგომის კრავი პოსტამენტზე ფიგურალურ ფარზე“ შეგვხდა Qd—1678 დოკუმენტში (1655 წლის).



„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ჭირინიშანი „აღდგომის კრავი“ ფრაგმენტი რალურ ფარზეა და ამ მხრივ ცეცხლაზე უფრო ჩამოგაეს 1655 წლის დოკუმენტით ტის ჭირინიშანს. მაგრამ ამ ჭირინიშნისაგან განსხვავებით, „აღდგომის კრავი“ პისტამენტზე არ დგას (იხ. ჭირინიშანი № 9).

საცხებით ანალოგიური ჭირინიშანი აღმოჩნდა ქართულ სიძველეთაცავების ერთ დოკუმენტში — Ad—586. სამწუხაოდ, ეს დოკუმენტი უთარილად აღწერილობაში მე-17 საუკუნის მე-2 ნახევრით თარიღდება, დოკუმენტის რაობაა: სახლ-კარის მიბარების წიგნი, მიცემული მელენტიოს ჯვრის მამის მიერ ითხებ თბილელისათვის.

დოკუმენტში მოხსენიებულ ცნობილ ისტორიულ პირთა მიხედვით საბუთი მართლაც მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისაა, მაგრამ საბუთის ზუსტი დათარიღება აღვილად ხერხდება. ხელნაწერთა ინსტიტუტის იმავე Ad—ფონდში დაცულია ანალოგიური დოკუმენტი № 650. ე. ი. ერთდროულად შეუდგნიათ დოკუმენტი ორ ცალად. უკანასკნელ დოკუმენტს აქვს თარიღი: — 1666 წლის 14 მაისი. მეგარად, საცხებით უმცველია, რომ Ad—586 დოკუმენტი დაწერილია 1666 წელს.

საუკრადლებოა კიდევ ერთი დოკუმენტი Ad—100. ეს არის ჯვრის მამის მელენტიოსის ანგარიშის წიგნი. დოკუმენტი ასევე 1666 წელს არის დაწერილი. როგორც ჩანს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამა მელენტიოსი 1666 წელს თბილისში იმყოფება და ამ წლისა მის მიერ გაცემული დოკუმენტები.

მეგვარად, ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ (S—1418) ჭირინიშნები იძლევიან შემდეგ ქრონოლოგიურ მონაცემებს:

1. გვირგვინი ვარსკვლავ-მთვრით 50—70-იან წლებს და, კერძოდ, 1651—1672 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს.

2. „სამი გორა ჩიტით“ — 1667 წელს.

3. „აღდგომის კრავი ფიგურალურ ფარზე“ — 1666 წელს.

„ვეფხისტყაოსნის“ S—1418 გადაწერილია, დაახლოებით, 1666—67 წლებში.

4. „ვეფხისტყაოსნის“, H—3249. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი ფრაგმენტულია. ერთი ფურცელია. გადაწერილია ჭირინიშნიან იტალიურ ქაღალდზე. სავალალოდ, ეს ერთი ფურცელი იმდენად დაზიანებულია, რომ ჭირინიშნი კერ ამოვიცანით. გაურკვევლად ჩანს ნიშანი ოვალზე და ოვალის თავზე. ქაღალდის სპეციფიკა მე-17 საუკუნეს მიგვანიშნებს.

5. „ვეფხისტყაოსნის“, A—363. უთარილო. გადაწერილია ჭირინიშნიან იტალიურ ქაღალდზე.

ამ ხელნაწერს სხვადასხვანაირად ათარიღებენ. თ. ფორდანია — XVI საუკუნით, პ. ინგოროვე — XVII საუკუნის დასასრულით, გ. იმედაშვილი — XVI—XVII საუკუნეებით (უფრო ზუსტად ამ საუკუნეთა მიჯნით) და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ხელნაწერში გვხდება XVII საუკუნეში ძალიან გაერცელებული ჭირინიშნები, ე. წ. დომინინტური ჭირინიშნის სხვადასხვა სახეობანი. თავის მხრივ თითოეული ეს სახეობა დროთა მანძილზე განიცდიდა ცვლილებებს. უკვე შესწავლილია ამ ჭირინიშნის ყველა სახეობის ქრონოლოგიური საზღვრები და თითოეული მათგანის ცვლილება-განვითარების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა.



XVII საუკუნის ამ დომინანტურ ჭეირნიშანს ეწოდება „გვირგვინი ვეფხისტური დელა-მთვარით“. ეს ჭეირნიშანი გვხდება ორგორუ მხოლოდ ემბლემატური სახით, აგრეთვე, ლიტერით, ანუ კონტრმარკით და დამატებითი ნიშნით.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს ხელნაშერში ამ ჭეირნიშნის ყველა სახეობა ლიტერისა და დამატებითი ნიშნების გარეშე გვხდება. ეს გარემოება აძნე-ლებს ხელნაშერის დათარილებას, მაგრამ ჩვენი ჭეირნიშნების ემბლემატური თავისებურებანიც იძლევიან შესაძლებლობას ზუსტად დავთარილოთ „ვე-ფხისტყაოსნის“ ეს ხელნაშერი.

განვიხილოთ ამ ჭეირნიშნის ყოველი სახეობა, რომელიც ხელნაშერში დასტურდებიან.

ა. დიდი და მცირე ფორმისა (იხ. ჭეირნიშანი № 10, 11). „ვეფხისტყაოს-ნის“ ეს ჭეირნიშანი დასტურდება: H—342 ხელნაშერში (1661 წლის), საისტ. არქ. ფ. 1448 № 2945 (1663 წლის), Hd—2433 (1665 წლის), Hd—2246 (1666 წლის) ღოუმენტებში, H—1719 ხელნაშერში (1667 წლის), Hd—4808 ღოუმენტში (1667 წლის); H—1064 ხელნაშერში (1669 წლის), საისტ. არქ. ფ. 1448 № 2331 (1669 წლის) და Hd—2513 (1681 წლის) ღოუმენტებში. განსაკუთრებით იღენტურია „ვეფხისტყაოსნის“ ჭეირნიშანი 1669 წლის ხელ-ნაშერების ჭეირნიშნებისა. ამიტომ უნდა ვითქმოთ, რომ იგი არ წყვეტს თა-ვის არსებობას 1669 წელს, თუმცა ამ ჭეირნიშნის სრული ანალოგია უფრო გვიან არ შეგვხედრია, მისი არსებობა, იქნებ, 1675 წლამდე უნდა ვი-ვარაუდოთ. ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ჭეირნიშანი გვაძლევს 1661—1681 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ჭეირნიშნის სრული ანალოგია შესაძლებელია 1669—1675 წლებით შემოიფარგლოს.

ბ. გვირგვინი გარსკვლავ-მთვარით (ერთხაზიანი), (იხ. ჭეირნიშნი № 12).

ჭეირნიშნის „გვირგვინი გარსკვლავ-მთვარით“. ეს სახეობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაშერში გვხდება, გვაძლევს შემდევ სათარილო მაჩე-ნებლებს: საისტ. არქ. ფ. 1448 № 2155—1660—62 წლებს, H—1742 თარი-ლოანი ხელნაშერი — 1664 წელს; H—1719 თარილიანი ხელნაშერი — 1667 წელს, აგრეთვე, გვხდება A—57-სა და სხვა უთარილო ხელნაშერებში. უფრო გვიან ჩვენი ჭეირნიშნის ცენტრალური რომბისებური ნიშანი იცვლება მსხლი-სებური ნიშნით (მაგ., Hd—1690 დოკ. 1675 წლისა; Ad—1610 დოკ. 1700 წლ., A—57 უთარილო და სხვ.).

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ჭეირნიშანი გვაძლევს 1660—62—1670 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს (ციძლევით ჭეირნიშნის არსებობის მაქსიმა-ლურ შესაძლებელ პერიოდს, უფრო გვიან მისი არსებობა გამოირიცხულია).

გ. გვირგვინი გარსკვლავ-მთვარით (ორთხაზიანი) (იხ. ჭეირნიშანი № 13).

წინა ჭეირნიშნისაგან განსხვავებით, იგი ორხაზიანი გვირგვინის არის. ჭეირნიშანი გვხდება:

H—380 ხელნაშერი, რომელიც დღემდე 1635 წლით (sic!) თარილდება ამ ხელნაშერის თარილი ჩეენ უარყავით მოხსენებაში, რომელიც ხელნაშერ-თა ინსტრიტუტში წევიცითხეთ. ამგვარად, სათარილო მაჩენებლად ეს ხელნა-შერი არ გამოდგება. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ჭეირნიშანი ყველაზე ძირე გვხდება 1642 წლის Qd—6740 თარილიან ღოუმენტში, ამ ღოუმენტის რაობაა: „ყმა-მამულის შეწირულების წიგნი მიცემული ლევან დადიანისა და გიორგი ლიპარტიანის მიერ ღოთისმშობლის მონასტრისათვეს“, ქართულ და



უცხოურ ხელნაწერებში ეს ჭვირნიშანი ასე აღრე აღარ შეგვხვედრია. ჭვირნიშანი ნიშანი თავს იჩენს 1660-იან წლებიდან: Hd—9466 (1660 წლის); Sd—49 (1661 წლის); Ad—1336 (1671 წლის) და საისტ. არქ. ფ. 1448 № 534 (1674 წლის) თარიღიან დოკუმენტში. უფრო გვიან ჭვირნიშანის გვირვაინის ცენტ-რალური რომბისებური ნიშანი მსხლისებური ნიშნით იცვლება. ამგვარად, „ეფთხისტყაოსნის“ ეს ჭვირნიშანი გვაძლევს ძირითად 1660—1674 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს.

დ. გაურკვეველი შოთაზულობის გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით (იხ. ჭვირნიშანი, № 14).

ეს ჭვირნიშანი ყველან, სადაც კი შეგვხვდა, ძალიან ცუდად ჩანს, ამი-ტომ მისი ზუსტი ამოხატვა, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა. ეს გაურკვეველი ჭვირნიშანი დასტურდება H—342 (1661 წლის), A—179 (1669 წლის) თარი-ღიან ხელნაწერებში და Hd—13025 თარიღიან დოკუმენტში (1672 წლის). ეს. ნიკოლაევის ცნობარში არის ერთი ნიმუში ამ ჭვირნიშანის № 241—1671 წლისა. ამრიგად, ეს გაურკვეველი ჭვირნიშანი გვაძლევს 1661—1672 წლე-ბის ქრონოლოგიურ პერიოდს.

ე. გვირგვინი რვაქიმიანი ვარსკვლავით და მთვარით (იხ. ჭვირნიშანი № 15).

ეს არის მეტად იშვიათი სახეობა ჭვირნიშანისა „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“. იგი შეგვხვდა მხოლოდ საგზის. „ეფთხისტყაოსნის“ ამ ხელნაწერ-ში (A—363), A—1023, აგრეთვე, უთარილო ხელნაწერში და A—179, 1669 წლის თარიღიან ხელნაწერში. ეს. ნიკოლაევის ცნობარში არის ერთადერთი ნიმუში ამ ჭვირნიშანის — № 262, რომელიც იძლევა უფრო გვიანდელ თა-რიდა, 1679 წელს. ეს გარემოება არაფერს ცვლის, რადგან ეს უკანასკნელი ჭვირნიშანი, როგორც ჩანს, გვხვდება უფრო გვიანაც სხვადასხვა ლიტერატით. უკანასკნელად ეს ჭვირნიშანი (ლიტერით) შემხვდა 1736 წლის Q—56 თარი-ღიან ხელნაწერში. „ეფთხისტყაოსნის“ ხელნაწერში ჩვენი ჭვირნიშანი გვხვდე-ბა ულიტეროდ და სხვა ადრეულ ჭვირნიშნებს შორის, ამიტომ ძალიან ნიშ-ნეულია A—179 ხელნაწერის ჩვენება, რომელიც 1669 წელსაა გადაწერილი და სადაც ჩვენი ჭვირნიშანი, აგრეთვე, ულიტეროდ დასტურდება. ამგვარად, A—363 ხელნაწერი „ეფთხისტყაოსნის“ ჭვირნიშნები გვაძლევენ შემდეგ ქრო-ნოლოგიურ მონაცემებს:

1. 1669 — 1675 წწ.
2. 1660—62 — 1670 წწ.
3. 1660 — 1674 წწ.
4. 1661 — 1672 წწ.
5. 1669 წ.

ჭვირნიშნები განსაკუთრებული დაქინებით უთითებენ 1670 წელს, ან 1670 წლის ძალიან ახლო დროს.

ჭვირნიშნების მონაცემების საფუძველზე A—363 ხელნაწერი „ეფთხის-ტყაოსნი“ გადაწერილი უნდა იყოს 1669—1670 წლებში.

6. „ეფთხისტყაოსნი“, Q—930, უთარილო, გადაწერილია იტალიურ ჭვირ-ნიშანის „ქალალზე“. ხელნაწერის ქალალი ძალიან დაზიანებულია და ამიტო-მაც ჭვირნიშანის მხოლოდ ფრაგმენტები თუ გაიჩევა. არა სპეციალისტისათ-ვის ამ ხელნაწერის ჭვირნიშნების ამონბობა შეუძლებელია. ჩვენ შეძლები-

სამებრ აღვადგინეთ ხელნაწერის ჭვირნიშნები, რის შედეგად შესაძლებელია გახდა ხელნაწერის ზუსტი დათარილებაც.

ხელნაწერში გვხვდება შემდეგი ჭვირნიშნები:

ა. გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით (იხ. ჭვირნიშნის ამ სახეობის სამი სეფალასხვა ნიმუში: № 16, 17, 18).

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ჭვირნიშანი დასტურდება: H—342 ხელნაწერში (1661 წლის); საისტ. არქ. ფ. 1448, № 2937, Hd—1786 (1664 წლის), Ad—1753 (1764 წლის), საისტ. არქ. ფ. 1448, № 2937, Hd—10346 (1664 წლის), Ad—965, Sd—533, Hd—13128 (1666 წლის), საისტ. არქ. ფ. 1448, № 2141 (1667—1673 წლების) დოკუმენტებში; H—1064, A—179 (1669 წლის) ხელნაწერებში; Ad—1280 (1670 წლის), Ad—1667 (1673 წლის) დოკუმენტებში; H—1452 (1674 წლის) ხელნაწერში; Ad—553 (1675 წლის), Sd—537 (1677 წლის); Sd—509 (1680 წლის) დოკუმენტებში. ამგარად, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ჭვირნიშანი გვაძლევს 1661—1680 წლების ქრისტიანული მაგრამ, მოხაზულობის სპეციფიკური ნიშნ-თვისების გამო, „ვეფხისტყაოსნის“ ჭვირნიშანი ანალოგისა ჭვირნიშნის ამ სახეობის აღრეულ ნიმუშებთან პოულობს. ამიტომ ეს ჭვირნიშანი 1661—1665 წლების პერიოდით იფარებლება.

ბ. გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით (ორხაზიანი): (იხ. ჭვირნიშანი 19).

ეს ჭვირნიშანი A—363 „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ერთ-ერთი ჭირნიშნის ანალოგიურია. მისი ქრისტიანული საზღვრები უკვე გამორჩეულია — 1661—1674 წლები.

გ. იგივე ჭვირნიშანი დამატებითი ნიშნითა და კონტრმარკით (იხ. ჭვირნიშანი № 20).

ჭვირნიშნის ეს სახესხვაობა დამატებითი ნიშნითა და კონტრმარკით სხვა-გან არსად შეგვხვედრია. უყრადღებას იქცევს შვეულების (პონტიუზის) გან-ლაგება ჭვირნიშანზე. შვეულების ასეთი განლაგება გვხვდება ძალიან აღრე, მაგ., 1660 წლის Hd—9466 დოკუმენტში, მაგრამ გვხვდება გვიანაც.

დ. გაურკვეველი მოხაზულობის გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარითა და კონტრმარკით (იხ. ჭვირნიშანი № 21).

როგორც უკვე აღვნიშნეთ (A—363 „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ჭვირ-ნიშნების განნილვისას), გაურკვეველი მოხაზულობის ჭვირნიშანი გვაძლევს, 1661—1672 წლების ქრისტიანული პერიოდს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ჭვირნიშანი გვხვდება კონტრმარკებით. რო-გორც წესი, ვენეციური ჭვირნიშნის ლიტერული ნაწილი (კონტრმარკა) მოთხვებულია ფურცლის კიდეში, ხოლო ძალიან იშვიათად — ფურცლის შუაში. Q—930 ხელნაწერში ამ იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ჭვირნიშნის ემბლემატურ ნაწილს ახლავს კონტრმარკა, ერთის მაგიერ თრი (არის ასეთი შემთხვევებიც), ერთი ფურცლის კიდეში, ხოლო მეორე — ფურ-ცლის შუაში.

იგივე გაურკვეველი მოხაზულობის ჭვირნიშანი იმავე ლიტერული ნა-წილით ფურცლის შუაში, ე. ი. სრული ანალოგია, გვხვდება H—342 ხელნა-წერში. ეს ხელნაწერი თარიღიანია (1661 წლის).

ამგვარად, Q—930 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ჭვირნიშნების ანალი-ზის შედეგად იგი თამაბად შეიძლება დათარილდეს 1661—1665 წლებით.

7. „ვეფხისტყაოსნი“, Q—261 უთარილო. გადაწერილია ჭვირნიშნიან. იტალიურ ქაღალდზე.

ვიდრე ამ ხელნაწერის ჭვირნიშნების ქრონოგიური მონაცემების შექმნაში სახებ ვიტყოდეთ რასმე, წინასწარ უნდა აღვნიშნოთ:

საქართველოში მე-16, მე-17 საუკუნეებში ძირითადად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) შემოდის სპეციფიკური სქელი ქალალდი, სპეციფიკური ჭვირნიშნებით. სქელი ქალალდი აღმოსავლური დამწერლობისთვისაა გამიზიცული. იგივე ქალალდი კარგი გამოსაღევია ქართული ნუსხური დამწერლობისათვის.

შე-17 საუკუნის 30-იან წლებიდან საქართველოში დიდი რაოდნობით შემოდის სპარსული თხელი ქალალდი. ამ ქალალდს უმეტესად ხმარობენ დოკუმენტებად, რომელგანც მხედრული დამწერლობით წერენ, აგრეთვე, საერო მწერლობის ძეგლებისათვის. სპარსული ქალალდი ძალიან თხელია, მაგრამ „მწვე“ გალესილია და მელანს არ ატარებს. მხედრული დამწერლობისათვის ასეთი ქალალდი საუკეთესოა. მიტომ ქართული საერო ძეგლები ხმირ შემთხვევაში გადაწერილია თხელ, საუკეთესო სპარსულ ქალალდზე.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში განხდა თხელი იტალიური ქალალდი, რომელიც, სპარსული ქალალდის მსგავსად, „მწვე“ გალესილია. ეს ქალალდი არაფრით ჩამოუვარდება სპარსულ ქალალდს და სპარსულ ქალალდს ცვლის. ასეთი თხელი „მწვე“ გალესილი იტალიური ქალალდი მე-17 საუკუნის საქართველოში შედარებით ცოტაა. ამ ქალალდს ძირითადად მხედრული დამწერლობისთვის ხმარობენ. მაგრამ იგივე ქალალდი ნუსხური დამწერლობისთვისაც კარგია. თხელი იტალიური ქალალდის ჭვირნიშნების უმეტესობა ძალიან განსხვავდება მე-17 საუკუნის ჩვეულებრივი სქელი იტალიური ქალალდის ჭვირნიშნებისაგან. ასეთი ჭვირნიშნები შედარებით იშვიათია და მათი ქრონოლოგიური მონაცემების გამორჩევა უფრო ძნელია. ეს თხელი იტალიური ქალალდი, როგორც ჩანს, კონკურენციას უწევს სპარსულ თხელ ქალალდს. ამ თხელი იტალიური ქალალდის სადაცარობა გაშორებული გვაქვს. ეს ქალალდი ბერგამელი წარმოშობისაა. პირველად ასეთი თხელი იტალიური ქალალდი, სპეციფიკური, საესებით განსხვავებული ჭვირნიშნით შემხედა 1672 წლის ორ თარიღიან ხელნაწერში: A—243 და Q—206. ორივე ხელნაწერი გადაწერილია 1672 წელს. ორივეში ერთი და იგივე ჭვირნიშანი დასტურდება. იგივე ჭვირნიშანი აღმოჩნდა H—885 უთარილო ხელნაწერში (იხ. ჭვირნიშანი № 22).

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ Q—261 გადაწერილია სწორედ ასეთ თხელ იტალიურ ქალალდზე. ხელნაწერში დასტურდება სამი სხვადასხვა ჭვირნიშანი. უფრო სწორად — ორი, მაგრამ ერთ-ერთი მთვანის არი ვარიაცია. ამ ვარიაციული ჭვირნიშნის რაობა გაურკვეველია. მისი ემბლემატიკა უცნობია (იხ. ჭვირნიშნები № 23, 24).

ჭვირნიშნის კრიფიკურაცია რთულია, ხოლო, რადგან ჭვირნიშანი მეტად წვრილი მაგალითებისაგან არის მოქსოვილი, მისი ამოხატვა ძალიან ძნელია. ამ ჭვირნიშნის სახესხვაობათა ქრონოლოგის დადგენა ამიტომც, ჯერჯერობით, შეუძლებელია, მით უმეტეს, ეს ჭვირნიშანი ქართულ ხელნაწერებში ძალიან იშვიათად გვხვდება.

უველაზე აღრე ეს ჭვირნიშანი შეგხვდა H—98 ხელნაწერში (1681 წლის). იგი გადაწერილია ჩვეულებრივ სქელ იტალიურ ქალალდზე, რომლის ჭვირნიშანია დამინანტური ჭვირნიშნის — „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“ — ერთ-ერთი სახეობა. მაგრამ ხელნაწერში არის თხელი იტალიური ქალალდიც, რომელსაც ჩვენთვის სინტერესობრივი ჭვირნიშანი დაჲყა. ეს არის ჭვირნიშნის ყველაზე დასტურდება.



ლაზე ადრეული დადასტურება ქართულ ხელნაწერებში (ამ ხელნაწერში უკვეთოყოფა ნიშნის მე-2, დიდი ფორმა დასტურდება).

საინტერესოა ხელნაწერი A—633. ამ ხელნაწერში დასტურდება ცვირიშნის ირივე — მცირე და დიდი ფორმა. სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი უთარილოა. მიუხედავად ამისა, ხელნაწერს, სხვა ცვირნიშნების ქრონოლოგიური მონაცემების წყალობით, 1690-იანი წლების დასაწყისით ვათარილებ.

შემდეგ იგივე ცვირნიშანი ფრაგმენტული სახით შეგვხდა Hd—1827 უთარილო დოკუმენტში. დოკუმენტის რაობაა: „ლიჩის მოურაობის წყალობის წიგნი მიცემული ალექსანდრე მეფის მეორ ქაიხოსრო წერეთლისათვის“.

მდივანმწურიგნობარია: „დაიწერა წიგნი ესე მეფის კარის გამოსრულის, მდივან მწიგნობარის თავიქარაშვილის გიორგისათა“. მდივანმწურიგნობარია: „დაიწერა წიგნი ესე მეფის კარის გამოსრულის, მდივან მწიგნობარის თავიქარაშვილის გიორგისათა“.

საბუთში მოხსენიებულია ისტორიული პირები: მეფეთ მეფე ალექსანდრე, ქაიხოსრო წერეთლი, მისი ძენი — ქველი, პაპუნა, ვახუშტი.

საბუთი გამოცემული აქვს აწ განსევნებულ შოთა ბურჯანაძეს (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. წიგნი I, № 14 თბილისი, 1958).

ამ უთარილო დოკუმენტს შოთა ბურჯანაძე, Sd—515 დოკუმენტის მოშველიებითა და ონალოგით, 1691 წლის ახლო დროით ათარილებს. დოკუმენტის ბურჯანაძისეული დათარილება სწორი და ზუსტია.

შემდეგ, იგივე ცვირნიშანი მცირე ფორმისა დასტურდება 1694 წლის Hd—14083 თარილიან დოკუმენტში („ქასა ტბა, აგვისტოს სამს გასულსა“).

შემდეგ, იგივე ცვირნიშანი დიდი ფორმისა დასტურდება ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული ფონდის № 677 ხელნაწერში. ხელნაწერი თარიღიანია პიგრით 1104 (ე. ი. 1692—1693 წლებისა).

1690-იანი წლების შემდგომ, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ცვირნიშანი ხელნაწერ ფონდებში აღარ ჩანს, ე. ი. 1690-იანი წლების შემდგომ ცვირნიშნის არსებობა დასრულდა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ცვირნიშანი შემდეგ ქრონოლოგიურ ფარგლებში თავსდება:

1. H —98 —1681 წელი
2. A —633 —1690-იანი წლების დამდეგი
3. Hd—1827 —1691 წლის ახლო
4. P —677 —1692—93 წლები
5. Hd—14083—1694 წელი

ამ ცვირნიშნის ქრონოლოგიურ მონაცემებს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ დათარილებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაღაც Q—261 ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნაში“ დასტურდება ცვირნიშნის ორივე ვარიაცია — მცირე და დიდი, მინიჭ „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი არა ადრეული 1680-იანი, არამედ უფრო გვიანდელი 1690—1695 წლებით უნდა დავათარილოთ, უფრო ზუსტად 1690 წლის ახლო დროით. ამ დათარილებას ერთგვარად მხარს უჭერს ხელნაწერის მე-2 ცვირნიშნიც (იხ. ცვირნიშანი № 25).

ამ ცვირნიშნის ემბლემაზე გაურკვეველია. რუსი პალეოგრაფის — ნ. პ. ლიხაჩოვის ცნობარში არის ერთადერთი ნიმუში ამ ცვირნიშნისა № 3539 კონტრამარკით. პატიცეცმული შეცრივი ამ ცვირნიშნის შესახებ ამბობს:

„Непонятная фигура рисунка...“ „Из письма Марии Гонзаги“, герцогини Мантуанской, от 1641 года².

ქართულ ხელნაშერებში ეს ჭვირნიშანი საქმაოდ გავრცელებულია, მაგრამ არ XVII, არამედ XVIII საუკუნეში. მაგალითად, ეს ჭვირნიშანი გვხდება: საისტ. არქივის ფ. 1448 № 549 (1707 წლის) დოკუმენტში. ხელნაშერთა ინსტიტუტის სპარსული ფონდის P—25 (1708 წლის), ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 369 (1733 წლის), A—122 (1749 წლის) (სხვადასხვა კონტრამარკებით) და ბოლოს A—652 ხელნაშერში (1788 წლის). უაღრეს 1707 წლისა, ეს ჭვირნიშანი არ შეგვხედრია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი უფრო ადრე არ არსებობდა. ის განეკუთვნება იმ ჭვირნიშნების სახეობას, რომელიც საუკუნეების მანძილზე იხმარებიან, კერძოდ, იგი შეიძლება ცოტად თუ ბევრად, შევადაროთ ჭვირნიშან „სამი მთვარესა“. მსგავსად „სამი მთვარისა“, ეს ჭვირნიშანი სამი ემბლემატური ნაწილისაგან შედგება, ხანგრძლივ იხმარება და მისი ქრონოლოგიური მონაცემების დადგენა, იქნებ, კიდევ უფრო ძნელიცაა, ვიდრე „სამი მთვარისა“. ამ ჭვირნიშნის ერთადერთ ქრონოლოგიურ საფუძვლად ჭვირნიშნის კონტრმარკა უნდა მივიჩნიოთ.

ამგვარად, როგორც უკვე ვთქვით, თუმცა ეს ჭვირნიშან მე-17 საუკუნის ქართულ წყაროებში არ შეგვხედრია, მე-17 საუკუნეში მისი არსებობა გამორიცხული არა. ამას ადასტურებს თუნდაც ცნობილი რუსი პალეოგრაფის ნ. ა. ლიხაჩევის ჩვენებაც, რომელსაც ეს ჭვირნიშანი უკვე 1641 წლის დოკუმენტში აქვს მიკვლეული.

ამას გარდა ჭვირნიშნის კონტრმარკა ქართულ ხელნაშერებში ძალიან ხშირად გვხვდება და 1680—1690-იან წლებს მიუთითებს.

Q—261 ხელნაშერი „ვეფხისტყაოსანი“ ჭვირნიშნების მონაცემების საფუძველზე 1690 წლის ახლო დროით თარიღდება.

8. „ვეფხისტყაოსანი“, S—2829. გადაწერილია თხელ, „მწვე“ გალესილ რტალიურ ჭვირნიშნიან ქალალზე. ხელნაშერი თარიღიანია. გადაწერილია 1688 წელს (იხ. ჭვირნიშნი № 26).

ჭვირნიშანს ლიტერული ნაწილი არ ახლავს, მაგრამ ლიტერი თვით ჭვირნიშნის ემბლემატურ ნაწილშია ჩაქსოვილი. საერთოდ უნდა აღნინიშნოს, რომ ზოგიერთი სპეციფიკური იტალიური ჭვირნიშანი ძალიან იშვიათად გვხვდება, ე. ი. ასეთი ჭვირნიშნები, როგორც ჩანს, ქალალის მხოლოდ ერთ პროდუქციაში იჩენენ თავს და შემდეგ უკვე აღარ მეორდებიან. ასე უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც. „ვეფხისტყაოსანის“ ეს ჭვირნიშანი ქართულ ფონდებში შეგვხვდა მხოლოდ სამეცე: A—104, A—125 და S—174 უთარილო ხელნაშერებში. ამ ხელნაშერების ჭვირნიშნის იგივეობის მიკვლევის შემდგომ, ხელნაშერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ ბრეგაძემ გამოარკვია, რომ ორი პირველი ხელნაშერი ერთი ხელნაშერის ნაწილები ყოფილა. ამგვარად, ეს ჭვირნიშნი, ფაქტიურად, მხოლოდ სამ ხელნაშერებში გვხვდება: „ვეფხისტყაოსანის“ თანიღიან ხელნაშერში (1688 წლის) და უთარილო A—104, A—125 და S—174 ხელნაშერებში. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ეს ხელნაშერებიც 1688 წლის ახლო დროს გადაუშერიათ.

² Н. П. Лихачев. Палеографическое значение бумажных водяных знаков, Часть I, С. Петербург, 1899.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ჭვირნიშანში ჩაქსოვილი ლიტერი SPDA ფირმის ლიტერები უნდა იყოს. ეს ლიტერები გვხვდება სხვადასხვა ჭვირნიშანში ნების ლიტერებად. მაგალითად, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 368 თა-რიონან ხელნაწერში (1687 წლის), A—158 უთარილო ხელნაწერში, 1712 წლის ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსნაში“. ეს ვითარება ერთხელ კიდევ ცხად-ყოფს იმ გარემოებას, რომ ფირმა იმეორებს თავის ლიტერს, მაგრამ გამუღმე-ბით ცვლის ჭვირნიშნის ემბლემატიკას (ამ შემთხვევაში, მაგრამ უფრო ხში-რად ხდება პირუკუ).

დაახლოებით ერთ ძროს, XVII საუკუნის უკანასკნელ ათწლედშია გა-დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხუთი ხელნაწერი: K—205, S—4988, S—4499, H—461, H—2610.

ამ გარემოებას ცხადყოფს როგორც ქაღალდი, ასევე ქაღალდის ჭვირნიშ-ები. ამიტომ ამ ხელნაწერებს ერთდროულად განკითილავთ. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს შევსუდაროთ ხელნაწერების ჭვირნიშნები. ჭვირნიშნე-ბით ხელნაწერებს ბევრი აქვთ საერთო.

ამ ხუთი ხელნაწერიდან პირველ ოთხში გვხვდება ერთი და იგივე ჭვირ-ნიშანი — გვირგვინი მტევნით, მათ შორის ჩართული ლიტერით (იხ. ჭვირ-ნიშანი № 27).

ამგვარად, თხელი იტალიური ქაღალდის ეს ჭვირნიშანი დადასტურდა ოთხ უთარილო ხელნაწერში (K—205, S—4988, S—4499, H—461). უპირვე-ლეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეს ჭვირნიშანი ძალიან გავს S—2829 ხელნა-წერის ჭვირნიშანს (1688 წლის) — № 26. განსხვავებაა მხოლოდ ლიტერში. აძირომ ეს ჭვირნიშანიც 1688 წელს ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს.

ეს ჭვირნიშანი, გარდა ვეფხისტყაოსნის ოთხი ხელნაწერისა, შეგვხდა: ა. A—788 ხელნაწერ „როსტრომიანში“. ხელნაწერი სულ 28 ფურცელია და, სამწუხაროდ, უთარილოა.

ბ. S—393 ხელნაწერ „ამირანდარეჯანიანში“. ხელნაწერი ნაკლულია, აღ-წერილობით დათარიღებულია XVIII საუკუნით და ამგვარად ეს ხელნაწერიც უთარილოა.

გ. H—2140 ფარსადან გორგიჭანიძისეულ ხელნაწერში. ხელნაწერი უთა-რილოა, მაგრამ ისტორიული რეალებით 1696—1700 წლებით თარიღდება.

დ. P—129 ხელნაწერში (ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსული ფონდის ეს ხელნაწერი თარილიანია — 1694 წლის).

ამგვარად, ეს ჭვირნიშანი გვაძლევს, დაახლოებით, XVII საუკუნის 90-იანი წლების ქრონოლოგიურ პერიოდს. ეს ვარაუდი დასტურდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

9. „ვეფხისტყაოსანი“, K—205. უკვე განხილული ჭვირნიშნის გარდა, ხელნაწერში გვხვდება მეორე სახის გვირგვინი ლიტერით და კონტრმარკად სტილიზებული მტევნი. ეს ჭვირნიშანი განსაკუთრებით იშვიათია და აღმოჩ-ნდა კიდევ მხოლოდ ერთხელ ქუთაისის მუზეუმის № 368 თარილიან ხელნა-წერში (1687 წლის) (იხ. ჭვირნიშანი № 28).

K—205 ხელნაწერის ორივე ჭვირნიშნის წყალობით ეს ხელნაწერი უნდა დათარილდეს ან 1680-იანი წლების დასარულით, ან 1690-იანი წლების დამ-დაგით. ე. ი. ამავე ძროისა უნდა იყოს ხელნაწერის მე-3 ჭვირნიშანიც — ბუ-კი სტილიზებულ ფარზე, გვირგვინით (იხ. ჭვირნიშანი № 29).

ამას გარდა, ხელნაწერი K—205, როგორც ჩანს, დაზიანებულა და აღუდ-
გენიათ მე-18 საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში. ამის დამამტკიცებელია რამ-
დენიმე ფურცლის იტალიური ჭვირნიშანი ამ გვიანი, მე-18 საუკუნის დაზიანებულა
სა (იხ. ჭვირნიშანი № 30).

10. „ვეფხისტყაოსანი“, S—4988. ამ ხელნაწერში გვხვდება იგივე ორი
ჭვირნიშანი, რაც K—205 ხელნაწერში, ერძოდ, გვირგვინი მტევნით, მათ
შორის ჩართული ლატერით და ბუკი სტილიზებულ ფარზე გვირგვინით. ამი-
ტომ შეუძლებელია ეს ხელნაწერი 1690-იანი წლების დამდეგზე გვიანდელი
იყოს (იხილეთ წინა ხელნაწერის ჭვირნიშნები).

11. „ვეფხისტყაოსანი“, S—4499. ამ ხელნაწერში გვხვდება ჭვირნიშ-
ნის — „გვირგვინი მტევნით“ — ორი სახეობა. ერთი მათგანი K—205 და S—
4988 ხელნაწერებში დასტურდება (იხ. ჭვირნიშანი № 27) და, ამდენად, 1690-
იან წლებს მიუთითებს. ხელნაწერის მეორე ჭვირნიშანი (იხ. ჭვირნიშანი № 31)
მსგავსებას და პარალელს პოულობს H—461 ხელნაწერის ჭვირნიშანთან, და
90-იან წლებზე გვიანდელი არ არის (ეს ჭვირნიშანი ხელნაწერში გაურკვევე-
ლია, განსაკუთრებით გაურკვეველია ჭვირნიშანში ჩართული ლიტერი). რო-
გორც ჭვირნიშნის ემბლემატიკა, აგრეთვე ჭვირნიშნის ლიტერი ჩვენ მიერ
აღდგენილია სხვადასხვა ხელნაწერებში დაცული ჭვირნიშნების საშუალებით).

12. „ვეფხისტყაოსანი“, H—461. ამ ხელნაწერში დასტურდება იგივე
ჭვირნიშანი — „გვირგვინი მტევნით“, რაც წინა სამ ხელნაწერში. აგრეთვე,
ამავე სახელწოდების ჭვირნიშნის სახეობა. უკანასკნელი ჭვირნიშანი, როგორც
აღნიშნეთ, მსგავსებას ამჟღავნებს S—4499 ხელნაწერის ჭვირნიშანთან. ორი-
ვე ხელნაწერი — S—4499 და H—461—XVII საუკუნის 90-იანი წლების და-
სტასრულის უნდა იყოს და არა უგვიანეს XVII—XVIII საუკუნეების მიჯნისა.
(იხილეთ ამ ხელნაწერის სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებული ჭვირნიშანი
№ 32).

ქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერი H—461, როგორც ჩანს, დაზიანე-
ბულა და იგი მოგვიანებით აღუდგენიათ. ამგარად, შეიძლება ვილაპარაკონო
ხელნაწერის გვიანდელი ნაწილის შესახებ. ხელნაწერის გვიანდელი ნაწილის
ჭვირნიშნები რუსული ჭვირნიშნებია. ასეთივე რუსულ ჭვირნიშნიან ქაღალდ-
ზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსანის“ კიდევ ერთი ხელნაწერი — Q—799, რო-
გორიც აღწერილობით მე-19 საუკუნის ხელნაწერად არის მიჩნეული, რაც
სწორი არ არის. H—461 ხელნაწერის გვიანდელი ნაწილისა და Q—799 ხელ-
ნაწერის ერთი და იგივე ჭვირნიშანია რუსული ლიტერები BФ და CT. ს. ა.
კლებივოვის მიერ გაშიფრული ეს ლიტერები ნიშანები: ვილოდსკა ფაბრიკა
იმედის თორუნტაევსკი. ს. კლებივოვის ცონბარში ეს ჭვირნიშანი
№ 151 გვაძლევს 1765—1776 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს.

რუსული ჭვირნიშნის მონაცემების საფუძველზე, H—461 ხელნაწერის
გვიანდელი ნაწილი და Q—799 ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ გადაწერილი
უნდა იყოს, დაახლოებით, 1765—1776 წლებში (იხ. ჭვირნიშანი № 33).

ამას გარდა, H—461 ხელნაწერში არის კიდევ ერთი რუსული ჭვირნიშა-
ნი, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს ხელნაწერის გვიანდელი ნაწილის გადა-
წერის თარიღს. ჭვირნიშანია რუსული ლიტერები: ФК და ПР (იხ. ჭვირნიშანი
№ 34).

ს. ა. კლებიკოვის მიერ გაშიფრული ეს ლიტერები ნიშნავს: **Фабрика князя Петра Репнина.** ს. კლებიკოვის ცნობარში ეს კვირნიშანი № 704 გვირჩევა 1768—1774 წლების ქრისტიანულ პერიოდს.

ამგარად, H—461 ხელნაწერის გვიანდელი ნაწილის ორივე რუსული კვირნიშანი გვაძლევს უფლებას ხელნაწერის გვიანდელი ნაწილი დაახლოებით 1770 წლის ახლო დროით დაკარილოთ.

13. „ვეფხისტყაოსანი“, H—2610. ხელნაწერის კვირნიშანია „ბუკი სტილზებულ ფარზე, გვირვენით“ (იხ. კვირნიშანი № 35).

ეს კვირნიშანი ქართულ ხელნაწერებში გვხდება XVII საუკუნის დასახულიდან. მსგავსი კვირნიშანი არის K—205, S—4988 „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, აგრეთვე, H—2140—1696—1700 წლების ხელნაწერებში. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი ან უნდა იყოს XVII საუკუნის მიწურულისა, ან XVIII საუკუნის დამდევისა (1700—1702 წლებისა).

14. „ვეფხისტყაოსანი“, Q—799, რომელიც როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გადაწერილია ისეთივე რუსულ კვირნიშანის ქაღალდზე, როგორზედაც H—461-ის მოგვიანებით აღდგენილი ნაწილი (იხ. კვირნიშანი № 33).

15. „ვეფხისტყაოსანი“, S—1675ა. გადაწერილია იტალიურ ქაღალდზე. სულ ორი ფურცელია. ფურცლების ამ ცალებს კვირნიშანი არ გამოყოფია. კალიგრაფიულად მე-17 საუკუნისაა. ქაღალდის სპეციფიკა მე-17 საუკუნის მე-2 ნახევარს მოგვავრნებს.

16. „ვეფხისტყაოსანი“, H—3061. გადაწერილია იტალიურ კვირნიშან ქაღალდზე. ამ ხელნაწერის მეცნიერული აღწერა ეკუთვნის შევლევარ ქრისტინე შარაშიძეს. მკვლევარი ამომწურავად იყვლევს ხელნაწერის პალეოგრაფიის ყველა ასპექტს. ქრისტინე შარაშიძე ამ ხელნაწერის შესახებ ამბობს: „უთარილო (კვირნიშანის მიხედვით XVIII საუკუნის დასაწყისი) გიგა თუმანიშვილის ხელით...“.

„შენიშვნა: 1. ხელნაწერს თარილი არ გააჩნია, სამაგიეროდ უხვად მოეპოვება კვირნიშნები: ა. სამი ნახევარმთვარე... ბ. გვირგვინზე გამობმული ყურძნის მტევანი... გ. მასრის მსგავსი ნიშანი... ეს ორი უკანასკნელი ნიშანი ერთმანეთს ენაცვლება სულ ბოლომდის (ხომ არ არის ეს ორი ნიშანი ერთისა და იმავე ფირმის ერთი ნიშანი?).“

„ვინაიდან სამივე კვირნიშანი შემჩნეულია ვახტანგისეულსა და ვახტანგისძრონდელ ხელნაწერებში (S—3682; S—161), ცხადია, ხელნაწერი ვახტანგის დროს (1703—1724) უღნა იყოს გადაწერილი. 2. ვეფხისტყაოსნის ეს ტექსტი ვახტანგისეული ნაძეჭდი გამოცემის (1712 წ.) ტექსტზე გაცილებით უფრო ვრცელი და, საერთოდ, მას არ მისდევს. საფიქრებელია, რომ იგი 1712 წელზე აღრეა გადაწერილი (1703—1712)“.

„გადაწერი: ხელნაწერი გივე თუმანიშვილის ხელით უნდა იყოს შესრულებული (ცნობილ ხელნაწერებთან შედარების მიხედვით). ამ ვარაუდს თითქოს ამართლებს 96г-ზე (191 გვ.) ქვემო აშიაზე მსუქანი კალმის მოსმით, ტექსტის ხელით, კალმის საცდელად მიწერილი: „გივი“³.

მკვლევარს არ გამორჩა „ვეფხისტყაოსნის“ ამ ხელნაწერის კვირნიშნები. რა თქმა უნდა, ამ საკითხის გამო მეტის თქმა შეუძლებელი იყო.

³ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტომი VI, გვ. 368—369.

ამგვარად, ხელნაწერის ძირითად, აღრეულ ნაწილს აქვს ერთადერთი ჭვირნიშანი. ე. ი. ერთი ჭვირნიშნის ორი — ემბლემატური და ლიტერული — ნაწილი (იხ. ჭვირნიშანი № 36).

ამგვარად, სწორი იყო ქრისტინე შარაშიძის დაკვირვება ამ ჭვირნიშნის გამო, როცა აღნიშნავდა — „ხომ არ არის ეს ორი ნიშანი ერთისა და იმავე ფირმის ერთი ნიშანი!“

ახლა, როცა ცნობილია, რომ იტალიური ჭვირნიშანი ხშირად (ძალან ხშირად) შედგება ორი ნაწილისაგან — ჭვირნიშნის ემბლემატური და ლიტერული ნაწილისაგან, ამ შემთხვევაშიც ერთი ჭვირნიშნის ორ — ემბლემატურ და ლიტერულ — ნაწილებთან გვაქვს საქმე. ეს ჭვირნიშანი იწოდება „გვირგვინი მტევნით“, ხოლო „მასრის შეგავსი ნიშანი“, შეცდომით ასე წოდებული, ჩვენი ჭვირნიშნის ლიტერია და სხვა არაფერი.

ქრისტინე შარაშიძის სიტყვით, ეს ჭვირნიშანი, თითქოს, შემჩნეულია ვახტანგისეულსა და ვახტანგისლონდელ ხელნაწერებში. პატივცემული მტევნები ასახულებს ორ ხელნაწერს (S—3682; S—161). არც ერთ ამ ხელნაწერში ჩვენი ჭვირნიშანი არ დასტურდება.

მართალია, მთელ რიგ ხელნაწერებში გვხვდება ჭვირნიშანი „გვირგვინი მტევნით“, მაგრამ ამ ჭვირნიშნის სხვადასხვა ფორმები, ე. ი. ემბლემატური ნაწილის სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა ლიტერები. აღსანიშნავია, რომ XVII—XVIII საუკუნეთა მიზნაშე ეს ჭვირნიშანი განუწყვეტლივ იცვლებოდა და ჭვირნიშნის ერთი ფორმა აღარ მეორდებოდა. როგორც ჩანს, ამგვარი ჭვირნიშანი ქადალდის რომელიმე ერთ პროდუქციაში იჩენდა თავს და შემდგა შეკვე ქრებოდა და აღარ მეორდებოდა. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოებაც:

ჩვენ გადავათვალიერეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის, ქუთაისის ისტორიული მუზეუმისა და სახელმწიფო არქივის ფონდები, როგორც ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ხელნაწერი დოკუმენტები, როგორც ქართული, აგრეთვე სომხური, სპარსული, თურქული ფონდები. ხოლო ჩვენი ჭვირნიშანი (ანუ ჭვირნიშნის ემბლემატური და ლიტერული ნაწილის ერთობლივი) შეგვხდა მხოლოდ თოხვიზის:

- ა. H—3061 — „ვეფხისტყაოსნის“ უთარილო ხელნაწერში.
- ბ. A—63 თარილიან ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია 1710 წ.
- გ. A—166 თარილიან ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია 1710 წ.
- დ. Q—575 თარილიან ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია 1710 წ.

ცხადია, უთარილო „ვეფხისტყაოსნი“ H—3061 გადაწერილია 1710 წელს, ან 1710 წლის ძალიან აქლო დროს.

ჭვირნიშანმა დაათარილო უთარილო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მეცნიერული სიტუაციით, მეცნიერულ საფუძველზე.

H—3061 ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნში“ გვხვდება ჭვირნიშანი „სამი მთვარის“ სამი განსხვავებული ნიმუში. ამ ჭვირნიშნების განსხვავებამსგავსება თვალსაჩინოა მაშინ, როცა კლასიფიკირის საფუძვლად მიჩნეულია შეეულებს შორის მათი განლაგება (იხ. ჭვირნიშანი №№ 37, 38, და 39).

დღესდღობით „სამი მთვარის“ ამ ნიმუშებს ვათარილებ 1730-იანი წლებით. მსგავსი ჭვირნიშნები გვხვდება A—170 (1733 წლის) და A—16 (1737 წლის) თარილიან ხელნაწერებში.

შეიძლება დავასკვნათ:

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ (H—3061) ძირითადი ნაწილი გადაწერილია 1710 წელს, ხოლო გვიადელი ნაწილი (გვ. გვ. 1—38) გადაწერილია, ანუ ვფიქრობ, ხელნაწერი უკვე ნაკლული აღდგენიათ 1730-იან წლებში.

სპარსულ ქალალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები

აღმოსავლურ უკვირნიშნო, კერძოდ, სპარსულ ქალალდზეა გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ხელნაწერები:

1. H—54 (1680 წლის);
2. H—740;
3. H—757 (1671 წლის);
4. H—2074;
5. S—3077;
6. S—5006;
7. Q—779;
8. Q—1082;
9. K—215;
10. K—383.

სპარსულ ქალალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან მხოლოდ ორია თარიღიანი (H—757 და H—54—1671 წლის და 1680 წლის), ხოლო ოვა ხელნაწერი უთარილია, რა დროისაა ეს ხელნაწერები? ამის გამორკვევა, დაახლოებით, შეიძლება თარიღიან და კვირნიშნების საშუალებით დათარიღებულ ხელნაწერებთან შედარებისა და შეჯერების გზით. ამ ამოცანის გადაწყვეტას ცალკე კვლევა სჭირდება.

სპარსული ქალალდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად ჩანს საქართველოში XV—XVI საუკუნეთა მიზნიდან. ამ დროის სულ რამდენიმე ხელნაწერი მოგვეპოვება სპარსულ ქალალდზე. მე-16 საუკუნის მანძილზე სპარსული ქალალდი საქართველოში ძალიან იშვიათია. ამ საუკუნის მანძილზე ჩვენში იტალიური ჭვირნიშნიან ქალალდია გაბატონებული. სპარსული ქალალდი კვლავ ჩნდება ჩვენში მხოლოდ მე-17 საუკუნის დასწყისიდან, განსაკუთრებით კი როსტომ მეფის დროიდან, კერძოდ, 1632 წლიდან. სპარსულ ქალალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთი ხელნაწერი არ უნდა იყოს 1632 წელზე აღრეული. მე-18 საუკუნის დამდეგიდან სპარსული ქალალდი საქართველოში თანათანხმბით ქრება, მაგრამ მე-18 საუკუნის მანძილზე გვიანობამდე მაინც ჩანს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ 1712 წელს დაიბეჭდა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, ეს თარიღი შესაძლოა მეტ-ნაკლებად შეიიჩნიოთ ზემო ქრონოლოგიურ მიგნად. ამგვარად, სპარსულ ქალალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები იფარგლებიან ძირითადად 1632—1712 წლების ქრონოლოგიური პერიოდით. თუ სპარსულ ქალალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგისეული რედაქციისა არ არის, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ რომელიმე ასეთი ხელნაწერი სპარსულ ქალალდზე, 1712 წელზე გვიანდელად მივიჩნიოთ.

17. 1712 წლის ვახტანგისეული ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“. 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული მოკლე რედაქცია ერთგვარი ზღვარია

ვეფხისტყაოსნის ძველ და გვიანდელ ხელნაწერებს შორის. 1712 წელზე აღმე გადწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ძველ ხელნაწერებად უნდა ჩაითვალოს, ხოლო 1712 წელზე გვიან გადაწერილი — გვიანდელ ხელნაწერებად.

ვახტანგისეული ბეჭდური „ვეფხისტყაოსნი“ საინტერესოა ფილიგრანოლოგიური თვალსაზრისით. რა ქაღალდზეა გადაწერილი ეს ბეჭდური წიგნი?

კვლავ იტალიურ ჭვირნიშნიან ქაღალდზე. განვიხილე ამ ბეჭდური წიგნის სამი სხვადასხვა ცალი: საჯარო ბიბლიოთეკის ორი და ერთი აკად. ა. შანიძის კუთვნილი ცალი. სამივე ცალში ერთი და იგივე ჭვირნიშნები დადასტურდა რიცილეთ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ჭვირნიშნები.

ა. ქალაქ ამსტერდამის გერბი („Amsterdam“).

ეს ჭვირნიშნი ძალიან გავრცელებულია ეკროპს ქაღალდს წარმოებაში. ამ ჭვირნიშნის უნიფირებულ, სტანდარტულ ნიმუშებს იყენებდნენ ჰოლანდიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ფაბრიკები. აღსანიშნავია, რომ ჭვირნიშნის რუსული იმიტაცია არ არსებობს. ამიტომ, ცხადია, ვახტანგისეული ბეჭდური „ვეფხისტყაოსნი“ დასტამბულია არა რუსულ, არამედ ევროპულ ქაღალდზე.

რადგან ჭვირნიშანი — „Amsterdam“ — სტანდარტული მოხაზულობისაა, ამტომ მნიშვნელობა ენტება არა ამ ჭვირნიშნის ემბლემატიკას, არამედ ლიტერს, რომელიც თან ახლავს ემბლემატიკას. ლიტერების ამოცნობის საფუძვლზე, ეკროპელი მეცნიერები არცევევნ ან ფაბრიკანტის ვინაობას, ან ფირმის ადგილმდებარეობას და ამდენად ქაღალდის სადაურობასაც.

ჭვირნიშან „Amsterdam“-ის ლიტერების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ქვემოთ ვაძლევნებთ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ქ. ამსტერდამის გერბის ლიტერებს.

ეს ლიტერები იტალიის ფირმული ნიშნებია (იხ. ჭვირნიშანი № 40).

ბ. ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსნიში“ ვეხვდება აგრეთვე ჭვირნიშანი „მასხარა“ („Foolscap“). იგი, მიღებული თვალსაზრისით, გერმანული წარმოშობისაა, მაგრამ ამ ჭვირნიშანს იგივე ბედი ეწია, რაც ჭვირნიშან „Amsterdam“-ს. ჭვირნიშანი „მასხარა“ 1540 წლიდან ფართოდ გავრცელდა შეკიცარის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, იტალიის, ინგლისის ქაღალდის წარმოებაში. ცნობილი ინგლისელი პალეოგრაფის უ. ჩერჩილის (W. Churchill) ცნობით, გვინაღური ინგლისელი პოეტის უ. შექსპირის პირველი გამოცემა 1623 წლისა დაისტამბა ქაღალდზე, რომლის ჭვირნიშანი იყო „მასხარა“. როგორც ქედავთ, უ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ წიგნსაც იგივე ბედი ეწია, იმ განსხვავებით, რომ შექსპირი ინგლისურ ქაღალდზე დაიბეჭდა, ხოლო რუსთაველი — იტალიურ ქაღალდზე, მაგრამ ორივე — ერთი და იმავე ჭვირნიშანია ქაღალდზე.

ამგვარად, 1712 წლის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ჭვირნიშანი „მასხარა“ იტალიურ ჭვირნიშანდ მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ, მსგავსად ქ. ამსტერდამის გერბისა, ჭვირნიშან „მასხარა“-ს რუსული იმიტაცია აგრეთვე არ არსებობს. ამიტომ კვლავ დასტურდება ის ფაქტი, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნი“ დასტამბულია არა რუსულ, არამედ ევროპულ ქაღალდზე. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ჭვირნიშნიანი ქაღალდი ძირითადად ჩნდება 1720-იანი წლებიდან, ხოლო ევროპული ჭვირნიშნების რუსული

იმიტაციებით გაცილებით უფრო გვიანი დროიდან („ამსტერდამისა“ და „Amsterdām“) და „Foolscap“ იტალიურ ჭვირნიშნებად?

რატომ მიმაჩნია ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ჭვირნიშნები: „Amsterdam“ და „Foolscap“ იტალიურ ჭვირნიშნებად?

ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსნში“ გარდა ორი სტანდარტული, გაურკვეველი სადაურობის ჭვირნიშნისა, დასტურდება წმინდა, სპეციფიკური იტალიური ჭვირნიშნები. რადგან „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ ზიგნებში გამუდმებით ერთი და იგვევ ჭვირნიშნები გვევდება, ცხადია, საქართველოში ერთი და იმავე ფირმის ქაღალდი შემოუზიდავთ. ქაღალდის იგვეობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ ფაქტს.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ სპეციფიკური იტალიური ჭვირნიშნები, უფრო სწორად, ერთი და იგვევ ჭვირნიშნის სხვადასხვა ფორმები ანალოგის ისევ ქართული ხელნაშერების იტალიურ ჭვირნიშნებში პოლუობენ. ამ ჭვირნიშნის ანალოგია ევროპულ ცნობაზებში არ დაიძებნება. ოღონდ ჩვენი ჭვირნიშნის ერთადერთი ნიმუში გამოქვეყნებული აქვს ს. ა. კლებიკოვს (Филиграни и штемпеля № 937) 1712 წლის თარიღით. პატივცემული ზეცნიგრისათვის ჭვირნიშნის სადაურობა გაუჩევეველია.

ამგვარად, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნანი“ საინტერესოა წმინდა ფილიგრანლოგიური თვალსაზრისითაც (იხ. ჭვირნიშნები №№ 42, 43, 44, 45).

ამ ჭვირნიშნებისათვის საერთო მნიშვნელია: სამი წრე, გვირგვინი, ჯვარი და გრიფონები. ჭვირნიშანს შეიძლება უშროდოთ: „სამი წრე გვირგვინითა და გრიფონებით“. ქართულ წერილობით ძეგლებში ყველაზე აღრე ამ ჭვირნიშნის ერთ-ერთი სახეობა შემხვდა Ad ფონდის № 381 თარიღიან დოკუმენტში (1683 წლის) და უთარიღო H—885 ხელნაშერში.

ვახტანგისეული ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის“, 1712 წლის შემდგომ, XVIII საუკუნის მანძილზე, ხელნაშერი „ვეფხისტყაოსნანი“ გვიანობამდე აღარ ჩანს. მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულიდან გამოჩენდა ისევ ხელნაშერი „ვეცნისტყაოსნები“.

18. „ვეფხისტყაოსნანი“, H—964. გადაშერილია რუსულ ჭვირნიშნიან ქაღალდზე. ჭვირნიშანს ახლავს ლიტერი ЯМСЯ და ქაღალდის დმზადების წელი — 1787 წ. (იხ. ჭვირნიშანი № 46). ხელნაშერს ჭვირნიშანია ქალაქ იაროს-ლავის გერბი.

რუსული ქაღალდის ჭვირნიშანი, ძირითადად, (როგორც ამ კერძო შემთხვევაში) შედგება სამი ნაწილისაგან: ემბლემატურისა, ლიტერულისა, და ციფრული ნაწილებისაგან. რუსულ ჭვირნიშანში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა ემბლემატურ ნაწილს, არამედ ლიტერულ და ციფრულ ნაწილს. რუსული ჭვირნიშნების ლიტერები გაშიფრული აქვთ რეს პალეოგრაფებს. უკვე გაშიფრული ლიტერების შემწეობით აღვილად ოკევევა ქაღალდისა და ჭვირნიშნის სადაურობა, ფირმის აღვილდებარეობა და ფაბრიკანტის ვინაობა. რუსული ჭვირნიშნის ციფრული ნაწილი აღნიშვნავს, როგორც უკვე ვთქვით, ქაღალდის დმზადების თარიღს. ქაღალდის დმზადებას და ქაღალდის გამოყენებას შორის უსათუოდ სავრაუდებელია განსაზღვრულ დრო. რუს პალეოგრაფების ს. კლებიკოვისა და მ. კუკუშკინს გაანგარიშებით ეს დრო შეადგენს საშუალოდ 2—3 წელიწადს, კერძოდ, რუსული თარიღიანი ზიგნებისა და ხელნაშერების შემოწმების საფუძველზე გამოირკვა, რომ ქაღალდის დამზადებასა და გამოყენებას შორის 0—2 წლის სხვაობა შეადგენს ხელნაშერთა და

ბეჭდურ წიგნთა საერთო რაოდენობის 78, 79%-ს, ხოლო 0—3 წლის სხვაობა 88%-ს. ქალალდის დამზადებასა და გამოყენებას შორის გასული დრო ძალიან იშვიათად აღმატება 6 წელიწადის. ქართული ვითარება, როგორც ჩვენი შემოწმებით გამოიჩინება, თითქმის იმგვარივეა, ღოლნდ დროის სხვაობა ქალალდის დამზადებასა და გამოყენებას შორის საქართველოში ძალიან იშვიათად შეადგენს ნულს. ერთი წლის სხვაობა ნაკლებია, ვიდრე რუსეთში; სამაგიეროდ 2—3 წლის სხვაობა საქართველოში მეტობს, ხოლო ექვს წლამდე სხვაობა საქართველოში გაცილებით იშვიათია.

ყოველივე ამის გამო, რუსულ ქალალდზე გადაწერილი ქართული ხელნაწერების თარიღის დასადგენად საკმარისია რუსული ჭვირნიშნის ციფრულ ნაწილს მივუმატოთ 2—3 წელი. ამით ჩვენ ყველაზე მეტად ვიქნებით დაზღვეული შეცდომისაგან, ე. ი. დათარიღება ყველაზე უფრო ზუსტი იქნება.

დაუუბრუნდეთ H—964^o „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს. ხელნაწერის რუსული ჭვირნიშნის ლიტერი ЯМСЯ იშიფრება ასე: Ярославская мануфактура Саввы Яковлева. იგი საჭარმოს მეპატრონეა 1764—1784 წლებში. ამ ლიტერით გამოდის მისი საჭარმოს ქალალდი 1764—1788 წლებში. ქალალდის საჭარმოს ადგილმდებარეობა ქალაქი იაროსლავი. ფაბრიკა დაარსებულია 1722 წელს, მდინარე კოტოროსლის ნაპირზე. ქართული ხელნაწერის ჭვირნიშნის ციფრულ ნაწილს — 1787 წელს — უნდა მივუმატოთ 2—3 წელი. ე. ი., ვეფხისტყაოსნი“ H—964^o გადაწერილია, დაახლოებით, 1789, 1790 წლებში.

19. „ვეფხისტყაოსანი“, Q—296. გადაწერილია რუსულ ჭვირნიშნიან ქალალდზე. ჭვირნიშნების ლიტერებია: ЯМСЯ. ეს ლიტერი უკვე ცნობილია. ЯМСЯ იშიფრება ასე: Ярославская мануфактура внуку Саввы Яковлева; РФИЯ—Ростовская фабрика Ивана Яковлева; ВМСП—Вятской мельницы содержательницы Праксевы Бедарева. ჭვირნიშნად არის თარიღებიც — 1787 და 1788 (იხ. ჭვირნიშნები №№ 47, 48). ე. ი. ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ Q—296 გადაწერილია 1791 წელს.

20. „ვეფხისტყაოსანი“, H—66. გადაწერილია რუსულ ჭვირნიშნიან ქალალდზე. ხელნაწერი თარიღიანია (1832 წლის). ხელნაწერის ჭვირნიშნიანი შროშანი. ჭვირნიშნის ლიტერი УФНСП იშიფრება ასე: Угличская фабрика наследников Попова. ხელნაწერში გვხვდება კიდევ ერთი ლიტერი BФКИ, რომელიც, ჯერჯერობით, გაუშიფრავია. ხელნაწერის ორივე ლიტერს ახლავს ერთი და იგივე თარიღი 1830 (იხ. ჭვირნიშნები №№ 49, 50). ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ამ ხელნაწერს დავათარიღებდით 1832, 1833 წლებით, და არც შევეცდებოდით, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი თარიღიანია და გადაწერილია 1832 წელს.

21. „ვეფხისტყაოსანი“, H—1839. გადაწერილია რუსულ ქალალდზე. ჭვირნიშნის ლიტერია BФКИ, უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ლიტერები, ჯერჯერობით, გაუშიფრავია. ლიტერს ახლავს თარიღი — 1829. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1831—32 წლებში.

22. „ვეფხისტყაოსანი“, H—412. რუსულ ქალალდზე, ხელნაწერში გახვდება ლიტერები. ФКНГ—Фабрика князя Николая Гагарина, ВФКИ გაუშიფრავი ლიტერი. ხელნაწერის ქალალდს აქვს სამი თარიღი — 1829, 1830, 1832. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია დაახლოებით 1833—34 წლებში.

23. „ვეფხისტყაოსანი“, S—1727. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ხელნაწერი თარიღიანია (1825 წლის). ხელნაწერში დასტურდება ლიტერი—УФЛП—უგლიცკა ფაბრიკა ლავრენტია პოპოვა და თარიღები 1823, 1824. ე. ი. ჭვირნიშვილის ცირფრული ნაწილების მეშვეობით ამ ხელნაწერს 1825—26 წლებით დავათარიღებდით, ხელნაწერი თარიღიანი რომ არ ყოფილიყო (1825 წლისა), ე. ი. ხელნაწერის გადაწერის თარიღში არ შევცდებოდით.

24. „ვეფხისტყაოსანი“, S—4527. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე, თარიღიანია (1805 წლის). ხელნაწერში გახვდება სხვადასხვა ლიტერები და სხვადასხვა თარიღები: 1799, 1800, 1801, 1803. მათი მეშვეობით ხელნაწერს 1804—1805 წლებით დავათარიღებდით და არც შევცდებოდით.

25. „ვეფხისტყაოსანი“, A—1123. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე, თარიღიანია (1833 წლის). ხელნაწერის ქაღალდს გაჩნია ჭვირნიშვილის ემბლემატური, ლიტერული და ციფრული ნაწილები. ციფრული ნაწილის თარიღია 1832. ე. ი. ხელნაწერი გადაწერით ერთი წლით აღრე დამზადებულ ქაღალდზე.

26. „ვეფხისტყაოსანი“, H—248. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ჭვირნიშვილის ემბლემატური ნაწილია იართსლავის გუბერნიის გერბი; ლიტერია ՓКНГ—ფაბრიკა კнязя ნიკოლა გაგარინი. ციფრული ნაწილია 1824. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია მახლოებით 1826—27 წლებში.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საინსტორიო არქივში დაცული „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები.

ცენტრარქიუმი დაცული „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები ყველა გვიანდებულია. შენიშვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ არქივის ერთ-ერთი ხელნაწერი ფ. 1446, № 303, რომელიც აღწერილობით მე-17 საუკუნის ხელნაწერიდან არის მიჩნეული, სინამდვილეში მე-16 საუკუნის ხელნაწერია (ჭვირნიშვილის ქრონოლოგიური მონაცემებით). ამ ხელნაწერში დასტურდება „ვეფხისტყაოსანის“ ფრაგმენტი მინაწერის სახით. ეს მინაწერი, უდავოდ, მე-17 საუკუნისაა.

27. „ვეფხისტყაოსანი“, ფ. 1446, № 537. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ლიტერია: ПФАБ—Переделской фабрики Аврама Баташева, ლიტერს ახლავს თარიღი — 1825, ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1827—28 წლებში.

28. „ვეფხისტყაოსანი“, ფ. 1446, № 44. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე, ლიტერია ЯМВСЯ—Ярославская мануфактура внуков Саввы Яковлева. ლიტერს ახლავს თარიღები: 1789, 1791. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1792—93 წლებში.

29. „ვეფხისტყაოსანი“, ფ. 1446, № 425. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ლიტერია ՓКНГ—ფაბრიკა კнязя ნიკოლა გაგარინი, ლიტერს ახლავს თარიღი 1883. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1835—36 წლებში.

30. „ვეფხისტყაოსანი“, ფ. 1446, № 289. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ლიტერს ახლავს თარიღი 1820. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1822—23 წლებში.

31. „ვეფხისტყაოსანი“, ფ. 1446, № 92. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ლიტერს ახლავს თარიღი 1836. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1838—39 წლებში.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

ლიტერატურული მუზეუმის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან მნიშვნელობა ენიჭება ორ ხელნაწერს: D—12904/190 და C—10768/191.

32. „ვეფხისტყაოსნი“, D—12904/190, გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ხელნაწერი თარიღიანია (1802 წლის). მის რუსულ ქაღალდს გააჩნია ლიტერი ЯМИЯ—Ярославская мануфактура Ивана Яковлева. ლიტერის ახლავს თარიღი 1801. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია ერთი წლით ადრე დამზადებულ ქაღალდზე.

33. „ვეფხისტყაოსნი“, C—10768/191. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ქაღალდის ჭვირნიშანია ნიდერლანდების რესპუბლიკის გერბი „Pro Patria“. ამ ფართოდ გავრცელებული ჭვირნიშნის ქრონოლოგიური ფარგლებია 1683—1799 წლები. მაგრამ ხელნაწერში საქმე გვაქვს ამ ჭვირნიშნის რუსულ იმიტაციასთან. ხოლო ჭვირნიშნის იმიტაცია ახანგრძლივებს თავის არსებობას. ჭვირნიშანს ახლავს რუსული ლიტერი და ქაღალდის დამზადების თარიღი — 1821. ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1823—24 წლებში.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

ქუთაისის მუზეუმის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანია სამი: K—205, რომელიც ჭვირნიშნების მეობებით უკვე დავათარიღეთ და სპარსულ ქაღალდზე გადაწერილი ორი ხელნაწერი — K—215 და K—383. K—383 ხელნაწერის შესახებ დამატებით უნდა ითქვას შემდეგი:

34. „ვეფხისტყაოსნი“, K—383. ეს ხელნაწერი ორგზის რესტავრირებულია რუსული ქაღალდით, როგორც ჩანს, ნაკლული და დაზიანებული ორგზის შეუციათ რუსული ქაღალდის ციფრებით 181... ირკვევა, რომ პირველი რესტავრირება 1810-იან წლებში მოხდა, ხოლო მეორე რესტავრირება დაახლოებით 1830—31 წლებში (ამ გზის რუსულ ქაღალდს გააჩნია დამზადების თარიღი — 1828).

35. „ვეფხისტყაოსნი“, K—214. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ქაღალდის ლიტერია ЯМФДЯ—Ярославская мельница фабриканта Димитрия Яковлева, ლიტერს ახლავს ქაღალდის დამზადების თარიღი — 1814. ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით, 1816—17 წლებში.

36. „ვეფხისტყაოსნი“, K—209. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ლიტერი ПП ციფრი 1841. ე. ი. გადაწერილია 1843—44 წლებში.

37. „ვეფხისტყაოსნი“, K—204. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ქაღალდის ციფრებია 1837. ე. ი. გადაწერილია 1839—40 წლებში.

38. „ვეფხისტყაოსნი“, K—289. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ქაღალდის ციფრებია 1835, ე. ი. გადაწერილია 1837—38 წლებში.

39. „ვეფხისტყაოსნი“, K—593. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ქაღალდის ციფრებია 1833—1834, ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია, დაახლოებით 1835—36 წლებში.

40. „ვეფხისტყაოსნი“, S—2315. გადაწერილია რუსულ ქაღალდზე. ხელნაწერში ორი სხვადასხვა ხელია და სხვადასხვა ქაღალდი. უფრო ძველია ხელნაწერის პირველი ნაწილი. ამ ქაღალდის ჭვირნიშნის ლიტერებია: ЯМГЯ—

Ярославская мануфактура господина Яковлева да МОФЕБ—Московской округи фабрика Елизаветы Боташевой. ლიტერაბს ახლავს თარიღები: 1810, 1811, 1813. გ. ი. ხელნაშერის ეს ნაწილი გადაწერილი უნდა იყოს, დაახლოებით, 1814—15 წლებში.

ხელნაწერის მეორე ნაშილის ვეირნიშნის ლიტერებია ქფმმ — კინეშ-
მская фабрика Маркела Мещанинова და ЯБМЯ—Ярославская Большая
мануфактура Яковлева. ამ ლიტერებს ახლაցს თარიღი 1822. ე. ი. ხელნაწე-
რის გვიანდელი ნაშილი გადაწყრილი უნდა იყოს, დაახლოებით, 1824—25 წლებში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შვილნიშამა თანდათან დაიწყო გაქრობა. სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ჩნდება უპვირნიშნი ქალალი. XX საუკუნისათვის შვილნიშანი ანაქრონიზმია.

ନୁଗୋଳ ଦ୍ୱାରା ତାଙ୍କିଲନ ମେ-19 ଶାକ୍ଯପୂର୍ବ ମେନର୍କ ନାକ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଥିଲା, ତା କାଳାଳି ପ୍ରକାଶିତ ହିନ୍ଦୁନା ଦା ଶୁଣ୍ଟି ଦ୍ୱାରା କିମ୍ବା କିମ୍ବା

საქმეს შეელის შტემპელი, ანუ ტვიფარი. ჭვირნიშანს ცვლის ტვიფარი.

41. „გევხბისტყაოსანი“, Q—483. გადაწერილია რუსულ დატვიცრულ ქალადზე. ტვიფარის შინაარსი: Аристархова № 5 № 6 фабрика. ფიგურალურ ჩარჩოში. ს. კლეპიკვის მიხედვით („Филиграни и штемпели“, გვ. 100, № 10) ხელნაწერი ასეთი ტვიფარით გადაწერილია დაახლოებით 1862 წელს.

42. „ვეგზნისტყაოსანი“, № 2525. გადწერილია რუსულ დატვიფრულ ქალადზე. ტვიფარის შინაარსია: Троицкой Говарда № 4 фабрики. კუთხებშია კვეთილ სწორკუთხედში. ს. კლებიკოვის მიხედვით (გვ. 101 № 37) ხელნაწერი უნდა დავთარილოთ დაახლოებით 1856—57 წლებით.

43. „ვეცხისტყაოსანი“, №—783. გადაწერილია რუსულ უკუირნიშნი ქალალზე. ქალალი დატეილირებულია. ხელნაწერი თარიღიანია 1857 წლისა.

44. „კვებისტუარსანი“, № — 5207. გადაწერილია რუსულ ქალალზე. უკ-
ერჩიშონა. აქვთ შტატები. ტვიფარის შინაარსია: С. Ф. П. В. Сергеева-
პორაზზონტალურ ლევალში.

ლიტერი ნიშავს — Сурская фабрика. ფაბრიკის აღგილსამყოფელია ქალაქი პეტრა. ს. კლებიცოვის მზედვით (გვ. 108 № 178) „ვეტხისტუანინი“ ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს, დაახლოებით, 1856—1869 წლებში.

45. „ვეცხისტყაოსანი“, А—654. გადწერილია რუსულ ქალალზე, ხელნაშერი უკიდინიშნაა და დატევითრულია. აქეს გადწერის თარიღიც 1877 წ.


46. „კელისისტუარიანი“, Q—796. ქაღალდი უშეიგრძნიშვნოა და უშრაპნია. ჩემი აზრით, ეს ხელნაწერი გვიანდელი უნდა იყოს — მე-19 საუკუნის დასასრულისა.

47. „კეცხისტყაოსნის“ პარიზული ხელნაწერი P—10—თარიღიანია, გვ-დაცვულია 1702 წ.


48. „კვეთისას ტყაოსნის“ ლენინგრადის ხელნაწერი M—48 თარიღიანია, 22თებერვალი 1823 წ.

49. „ველისძისტუაციონის“ ი. გრიშაშვილისეული ხელნაწერი თარიღიანია, აკადემიუმი, 1840 წ.


50. „კვეთის მდგრადი განვითარების“ 3. ახლანიშვილის ხელნაწერი, თარიღიანია, გადა-
მდგრადი 1862 წ.




N 1




N 2"




N 3




N 4




N5



N5'




N6



N7




N8




N9




N10




N11




N12



N 13




N 14



N 15.

6. მრავალთავი, V



N 16




N 17




N 18





N 19





N 20




N 21





N22





N23





N24




N25




N26



N27



N28




N29




N 30





N 31




N 32







№33





N34




N35




N36







N37




N38




N39



N40




N41




N42



N43



N44



N45

Յ Մ Ը Յ

87

№46

յ մ ս յ

յ մ վ ս յ

ր փ լ յ

լ զ 8 8

լ լ 8 8 լ զ 8 7

№47

Վ Մ Ը Պ Բ

1 7 8 8

№48

Վ Փ Կ Ի
Լ 8 3 0

№49



у ф Нс II
1 8 3 0



„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაშერებზე მუშაობისას ხელი არ მიგვიწვდომელია
და დაუთარიღებელი დაგვრჩა შემდეგი ხელნაშერები:

1. W—17⁴
2. W—27⁴

Р. М. ПАТАРИДЗЕ

ВОДЯНЫЕ ЗНАКИ РУКОПИСЕЙ «ВЕПХИСТКАОСАНИ»

(Резюме)

В работе изучены водяные знаки дошедших до нас списков поэмы «Вепхисткаосани», что делает возможным уточнить, а в ряде случаев установить, время написания отмеченных списков.

На основе хронологических данных изученных водяных знаков, датированы важнейшие рукописи XVI—XIX столетий поэмы Ш. Руставели. К датировке каждой рукописи поэмы приложен целый ряд хронологических показаний каждого водяного знака. Всего датировано 50 рукописей поэмы.

Важнейшие списки:

1. Ахалцихская рукопись датируется XVI веком, но не ранее 1580 года.
2. Рукопись поэмы — S—1418 датируется приблизительно 1666/67 годами.
3. Рукопись поэмы — A—363 датируется приблизительно 1669/70 годами.
4. Рукопись поэмы — Q—930 датируется приблизительно 1661—1665 годами.
5. Рукопись поэмы — Q—261 датируется приблизительно 1690-м годом.
6. Рукопись поэмы — H—2610 датируется приблизительно 1700-м годом.
7. Рукопись поэмы — H—3061 датируется приблизительно 1710-м годом и т. д.

Позднейшие списки поэмы, конца XVIII столетия и XIX ст. датированы посредством русских водяных знаков, расшифрованных и опубликованных русским ученым С. А. Клепиковым.

⁴ ოქსტორდის ბოდლის ბიბლიოთეკის, უორდინონის კოლექციაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაშერები.

ლილი ათანალიაშვილი

კლარჯული მრავალთაგის გირძნული და შიომაღვიშის ტიპიკონის
ჩართული პრიპობრავები

X ს. მრავალთავში (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A—144, 190 r) თე-
ოდორე ჰარანელ ეპისკოპოსის ერთი საკითხავის („მთისათვს თაბორისა და
ფერისცვალებისათვს უფლისა და ორთა ბუნებათათვს“) სათაურის შემდგომ,
ტექსტის ხელით, სინგურით, ჩაწერილია ერთი ბერძნული სიტყვა, რომელშიც
პირველი ორი ასო ქართულია. ქართული ასოები ასომთავრულითაა ნაწერი,
ბერძნული კი — უნციალით. ბერძნული სიტყვა დაქარაგმებულია.

ΤΑΗΣΟΣΕ

გამოიჩინა, რომ ბერძნული სიტყვა კრიპტოგრამაა. იგი შედგენილია იმ
ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით, რომელსაც ვ. გარდტჰაზენი „gewö-
hnlichste kryptographie“-ს უწოდებს. ბერძნულ სიტყვაში ქართული ასოები
არაკრიპტოგრამულია, ხოლო პირველ ბერძნულ ასოს H-ს აღნიშნული ბერძ-
ნული კრიპტოგრაფიული სისტემით ენაცვლება მ. ამრიგად, ბერძნული სიტყ-
ვის დასწყისს ასე ვხსნით: „იობ“. ჩანს, მისი აერორისთვის არ ყოფილა უცხო
ეს კრიპტოგრაფიული სისტემა და ქართულით დაწყებული სიტყვა ბერძნული
კრიპტოგრამით დაუსრულებია.

ჩვენი კრიპტოგრამის ავტორისთვის რომ ბერძნული კრიპტოგრაფიული
სისტემა ცნობილია და იყენებს მას, ეს კარგად ჩანს ამავე ხელნაწერში დაცუ-
ლი მეორე ბერძნული კრიპტოგრამიდან, რომელიც ქართული ანჩინური სის-
ტემის კრიპტოგრამასთან ერთად არის ჩაწერილი ხელნაწერში და აღნიშნავს
„ამენ“-ს.¹

ჩვენს კრიპტოგრამაში პირველი სიტყვის მხოლოდ ერთი ნაწილია კრიპ-
ტოგრაფიულად წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში ბერძნული კრიპტოგრაფი-
ული სისტემით. ეს მოვლენა არ არის უცხო ძეველი ქართული კრიპტოგრაფი-
ისათვის. ძველ ქართულში დასტურდება მსგავსი შემთხვევები, როცა სიტყვის
მხოლოდ ერთი ნაწილია კრიპტოგრამა, მაგ., Ier—33 და სხვ.

¹ V. Gardthausen. Griechische Palaeographie. 1879, Leipzig, გვ. 235.

² ლ. ათანაგელი შვილი, ბერძნული კრიპტოგრამა ქართულ ხელნაწერში, მაცნე, ენი-
სა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3, გვ. 159—161.



როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კრიპტოგრამა დაქარაგმებულია. გარდა ასეთი მოთხოვთ მოთავსებული ორი ქარაგმისა, სიტუაცია ქვემოდანაც უზის ქარაგმის მსგავსი ნიშანი. ამ ნიშანს სიტუაციის გამყოფის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. როგორც კრიპტოგრამის ამოხსნამ დაგვანახვა, ეს ნიშანი მართლაც მეორე სიტუაცის დასაშუალის ასოსთან ზის.

მეორე სიტუაციის ამოხსნას გამოჩნდა, რომ კრიპტოგრამა დამახინჯებულია. იგი გადმოწერილია შეცდომებით. კრიპტოგრამა გადმოხატულის შთამცემდილებას უფრო ტოვებს. ასე რომ, კრიპტოგრამა A—144 ხელნაწერის დენძისებულია და A—144-ის გადაწერია არ არის მისი აეტორი.

ბერძნული სიტუაციის მეორე ნახევარში სამი ერთნაირი მოხაზულობის ასო, რომელთაგან პირველ ორს ზემოდან ქარაგმები აქვთ დასმული, სიტუაციის ბოლო ასო კი უქარაგმოა (იხ. სურ. 1).

სურ. 1.

სურ. 2.

საფიქრებელია, რომ პირველი ორი ასო შეცდომითაა გადმოწერილი. აქ დედანში უნდა გვქონდა ზეტი (იხ. სურ. 2). A—144 ხელნაწერის გადამწერს გადმოწერისას ზეტ ასოს ზედა ნაწილი ქარაგმად მიუჩნევია და ამიტომ ასოს ეს ნაწილი შეკრავი დაუტოვებია.

ამრიგად, A—144 ხელნაწერის დედანში აღნიშნული ორი ასოს ნაცვლად უნდა ყოფილიყო ზეტი (იხ. სურ. 2), ხოლო ზემოხსენებული ბერძნული კრიპტოგრაფიული სიტემით Z-ის ნაცვალია კ. კრიპტოგრამაში გადამწერს შეცდომა მოსელია აგრეთვე E-ის გადმოწერისას. Θ-სა და E-ს მსგავსი გრაფიკული მოხაზულობის გამო A—144 ხელნაწერის გადამწერს დედნისებული Θ გადმოულია E-დ. IX—X საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებში ეს ორი ასო გრაფიკულად მსგავსია. Θ-სა და E-ს აღრევის მსგავსი შემთხვევა დასტურდება X საუკუნის ერთი სინური ხელნაწერის (Sin—11) ბერძნულ კრიპტოგრამაშიც³. Θ ამ სისტემით ენაცვლება A-ს. კრიპტოგრამის ბოლო ასო კი კომაა C, რომელიც ეს მონაცვლეა.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: კრიპტოგრამაში ი არა-კრიპტოგრამულადაა წარმოდგენილი და იგი არაა შეცვლილი მისი მონაცვლე პ-თი. ტელ ქართულ კრიპტოგრაფიაში, კერძოდ, ბევრათმონაცვლების პრინციპით შედგენილ კრიპტოგრაფიულ სისტემებში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც კრიპტოგრამის ამოხსნის გასაძნელებლად განზრას არ ცვლიან ამა თუ იმ ასოს შესაბამისი კრიპტოგრამული ასოთი⁴. ეგვევ მოვლენა შევნიშნეთ ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც, კერძოდ, ზემოთ აღნიშნული სისტემის („gewöhnlichste kryptographie“) ნიმუშებში. ვ. გარდტჰაუზენის მიერ გამოქვეყნებულ ამ სისტემის კრიპტოგრამებში დაიძებნა შემდეგი მაგალითები:

³ ლ. ათანე ლიშვილი, ერთი სინური ხელნაწერის კრიპტოგრამების შესახებ, მაცნე, 1965, და ლიტერატურის სერია, 1972, № 4, გვ. 170.

⁴ მისაცვ, ქართულ ხელნაწერთა ასამითობის კრიპტოგრამის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 62.

1001 წლის ბერძნული ხელნაშერის კრიპტოგრამის ბოლო სიტყვა დაცულია მითხვაზე:

... ეს უცმა ასევე ასე, რაც ნიშნავს: ... ამ ჯერა ასე უკითხოა.

სიტყვაში ასეული ამ სისტემის მიხედვით ყველა ასო შეცვლილია სათანადო კრიპტოგრამული ანბანით, გარდა ას კოშჩლექსისა. ასევე ასევე ნაცვლად მოსალოდნელი იყო თეცეული კრიპტოგრამისა.

XVI ს. ბერძნულ ხელნაშერში კრიპტოგრამულია გადამწერის ანდერძი:

... მუჭავალა ბა ავავემა... კრიპტოგრამა ასე ისნება: ართავის ბ და ერთავის ბ.

არტიკლი ბ კრიპტოგრამის დამწერს არ შეუცვლია შესაბამისი ბ-თი, ვთქვათ ისე, როგორც ერთ XIV საუკუნის ხელნაშერშია შეცვლილი:

ასევე რ. ყმა და ასე ისნება ასე: პეტრი ბ თელემაკი?

ასე ბ არტიკლი სწორადაა შენაცვლებული შესაბამისი ბ ბგერით. კრიპტოგრამის ავტორს არ დავიწყებია ბ-ზე ფშვინვიერობის აღმნიშვნელი ნიშნის დაწერაც.

ანალოგიურია ჩვენი ბერძნული კრიპტოგრამაც. აქაც მის დამწერს უცვლელად დაუტოვებია ი ასო და არ შეუცვლია ბ-თი.

ამრიგად, ჩვენს ბერძნულ კრიპტოგრამაში გვაქვს ორი ერთნაირი მოხაზულობის ასო (იხ. სურ. 1), რომლის ნაცვლად Z უნდა ყოფილიყო მის დელანძი. უცვლელადაა დატოვებული O, ხოლო O-ს მაგიერ შეცდომით გადამდებულია €.

მაშასადამებ, ჩვენი ბერძნული კრიპტოგრამა თავდაპირველად შემდეგი ლაუგრილობით იქნებოდა წარმოდგენილი A—144 ხელნაშერის დედანში — ΙΩΗΖΟΖΘ. კრიპტოგრამას ასე ვხსნით:

იობ გოგი.

აქვე საჭიროა, აგრეთვე, გავარკვიოთ ბერძნულ კრიპტოგრამის ავტორის ვინაობა. ვინ არის იგი — ქართველი თუ ბერძენი? მარავალთავში ამენს აღმნიშვნელი ბერძნული კრიპტოგრამა ქართული ანჩინური კრიპტოგრამის შემდგომ არის დაწერილი. შესაძლოა გვეფიქა, რომ იგი A—144-ის დედანში მიწერილია ვინმე ბერძენის მიერ და არა იმ პირის მიერ, ვინც ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამა დაწერა. მაგრამ, ვინაიდან ორივე კრიპტოგრამა — ქართულიც და ბერძნულიც — ერთნაირი შინაარსისაა, აღნიშვნას ა მენ სიტყვას, ცხადია, გამოიხიცულია, რომ კრიპტოგრამები სხვადასხვა პირს ეკუთვნოდეს, ვთქვათ, ქართველს და ბერძენს. ორივე კრიპტოგრამა A—144-ის დედანში უნდა დაეტერა ერთსა და იმავე პირს, ამასთანავე — ქართველს. იგი გერ ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამას წერს, შემდეგ — იმავე შინაარსის ბერძნულ კრიპტოგრამას. კრიპტოგრამების ავტორი რომ ქართველია, იქიდანაც ჩანს, რომ მეორე ბერძნული კრიპტოგრამა („იობ გოგი“) ქართული ასომთავრულით იწყება: ოაურიპტოგრამული ზ. ასოებით. და რაც მთავარია, ბერძნული კრიპტოგრამის ავტორი რომ უთუოდ ქართველი უნდა იყოს, ვფიქრობთ, ამა კრიპტოგრამის მეორე საკუთარი სახე-

⁵ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. Leipzig, 1879, გვ. 236.

⁶ იქვე, გვ. 237.

⁷ იქვე, გვ. 236.

ლი „გოგაი“ ამტკიცებს. ქართული საკუთარი სახელი გოგაი, რომელიც მოგვიანების სახელები (გაბრიელ პატარაი, კრავაი, ხორგაი, გოგოფა—A—1101 ხელნაშერის გადამწერი და სხვ.) ამ საკუთხების საქართველოში იხმარება, ბერძნულ კრიპტოგრამაში მის ავტორს ამავე ფორმით შეუტანია, გამოუყენებისას რა იმ დროს საბერძნებოში გაფრცლებული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც საქართველოშიც ცნობილი ყოფილა.

რაც შეეხება ჩვენი ბერძნული კრიპტოგრამის თარიღს. A—144 ხელნაშერში, როგორც აღვნეთ, ამ კრიპტოგრამის გარდა, დაცულია ბერძნული კრიპტოგრამა „მენ“ სიტყვისა. საფიქრებელია, რომ ორივე კრიპტოგრამა კრთსა და იმავე პირს ეკუთვნის. გაირკვა, რომ ორივე კრიპტოგრამა დამაბინჯებულია და შეცდომებითაა გაღმოშერილი A—144 ხელნაშერში. ამერის აღმნიშვნელი ბერძნული კრიპტოგრამის პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლამ დაგვანანვა, რომ მისი დედანი IX საუკუნეზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს⁸. თუ ვივარაუდებთ, რომ A—144-ის დედანში „იობ-გოგაის“ ბერძნული კრიპტოგრამაც იმავე პირმა ჩაწერა, ცხადია, ეს უკანასკნელიც IX საუკუნით დათარიღდება.

საინტერესოა, ვისი სახელებია მიფიტული კრიპტოგრამაში? საკუთარი სახელი „გოგაი“ A—144 ხელნაშერში ორჯერ შეგვხდა. ერთ-ერთი საკითხავის სათაურის ბოლოს ნუსხურით, სინგურით, ტექსტის ხელით მიწერილია: „ო შე გოგა არ“ (47 v). ასევე ტექსტის ხელით, სინგურით, ოღონდ ასომთავრულით ერთი საკითხავის ტექსტის ბოლოს მინაშერია: „ი ვ: ქ მ: ა ე ბ ტ: შენ: მირითა (=მიერითა): ქ ე ვ ი თა: გ ო გ ა ი“ (136 r).

საფიქრებულია, რომ მითითებული ანდერძები A—144 ხელნაშერის გადამწერს არ ეკუთვნის. ანდერძები ამ ხელნაშერის დედნისეული უნდა იყოს, რასაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული ბერძნული კრიპტოგრამა უჭერს მხარს. კრიპტოგრამაში და ანდერძებში მოხსენიებული სახელი გოგაი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

ამრიგად, გოგაი A—144 ხელნაშერის დედნის გადამწერი ჩნდს. მას თავისი თავი ხელნაშერში მოუხსენებია როგორც ანდერძებში, ასევე კრიპტოგრამულადაც.

ვის უნდა გულისხმობდეს კრიპტოგრამაში მოხსენიებული მეორე საკუთარი სახელი იობ? ხომ არ არის იგი ტექსტის მთარგმნელი? ასეთი ვარაუდის დაშვება შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი გარემოების გამო: XII საუკუნის ერთ კრიპტოგრამაში გადამწერს თავისი სახელის გარდა კრიპტოგრამულად დაშვერია აგრეთვე მთარგმნელის სახელიც.

გადამწერი და მთარგმნელი ერთად მოხსენიებულია „შიომღვიმის საეკლესიო ტიპიკონის“ (H—1349) კრიპტოგრამაში. ხელნაშერი გადაწერილია XIII საუკუნეში, ვიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ, ნუსხურით⁹.

ხელნაშერის 116v-ზე ასომთავრულით მიწერილია¹⁰:

+ შ რ ი ზ რ ა C: ქ ე ს: ქ მ ნ ი:

ქ მ ნ ი ნ ი უ ს ლ ე პ ა: წ მ რ მ ნ ი: ქ ტ უ:

⁸ ლ. ათანე ლი შეი ლი, ბერძნული კრიპტოგრამა ქართულ ხელნაშერში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3, გვ. 161.

⁹ ქართულ ხელნაშერთა აღწერილია. H კოლექცია, III, 1948, გვ. 303.

¹⁰ კრიპტოგრამა ხელნაშერთა აღწერილია (H კოლექცია, III, გვ. 303) გამოქვეყნებულია როგორც ასომთავრულით შესრულებული მინაშერი და არა კრიპტოგრამა.

ამ შინაგანი კურალების იქცევის ოჩი სიტყვა: „ჩ'ტუ: ჩ'რნი“. ორივე სიტყვა კრიპტოგრამაა, ძევს ქართულში ძალზე გავრცელებული ანგილიური სისტემისა. სიტყვები ასე გაიხსნოთ: „ა'ლ: არ'ნი“.

განვითოლოთ პირველი მოთავარი: სიტყვაში „ალკ“ უნდა იგულისხმებოდეს საკუთრის სახელი „ლუკა“. იგი შედგენილი ჩანს ერთდროულად ორი სისტემის — ანჩინურისა და უკუდაწერილობის სისტემათა კომპილაცით.

„ა-ლუ“ რომ „ლუკას“ ნიშავს, ეს, უპირველს ყოვლისა, თვით ანდერ-ძიდან ჩანს. ანდერძში ასომთავრულით წერია: „ქ’ ე შ’ ე ლ’ კა“ (=ქრისტე შეიწყალე ლუკა).

„ჩ ტუ“ კრიპტოგრამის ასეთი ამოხსნა შესაძლებლად მიგვაჩინია მსგავსი შედგენილობის კრიპტოგრამების არსებობის გამო ძველ ქართულში. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეს კრიპტოგრამა ანჩინურისა და უკუდაწერილობის კოპილაციური სიტყმითა შედგენლი. ანჩინური სისტემის ამოხსნით მივიღეთ „ალ-კ“. უკუდაწერილობის სისტემა გულისხმობს სიტყვის უკუღმა, შებრუნვებით წაკითხებას. თუ ალნიშნული სიტყვა ქართულში გავრცელებულ ამ სისტემს ექვემდებარება, მაშინ „ალ-კ“ კი არ უნდა გვქონდა, არამედ „აკუ“, მაგრამ მისმა ვეტორმა დაქარაგმებული ფორმიდან „ლ-კ“ მხოლოდ ა ასო გარაიტანა წინ, მივიღეთ „ალ-კ“.

„ა-ლე“ კრიპტოგრამას უკუდაწყრილობის სისტემით ვხსნით შემდეგი მიზეზის გამო: ქართულ ხელნაწერებში დაინებნა უკუდაწყრილობის სისტემის ერთთ სახეობის რამდენიმე კრიპტოგრამა. ორს ბულმისისძის საგალობელთა კრიბულზე (A—85) XVII ს.-ის მხედრულით მიწერილია:

କୁଳତ ଶ୍ରେଣୀକୁଳେ. କୁଳାଙ୍ଗ କୁଳାଙ୍ଗ କୁଳାଙ୍ଗ କୁଳାଙ୍ଗ

კრიპტოგრამა უკუდაწერილობის სისტემით იხსნება:

„ქ. ღოთვის შეკრულება. ქ. აიღე, ღოთვის შეკრულება. (=ქ. ღმერთო შეკრულება. ქ. აიღე, ღმერთო შეკრულება (კოდექსით ჩამონახული)).

ამ კრიპტოგრამში ჩვენთვის საინტერსოა პირველი სიტყვა „ორ ლტ“. ნაცვლად უკუდაწერილობის სისტემის ნორმით დადგენილი დაწერილობისა „ორ ლტ“, როგორც ვნახეთ, გვაქვს „ორ ლტ“, გადასმულია წინ მხოლოდ ზოლო ასო დაქართვებული სიტყვისა—ლტ თუ. აქაც მსგავსი სურათია, როგორიც იყო ჩვენს კრიპტოგრამაში — „ორ ლტ“ ნაცვლად, „ორ ლტ—სი, „ა-ლტ“ ნაცვლად „ა-კლტ“—სი. ჩვენი კრიპტოგრამის („ა-ლტ“) მსგავსია აგრეთვე საკუთარი სახელის „თადეოზ“—ის კრიპტოგრამაც. იგი მოიხსენიება უკუდაწერილობის სისტემით შესრულებულ ორ სხვა სიტყვასთან ერთად, რომლებიც ამ სისტემის სხვა ნიმუშების მსგავსად შებრუნებულად იყიდულიან. საბასეულ „ქილილა და დამანაზე“ (S—31) XIX ს-ის მხედრულით წერია: „აიფოს ირასუგ. ზოე-თაო“.

3. მიშაბენ¹¹ ასე ხსნდს კრიპტოგრამას:

სიტყვა „ზოეთად“ სხვაგვრად ისტნება. აյ შეცდომასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ გარევეულ კანონზომიერებასთან. იგი შედგენილია ზემოთ გან- ხილული პრინციპით: სიტყვის მეორე ნაწილი, მარტვალი „თად“ არ ირის რიპეტოგრამული, ხოლო პირველი ნახევრი „ზოე“ კრიპტოგრამულია და ასე

¹¹ ბ. მიქაელი, ქართულ ხელნაწერთა შესწავლა და იღწერა, 1957, გვ. 10—17.

წაიკითხება: „ეოზ“. ორივე ნაწილის შეერთებით მივიღებთ „თადეოზ“ სახელს.

მსგავსი კრიპტოგრამა დაიძებნა ცენტრარქიუსის ერთ ხელნაწერში (ფ. 1446, № 99), რომელშიც XVIII ს-ის მარგრულით ერთ-ერთი თავის დასასრულს ჩაწერილია:

„...ამ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე
ნიამ

დასასრული მეორისა თავისა“.

კრიპტოგრამა იხსნება: „ამინ“. აქაც ივივე პრინციპია დაცული კრიპტოგრამის შედგენისა. საყურადღებოა თვით კრიპტოგრამის მინიშნებაც. ი-ს ზემოდან სამი . . . წერტილი უზის, რაც, ალბათ, იმის მაუწყებელია, რომ აქედან უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა წავიკითხოთ კრიპტოგრამის პირველი მარცვალი ნი. მეორე მარცვალი ამ, ზემოთ განხილული კრიპტოგრამების მსგავსად, აქაც არაკრიპტოგრამულია.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი კრიპტოგრამები უკუდაწერილობის სისტემისა, მაგრამ ერთი, გარკვეული სახეობისა. მათი შედგენის პრინციპია — არა მთლიანი სიტყვის უკულმა, შებრუნვებულად, მარჯვნიდან მარცხნივ კითხვა, არაედ სიტყვის გარკვეული ნაწილისა.

უკუდაწერილობის სისტემის აღნიშნული კრიპტოგრამები გვიანდელ საუკუნეებს განეკუთვნებიან, თარიღდებიან XVII—XIX საუკუნეებით. უკუდაწერილობის სისტემის ამ სახეობას რომ ქართველები უფრო აღრე დაუფლებიან, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ვ. გარდტჰაუზენია „ბერძნულ პალეოგრაფიაში“ გამოვევენა ერთი კრიპტოგრამა¹²:

”ეთა: ათეს აჯა ირაოხება თას ამანი. ასე იხსნება: თას: ამან აჯა თუ არახოსთა თას მარი. თარგმანი: „სრულ იქმნა 30 მისის“.

კრიპტოგრამაში უკუდაწერილობის პრინციპით შედგენილია სიტყვის ცალკეული მარცვლები, ე. ი. უკულმა კითხვა მარცვლების მიხედვით ხდება. მაგ, უკუდაწერილობის სისტემით აჯა უნდა გვქონოდა აჯა, ამ სისტემით კი გვექვებ აჯა.

რა დროისაა ეს კრიპტოგრამა, ვ. გარდტჰაუზენის „პალეოგრაფიდან“ არ ჩანს, იგი არ ასახელებს თარიღს, თუმცა, ავტორი აღნიშნულ კრიპტოგრაფიულ სისტემას იხილავს ცენტრის კრიპტოგრაფიულ სისტემასთან მიმართებით. ცენტრი წერდა წერილს ციცერონს (I ს. ჩვ. ერამდე), რომელშიც ასოთა მნიშვნელობები შეცვლილი იყო. კერძოდ, A-ს წერდ D-ს მაგიერ, B-ს E-ს ნაცვლად და ა. შ. მაშნ, როცა ცენტრი უცვლიდა მნიშვნელობებს ანბანში ასოებს, ერთს ხმარობდა მეორე ასოს მაგიერ, ბერძნულში არსებობდა კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც ცვლიდა ასოთა მნიშვნელობებს თვით მარცვალში. ეს შეცვლა კი, როგორც დავინახეთ „პალეოგრაფიაში“ დაბეჭდილი კრიპტოგრამიდან, სიტყვის მარცვლების უკულმა წაკითხვაში მდგომარეობს. ამ სისტემას ვ. გარდტჰაუზენი „Silben — kryptographie“-ს უწოდებს, ე. ი. „მარცვლოვან კრიპტოგრაფიას“¹³. მაშნადამე, „მარცვლოვანი“ კრიპტოგრაფიული სისტემა ჯერ კიდევ ციცერონის დროს ყოფილა მმარებაში საბერძნეთში.

¹² V. Gardthausen, Griech. Palaeogr. II, 1913, Leipzig, 33. 302.

¹³ იქვ.



ბერძნული „მარცვლოვანი“ კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც მარცვლოვანი ციფრული ასოთა უკუდაშერილობას გულისხმობს, ერთგვარ გამოძახილს ჰერიტეიტის ულობს ქართულში. ქართული უკუდაშერილობის სისტემის ზემოთ განხილული კრიპტოგრამების ეს სახეობა ენათესავება ბერძნულ „მარცვლოვან კრიპტოგრაფიას“. საფიქრებელია, რომ ქართულში სწორედ ეს სახეობა უკუდაშერილობის სისტემისა შემოიღეს ბერძნულის გავლენით, თუმცა შემდგომ უკუდაშერილობის სისტემა განვითარდა და მისი სხვა სახეობებიც ჩამოყალიბდა. აღნიშნული სახეობის დღესდღეობით ცნობილ უძველეს კრიპტოგრამად სწორედ „ალკ“ კრიპტოგრამა უნდა ჩათვალოთ, რომელიც რთულ, კომპილაციურ სისტემაში შემოვარჩენია.

რაც შეეხება ჩვენი კრიპტოგრამის მეორე სიტყვას: „ჩრნი“, იგი უფრო მარტივად იხსნება. კერძოდ, სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასოა ანჩინური სისტემით დაშერილი, ა-ს ნაცვლად გვაქეს ჩ. დანარჩენი ასოები „ჩრნი“ მის ვერობს აღას შეუცვლია შესაბამისი კრიპტოგრამული ანბანით. ასეთი წესი: რომელიმე სიტყვის მხოლოდ ერთი, გარკვეული ნაწილის საიდუმლო ანბანით წერა, არ არის უცხო ძველი ქართული კრიპტოგრაფიისათვის. მაგ., სათვალავადი სისტემის ერთ კრიპტოგრამაში „რვა“ რიცხვითი სახელის პირველი ასო „რ“ არის სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამული ანბანით (კ) დაშერილი, სიტყვის მომდევნო ასოები კი არაკრიპტოგრამული, მხედრული ასოებითა ნაწერი: 411 კვასა (H—1318): „და რუსასა“ და სხვ.

მაშასადამე, კრიპტოგრამის მეორე სიტყვა „ჩრნი“ ასე ამოიხსნება: „არნი“, ქარაგმის გახსნით — „არსენი“.

ამრიგად, „ჩრნს: ჩრნი“ კრიპტოგრამა ასე იხსნება: „ლუკა. არსენი“. ისმის კითხვა: ვის გულისხმობს ეს საყუთარი სახელები? საფიქრებელია, რომ პირველი სახელი „ლუკა“ გადამწერს გულისხმობდეს. მართლაც, იქვე, კრიპტოგრამას უძლეს ასომთავრულით ნაწერი ანდერძი: „ქვე შე ლუკა“. მაგამ ლუკა არ არის გადამწერი H—1349 ხელნაწერისა, რასაც ამ ნუსხის ანდერძი ადასტურებს: „სახელით ლისა ულისა მპერობელისაკთა, რომლისა კელთა შინა ასს სული ყოველთამ, რომლისა სახელი კურთხეულ უკე. მე, გორგი, სახითა ოდენ მონაზონ-ხუცეს, ხოლო სხვთა ყოვლითა აღსავს ცოდვითა, ღირს ვეჭმენ ლოშებს ამის წიგნისა და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა, დავდევ ეკლესიას მოვმისასა, საჯენებელად სულისა მისისა და ჩემისასცა. წმიდან მამანი ლოცვა ყავთ ლუკასთვას, ასთა უფალმან ღმერთმან თქ’ცა სასყიდელი მოგანიჭიოს. აშ ვინცა იყადროს და გამოაჭუას ეკლესიასა მღვმისასა, მოსაჯულმცა არს წმიდამ შიო წინაშე ღისა დღესა მას განსჯისა და განკითხევისასა“ (129v).

როგორც ანდერძიდან ჩანს, H—1349 ხელნაწერი გადაუშერია გიორგი ხუცეს-მონაზონს, რომელსაც მისი აღმზრდელის ლუკას გარდაცვალების შემდგომ ეს ხელნაწერი შეუშირავს შიომღვიმის მონასტრისათვის. მაშასადამე, გიორგი ხუცეს-მონაზონის აღმზრდელი ყოფილა ლუკა, რომელსაც გადაუშერია H—1349 ხელნაწერის დედანი, რასაც ადასტურებს ამავე ხელნაწერში დაცული ლუკას ანდერძი, რომელიც გიორგი ხუცეს-მონაზონს უცვლელად უაღმიოუტანია დედნიდან. ამ ანდერძში ლუკას თავისი სახელი ორგეარად დაუშერია: არაკრიპტოგრამულად (ასომთავრულით „ზენ“) და ანჩინურ უკუდაშერილობის კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამით („ჩენ“).



კრიპტოგრამაში მოხსენიებული „არსენის“ ვინაობის შესახებ. მნიშვნელობისა და დანიშნულების ძეგლს¹⁴, რომელსაც ეწოდება „თანამდები ლთისა მიმართ წლითიშვლადი მაღლობაა, რომელსაც დღესა მიიღო ეკლესიამან ლთისამან გამოსაჩინებელი კეთილმასახურებისა შეულთათაა და დაქცევაა სიბოროტისა პოროტად მსახურებათაა“ (110v—116v). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „შიომღვიმის ტიპიკონში“ შესული ამ ძეგლის მთარგმნელი უნდა იყოს არსენ იყალთოელი¹⁵. ე. გიუნაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „შიომღვიმის ტიპიკონში“ მოთავსებული ზემოთ აღნიშნული თხზულების ბოლოს მინაწერში არსენის მოსახესნებელია. იგი ამასთანავე იშველიებს კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ არსენი სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობს შიომღვიმის მონასტერში. ყოველივე ამის გამო ე. გიუნაშვილი არსენ იყალთოელს მიიჩნევს ამ ძეგლის მთარგმნელად.

ჩვენი კრიპტოგრამის („ჩრტს; ჩრნი“) მეორე საუთარი სახელი „არსენი“ არსენ იყალთოელს უნდა გულისხმობდეს, ე. ი. H—1349 ხელნაწერის დედაში მის გადამშერს ლუკას კრიპტოგრაფიულად მიუწერია ზემოთ დასახულებული ძეგლის პოლოს ჯერ თავისი სახელი, შემდგომ ამ თხზულების მთარგმნელის არსენის სახელი. XIII საუკუნის ხელნაწერის H—1349 დედანი კი, როგორც გადამშერ ლუკას ანდერძიდან ჩანს („ქრისტი იყო ტეჟ“, 1172 წლისა. ამდენად, კრიპტოგრამა „ჩრტს; ჩრნი“, რომელშიც მიფარულია გადამშერ ლუკასთან ერთად მთარგმნელის — არსენის — სახელიც, ერთ-ერთი უძველესი, და ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი საბუთია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს უჭერს მხარს*.

ლ. А. АТАНЕЛИШВИЛИ

ГРЕЧЕСКАЯ И ГРУЗИНСКАЯ КРИПТОГРАММЫ КЛАРДЖИЙСКОГО МНОГОГЛАВА И ШИОМГВИМСКОГО ТИПИКА

(Резюме)

1. В кларджийском Многоглаве X века (рукопись A—144, стр. 190 г), в конце одного заглавия имеется приписка греческим унициальным письмом, выполненная рукой писца. Она является криптограммой греческой криптоографической системы „gewöhnlichste kryptographie“.

Греческая криптограмма повреждена и искажена, поэтому предполагается, что она переписана из оригинала рукописи A—144.

¹⁴ ქ. ვეკვალიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 485.

¹⁵ ე. გიუნაშვილი, ექვთიმე მთაწმინდლის კანონიკური კრებული „მცირე სქულისანონი“, „მცნე“, 1969, № 2, გვ. 213.

არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვით არსენ იყალთოელი მთარგმნელია შიომღვიმის მთელი ტიპიკონისა (H—1349 ხელნაწერი სრულად) (ე. გაბიძა გვილი, რუსურნისას კრების „ძეგლისწერის“ ატორის ვინაობისათვის, კ. კეკელიძის სახელმის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, თებერვალი, 1972, გვ. 8).

* წერილი აშენებილი იყო, როდესაც მიიღოთ მ. ვან ებროვას წიგნი „Les plus anciens homélie géorgiens“, Louvain, 1975, სადაც ავტორი იძლევა A—144-ის ბერძნული კრიპტოგრამის სხვაგვარ ინტერპრეტაციას.

Выяснилось, что в криптограмме скрываются имена, из которых в имени «Гоган» скрывается личность переписчика оригинала А—144, а под именем «Иоб», может быть, подразумевается имя переводчика.

2. Криптограмма «Шиомгвимского типика» (рукопись Н—1349) составлена компиляцией грузинских криптографических систем «Анчинури» и системой, в которой слова читаются справа налево, т. е. в обратном порядке. Первое слово криптограммы „**ի՛ւբ**“ самый древний образец этой системы, которая возникла в Грузии под влиянием греческой системы «Silben-kryptographie» (т. н. слоговая система). Эта криптограмма переписана с оригинала рукописи Н—1349, в которой криптографически записал свое имя переписчик Лука. Этот оригинал, как указывается в колофонах, переписан в 1172 году.

Предполагается, что под вторым собственным именем криптограммы — «Арсений» скрывается имя Арсения Икалтоели.

ნიკოლოზ ჭავაშვილი

„შუშანიძის ფამილის“ სომხური რედაქციის ურთიმრთდამოგილიგულებისათვის

როგორც ცნობილია, არსებობს „შუშანიძის წამების“ რამდენიმე რედაქცია, რომლებიც ერთგანეთისაგან განსხვავდება სიღიღითა და შინაარსით. ისინი შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: ვრცელ, მოკლე და სვინაქსარულ რედაქციებად. მასთან, ყოველი ჯგუფი წარმოდგენილია როგორც სომხური, ისე ქართული ვერსიებით. განსხვავებანი რედაქციათა შორის ზოგჯერ უმნიშვნელოა, ზოგჯერ კი—უაღრესად მნიშვნელოვანი და სიინტერესო. ცადია, რედაქციათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს „შუშანიძის წამების“ ტექსტის ისტორიისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში გაშოთქმულია კიდევაც გარკვეული შეხედულებანი ამ რედაქციათა ურთიერთობის საკითხებზე. ამჟამად გვინდა განვიხილოთ მხლოდ სომხური ვრცელი და მოკლე რედაქციით ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

სომხური ვრცელი რედაქცია დღესდღობით ცნობილია ორი წუბით. ერთი დაბეჭდილია 1853 წ., ვენეციაში, „სოფერქ ჰაიკავანქ“-ის IX წიგნში¹. ხელნაწერი, რომლიდანაც გაეთვალისწინებულია ეს გმოცემა, ამჟამად არა ჩანს. ასე რომ სომხური ვრცელი რედაქციის, ასე ვთქვათ, ვენეციური ვარიანტი ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ გმოცემული ტექსტით. ჩვენთვის უცნობია ისიც, თუ როდის იყო გადაწერილი ის ხელნაწერი, რომელზედაც არის დამუარებული ვენეციური გმოცემა. ვრცელი რედაქციის მეორე ვარიანტს მიაკვლია ი. აბულაძემ ეჩმიაძინის ერთ-ერთ სომხურ მრავალთავში (ძალის ში № 941)². ხელნაწერი გადაწერილია 1689 წ. ი. აბულაძემ შეადარა ერთმნიერს ეს ვარიანტები. მისი სიტყვით, ეჩმიაძინური ნუსხა ვენეციურთან მიმართებით „უმეტეს შემთხვევაში დიდ სხვაობას არ გვაწვდის, მაგრამ არის მარც ადგილები, რომლებიც ან სხვანაირადა მასში გადმოცემული, ან აკლია, ანდა უფრო გავრცებილია... სხვა მხრივ კი ორივე ეს ხელნაწერი ერთისა და იმავე რედაქციის ჩანს“³. ეჩმიაძინური ნუსხის თავისებურებათაგან ი. აბულაძეს საგანგებო

¹ სოქეტ ჭავალაშვილი—მრ. ქ. სიმინთქ, 1853, გვ. 10—47. ცნობები სომხურ ვრცელსა და მოკლე რედაქციებზე აღტბული ვაჟებს ი. აბულაძის წიგნდან „იუკბ ცურტაველი, მიტრვლობა“ შუშანიძის, ქართულ და სომხურ ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძებლები დაურთო ილია აბულაძემ“ ტფ, 1938, გვ. 04—05.

აღსნიშნევით, რომ ზემოხსენებული სომხური გმოცემის რედაქტორად დ. ალიშან მიჩნევან (ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 022).

² ამჟამად ეს ხელნაწერი ინახება ერევნის მაშტოცის სახელობის მატენადარანში (№ 941). იხ. ვილემ ბენავრავ Մაշտოცი ანდან მატენადარანი, ნათ. ქ. ნესტონ, 1965, გვ. 443.

³ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 05.

რაც შეეხება სომხურ მოკლე რედაქციის, იგი ცნობილია მხოლოდ „სოფერქ პაიკანქ“-ში დაგევლილი ნუსხით⁴. მისმა გამომცემულმა თავის ღროვე აღნიშნა, რომ მოკლე რედაქციის დასაწყისი ხედება მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ III წიგნის 49 და 51 თავებს და იქიდანაა ღებულონ⁵, ხოლო დანარჩენი კი ვრცელის შემოკლებაა⁶.

თავის დებულებათა დასამტკიცებლად ი. აბულაძემ პარალელურად წარმოადგინა და ერთმანეთს შეუდარა იკიბის ქართული, მოკლე სომხური და მცორე ვარცელი სომხური რედაქციების შესაბამისი ტექსტები. ამ შედარებიდან, ვციფრობთ, თვალნათლივ ჩანს მისი დებულებების სისწორე. ისნი ღლესაც შეუჩეველნი რჩებიან. მაგრამ ი. აბულაძეს შედარებული აქვს ერთმანეთთან „წამების“ რედაქციების ბოლო ნაწილები, სადაც აღწერილია შეზანიერი სიკედილი და დასაფლავება. ჩვენ შევიცილებით შევადარით ერთმა-

⁴ Սովերը Հայկականը, 83. 49—55.

⁵ Սովերը Հայկականը չշ. 60, թշ. 12. օ. սծւլածյ, զաւած. նամի, չշ. 019.

⁶ Առիկրք Հայկականք, օյց. ո. ածւլածյ, Ըստած. Եամհ., օյց.

7 o. ୦୬୭୯୮୦୫୨, ପାଶାବ. ନାମ୍ବର., ୩୩. ୦୨୮—୦୪୨.

ნეთს „წამების“ რედაქციების წინა ნაწილები. მართალია, ეს შედარება არ იმუშავება ლეგა რაიმე არსებითად ახალს, მაგრამ მაინც შესაძლებლად ხდის დავთხურობა.

დავიწყოთ სათაურებით. პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვრცელი რედაქციის ნუსხების სათაურები, რომებიც მნიშვნელოვნად გამსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ეჩმიაძინური ნუსხა

ვენეციური ნუსხა

Վկայաբանութիւნ սրբոյნ Շտշառ նկանն. թոռին սրբոյն Սահակալ, գտաნք սրբոյն Վարդանալ. որ իւրմէ առնէն կատարեցաւ զանազան տան- ջանօք վասն Քրիստոսի հաւաառյն⁸:

Վկայաբանութիւն սրբոյ Շտչառնկանն. որ կատարեցաւ ի Վիրս լառնէ իւրմէ լառնթիպատրէ Վրաց առաջնորդէ. որ էր գտաստրն սրբոյն Վարդանալ և թոռն Սահականտաշալ. դանք սրբոյն Սահա- կալ Պարթևի Հայոց հայրապետի⁹:

წამება წმიდისა შუშანიკისა, Շვი- ლიშვილისა წმიდისა սაპաշისა, աსუ- լուսա წმიდისა ვարձանისა, რომელიც თავისი ქმრისაგან աღըսրულա Տեքաდა- სხეანაირո ტანչვით ქრისტոս սահწ- მუნობისათვის.

წამება წმიდისა შუშანიკისა, რო- մեლու աღըսրულա ქართლ ქმრისა- გან Եղիսաբետ, անտօնաթրოւու Տեք- ლա წიօნաթրու օւա. როմելու ոյո աსუլու წმიდისა ვարձանისა და Շვი- ლიშვილი սაპաշინუშისა, աსუլու ս წმიდისა սაპաշ პարտევու ս, სომეხთა մამათმთავრისა.

ამ სათაურების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ მათ შორის არის გარევეული მსგავსება. კერძოდ, მსგავსი სათაურების საერთო აგებუ- ლება, არև სორცვასი და დამთხვევაც („...որ իւրմէ առնէն կատարեցաւ...“, „...որ կատարեցաւ... լառնէ իւրմէ...“). მაც დროს მათ შორის არსებითი განსხვა- ვებადაა: ეჩმიაძინური ნუსხის სათაურში Շუშაնიკზე ნათქვამია, თითქოს, იგი იყო წმ. საპաշის Շვილიშვილი, რაც Շეცდომა. Նინამდვილში Շუშანიკი იყო საპաշის Շვილიშვილის Շვილი (Շუშანიკის მამა ვარდან მამոյունიანი იყო Շვი- ლი սაპաշ Աննუშისა, საპաշის ქალისა).

ვენეციური ნუსხის სათაურში Շეცდომა გასწორებულია და Շუშანიკი სწორად ისկნიება. როგოրც „աსუլու წმიდისა ვარձանისა და Շვილიშვილი სა- პաշ Աննუშისა, աსულისა წმიდისა սაპաշ პაրտევისა, სომეხთა მამამთავრისა“¹⁰.

8 օ. Ճ Շ Լ Ա Ժ Ր, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

9 Ո՞վ.

10 ա՛ ո յշն ծոր գացոյիշ, რომ ეჩმიաძინუրი ნუსხის სათაუրში սაპաշის მაგივ- რած თავდაპირველաდ սაპաշ Անն ու սպանութեա და რომ սახեლების Շეცდომა მեռլու մեջ անցուր, յալմու Շեცდոմու Շելցցած. Տայմ ուսա, რომ սապաշ Քոն Մեռլու ու յանութիւնու մեջ անցուր, რոմելու ար յշն ծոր սապաշ Անն. Տայմ Մեռլու մեջ անցուր Շելց- ցութիւն ար ուսենեա. մաստան, սապաշ ծցրած Շելց գամոհենու Յոհու շե- պաշ Անն, როմելու յամ տվյալ, մօհտագաճ մօհտ ոյո Ենօնու, რომ սապաշ Շվի- լու ոյո. Շუշանიკიս Քոնաթրեթի սապաշ մեռլու յամ գամոհենու Յոհու շե- պաշ Անն ուսենեա.

ეჩმიაძინური ნუსხის სათაურს ი. აბულაძე ასე ასწორებდა:

Վելաւարանովթիւն սրբոյն Շոշանկայք, գտտեր սրբոյն Վարդանայ՝ թուուին Սրբոյն Սահմակալ որ իւրմէ առնէն կատարեցաւ զանազան տանչունոք վասն Քրիստոսի հաւատոյն։¹¹

ამ გასტრიტების შემდეგაც გარდევეოთ არა ჩანს, ვინ იგულისხმება საპაკის შვილიშვილად, შუშანიკი თუ გარდანი¹².

ეჩმიაძინური ნუსხის ტექსტში ვკითხულობთ:

...ի բ ամալ¹³ առեւալ օրինաւոր ամուշ-
սնութիւնն սրբովն Վարպանայ Հայոց
սպարապետի և Մամիկոնէի թոռին
սրբովն ՍՀՀ կն Պարթևի և Հայոց
փարուսապետի դստեր Մահականու շաբ¹⁴:

...იყო მისდა (ვარსკენის, ნ. გ.) მი-
ცემული კანონიერი შევლლება წმი-
დისა ვარტანისა სომეხთა სპარაპეტისა-
და მამიკონიანისა შვილიშვილისა წმი-
დისა საპატ პართვებისა და სომეხთა მოძ-
ლერის ასულისა საპატანო შისა.

აშკარაა, რომ ტექსტი დაზიანებულია. გამოტოვებულია სიტყვა, რომელიც უნდა აღნიშვნავდეს, თუ ვინ იყო ვარსკენის მეულლე. ამასთან, გამოდის, თითქოს, ვარდანი იყო საპაკისა და საპაკანუშის შვილიშვილი. სინამდვილეში, როგორც ითქვა, საპაკანუში ვარდანის დედა იყო.

ვენეციურ ნუსხაში ეს ადგილი იყითხება შემდეგნაირად:

Եւ կին տնէր զգուստը վարդանալց
Հայոց սպարապետի Մամիկոնէի՝
թռոն սրբոն Սահակայ Պարթևի և
Հայոց հայրապետի, ի գոտերէն Սահականու շաբան¹⁵:

და ცოლად მისა იყო ასული ვარ-
დანისი სომებთა სპასეტისად, მამიკო-
ნიანისი, ასულის წული წმიდისა საპაკ
პართევისა და სომებთა მამათმთავრისად
ასულისაგან მის საპაკუნშისაც¹⁶.

11 o. o 87 3 o d g, ଫାର୍ମାକ. ନାଥିର., ୩୩. ୩.

12 აღსანიშვნებია, რომ ქველი სომხური ენისა და მწერლობის სიეთი დიდი მცოდნის გა-
ვეტითაც, როგორიც იყო ი. აბულაძე, საპატიო შეილოშვილი და იგულისხმებოდა შუშანიკი და
არა ვარა ან. ეს ჩანს იქიდან, რომ ი. აბულაძემ თავის გამოცემაში ძირითად ტექსტში შეი-
ტანა ვენეციური ნუსხის ტექსტის წაკითხვა, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახვთ, საპატიო
შეილოშვილად გატვევით ასახულებს შუშანიკს.

¹³⁾ გამოცემაში შეცდომით არის „ამა“, ი. აბუ ლაბე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

14 o. ଅଧ୍ୟ ଲାଦି, ଡାକ୍ତର. ବୁଢ଼ି, ପିତା.

15 030, 83. 3—4.

16 o'clock.

აქ უკვე გარევებით არის ნათქვამი, რომ შუშანიკი იყო შეიღლი გარდანიშნულობა
და საპაკიარებელია, შეიღლიშვილი საპაკისა. ვენეციური ნუსხის ამ აღვილის გათ-
ვალისწინებით აშენაა, რომ ეჩმიაძინურ ნუსხაში იქ, საღაც ნათქვამია, თუ
ვინ იყო კარსკენის ცოლი, გამოტოვებულია სიტყვა „ყდა-სა-მა-“—„ასული“. ეჩმიაძინური ნუსხის ეს აღვილი, უკვევლია, იყითხებოდა ასე:

...ի՞ր սմա առեալ յօրինաւոր ամառնաթեան գդաստր սրբոն կարգանայ... ...ոյս մօնօճա մօցցմշոլո յանոնցը թշրլուցօծածո աշուլո Շմօգուսա զարձա-նօսա...

ეჩმიაძინური და ვენეციური ნუსხების ერთმანეთან შეკრება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ თავდაპირველი ტექსტი, რომელიც, აღბათ, იყოთხებოდა, დაახლოებით, ასე:

Եւ կին ուներ զգաւոստը վարդա-
նայ Հալոց սպարապետի Մամիկոն-
իոնէի՝ թոռին որբոց Սահակայ
Պարթիկ և Հալոց հայրապետի, ի
դասերէն Սահականուշաբ:

და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი სომებთა სპახეტისაძე, მამიკონიანისი, ასულის წულაძე წმიდასა საპატ პართევისა და სომებთა მამათმთავრისაძე ასულისაგან მის საპატარშისა.

აქ უკვე ყველაფერი თავ-თავის აღგილზეა: შუშანიკი შეილია ვარდანი-
სა, ის კი შეილოშეილი საპატია, მე უკანასწერის ქალის საპატიურშისაგან.

როგორც იჩვევება, შუშანიკის წამების ვრცელ სომხურ რედაქციაში თავ-დაპირველად სწორი ცნობები უნდა ყოფილიყო შუშანიკის წარმომავლობაზე, რაც საგებათ ბუნებრივია, რადგან საპატია და ვარდანიც უაღრესდ პოპუ-ლარული ისტორიული პირები იყვნენ ქელ სომხეთში და მათი წარმომავლო-ბაცა და შთამომავლობაც კარგად იყო ცნობილი. მაგრამ, ჩანს, „წამების“ ტექ-სტში ეს ცნობები საკმაოდ აღრე დაზიანებულია. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ვრცელი სომხური რედაქციის ორივე ნუსხაში შუშანიკის გენეალოგია დამა-ხინჯებულადა წარმოდგენილია. ტექსტების მონაცემებს შეესატყვისება ეჩიმა-ძინური ნუსხის სათაური, ვენეციურისა კი განსხვავებულია. მასში სწორი ცნობებია შუშანიკის წინაპრებზე, თუმცა, როგორც ვნახეთ, სწორედ ვენეცი-ური ნუსხის ტექსტშია უფრო კატეგორიულად და მცდარად წარმოდგენილი შუშანიკის გენეალოგია. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ვენეციური ნუსხის სათაურში ვარსკენი იხსენიება როგორც „ანთიპატრისი, ქართველთა წინამდ-ღვარი“. არც ეჩიმაძინურ და არც თვით ვენეციურ ნუსხებში ვარსკენი ასე არ იწოდება. ორივეგან იგი პიტიაშვად არის წოდებული. საიდან გაჩნდა ვენეცი-ური ნუსხის სათაურში „ანთიპატრისი, ქართველთა წინამდღვარი“ და რო-გორ გასწორდა მასში შუშანიკის წარმომავლობა?

ჯერ ვნახოთ რა ვითარებაა მოკლე რედაქციაში.

მოკლე რედაქციის სათაურია

Վկայութիւն սրբոցն Շոշանկալ,
որ ի վիրու կատարեցաւ լառնէ իւրմէ
լանթիպատրեայ Վրաց առազնոր-
դէ:¹⁷

17 o. o ପ୍ରକାଶକ, ଫାସାଦ. ମୁଖ୍ୟ., ୩୩. ୪୯.

მოკლე რედაქციის სათაური სრულ დასაყრდენს პოულობს იმავე რედაქტორის განკუთხულების მიხედვისთვის, რომელშიაც ნათემათია, რომ შეშანიერ „მიეცა ცოლად ანთბ-პატროსა ქართველთა წინამძღვარსა“ („...თუმცა ყრის ანთბულება ქართველი იგივე სიტყვები ვრცელი რედაქციის უნიკური ნუსხის სათაურისაც. ამას ადამტურებს ისიც, რომ იმა-ვე მოკლე რედაქციის ტექსტში მოცემულია სწორი ცნობები შეშანიერის წარ-მომავლობაზე:

საპაკის ...თუმცა ყოსოფე მჩ შარა-
ჟანიკე ჰიჯეგალ ირ თუმცა თა-
მოსამომზე გამაყალასაყავ შარმჩ-
ჟანიკე: სი ჩ ნძანէ თარებნ ყარ-
ფან, ხ ჩ ყარფანავ! თარებნ ცო-
განწეს!...¹⁸

(ამას) (საპაკის, ნ. გ.) ერთი (ხოლო)
ასული ესუა, რომელსა უწოდა საპაკა-
ნუშ, რომელი მიეცა ცოლად პამაზას-
პისდა მამულენთა (უფლისა), ამისგან
(იშვა) წმიდად ვარდან, ხოლო ვარდა-
ნისაგა წმიდად შეშანიერ¹⁸.

მნელი მისახედრი არაა, რომ ვენეციური ნუსხის სათაური შესწორებუ-
ლია მოკლე რედაქციის ტექსტის მიხედვით. სწორედ აქაა წარმოდგენილი
შეშანიერის ზუსტი გენეალოგია და მხოლოდ აქაა ვარსკენი მოხსენიებული
„ათითაბატროსად ქართველთა წინამძღვრად“.

ატლა ცოტა რამ თვით ვრცელი და მოკლე რედაქციების ტექსტების ურ-
ათართობის შესახებ.

სომხეური მოკლე რედაქცია შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: პირველია
შესავალი, რომელშიც ჩამოთვლილია შეშანიერის წინაპრები. მეორე ნაწილში
ძალის მოკლედ არის გადმოცემული შეშანიერის წამების ამბავი მის აღსასრუ-
ლობიდა. მესამე ნაწილში მოთხრობილია შეშანიერის აღსასრული. ეს ნაწილი
თითქმის ორჯერ მეტია პირველ ორზე ერთად. სწორედ იგი აქვს შედარებუ-
ლი ი. აბულაძეს ვრცელი რედაქციის შესაბამ ნაწილთან.

მოკლე რედაქციის პირველ, შესავალ ნაწილში, როგორც ითქვა, მოცემუ-
ლია შეშანიერის გენეალოგია. ეს ნაწილი არ გამნია ვრცელ რედაქციის (სხვა-
თა შორის, არც ქართულს) და ამდენად მისი შედარება ვრცელ რედაქციის-
თან შეუძლებელია. მაგრამ ზოგი რამ ამ ნაწილში მაინც შეიძლება ითქვას.

შეშანიერის გენეალოგია ამ ნაწილში მოცემულია გრიგორ განმანათლებ-
ლიდან დაწყებული: გრიგორ განმანათლებელი — ვრთანესი — იუსიეი — ათა-
ნაგინესი — ნერსესი — საპაკი. შემდეგ ნათემათია, რომ საპაკზე შეწყდა მამ-
რობითი ხაზი: საპაკი — მისი ასული საპაკანუში + პამაზასპ მამიკონიანი —
ვარდან მამიკონიანი — შეშანიერი. ამ ნაწილში არის, აგრეთვე, ზოგი რამ საპა-
კის მოლვაწეობაზე, რასაც შეშანიერის წამებასთან უშუალო კავშირი არა აქვს.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ეს ცნობები შეშანიერი წარმომავლო-
ბაზე სწორია, ყოველ შემთხვევაში, შეესაბამება ძველი სომხური სისტორიო
წყაროების მონაცემებს. ითქვა ისიც, რომ ჭერ კიდევ „სოფერქ პაიკანქ“-ში
შეშანიერის წამების ტექსტების გამომცემელმა გამოთქვა აზრი, ეს ცნობები
ამოღებულია მოესხს ხორენაციის „სომხეთის ისტორიის“ III წიგნის 49 და 51
თავებიდან. მართლაც, მოკლე რედაქციის პირველი ნაწილი, შეიძლება ითქ-
ვას, მოლიანდ წარმოადგენს ხორენაციის ტექსტის სიტყვასიტყვით გამეორე-
ბას მხთითებული თავებიდან.

¹⁸ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.



უნდა ითქვას, რომ იყობის ტექსტში შუშანიკის წარმომავლობაზე, ტრიუმფი გვიჩვენება მის, არაფერია ნათქვამი. დასხველებულია მხოლოდ მისი მამა, ვარდან მამიკონიანი. ბუნებრივია, რომ სომები მთარგმნელს, რომელიც ითვალისწინებდა სომები მეტიხელის მოთხოვნილებებს, მეტი ცნობა მოეტანა შუშანიკის წინაპარებზე. ჩანს, მას დამატებით დაუსახელებია ისეთი ცნობილი პირი შუშანიკის წინაპარებიდან, როგორიც იყო საპაკ პართევი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული სომები საეკლესიო და კულტურული მოღვაწე. საქმარისია ითქვას მასზე, რომ იგი იყო სომხური ანბანის შექმნის ერთ-ერთი ინიციატირი და მონაწილე. დაუმატებია აგრეთვე მისი ქალიც, საპაკანუშიც. საფიქრებელია, რომ ეს ცნობები იყო უკვე პირველ ვრცელ სომხურ რედაქტირაში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. გადმოსულან ისინი მეორე რედაქტირაშიც. ამჟამად ისინი, როგორც ვნახეთ, დამახანჯებულად არიან წარმოდგენილი ამ რედაქტირის ნუსხებში. ეტყობა, მოკლე რედაქტირის აკორს არასამარისად მიუჩინება ეს ცნობები შუშანიკის წინაპარებზე. მოესხეს ხორენაციის „სომხეთის ისტორიაზე“ დაყრდნობით, მას განუვრცია შუშანიკის გენეალოგია, დაუწყია რა მისი წარმომავლობა ოვით გრიგორ განმანათლებლიდან.

მოკლე რედაქტირის ზემოგანსილებული პირველი ნაწილის შესახებ თვის დროზე ი. აბულაძე აღნიშნავდა, შესაძლებელია ეს შესავალი პქონდა იმ ვრცელ რედაქტირას, რომლიდანაც მომდინარეობს მოკლეო; მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ იგი მოკლე რედაქტირის ატორს ეკუთხოდესთ¹⁹. ზემოთ უკვე გამოჩენდა, რომ ჩვენ მეორე ვარაუდი უფრო მისაღებად გვეჩენება. მართლაც, ასეთი შესავალი არა აქვს იყობს, იგი არა აქვს ცნობილ ვრცელ სომხურ რედაქტირასაც. ჩატობ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ექნებოდა არმოლწეულ პირველ ვრცელ სომხურ რედაქტირას, რომელიც, როგორც ამის დამაგრებლად ამტკიცებდა ოვით ი. აბულაძე. ზევრად უფრო ახლო იდგა იყობის ტექსტთან, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი?

მოკლე რედაქტირის მეორე ნაწილში, როგორც ითქვა, ძალზედ მოკლედ არის გაღმილებული შუშანიკის წამგბის ამბავი მის აღსასრულიმდე. აქ ნათქვამია, რომ შემ ვარდანის ასული შუშანიკი მისთხოვდა ქართლის ანთიატრიოსა და წინამძღვანელს (მისი სახელი მოხსენიებული არა). შუშანიკის მეუღლის მოხსენება არა პიტიაშვალ, არამედ ანთიატრიოსად, ნ. აკინიანისა და ი. აბულაძის სამართლანი შენიშვნით, სიახლეა²⁰.

ზემოთ ჩვენ გვეონდა ნაჩვენები, რომ ვრცელი რედაქტირის ვენეციური წუსხისა და მოკლე რედაქტირის სათაურებში არსებული სიტყვები „ანთიატრიოსა ქართველთა წინამძღვარი“ მოკლე რედაქტირის ამ ადგილიდან უნდა მომდინარეობდეს.

შემდეგ მოკლე რედაქტირია აგრძელებს, შუშანიკის მეუღლე „შიშითა კაცთათა, უფრო კი სურილითა ასულისა თვისისათვის შევარდა ზრადაშტეანსა-შჭულსა მოგუებისასა“-ო („Որ լադաս մարդկան երկիրի, մանաւանդ թէ ի կամաց վասն գտներն իւրոք հմտութն զբագաւական օրինոք մողութիւնն“²¹). აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი არმ: პირველი — მოკლე რედაქტირის თანაბად, ვარსკენის გამაზდეანების ერთ-ერთი მიზეზი „კაცთა შიში“ ყოფილა. იყობს ხაზგასმითა აქვს ნათქვამი ვარსკენს „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში,

¹⁹ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 030.

²⁰ აქვთ, გვ. 038.

²¹ აქვთ, გვ. 50.



არცა მახული, არცა პყრობილებად ქრისტეშვილს“²². ასევეა სომხურ ვრცელ რედაქციაშიც. ეჩმიაძინურ ნუსხაში ვკითხულობთ „არა იძულებით და არცა მძღვრობით“²³, ვენციურ ნუსხაში კი — „ნებით და არა იძულებით, გინა მძღვრობით“²⁴ უარყო ვარსკენმა ქრისტიანობა. ჩანს, ვარსკენის გამაზდეანების ერთ-ერთ მიწეზად კაცთა შიშის გამოცხადება მოკლე რედაქციის ავტორს უნდა ეკუთვნოდეს.

მეორე ვარემობა, რომელიც ჩვენს უურადღებას იპყრობს განსახილველ ადგილში ისაა, რომ ვარსკენის გამაზდეანების უმთავრეს მიზეზად დასახელებულია ვარსკენის სურვილი შეერთო თავისი ქალი. არაფერია ამაზე ნათქვამი არც იყობთან და არც ვრცელი რედაქციის ეჩმიაძინურ ნუსხაში, ეს მომგნტი არის მხოლოდ ამ რედაქციის ვენციურ ნუსხაში, ამასთან არა იქ, სადაც მოსალონები იყო, არამედ სხვაგან. კერძოდ, იქ, სადაც ლაპარაკია ვარსკენის გამაზდეანებაზე, ნათქვამია, რომ მან სპარსი ცოლი ითხოვა შაპისაგან და შაპინაც მას თავისი სიღელი მისცაო ცოლად. ვარსკენისაგან თავისი ასულის შერთვის განზრახვაზე ლაპარაკია შემდეგ. ქარს ხუცესი ეკითხება შუშანიქს, რომელმაც გაიგო ვარსკენის განდგომის ამბავი: „რაც დაიდევ გონებასა და რაც გვეცულების ქმნად აღდგინებულთ შენ ზედ ბრძოლათა [შინა] უვარის მყოფელია მის პიტიახშისაგან შეერთებისათვეს თვისისა, ასულისათვეს მის, რომელი ეგულებოდა ცოლებად სპარსთა შჯულისაებრ; და ქეთ მათ მიქცევისათვს ჭეშმარიტისა ღმისობისაგან, ყოფად ძედ სიბნელისა, ვითარცა იგი თუ; და ყოველთა მათ ძრტოთვეს, რომელი განემზადა ჩუქენებად მოგუთა მათ მოძღვრებისაებრ და მსგავსად ბოროტისა მის გრძნებისა: ძულვებად სიმართლისა და ყუარებად უშჯულოებისა და ულმრთოებისა. რათა ყოველსა შეა აღასრულოს ცოდვა“²⁵.

ვარსკენის მიერ თავისი ქალის ცოლად შერთვის მოტივზე ლაპარაკისას ა. აბულაძე შენიშნავთა: „შესაძლოა ეს ადგილი გადამწერმა (ეჩმიაძინური ნუსხისა, ნ. ქ.) ვამოაგდოთ თხრობიდან, რადგანაც ეს მომენტი ისე მოხსენებული მასში, რომ შემდეგ მთელი მარტვილობის გაწვრივ არსად არაფერი ისმის ამ განზრახვის შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შესახებ. ეს მომენტი რომ სხვა რედაქციასაც (ე. ი. არმოლშეულ პირველ ვრცელს, ნ. ქ.) ჰქონია, ამას მარტვილობის მოკლე წიგნიც მოწმობს. მოკლედ ამ მოვლენის შესახებ აქაც არის ნათქვამი. მარტვილობის მოკლე წიგნი, წინააღმდეგ მისი გამომცემლის აზრისა, ჩენი დაკვირვების თანახმად, როგორც ამას ქვემოთ ენახავთ, ვრცელის შემოკლებას წარმოადგენს მხოლოდ ერთ ნაწილში (I თავი), ხოლო ვრცელიდან გამოღებასა თუ გამოკრებას მეორე ნაწილში (II—IV თავი). ამრიგად, თუ ეს ადგილი მთელის ნამსხვევშია, უცილობელია, რომ ვრცელშიაც იქნებოდა“²⁶.

ამრიგად, რადგან მეორე ვრცელი სომხური რედაქციის ერთ ნუსხაში და მოკლე სომხურ რედაქციაში ვარსკენის გამაზდეანების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია მისი სურვილი ცოლად შეერთო თავისი ქალი, ი. აბულაძეს მიაჩნდა, რომ ეს ცნობა უნდა ყოფილიყო არმოლშეულ პირველ ვრცელ სომ-

²² ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

²³ „... ჩ ჩარჩე ს ი ჩ ჩ წინიერხებ...“, ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

²⁴ „... ჩ ჩარჩე ს ი ჩ ჩ წინიერხებ...“, ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

²⁵ ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9 და შენ. გვ. 10.

²⁶ ივე, გვ. 05.

ଶୁରୁ ହେଉଥିବାପାଇଁ, ନମ୍ବିଲୋଡ଼ାନ୍ତାର, ମେସି ଏହିକିମ, ମନ୍ଦିଳିନାର୍ଜୁନଙ୍କୁ ମୋହଳ୍ଳେ ଫୁଲିବାର ପାଇଁ ଆମେ କମାନ୍ଦିଲୀରେ ଉପରେଲା ନମ୍ବିଲୋଡ଼ାନ୍ତାର ହେଉଥିବାପାଇଁବିରାମ କରିଛି।

ჩევნი აზრით, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზემოანხილული ვითარების სხვაგვარი ინტერაქტურაციაც. მოკლე რედაქტური ცნობა ვარსკენის მიერ თავისი ქალის ცოლად შერთვის სურვილზე მოთავსებულია იმ ნაწილში, რომელიც, როგორც ითქვა, ძალზე მოკლე გაღმოცემა შუალიკის წმების ამბისა და რომელიც პრარად შემმოკლებლის კალამს ეკუთვნის. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ცნობაც მის მიერ ყოფილიყო შეთხული, ან შეტანილი მოკლე რედაქტურაში.

ამავე დროს, საკუთარი ქალის შეტვის მოტივი არა არც იაკობის ტექსტში და არც ვრცელი რედაქციის ექიმიანის ნუსხაში. ის რომ ამ რედაქციის ვენეციურ ნუსხაში ეს ცნობა მოთავსებულია სხვა ადგილს და არა იქ, სადაც ეს მოსალოდნელი იყო კომპოზიციური და ლიგაფური თვალსაზრისით, ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი გვიანდელი ჩანამატია ამ ტექსტისთვისაც. ამაზე უნდა მიუთიერდეს ისიც, რომ, როგორც სავსებით სწორად შეინიშნა თავის დროზე ი. აბულაძემ, „შემდეგ მთელი ნარტვილობის გასწერივ არსად არა-ფერი ისმის ამ განზრახვის შესრულებისა თუ შეუსრულებლობის შესახებ“. მართლაც, არც ერთ რედაქციიში, თვით ვენეციურ ნუსხაშიც კი, სხვა არაფერი ჩანს ამ ცნობის დამდასტურებელი. რადგან ეს ცნობა არა აქვთ იაკობს, მისი არსებობა მოსალოდნელი არაა პირველ (არმოღწეულ) ვრცელ სომხურ რედაქციაშიც, რომელიც, ი. აბულაძისავე დასკვნით, იმდენად ახლო იდგა ქართულთან, რომ სტილისტურად გაუმართავიც კი იყო, რამაც გამოიწვია მისი გადამტეავების საჭიროება²⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცნობა მოიპოვება სწორედ იმ ნუსხაში (ვენეციურში), რომელიც, როგორც ვნახეთ, განციცლის მოკლე რედაქციის გავლენას. კერძოდ, მოკლე რედაქციის გავლენითავ შედგენილი მისი სათაური.

ვეფიქრობთ, ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ვარსკენს მიერ თავისი ქალის შეუძლების მოტივი არ ყოფილა უძველეს, ჩენენამდე არმოლწეულ ვრცელ სომხურ რედაქციაში. იგი შეუთხზავს მოქლე სომხური რედაქციის ვეტორს, რომლისგანც უსესხებად იგი ვრცელი სომხური რედაქციის ვენეციური ნუსხის გადამწრრს.

შემდეგ მოკლე ტედაცია, როგორც ითქვა, ძალზედ მოკლედ, სულ ორი-ოდე სიტყვით გადმოვცემს შუშანიკის წამების ამბავს. იგი გვიმბობს, რომ შუშანიკი აზ დაემორჩილა თავის ქმარს და ამხილებდა მას, ის კი „უფროოს-ლა აღეზნებოდა გულისწყრომითა მხილებისა მისიათვს და უშესლოსა საწოლისათვს“. ამის გამო მან „მრავალი ტანგვად მოაწია ნეტარისა შუშანიკის ხედა. გუემითა, საპყრობილითა, შიმშილითა და წყურილითა და ფერად-ფერადითა სატანჯველითა აჭირებდა მას ექუს წელს ულმრთოდ იგი და გან-მორჩებული ღმრთისაგან და ყოვლისაგან სასორებისა“. ენით აუშერელია ის ტანჯვა, რომელიც მოთმინებით აიტანა შუშანიკმა წლობით, თვეობით, კვირე-ობით, დღეობით და საათობითო²⁸.

27 o. ଅଧ୍ୟ ଲୋଦ୍ଗ, ଫାର୍ମ., ୩୩- ୩୩. ୦୨୯—୦୩୦, ୦୩୪.

28 933, 33. 50.

სურვილი: „უფროსს და აღეგზნებოდა გულის წყრომითა მხილებისა მისისათვეს და უშეულოსა საწილისათვეს“²⁹. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ შვილის ცოლად შერთვის მოტივი განსაკუთრებით დამახასიათებელია მოკლე რედაქციისათვის.

მოკლე რედაქციის მესამე ნაწილში მოთხრობილია შუშანიკის აღსასრული. ეს ნაწილი არსებითად განსხვავდება პირველი ორისაგან. ჯერ ერთი, იგი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ორგვერ უფრო დიდია, ვიდრე პირველი ორი ერთად აღებული. შემდეგ, განსხვავებით წინამავალ ტექსტისაგან აქ ყველაფერი დაწერილებითაა გადმოცემული. თუ წინა ნაწილებში ვარსკენის სახელიც კი არ იხსენიებოდა (დასახელებული იყენებ მხოლოდ თვით შუშანიკი და მისი წინაპრები), აქ სახელებით იხსენიებიან სამუელ და იოვანე ეპისკოპოსები. მესამე ნაწილის ტექსტი ზოგან სიტყვასიტყვით ემთხვევა იაკობისა. ზევით ჩვენ მოვიტანეთ ი. აბულაძის დასკვნა, რომლის თანახმადაც მოკლე რედაქციის ეს ნაწილი, წინამავლისაგან განსხვავებით, ერცელი რედაქციის შემოკლებას კი არ წარმოადგენს, არამედ „გამოღებასა თუ გამოკრებას“. ე. ი. მასში უცვლელად არის გადმოსული პირველი ვრცელი რედაქციის ნაწილებით. ამდენად, ი. აბულაძის დაკვირვების თანახმად, ეს ნაწილი უფრო ახლოს დგას იაკობის ტექსტთან, ვიდრე დღესდღეობით ცნობილი ვრცელი სომხური რედაქცია.

როგორც ითქვა, მოკლე რედაქციის ეს ნაწილი ვრცელ რედაქციასთან საგანგებოდ აქვს შედარებული ი. აბულაძეს, ამიტომ ამისი სპუნრობა ამჟამად აღარ არის. მხოლოდ ორიოდე სიტყვას ვიტყვით ერთ საკითხზე. იაკობთან კვითხულობთ, რომ მომავლავ შუშანიკთან სანახავად მივიდნენ „თავი იგი ეპისკოპოსთამ სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი, მისივე მოყუასი“³⁰. მოკლე რედაქციაში „მოყუასი“ გადმოცემულია „ლუկებ“-ით. ვრცელ რედაქციაში იგი საერთოდ არა.

თავის დროზე აკად. კ. კიევლიძე აღნიშნა, რომ „მოყუასი“ აქ „ამხანაგი“ ან „მეგობარი“ კი არ არის, არამედ მთავარებისკოპოსის თანამდგომი ეპისკოპოსი, კლერიკოსი³¹. ამიტომ ი. აბულაძემ „მოყუასის“ „ლუკებ“-ად თარგმნა non sense-ად მიიჩნია. მაგრამ „ლუკებ“-ს ქველ სომხურში „ამხანაგისა“ და „მეგობრის“ გარდა „თანაშემწის“ მნიშვნელობაც ქვენია. ამდენად, „მოყუასის“ „ლუკებ“-ად თარგმნა non sense-ად არ გამოიყერება.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული აღსატურებს და რამდენადმე ავსებს ი. აბულაძის მიერ „შუშანიკის წამების“ სომხურ ვრცელ და მოკლე რედაქციიებზე გამოთქმულ მოსაზრებებს. როგორც ირკვევა, „წამების“ უძველეს (არ-ონლაინ) ვრცელ სომხურ რედაქციაში შუშანიკის წარმომავლობაზე იაკობის ტექსტთან შედარებით მეტი ცნობები ყოფილა. ჩვენთვის ცნობილ ვრცელ სომხურ რედაქციაში ეს ცნობები დამახინგებულადა წარმოდგენილი. ისინი შეუვსია და დაუზუსტებია მოკლე სომხური რედაქციის ავტორს. ჩანს, მასევ ეკუთვნის ვარსკენის მიერ თავისი ქალის შეულლების განზრახვის ამბავიც. ზოგიერთი ცნობა შუშანიკის წარმომავლობაზე და ვარსკენის განზრახვის ამბავი მოკლე რედაქციიდან მოხვედრილან ვრცელი რედაქციის ერთ-ერთ ნუსხაში.

29 ი. აბულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 42.

30 ივე, გვ. 033, შენ. 5.

Н. С. ДЖАНАШИА

К ИСТОРИИ ДРЕВНЕАРМЯНСКИХ РЕДАКЦИЙ
«МУЧЕНИЧЕСТВА ШУШАНИК»

(Р е з ю м е)

В древнейшей, не дошедшей до нас, пространной армянской редакции «Мученичества Шушаник» были дополнительные сравнительно с грузинским текстом «Мученичества» Якова сведения о происхождении Шушаник. В известной нам пространной армянской редакции эти сведения представлены в искаженном виде. Автор краткой армянской редакции расширил и уточнил эти сведения. Ему же принадлежит рассказ о намерении Варскена жениться на своей дочери. Уточненные сведения о происхождении Шушаник и сведение о намерении Варскена из краткой редакции попали в один из списков пространной армянской редакции.

II განმიღება

დავით რეზორის კალიგრაფიული მოღვაწეობა

„ჩამომავლობათა ჩვენთა შეენის კეთილ
დაბატულებითა წერან“
(H—2314, 363r)

დავით რეზორი მესხიშვილთა სახელოვანი ოჯახის საუკეთესო წარმომადგენელია. მრავალმხრივი, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა. არ ყოფილა ჩვენი წარსული კულტურისა თუ ლიტერატურის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, არცერთი საგულისხმო უბანი, რომელშიაც დავით რეზორის თავისი წელილი არ შეეტანოს და ლირსული კვალი არ დაეტოვებინოს: პოეტი და მეცნიერი, ხელნაწერთა მომატავი და გამმართავი, დიდი პედაგოგი და სახელმძღვანელოთა შემდგენელი, ლექსიკოგრაფი და ქართული ლექსის ნოვატორი, ბრწყინვალე და უბადლო კალიგრაფი — ასეთი იყო დავით მესხიშვილის შემოქმედებითი დიაბაზონი. „იგი ლირისია დაიკავოს საპატია აღგილო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დიდ სამსახურს გასწევდა იგი, ვინც ხელს მოკიდებული მისი ყოველმხრივ საგულისხმო ბიოგრაფიისა და დახსასათების მასალების შექრებას“¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავით რეზორის დაბადების თარიღი სადაც იყო. როგორც თვითონ ამბობს — „ორმოცდა ხუთისა განვლინა ვიქენე სრულიად კახეთის სამეფოსა რეკორდად-ო“ (S—105, გვ. 11). ამასთან, 1790 წლის 21 სექტემბერს ერქეულე მეფის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ, მეფემან ირაკლიმ, განგაწესეთ თელავს ქალქის სემინარიის რეკორდად შენ, ალექსის შვილი დავით. ასე რომე მოწაფეთ შემოგირევთ და ჭილასონია უნდა მოასმენინო და ზოგთ საკელესიო წიგნი და წერა და ქამაგირად და ულუფად გაგიჩინეთ: ნიადაგ წელს, რაც ამ ნესხაში სწერია, უკლებლად მოგეცემა მოვთით...“². ამ თრ ცნობაზე დაყრდნობით, დავით რეზორი 1745 წელს დაბადებულა. ამ აზრს მხარს უჭერს სოლ. ყუბანენშვილი.

3ლ. იოსელიანის ცნობით, დავით მესხიშვილი 1744 წელს არის დაბადებული³. ხელნაწერთა ინტიტუტში დაცულ ტარასი არქიმინდრიტის კრებულში (A—1448) წერია: „ქ. ბიძაჩემი, დავით რეზორი გარდაიცუალა ნოემბრის 1 დღესა, წელსა 1824, იყო წლისა 75, დამარხულ არს მთაწმინდაში“ (95 v).

¹ ნ. ბერძნიშვილი, უცრნალ უციკრის „რვა წიგნები (მარტილი თეტომბრამდე), ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, შეადგ. ს. ხუციშვილმა, 1954, გვ. 98.

² ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული დოკუმენტების ფონდი Qd—1068.

³ 3ლ. იოსელიანი, ცხოვრება გომრგვი მეცნიერისა, თბ., 1936, გვ. 262.

ხელნაწერის დასახელებულ ცონბასა და საქართველოს მოქალაქეობის განვითარების აღრიცხვის სამართველოს არქივში დაცულ ერთ-ერთ ცნობაზე დაყრდნობით, გვი მიქაელ საბოლოოდ დადგინა, რომ დავით რექტორის დაბადება-გარდაცვალების თარიღებია 1749—1824 წლები⁴.

დავითს ხშირად ვკარის გარეშე, „დავით რექტორად“ იხსენიებენ. ასევე უწოდებს იგი თავის თავს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მეტსახელად კი „ცუკის“ უწოდებდნენ. ამის გამო ერეკლე II-ის ასულს, პოეტ ქალს მარიამს, მასზე სახუმარო ლექსიც გამოუტვის (H—2130, 138r).

არის აზრი, თთქმის მას ეს სახელი მისი ხემრიბის დიდი ნიუის გმო შეერქვან, მეორე აზრით, დავითს თთქმის ჩეულებად ჰქონდა მხრების უცნური მოძრაობა, თამაში, რის გამოც „ცუკია“ შეარქვეს⁵.

დავითს, მისი სოლომინის მსგავსად, ოჯახშივე მიუღია სათანადო აღზრდა. თანამედროვეთა შორის იგი ნიუიერ და განათლებულ პიროვნებად ყოფილა ცნობილი: „დავით ალექსიძე... არს გონება მცველობი და კარგი მეხსიერი... ამან შემატა ლექსიონს. არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხოვბათა, რომელიც ქვებულ არს ჩენთაგან“⁶.

დავით რექტორის ლექსიკოგრაფიულ, პოეტურ, თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას მრავალი ნაშრომი მიეღვნა. მიუხედავად ამისა, მის ავტოგრაფულ ნუსხებში ჭერ კიდევ გახვდება ისეთი ნაწარმოებები, რომელიც შესწავლილი და გამოქვეყნებული არაა, მაგალითად, დავით რექტორის იმბიკოდ დაწერილი აკროსტიხი პატა ანდრონიკაშვილისადმი დაცულია ორ ხელნაწერ-კრებულში — S—5358 და H—2737. ორივე ხელნაწერი დავით რექტორის მიერ არის გადაწერილი. იამბიკო დღემდე არსად გამოქვეყნებულია. იგი სანქტერესოა როგორც დავით რექტორის პოეტური ეპისტოლების ერთი ნიმუში. ამიტომ აქვე ვურთავთ ტექსტს S—5358 ხელნაწერის მიხედვით:

პატა გიძლუშნ ძემან დავით, ქმა დ. სამსახეობა.

პაზიონ საქებ ძიებით უფროს სარაცხ
ალნამე ზეურდივად ელუარედ საჭკრომ
ახარებს სრულად მწურთელთარე მეტყუშლებით
ტკბილ ქონებანი აზრთა ამის მდებარის

ასურვებს წსთა ნატრიოენ სიტყვერნი
სამკონარ ზეტლით ზამორჩილებულმანვე
ქისმინენ აპა ალიძლუშნ ბრწყინულეო
ზერიმელე ჩაგვად ზითარმი გულისქმა ჰყო
ჭალუნანი ჩელულბრი ზაგვად მილებულნი
უაწლ უმწიყულებლად თხოვა არს შეიწირენ.

დავით რექტორს შეულგენია ანთოლოგიები (S—1511 და S—1512 და A—1164 ხელნაწერები).

⁴ გ. მიქაელ, მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოლვაწეობის შესახებ, ლატერა-ტერატო მიეპარ, XIII, 1960, გვ. 217.

⁵ ტ. რუსაძე, ქველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 13.

⁶ უ. გიკაშვილი, გადამწერლელი ქართულის წიგნებისა დავთ რექტორი, ივერია, 1877, № 39.

7 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ნაკვ. II, 1948, გვ. 192.

ცონბილია, რომ ძეველ ქართველ მეხოტეეთა ლექსები დღემდე მკვლევაში მოიხსენია. კხოველი ინტერესის საგანია. გარდამავალი ხანის პოეტთა შემოქმედება დარ კიდევ საბოლოოდ შესწავლილი არ არის. ამ პერიოდის ლექსების ფორმისა და პოეტურ სახეთა დიდ მსგავსება ხშირად იწვევს ზოგი ლექსის ამა თუ რა ავტორისათვის შეცდომით მიკუთვნებას. ასე რომ, დიდია იმ პირთა დამსახურება, რომელიც იწერდნენ ხალხში ზეპირად გავრცელებულ ლექსებს, შეძლებისამებრ აზუსტებდნენ მათ ავტორთა სახელებს და ამ გზით ცდილობდნენ გადაეცათ შემდგომი თაობებისათვის ძეველი ქართული ლირიკის შესანიშნავი ძევებიდრობა. ამ მხრივ დავით რექტორის მიერ შედგენილი ანთოლოგიები ღლესაც მეცნიერული კვლევის წყარო და ქართული ლირიკის ისტორიისათვის ფასღაულებელი განძია⁸.

* * *

უაღრესად საინტერესოა დავით რექტორის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა. ცონბილია, რომ ქართული კულტურის მოღვაწეონი, დანტერესებული ქართული ენის სიტყვიერი მარაგის გამზიდრებით, ს. ს. ოჩბელიანის განმარტებით ლექსიკონს ჩშირად უმატებდნენ ახალ სიტყვებს, ან შესწორება შექმნდათ ძეველ განმარტებებში. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაუტარებით დავით და იმანე ბაგრატიონების⁹. ლექსიკონის ახალი პრინციპით შევსების საქმეში ჯავით ბაგრატიონთან ერთად თანამშრომლობდა დავით რექტორი. იგი სალექსიკონო მასალას ამზიდრებდა დაილექტებიდან მოტანილი სიტყვებით, რითაც ხელს უწყობდა მშობლიური ენის ლექსიკის ზრდას. მის მიერ შევსებული ს. ს. ოჩბელიანის „სიტყვის კონის“ (S—2987) შესახებ ზ. ჭიშინაძე წერდა: „აქ არის მრავალად ნახმარი სიტყვები: მეგრული, სვანური, აფხაზური, ლაზური, იუშური, ლეკური, ქისტური, ოსური და სხვანიც ასეთი, რაც ქართულს მწერლობაში არსად მოიპოვება და ქართულ სიტყვებსა და ენაში კი იხსარება თურქები. ეს სიტყვები და შენიშვნები ეკუთვნის თელავის სემინარიის რექტორს დავითს“¹⁰.

ლექსიკონის შექცებისას დავით რექტორი მასალის თემატიკით არ იზღუდება: „მას უფლება აქვს... გარდა საბუნებისმეტყველო ტექნიკთა განვარტებისა, სხვა ხასიათის მასალათაც შეავსოს ლექსიკონი“¹¹. ჩანს, დავით ბაგრატიონის, თავისი აღმზრდელის დიდად პატივისმცემლისა და მის განსწავლულობაში დარწმუნებულს, ამ მხრივ დავით რექტორისათვის გარკვეული თავისუფლება მოუცია¹².

* * *

დავით რექტორმა თავისი წელილი შეიტანა ქართული სცენისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეშიც¹³.

⁸ ლ. ქუთათე ლა ა ძ. დავით რექტორისეული ანთოლოგია (1821—1823 წ.), მრავალთავი, IV, 1976, გვ. 100—121.

⁹ ლ. ქუთათე ლა ა ძ. დავით და იმანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრობები, 1967.

¹⁰ ზ. ჭიშინაძე, იშვათი საუნდე ქართული ლექსიკონების ისტორიის წინაშე, ტრიბუნა, 1922, № 372.

¹¹ ლ. ქუთათე ლა ა ძ. დავით და იმანე ბაგრატიონების..., გვ. 24—25.

¹² დავით რექტორისა და დავით ბაგრატიონის თანამშრომლობას აღსტურებს ხელაწერი H—2169-ც, ის. ქართულ ხელაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. V, 1949, გვ. 119.

¹³ გ. ლეონიძე, ქართული თეატრის ქრონიკი, დროშა, 1925, № 25, გვ. 11.



მან დიდი ამაგი დასდო სწავლა-აღზრდის საქმეს საქართველოში¹⁴. ქართველობის სემინარის რექტორად ყოფნის პერიოდში დავით რექტორმა ჩეცული ენტერესითა და ინტერესით მოჰკიდა ხელი სახელმძღვანელოთა შედგენა-გამრავ-ლებას. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია არა ერთი მის მიერ იმ ღრო-სთვის მაღალმეცნიერულ დონეზე შედგენილი და გადაწერილი სახელმძღვა-ნელო, რომელიც შემდგენელ-გადამშერს დიდ მომზადებას და განათლებას შორის. ამასე აღსტურებს იმ საგანთა ნაირგვარობა, რომელთაც დავით რექტორი თელავის სემინარიაში ასწავლიდა: „...მისი კეთილშობილება აღექ-სის ძე დავით მისის უმაღლესობის მეფის ირაკლი მეორისაგან ქალაქაში შინა თელავის მოძღვრად დაიდგინა ხელკორისა საქმითისა, ღრა მატისა, ღრა მატი ი-კისა, რიტორიკისა და სრულიად ფილოსოფიისა მას წლების 1180, 102v).

დავით რექტორის ხელმძღვანელობით მიუღიათ განათლება დავით, იოანე და თემიშრაზ ბატონიშვილებს¹⁵.

ესოდენ დიდი დამსახურების გამო, დავით რექტორი სამეფო კარზე მიღე-ბული და მეცნიერობის დიდად დახლოებული პირი იყ. ამას აღსტურებს თუნ-დაც ის ფაქტი, რომ მეცნ გიორგის დავითისათვის საჩუქრად უბოძებია „მშე-ნიერი სპილოს ძელის ჭანდრაკი გამოქანდაკებული, ოქროს საათი და პატარა დურბინიდი“¹⁶.

1801 წელს თელავის სემინარია დაარბიეს: „მას უამსა რუსნი მოვიდეს იმპერატორებასა ალექსანდრე პირველისისა, ძისა პავლე პირველისა იმპერატო-რისა, და სხლლა შეურაცხვეს და სადა სახელი ლოთისა იქადგებოდა, ჰყვეს ქვებ ავაზაეთა, ხოლო მე პირად-პირადი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალნი ბორიტნ მოაწივნეს, ჩემს ზედა. რექტორი დავით, თვესა ივნისსა, ქორონიკონსა უპა“¹⁷.

ამის შემდეგ დავით რექტორი თელავის მახლობლად დასახლდა. 1803 წელს გაექცა ჭირს და თავი შეაფარა კისისხეებს. აი, რას წერს იგი თავის ნა-მოწაფარს, მღვდელ იოანე ლურიშვილს: „აი შენ თელავიდან წამოხველ და გამოყარე, შენს შემდგომად რამდენი განსაცდელი და მწუხაჩებაზი შემემთხ-ვა, ყოველივე რომ მოგწერო, დიდ გრძლად მოვა და მცირეს მოკლედ გაცნო-ბებ. შენობისას ხომ სიმართლის მოქმედთ რუსთსკოლა წამართვეს, და რო-მელიც შენობისას კელაბშვილის სახლები გავაკეთე... ისიც წამართვეს... სა-მართლი ვერ ვიშვევე“¹⁸.

ნაღვლიანი ფიქრებით გარემოცული, სამშობლოსა თუ პირადი უბედობით დადარღვინებული, დავით რექტორი 1806 წელს საბოლოოდ დასახლდა თბი-ლისში, ანხისხატის ტაძრის ეზოში.

მრავალ განსაცდელს გამოვლილი, იგი კვლავ საყვარელ საქმიანობას გა-ნიგრძობს: ხელნაწერთა გადაწერა-გამართვასა და დაზიანებულთა აღდგენა-შევსებას.

14 ა. ბარამიძე, საფარო პაექტონობანი თელავის სემინარიაში, „სწავლა-აღზრდის ისტო-რია საქართველოში“, 1937; აპ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, 1950; ქ. სანიკოძე, თელავის სემინარია და დავით რექტო-რი, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. ჟერიტ. შრ., VI, 1946, გვ. 66.

15 გ. შარაძე, თემიშრაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, 1972, გვ. 10.

16 დროება, 1883, IX, № 175, გვ. 3.

17 ქ. სანიკოძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

18 ხელნაწერთა ინსტ-ის ისტ. დოკუმ. ფონდი Hd—10774.

დავით რექტორი მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლის ტრადიციების უზრუნველყოფას სანიშნავ გამგრძელებლად გვივლინება. ხელნაწერთა გამმართავი, მომხატავი, სახელმძღვანელოთა შემდგენელი, იგი უაღრესად ნაყოფიერი და დახელოვნებული კალიგრაფი იყო: "...მწერალი მშვენიერი, ვითარება ხელნაწერებით, აგრძელებე დათხვითაც..."¹⁹.

ქართულ ხელნაწერთა გადამწერლობას მესხიშვილები დიდ საბასუსტის-მგებლო საქმიანობად თვლიდნენ. ეს ტრადიცია დავით რექტორმა მამა-პაპა-თავენ მიიღო ზა შეისისხლობა: „ჩამომავლობათა ჩვენთა შვენის კეთილ დახატულებითა წერანი“. ამიტომ დავით რექტორის მიერ გადამწერილ ხელნაწერებში იგრძნობა შესანიშნავი კალიგრაფის დახვეწილი ხელოვნება. გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ცნობით შევვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი მონდომებისა და შრომის შედეგია ის ლამაზად ჩამოსხმული და მოხატული ასოები, რომელნიც ამშვენებენ დავით რექტორის მიერ გადამწერილ ხელნაწერებს:

„წერა-კითხვის გამარტივებელის საზოგადოების ხელნაწერთა ბიბლიო-თეკასთან დაარსებულს მუზეუმს ამ დღეებში მოუვიდა დიდად საყურადღებო შემოწირულობა. ეს შემოწირულობა არის ორაკლის დროს დაარსებულის დავით რექტორის (ცუკია, გვარად ალექსეევ-მესხიევი, მწიგნობრობის დიდი მოყვარე) საწერ იარაღთა კოლექციია. კოლექციაში მოიპოვება სხვათა შორის: კალმის დაწარმინდებარი, ფარგალი, წიგნის დასახატა ტარა და სხვ.“²⁰

დავით რექტორის შესახებ პეტრე უმიკაშვილი წერდა: „გადამწერილი წიგნები დავით რექტორისა მრავალია... ყოველი წიგნი წერილის, გარეველის ხელით არის დაწერილი და სუფთად, ასე რომ ბევრჯელ მთელ წიგნში ერთს სიტყვას ხაზგასმულს არ შეხვდებით“²¹.

დავით რექტორი, გრიგოლ მხატვრის ღირსებული შთამომავალი, თვითონაც კარგად გაწაფული მხატვარი ყოფილა. სამწუხაოოდ, ჩეენ არ ვიცნობთ მის ნახატებს, არ ვიცით მისი, როგორც მხატვრის შესაძლებლობანი, მაგრამ ჩეენს ხელთ არის ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც რამდენადმე წარმოგვიდგენს დავით რექტორს, როგორც მხატვარს. ეს არის იოვანე მესხიშვილის წერილი, მოთავსებული გაზეთ „დროებაში“: „აღარსად სჩანს „კიბე ცხოვრებისა“ დავით რექტორისა. „კიბე ცხოვრებისა“ იყონ ნახატი თითქმის ათს თაბახზედ. ჩამოსაყიდი კედელზედ. მხატვრობა, როგორათაც მე მახსოვს, წარმოადგენდა ორგაზარ კიბეს 80 საფეხურით... კიბეს ირგვლივ ევლოვ ვარაყიანი და სხვადასხვა ფეროვნობით შემუქული, ერთი ერთმანეთშედ გადაგრეხილი ვაზის ფოთლები და მუხისა, თუ დაზნისა აღარ მახსოვს. კიბის ძირს იყო შენიშვნა, სადაც ინახებოდა კაცის თვისება და მიღრეკილება წლოვანობის გამო, ასე რომ წელიწადის მომატება, ანუ კიბეზედ ასვლა და აგრძელე ჩამოშვება. რას უმატებდა კაცს ან აკლებდა, ხსნიდა ის შენიშვნა.“

მხატვრობა იყო მართლად კარგი სანახავი და თითოების უწუნარი, რომ კიბე არ შევეხოთ იმ ძველე-

¹⁹ იანე ბატონიშვილი, ნავ. II, 1948, გვ. 192.

²⁰ დროება, 1884, IX, № 197, გვ. 1.

²¹ პ. უმიკაშვილი, გადამწერელი ქართულის წიგნებისა დავით რექტორი, ივრია, 1877, № 39.

ბურს ძვირფასობას“²².

ვფიქტობთ, დავით რექტორის „ცხოვრების კიბე“ მისი ერთადერთი ნახატი არ იქნებოდა. ასეთი მაღალი ხელოვნებითა და მდიდრულად გაფორმებული ტილო მხოლოდ გწაფულ ხელოვანს შეეძლო შეექმნა.

შხატვრის ხელოვნება ჩნდს მიერ გადაწერილ ხელნაწერებში. ჩვენს სელთ არის დავით რექტორის მიერ ლამაზად მოხატული, საზედაო ასოებითა და კამარებით შემკულ მრავალი ხელნაწერი.

ხელნაწერის გადაწერისას დავით რექტორი არ იფარგლება მყაცრი, ადეკვატური გადაწერით. იგი დიდი სიფრთხილით არჩევს სარწმუნო ნუსხას, ასწორებს, იქვე ურთავს საგულისხმო შენიშვნებს. ჩატარებულ სამუშაოებს დაწერილებით აღნიშნავს ანდერძში:

საძიებელიცა, ფურცლის ყოველს კიდურზედ ციფირი, ყოველს გვერდზედ ზედა წარწერა, მისი-მისს ადგილს რიგით დაწერა, აგრეთვე სამოშებლების ჩაშენს მიცემა... ესვნი ყოველივე მე, დავით რექტორმან გავუკეთე. მეითხუზლნი მალ იპოვიან, რამასა ეძიებენ“ (H—393, 92v).

„მეტად სომხურად და გაუშუობლად იყო ნათარგმი. მე რომელმე გავასწორე, ზმნა და სახელი შეწყობით ვათანხმე“ (S—136).

დავით მესხიშვილი ხელნაწერის გადაწერისას არდაქტორის მძიმე სამუშაოსაც ასრულებდა. ალბათ, ამიტომაც მას ხშირად ტექსტის გამართვას სთხოვდნენ ხოლმე: „...მე შეუქმენ ამას წიგნსა სხოლიო და საძიებელი... მაიორმან ქანანოვან დავითმან გარდმოიღო რუსთა ენისაგან ქართულსა ენისა ზედა, კერ იყო კარგად შეწყობილი; მე მაი ძულა ამ წიგნისა გამართვა და და და შეწყობა. და მეცა... გავმართე და შევაწყე...“ (S—207).

დავით რექტორი დიდის გულისყრით ეცნობა მამის, ალექსის, მიერ გადაწერილ ხელნაწერებს. ამასთან, თუ ალექსისისულ ხელნაწერს რაიმე შეუსცედლი აღგილი აქვს, იგი მემკვიდრის წმიდათაშიდა ვალად თვლის შეავსოს ეს ცარიელი აღგილები: „მონათ ღ[მზთ]ისაო, დეკანოზო ალექსი! მე, შენმან ძემან უმრჩევესმან რექტორმან დავით, შევასრულე თვით ხელითა ჩემითა ესე წიგნი შენ მიერ ნაღვაწი, რომელიცა გარდეშერა და დედასა შინა ჰელებოდა, მე დედანი სრული ვპოვე და მუნით შენ მიერ დატოვებული ცარიელი აღგილი, სადა ჭერ იყო, ალექსერ ჭეშმარიტისა დედნითა“ (H—2349).

ასევე აღუდენია დავით რექტორს ალექსის მიერ გადაწერილი „უამნი“ (S—1096). ხელნაწერს აკლია ზოგიერთი ფურცელი ბოლოში და შიგადაშიგაც. ტექსტის ნაულული აღგილები შეუცისა დავით რექტორს განსხვავებულ, მოლურჯო ფერის ფურცელებზე. სავარაუდებელია, რომ იგი (დავით რექტორი) ჩატარებულ სამუშაოს ხელნაწერის ბოლოში დართულ ანდერძში აღნიშნავდა. მაგრამ, რადგანაც ხელნაწერი S—1096 ბოლონაკლულია, ამიტომ ჩვენი ვარაუდი მხოლოდ პალეოგრაფიულ ანალიზს ეყრდნობა.

იმხანად ქართველი საზოგადოება გარევეულ ინტერესს იჩინდა რუსეთიდან შემოსული ფილოსოფიური თხზულებების მიმართ. დავით რექტორის მიერ გადაწერილი ნუსხები საქსებით პასუხობს ეპოქის ამ მოთხოვნილებებს: ბაუმეისტერი, ფილოსოფია (S—2596), არისტოტელი, განმარტებისათვის (H—2273), მარმონტელი, ველიაზარ H—2146), ბაუმეისტერი, საზღვარი ფილოსოფიისა (S—1154) და სხვ.

22 დროება, 1883, IX, № 175, გვ. 3.



დავით რექტორის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა უანრობრივი მრავალი ფორმა უცროვნება მნიშვნელის მრავალმხრივ ინტერესებსაც აღასტურებს: საერო თუ სასულიერო, ისტორიული თუ ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებები. დავით რექტორს არც საზღაპრო ეპოსი დაუტოვებია უყურადღებოდ — გადა- უწერია „ომაინიანი“ (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელ- ნაწ. № 13)²³, „ამირანდარეჭანიანი“ (S—1188)²⁴, „ჩარდავრიშიანი“ (S—61), ოუმცა ამ უკანასკნელის ანდერძში ინიშნავს, რომ „...არცა მეცნიერთა წესია მისი წერა“—ო.

ირკვევა, რომ სახელმძღვანელოების შედგენისას დავით რექტორი რამ- დენიმე ცალად ამრავლებდა მათ, რათა მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა. ასე გადაუწერია მას „გვეოგრაფია“ (S—1222) მეორე ცალად—S 1131, რომ- ლის ანდერძში გადამწერის სახელი წაშლილია. პალეოგრაფიული ანალიზით დადგინდა, რომ S—1131 ხელნაწერიც დავით რექტორის მიერ არის გადაწე- რილი.

ასევე პალეოგრაფიული ანალიზით დადგინდა, რომ S—178 ხელნაწერი (ბაშმერისტერი, ზედ-დადგინდებანი მეტაფისიკისნი) დავით რექტორის მიერ არის გადაწერილი. ხელნაწერს ანდერძი არა აქვს. ტექსტი წყდება § 144-ზე. ჩანს, დავით რექტორს ანდერძის დართვა ტექსტის დასასრულს ჰქონდა გაზ- რასული. ხელნაწერის ზედა და ქვედა ყდის გარე პირზე არის დავით რექტო- რის ლამაზი კალიგრაფიული ხელით გაკეთებული მინაწერები, რომლებიც ამ- ცამად ნაწილობრივ გადაშლილია. ჩვენ შევძლით ამოგვეკითხა ზოგიერთი სიტყვა: „პანკრატოვანმან მეფემან ერეკლე მეორემან...“ — სავარაუდებელია, რომ დავით რექტორმა S—178 ხელნაწერი ერეკლე მეორის დაკვეთით გადა- შერა.

პალეოგრაფიული ანალიზითვე დადგინდა, რომ ხელნაწერი S—1188 („ამირანდარეჭანიანი“) დავით რექტორის მიერ არის გადაწერილი (იხ. აქვთ, 83. 125).

საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვნი სამუშაო ჩაუტარებია დავით რექტორის განუშტი ბაგრატიონის „ისტორია საქართველოსი“—ს (H—934) გა- დაწერისას: „რაოდენიცა ფშავესა ანუ კევსურეთსა შინა სოფელი თვალითა ჩემითა ვიხილე... ქართლის ისტორიის ბოლოს აღვაწერე, რაღვან ამ ქართ- ლის ცხოვრების აღწერასა შინა ქართლსა და კახეთში არც სოფელია, ყოველ- ვა ეწერა და უშავ-ხევსურისა კი არ ეწერა, მე დავასწერე“.

დავით რექტორს ხელნაწერისათვის საგულისხმო შენიშვნებიც დაურთავს. H—934 ხელნაწერის შესწავლის შედეგად, ვთქმირობთ, რომ გაზიეთ „დროება- ში“ (1882, VIII, № 1178, გვ. 2—3) მოთავსებული ცნობა დავით რექტორის

²³ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცნე ქართული სიღულეობრივი დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 46.

²⁴ ლ. ათანაგელიშვილმა დაადგინა, რომ S—1188 ხელნაწერი გადაწერილია S—1623 ხელ- ნაწერიდან. იხ. მოსე ხონე არც არც ამირანდარეჭანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეთვა და ლექსიკონი დაურთოთ ლილ ათანაგელშვილმა, თბ. 1967, გვ. 099. S—1188 და S—1623 ხელნაწერების პალეოგრაფიული ანალიზით დადგინდა, რომ S—1188 ხელნაწერი და- ვით რექტორის მიერ არის გადაწერილი, ხოლო S—1623 ხელნაწერის გადაწერი გიორგი — დავით რექტორის უფროისი მა გორგა მესამეშვილია. მაშასადამე, „ამირანდარეჭანიანის“ გა- დაწერისას დავით რექტორს ხელთ ჰქონია უფროის მშის, გორგის მიერ გადაწერს ხელ- ნაწერი.

მიერ გადაწერილი საქართველოს ისტორიის შესახებ, სწორედ H—934 ეჭვერული
ნაწერს უნდა გულისხმობდეს:

„ამ დღეებში მოვიპოვეთ ერთი ხელთ-ნაწერი წიგნი საქართველოს გეოგ-
რაფია და ისტორია ბატონის შეილის ვახუშტის მიერ. ხსნებული წიგნი ბევ-
რით განიჩევა ნეტარხსენებული მარრი ბროსეს გამოცემულის გეოგრაფიისა-
განა. ამ ხელთ-ნაწერში ჩართულია როგორც გეოგრაფიული აღწერა საქართვე-
ლოს მხარეთა, ისე ისტორიული სურათები. ეს ხელთ-ნაწერი დაწერილია
გამოჩენილის და დახელოვნებულის კალიგრაფის დავით რექტორისაგან, რო-
მელისაც ეს წიგნი დიდის სიფრთხილით და მოწილებით გადაუწერია. გეოგრა-
ფიაში ჩართულია სხოლიობი და შენიშვნანი, რომელთ მომეტებული ნაწილი
საკუთრად დავით რექტორს ეკუთვნის და ყველა იმის შენიშვნები ჩვენის ის-
ტორიისათვის დიდს ყურადღებას დაიმსახურებინ, — წიგნი ბოლოში მოყანი-
ლია მოკლე აღწერა იმ ადგილთა, და სოფელთა, დაბათა, ქალაქთა და სხვათა,
რომელნიც ვახუშტს არ აღუწერია.

ეს ცნობები უფრო მეტს ღირსებას მისცემენ ვახუშტის გეოგრაფიას, რო-
მელიც დღეს თუ ხვალ დაიბეჭდება და ეს ცნობებიც შეიძინებება²⁵.

მსგავსი სამუშაო ჩაუტარებია დავით რექტორს „აბდულმესიანის“ გადა-
წერისას. ეს ნაწარმოები მის მიერ გადაწერილ ორ ხელნაწერ კრებულშია მო-
თავებული: 1. A—1164 (34 v—41 v) და 2. S—1511 (გვ. 94—114)²⁶. A—1164
ხელნაწერში დავითის თხზულება დაუსათაურებია და შეუცვლია სტროფთა-
რაოდენობის აღმნიშვნელი ბოლო მინაწერი, ხოლო S—1511 ხელნაწერში მას
შინაარსობრივი ხასიათის კონიეტურებიც შეუტანია და გაუმართავს ზოგი-
ერთი ტაქტი²⁷.

დავით რექტორის სახელს უკავშირდება ზოგიერთი ხელნაწერის შეესებაც-
ებუნია:

1. H—1204 „ალექსანდრიანი“ (166—171 გვ.).
2. H—2349 „კრებულის ზოგიერთი ფურცელი.
3. H—2169 „კრებულის 3r—9v.
4. A—355 კრებულის 1r—26r და 29r—32v.
5. S—1096 „უამნის“ ზოგიერთი ფურცელი.

სამწუხაროდ, დავით რექტორის მიერ გადაწერილი მრავალი ხელნაწერი
დაიკარგა, გარეშე თუ შინაურ მტერთა მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ამისა,
ის, რაც გადარჩა, რაოდენობითა და შესრულების მაღალი ღონით იმდენად
მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ კალიგრაფიული მემკვიდრეობა მოუპირებდა
დავით რექტორს ჩვენი წარსული კულტურის მოღვაწეებს შორის სათანადო
აღვილო.

25 ბ. ჭიჭინაძე, ღროვანი, 1882, VIII, № 178, გვ. 2—3.

26 ივ. ლოლაშვილმა დადგინა, რომ A—1164 ხელნაწერში „აბდულმესიანის“ გადაწერი-
სას დავით რექტორს უსარგებლია H—1193 ნუსხით, ხოლო S—1511, ხელნაწერის გადაწერი-
სას — A—1164 ნუსხით. იხ. ძველი ქართველი მემორბენი, წიგნი შეორე, იოანე შავთე-
ლი, აბდულმესიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომეტარები და ლექ-
სიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1964, გვ. 27—28.

27 ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

ମେ କହିଲା କିମ୍ବା ତାଙ୍କ - ତୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା - କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା :

ପିଲ୍ କାନ୍ଦିଲାରୁ ନାହିଁ ତୁ ମାନ୍ଦୁଳୀରେ
କିମ୍ବାକାନ୍ଦିଲାରୁ ଏଥିରେଇବେଳେ ଗାନ୍ଧିଲାରୁ ।
ଅଗନିରୁ ଯୁଦ୍ଧକାନ୍ଦିଲାରୁ ନାହିଁ । ତା ପାଶୁରୁ
ଅନ୍ଦିଲାରୁ ଏହିକିମ୍ବା ନାହିଁ ତୁ ଏ
କୁଣ୍ଡଳ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା । ତାଙ୍କ
ଅନ୍ଦିଲାରୁ ପାଶୁରୁ ନାହିଁ ।

#-1304



A-1304

S-9540

ଶ୍ରୀ କୃତ୍ୟା ନିଗଦି ପାଠ୍ୟାଳ୍ୟ

S-1473

დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერები:

1. ბაუმეისტერი, ფილოსოფია საპრაქტიკო (სამ ნაწილად), S—2596, 1774 წ.
2. ჩარდაცრიშვანი, S—61, 1780 წ.
3. კრებული, H—1100, 1781 წ.
4. ლეონ ბატონიშვილისათვის თქმულნი იამბიკონი, A—1417, 1781 წ.
5. გეოგრაფია, S—1222, 1782 წ.
6. გეოგრაფია, S—1131, 1782 წ.
7. თოხნაწილედი სწავლანი, H—2144, 1784 წ.
8. დოგმატიკურ-კანონიკური კრებული, A—1304, 1785 წ.
9. რუდოლფ ესტრატო, ღირსი ხსოვნისა, H—2314, 1786 წ.
10. პაერსა შინა მროველი ანუ მრონინე, S—136, 1788 წ.
11. კრებული, H—1082, 1791 წ.
12. იამბიკონი, S—1735, 1791 წ.
13. საჯარო პაერობა თელავის სემინარიაში, H—2291, 1792 წ.
14. როლლენი შარლ, ძევლი ისტორია, S—204, 1792 წ.
15. სიტყვის-გება მაქმადიანთა მიმართ, S—81, 1793 წ.
16. მარმონტელი, ცელიაზარ, H—2146, 1795 წ.
17. ბაუმეისტერი, საზღვარი ფილოსოფიისა, S—1154, 1797 წ.
18. პეტრე მოგილა, ალსარება საჩქმეულებისა, S—202, 1798 წ.
19. იოანე დამასკელი, კატილორია, S—145, 1799 წ.
20. თვენი (გალექსილი), A—1427, 1799 წ.
21. ესილი დიდი, ექვსთა დღეთა, S—272, 1799 წ.
22. არისტოტელი, განმარტებისათვის, H—2273, 1799 წ.
23. ანტონ I, წყობილსიტყვაობა, H—2307, 1800 წ.
24. მაქსიმე აღმარებლის მოძღვრებანი, H—2283, 1803 წ.
25. ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, H—376, 1806 წ.
26. დავით სიბრძნისმოყვარე, ახსნა პორფირის შეყვანილებისა, S—203, 1807 წ.
27. შემსგავსებათა წიგნი, S—1143, 1807 წ.
28. ანტონ I, წყობილსიტყვაობა, H—2152, 1808 წ.
29. ეფრემ ბერიე, უწყება მიზეზისა ქართველთა მოქაევისა, S—184, 1809 წ.
30. პროკლე დიადოხოსი, კავშირნი, S—192, 1809 წ.
31. ათონმეტთა თვეთა პროლოგია, ხუთტავებონი შაირი (სუნაქსარი), H—2185, 1809 წ.
32. ანტონ I, წყობილსიტყვაობა, Q—617, 1810 წ.
33. იოანე მთაწველი, სჭულის კანონი, A—1739, 1810 წ.
34. გაბაშვილი ტიმოთე, მარწუხი, S—189, 1810 წ.
35. გაბაშვილი ტიმოთე, მარწუხი, H—393, 1812 წ.
36. ბაგრატიონი ვახუშტი, ისტორია საქართველოსი, H—934, 1813 წ.
37. ხარისხი ქორწინებისანი, H—766, 1813 წ.
38. როლლენი შარლ, ისტორია ევვიტისა, H—385, 1814 წ.
39. კოლტერი, ალზირა ანუ ამერიკელნი, H—1382, 1814 წ.
40. გეოგრაფია, S—1473, 1814 წ.

41. განრჩევისათვის საზოგადოდ კაცთა სახისა, S—207, 1815 წ.
42. თეიმურაზ II, სარქე თქმულთა, S—106, 1821 წ.
43. ბარაბაშულიგანიანი, S—170, 1821 წ.
44. კრებული, S—1511, 1821—1823 წწ.
45. კრებული, S—1512, 1821—1823 წწ.
46. კრებული, S—105, 1822 წ.
47. კრებული, H—391, 1822 წ.
48. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, H—1079, 1823 წ.
49. ქექლ ფილოსოფოსთა მოქლე ისტორია, A—314, 1823 წ.
50. სწავლა, S—1171ა, XVIII ს.
51. საჯარო პაექტობა თელავის სემინარიაში, S—3283 ბ, XVIII ს.
52. მაეგობა, საქართველოს ცენტრ. არქივის ხელნ. № 299, XVIII ს.
53. ფისიკა, S—2597, XVIII ს.
54. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, S—2987, XVIII ს.
55. ტრიალის დაცემა, S—5, XVIII ს.
56. კრებული, S—65, XVIII ს.
57. ამირანდარეჯანიანი, S—1188, XVIII—XIX სს.
58. ღოლიმარა კურასი — შემოკლებული საყოველთაო მოთხობა, H—2209, XVIII—XIX სს.
59. საქართველოს მახლობელთა ადგილთათვის, S—196, XVIII—XIX სს.
60. მოქლე პაზრი ყოველთათვს სწავლათათა, საჭმარად ყრმათა საქართულ-ლომასათა, S—180, XVIII—XIX სს.
61. კრებული, S—954დ, XVIII—XIX სს.
62. ლაპეტე დიაკონი, სამეცნ ტომარი, H—156, XVIII—XIX სს.
63. სამეზავრო გოგრაფია, A—1414, XVIII—XIX სს.
64. ზლაპარსიტყვაობა, S—1135, XIX ს.
65. კრებული, H—430, XIX ს.
66. ჩართავრიშვიანი, H—386, XIX ს.
67. სახსოვარი ძნიად საპოვართა ნივთთა, S—200ა, XIX ს.
68. ლექსთა კრებული და ქრონიკები, A—1164, XIX ს.
69. ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო, ომანიანი S—2514, XIX ს.
70. კრებული, H—2349, შეავსო ზოგიერთი ფურცელი, XIX ს.
71. ალექსანდრიანი, H—1204, შეავსო 166г—171г.
72. ომანიანი, 1782 წ. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, № 13²⁸.
73. არიომეტიკის სახელმძღვანელო, 1813 წ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის საბინინის კოლექცია, № 194.
74. ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, საქართვ. ცენტრ. არქივი, ხელნ. № 14, 1808 წ.

²⁸ ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 46.

И. К. ГАЧЕЧИЛАДЗЕ

КАЛЛИГРАФИЧЕСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ДАВИДА РЕКТОРА

(Резюме)

Данная статья является лишь частью изучаемой автором темы: «Школа каллиграфов Месхишили». В статье рассматривается деятельность самого яркого и многостороннего представителя этой школы Давида Ректора. Деятельность Давида Ректора, как каллиграфа, до сих пор не являлась предметом специального изучения. Выяснилось, что переписывая рукопись, Давид Ректор не ограничивался простой, адекватной перепиской, а выправлял текст, делал поправки, выполнял трудную и ответственную работу редактора. Нами установлено, что Давид Ректор был известен и как художник.

Учитывая специфические особенности почерка Давида Ректора и на основе палеографического анализа установлено, что рукописи S—178, S—1131 и S—1188 переписаны Давидом Ректором, а рукописи S—1096, A—355, H—2169, H—2349 и H—1204 частично восстановлены им.

ზრდაშ სარგებლადი

XI—XV საუკუნეთა ჩართული ისტორიული დოკუმენტების ძირითადი
მორცოლობისა და სინტაზის თავისებურებანი

აյად. ივანე ჭავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ძველი ქართული ენის, ქართველურ და კავკასიურ ენათა საკუნძო საკითხების კვლევას. ენათ-ბეცნიერულ საკითხთა ღრმად შესწავლა დიდ მეცნიერს ისტორიული კვლევა-ძიების სწორად წარმართვის საწინდრად მიაჩინდა.

ივანე ჭავახიშვილს ეკუთვნის არა ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება ქარ-თული სალიტერატურო ენის ჩასახვისა და მისი განვითარების გზათა შესახებ.

ქართული ენის ისტორიისათვის, ქართული ისტორიული დიალექტოლო-გისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა XI-XV საუკუნეთა საისტორიო დო-კუმენტები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საისტორიო დოკუმენტთა დიდი წაწილი მრავლად გამოივლენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. ზოგი ამ მოვლენათაგანი აისახება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ამიტომაც ქვემოთ შესადარებელი მასალა ხშირადაა დამოწმებული V-XI საუკუნეთა ძეგლებიდან.

ნაშრომის პირველი ნაწილი, რომელიც ეძღვნებოდა XI-XV საუკუნეთა საისტორიო ძეგლების ფონეტიკურ პრიცესებს, ამჟამად უკვე გამოქვეყნებულია¹. აქ ყურადღებას ვამახვილებთ გრამატიკულ მოვლენებზე.

სახელები.

ისტორიულ საბუთებში გვხვდება იხილის ნაცვალსახელი: უამსა იხიცა უწირევდეს, Sd—143 (XV ს.); დავითსენ იხი ქუაბი, ლენინგრ. H-71 (1450 წ. ახლოს).

ი ს ი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში²:

და ვიხილო ხილვად იხი დიდი, კალ. ლექც. 12,24-25b; რას იტყუს ყორანი იხი, საკითხ. წიგნ. 119,17; 119,21; ამას იტყუს ყორანი იხი, იქვე 119,23; ვინ არს იხი კაცი, რომელი ვალს ეელსა ზედა, პარიზ. ლექც. 24v, 3—4a.

იხ ძველ ქართულში არ ჩანს, მაგრამ დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“:

¹ „მაცნე“, (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, № 2.

² შტრ.: ა. ჩიქობავა, დალექტურიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიშ-კის მოამბე, III, 1938, გვ. 226; მისივე, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსანის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, იქ, XV, 1966, გვ. 6.

კუთხი: „მომქალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხე 632,4;
გარდი დამწარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ას ის ა. 690,4.

„მცნებად სარჯულოვ“ გვიჩვენებს ეს ნაცვალსახელს:
არისმცა მისთვის ეს სოფელი მოკლე.

სახელთა ბრუნებასთან დაუკავშირებით ალანიშვანედა შემდეგი მოვლენები:
ა) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანად, ჩვეულებრივ, გვხვდება მან სუფიქსი, მაგ-
რამ გვაქვს მა და იშვიათად მ სუფიქსებიც:

მა:

ეს კელი დაწერეთ ჩუენ, კრიხან სოფელმა, ქელი დაწერილი სოფელ
კრიხის მიერ (XI ს.); ამათვე სამთა სოფელთა რუეთმა, შიომებანმა და ჩუ-
ქუნურთა, (სიგელი გიორგი III-სა შიომძლვიმის მიმართ); აგარისა სოფელმა ერ-
თ ტაიპი შეგუინახოს, იქვე; ძმისწულმა დენამა, Ad-7 (დაწერილი ჩატქევს-
ძეთა გრიგოლ ვერხუაიძისის მიმართ, 1247-1260 წ.); ეს დაწერილი დაგიწე-
რეთ ჩუენ, ბურჯულთა: კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა: ბა-
სილამა და მშუიდამა, ბურჯულთა დაწერილი (XIII ს. ბოლო); პატრონმა მა-
მამან ჩემმა, რეონ. დაწერილი; ვერვინ რა საქ<ა>მე დაიგოს შენს მეტ <ა>-
მა, Hd-11 627 (სიგელი გიორგი მეფისა გამრეკელ ჯვარიშვილის მიმართ,
1345 წ.); და [ა]გ[უ]იშუო მტერობაი ბიძამა ჩუენმა, Hd-1589; დავითიან-ბაგ-
რატუნანმა, Hd-1369 (სიგელი ალექსანდრე მეფისა იოანე თბილელ-მანგლე-
ლის მიმართ, 1441 წ.); ეს წიგნი მოგეც მე ღ/მრ/თისაგარმა, Hd-1579 (მიწის
გასხვისების წიგნი, XV-XVI სს. მიზნა); რამანც კაცმა რასაც მიზეზისათუის
შეგიშალოს, იქვე.

მან>მ:

რაიც ღალაი ჰმართებოდა ამას ადგილსა, მომლამ მოიღო, Ad-7; ხუთასი
თეთრი ბიძამ ჩემმა მიბორა, რეონ. დაწერილი; მერმე მდიქისაძემ და დედამა
ჩუენმა ქე დაიზავნეს, Hd-1589.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანად მა პირველად ადიშის ოთხთავში იჩენს
თავს და საქმაოდ ხშირი X—XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში. აქ რამ-
დენიმე ნიმუშს დავიმოწმებთ:

და მუნჯუსვე ღალატ-ყო მამამან მის ყრმისამა, მრკ. 9,24 C; მარიამ მაგ-
დანელმან და მარიამ იაკობისმა და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, მრკ.
1,6 C; და ინაქ-იდგა კაცებმა მან, 6,10 C; ვითარცა მამუნო მე მამამა, ეგრე
ვიტუ; ი. 12,50 C; უკუეთუ მე დაგბანნე უკრვნი თქუენი, უფალმან და მო-
ლუარმან თქუენი, Sin.-36 23,13-15; ვითარმე თქუა წმინდამან მოციქულმან
პავლუ მოძღვარმა ეკლესიათამან, ათონ. კრებ. 72 v, 17-19 a; რომელმაცა
ჯერ-იჩინა მოწყალებით ქსნაა კაცთა ნათესავისამ, A-603 87v, 12-13; ხოლო
თავადმა პრქუა, Sin.-30 26 r, 16 b; რომელი მოავლინოს მამამა სახელითა ჩე-
მითა, Sin.-38 80v, 11-18a; დაღათუ ყოველმა ერმა ერთბაშად შესცოდნს,
პარხლ. მრავალთ. 228v, 26-27a და მისთ.

ბ) ა ემფატიკური ხმოვანი არა წარმოდგენილი იქ, საღაც იგი მოსალოდ-
ნელია;

არა ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისგან, Ad-9; თუინიერ
შეწერისა და თანადგომისგან კიდე, Hd-1360.

ა ემფატიური ხმოვნის კლების ფალეული ფაქტები ძველი ქართული დრამის ძეგლებშიც იჩენს თავს:

თაყუანის-ცემდით ხატსა მას ოქროსსა, ლატ. ლექც. 174 r-6 b; და იძია სისხლი უბიწოდ ქამას მშუილობისსა, იქვე. 202v, 22-23 b; ვერ შემძლებელ არიან მიწევნად ლირსა ქებისსა, მრავალთ. 206 v, 18-20 b; ათეულსა აიღებოთ პირნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისსა, ურბნ. ოთხთ. 140 v, 7-10 a; და განიპაროს ყურძენი ვენაჯისგან, ანდრია სალოსი 108 r, 4-5 და მისთ.

გ) XI-XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვაში ხან დაირთავენ ბრუნვის ნიშანს, ხან კი ძეველქართულისებურად ფუძის სახით არიან წარმოდგენილი:

ესე დაწერილი დაგიწერე მე, მსახურთა უხუცესმან ბეგამან, (ადგილის მოცვლილობის წიგნ, XIII ს.); დაგიწერე დაწერილი ესე ბეგამან სურამელმან, ვენაჯის ბოძის სიგელი; მე სურამელისა ბეგამისა შვილის ცოლმან, ქაქნამან, Ad-9; მავრამ: ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათვს ფუთს გლეხი ბ, ნიკორწმ. სიგ. 45,5-6; უცრებ შემოსწირა ყანად ბ, იქვე 47,17; ესე პატრონმან მიქელფა იპრიანა, Ad-9 და მისთ.

საფიქრებელია, რომ ისტორიულ დოკუმენტთა საკუთარი სახელების უნიშნო ფორმები მოთხრობითში განპირობებულია ძეველი სალიტერატურო ენის ზეგავლენით: ამ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში, ალბათ, საკუთარი სახელი მოთხრობითში საზოგადო სახელის მსგავსად ფორმდებოდა. ეს მოვლენა საკმაოდ აღრე ჩანს ჩასახული. „სინური მრავალთავი“ არის ჯერჯერობით ცნობილ ძეგლთავან პირველი, სადაც საკუთარი სახელი მოთხრობითში ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი:

დალილმან სამსონს თავი დაჲკუნა, 213,17; არამცა საჭურვლისა შთა-ცუმად უბრძანა პავლემან ნეტარმან, იქვე 261,4-5.

IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში საკუთარ სახელებთან მოთხრობითის მაზ ნიშანი საკმაოდ ხშირია³.

(დ) ა ემფატიური ხმოვნი საკუთარ სახელებთან. საკუთარ სახელთა ბრუნების საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების ერთი შედეგი ისიცაა, რომ საკუთარი სახელები ემფატიურ ხმოვნის დაირთავენ საზოგადო სახელთა მსგავსად. ეს მოვლენა საისტორიო დოკუმენტებშიც იჩენს თავს:

ჩემსა ძმასა პატრონსა კაზოსა და ხათუთასა დაუწერია, სკონ. დაწერილია მოიხუნეს სიგელი [დიდ]ისა მეფისა გორგოსანი, სიგელი დავით მეფისა ხეფინისკეველთა და წაქეველთა მიმართ, 1261 წ.; ა ნ დ რ ო ნ ი კ ე ს ა გ ა ნ ბაგრატუნიანისა, Hd-1360 (სიგელი ანდრონიკე მეფისა ქუნიფნაველ ლარ-გველისშვილ წითლოსანის მიმართ) და მისთ.

საკუთარ სახელთა ა ემფატიურ ხმოვნიანი ფორმების ძეველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსებობაზე მიუთითა ი. იმნაიშვილმა⁴. ჩვენი დაწერილებით, ამგვარი ფორმები პირველად „სინურ მრავალთავში“ იჩენს თავს და შემდგომში თანდათან მრავლდება:

ალუთქუა აბრაშაშა, სინ. მრავალთ. 13,38; აბრაშაშა და ნათესავსა მისსა, იქვე 15,7; ვერაბარა მეკორის მე განცდად ვითარუა აღამსა, იქვე 81,14-15;

³ სათანადო მასალა იხილე ი. იმნაიშვილის ნაშრომში: „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძეველ ქართულში“, 1957, გვ. 373.

⁴ ი. იმნაიშვილი, დასახ. ნშრ. გვ. 374—375.

ესე მძღვე ექმნა ადამსა, Sin.-36 184,6-7 b; მერმე ეჩუენა იაკობსა, უდაბნიშვილისა მრავალთ. 127 v, 18a; დამტკიცა ღმერთმან აბრაჟამისა მიმართ აღთქუმად, სინ. მრავალთ. 13,40; რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა ოვანესა, ბერთ. ოთხთ. 197,9-10 a; უფალსა ღმერთსა აბრაჟამისასა, A-1699 61 v, 3-4 a; ის-მინე ესაიასა, რასა იტყვს, ათონ. მრავალთ. 43 r, 28-29 b; ღალატ-ყო კაცმან ეფრემისამან, ლატ. ლექც. 67 r, 27-28 a და მისთ.

ე) საღამობითი ბრუნვა. საისტორიო დოკუმენტები გამოავლენს ფორმებს, რომელებიც თანამედროვე ქართულის საღამობითი ბრუნვის ჩამოყალიბების მიმართ შენებელია:

და ღობეშიგ, რაც ამ ერთისა გლეხის არის, Ad-14; მუხათა ყანაშიგა ორის დღისა არის, იქვე.

შინა თანდებულის წინ მიც. ბრუნვის ს ნიშნის დაჭარგვის პირველი შემთხვევა, ჩვენი მასალების მიხედვით, Sin.-36 ხელნაწერში (932-940 წწ.) დასტურდება:

რომელი ვლენან ზოლისა ამა შინა, 108, 29-30 b.

A-86 ხელნაწერში გვაქვს:

A-86 ხელნაწერში გვაძლევს

რომელი უცხოებასა და შინმა შინა იყვნენ, 29 r, 6-8.

„კარაბალინი“ მრავლად გამოავლენს ამგვარ ფაქტებს:

და კორციგან მუდმივად ცივად იყოს, 160 v, 1; შეტყობა უნდა, თუ ესე სიმინდე ღუძიძლშიგნით არის თუ გარეთ, 164v, 10-11 და სხვა.

ჰედა თანდებულის წინ დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ს ნიშანი:

და იმაზედა ჩუენც განთავისუფლებით გამოყენით ასრე, Sd-143, ფარებშია და გორგისაშვილის გვერდზეა ორის დღისა, ხაგლახაოზედა; Ad-14; ორის დღისა არის წილენტრს რუზედა, იქვე; ბაბანთა ქედზედა ერთის დღისა, იქვე; შევსწირე წმიდას შიოს და ევ[ა]გრეს უდაბნოსა წყაროზედა ნაფუძარი, იქვე; იყვენით წყალ, შეჩუცნებულ ცათა შინა, ჭუჭყანაზედა კრულ, მცნება სარგებლობა.

ე) მასზღვრელ-საზღვრული. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისა და საზღვრულის სრული შეთანხმების წესი დარღვეულია:

აწ გაგუ [ი]მუია ნიანია მისითა მამულითა, ზითვად ნაქონები ვეძისე-ვთა (სიგელი დავით მეფისა არიშიანის მიმართ, XII ს.); რათამცა აღმესუბუქოს ტურითი მრავალ შეცოდებათა ჩემთა, სცესა ფ. 1449, № 1523 (სიგელი გიორგი მეფისა მცხეთის სცეტიცოველის მიმართ, 1448 წ.).

ქველი ქართული ენის ქეგლებში ამ რიგის ფაქტები სპორადულად შეინიშნება:

და აწ, შვილნო, ნუცა მოგეწყინების, ნუცა ჰერობთ დაყოვნებასა, რეცა თუ დიდ საქმედ, რამეთუ არა ღირს არიან ვნებანი ამის უამისანი მერმეთა მათ დილებათა, აწ. 28, 34-29,1; რომელ ფამსა მპარავი მოსლვად არს, სინ. ლექც. 100,13-15 b და მისთ.

საისტორიო საბუთებში მსაზღვრელად გამოყენებული ეხე, იხი ნაცვალ-სახელები ირიბ ბრუნვაში ამა, იმა ფუძეთა სახით გვხვდება:

ამამცა ზემო წერილთა მაღლითა კრულია (დაწერილი შიომღვიმისა ტონასასძეორ მიმართ); ამა ზემოწერილთა მაღლმან, რენ. დაწერილი; ამავ ეკ-

5 საღამობითი და სხვა ლოკალური ბრუნვების შესახებ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამტიკის საფუძვლები, I, 1953.

საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გამოცემის
ზედა, Hd-1301; და ამა პირსა შედა, Sd-143 (საყალმო გადასახადის წიგნი, 1412 წ.); ამა პატრინთა ბრძანების მოწმე ვარ (იქვე); იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუაცულებია, Hd-11634 და სხვა.

ი მ ა:

გამოარჩიონ იმავე წესითა, Ad-15.

ძელი სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით ეს მოცლენა პირველად Sin.-36 ხელნაწერში დასტურდება:

მოწმობითა ღმრთისამთა და ყოველთა ამა ეკლესითა კრებულთამთა, 360,20-22.

ამა, იმა, მაგა მსაზღვრელად ხშირია „ვეფხისტყაოსანში“, „კარაბაღინში“...

ი მ ა:

ამა დღემან, 298,1; ამა წიგნმან, 375,4; ამა პირსა, 69,3; ამა ნიშნითა შერტყუე, კარაბაღინი, 15 გ, 11-12; ამა მიზეზისაგან იყოს, იქვე 97 ვ; და თუ ამა საქმესა შინა ცხელება მოუვიდეს, იქვე, 98 გ, 17-18; უკუყენება უნდა ამა წესითა, იქვე, 99 გ, 22 და მისთ.

ი მ ა:

მო-ეითა-ჰელავ იმა კაცსა, ვეფხისტს. 1107,2; იმა კაცსა ვერა ვხედავ ზე-ომიარად, 1110,3; ნუსად არებს იმა ტანსა, 871,2;

მერმე იმა წულნისა წონად შაქარი გაურივე, კარაბაღინი 9 გ, 23-24; იმავე წყალშიგა მოადულე, იქვე 190 გ, 17-18; და იმა წყლითა ღარღარა ქნას, იქვე, 106 ვ. 5; იმა ბროწეულზედა დაისხან, იქვე, 115 ვ, 2-3.

მ ა გ ა:

და მაგა წამლების წონა სამი თაფლი ქნ, იქვე, 132 ვ, 13-14. Hd-1589 მსაზღვრელად ამ ნაცვალსახელსაც გამოვლენს:

ამ უ[უ]ლასა მისისაგ[ა]ნ ნ[ა]ქმარსა ემდუროდა.

ზენა

1. პირის ნიშნებთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენები

ა) ზოგჯერ II ბრძანებითში მე-3 სუბიექტურ პირს მხოლობით რიცხვში გამოხატავს დ სუფიქსი:

და მოისპეც ქუვანით საკსენებული მისი, სცსა 1448, ფ. № 5016; სიგელი გიორგი მეფისა მცხეთის სვეტიცხოველის მიმართ (1448 წ.).

-ნ და -დ (ედ) სუფიქსთა ოლტევით ხმარების ფაქტები ცნობილია ძეველი ქართული ენის ძეგლებიდანაც. საისტორიო ღოკუმენტებში გამოვლენილი დ სუფიქსი -ნ-ს ნაცვლად იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ბრძანებითის ძეველ-

6 ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძეველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, ვე. 043; დ. გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძეველ ქართულში; ქუთ. სახელმწ. პეტ. ინსტ. შრ., XI, 1952-1953, ვე. 139-147; ილ. აბულაძე, ქართული ზმინს იშვიათი ფორმები VIII-X სს.-ის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 53, 1954.



ქართულისებური წარმოება უკვე მოშლილია. გადამწერი (დამწერი) ცლილობის მინახუა
ასაძღვრის ძეგლი ქართულის ენობრივ ნორჩებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უკუ
ახერხებს.

ბ) არის შემთხვევები, როცა მოსალოდნელია, მაგრამ არაა წარმოდგენი-
ლი O3 პირის ნიშანი:

ერთიც სოფელი არღა ქონდეს, რკონ. დაწერილი; სურამელსა თან წაყვა
ლიხთ (-იმერეთს), Hd-1589 (დაწერილ-საჩიგარი, XIII ს.); მერმე მუნით შე-
მოქცეულს შემოყროდა გ[ა]მგის შვილი, იქვე.

S2 და O3 პირთა ნიშნების კლება ცნობილია ძეგლი ქართულიდან⁷.

ძეგლ ქართულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია ისეთი ფაქტები,
როცა S2 და O3 პირთა ნიშნები არაა წარმოდგენილი, სადაც ისინი მოსალოდ-
ნელია. აქ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

ა) კლია S2 პირის ნიშანი:

არა უწყია, ვის წინაშე დგა, ვითარ გიფლიეს მაგის სიტყვსა თქმად.
Sin.-62 41 v, 7-10 b; და ჰრეზუ მათ, თქუენ რაა თქვთ, ვითარმედ ვინ ვარ მე?
მთ. 16, 15 C; რასა იტყვ, მ აბიბოს, უგოა ღმერთთა და შესწირო მათა შესა-
წირავი და განთავისუფლდე ჭირთა ამათგან, Sin.-11 30 v, 9-11 და მისთ.

ბ) კლია O3 პირის ნიშანი:

რომელსა-ესე სიტყუასა მიცემ, სიმდიდრესა შობს, ათონ. მრავალთ.
73 r, 19-20 b; აპა ეცერა მე მიცემე კაცთა, ზაქარია 11,6 0; ვგონებ, ვითარმედ
თანა-წარგვდეს ეგვ შენ, Sin.-46 224 r, 3-4; თქუენ ყოველთა წინაშე ვკითხ
მას, ეფრ. ასტრ. სწავლ. 210 v, 16-17 b; და სულნელებამ გამოყვებოდა ამოხ
და ტებილი, ანდრია სალოსი 34 r, 4-5 და მისთ.

გ) პირის ნიშანი არის, ოღონდ მისი ფუნქცია არაა ნათელი:

და დარბაზის კართა მოურავთა ჰნახონ, რკონ. დაწერილი; თუ კათალი-
კოსმა ჰნახონ, იქვე; და წარმდებებით აღარ ჰყავთოს, Ad-81.

და ვინცა სხუამან კაცმან შესცვალოს, სცსა № 2243 (სიგელი ალექსან-
დრე მეფისა სვეტიცხოვლის მიმართ, 1428 წ.).

ა. შანიძე მოუთითებს: „თუ ზოგიერთ ანომალიას განსაზღვრული ხასია-
თი აქვს და ერთგვარი გასამართლებელი საბუთიც მოეპოვება, სამგებეროდ
ზოგჯერ ისტოებს წარწყდება კაცი ძეგლი ძეგლების კითხვის დროს, რომ მათ
ერ უპოვით ვერავითარ საფუძველს, გარდა ულების ნორმების არცოდნი-
სა დამწერისა თუ გადამწერის მხრივ“⁸. დავასახელებთ რამდენიმე ამგვარ
ფაქტს IX-XII საუკუნეთა წერილობითი ძეგლებიდან:

შეპრებოდა ერი მრავალი სმენად, ლ. 5, 15 C; შდრ.: შეკრებოდა DE;
და მო-მცა-ვედ და აღნადგინებითურთ ვჰემენ იგი, ლ. 19, 23D;

მოელენან დღენი, რომელთა შინა არა დაშვებეს ქვამ ქვასა ზედა. ლ.
21, 6 D; შდრ.: დაშვებეს CE; ეგენით მას ზედა, რამთა, რაეამს გამოშჩნდეს, მა-
ქუნდეს განცხადებულება, Ath.-24 210 r, 19-22 b; რამთა სიგლიანაკე ჩუენი

7 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირის ქართულ ზმებში; თხულებანი, I, 1957, გვ. 181; მისიევ: სინური მრავალთავი 864
წლისა, 1959, გვ. 317; ი. ი გნაიშვილი, იოვანეს გმოცხადებისა და მისი თარგმანების
ძეგლი ქართლი ვერსია; ისუ ძეგლი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 140-141;
მისიევ: ქართულ ენის ისტორიული ქრესტომთათა, ტ. 1. ნაწ. II, 1971.

8 ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 215. იქვე მითითებული ნიმუშები.

ეს და მსგავსი ფაქტები მიუთითებენ, რომ S₂ და O₃ პირთა პრეფიქსები იმ მეტყველებაში, რომელსაც ემყარება ძველი ქართული სალიტერატურო ენა, აგრეთვე, იმ არეალში, სადაც შედგენილია XII-XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტები, უკვე მოშლილია. ჩვენ საესებით ვიზირებთ იმ დასკვნას, რომელიც გააკეთა გ. ახვლედიანთა ა. შანიძის ცნობილ მონოგრაფიაში გამოვლენილ ანომალიებთან დაკავშირებით: „გადაჭრით უნდა ითვეას, რომ ძველ ქართულშიც კი (საშუალოზე ლაპარაკი ზედმეტია) ეს მოვლენები მკვდარი ყოფილა, რადგან ფორმათა არეა მხოლოდ ამ ფაქტის შედეგი შეიძლება იყოს. ალბათ გაცილებით აღრე დაკარგულა ავტორის პრეფიქსების ბუნების შევენება, თუ მათი მართლწერაც კი აღრეულია ძველებში: მართლწერა მუდავ უკან რჩება ენის განვითარებას; შესაძლოა, მართლწერა სასტუკად იყოს დაცული, მაგრამ ცოცხალ გამოიქმას იგი ამ შეეფარდებოდეს. ფაქტურადაც ეს ასეა ყველა ენაში და ხდება ეს, რა თქმა უნდა, ხელოვნურად⁹. გ. ახვლედიანის ეს დასკვნა განსაკუთრებით მართებულად ვარჩენება, რაც ჩვენთვის ცნობილია S₂ და O₃ პირთა ნიშნების ხმარების არაერთი დარღვევა.

ზმინისწინები. XI-XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გაბატონებულია ზმინისწინთა გამარტივებული სახეობანი: აღ>ა; გან>გა; წარ>წა; გარდა>გადა; ამო>ამო; წარმო>წამო; გარდმო>გადმო (აგრეთვე შთა>ჩა; შთმო>ჩამო). ეს ბუნებრივია, რადგან ზმინისწინთა სისტემაში ეს ცვლილებით გაცილებით აღრე მოხდა¹⁰.

ყურადღებას იქცევს ზმინისწინთა დიალექტური (ცფიქრობთ, ქართლური ლიალექტისათვის დამახასიათებელი) ფორმები, რომლებიც ჩვენს საანალისო დოკუმენტებში იჩენ თავს: მა; გამა; ზა; შემა; ზამო:

შვილს [ა] და მამავალთა ოქუნთა, ცსსა 1448, № 5027; მამავალთა შენთა მოგეცით ნაჯურდევი, მისით მზღვრითა, (Hd-14858 (დაწერილი ბარათასი თევზორე ბუელულაშვილის მიმართ, 1461 წ.); მამავალთა ჩუქნთაგან ერთისა სამსახურისა მეტი), Hd-1301; და მამავალთა სახლისა თქუნისათა, იქვე; შვილისშვილთა და მამავალთა სახლისა თქუნისათა, ცსსა 1448 № 64 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ზაზა ფანასკერტელის მიმართ, 1467 წ.); გიბოძეთ ოქუნე, ჩუქნთა მეუიდრთა ყმათა დოლის ძრთა: ვარდისა, ვორისა, მამესწარსა, მიქიასა, ცსსა 1448 № 5027; მამცე, მამცა, ლენინგრ. H-71; გამამტუხეს, ლენინგრ. H-71; პირად-პირადად ფესუედითა ოქროვანითა ზაშკობილად, ცსსა 1448 № 5025; ესე რაცა შემამიწირავს და მომიქსენებია, Ad-1839; მზღვარნი ჩაგვსხმან მას შამომართებით, ლენინგ. H-72 (ნასყიდობის წიგნი შარბის ძრთა ქაფშაძეთა მიმართ, 1450 წ. ახლოს).

ანალოგიური ფაქტები დასტურდება XII-XV საუკუნეთა წარწერებსა და სხვა წცრილობით ძველებში:

⁹ გ. ახ ვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმაში, ჩვენი მეცნიერება, № 1, 1923, გვ. 100.

¹⁰ ამას შესახებ იხ. ზ. სარგველაძე, ზმინისწინთა სისტემაში მომხდარ ცვლილებათა დამარტილებისათვის (ძველი ქართული ენის ძველების მიხედვით), საჭ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა XIII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია (მეშვიდეს გვგმ. და მოხსენებათა თეზისები), 1970, გვ. 12—13.



მათითა წყალობით ჰლად (!) არ მამიგია, საქ. მუხ. წარწ. № 42; და სამართლებრივი შეგა მამკუდარი იყოს, კარაბაღინი 79v, 5-6; ოდეს ჩამამკიდეს, აზრის სალოხი 179 v, 8-9; პური ერთობ მაგრად გამამცხუარი იყოს, კარაბაღინი 120 v, 8-9.

2. ოდ სავრცობიან ზმნათა უწყვეტელი და I კავშირებითი

არის შემთხვევები, როცა ოდ სავრცობიანი ზმნები და სავრცობიან-თა მსგავსად უწყვეტელში მწერივის ნიშნად ის, I კავშირებითში კი ეს და-ირთავენ:

უწყვეტელი:

არ გემართლებოდი და მით გაგიშუი, კორილ. სახარ. მონაწ. 131 v-132 r (XIII ს.).

I კავშირებითი:

ჩუენი სათხოარი და შესაწირავი არა ეთხოებოდეს რა, Sd-380; [რაპეზი] გ [ა] რ დ [ა] ი კ დ ე ბ რ დ ე ს კერივე, კახთა მეფისათვეს, დაწერილი შიომღვისი კრებულისა ტოხასსეთა მიმართ; არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისაგან, AD-9; ვერავინ გეცილებოდეს ერდგულად მსახურებასა შინა, Hd-11626; არა ეთხოვებოდეს რა საჩუენო გამოსალები, Ad-14; მისის სამსახურის შეტი არა ეთხოვებოდეს რა, იქვე; და არა მოდგებოდეს რა, Hd-1301; სრული-ად არ ეთხოვებოდეს ის ულუფა, Hd-1369; არას თანა არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს, Hd-1371; მისი ღალა არა გეთხოვებოდეს, Hd-1332; [არა] ვანა მეცილებოდეს, Hd-11627; რომე არაფერი სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოვებოდეს, Sd-143; არას თანა სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოვებოდეს, იქვე; და თუ დიდი და ნივთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რომე-ლი შათვან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდგებოდეს, ანუ თუით მემღუიმე და კრებული ჩამოვიდოდეს, Ad-81 და მისთ.

ოდ და დ სავრცობიან ზმნათა ულლების გათანაბრების ამსახველი ფაქ-ტები ძველ ქართულშივე იჩენს თავს. დავისახელებთ ჩამდენიმე ნამუშს:

უწყვეტელი:

გზასა მცნებათა შენთასა ვრბილდი, რაემს განავრცე გული ჩემი, ფსალმ. 118, 32 E; შდრ.: ვრბილდე ცლე; რათამცა ვიტყოდი დაბადებისათვეს კა-ცისა, ექუს. დღ. (ბ). 133, 22 B; შდრ.: ვიტყოდე A; ვთქუ მე შეძრწუნებულ-ბან: მოვიქცე სინაწლად და ვიწყე ლოცვად; რამეთუ შევიშთვებოდი, ანდრია ხალოსი 22 v, 12-15; ვიხილეთ, რომელ პბრძოდი მათ ამას დღეს და სძლე მათ, იქვე, 109 r, 16-17;

I კავშირებითი:

რომლისათვეს განაკრძალებდეს სხუათა, გინა იგი შევარდებოდეს, მამ. შავლ. 286, 11-12 A; შდრ.: შევარდებოდის BC; და უკუეთუ ვიშე არა შე-გიწყნარენს თქუენ, არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენი, გამო-რა-ხვდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერქთაგან თქუენთა,



მთ. 10,14 D; შდრ.: გამორაცხვდეთ E; გამოხვდოდით C; რაეამს ქმარი არა რეცენზები
თვისსა ცოლსა ოდენ კმა-ეყოფვოდის, ანუ ცოლი არა თვისსა ოდენ ქმარს
ეყოფვდეს, ათონ. ასკეტ. კრებ. 247r, 7-12; იგი, რომელ დაკვიდრებულ არს
ცათა შინა, ეცინოდეს მათ, ფსალმ. 2,4 BC; შდრ.: ეცინოდის T, და მისთ.

3. ഓഗസ്റ്റ് തൃഥിസന്ദേശം മരംക്കാടാ പുള്ളേഡാ

კამისა ისიცა უწირევდეს, Sd-143 (XV ს. დასაწყისი). საუფლო წირებასა თუ დაგუა/ა/კლებდეთ და [ა]რა გუაწირევდეთ, Hd-1055; მაგრაც არ იმარ-ხევდეს, მცნებას საზულოოდ.

ამგვარი ფორმები გაბატონებულია დღეს აღმოსავლურ დიალექტთა ერთ ჯვეუშე. ეს მოვლენა შედეგია ა/ე ე/ვ თემის ნიშანთა ურთიერთობონაცვლეობის მოშლისა: პარადიგმა გასწორდა ე ხმოვნიანი ვარიანტის გაბატონების შედეგად. არც ეს მოვლენა უცნობი ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისათვის:

რომელთა მოიღიან ძელი გამოქანდაკებული მათი და ოლოცვედა ღმრთისა
მიმართ, ლატ. ლექც. 189, 11-14 a; ჭამდა, დაწულილებდა და ნეშტა მას
ფერვითა დასთრგუნვდა, იქვე 101 r, 16-19 b; 102 r, 5-8 a; ჰრქუა მას კორ-
ნელიოს: ოთხით ყამითვან მის დღისა მოაქამდამდე ვალოცვედე ზე, S-1398
101 v, 18 b-102 r, 1 a; უკუეთუმცა იხვდეს, თუ მას საუკუნესა უვალრესი
ცხოვრებადა არს, ითანე იქჩონ. სწავლა 98,6-7; ემთხვენეს მეცნიერნი და
პკითხევდეს, ანდრია სალოსი 84 r, 12—13, და მისთ.

4. የዕለታዊ ገዢዎች በመሆኑ እንደሚከተሉ የሚከተሉትን ቀን መካከል

როგორც ახლა გამორკვეულია, ძველი ქართულის ძეგლთათვის მთლად უცხო არ ყოფილა ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ფორმათა ორ-განული წარმოება¹¹. ი. იმნაიშვილმა აღნიშნა ამ რიგის ფორმათა ძველ ტექსტებში ხმარების 41 შემთხვევა. შეიძლება მის მიერ მოტანილ მასალებ დაემატოს შემდეგი ფაქტებიც:

I ടണ്ണർമ്മേന്ദിത്ത്:

შეგრძელებული დატრიბუტორების, A-35 28 გ, 2-3; სარწმუნოებათ
არაოფიციალური შეკვეთის, პეტერბურგი, 281 გ, 18-19 ა;

II തൃപ്രഥമനിർത്തി:

ეს ქალისპირინი დამტკიცებული და მომდევნობა, A-603 108 გ, 1; უკუღოულმა შემწე არა ჰქონებოდა, კლემაქს. 47 ვ, 18—19; ყოველი ნავი, რომელსაც ჰყავა მენავეომძლა.

11 ამის შესახებ იხ. ნათარე გ. გვ. სა გვ. სკრის ღრუ-კილოთა წარმოებისათვის ქარ-
ოლში: სკ. VII, 1955, გვ. 81-100; ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშვეო-ზენიან ფორ-
მათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძევლი ქართული ენის კათედრის სტრომბი, ტ.
9, 1964, გვ. 105-107; ი. ი. გვარიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია,
ტ. I, ნატ. II, 1971, გვ. 354-357.



ლუარი, არა შეონებოდამცა, სრულიადმცა წარწყმედულ იყო, იქვე 48 გვ. 6; რამეთუ არა რა დაშომიდა მათ კაცობრივთა ღონისძიებათაგანი, გრიგოლი საკურველომიქ. 707, 10-12 b.

ბუნებრივია, რომ გარდაუვალ ორპირიან ზმნათა III სერიის ფორმათა ორგანული წარმოების ამსახველმა ფაქტებმა თავი იჩინეს საისტორიო დოკუმენტებშიაც. აქ ზოგ მათგანს დავიმოწმებთ:

I თურმეობითი:

რაიცა მას სოფელს ბუელთაგან შეონებია, დაწ. ძაგან აბულეთ. ვითა არა ვის რაი საქმე სდებია ქვათაკევს, დაწ. ქაქანასი.

II თურმეობითი:

რომელი პაპისა ჩუენისაგან პაპასა და მამასა მის[ს]ა შეონებულა, სიგელი ლაშა-გიორგისი ქვათაკევის მონასტრის მიმართ; რაიც ღალაი შემართებოდა ამას აღვილა, მომლამ მოილო, Ad-7.

5. კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი

XII-XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გამოვლინდება შუალობითი კონტაქტის ევინ სუფიქსი:

მამასა ჩემსა მუხნარსა შენებასა შიგა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო ექვევინა მათთა სოფელთადა, სიგელი გიორგი III-სა შიომღვიმის მიმართ (1170 წ.); ესე ვინცა გინციოს და გაქნევინოს, კორიდ. სახარ. მინაწ. 131 V (XIII ს.); ამისთუის არა გარდაგაჭდევინე, დაწერილი მურვანისი სრულად კორიდელთა მიმართ, კორიდ. სახარ. მინაწ. 76 V (XIII ს.); ჭურები და გული და ი კარგი დ/ა/თხრევინა, Hd-1589, შდრ.: აბიყინებდეს და არწყევინებდეს, კარაბადინი 15 გ, 6-7.

ევინ ტერლ ქართულ წერილობით ძეგლებში არ ჩანს.

საყურადღებოა, რომ ინ კუზატივის მაწარმოებელი ვრცელდება თავდაპირველი ივ/ი ნიშანის აღვილას:

და მას მისითა მოძღურბითა შემოწირვინა წმიდისა შიომხსოვს, დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხასძეთა მიმართ (1189-1200 წწ.); დაათხრევინა და წა[ა]ღებინ[ე], Hd-1589; და [ე]რთს თავი ახყიდინა, იქვე.

არც ინ კუზატივის ნიშანი ჩანს უფრო ძელ ძეგლებში.

6. ვნებითი გვარის წარმოება

სუფიქსიან ვნებითში ბატონდება დ ნიშანი. იგი გვხვდება თავდაპირველი 6 სუფიქსის აღვილას:

იგი შეწუხდებოდეს, სიგელი მიჯნაძოროელთაი; გა-მცა-ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი, იქვე; სიგელი თამარ მეფისა გელათის მიმართ (1187 წ.).

ამ მოვლენის ამსახველი ფაქტები ძეგლ ქართულში IX საუკუნიდან იჩენს თავს და შემდგომში თანდათან ხშირდება¹².

¹² ზ. სარჯვე ლაპტ, ვნებითი გვარის გამოხატვაში მომხდარ ცვლილებათა დათარიღებისათვის (ძველი ქართული წერილობთი ძეგლების მიხედვით), საქ. მეუნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), 1971, გვ. 7.

უდეტრები

აქ ყურადღებას იქცევს შე ნაწილაკის გამოვლენა:

მერჩე მდინარებელ და დედამი ჩუენმა შე დ[ა]იზავნეს, Hd.-1589.

XII-XIII საუკუნის ზოგ სიგელში ყე ნაწილაკიც იჩენს თავს¹³:

თუთ აღრითგან მამაობასა ეწერაყე საბისკოპოსოდ, ანდერძი დავით მე-ფისა შიომღვ. (1123 წ.); ვითა გიორგი მეფისაგან ბოძებულსა სიგელსა შინა უწერია ყე, სიგელი დავით მეფისა ხეფინისკეველთა და წიქველთა მიმართ, 1261 წ.; და რისაც ნაღირობაი გამოაჩნდესყე და მოკლვაი, იქვე; მისი ნაღირობაი არა ჰქონდესყე, იქვე.

შე ნაწილაკი გვხვდება XII-XIII საუკუნეთა მთელ რიგ უმნიშვნელოვანებს წერილობით ძეგლებში, მათ შორის გელათის ბიბლიაში¹⁴.

აქან ზნიზედა დასტურდება XIII ს. ერთ სიგელში; თუთ აქან ნაზარდი იყავ, Hd-1586 (დაწერილი შიომღვმის კრებულისა ბასილი ალავერდელის მიმართ, XIII ს.).

საბუთებში გვხვდება აგრეთვე, ასრე ზმნიზედები:

აგრეთვე თუ შოთ და მისი შვილი მოვიდეს, Sd-143; და იმაზედა ჩუენც განთავისუფლებით გამყოფენით ასრე, Sd-143; ასრე ბზობასა დღესა რანიცა მწირველნი იყოთ, იქვე.

დასტურდება ვინეთგან (ვინაითგან), როდეს (<ოდეს) ზმნიზედები:

ვინეთგან /მო/გუბერნა ნიავ-სულნელმან, Hd-11634. როდეს კურთხეულ-სა კ[ათალიკო] ზ-პ[ატრიარქსა] დორეთეონზს თქუენთუს დიდყართა ორის ღლის მიწა წაელო, Hd-1332 (ლალის ამოკვეთის წიგნი მოცემული კათალიკოზ ბასილის მიერ, 1495-1497 წწ.).

გმოკლინდება ზედან თანდებული:

ამა დაპირებაზედან შეგიწყალენ, Sd-380. ამა პირსა ზედან, იქვე.

Hd-14695 (მამულის წყალობის წიგნი მოცემული კონსტანტინე მეფის მიერ ახალციხის საღვინის მოლარეს ქაფარის ძეს, 1479-1505 წწ.) გამოავლენს მდისინ თანდებულს: მოტანებით დაღათამდისინ.

სიტყვათშარმოებიდან აღსანიშნავია ზოგიერთი სახელისა და მიმღეობის იშვიათი ფორმები. შე-პრეფიქსითა და -ურ სუფიქსითაა ნაწარმოები თანამე-ცხედ-ურ-ი:¹⁵

თანამეცეცედურმან ჩუენმან დედოფალმან თამარ, ცსსა 1448 №:5027 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ვარდია ღლის ძის მიმართ, 1464 წ.).

შე-ზ-პრეფიქსი და -ე სუფიქსი აწარმოებს: შე-ქმ-ე, შე-ცდ-ე, მ-ჟირ-ნ-ე მიმღეობებს:

ჩუენისა მორჭუმისა და ამოდ-ყოფისათუსი ღლივ და ღამე თავდადებით შექმე დე მეცდე და მჟირნე კაცი, Hd-1348.

ნა პრეფიქსითაა ნაწარმოები ნა-შ-ი მიმღეობა:

ყოველთა /ა/ღამის ნაშვთა უცოდებელებისა მეტუმრისა, Hd.-1368 (მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ.).

¹³ არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეინტულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიის ურთიერთობის თაღლასზრისით: წელწელი, I-II, 1923-1924, გვ. 60.

¹⁴ ბავიგინე იშევილი, ც-კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიგბანი, 1966, გვ. 157-158.

¹⁵ მე-ცეცედურმან ფორმა თითქოს შესაძლებელს ხდის ცხედ მიეიჩნიოთ ძირად, ხოლო არ (ცხედარი) სუფიქსად.

ორიგინალური კომპოზიტის შთაბეჭდილებას ახდენს ძალ-მწე: ესრეთ ძალ-მწე მექმენ, Ad-1839.

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში გვხვდება საკუთარი სახელი ივანე:

ივანემინდა (გეოგრ. სახელი), სიგელი გიორგი III-სა შიომღვიმის მიმართ; ივანე, რეინ დაწერალი, Ad.-7 და სხვა.

ივანე პირველად გვხვდება ერედვის წარწერაში (906 წ.): ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა.

შემდგომში, X-XI საუკუნეთა ძეგლებში, ეს საკუთარი სახელი ამ ფორმით საქმაოდ ხშირია:

სრულ-ჸყავ საქმი ეს კელითა ჩემ ცოდვილისა და უდებისა ივანე საფარელისათვის, იოანე ოქროპ. ცხორ. 255 რ, 14-17 (გადამწ. ანდერძი); დავაწერი სულიერსა მმსა ჩემსა ივანე საფარელსა, იქვე, 255, 18-19; ფრიად ცოდვილი მწერალი ამისი ივანე საფარელი, იქვე, 256 რ, 11-12; ქრისტე შეიწყალე ივანე, ამის მწერალი, შატბ. კრებ. 105 რ, 27 ა; ნეტარისა ივანე მინჩხისანი, მოდრ. იადგ. 218 რ, 17; ქრისტე, შეიწყალე ტიმოთე მომგებელი და ივანე მწერედ ცოდვილი, Sin.-1 291 რ, 14-15 და მისთ.

ზოგი სინტაქსური მოვლენა

1. სიტყვათგან ლაგება. რამდენიმე საბუთის მიხედვით შევისწავლეთ სიტყვათა წყობა, კერძოდ კი — მასაზღვრელ-საზღვრულისა და ზმან-სახელის მიმდევრობა. მასაზღვრელ სახელთა გუფუში გამოვყავით: ატრიბუტული, მართული მასაზღვრელები, აგრეთვე ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი, განსაზღვრებითი, კითხვითი, უარყოფითი ნაცვლსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელები, ე. წ. სახელგვარული მასაზღვრელები, აგრეთვე ზრავალი (როცა იგი მასაზღვრელად გამოიყენება). გამოიჩინა, რომ ყველა შესწავლილ საბუთში ატრიბუტული მასაზღვრელი უპირატესად უსწრებს საზღვრულს (ერთადერთი გამონაჯლისია გიორგი II-ს სიგელი, სადაც ატრიბუტული მასაზღვრელის პირდაპირი და ინვერსიული წყობის შემთხვევებიანაბარია). ამით ჩვენი ისტორიული დოკუმენტების ენა ემსაგვება კველა ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულების სინტაქსურ წესს, რომლის მიხედვითაც, ატრიბუტული მასაზღვრელი უსწრებს საზღვრულს.

ისტორიულ დოკუმენტთა უმრავლესობაში მართული მასაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, თუმცა საქმაოდ მომრავლებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა მართული მასაზღვრელი საზღვრულის წინ დგას. ასე მაგალითად, მიწნაძორიელთა და ოპიზართა სიგელში მართული მასაზღვრელი 19 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, ხოლო 12-ჯერ — უსწრებს, შიომღვიმის მიმართ გაცემულ ბაგრატ IV-ს სიგელში კი — მართული მასაზღვრელი საზღვრულის შემდეგა 27-ჯზის, 18-გზის კი — უსწრებს. თუ ამ მონაცემებს შევუდარებთ ზოგიერთი აგიოგრაფიული თხზულების მონაცემებს, საქმაოდ დიდ სხვაობას დავინახავთ: „შუშანიკის წამებაში“ მართული მასაზღვრელი 76-ჯერ მოსდევს, ხოლო 44-ჯერ უსწრებს საზღვრულს, „აბის მარტვილობაში“ 310-ჯერ მოსდევს, 150 შემთხვევაში უსწრებს, „ევსტათი მცხეთელის წამების“ შიხედვით 115-ჯერ მოსდევს, უსწრებს 49 შემთხვევაში და სხვა.

ისტორიულ დოკუმენტთა შორის ისეთებიც არის, სადაც მართული მასაზღვრელი უპირატესად საზღვრულის წინ დგას. სევთებია: სიგელი გიორგი III-

სა შიომღვიმის მიმართ (25-ჯერ უსწრებს, მოსდევს 11-ჯერ), დაწერილი შემთხვევაში მღვმის კრებულისა ტოხასძეებს (ზრული მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს 42-ჯერ, მოსდევს 21-ჯერ), დაწერილი ჭიაბერისი (17 : 13) და რკონის დაწერილი (88 : 26).

საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მართული მსაზღვრელის პრეპოზიცია გაბატონებულია „ვეფხისტყაოსანშიც“ (1215-გზის გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრული, ხოლო 833 შემთხვევაში საზღვრულ-მსაზღვრელი).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები საბუთთა დღიდ უმრავლესობაში მოსდევს საზღვრელს. ორი დოკუმენტია ამ მხრივ გამონაკლისი: შიომღვმის კრებულის დაწერილი ტოხასძეთა მიმართ (სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი 16 ჯერ მოსდევს საზღვრულს, ხოლო 17-გზის უსწრებს) და რკონის დაწერილი, სადაც 64 შემთხვევაში პრეპოზიციური წყობა გვაქვს, ხოლო 37 შემთხვევაში კი პოსტონიციური. „ვეფხისტყაოსანი“ ამ შემთხვევაშიც მხარს პრეპოზიციას უქერს (810 : 488).

ისტორიულ დოკუმენტთა აპსოლუტურ უმრავლესობაში ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას უსწრებენ საზღვრულებს. ერთადერთი გამონაკლისია გიორგი II-ს სიგელი შიომღვიმის მიმართ (სადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი ხუთერ მოსდევს სახელს, ხოლო ერთ შემთხვევაში კი უსწრებს). ისტორიულ დოკუმენტებში გაბატონებულ ჩვენებითი ნაცვალსახელის ამგვარ წყობას მხარს უქერს ყველა ძეველი წარწერა, აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ორიგინალური ძეგლები, როგორიცაა გიორგი მთაწმიდელის „იოანესა დე ეფთვემს ცხოვრება“ (სადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი 212-ჯერ უსწრებს საზღვრულს, მოსდევს 74 შემთხვევაში); გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (451-ჯერ უსწრებს, მოსდევს 393-ჯერ), „ვეფხისტყაოსანი“ (506 : 39) და მისთ.

მსაზღვრელ-საზღვრულის დანარჩენ ჯგუფებზე ილარ გავაგრძელებთ სიტყვას. დაგსძენთ მხოლოდ იმას, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ისტორიულ დოკუმენტებში საზოგადოდ იმ დროის ცოცხალი შეტყველების ნორმათა შესაბამისია.

ახლა განვიხილოთ სახელისა და ზმნის განლაგება. ჩვენ მიერ შესწავლილ საბუთთა უმრავლესობაში ზმნა მოსდევს სახელს. ეს არის სინტაქსური წესი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისათვის. ძეგლი ქართული ორიგინალური ძეგლების მიხედვით უფრო ბუნებრივია VN წყობა, ვიდრე NV¹⁶. ისტორიული დოკუმენტები თავიანთი ეპოქის ცოცხალი შეტყველების ნორმებს ასახავენ. „ვეფხისტყაოსანი“ ამ შემთხვევებშიც ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს: სახელი ზმნას უსწრებს 6059 შემთხვევაში, ხოლო 3338-ჯერ მოსდევს მას.

სუბიექტი გამოყენებული სახელი ზმნას უსწავლილ საბუთთა დაგენერირებას. ეს არის ძირითადი სინტაქსური წესი, რომელიც გაბატონებულია ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში. უნდა ითქვას, რომ ეს წესი დამახასიათებელია თითქმის ყველა ორიგინალური თხულებისათვის: მაგალითად, ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომში მოთავსებულ ძეგლთა შინედვით ოუ ვიმსჯელებთ, სუბიექტი ზმნას უსწრებს 4068 შემთხვევაში, მოსდევს—3535-ჯერ. „იოანეს და ეფთვემს ცხოვრების“ მიხედვით 494 შემთხვევ-

¹⁶ რაც შეეხდა ნათარგმნ ძეგლებს, იქ, როგორც წესი. VN გაბატონებულია.

უაში სუბიექტით უსწრებს ზმნას, ხოლო მოსდევს 317 შემთხვევაში, „ვეფხისტურა“ შეაწმინდების ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით 761 შემთხვევაში სუბიექტი პირველ ადგილზეა, ზმნა მოსდევს 540 შემთხვევაში. „ვეფხისტურასანი“ აქაც ცოცხალი მეტყველების ნორმათა ამსახველია: სუბიექტი პირველ ადგილზეა 3038 შემთხვევაში, ხოლო ზმნის შემდეგ 1476-ჯერ.

ამ ნიშნის მიხედვით თუ ვამსკელებთ, საისტორიო დოკუმენტები (და „ვეფხისტურასანი“), ერთი მხრივ, და ძველი ქართულის ძეგლები, მეორე მხრივ, არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. დაპირისპირება ვაჟეს ზმნისა და ობიექტის (ირიბის ან პირდაპირის) განალების მიხედვით. ძველი ქართული ორიგინალური ძეგლებისათვის ნორმა ასეთი წყობა: V.O.რ./O.3. აგიოგრაფიულ ძეგლთა I ტრაქში მოთავსებულ თხზულებათა მიხედვით ზმნა ირიბ ობიექტს უსწრებს 1822 შემთხვევაში, მოსდევს 610-გზის; ზმნა პირდაპირ ობიექტს უსწრებს 3150 შემთხვევაში, მოსდევს 1635-ჯერ; „ითანეს და ეფთუმეს ცხოვრების“ მიხედვით ზმნა ირიბ ობიექტს მოსდევს 166 შემთხვევაში, მოსდევს 114-ჯერ; პირდაპირი ობიექტი ზმნის შემდეგაა 238-ჯერ, უსწრებს 356 შემთხვევაში; „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ მიხედვით ზმნა ირიბ ობიექტს უსწრებს 243-ჯერ, მოსდევს 193-გზის; პირდაპირი ობიექტი ზმნის წინა 402 შემთხვევაში, მოსდევს — 482-ჯერ. როგორც ვხედავთ, გადახვევს ამ წესიდან მხოლოდ პ. ობიექტი გვიჩვენებს (ისიც XI საუკ. ძეგლების მიხედვით), რაც შეეხება საისტორიო ღოვანების, აქ ნორმად უნდა მივიჩნიოთ ობიექტის, ირიბის ან პირდაპირის, ზმნის წინ გაღმოორანა. ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით განაალიზებულ საბუთებში 48 შემთხვევაში ირ. ობიექტი ზმნას უსწრებს, მოსდევს 45-ჯერ. პირდაპირ ობიექტი ზმნა უსწრებს 97-გზის, მოსდევს 150-ჯერ.

„ვეფხისტურასანი“ აქ ასეთ სურათს გვიჩვენებს: ირ. ობიექტი ზმნის წინ არის 996 შემთხვევაში, მოსდევს 551-ჯერ, პ. ობიექტი ზმნას უსწრებს 2025 შემთხვევაში, მოსდევს 1311-ჯერ.

საფიქრებელია, რომ საისტორიო დოკუმენტები (და „ვეფხისტურასანი“) ცოცხალი მეტყველების სინტაქსური ნორმის ამსახველია.

2. ზმნა და პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა

XI-XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში ძირითადად გატარებულია ის სინტაქსური წესი, რომლის თანახმად ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელი ზმნაში აჩენს სათანადო ნიშანს.

მაგრამ ვაჟეს ზოგი დარღვევაც:

მას ეამსა ავაგეთ წისქუილნი, დაწერილი რამინის და გიორგის მიერ (X ს.); ვინცა ესე თქუენი შემთხვევალნი სოფელნი, გლეხნი და მაშულნი პირველ გათარხნებულნი და აწ ჩუენგან დამტკიცებითა გათარხნებულნი მოშალოს, Hd.-1369, და უქმნი წელიშადსა შინა ვითარცა საეკლესიოთა წიგნთა კრებათაგან განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ, მცნებად სარჯულომა; გინა ორნი დანი ორთა ძმათა შეიძოონ, იქვე; შეაგინოს კორცი თვისნი სხუასა დიაცსა თანა, იქვე; ვინ ესე მცნებანი... არა ალიაროს, არა დაიცვას და არა შეინახოს, იქვე.

მმგვარი ფაქტები „სინური მრავალთავიდან“ მოყოლებული საკმაოდ ხშირია ძეელ ქართულ წერილობით ძეგლებში. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმეს:



რამეთუ აწ მას ხოლო მიუტვე მე შე ცოდებანი მამისანი, სინაკედალი
შრავალთ. 27.28; რამეთუ ყო ჩემდამო დიდ-დიდნი ძლიერმან, ლ. 1,49 C;
ალიპრა ორნი იგი ფრთენი მარჯულ და მარცხლ, შატბ. კრებ. 191 v,
1-2 b; უგრწყალე ჩურნ, რამეთუ უეშინებულ ვართ, ათონ. ასკეტ. კრებ.
199 r, 20-22 b; განხეთქის ღრმობან თხიერნი იგი, მრკ. 2,22 C და მრავალი
სხვა. II ბრძანებითის შე-3 პირში მოსალოდნელი ენ-ი-ნ დაბოლოების ნაცვ-
ლად ე-ნ ვვაქეს:

ჩე მნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან, სიკელი მიჯნაძოროელთაი;
ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მე ფენი ჩუენნი, Ad.-81, შდრ.:
ღმერთმან ადიდენ და ცოდვანი შეუნდვენ, Ath.-3, 141 v, (ბლეიკის
აღწერილობის მიხედვით, ვვ. 22);

თხილენ მან ბაგასა შინა სახუევეველნი ქრისტიშნი, ათონ. მრავალთ.
40 r, 9-11 b;

ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან განქარვენ ყოველნი ღონენი,
ათონ. ასკეტ. კრებ. 168 v, 13-16a და სხვა.

3. სუბიექტის მრავლობითობა და ზმნა

ზოგ შემთხვევაში მოშლილია ზნის შეთანხმება მრავლობითში დასმულ
სუბიექტთან:

ასრე ბზობასა დღესა რანიცა მწირველნი იყოთ, Sd-143.

კრულმცა არს მყარნი მისნი წელთა მისთა ზედა, კრულმცა არს წელ-
ნი მისნი თექოთა მისთა ზედა, კრულმცა არს თექონი წყვლთა მისთა ზე-
და, კრულმცა არს მუკლნი მისნი კოჭთა მისთა ზედა, მცნებად სარჩუ-
ლომ.

4. ორიბი ობიექტის მრავლობითის ზმნაში გამოხატვა

XIII-XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში დასტურდება ზოგი შემ-
თხვევა, როცა ზნაში თ სუფიქსითა გამოხატული ირიბი ობიექტის მრავლო-
ბითი რიცხვი:

ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ(ურნ), მღვმელთა, ერთობით სრულად კრე-
ბულ[თა წმიდისა მმ]ისა შიომს შვილთა და მოწიფეთა, შენ ზოსიმე კვრიკე
კახთა მეფისა სამწირველო გეონდათ, დაწერილი შიომღვმის კრებულისა კვრი-
კე კახთა მეფისა მწირველ ზოსიმეს, (1260-1270 წლ.); და ანუ სხუისა გუარისა
კაცმან აღამის მონათესავემან მოგიშალოთ, სცსა 1976; ძმანო და მამ[ი]ნო,
ამისთ[ც]ს გ[ა]მცნებ და გაუწყებთ, მცნებად, სარჩულომ; და ამ[ა]სცა გამცნებ
და გაუწყებთ, შვილნო და ძმანო ჩემნო, იქვე.

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ



ОСНОВНЫЕ МОРФОЛОГИЧЕСКИЕ И СИНТАКСИЧЕСКИЕ
ОСОБЕННОСТИ ЯЗЫКА ГРУЗИНСКИХ ИСТОРИЧЕСКИХ
ДОКУМЕНТОВ XI—XV ВВ.

(Р е з ю м е)

На основании анализа большого количества исторических документов XI—XV вв. в работе рассматриваются основные морфологические и синтаксические особенности грузинского языка XI—XV вв. В результате изучения древнейших письменных памятников установлена хронология изменений, произошедших в грамматической системе грузинского языка XI—XV вв.

ელექტრო ცაგისარებლივი

ანონიმუს ისტორიკოსი (ფრანგ-გარემო) და მის „ისტორია“

IX—X საუკუნეები სომხეთის ძსტრიჩაში հետու საზოგաდութիւնը-Յունացիւր მოვლուნեցիւթ ხասկաւութեածութ.

IX საუკუნის მეორე ნახევარში სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პოლიტიკურმა წრეებმა ისარგებლეს არაბთა სახალიფოს დასუსტებით და 885 წელს მეფობა აღადგინეს. ამიერიდან სომეხთა ქვეყანას ბაგრატუნიანთა დინასტია ჩაუდგა სათვეში.

პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის მებრძოლ წრეებს უპირისისირდებოდნენ სომები მთვარები და გამგებლები, რომლებიც აშკარა წინაღმდეგი იყვნენ მათვების ორასასურველი ურთიანი ხელისუფლების ქვეშ მოქედვისა. შირქაის ბაგრატუნიანთა სამეცნო მიმართ განსაკუთრებით არაეთილგანწყობილებას ვასტურაკანისა და სივნე-თის სამავროობის ამჟღვენებდნენ¹.

IX—X საუკუნეების სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება თავისებურად აისახა სომხურ საისტორიო მწერლობაში, რომელიც ორი ძირითადი ძიმაზორულებით განვითარდა. შირაკის, ანუ ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიკოსებმა ამ სამეფოს ისტორიის გადმოცემა დაისახეს მიზნად, ხოლო ისტორიკოსთა ერთმა გვუფთა ფალკიულ სამეფო-სამთავროთა თავგადასავლის აღწერას მიჰყო ხელი².

სამეცნ-სამთავროთა ისტორიკოსებიდან უნდა დაგასახელოთ გასპურება-ნის, ანუ აჩწრუნთა საგვარეულოს ისტორიის ეტოზი თოშა აჩწრუნი, ხოლო ბაგრატუნიანთა სამეცნოს ისტორიკოსებს განეკუთვნებიან ოთან დრასხანაერ-ტეცი და შაბუჭ ბაგრატუნი³.

თუ ერთმანეთს შეეცდალებოთ ოთანე დრასხანაკერტეცისა და თომა არწრუნის ნაშრომებს, ნათლად წარმოგვიდგება ზემოთ აღნიშვნული საისტორიო მწერლობის ორი ძირითადი მიმართულების წარმომადგენელთა ინტერესები: თომა არწრუნის მიზანია რაც შეიძლება განადიდოს ვასტურაკნის მეფე-მთავრები, მიჩქმალოს მათი სახელის შემცდლალავი თვისტებები და მოქმედებანი.

¹ Հայ ժողովրդի պատմություն, Առաջին մաս խմբագրությամբ Բ. Ն. Առաքելյան, Ա. Ա. Արքանց համար, Երևան, 1951, Թովմայի կարգապետի Արքունիք, Պատմություն Պատմություն Սահմանադրության մասին, Երևան, 1917, Պատմություն Սահմանադրության մասին, Երևան, 1910,

² Մանուկ Արեգյան, Հայոց հին գրականության պատմություն, գիրք I, Երևան, 1944, էջ. 433—450.

3 ითანე დრასტანაცკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გმირელევითა და საძირბლებით გმირისა უ. ვაკერიშვილმა. 1965. ა. 054—055.



ოთხე დრასხანაკურტეცი კი მხოლოდ შირაკის ბაგრატუნიანთა დინასტიური უძველესი წარმომადგენელი მისწრაფების დამცველად გვევლინება.

ხოლო რაც შეეხება ბაგრატუნიანთა სამეფოს მეორე ისტორიკოსს, შაპუჟ ბაგრატუნის, მის ნაშრომში ჩვენამდე არ მოუღწევია.

როგორც ცნობილია, 1917 წელს სომხეთის სხვადასხვა հაიონებიდან ეჩ-მიაძიშვილი გადმოტანილ ხელნაშერებს შორის აღმოჩნდა ერთი ნუსხა, რომელიც არმენოლოგმა მესრობ ტერ-მოქსესიანმა გამოაქვეყნა 1921 წ. შაპუჟ ბაგრატუნის „ისტორიის“ სახელშოდებით.

აღნიშნულ ნაშრომთან დაკავშირებით ეჭვი გამოითქვა, რომ შაპუჟ ბაგრატუნი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ავტორი.

პირობითად მ. აბელიანმა აღნიშნულ თხზულებას „ანონიმი ისტორიკოსის ისტორია“ უწოდა.

შაპუჟ ბაგრატუნის ეტორობით ცნობილი ნაშრომი, რომელიც ჩვენამდე მოაღწია, ვასპურაკინის არწრუნი მთავართა და გამგებელთა ისტორიაა. მისი შემქმნელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბაგრატუნიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი. იგი რომ არწრუნი იყო, თვით ნაშრომიდან ჩანს. ისტორიკოსის გაღმილებებში ყველა ფაქტობრივი მასალა ძირითადად ორი მთავარი ისტორიული პიროვნების — ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომადგენლის, სომხეთის შეფის სუმბატ აშორის ძისა და ვასპურაკინის დიდი მთავრის დენენიკ არწრუნის ირგვლივ იყრის თავს.

თხზულებაში განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი არწრუნთა და ბაგრატუნიანთა — სომხეთის ამ ორი ძლიერი მოქაშე ფეოდალური გვარის ურთიერთმტრობა. ასევე სავსებით გარევეულია ავტორის განწყობილება ამ ფეოდალურ გვართა მიმართ. იგი ყოველნაირად დაილობს განადიდოს ვასპურაკინის სამთავროს როლი და მნიშვნელობა სომხეთის პოლიტიკურსა თუ ეკონომიტურ ცხოვრებაში და სუმბატ ბაგრატუნის უარყოფით პიროვნებად დახატვით (მისი ვერაგობა, დაუნდობლობა, გაიძევრობა, სუსტი სახელმწიფო მოვალეობა) დაამციროს და შეგძლალოს ბაგრატუნიანთა დინასტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უფრო მართებულია „ისტორიის“ ავტორს ანონიმი ისტორიკოსი ვუშოდოთ და მივიჩნიოთ, რომ ნამდვილი შაპუჟ ბაგრატუნის თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ანონიმის ვინაობის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის შესახებ არც მის თხზულებაში, არც სხვა წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. შაპუჟ ბაგრატუნის კი თავის თანამედროვე მოღვაწედ რამდენჯერმე ახსენებს ითანა დრასხანაკურტეცი. „მის შემდეგ მამამთავრად დააყენეს გორგი არაგაწოტის გავარიდან — წერს იგი, — რადგან აგარიანელებმა დაიძყრეს მთელი სომხეთი და

⁴ Պատմուրին Շապի նոյ Բագրաთი ნიւյ. ի լոյս აბქი Գալიս տ Տեր-Մկրտչ և ას և Մ և բ რ ი պ ი ა ს և կ ი պ ი ս, ხემთაბქ, 1921.

⁵ Բ. Ա կ ի լ ը ե զ յ ա ն, Կաթებევაլ Շ ա պ ի ն ի բ (մի քანի խոսր „Պատմուրին Շապի նոյ Բագրաთი ნიւյ“ գրքის հეղինაկი ირუხელი խნդրի շორი). „Բաნբერ Հայաստանի գիտակაն ինսტიტუტի“. Գիրք Ա. և Բ. Վաղարշապատ, 1921—1922. Ն. Ա կ ի ն յ ա ն, Շապուհ Բագրատունի և յուր պատմուրյան, Մատենագրակაն հետազոտություններ, բնուրյան և բնագիր, հատ. Ա. Վիեննա, 1922. Հ. Ա ն ս ո յ ա ն, Հայերն նոր բաներ Հայուն Բագրատունու պատմուրյան մեջ. „Բագրամին“, 1922. Ս. Կ ա ն ս ա ն, Պատմուրյան սր. Եղանին սր. Աղբերկա և Հապան Բագրատունի, „Բանբեր Հայաստանի գիտակაն ինսტიტուտի“. Գիրք Ա. և Բ. 1921—1922.

⁶ Մ ա ն ս է կ Ա բ ե ղ յ ա ն, Երկեր Գ. Երևան, 1968, გვ. 514—525.

ქვეყნის დიდებული დაიმცრნენ, ხოლო გადარჩენილები მათი მონობის უღელტევიანი მოქმედები, ამიტომ შემცირდა ამ ისტორიიდან ჩენენი მთავრების შესახებ ამბები, მაგრამ თუ კი აღმოჩნდება რაიმე, ყოველივე საკმარისად ვადმოგეცი შენ ჩემზე უფრო ადრე შაპუჲ ისტორიკოსისაგან... საჭიროდ ვცნი, აღარ გამერეორებინა ჩენი დროის ისტორიკოსის შაპუჲ ბაგრატუნის მიერ აღწერილი ამბები. მან ნათლად ვადმოსცა შოთა, სუმბატ სპარაპეტის ძის ჩამომავლობისა და მმართველობის ისტორია, მეფეთა ერთაშემათა რიგი და ბუღალტი ტყვედ წაყვანილ სომეხ მთავართა და ნახარართა საკუთარ სამთავროში დაბრუნებისა და დამკეიდრების ამბავი. მოგვითხოვ აგრეთვე, თუ მათვან რომელი აღმოჩნდნენ ახორანი, დიადნი და ძლიერნი მოცილეთა ბანაკის წინამდევ, ან ვინ ვისგან იყო შევიწროებული და თითოეული მათვანის აღსასრული თავის ადგილს. თუმცა მან ვერ შეძლო შიგნობრული ხერხებით მოკლედ გადმოეცა განმსაზღვრული სიტყვის ახსის ჟეშარიტება და დასაბუთებათა სრულიადი განყოფა, მაგრამ თავისი დროის მიხედვით ახლოს იყო რა ყველა ამ ამბავთან, მდაბიო ენით საკმარისად ვაწვდის შენ ცნობებს... ამრიგად, მე აქ ყოველივეს მას ვუწოვებ და რაც ახლა აუცილებლობის გამო საჭიროა მოსახტობობად, მხოლოდ მას გადმოგცემ შენ მოკლედ, ვეცდები მცირედი შესავლის სახით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სუმბატ სპარაპეტის ძის ამოტის ბაგშვილიდან მის ახლგაზრდლობამდე; მისი სიძლიერე და სიმნენ, ბრძოლები და თავდასხმები როგორც სხვებზე, ასევე სხვათაგან მასზე; ყოველივე ეს საკმარისად იქნება აღწერილი ჩემ მიერ შაპუჲისაგან ნამბობის მიხედვით... რაც კი რამ სათქმელი დამრჩა აშორის ძლიერების, სიმხნის, ბრძოლის, შერქინებისა და მრავალ კეთილ შემწეობათა შესახებ, ყოველივე აღწერილი შაპუჲ ბაგრატუნის ისტორიის შიგნში, რომელიც საკმაოდ დაწვრილებით წარმოგვიდგენს იმ კაცის სიქველეს...”⁷.

როგორც ჩანს, სხვა წერილობით თუ ზეპირ წყაროებთან ერთად, იოანე დრასხანაკერტეცის ხელთ პეონია შაპუჲ ბაგრატუნის ნაშრომი და კიდუც უსარგებლია მით.

შაპუჲის ნაშრომთან დაკავშირებით იოანე დრასხანაკერტეცის ზემოთაღნისნული გადმოცემის შესამოწმებლად დაწვრილებით შევისწავლეთ ჩენნამდე მოლწეული „ისტორიის“ ტექსტი.

როგორც ირკვევა, ამ თხზულებას არავითარი საერთო არა აქვს ნამდგვილ შაპუჲ ბაგრატუნის ნაშრომთან, რადგანაც ის ფაქტები და მოვლენები (ბუღას მიერ ტყვედ წაყვანილ სომეხ მთავართა და ნახარართა დაბრუნება სომხეთში, მათი ბრძოლა, სუმბატ სპარაპეტის ძის აშორის ცხოვრება ბაგშვილიდან ახალგაზრდლობამდე, მისი მოღვაწეობა, ბრძოლა უცხო მტრის წინააღმდევ, ქველმოქმედება), რომლებზედაც ასე ხაზგასმით მიუთიებს იოანე დრასხანაკერტეცი შაპუჲის ნაშრომიდან, არ არის ასახული „ისტორიაში“.

ზემოთ აღნიშნული გარემოების გამოც, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ჩევნენ ხელთ არსებული „ისტორია“ ვინმე ანონიმის კალამს განეკუთვნება, ხოლო შაპუჲ-ბაგრატუნის ნაშრომს ჩევნამდე არ მოუღწევია.

„ისტორიის“ ძირითადი ნაშილის ერთადერთი და თან თავბოლონაკლული ცუსხრს სახით არსებობაც ხელს გვიშლის რამე გარკვევით ვთქვათ თხზულების აგროვის ვინაობისა და მისი სათაურის შესახებ. როგორც ზემოთ უკვე

⁷ იოანე დრასხანაკერტეცი, სომხეთის ისტორია, ...გვ. 4—5, გვ. 28—29, გვ. 40.

მართალია თხზულება მცირე მოცულობისაა, მაგრამ საყურადღებოა, რაღაც განსხვავებით სომხური საისტორიო მწერლობის სხვა ნიმუშთაგან, მასში პოლიტიკურ სიტუაციებთან ერთად ნათლად არის წარმოდგენილი IX—X საუკუნეების სომხური საერო საზოგადოების ცხოვრებაც. „ისტორიის“ ტექსტის შესწავლისა და მისი ავტორის ფაქტებისა და მოვლენებისა დამტკიცებულების გათვალისწინების შედეგად იჩვევა, რომ ანონიმი ისტორიკოსი სასულიერო წოდებას არ განკუთვნება. იგი საერო კაცია, რომელმაც თავი მოუყარა და ნოველების სახით ერთ ნაწარმოებად გაერთიანა, ცალკეული ისტორიული თხრობანი.

რაც შეეხება თხულების შექმნის თარიღს, აქაც მოელ რიგ სიძლელებ-თან გვაქვს საქმე, რომლებიც ძირითადად „ისტორიის“ ავტულებიდან გამომ-ლინარებას.

ანონიმის „ისტორიის“ ტექსტი ორ ნაწილადაა დაყოფილი. I ნაწილის I თავის სათაურია „ანტიქერისტეს მსახურის მუჟამედის დაბადების, აღზრდისა და გამეფების ისტორია“. მაგრამ ამ თავში სანამ უშუალოდ მუჟამედის ისტორიას გადმოვცემდეს, ავტორი დასაწყისშეივე აღნიშვნას, რომ უამთააღმწერელთა წიგნებზე დაყრდნობით მას სურს ამცნოს მკითხველს თორგომის სახლის შთამომავალთა თავგადასავალი. იგი გაეკრით მოიხსენიებს სომეხთა მეფეებს — ტრდატ III დიდს (287—332 წწ.), ხოსრო III (332—338 წწ.). ტრიანს (338—344 წწ.), არშაკ II (345—367 წწ.), პას (369—374 წწ.). აღნიშვნას აგრეთვე პაპის მიერ ნერსეს I, სომეხთა კათალიკოსის (353—373 წწ.) მოწამვლის ფაქტს, რასაც შედევრად მოჰყვა, როგორც ანონიმი მიუთითებს, სომეხთა ქვეყნის დაღუპვა და არშაკუნიანთა სამეფო დინასტიის (65—428 წწ.) გაუქმება. ამის შემდეგ იშვებს იგი მუჟამედის თავგადასავალის გადმოცემას, რასაც მოსდევს მავრიკე და ჰერაკლე კეისართა ისტორია. „ისტორიის“ I ნაწილი 751 წელს მომზღარი ამბების თხრობით მთავრდება. I ნაწილში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. „პაციუნის ჯრის ისტორიის“ შესახებ რამდენიმე ისტორიულ თხრობას, რომლებიც უამრავ ნუსხებშია შემონახული. აღნიშვნულ თხრობებს მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში წინ უძლვის მუჟამედის ისტორია.

⁸ История Анонимного повествователя Псевдо-Шапух Багратуни, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии М. О. Дарбиян-Меликян, Ереван, 1971, гл. 11—13.

ଶାଶି ଗାଢାମିଶ୍ରରୁ ତେଣୁକେବୁଳି ମୋଜମ୍ବେଦିଲି ଶୈଳେଶାଳ, ଲୁଗନ୍ଧି
ଶୈଳେଶାଳ ମନତକରନ୍ତେବି ଯେହି ମତଲାଇନ ନାଥାରମ୍ଭେବାଳ ଏକା ମିହିନ୍ଦୁଲାଙ୍କା

— I ნაწილი „ისტორიისა“ — „პაციუნის ჭვრის ისტორია“ — IX—X საუკუნეებით თარიღდება⁹.

ხოლო რაც შეეხება თხნულების II ნაშილს, მისი კავშირი პირველ ნაწილთან, ასევე პირველითია. აქ თავმოყრილია მთელი რიგი მოთხრობები არწრუნთა საგარეულოსა (გრიგორ-დერენის, აშოტ არწრუნის, ტაჭარ ანძევაცის, გავეგ აბუმურვენის, ხაჩიკ-გაგიძის და სხვ.) და ბაგრატუნინთა დინასტიის (აშოტ სუმბატის ძის და სუმბატ აშოტის ძის) წარმომადგენელთა ცხოვრებიდან. აქვე ჩართულია ნოველა ხალიფა ალისა და იუსუფ ოსტიკანის შესახებ. შედარებით ვრცელი სახითაა გადმოცემული გრიგორ-დერენის თავგადასავალი 3 ნოველის სახით¹⁰.

როგორც სომხურ ისტორიულ შეართობიდნ (იოანე დრასანაკერტეცი,
თომა არწიუნი) ირკვევა გრიგორ-დერნიმ და მისმა მამამ აშორმა მნიშვ-
ნელოვანი როლი ითამაშეს IX—X საუკუნეების არწიუნთა სამეფოს ვაჟურა-
კანის ისტორიაში.

დერენს შეეძინება ვაჟი აშოტი, რომლის მემკვიდრეები არიან გრიგორ-დერენი, გაგიე და ამაზაპი. მეორე ნოველაში გადმოცემულია ტკუკიობიდან გრიგორ-დერენის ვასტურაქაში დაბრუნებასა და იქ მოღვაწეობის ამბავი. მე-სამე ნოველა კი მოგვითხრობს გრიგორის მოკვლის ისტორიას. ანონიმი ისტორიესის „ისტორიის“ მეორე ნაწილში, როგორც უკვე იღვნიშვნეთ, გარდა არ-წრუნთა თავვალასაც ის, სუმბატ აშოტის ძის შესახებაცაა მასალები, რომელთა უმრავლესობა უზუსტობითა და ანაქრონიზმით ხსიათდება. ამაზე უფრო ქვევით მიღუთითებთ.

თხულების I და II ნაწილის როგორც შინაარსობრივი შესწავლა, ისევე წერის მანერის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ ისინი დამოუკიდებელი, ერთ-მანეთისაგან სავსებით განსხვავებული ნაწარმოებებია, რომლებიც მხოლოდ იძიტომ არიან გაერთიანებული ერთ კრებულად, რომ ორივე ნაწილი ვასპურა-კანისა და არწრუნთა ისტორიასთანაა დაკავშირებული.

თუ თხზულების I ნაწილის ყველა მოთხრობა გამსჭიალულია ღვთისა და მისი იდეებისათვის თავდადების იდეით, მეორე ნაწილში აჟარად ხაზგასმულია მხოლოდ და მხოლოდ აქცევნიური ცოხვებით დატებობის იდეა. გარდა ამისა I ნაწილში აეტორის ყურადღების ცენტრშია ქრისტიანთა ერთანაობის იდეა, რაც არ შეინიშვნება თხზულების II ნაწილში. „ისტორია“-ში მოვ-

⁹ История Анонимного повествователя Псевдо-Шапух Багратуни, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии М. О. Дарбиян—Меликян, Ереван, 1971, гл. 35.

¹⁰ Մանուկ Աբեղյանը, Երևան, 516—524.

„ შოველივე ზემოთქმული ართულებს თბზულების შუსტად დათარიღებას. ნ. აკინანია¹¹, „ისტორიის“ დაწერის თარიღიდ XI საუკუნეს მიიჩნევს. ასეთივე აზრისაა ი. მარკვარტიც. მ. აბელიანის¹² აზრით ეს მოთხრობები დაწერილია არაუგვიანეს XI საუკუნის I ათეულისა.

თუ ვიმსჯელებთ თხზულების II ნაწილში დაცული მასალების მიხედვით
და გავითვალისწინებთ იმ უამრავ უზუსტონებებს, ანაქრონიზმებსა და აშეარა
შეცდომებს, რომლებიც IX—X საუკუნეებში მომხდარი ფაქტებისა და მოვ-
ლენების გაღმოცემისს არის დაშვებული, სავარაუდებელია, რომ ავტორი X
საუკუნის შემდეგი დროის, სახელმძღვანელოს, კი, ვთქვათ, XII საუკუნის მოღვაწეა.
ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობის, გარდა ზემოთ აღნიშნული გარე-
მოებისა, „ისტორიის“ ერთი ადგილის გათვალისწინებაც იძლევა.

სუმბატ სომეგთა მეფისა და თეოდოსი აფხაზთა შეფის შორის ბრძოლის გაღმოცემისას ავტორი ასახელებს გორის. „სუმბატმა შეკრიბა ჯარი... იგი წაიღი-და აფხაზთა ქვეყნისაკენ... სოფელ გორიდდე“¹³. ამ სტრიქონების დამწერი XII საუკუნეზე აღრინდელ მოღვაწედ ვერ ჩაითვლება, რადაგნც, როგორც ცნო-ბილია, გორი დაარსა დავით აღმაშენებელმა XII საუკუნის დასაწყისში. აღ-ნიშნულ ფაქტზე პირველად მიუთითა XII საუკუნის სომეგმა ისტორიკოსმა მათეოს ურბანული თავის „ემთაალმწერლობა“-ში¹⁴.

„ისტორიის“ XIII საუკუნით დათარიღებას, თხშულების ენობრივი მონაცემებით უშერს მხარს. პ. აჭარიანის აზრით, „ისტორიის“ ენა და სტილი არაფრით არ განსხვავდება, მაგალითად, XIII საუკუნის ისტორიკოსის ვაჩრდან აღმოსავლელის ენისა და სტილისაგან¹⁵. თხშულების სომხური ტექსტის პირველი გმირობელი მ. ტერ-მოვესესიანი ამ მოთხრობების ჩაწერის თარიღიდან XII—XIV სს. მიიჩნევს¹⁶.

ამრიკად, ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებების გამო, უფრო მართებულია „სტორინის“ შექმნის თარიღად XII საუკუნე ვივარაულოთ.

¹¹ Ա. Ակի Ելա Յ, Շապուհ Բագրատունի և յուր պատմությունը..., Յ. 218.

¹² Մանուկ Աբեղյանը, Երկրպատճեան, Տերեկի Պ. . . . , 83. 515.

¹³ Պատմարինե անանուն զբուցազրի Կարձեցեալ Շապուհ Բագրատունի 23. 189.

¹⁴ У ш т р է ս ս ն ւ ն ի տ յ ե ց ի . Փամանակագրութիւն , Վաղարշապատ , 1898 , զ . 356 ; История анонимного повествователя... զ . 28—30.

15 Հ. Հայոց նախարար Շահերը նոր քառեր Շապուհ Բագրատունու պատմության մեջ, բառավանք, 1922:

¹⁶ Պատմվածքի հայության բազումատությունը.... Յ. Հ. Խաչատրյան, 1922.



შორდება ისტორიულ სინამდვილეს და მხატვრულ სახეს ღეგულობს. ასე მომავალი გალითად, მუპარების სომხეთში მოსკლისა და საერთოდ არაბ ხალიფთა შორივწების ამგები, რომლებიც დაწერილებითაა ასახული VIII საუკუნის სომები ისტორიკოსის ღეგულიდის „ხალიფთა ისტორიაში“, თავისებურადაა გადმოცემული ანონიმის თხზულებაში. იგივე შეიძლება ითქვას VIII საუკუნის ვასპურაჟანელი მთავრის ტაქატ ანძევაცის თავგადასავლის შესახებაც¹⁷. ხოლო რაც შეეხება თეოდოროს რშტუნისა და მისი ვაჟის ბარდას თავგადასავალს, იგი ანონიმის „ისტორია“-ში ნოველის სახით არის წარმოდგენილი და მეტ-ნაკლები სისტემულით ძირითადად VII საუკუნის სომხები ისტორიკოსის სებეოსის „ჰერაკლე კეისრის ისტორია“-სა და ღეგულიდის ნაშრომს ემყარება¹⁸.

ანონიმის „ისტორიის“ ტექსტის შესწავლამ ნათელყო, რომ ისტორიკოსს ითანე დრასხანაკერტების „სომხეთის ისტორიის“ ზოვიერთო ცნობაც გაუთვალისწინებია და ისტორიული მასალის საფუძველზე შეუთხმავს ნოველა, მაგალითად, სუმბატისა და თეოდორის ბრძოლის შესახებ. IX საუკუნის მიწურულში მართლაც ჰქონდა ადგილი ბრძოლას სუმბატ I-სა და ეგრისის მეფეს კონსტანტინეს შორის, რაც გაღმოცემული აქვს ითანე დრასხანაკერტების¹⁹. უფრო დაწერილებით ამ ფუტრის შესახებ ქვევით მივუთითებთ. ამ შემთხვევაში „ისტორიის“ ავტორს ერთმანეთში აქვს არეული IX საუკუნის მიწურულისა და X საუკუნის მიწურულის ამგები.

ანონიმი ისტორიკოსის თხზულების წყაროთა შესწავლისას გაირკვა, რომ ის ყველაზე მეტი საერთო თომა არწრუნისა და ანონიმი არწრუნის ნაშრომებთან მოეპოვება იმ განსხვავებით, რომ მათში დაცული რეალური ფაქტები „ისტორია“-ში ნოველების სახითაა გაღმოცემული და ხშირად შეცდომებით²⁰. ამის ნათელსაყოფად მოვიტან შემდეგ მაგალითს; თომა არწრუნი კონკრეტულად ასე გაღმოგვცემს გრიგორ დერენიის არაბთა ტყვეობიდან დაბჩუნების ფაქტს: „ხალიფამ შემოსა აშოტი და გრიგორი ტანსაცმლით, მიაგო ვატივი სამეფო ლირსებისამებრ, წელს შემოარტყა სარტყელი ხმლით, ძეირფასი ქვებით შემცული, მისცა საუკეთესო ცხენი, მორთულ-მოკაზმული, გამოიყანა ისინი სასახლიდან დიდებითა და დიდი პატივით, სიმღერებითა და საყვირთა ხმებით. ხმამალლ აუწყეს ყველას, რომ ვასპურაჟანი ქვეყნის გამგებლობის უფლება [ხალიფა] მისცა აშოტსა და მის შვილს გრიგორს და სამეფო ბრძანებით მეფე აგზავნის გრიგორ აშოტის ძეს თავის ქვეყანაში, რათა განაგოს იგი მამის ნაცვლად“²¹.

ანონიმი ისტორიკოსის თხზულებაში კი იგივე ფაქტი შემდეგნაირად აისახა: „აშოტმა ისე მოიმოქმედა, როგორც ამირამ უთხრა... აშოტი დიდი გამარჯვებით დაბრუნდა ქალაქში. ბრძანა ამირამ მისი მალლა აყვანა და გარს შემოვ-

¹⁷ შდრ. Պատմութիւն կ Գեւոնդեայ մեծի վարդապետի Հայոց, Ա. Պիտիրուրգ, 1887, 158—161 და Պատմութիւն ա հ ա ն ո ն ի գ ր ո ւ ց ա գ ր ի..., გვ. 133, 145.

¹⁸ შდრ. Ա հ է կ ո ս ի ե ս ի ս կ ո պ ո ս ի, Պատմութիւն. Երեխան, 1939, გვ. 98, 101, 104, 105, 110, 113, 116, 118—122, 139—154. Պատմութիւն կ ե ս ի ն ի ե ս ի..., გვ. 7—9, 11—13, 23 და Պատմութիւն ա ն ա ն ա ն ე գ ր ի..., გვ. 92—96.

¹⁹ შდრ. ი თ ა ნ ე დ ჩ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, „სომხეთის ისტორია“..., გვ. 109—111 და Պատმութիւն ա հ ա ն ո ն ի գ ր ո ւ ց ա գ ր ի..., გვ. 187—193.

²⁰ Պատմութիւն Թովմանի Արձրունეუ, Վիեნնա, 1832, გვ. 227—240, 315—325.

²¹ Պատմութիւն Թովմանի Արձրოւნეუ, ..., გვ. 315; აღნ შენულ წყაროთა ურთიერთდამოკიდებულებაზე მითითებული აქვს მ. დაბრინიანს. იხ. მისი ნაშრომი, გვ. 32—34.



ლა, მისთვის დიდძალი განძისა და საჩუქრების მიზონებია. ამირამ უთხრა აშენებული მთავარს: „შენ მამაცი კაცი ხარ და სამაგირო გადამისადე უსაზღვრო სიკეთით და იმ ბოროტებისათვის, რაც მე მოვაყენე, შენ საფრთხეში ჩაგდე შენი თავი და გაანთავისუფლე ჩემი ქვეყანა და ქალაქი. მე მსურს, რომ დარჩე ჩემთან პატივისცემაში, ხოლო შენ შვილს დერენს გავუშვებ შენს ქვეყანაში და დიდძალ განძეულობას მივცემ. შენ აქ დარჩი, რადგანაც ვიცი, რომ მტრები კელავ დაბრუნდებიან, მაგრამ თუ დამყარდება შშვილობა, მე გაგიშვებ შენ“. აშორტ მთავარმა უთხრა ამირას: „მოილე მოწყალება და გამიშვი მე; როგორც კი მოვა შენი ბრძანება, მე მოვალ და მოკვდები შენს წინაშე“. ამირამ უპასუხა: „მე არ მინდა შენი გაშვება, რადგანაც ვიცი, რომ რომელილაც შემდეგ წელს ისინი კვლავ მოვლენ უმიზეზოდ. ყური მიგდე, რადგანაც მე პატივს გცემ შენ ჩემი მამის გამო“.

შემდეგ მოუხმო მან დერენს, მისცა მას დიდძალი განძი, მრავალრიცხოვანი ჯარი და გაისტუმრა იგი. მოვიდა დერენი ვასპურაჟანში და შეუდგა ქვეყნის კეთილმოწყობას²².

თქმა იმისა, რომ ანონიმი ისტორიკოსი უშუალოდ სარგებლობდა თომა არწერუნისა და ანონიმი არწერუნის თხზულებით, არ შეიძლება, რადგანაც შესაძლებელია, ისინი რომელიმე მესამე საერთო წყაროს იყენებდნენ. ეს საერთო წყარო შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა გადმოცემით არწერუნთა საგვარეულოს შესახებ.

ანონიმი ისტორიკოსისა და უფრო გვიანდელი ხანის ისტორიკოსთა ნაშრომებშიც შეიმჩნევა ფაქტებისა და მოვლენების დამთხვევა. მაგალითად, თითქმის ერთი და იმავე მასალას ეყრდნობა ანონიმისა და XIII საუკუნის სომები ისტორიკოსის კირკოს განძაცეციის ცნობები მავრიკე კეისრის შესახებ. ანონიმი ისტორიკოსის გადმოცემით, „როდესაც მავრიკე გამეფდა კონსტანტინოპოლში, ერთი კაცი გაგზავნა თვეის ქვეყანაში, სომხეთში, ქალაქ ანისში. მოვიდა რომაელი და ინახულა მავრიკეს მამა, დავითი. რომელმაც მოიხმო იგი თავისთან და უთხრა: „შენ გიბძობს შენი შეიღო მავრიკე, რადგანაც იგი გამეფდა რომაელებზე“. ეს რომ მავრიკეს მამამ დავითმა მოისმინა, გადაიხარხარ და თქვა: „არ შეიძლია მე იქ მისვლა. მე ჩემს პატარა ბალს ვამჯობინებ ჰორმოთა სამეფოს, რადგანაც ვინ მისცემს ნებას იმეტოს უცხო კაცია?“

მან საჭმელი დაუდვა მას წინ, თვითონ კი შევიდა თვეის ბაღში და დაიწყო დიდი ბოსტნეულის ამოთხრა ძირიანად, ხოლო მათ აღვილას წერილების ჩარგვა. ეს რომ რომაელმა დაინახა, ჰკითხა, „რას აკეთებ?“ მან კი უპასუხა: „ასეა საჭირო“.

უკან დაბრუნებისას კაცი მოვიდა მეფე მავრიკესთან, მისი მამის გარეშე. მან უამბო მავრიკეს ასასც მამამისი აკეთებდა. შემდეგ მეფე მავრიკე მოისაზრა და თავისთვის თქვა: „ამით მე რჩევას მაძლევს ჩემს დიდებულებთან დაკავშირებით“. მან შეიბყრო ბერძენთა ქვეყნის ყველა დიდებული, ზოგა ზღვაში დაახრჩო, სხვები გააძევა, დაბალ ხალხს უბოძა პატრიკიოსობა, სტრატეგოსობა და შექმნა ჯარი რამიკთა და სარდლებისაგან. ამით ფრიად გაძლიერდა მისი სამეფო²³. იგივე ამბავს კირკოს განძაცეციი ასე გადმოგვცემს: „ამბობენ, თითქოს მან კაცები გაგზავნა თვეის მამასთან თხოვნით დაეტოვებინა განდეგილობა და წასულიყო მასთან მისი დიდებით დასატებობად, ხოლო თუ არ მო-

²² Պատմութիւն անանոն գրացագրի..., გვ. 149—151.

²³ Պատմութիւն անանոն գրացագրի..., გვ. 47—49.



ისურვებდა, მიეცა რჩევა-დარიგება, რომლითაც იხელმძღვანელებდა მეფობების განვითარებას. მსახურები გაემგზავრნენ და იპოვეს მაგრიეს მამა ბოსტანში მომუშავე. მათ მას გადასცეს მეფის ბრძანება, მამამ კი უპასუხა: „მე არ ვიწნები მეფის მამა“. თვითონ კი დაწყო ბოსტანში მიწიდან კომბოსტოს დიდი თავების ამოქრა, ამ თავების მოჭრა და მიწით დაფარვა, ხოლო პატარების მოვლა და მოწევისრიგება. მსახურებანა ეს რომ დაინახეს, იგი ბეჩავად მიიჩნიეს, მიატოვეს და წავიდნენ. ისინი ვერ მიხვდნენ საქციოლს. მსახურები მივიდნენ მეფესთან, უაბებს მას მაშამისის მიერ ბოსტანში ჩადენილი სისულელე. მავრიკე მოისმინა რა ყოველივე, გაიცინა და არაფერი არ უთხრა მათ. მეფე შეიპყრი ის დიდებული, რომლებიც მისი ფიქრით, მავრიკე მეფობის წინაღმდეგი იყვნენ, ამოწყვიტა ისინი, რომ რამე ბოროტება არ ჩაედინათ მის სამეფოში. მათ აჟგილას კი დანიშნა მცირენი. შემდეგ მან მოიხმო ის კაცები, რომლებც თავის მამასთან გაზავნა და უთხრა: „ასეთია ის რჩევა, რომელიც მამა მომცა თავისი მოქმედებით ბოსტანში, თქვენ კი ეს ვერ გაიგეთ“²⁴.

შესაძლებელია ანონიმი ისტორიკოსი და კირაკოს განძაკეცი ზემოაღნიშნულ ფაქტების გადმოცემისას რომელილაც მესამე საერთო წყაროთი სარგებლობრივნ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ კირაკოს განძაკეცი ანონიმის ნაშრომით ისარგებლა, მაგრამ იგივე ამბები უფრო განავრცო. ანალოგიური ვითარება ანონიმი ისტორიკოსის სხვა წყაროებთან მიმართებაშიც შეიძინება. მაგალითად, გადმოცემა სარგის ნეტორიანელის მუჰამედთან შეხვედრისა და მის მიერ მუჰამედის წინასწარმეტყველად აღიარების შესახებ გრძადა ანონიმის „ისტორიისა“, ვარდან დიდის, მხითარ ანეცისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებებშია შემონახული.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანონიმი ისტორიკოსის ნაშრომს ახასიათებს ფაქტებისა და მოვლენების უზუსტობათა, ანაქრონიზმებისა და შეცდომების სიყრაბე. რა თქმა უნდა, უველას აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ ნაწილს შევეხებით.

ანაქრონიზმებისა და უზუსტობათა შემთხვევები თანაბრად იჩენს თავს „ისტორიის“ როგორც I, ასევე II ნაწილში. აგრორი ქალაქ ბალდადის აშენებას მიაწერს მუჰამედს და წერს: „შეიქრიბნენ მუჰამედი და ალი, თან წაიყვანეს ფატიმა, წარვიდნენ და დაქვეიდრნენ ბაბილონელთა ქვეყანაში. ეს მოხდა სომეგთა წელთაღრისტების ცოდამეთუექსმეტე წლის დასწყისში. და დიწყო მუჰამედმა დიდი ქალაქის ბალდადის შენება მდინარე ევფრატის სანაპიროზე“²⁵. სინამდვილეში კი ბალდადი ააშენა ხალიფა მანსურმა (754—775 წწ.) 762—766 წლებში. ანონიმი ისტორიკოსი მავრიკეს ცოლად ასახელებს სპარსა მეფის ხესროს დას ზაქრანს. ეს კი შეცდომაა, რადგანაც მავრიკე დაქროწინებული იყო ტიბერიუს II (578—582 წწ.) ქალიშვილზე. ასევე სინამდვილეს არ შეეფერება ანონიმის ცნობა იმის შესახებ, რომ მავრიკე კეისარი წარმოშობით სომები იყო. ცნობილი ფაქტია, რომ მავრიკე დაიბადა კაპადოკიაში და იყო რომაელი. სპარსთა შეფერების გამასპი გამეფდა 496 წელს, ასე რომ „ისტორია“-ში მუჰამედთან ერთად მისი მოხსენიება ანაქრონიზმია. მუჰამედი, როგორც ცნობილია, დაიბადა დაახლოებით 570 წელს ქალაქ მექაში.

²⁴ Կ ի ր ա կ ո ս Գ ա ն ձ ա կ ե ց հ. Պատմისეրიის Հայոց Աշխատასիրությամբ Կ. Ա. Մելիք-Ծիանշանյանի, Երևան, 1961, გვ. 46—50.

²⁵ Պատմութիւն անանուն գրուցաքիտ., գვ. 47.



VIII საუკუნის ვასტერაյანელი მთავარი ტაქტი ანძევაცი ანონიმ ისტორიუმის რეკონსტრუქციის შედეგობით IX საუკუნის მეორე ნახევრის მოლგაშედ ჰყავს გავრცელებული და მისი მამის აშორის მმებთან ერთად მოვითხრობს.

ანალიზის შედების, შეცდომებისა და ანაქრონიზმების შემცველი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

უზუსტობებისა და ანაქრონიზმებისაგან არც ის ცნობებია დაზღვული, ასმომდებიც საქართველოსა და ქართველებს შეიხება.

მართალია ანონიმი ისტორიკოსისათვის საქართველოს შესახებ ცნობების გადამცემა არსებითი არ ყოფილა, მაგრამ მის სომხეთის თავგადასავლის პარალელურად, მასთან უშუალო კავშირში საქართველოს ისტორიის მასალებიც შემოუნახავა. ანონიმის ცნობები მცირერიცხოვნია და, სამწუხაოდ, ეს მცირედიც ბევრ შეცდომასა და უზუსტობას შეიცავს. ცნობები აღრეული პერიოდის ისტორიისაც შეეხება (მავრიკ და პერაკლე კეისართა სომხეთს, ალბანეთსა და საქართველოსკენ გამოლაშერება), მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი IX—X საუკუნეების ხანის ამბებს გაუმოგეცემს.

როგორც ცნობილია, IX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველო ახალი სამეფო-სამთავროებით მოიფინა (აფხაზეთის სამეფო, კახეთის, ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის სამთავროები). ქართული და სომხური წყაროების თანახმად, აღნიშვნულ პერიოდში სომხეთშიც, საქართველოს მსგავსდ, რამდენიმე სამთავრო არსებობდა (შირაკის ანუ ბაგრატუნიანთა სამთავრო, ვასპურავანის, ანუ არწრუნთა სამთავრო და სიօნიეთის სამთავრო). სომები მეფე-მთავრები ცდილობდნენ თავისი უფლებები გაევრცელებინათ ქართლზე, ვინაიდან კარგად ესმოდათ ქართლზე გაბატონების მნიშვნელობა. ქართველ და სომებს მეფე-მთავრებს ერთმანეთინან ბრძოლის გარდა ატრაპატავანის საამიროს გამგებელთა წინააღმდეგაც უსდებოდათ ბრძოლა. არაპი ისტიყანები ხშირად მოხერხებულად ერეოდნენ ქართველ და სომებს მეფე-მთავართა ურთიერთობაში და სერიოზული განხეთქილებაც კი შეპონდათ ცალკეულ დაგვაფეხებში. აკად. ნ. ბერიძენიშვილის მითითებით: „თუ ერთი ვინმე შეორეს შეველის მესამის წინააღმდეგ, ეს იმ მიზნით, რომ უფრო საშიში მოქიშევ თავიდან მოიცილოს, რათა შემდევ დღევანდველი მოქაშირე თვითონ გადაყლაპოს. მათ ამბებს არ ინდობს, შეიღები — მამას. ცველის უკავშირდებიან და ერთგულობენ, ან მტრობენ და ებრძვიან კეისარს, ხალიფას, ამირას, მეფებს და მთავრებს, შორეულს თუ ახლობელს, ოღონდ თავიანთ მიზანს მიაწიონ, გაძლიერდნენ, მომმენტობელი დაიყრონ, თავის ქვეყნის სხვისი ქვეყანა შეუერთონ“²⁶.

ზემოთ აღნიშნული მტიმე პოლიტიკური ვათარება გავერთ არის მოხსენიებული „მატიანე ქართლისა“-ში. იგი გვაწვდის ერთ მცირე ცნობას კონსტანტინე აფხაზთა მეფისა და სომებთა მეფის სუმბატ აშორის ძის ურთიერთობის შესახებ: „მას უამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა შეფე, დაიმყრა ქართლი, და ემტერა სომებთა მეფე სუმბატ ტივიზერაკალი; გამოილაშერა სპითა დიდითა და მოადგა უფლისციხესა და ამოილეს პალან-კურდანი. აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე კერქითა. ხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კონსტანტი და უკუმისცა უფლისციხე და ყოველი ქართლი...“²⁷. კონსტანტინე

²⁶ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 130.

²⁷ მატიანე ქართლისა, ქართლის ცენორება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 262.



ეგრისის მეფისა და სუმბატ სომეხთა მეფის ურთიერთობის ამბები უფრო განვითარება
ვრცლად და სანდოდ აქვს გადმოცემული იოანე დრასხანაკერტეცის²⁸.

როგორც იჩვევეთ, ანონიმ ისტორიკოსს საქართველოში ბუნდოენად რაღაც
სცოდნია ზემოთ აღწერილი ბრძოლის შესახებ და თავის თხზულებაში შეც-
დომით გადმოცემია იგი. მას სინამდვილეში სურდა აღწერა ბრძოლა, რომელ-
საც პეტრი აღგილი X საუკუნის დამლევს სუმბატ II სომეხთა მეფისა და
აფხაზთა მეფის თეოდოსე III შორის. ანონიმის მიერ გადმოცემულ მასალებ-
ში ერთმანეთშია არეული IX საუკუნისა და X საუკუნის ამბები. თანაც თე-
ოდოსი III-ს იგი დატოსს უწოდებს, ხოლო სუმბატ შორის ტეს — სომეხთა
და ქართველთა მეფეს.

IX—X საუკუნეების ამბების სანდო აღმწერი, სომეხი ისტორიკოსი
იოანე დრასხანაკერტეცი, რომელიც ბაგრატუნიანთა დინასტიის ისტორიკოსი
იყო, აგრეთვე ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა აღარნასე ქართველთა
მეფესთან, არც ერთხელ სუმბატ მეფეს სომეხ და ქართველთა მეფედ არ იხ-
სენიდს. მის თხზულებაში IX—X საუკუნეთა მიწაზე ქართველთა მეფედ მხო-
ლიდ აღარნასე კურაპალატია მოხსენებული. „იმდროინდელი დევნის გამო, —
წერს იოანე დრასხანაკერტეცი, — როგორც მწრი, გუგარელთა და ქართ-
ველთა შორის ვიყოფებოდი დიდად ბრძენ აღარნასესთან, რომელიც მეფედ
იყო იმ მხარეში“, ან „იქ აშორ მეფემ თან წიაყვანა ქართველთა მეფე აღარ-
ნასე“, ან „ეს რომ შეიტყო ყოვლად ძლიერმა და დიდად ჰქვიანმა ქართველ-
თა მეფემ აღარნასემ, მიატოვა თავისი დისწულის გურენის საქმები“²⁹.

მიუხედავად მთელი რიგი უზუსტობებისა და შეცდომებისა, მანც სა-
კიროდ მიეკინეთ ამოგვერბია ანონიმის „ისტორიკიან“ ცნობები საქართ-
ველოს შესახებ და მოვლენა მათი ქართული თარგმანი.

ქართული თარგმანი შესრულებულია ანონიმი ისტორიკოსის „ისტორიის“
სომხური ტექსტიდან, რომელიც რუსულ თარგმანთან ერთად წინასიტყვაო-
ბით, კოშენტარებითა და საძიებლებით გამოქვეყნდა 1971 წ. ერევანში.

ანონიმი ისტორიკოსის ცონგამბი საკართველოს უსახიზ

(ქართული თარგმანი)

დაეუფლა რა პორომთა მთელ ქვეყანას, მავრიკე გაემართა სამხრეთ მხა-
რებისაკენ. დაიპყრო ევვიპტე, შემდევ მოვიდა იერუსალიმში, გარს შემოარ-
ტყა მას ზღუდე, განაახლა და შემოზღუდა კლეისიები, რომლებიც ააოხრა
პორომთა უზულო კეისირმა ვალენტინი. მან ხელი აღმოსავლეთისაკვნაც აღ-
მართა, დაიპყრო სომეხთა, აღბანელთა და აფხაზთა ქვეყნები. ასე ძალით იგი
გაბატონდა აღმოსავლეთში, დასავლეთსა და სამხრეთში.

მავრიკე კეისიარმა აღმოსავლეთში გამეგბლად დაყენა ვინმე მახაზი სო-
მეხთა ქვეყნილან, კაცი ბოროტი და უსამართლო. მან ააშენა ციხე-სიმაგრე
მდინარე ახურიანის ნაბირას და უწოდა მას მახაზაბერდი. მავრიკემ საერთოდ
მთელ თავის ქვეყანაში მშვიდობა დამზადა ისე, რომ სხვები არაკად ამბობ-
დნენ: „თითქოს მავრიკეს დროა, ისე ზის უზრუნველადო“.

28 ი. იოანე დრასხანაკერტეცი სომხეთის ისტორია..., გვ. 109—112.

29 იქვე, გვ. 188, 241, 242.

იგი ჰორომთა სამეცნოს განგებდა 26 წელი. მან ხარჯი შეტყრა სპასადაც მეფეს ხსნდომის, მისი და ცოლად შეირთო და კონსტანტინოპოლში მოიყვანა. შეეძინა მას სამი ვაჟი და ერთი ქალი.

ხოსრომ მახვილს მისცა ჰერაკლეს ქვეყანა და დატბალი ტუვე წასხა
სპარსთა ქვეყანაში. მეორე წელს იგი კვლავ დაბრუნდა, ასევე მოიმოქმედა
ძერძენთა ქვეყანაში და დაბრუნდა უკან. 6 წლის შემდეგ იგი კვლავ მოვიდა,
იგივე გაიმორა და ძერძენთა ქვეყანა აქცია უდაბნოდ აღმართებისა და პირ-
უტევთა გარეშე, რადგანაც საზრდო ვეღარ იმოვეს ვერც აღმართებმა და-
ვირც პირუტყვაბმა...

...მაშინ ბერძნთა მეფეებ ჰერაკლეტ გააერთიანა ფრანგთა უცელა ქვეყანა, ბერძნთა ქვეყანა, დიდი სომხეთი, აფხაზეთი, გეზი აიღო აღმოსავლეთისაკენ, მოვიდა და მოაღწია თეოდისიოპოლამდე, ანუ კარნუ ქალაქიამდე. მან იხილა ქალაქი საფუძვლივ დანგრეული და მოისურვა მისი აშენება. იგი ჩაიფიქრებული იყო ქრისტეს ჯვრის გამო და ორ იცოდა, სად უპოვა იგი. მასთან მივიდა ერთი ნახარარი, სახელად კრისტინინე და უთხრა: „მეფეო, თუ გსურს, მე, მცოდნე, ვიპოვი ქრისტეს ჯვარს“, ხოლო მეფე ჰერაკლეტ უპასუხა: „თუ შეგიძლია, შეეცავ იმის გაყენება, რახაც ამბობ“. და ის, შეკაზმა კაცია ჯორები, დატვირთა ისინი დიდალი განძითა და ძვირფასი ტანსაცმლით, გაემგზავრა და მიაღწია სპარსთა ქვეყანას, ქალაქ განძაკ შაპასტანს, რომელსაც ოქროს ქალაქს უწოდებდნენ და რომელიც არის თავრიზი. შეიტყვეს ამის შესახებ ქალაქის მცხოვრებლებმ და თქვეს: „ეს დღე სასარგებლო ჩეკნოვის, რადგანაც უცელაფერი, რაც კი სურდა ჩეკნ გულსა და თვალებს, ამ რომაელ კავართან აღმოჩნდა“. შეიტყო ეს ამბავი მეფე ხოსრომაც, მოიხმო თავისთან ვაჭარი და შეეკითხა: „რომელ ქვეყნიდან ხარ?“. მან კი უპასუხა: „ბერძნთა ქვეყნიდან“. შეფერმ ჰკითხა: „გაქვს შენ შესაფერისი საქონელი?“ მან უპასუხა: „დიალ, მეფეო, ფრიად შესაფერისიც. მაქვს მე დიდებული ტანსაცმელი, ოქროს კურტელი და ძვირფასი თვლები“. ვაჭარმა მოიტანა მთელი საქონელი და დააწყო მეფის წინ. მეფეს ძალიან მოწერნა უცელაფერი. ზოგი რამ მეფემ შეიძინა ტანსაცმლიდან, ოქროს კურტელიდან და ძვირფას თვლებიდან და გადაიხადა ფასი, როგორც ვაჭარს სურდა.

ვაჭრის მშპავი მთელ ქალქებს მოედო, ყველა დიდი ხალისით მოღიოდა ვაჭართან, ხოლო იგი ყოველნაირად ცდილობდა ეპოვა ქრისტეს წმინდა ჯვრის ადგილი, რადგანაც მისი სპარსეთში მოსვლის მიზეზი ჯვრის აღვილ-სასუკოფლის გაეგძა იყო. ხოსრო მეფის სამეფო კარზე იყო ერთი სპარსი კაცი, რომელიც მეგობარი იყო მეფისა. იგი მოვიდა რომაელ ვაჭართან და შეისყიდა მისგან მღიძრული ტანსაცმელი, ძვირფასი ქვები და ოქროს ჭურჭელი. ვაჭარმა შეიცნო ამ კაცის სიკეთე, გახდა მისი საყვარელი მეგობარი და აჩექა მას ოქროქსოვეილი ტანსაცმელი, ოქროს ჭურჭელი და ძვირფასი ქვები. სათონ შეიქნებ ისინი ერთმანეთისათვის. ეს სახელოვანი კაცი დარიოდა რომაელ ვაჭართან, ერთ დღეს მან უთხრა მას: „დიდი ხანია მე დაედინარ



შენთან, ერთხელ მოდი ჩემთან სახლში, რომ მეც გადაგიხადო სამაგიერო კულტურული მუზეუმი „სამოვნებით მოვალ“ — უპასუხა გაქარმა.

და, აი, ერთ დღეს მან თავისი მსახურები გაგზავნა ვაჭრის თავის სახლში მისაპატიუებლად. იგი მოვიდა. მოამზადა მან დიდებული მასპინძლობა მრავალფეროვანი საჭმელებით. ვაჭარმა მოკბიჩა მხოლოდ პური. სპარსმა ჰყითხა მას: „რატომ არ ჭია?“, მან კი უპასუხა: „უკვე მესამე წელია მე პირზე არ ვიღებ არც ხორცს, არც სხვა რაიმე სასიამოვნო საჭმელს“. სპარსმა კვლავ ჰყითხა: „რატომ? რა მიზეზით არ ჭია?“ რომაელმა ვაჭარმა უპასუხა: „რაღანაც მე აღთქმა მივეცი, რომ ვიდრე თავყანს არ ვცემ წმინდა ქელს, რომელიც ქალაქ იერუსალიმიდა წაიღეს და მიიტაცეს სპარსთა ჯარებმა, არ შევჭამ ხორცს ან სხვა სასიამოვნო საჭმელს. ყური მიგდე, რასაც გეტივი შენ. იქნებ შესძლო შენთან მოიტან ჯვრის ძელი“. სპარსმა კი უპასუხა: „არავის არ შეუძლია მივიდეს იმ ადგილას, საღაც თქვენი ჯვრის ძელია, რაღანაც ის ადგილი ჩვენი მეფის ხოსროს საწოლი დარბაზია. თუ შენ გსურს მე მიგიყვან იმ სახლთან, სადაც ჯვრის ნიშანია“. ვაჭარმა მაღლობა გადაუხადა მას.

ადგნენ ისინი და მოვიდნენ სპარსთა მეფის სასახლესთან. აჩვენა რა სახლი, სპარსმა უთხრა ვაჭრს: „აქ არის თქვენი ჯვრის ძელი“.

მან თავყანი სცა სახლს. ისინი წავიდნენ თავიანთ სახლებში და ვაჭარმა იჩქარა მის შესახებ შეეტყობინებინა ჰერაკლე მეფისათვის.

ჰერაკლე შეუფე დაბანებდა კარნუ ქალაქში და წამოიწყო ზღუდის მშენებლობა, რომელიც დაანგრია სპარსთა სარდალმა ხორიანმა.

მოვიდა მეფე ჰერაკლეს მიერ გამოგზავნილი ვაჭარი: მან შეკრიბა სომებთა, ქართველთა, ალბანელთა, შუამდინარეთის ხალხთა, ბერძენთა და ფრანგთა ჯარები და გაემართა ვასპურაკანის ქვეყანაში...

...გარდაიცვალა აშოტ ბაგრატუნი და სომებთა სახლზე გამეფდა აშოტის შეილი, სუმბატი. იგი იყო ამაყი, მებრძოლი და ბრძენი კაცი. იგი ხელშეწყობილი იყო თავისი მეფობის მთელ გზაზე. ჰორომთა მეფემ რომანოსმა იგი მეფედ აუტრიხა და ფრიად შეიყვარა. სუმბატი დაეპატრინა მთელ სომხეთს, დაიბყრო იგი, ქართველთა ქვეყანა და ალბანეთი, ქართველთა ველი, ფარისუნქი, ალორნისი, არევიქი, ბალქი და ბართავის დაბა-ქალაქი. მან დამორჩილა ფაიტა-არანი, რომელიც არის ტფილისი, ვალარშაპატი, დვინი, ვაიოცირი და ნახიჩევანი. იძღვის მან აგრეთვე ერნგაეს ციხე-სიმაგრე, ალაშეკრი, ვალარშავანი, რომელიც არის ბასანი, აპუნიქი, ჰარქი, ტარნი. მან ააშენა ხლაოსს ციხე-სიმაგრე, გააშენა მთელი ვაკარი და დაუუფლა აჩბერანის ქვეყანას.

ერთ ტაჭიქს, სახელად აპუნეჭს, მან მისცა ბერქის ციხე-სიმაგრე. ქალაქი არჭეში გადასცა მეორე ტაჭიქს, რომელიც მოვიდა სუმბატ მეფესთან ქალაქ დარუბანდიდან. წალკოტის გავარი მან ერთ ტაჭიქს მისცა, სახელად რაჭს. იგი გაყოყოჩდა და თავის თავს „თვითმპურობელ სუმბატს“ უწოდებდა.

მაშინ მისმა დამ ჰერანუშმა თავის ძმას სუმბატს გაუგზავნა წერილი: „მე მიმატოვა ჩემმა ქმარმა დერენიმ და შეიყვარა ვიღაც უცხოტომის ქალი ჰერაში, აპუმსირის ქალიშვილი და იმდენად გათავხედდა და გამძიფრდა უცხოტომის ქალის გამო, რომ მიდის, ნახევრ წელს იქ ატარებს, მიაქვს ვასპურა-ჯენის სახლის მთელი ქონება, ამარაგებს მათ საჭმლით, მიაქვს უცხოტომის ქალთან ტანსაცმელი, განძეულობა, ცხენები, ჯორები და ისე უსირცხვილოდ უყვარს იგი, რომ საკუთარ შვილებსაც არაფრად არ აღდებს. ო, შენ, ჩემ



თვითმმკურობელო ძმაო, რომლის წინაშე ცახცახებენ უველა მეფე, მთავრულობის და ქვეყნის დიდებულები, ნუ დართავ წერა, რომ მე არაფრად ჩამაგდონ, არადგანაც მე შენი და ვარ და სხვა დამცელი არავინ არ მყავს“.

როდესაც ეს ამბავი შეიტყო სუმბატ მეფემ, ფრიად დამწუხრდა და წერილი მისწერა დერენს: „რატომ ჩადიხარ შენთვის ასეთ შეუფერებელ უპატიონსნებას. ჩემს დას, პრანუშს, წესიერსა და ლიმაზს, რომლის დარი სილამაზით არავინაა ქალთა შორის, სტროებ და მიღიხარ უცხოტომის ქალთან, ლერთის არ გვშინა? თუკი სიძვის გამო გინდა სხვა ქალები, ქალები ბევრია ვასპურაკანზეც. შევიტყვე, რომ შენ შეურაცხავი შენი აზატების ცოლები. გეშინადეს ლეთისა! შენთვის სასიერო არ არის ეს ამბავი, რომელშაც ჩემამდე მოაღწია“.

მოისმინა რა დერენიმ სუმბატის წერილი, მოციქულის საშუალებით შეუთვალა „შენ ფრიად გაყოყოჩდი იმ დიდების გამო, რომელიც წილად გხვდა. ვინ ხაჩ შენ, რომ ეს მითხრა მე! მე ჩემი სახლისა და სურვილების გამგებელი ვარ. ვინც მიყვარს, ის მომყავს. თუ შენ ეს არ მოგწონს, გამოგზავნე კაცი და წაიყვანე შენი და, თუ არა და მე თვითონ გამოგზავნი მას შენ“.

როდესაც ეს მოისმინა სტერეთა შეფეხ სუმბატმა, ბრძანა წერილი მიეწერათ ჰერაში აპუმისირის ვაეებთან. ისინი ოთხი ძმანი იყვნენ და ბრძანა ასე მიცწერათ მათთვის: „სუმბატისაგან, ქართველთა და სომეხთა მეფისაგან, თვითმმკურობელისაგან, აპუმისირის ვაეებს, რომლებიც ახლა ფლობენ ზარევანდის გაერს, დაბა-ქალაქ ჰერას, სპარსეთის საზღვრებთან. მე შევიტყვე, რომ ჩემს სიძეს დერენის უყვარს თქვენი და ქულინარი. არ გრცხვენიათ თქვენ, რომ ამას აქეს აღგილი? თქვენ ჭორების საგანი ხართ ყველა მოჩწმუნეთავის. თუ კი თქვენი და აღმოჩნდა მის ტყვეობაში, თქვენ გმართებდათ ხმა მიგვწვდინათ ხორასნისა და ჩემიძე და გეხსნათ თქვენი და ტყვეობიდან“.

მათ პასუხად შემდეგი მისწერეს სუმბატს „ო, მეფეთა მეფეო! ვცახცახებთ შიშით შენს წინაშე და ვერ გედავთ დერენის შეპყრობას, რადგანაც ვიცით, რომ იყი შენი სიძეა. და თუკი შენ არ განრისხდები ჩევნზე, ჩენ ავუკრძალავთ მას ჩევნთან მოსვლას. ჩენ მისი უღირსი საქმეების მონაწილენი არ ვიჩით“.

როდესაც სუმბატ მეფემ მოისმინა მათი წერილი, ბრძანა ასე მიეწერათ მათთვის: „სუმბატისაგან, ქართველთა და სომეხთა მეფისაგან, მრავალ გვართა მპყრობელისაგან აპუმისირის შვილებს ალისა და მაპმედს. მოვისმინე თქვენ წერილი, რომელშიც წერილ, რომ გეშინიათ ჩემი და ვერ გედავთ ბოროტება მიაყენოთ დერენს, ვასპურაკანის მთავარს. ვფრიცვ ლმერთს, რომელსაც თაყვანს ვცემ, ნუ გეშინიათ ჩემი. ჟერ გაუგზავნეთ მას წერილი და შეუთვალეთ „ნუღარ მოხვალ ჩევნთან“, ხოლო თუკი კვლავ მოვა, ჩაუსაფრდით და როცა მოვა, მოჰკალით და მისი სისხლისათვის პასუხს არ აგებთ. თუკი არ შეასრულებთ ჩემს ბრძანებას, ლმერთია მოწმე, რომ საფუძვლითურთ დავანგრევ ჰერას, თქვენ კი მახვილს მიგცემთ“...

იყო ერთი ტაჭირი, სახელად ჰაბიბი. დაიპყრო მან მოსული და გადაწყვიტა შებმოდა სომეხთა მეფეს სუმბატს, რადგანაც სუმბატმა დაიპყრო ხლათის ქვეყანა, მან იქ გააშენა ციხე-სიმაგრე და განიზრახა მისწვდომოდა ასურელთა შეუძლინარეთს.

ხოლო მოსულის გამგებელმა ჰაბიბმა, სალქას ვაჟმა, მებრძოლმა კაცმა შეკრიბა ჭარი და მეფე სუმბატს ასეთი წერილი მისწერა: „მოსულის მეფის



ჰებიბისაგან, სალქას შვილისაგან, სომეხთა მთავრის აშოტის შვილს, სუმბატი კარელიანი შენ გაყადნიერდი და თვითონებურად დაიდგი გვირგვინი, რაღაცაც პპოვე ქვეყანა უპატრონოდ, შენ გაიმარჯვე, ძალით დაუფლე დასაცლეთის ყველა მიდამის, სანამ არ მიაღწიო მთავრ ქალაქებს ბარდაცს, ნახიჭევანს და დიდ დელქალაქს დვინს. მაგრამ ამითაც არ დაგმაყოფილდი, მავმართო ასურელთა მხარეს და დაიძყარი არქეში, არწყე და მანაზეურტი. უფრო მეტად გათავედდი და დაეპატრონე ხლათის გავარს. ახლა კი ხელი გამოაწვდინე შუამდინარეთისაენ, გაბილონელთა ქვეყნისაკენ. მე გავიზრახე გებრძოლო შენ, მე მოვალ და ხელთ ვიგდებ მთელ შენს ქონებას და შენ ქვეშევრდომ ქვეყანას. თუკი გაქვს შენი თავის იმედი, შეკრიბე შენი ჭარი და წამოდი ჩემს შესახვედრად“.

ეს რომ სუმბატ მეფემ მოისმინა, სომეხთა, ქართველთა, ალბანელთა და ტაოელთა ქვეყნებში დაგზავნა ბრძანება. ბრძანება მან გაუგზავნა ვასპურაკანის მთავარს აპუმურეანმა: „წამიიყვანე შენი ჭარი და წამოდიო“. ეს რომ აპუმურეანმა შეიტყო, გაბოროტდა, რაღაცაც იგი ვერაგი და მეამბოხე კაცი იყო. მან წერილი მისწერა მოსულის ამირას, რაღაცაც მეგობრობდა მასთან და მათ ერთმანეთთან ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ „თუ დაიწყება ომი სუმბატთან, მას კი არ დავეხმარები, არამედ შენ“-ო.

ჰებიბმა ასეთი წერილი გამოიუგზავნა მას: „თუკი შენი სიტყვები მართალია, ის დაღვა უმი, მოიცადე ერთი დღე, მე დავეწევი სუმბატს და შენ დაინახავ, რა დღეც დაადგება მის ჭარს“. მაშინ აპუმურეანმა დასდო ფიცი და გაგზავნა იგი წერილობით ჰებიბთან ერთი კაცს საშუალებით, რომელიც კოტენის შვილი იყო ზაბელეანთა სახლიდან და სახლად ერქვა ვასაკი.

სუმბატმა შეკრიბა დიდალი ჭარი, მოვიდა და შეჭრა ხლათის ქვეყანაში და დაბანაკედა მოსკის ველზე; იგი იქ დარჩა და დაელოდა მთავარ აპუმურეანს. მან კი დაიგვიანა, რაღაცაც ულალატა სუმბატს.

როდესაც ჰებიბმა შეიტყო სუმბატის განზრახვა და მურვანის იქ დარჩენა, შეარჩია თავის ჭარიდან 10000 მეშურდულე, მამაცი მებრძოლები, თვითონ კი მოცეკული გაუგზავნა სუმბატს და სთხოვა დაზავება: მან შემდეგი დაბაზრა შეირიცს: „უთხარი სუმბატს, მოგვცეს ხლათის ციხე და დავამყარებთ შევიღობს და შეიძყარი იგი“. წავიდა შეირიცი და შეიძყრო სუმბატი მუსკის ველზე. ღამით ჰებიბი გზას გაუდგა და თავს დაესხა სუმბატის ჭარებს. სომეხთა ჭარებმა მოულოდნელად შეა ღამით გაიგონეს უცხოტომის ხალხის შეძახილები, შეშინდნენ და უკუიქცენ. უცხოტომისანი ზურგს უკან შემოვლით იმ დღეს თავს დააცხრნენ სომეხთა ჭარებს ძლიერი დარტყმით და ხელთ იგდეს სომეხთა ჭარის მთელი ქონება.

აბუსეპის შვილი ბოროტი და გულექვა კაცი იყო. მან მიმართა სომეხთა ქვეყანას, მოისურვა ხარე აეღო სუმბატ მეფისაგან. ხოლო სუმბატმა არ მოსურვა მიცემა და უთხრა: „შენ ალზე უკეთესი არა ხარ, თუმცა მოკალი შენ ის ერაგულად, მე არ მოგცემ შენ ხარეს“. მაშინ აბუსეპის შვილმა შეკრიბა სპარსთა მოელი ჭარები, მოვიდა და მოაღწია სომხეთს. სუმბატმა შეკრიბა სომეხთა ჭარები და წავიდა მასთან შესახევდრად: ბრძოლა გაიმართა გნას მინდორშე: გაშიანურდა ბრძოლა და სუმბატ მეფემ დამიარცხა სპარსთა ჭარები. ბევრი მათგანი მოელეს, სხვები კი უკავეციეს. აბუსეპის შვილი დაბრუნდა სპარსეთში შერცხვენილი. მა შემთხვევის გამო სულ უფრო და უფრო გაცოფდა იუსუფი, აბუსეპის შვილი.



იმ დროს სუმბატმა მოისურვა ლაშთა, ანუ აფხაზთა მეფესთან დაუშვებული რება. მაან აფხაზთა მეფის თეოდოსის ქალიშეილი ცოლად შერთო თავის ვაჟს შუშელს და მეგობრები გახდნენ ისინი, მაგრამ სუმბატ მეფემ განიჩრახა დაეპყრო აფხაზთა გავარი, რომელიც მდებარეობდა შირაკის გავართან ახლოს, სახელდობრი: კანგარექი, გოგშენი, ძალცელი, კოლი და ორტაპანქი, რაღაცანც სუმბატი იყო ეშმაკი და ამპარტავანი კაცი და მისი მეფობის დრო შესაფერისი იყო მისათვის.

მაშინ აფხაზთა მეფემ თეოდოსებ შეუთვალა სომეხთა მეფეს სუმბატს: „არ მოგცემ ჩემს მშობლიურ გავარს“. მაგრამ სუმბატმა ვერ მოისურვა, რაღვანაც სუმბატმა ყური არ უგდო მას, თეოდოსე მშვიდად იყო ზამთრის დღიებამდე, შემდევ კი მოიხმო თავისთან მუშელი, თავისი სიძე და ჩასვა საპატიმოში, მუშელმა შეუთვალა თავის მამას სუმბატს: „იმ მიწების გამო, რომლებიც შენ წაართვი აფხაზთა მეფეს თეოდოსეს, მაან ბორკილებში ჩამსვა მე“. როდესაც სუმბატმა ეს შეიტყო, შეკრიბა ჭარი და ბევრი ხალხი. იგი წავიდა აფხაზთა ქვეყნისაკენ და მიაღწია ნოპანთა ქვეყნამდე, სოფელ გორამდე, იქ იმყოფებოდა აფხაზთა მეფე და მასთან ერთად მუშელი. აფხაზთა მეფემ დააგუბა შდინარის წყალი, ცინე-სიმაგრეს წყალი შემთავლო და ალარ იყო შესაძლებლობა ქალაქში შესვლისა იმ ყინულის გამო, რომლითაც დაფარული იყო მთელი ველი.

სუმბატი შევიდა აფხაზთა ქვეყნაში და დაიწყო მისი ძარცვა. შემდეგ მოვიდა არტაანის ქვეყანაში. მას თან ახლდნენ: დიდაბალი ჭარით არეველექის მთავარი სუმბატი, ფარისოსის მთავარი ჭარი დიდაბალი ცხენოსნებით, აღმნიერთა მთავარი გრიგორი დიდაბალი ჭარით, გორიშის მთავარი ვასაკა დიდაბალი ცხენოსნებით, ვაიოცმორის მთავარი აპუშამბი დიდაბალი ჭარით, ტაოს მთავარი გურამი დიდაბალი ცხენოსნებით, ჭოლებელთ მთავარი დიდაბალი ჭარით, ტარინის მთავარი გაგიკი დიდაბალი ცხენოსნებით, ვასპურაკანის მთავარი გურგენი დიდაბალი ჭარით. მოკელთა მთავარი აშოტი დიდაბალი ცხენოსნებით, ანქეველთა მთავარი ჭამავარი დიდაბალი ჭარით, კორდუელთა მთავარი დიდაბალი ცხენოსნებით და მრავალი სპარსთა ქვეყნიდან.

დაბინავლენ ისინი გაყინული მინდვრის ირგვლივ. სუმბატ მეფე ყოყმანობდა, რადგანაც არ ჰქონდა შესაძლებლობა სოფელ გორის დაყრობისა. მაშინ ვაპურაკანის მთავარმა გურგენმა უთხრა თავის აზატებს: „როგორ მოვიქცეთ?“ და აა ხელახლა დაეცელეს მათ თავისთი ცხენები. მაშინ შეარჩია მნენ ვაჟკაცები გნუნთა, ქაჯერუნთა, გაბელიანთა, ძიუნაკანთა, გაშრიკანთა და გნდუნთა ტომთაგან.

თვითონ გურგენი, მხრე კაცი, მოვიდა დილით, როგორც კი ინათა. სუმბატი დამშუბრებული იყო. გურგენი მივიდა სუმბატთან და უთხრა: „რატომ ხარ მეფეო, დალვრემილი?“ სუმბატმა უპასუხა: „რა გავაკეთოთ, ჩემი შეილო გურგენ?“ გურგენმა უთხრა: „მიბრძანე და მოვიყვან შეილს“. სუმბატ მეფემ გაიცინა მის სიტყვებშე. გურგენმა თქვა: „ნუ იცინი, მეფეო“. სუმბატმა უთხრა: „რომ გამოიძებნოს საშუალება, გაფრინდებოდი შენ, როგორც ჩიტი, შეილო გურგენ“. გურგენმა უპასუხა: „მიბრძანე, მეფეო, შენ თვითონ ნურაფერზე იდარდებ“. მთავრებმა გადახედეს ერთმანეთს და თქვეს: „რის გაკეთებას აპირებს ვასპურაკანის მთავარი?“ იცინოდნენ ისინი და ჩუმად მასხარად იგდებლენ მას. მეფემ თქვა: „წადი, ჩემო შეილო გურგენ“.



გამოვიდა გურგენი, წავიდა აზატებთან და შეატყობინა მათ მეფის ბრძოლის ბრძოლის შემთხვევაში შემოასხდნენ ცენტრებს ვასპურაკანის მამაცი მებრძოლები და თვითონ გურგენ არწრუნი, შევიდნენ და გაქმუსლეს გაყინულ მინდორზე. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ სოფელს, გამოვიდნენ აფხაზთა მეფის ჯარები, გარშე-მოერტყნენ ყინულის ნაპირებს, ჩათვალეს რა იგი საკუთარ ნადავლად. ისინი უაბლოვდებოდნენ ჩუმად, ვინაიდან გურგენ მთავარმა დაარიგა თავისი აზა-ტები, რომ „წინ წადით ფრთხილად, მოატყუეთ აფხაზთა ჯარები, გაემგზა-რეთ სათითაოდ“. მიუახლოვდნენ ისინი ხმელეთს, უეცრად რაღაც წამოიძახეს და შეძახილისაგან აფხაზთა ჯარები უკუიქცნენ. გარსშემოერტყნენ და დაწ-ყეს მათი მახვილით მოსრდა.

აფხაზთა მეფემ გაიგონა მოულოდნელი ხმაური, ავიდა სახურავზე და ხმამაღლა დაიყვირა: „ვინ ხარ შენ? ეს მამაცი სისხლის საქმეა, მომეცი შენი სისხლი!“ გურგენმა კი უპასუხა: „მე ვასპურაკანის მთავარი ვარ, ეს კი ჩემი ბიძის (დედო) სუმბატ მეფის შვილია“. მან შეიძყრო აფხაზთა მეფე და მუ-შელი, სუმბატის შვილი და მოიყვანა ისინი სუმბატ მეფესთან. განვითრდა ყვე-ლა ტომი, რომლებიც მეფესთან იყვნენ. დათანხმდა აფხაზთა მეფე, გადასცა კანგარქი, გოშენი და კოლი. მათ შორის შვეიდობა ჩამოვარდა.

დაპრუნდა სუმბატ მეფე, მოვიდა შაპასტარში და გაგზავნა ყველანი სახ-ლებში თავიანთ ქვეყნებში. ხოლო გურგენ მთავარმა არწრუნთა სახლიდან, ვასპურაკანის მთავრის გაგის ძმამ, მოიპოვა რა ასეთი გამარჯვება, მოვიდა თავის აზატებთან და უთხრა: „თქვენ ხედავთ, აზატებო, როგორ ვერ ვეიტანს მე და ჩემს ძმას გაგის სუმბატ მეფე? თქვენ იცით, რომ მე რომ არ გამოვ-სულიყავი, მისი შვილი აქამდე აფხაზთა მეფესთან ბორკილებში იქნებოდა. აი, მან ყველა მთავარი განადიდა და დააბრუნა თავიანთ ქვეყნებში, ჩემზე კი არაფერს ზრუნავს“. ერთმა საჭურისმა, მხნე კაცმა, რომელმაც მამაცობით გა-მოიჩინა თავი ვასპურაკანში, უთხრა მას: „რატომ ხარ ამით გაკირვებული, გურგენ მთავარო? მე ბევრი რამ მინახავს და გეუბნები, რომ სუმბატს არ უნ-დიხარ შენ და მულმივად ბორკილებს ჩადის ვასპურაკანის სახლის მიმართ. რატომ არ გაგონდება, როგორ მოაკვლევინა შენი მამა დერენი ჰერას ველზე და უღირს აპუმურვანს უბრძანა გამხდარიყო ვასპურაკანის მთავარი, შენი უფ-როის ძმა აშოტი ბორკილებით შეიძყრო, სანამ ის არ გარდაცვალა ნკანის ციხეში. როდესაც დედაშენი, ჰერანუში, მორიდებული და ჭიკიანი ქალი, გაე-მართა სომხეთში, ტირიდა მის წინაშე და ეუბნებოდა: „შენ ჩემი ძმა ხარ, მე უმწეო ვარ ვასპურაკანის სახლში, ჩემი ვაეყები კი ამოწყდნენ ულირს მურვა-ნის ხელით“. მან გაიცინა და უთხრა შენს დედას, ჰერანუშს: „ნუ ტირი, დე დაილუპონ შენი შვილები, რადგანაც გველები სჭობს ამოწყვიტო, რომ არ გა-დაიქცნენ ისინი გველებად“-ო. იგი არ მოგცემს შენ გასქანს.

და თუ მურვანის გამო, რომელმაც ულალატა მას, მისი ჯარები არ დაეც-ნენ ხლათის ქვეყანაში, მოსის მინდორზე, რის მომასწავებელიცა დახოცილ-თა ძვლები, იგი ნებას არ მისცემდა მოეკლათ აპუმურვანი და თქვენ ნუ და-უჭერებთ სუმბატს, რაღანაც ის შეეცდება თქვენს დალუპვეს“.

აზატთა გუნდებმა თქვეს: „მოდი, წავიდეთ, მთავარო, მისგან არაფერ კარგს არ უნდა მოველოდეთ, იგი არაფერს ისეთს არ გააკეთებს, რომ ოქვენ გაიგიარდეთ“. როდესაც გურგენ მთავარმა ეს შეიიტყო, წამოდგა, წავიდა სუმ-ბატ მეფესთან და უთხრა: „შვილობით დარჩი, მეფეო“. სუმბატმა უპასუხა სი-ცილით: „ნუ ჯარობ ვასპურაკანის მოხტუნავე ჩიტო, მოგცემ შენ მანგნავანის



ციხეს და გარნისის გაეარს“. ეს რომ გაიგონა გურგენ მთავარმა, გაბრიელ მთავარმა გამოვიდა სუმბატ მეფის სასახლიდან და წავიდა.

სუმბატს უთხრეს: „წავიდა ვასპურაკიანის მთავარი“. სუმბატმა უპასუხა: „და, წავიდეს გველის წიწილა დერენისა, რომელიც მე მოვაკვლევინე აპუმსუ-არის შვილებს“ და არ მოისურვა მისი დაბრუნება და სიკეთით გაშვება.

Е. А. ЦАГАРЕИШВИЛИ

АНОНИМНЫЙ ПОВЕСТВОВАТЕЛЬ (Т. Н. ПСЕВДО-ШАПУХ БАГРАТУНИ) И ЕГО «ИСТОРИЯ»

(Резюме)

«История» анонимного повествователя является одним из важных памятников как древнеармянской исторической, так и художественной письменности.

На основе изучения материалов «Истории» и их сличения с данными других источников, означенный памятник можно датировать XII веком.

В работе дан перевод на грузинский язык сведений анонимного повествователя о Грузии. Грузинский перевод сопровождается исследованием, в котором дается оценка сочинения как источника для истории Армении и Грузии.

ვახტანგ გამრევალი

XIII—XIV სს. მიჯნის საქართველოს ისტორიიდან

ზამთააღმოჩერლის ზოგიერთი ცოდის გაგებისათვის

ვნებათა ლელვით და მძაფრი ბრძოლებით აღსავს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ დრამატულ პერიოდს წარმოადგენს XIII—XIV სს. მიჯნა. ილხანთა მონღლოური სახელმწიფოს მტარვალური უღლის ქვეშ მოქცეული საქართველო, უკიდურესად შევიწროებულ-შეუტებული, XIII ს. შეორე ნახევარში მიმართავს ბრძოლისა და წინააღმდეგობის ჯერ შენიღბულ ფორმებს. მაგრამ მაშინ, როცა მონღლოლთა გაუთავებელმა გადასახადებმა, სამხედრო და სხვა ბეგარამ აღარ მოასვენეს ქვეყანა, შეიქმნა წიადაგი მასობრივი განდგომისა და აჯანყებისათვის. როდესაც პირადად მეფე დავით VIII, ყაზან ყაუნთან ნდობადარებული, 1290-იანი წლების ბოლოს მონღლოლთაგან სიკვდილით დასჯის საფრთხის წინაშე დადგა, აჯანყებას მოთავეც გაუჩნდა: აჯანყების მეთაურობა იყისრა ოვით მეფემ და ბრძოლამ ღია, აშკარა ფორმები მიიღო.

ბრძოლის ასპარეზად იქცა შიდა ქართლი — თბილისიდან სურამამდე და თრიალეთიდან კავკასიონამდე. შფოთიანმა და მერყევმა შიდაპოლიტიკურმა მდგომარეობამ გასტანა წყვეტილ ეპიზოდებად თითქმის 25 წელი — დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჯითან, ვიზრე გორგო ბრწყინველის გამეფებამდე. მაგრამ ეს წყვეტილი ეპიზოდები ერთიანდება ერთ გახანგრძლივებულ ბრძოლად, მათში მონაწილე მებრძოლი ძალების იგივეობის გამო.

ქართველების ბრძოლის ლეიტმორტივი იყო ბრძოლა მონღლოლთა ბატონობის წინააღმდეგ, მათი საბოლოო განდევნა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ არ იყო, რასაკეირველია, ერთეული შემთხვევა საქართველოს წარსულში. მაგრამ თითოეულ ასეთ შემთხვევაში ბრძოლა მიმდინარეობდა სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში. ამის შესაბამისად ცალკე აღებული თითოეული ბრძოლა რომელიმე დამპყრობის წინააღმდეგ თავისებურ სპეციფიკას შეიცავს და თითოეულ მათგანს თავ-თავისი ისტორიულ-კვლევითი ინტერესი აქვს.

XIII—XIV სს. მიჯნაზე ქართლში წარმოებული განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას შეადგენდა ქართველთა და მონღლოლთა ბრძოლასთან ოს მთავართა — ფარეგანისა და ბაყათარის და „გორუ მსხდომ ოსთა“ რაზების ენერგიული თავდასხმების უშუალო შერწყმა.

ფარეგან-ბაყათარისა და „გორუ მსხდომი ოსების“ რაზების მოქმედება 1290—1320 წწ. საქართველოს შეა საუკუნეების ისტორიაში აღიბეჭდა მკვეთ-

რად თავისებურ ეპიზოდად. ადრეული და მოწიფული შუა საუკუნეების მოწიფებით. ამ ეპიზოდმა სრულიად ახალი მომენტი შემოიტანა ქართველთა და ოსთა ურთიერთობაში. ოსი მთავრები, მანამდე ძლიერი საქართველოს სამედინა და საპატიო მოკავშირენი, აშ მონლოლთა მოკავშირედ და ფეოდალური ქართლის მეტოქედ გვევლინებიან. ათეული წლების მანძილზე გორი ეპყრა საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად მომქმედ ოსთა სამხედრო რაზმს. რამდენიმე საუკუნის შეგობრობის და შეთანხმებული პოლიტიკური არსებობის შემდეგ სწორედ ამ ათწლეულში პირველად ჩამოეტა და „მტერობა შორის ქართველთა და ოცთა“, — ამბობს ქამთაღმწერელი.

იმ შფოთიან წლებში ქართველთა და ოსთა ურთიერთობაზე ყურადღება გაამახვილა და თავისი აზრი გამოთქვა არა ერთმა მკვლევარმა.

1290—1300-იან წწ. ოსების სახელთან დაკავშირებული აქტები (გორის ალება, აზნაურთა განხსნა მამულებისაგან, აოხება ქართლის მკვიდრთა და სხვ.) ივ. ჭავახიშვილის მიერ გაგებულ იქნა პირველად როგორც ოსების შემოსვა ჩრდ. კავკასიიდან ქართლში და აქ მათთ თარეში; ამასთანავე, ათეული წლის მანძილზე ბაყათარის და „გორის მსხდომი ოსთა“ რაზმების მტრული მოქმედების აულაგმაობა მის მიერ ახსნილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური შესუსტებით, დაუძლურებით².

XIII—XIV სს. მიჯნაზე ქართლში ოსთა რაზმების მოქმედების სხვაგვარი გააზრება მოგვცა ნ. ბერძენიშვილმა ნაშრომში „საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი)“. ის ლაპარაკობს „ლიახვის ხეობაში ოსთა ჩამოსახლებაზე“, „მტკრის გაღმა მხარეში მათს ფეხის მოკიდებაზე“, აზნაურთა მიწათმოფლობრობისთვის საფრთხის შექმნაზე, „მამულთაგან აზნაურთა განხსნაზე“ და სხვ.

ამ სტატიაში წამოყენებული მოსაზრებები და დებულებები შემდგომში შეიტანეს „საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში“ (იხ. 1958 წ. გამოცემა, წ. „მთილთა ჩამოწოლა ბარში“, გვ. 245—246).

ნ. ბერძენიშვილის დებულებებმა, რომლებიც ეხება „ქართლში ოსების ჩამოსახლებას“ და აქ მათ მოქმედებას XIII—XIV სს. მიჯნაზე, პპოვეს ქართულ ისტორიოგატიაში ერთგვარი გავრცელება და შემდგომი განვითარებაც კი³. ფეხი მოიკიდა და გავრცელება პპოვა აზრმა, თითქოს XIII ს. მიწურულს ქართლში მოხდა ოსების გამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან და ამით დასაბამი მიეცა თანამედროვე სამხრეთ ოსების კომპაქტურ მოსახლეობას ქართლის მთავარებით⁴.

1 დღმინსი არაბთა მიერ 100 კომლი ოსის დასახლება საყურადღებო ეპიზოდია („ქართლის ცხოვრება“, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1955, გვ. 256—257), მეგრებ ცნობათა უზრინლების გამზ., მა ჩამოსახლების ხასიათშე და მიზნებშე არაფრის თქმა არ შეგვიძლია, ხოლო გარაუდისაგან თავს ვიკვეთოთ.

2 ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ისტორია XI—XV სს., თბ., 1949, გვ. 175; მას ივე, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1949, გვ. 245, 259.

3 დ. გვრიტიშვილი დალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საეპთისათვის, იხ. „მიმმოხილველი“, I, თბ., 1949 გვ. 109—121; გ. თოგოშვილი, საქართველო-ლიკონის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), 1958, გვ. 171—225; Г. Р. Лазарашвили. О времени переселения осетин в Грузию. იხ. უკრ. „Сов. Этнография“, 1966, № 2, გვ. 101—109.

4 საქართველოს ისტორია, I, დამბ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 245—246; გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 224—225.

მაგრამ წერილობით წყაროებში მთავარ ბაყათარისა და „გორს მსხდომი სახელმწიფო სამინისტრო“ სახელებთან დაკავშირებულ ცნობათა შეპირისისირება და ანალიზი ცხადს ხდის, რომ ხსენებული აეტორების მიერ ამ ცნობების ინტერპრეტაცია არ შეესაბამება თვით ისტორიულ მოწმობათა შინაარსს. რამდენადაც დასახელებული ნაშრომებიდან ჩანს, შეუსაბამობა შესაძლოა ჭარმოშვა იმან, რომ მათ აეტორებს აღძრული საკითხები სცეციალურად და დაწვრილებით არც უკვლევიათ. მიტომ არსებული შეხედულებანი საფუძვლიან გადასინჯვეს და დაზუსტებას მოითხოვენ.

ჯერ ერთი, XIII ს. მიწურულს ქართლში მყოფ ოსთა მოქმედება ჩვეულებრივი მეყობრეობა, ან გარეშე ძალის შემოსევა რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ოსთა რაზმებს ხომ მონლოლებიც შეებრძოლებოდნენ. ისტორიულ წყაროების კრიტიკული განხილვა გვარუშუნებს, რომ გორის დაკავებაში ოსებს სწორედ მონლოლებმა გაუწიეს მფარველობან; მთავარი ბაყათარი და „გორს მსხდომი ოსები“ არა ერთხელ ყოფილან მონლოლთა ლაშქრობის მონაწილეობი და თანამებრძოლონი. მაშინადამ, ეს ოსები არ იყვნენ მეყობრეები, ამ ცნების ჩვეულებრივი გაგებით და არც გარედან შემოსეული უცხო მტრული ძალა.

უმართებულო ჩანს აგრეთვე მოთარეშე რაზმების აულაგმაობის ახსნა აღმისავლეთ საქართველოს მეტისმეტი დაუძლურებით. საქართველო არც ისე დააბაზნებული ჩანს; ქართველების მონაწილეობა მონლოლთა ლაშქრობებში, მონლოლთა უუნარობა ჩაეხშირ დავით VIII-ს აგანება, ერისთავთ-ერისთავის სურამელის მიერ „გორს მსხდომი ოსების“ დაგანვნა, ბექა ჭაველის მიერ მთავარ ბაყათარის დამარცხება და სხვა ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოს ჰერნდა სავმაო ძალა, რომ სწავლად მორეოდა მთავარ ბაყათარისა და „გორს მსხდომი ოსების“ რაზმებს; და თუ ეს არ მოხდა, აქ სხვა მიზეზია საგულვებელი და არა საქართველოს დასუსტება.

არ არის მართებული არც XIII—XIV სს. მიწნაზე ოსების სახელთან დაკავშირებული ამბების გაგება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი გადმოსახლებისა და ქართლის მთიანეთში ამ დროიდან კომპაქტური მოსახლეობის სახით დასახლებისა.

მივმართოთ წყაროებს.

XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV ს. დასაწყისში (გიორგი V ბრწყინვალის გამოიფებამდე) ოსთა რაზმების ქართლში გამოიჩინისა და აქ მათი მოქმედების შესახებ ძირითადი წყაროა უამთააღმწერელის თხზულება, ხოლო გიორგი V-ის ზეობაში „გორს მსხდომ ისთა“ დამარცხება-დამორჩილების და, საერთოდ, ქართლში ოსების რაზმთა მოქმედების საბოლოო ილკვეთის შესახებ ცნობათა მთავარი წყაროა „ძეგლი ერისთავთა“, „ძეგლისდება“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“. თარგმნილ და გამოცემულ სომხურ საისტორიო ლიტერატურაში ის მთავრების ფარეჯანისა და ბაყათარის და „გორს მსხდომი ოსების“ შესახებ ცნობები არ გვედება. მით უფრო არ არის მოსალოდნელი ასეთი ცნობები სხვაენოვან წყაროებში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი რამ არ გვიგულება.

ისტორიული კვლევის პირველი მეთოდოლოგიური მოთხოვნილებაა შესაწვლი ფაქტების ლოკალიზაცია და მათი თარიღების გარკვევა. ეს აუცი-

⁵ ქართლის ცხოვრება. II, ს. ყაუჩხიშვილის რედ. თბ., 1959, გვ. 296.

⁶ იქვე, გვ. 305, 306, 318 და სხვ.



ლუბელი წინაპირობაა ისტორიულ მოვლენათა შორის არსებულ ურთიერთობას კავშირისა და დამოკიდებულებათა სწორი გარკვევისათვის.

უამთააღმწერლის თხელულებაში მოთხოვნილი ამბები, ჩეცულებით, საქ-მაოდ კონკრეტულად არიან ლოკალიზებული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დათარიღებული.

ოსების სახელთან დაკავშირებული ამბები არც ვახუშტისეულ „საქართველოს ისტორიაში“ და „ქორონიკონებში“ არის დათარიღებული.

ივ. ვაგაძიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე შიგნიში (თბ., 1949, გვ. 237—256) აქვთ გარკვეული XIII—XIV სს. მიჯნაზე მომხდარი ზოგიერთი ამბის თარიღი, მაგრამ ქართლში მყოფ ოსების სახელთან დაკავშირებული ფაქტები დაუთარიღებელი დარჩა. ამიტომ შევეცდებით მათ დათარიღებას.

ოსების სენების ქართლში უმთააღმწერელი იშებს 1290-იანი წლების დასაწყისიდან. მათი სენება ხდება ისტორიულ ამბავთა შემდეგ კონტრქსტუ: 1289 წ., დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჭასთან დაკავშირებით, დაისვა საკითხი საქართველოს სამეფო ტახტზე ახალი მეფის დასმისა. დიმიტრის პირდაპირი მემკვიდრე დავითი შექმნილ სიტუაციაში ტახტზე პრეტენზის ვერ წამოაყენებდა, თუმცა, უკველია, ფარულად ამის პრეტენზია ექნებოდა. მედროვე ხუტლუბულს წინადადებით აღლუნ ყაენმა დაამტკიცა მეფედ დავით ნარინის შეილი ვახტანგ II. მაგრამ აღლუნ ყაენის სიცოცხლის ბოლო ხანებში (ე. ი. 1291 წ. მარტამდე) ხუტლუბულიმ ზოგიერთ მონლოლ დიდებულთა მხარდაჭერით სცადა დაეთანხმებინა ყაენთან არსებული საბჭო ვახტანგ II-ის ვადაყენებაზე და მის მაგივრ დიმიტრი თავდადებულის ძის დავითის ვამეფებაზე. დავითის სხვდასხვა მომხრეთა შორის უმთააღმწერელს დასახელებული ჰყავს „ოსთა მეფის ძე, სახელით ფარეჭან, იგიცა ძლიერად შეეწეოდა დავითს“⁷.

ქართველი მთავრების უმეტესმა ნაწილმა კი მხარი დაუჭირა ვახტანგ II-ის მეფედ დარჩენას. ამის გამო ხუტლუბულმ ვერ დაიყოლია საბჭო და მეფედ ისევ ვახტანგი დარჩა. „საბჭოდცა წარდგეს, თუ რომელსა მართებს მეფობა. ხოლო სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი, რამეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისსა, ამისთვის არა მოსცეს მეფობა დავითს“⁸. დავითის მისცეს საქართველოში მხოლოდ „ადვილ-ადგილ სოფელი და ქუეყანა“, ე. ი. რაღაც მამულები.

ამრიგად, ფარეჭან ოქსთა მთავარი პირველად მოხსენებულია 1290 წ. ბოლოს, ილხან ყაენთა კარჩე, საქართველოს შილაპოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით. ის დავით დიმიტრის ძის, მედროვე ხუტლუბულს და ზოგიერთ მონლოლ ნოინთა დაჭვულებაშია.

მოპირდაპირე დაჭვულებას შეაღენდა ვახტანგ II და საქართველოს მთავართა უმეტესობა. ამ ორ დაჭვულებას შორის ცილობა განახლდა აღლუნ ყაენის სიკვდილის (1291 წ. მარტი) შემდეგ. დავით დიმიტრის ძე აღდგენილ იქნა მემკვიდრეობის უფლებებში, მაგრამ ვახტანგ II მაინც ინარჩუნებს სამეფო ხელისუფლებას. „მიერითგან მიეცა ფლობა დავითს და ნოინი დავითისკენ იყვნეს. ეგრეთცა მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგ“. მტკიცედ მე-

⁷ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 294.

⁸ იქვე.

ამ შემთხვევაში საგულებელია, რომ ყაენის პოზიციაზე გარკვეული გვალენა იქნია იღებანთა სახელმწიფოში არსებულმა ზოგიერთმა საერთო სოციალურ-პოლიტიკურმა გარემობამ, სახელდობრ, ცენტრალური ხელი-სუფლების (ყაენის) და მონარქიულ ფეოდალთა (ნიკინი) შორის ინტერესთა წინააღმდეგობამ და შუღლმა, რამაც ამ დროს (1290-იან წლებში) იჩინა თავი. ამის გამო ცენტრალური ხელისუფლება იჩენს მიღრეკილებას ნიკინების შესახლუდავად დაუყრდნოს ადგილობრივ (დაბყრობილ ერგბის) ფეოდალურ წრეებს¹⁰. კერძოდ, ვახტანგ II-ის საკითხში ამ ტენდენციას უნდა გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლების ცდა ქართულ ფეოდალურ წრეებისათვის დამობით გაედინოს მათთან კონტაქტის დამყარება. ამასთან ერთად მონარქიულთა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციაზე გვალენა მოახდინა იმ გარემობამაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დავით-ნარინის ძის ვახტანგ II-ის დატოვებით იქმნებოდა მომავალში მის ქვეშვერ-დომინაში დასავლეთ საქართველოს მოქალაქეების პერსპექტივა¹¹.

9 1290—91 წლებში ოღონისაცლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ვატრინგ II-სა და დაყით VIII-ს ცილიბის აბაკვში უკვე მელიკონებმა ერთი გარემოება, რომელიც დამახასიათებელია 1290-1300-იანის წლებისათვის საზოგადოლ. სახელდობრ, უკვე 1290 წ. ოსთა მთავარი ფარეგან და მთნოლოთა ნორინგი, ერთი შეჩივ, და საქართველოს ღილებულთა შეტი ნაწილი, შეორე შეჩივ, ურარტელი დაპირისინგ და გარემოებებს წარმოადგინებოდნენ. ეს ას უკრძა იყო შემთხვევითი და გარემოებულ სოციალურ-კუნძულობრ საუკეთესო ჩანა წარმოშვნილი. ეს ხომ დაპირისინგებული იყენებოდა მომთაბარე, გადასახადების შერეფა-მიმღები თავისი თანამთლობერებით, და დაყრინბილი, მიწათმოქმედი მეურნეობის მიმღევარი, გადასახადების გადამზღვევლი. ეს დაპირისინგების სწავისები საუკლებელია ჭრ კიდევ დიმიტრი თავდაღუ-ბულის შეფუბის წლებში.

Земельная реформа в Иране XIII—XIV вв., М.—Л., 1960, № 74—76 и № 13. Земельные и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., М.—Л., 1960, № 74—76 и № 13. Земельные и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., М.—Л., 1960, № 74—76 и № 13.

¹⁰ А.-К. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, гл. 271—273; Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV вв., М., 1969, гл. 164—166, 274—276.

¹¹ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 289; საქ. ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 244.

* * *

მეორე დასადგენი თარიღი არის ოსების მიერ გორის „თვისად დაჭერის“ დრო.

ქედათუ ყაუნი ტახტზე ავიდა 1291 წ. 23 ოქტომბერი. ახლად გაყაენებულს ჯერ მისთვის უფრო აქტუალური საქმე უნდა მოეგვარებინა: ანგარიში გაეს-წორებინა თავის შინაურ მტრებთან და ყანის ტახტის მოცილეებთან¹². ამა-სობაში მას განუდგა „ქალაქი საბერძნეთისა ტონლუზალო“. მიუხედავად იმი-სა, რომ გასარკვევია თუ ვინ, ან რა არის სავარაუდებელი „ტონლუზალოს“ ქვეშ (იხ. ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 242—243), მთავარი ის, რომ მომხდარა აჯანყება, რომლის დასათრგუნად მონლოლთა ლაშქარში გაწვეული იყო ქართველობის ნაწილიც.

ტონლუზალოს აჯანყება თარიღდება 1291 წ. 1 ენენისთვით¹³. ხოლო მის დასაცხობად ლაშქრობის თარიღი, ცხადია, უფრო გვიანი იქნებოდა. უმთა-აღმწერლის ცნობით, ყაენმა „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა“; მათ რიცხვში დავით დიმიტრის ძეს და „მცირედთა ქართველთას“. ამ ლაშქრობაში მონაწი-ლეობდა ფარეჭანიც (ისთა მთავარი). ამავე დროს ყაენმა „ხუტლუბულა და სხუანი მთავარი საქართველოსანი დაუტვენა მუღანს (ე. ი. აზერბაიჯანში — ვ. გ.), რამეთუ ეშინოდა გამოსვლისათვის ბერქალნთას“, ანუ ოქროს ურდოს ლაშქრისა.

ბრძოლამ აჯანყებულ ტონლუზალოს წინააღმდეგ გასტანა ხუთ თვეს. მაშ ქალაქის აღება 1292 წ. გაზაფხულის უადრეს ეერ მონდებოდა.

მთელი ამ ლაშქრობის აღწერაში მეფე ვახტანგ II არც ერთხელ არ არის მოხსენიებული. ეს გვათქმულებინებს, როგორც აღნიშნული აქვს იყად. ივ. ჭა-ვახიშვილს, რომ ამ დროს ის მძიმედ დასხულებული და გარდაცვლილი უნ-და იყოს. ვახტანგ II-ის გარდაცვალების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფი-აში მიღებულია 1291 წ. დასასრულა ან 1292 წ. დასაწყისი¹⁴.

ტონლუზალოდან ყაენის შინ დაბრუნება და დავითის მეფედ დამტკიცე-ბი სავარაუდებელია არა უადრეს 1292 წლის შუა ხანისა. სპულერიც უმთა-აღმწერელზე დაყრდნობით, 1292 წ. მეორე ნახევრით ათარიღებს ყაენისგან დავით VIII-ის მეფედ დამტკიცებას¹⁵. ხოლო დავით დიმიტრის ძის საქართ-ველში მოსვლა და ფაქტიური გამეფება 1293 წ. დასაწყისშია სავარაუდე-ბელი. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც დავით VIII-ის, დიმიტრის ძის გამეფება დათარიღებულია 1293 წლით.

უმთააღმწერელის ცნობით, ტონლუზალოს წინააღმდეგ ქედათუ ყაენის ლაშქრობის დროს და „მუნ ყოფასა ფარეჭანისა იწყეს ოვსთა ოხრებად, ხო-ცად და რბევად და ტუუნვად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუნენს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“. მაშასადამე, უმთააღმწერელის მიხედვით, ქალაქ გორის ოსთავან დაპყრობა უნდა მომხდარიყო 1292 წ. პირველ თვეებში, ან გაზაფხულზე, როდესაც ვახტანგ II ცოცხალი აღარ არის, ხოლო დავით

¹² B. Spuler, Die Mongolen in Iran, Berlin, 1955, გვ. 86—87.

¹³ ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

¹⁴ ივ. ჭავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 243—244; საქართველოს ისტორია, I, ამბებარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 244.

¹⁵ Spuler, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

დიმიტრის ძე ყაენს ახლა ლაშქრობაში, ე. ი. როდესაც ქართლში უმეფო უსახლოების იყო.

ამას მოსდევს ქართლის ერისთავის ბეგას ძე ამადას მეთაურობით ქართლის ლაშქრის ბრძოლა გორში მყოფ ოსების წინააღმდევე, რაც სავარაუდებელია 1292 წლის შუა თვეებში (ზაფხულში); ყოველ შემთხვევაში, დავით დამიტრის ძის ქართლში მეფედ დაბრუნებამდე, რადგანაც გორის გარშემო ბრძოლაში დავითის ხსენება არ არის.

სწორედ უმეფობით უნდა იხსნას უამთააღმწერელის ცნობაც, რომ გორში ჩამდგარი ოსების წინააღმდევ სალაშქროდ „ყოველი ქართველი“ „შეერქეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე“ და არა მეფის წინაშე (როგორც ეს უნდა მომხდარიყო, მეფე რომ ყოლოდა ქართლს, და როგორც ეს მონადა გიორგი V ბრწყინვალეს დროს).

ბრძოლა „გორს მსხდომ ოსებსა“ და ქართლის ერისთავის ამადას ლაშქარს შორის გაგრძელდა. ბოლოს „გორს მსხდომ ოსებს“ ბრძოლა გაუტკირდათ და შეველა სთხოვეს მუხრანში მდგომ მონღოლებს. ესენი ჩამოდგნენ მებრძოლ მხარეთა შუა და დააზავეს ისინი რაღაც კომპრომისულ პირობებზე, მაგრამ გორი მაინც ოსებს დაუტოვეს.

ამრიგად, ოსთავან გორის დაჭრა მომხდარა პოლიტიკურ მოვლენათა ასეთ კონტექსტში: 1292 წ. პირველ თვეებში მეფე ვახტანგ II გარდაცვლილი იყო, ხოლო ტახტის მემკვიდრე დავით დიმიტრის ძე იმყოფებოდა ტონქუზალოსთან ლაშქრობაში, ქართველი მთავარინიც თავისი ლაშქრით იდგნენ მუღლანში — აზერბაიჯანში. შაშასადამე, ქართლი 1292 წლის პირველ ნახევარში ძლიერ ლეგიტიმურ ხელისუფლებას მოკლებული იყო. სწორედ ამ დროს თავის რომელიდაც რაზმს მონღოლ ხელისუფალთა დასტურით და მფარველობით ძალით დაუჭერია ქალაქი გორი.



უამთააღმწერლის თხრობის მიხედვით, 1293 წ. პირველ ნახევარში დავით დიმიტრის ძე მოვიდა ყაენისაგან თბილის და აქ მეფედ იყერთხა. დავითისა და „გორს მსხდომ ოსთა“ შორის რაიმე კონფლიქტი არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში უამთააღმწერელი ამგვარ ფაქტს არ ახსენებს. ჩანს, მომდევნო წლებშიაც, 1296—97 წლებში, ე. ი. ვადრე დავით VIII გადაუდგებოდა ყაზან ყაენს, მეფე დავით VIII-სა და ოსებს შორის რაიმე ანტაგონიზმი არ ყოფილა. ეს აღვილი გასაგებია, თუ ვავისხენ მემატიანის სიტუაციებს, რომ „დავით უმეტესთა უამთა იყვის წინაშე ყაენისა“, მასთანვე „ფარეჯინ ოესთა მთავარი, მსახურებდა კეთილად მეფეს“¹⁶. ხოლო თვით დავით VIII კარგ ურთიერთობაშია მონღოლებთან, რომლებიც მფარველობდნენ გორში მყოფ ოსებს. ამ წლებში (1293—95) ანტაგონიზმი და ბრძოლა ქართლში გაიშალა სხვა სიბრტყით. უამთააღმწერელი ამბობს: „დალათუ ფარეჯინ ოვსთა მთავარი მსახურებდა კეთილად მეფესა, არამედ აქუნდათ მტერობა ქართველთა [და ოვსთა]; ესოდენ გარდაეკდნიან ერთმანეთსა, რომელ რომელიცა მძლე ექმნის, მოკლის“¹⁷.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 297.

¹⁷ იქვე.



აქ მოხსენიებულ მტრად გადაკიდებულ „ქართველთა და ოცხია“ ერთობენ ხელის ქვეშ უნდა იგულისხმებოდნენ ფეოდალური წრეები და, საერთოდ, წარჩინებულ წოდებათა წარმომაზრენლები. ასეთია მკვეთრი შთაბეჭდილება უამთა უმწერლის მთელი თხრობისგან. ამის კარგ იღუსტრაციას წარმოადგენს მემატიანის მიერ აქვთ მოთხოვნილი ამბავი სათხისა და უზურაბეგთან რატი სურამელის შეცვედრის და შებრძოლებისა. სათხი და უზურაბეგ წარჩინებული წოდების ოსები უნდა ყოფილიყვნენ. ამრიგად, ოსთა მიერ გორის დაქრის გმო ატეხილი მტრობა ქართლელ და ოს ფეოდალთა შორის მომდევნო 1293—95 წწ. გაგრძელდა.

* * *

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1295 წლის მეორე ნახევარში. ყაზან-სა და ბაიდოს შორის ბრძოლა ყაენის ტახტისათვის 1295 წლის ოქტომბერში ყაზანის გამარჯვებით დასრულდა¹⁸. დავით VIII კი კეთილ ურთიერთობაში იყო ბაიდოს მომხრებთან. შეიქმნა სიტუაცია, მსგავსი იმისა, რომელიც წანამდგვარი იყო დავით VIII-ის მამის დამიტრი თავდაცებულის სიკედილით დასჭისა 1289 წ. ამიტომ ყაზან ყაენსა და დავით VIII-ს შორის ჩამოვარდა ურთიერთმისართ ერთგვარი უნდობლობა. დავით VIII-მ ვერ გაბედა ყაზანთან ურდოში წასვლა; მან გაუგზავნა მხოლოდ „ყოველი სიმდიდრე, რომელი შეეგება“ ან იყსთა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იდვა ციხესა ატენისსაა¹⁹. სალარის გაგზავნა ყაენისათვის უნდა დათარილდეს 1295 წლის მიწურულით, ან 1296 წლის დასაწყისით, ილხანთა ტახტზე ყაზანის კურთხევის მომდევნო ახლო დროით, რაც უამთაა უმწერელის თხრობის თანმიმდევრობასაც სავსებით შეესაბამება. ეს არის „ოვსთა მთავრის ფარეჯანი“ უკანასკნელი ხსენება უამთაა უმწერელობა. 1296—1298 წწ. არ იხსენიება არც ფარეჯანი და არც სხვა ვინე ასთაგანი.

1295—96 წელთა მიზნაზე ფარეჯანის მოხსენიება იმგვარია, რომ მისი ამ დროს ცოცხლად ყოფნა საეჭვოა: „მეფემან დავით მოსცა... ყოველი სიმდიდრე, რომელი შეევედრა ოცხა მთავრის ფარეჯანისა, რომელი იდვა ციხესა ატენისსაა“, ე. ი. სიმდიდრე უწინ მიბარებული ფარეჯანისათვის ინახებოდა ატენში და ის გაუცია დავით შეფეს, ხოლო თვით ფარეჯანი მომქმედ პირად არ ჩანს. ამიტომ სახარაუდებელი ხდება 1295—96 წელთა მიზნის ახლო ხანს ფარეჯანის გარდაცვალება.

1297 წლისთვის უნდობლობა და მტრული დამოკიდებულება მეფე დავით VIII-სა და მონლოლთა ხელისუფლებას შორის გალრმავდა. მონლოლებ-მა ქრისტიანების დევნაც დაიწყეს. ყაზან ყაენის ახალი მიწვევის საპასუხოდ, დავით VIII გაიხიზნა მთიულეთს და სრულიად განუდგა შან. 1297—99 წლებში დავით VIII ყოველწლიურად გზავნის ელჩებს იქროს ურდოში და სთავაზობს სამხედრო კაშტის იღნებთა წინააღმდეგ საბრძოლველად²⁰. ამ ნიადაგზე ურთიერთობა დავით VIII-სა და ყაზან ყაენს შორის კიდევ უფრო გაძწვავდა, თუმცა დავით VIII-ს მოლაპარაკებამ ოქროს ურდოსთან მოსალოდნელი ნაყოფი არ გამოიღო.

¹⁸ Spuler, ცტირ. თხზ., გვ. 91.

¹⁹ ქართლის ცხოველება, II, 1959, გვ. 299.

²⁰ იქვე, გვ. 302—304.



1298 წელს, ზაფხულში, ყაზან ყაენის დავალებით მონღოლთა ლაშქარში გამოიწვევა მოაოხრა სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერზო. ყაზან ყაენის განმეორებითი ცლები — ხელთ ეგდო დავით VIII ძალით ან შემორიგების პირობით, უშედევო გამოდგა²¹. სომხითი, ქართლი, კახეთი, მთიულეთი ისევ დავით VIII-ს ერთგულობდა.

ამიტომ 1300 წ. გაზაფხულზე მონღოლებმა კვლავ „მოაოხრეს ქართლი უბოროტესად. ხოლო მეფე დავით დადგა ხადას“. მათინ ხუტლუშას მეთაურითი მონღოლთა ლაშქარი შეესია მთიულეთს. ამ ერთი წლის მანძილზე მონღოლებმა რამდენჯერმე, სხვადასხვა გზით შეუტიეს მთიულეთს და ხევს, მაგრამ ისევ წარუმატებლად.

აი, ამ ლაშქრობებთან და ბრძოლებთან დაკავშირებით უამთააღმწერელი კვლავ იწყებს ოსების ხენებას. აქ არის პირელად მოხსენიებული „ოვსთა მთავარი ბაყათარი“, რომელიც ქსნის ერისთავთან (შალვა ქვენიფრეველთან) და მუხრანში ნადგომ თათარ ბანთანალუსთან ერთად მეგზურობდა მონღოლთა ლაშქარს: „წინარნი თათართანი იყვნეს“²², ამბობს მათზე მემატიანე.

შემდეგ, მაბალმთიან ზოლში წარმოგბული ბრძოლების აღწერისას, ამბობს, რომ „ქუეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე, და ოსნი რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნა“²³; ე. ი. მონღოლთა ლაშქარში მონაწილეობდა გორში დამკვიდრებული ოსთა რაზმიც. მეორეს მხრივ, „დაამტკიცეს და დაგვეს ერთგულობას მეფისასა (დავით VIII — უგ.) სურამელი აპმადა და ამირებიბი აბაზას-ძე ჭილა და აზნაურნი ქართველი და სომხითარნი და დიდი ერთგულობა აჩურნეს“²⁴.

„იქმნა ომი ძლიერი“, მაგრამ მონღოლებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. პირიქით, ცალკეული მათი რაზმები ძალზე დაზარალდნენ. ამიტომ სარდლობამ ბარში დაბრუნება ამჯობინა. აქ კი ფირო იყარეს მონღოლებმა. „ხუტლუბულა... დაესხა ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩომილ იყო მოსრა და ტყუე ყო და მოაოხრეს ქართლი“²⁵.

ამრიგად, 1300 წელს ქართლის მთიანეთში გამართულ ბრძოლაში, ერთის შერივ, იყვნენ მეფე დავით VIII, ქართლისა და სომხითის აზნაურნი და მთიულები, ხოლო, მეორის მხრივ, მონღოლთა ლაშქარი, მესხთა ლაშქარი, ქსნის ერისთავი და „ოვსთა მთავარი ბაყათარ“ და „ოსნი რომელ სხდეს გორს“. ხაზგასასმელია აქ ორი მომენტი — ოსთა მოკავშირეობა მონღოლებთან და დაპირისპირებულობა ქართლ-სომხითის აზნაურობასთან.

1301 წ. და მომდევნო წლებშიც გაგრძელდა ბრძოლა დავით VIII-სა და მონღოლ ნოინთა შორის. დავითის საყრდენ სოციალურ ძალას კვლავ აზნაურობა და მთიელები შეადგენდნენ. მართალია, არაერთგზის აოხრებათა გამო, პარის აზნაურები მერყეობას იჩენენ, იძულებული ხდებიან მონღოლებთან შერიგება ეძიონ, მაგრამ დავით VIII საბოლოოდ მაინც არ მიატვეს და რა-ლაც კავშირში არიან მასთან. ამას გვანიშნებს უამთააღმწერელს სიტყვები:

²¹ 1298 წ. ხუტლუშას ლაშქრობას მოწმობს რაშიდ-ალ-დინიც. იხ. მისი „Сборник летописей“, ტ. III, გვ. 182, 183.

²² ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 305.

²³ იქვე, გვ. 306.

²⁴ იქვე, გვ. 305.

²⁵ იქვე, გვ. 306.



„მეფე დავით... ზაფხულ მთიულეთს იყეის და ზამთარ ქართლსა“²⁶; და კონფედერაცია „აოხრებდა ბაყათარ ქართლსა და მეფე დავით ვერ წინააღმდეგმოდდა“²⁷.

დავით VIII-ს მეთაურობით მთიულთა და ქართლელთა კუველა ბრძოლას შონლოლებთან წლების მანძილზე ერთვის მთავარ ბაყათარის და „გორს მსხლომი ოსების“ ბრძოლა ფეოდალურ ქართლთან.

ბაყათარი „აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამულისგან აზნაურთა და იყო ჭირი დიდი მკიდრო ქართლისათა“²⁸.

დავით VIII-მ თავის ხელისუფლების აღსაღენად ილაშქრა თბილისისა-კენ და აქ გადაიხდა დიდი ბრძოლა. „მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული“²⁹, მაგრამ მაინც დამარცხდა ვახტანგ III-სა და ყივჩალთა შეერთებული ძალებისგან.

ამ ბრძოლის დროს თბილისში მეფედ არის უკვე ვახტანგ III, რომლის გამეფების თარიღიდ მიღებულია 1302 წ. ამასთანვე ცოცხალი ჩანს ყაზან ყა-ენი, რომლის სიკვდილის თარიღია 1304 წ. ყაზან ყავნება ორჯერ ალაშქრა ვახტანგ III ეგვიპტის სულთნის წინააღმდევ. ამ ლაშქრობათა შუალედ დროში მოხდა სწორედ დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის შებრძოლება თბილისთან. ზემოხსენებული ფაქტების თანმიმდევრობა საფუძველს გვაძლევს და-ვით VIII-ის ლაშქრობა თბილისისკენ დავათარიღოთ 1303 წლით. ხოლო, რად-განაც მემატიანე წერს, რომ დავით VIII-ის ლაშქარი „მოუხდა ყივჩაყთა სა-ზაფხულოდ მომავალთა“³⁰ (აღმათ, იგულისხმება — მომავალთა მთაში) შე-საძლებელია ლაშქრობის თარიღი დაზუსტდეს 1303 წლის გვიანი გაზაფხუ-ლით.

დავით VIII-ის ლაშქრობის მარცხის შემდეგ, გვამცნობს უამთააღმწერე-ლი, „უმძვინვარესად აოხრებდა ბაყათარ ქართლსა... აოხრებდა ქვეყანითა და ხოცდა კაცთა“³¹. ბოლოს ბაყათარმა „წარულო გამრეკელსა კახას ძესა ციხე ძამისა“³². მაშინ ბაყათარის წინააღმდევ მძხედრდა ბექა ყაყელი და დაამარცხა-ის. ამის „უკანას მოყუდა ბაყათარ“³³. ეს არის და ეს. უამთააღმწერლის მთელ დანარჩენ თხრობაში ბაყათარი და არც რომელიმე ხსევა ოსთა მთავრი არც ერთხელ აღარ იხსენიებიან.

ბაყათარი უნდა გარდაცვლილიყო 1303 წლის შემდეგ (დავით VIII-ს თბი-ლისზე ლაშქრობის შემდეგ), მაგრამ 1306 წლიდე, რაღანაც ამ წელს გარ-დაიცვალა ბექა ყაყელი, რომელიც ცოცხალი იხსენიება უამთააღმწერელთან ბაყათარის სიკვდილის შემდეგაც. საგულისხმოა, რომ გილანის წინააღმდევ ოლფაითუ ყავნის ლაშქრობაში 1307 წ.³⁴ მონაწილეობენ „ოღსნი გორს მსხლო-მი“³⁵, ხოლო მთავარი ბაყათარ არ იხსენიება. ესეც დამაჯერებელს ხდის ბა-ყათარის გარდაცვალების დათარიღებას 1304—1306 წლებით. მრიგად, უამთა-აღმწერელის მიხედვით, მთავარ ბაყათარის თარეშს ქართლში აღგილი ჰქონია. 1300-დან 1304—1306 წლებამდე.

26 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 314.

27 იქვე, გვ. 317.

28 იქვე, გვ. 316.

29 იქვე.

30 იქვე.

31 იქვა, გვ. 317.

32 იქვე.

33 იქვე.

34 Spuler, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

35 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 318, 320.



უამთააღმწერელთან ოსების სახელი გვხვდება კიდევ ერთხელ — ეს არის „ოცათა გორს მსხდომთა“ მოხსენება ცალკე სამხედრო რაზმად ოლგაიანთქმული ყავინის ლაშქრის შემაღებენლობაში გილანზე 1307 წ. გალაშქრების დროს³⁶. ამის შემდეგ, ე. ი. 1307 წლის შემდეგ, უამთააღმწერელთან „გორს მსხდომი ოსები“ აღარ მოიხსენებიან.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული უამთააღმწერელის თხრობა თავ-დება ოლგაითუ ყავინის სიკედილით (1316 წ. დეკემბერი), მასი მცირეწლოვა-ნი შეიძლის აბუ სასალის (მუსაითის) ყავნად კურთხევით (1317 წ. აპრილი), მე-ფე გოორგი V-ს ურდოში წასკლით და ერთობლივი საქართველოს მეფედ მი-სი დამტკიცებით. მაშასადამე, უამთააღმწერლის თხრობა წყდება 1317 წ. ამ-ბებზე.

„გორს მსხდომი ოსების“ და მთავრის — ბაყათარის რაზმის მდგომარეო-ბა და მათი მოქმედების ხაზი ქართლში ამ პერიოდში (1307—1317 წწ.) არ შეცვლილა. ეს გარკვევით ჩანს უამთააღმწერლის აღრინდელ სიტყვებიდან, რომ ქართველთა და ოსთა შორის მტრობა დაიწყო გორის გარშემო ბრძოლის დროს და გაგრძელდა „ვიღრუმდის მეფეთა შორის ბრწყინვალებან დიდმან სახელგანთქმულმნ გიორგიმ განასხნა და აღდგეურნა“. „ძეგლი ერისთავთაც“ მოწმობს, რომ მხოლოდ გოორგი V-ს გამეფების შემდეგ გახდა შესაძლო ოსთა რაზმის საბოლოოდ დამარცხება და გორიდან განდევნა. „გორს მსხდომი ოსების“ და მთავრის ბაყათარის რაზმის მოუხსენებლობა 1307—1317 წწ. ამ-ბებთან დაკავშირებით შეიძლება აიხსნას იმით, რომ უამთააღმწერლის თხრო-ბის ბოლო უურცლები მიძღვნილია მონარქიულთა ლაშქრობებისადმი, მეფე გახ-ტანგ III-ის გარდაცვალებისა და გიორგი ბრწყინვალის გამეფებისადმი, ხოლო ქართლის შინაურ მდგომარეობაზე საერთოდ აღარაფერს ამბობს.

ამრიგად, გასაჩკვევი გვრჩება კიდევ თარიღი იმისა, თუ როდის იქნა დამარცხებული და განდევნილი ქართლში მოთარეშე და „გორს მსხდომი ოს-თა“ რაზმები. ზემოთქმულიდან უკვე აშკარაა, რომ ეს ამბავი უნდა მომხდა-რიყო 1317 წლის შემდეგ, თუ ამას მივუმატებთ „ძეგლი ერისთავთას“ ცნო-ბას, რომ მეფე გიორგი გორთან სამ წელს ებრძოდა ოსებს, მაშინ გორის აღება სავარაუდებელია არა უადრეს 1320 წლისა.

ჩვენი აზრით, აქ საჭიროა მხოლოდ იმის დათქმა, რომ სამი წლის ბრძო-ლა, თუ კი შართლა სამ წელს გაგრძელდა ის, საფიქრებელა, წარმოებდა არა მხოლოდ გორში მყოფ ოსებთან, არამედ მთავარ ბაყათარის ყოფილ რაზმ-თანაც და საერთოდ ქართლში სხვა მოძალადებთანაც.

გიორგი ბრწყინვალე გამეფების პირველ წელსვე რომ ვერ დაიპყრობდა გორს და ვერ „განასხმიდა“ ოსებს, გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ოსები მონარქიულთა მფარველობით სარგებლობდნენ. ხოლო გიორგი მონარ-კლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას და მათი ნდობის მოპოვებას ცდილობდა. ამიტომ ის იძულებული იყო მონარქიულთა „მოლაშქრე და თა-ნამებრძოლის“ ოსების მიმართაც თავშეკვებით და მხოლოდ შესაფერი მოტი-ვებით ემოქმედნა.

გიორგი V-ის ლაშქრის მიერ ისთა „განსხმაზე“ და სხვადასხვა ციხეებიდან და დაბეგბიდან მათ განდევნიზე და დამორჩილებაზე წერდა ვახუშტი ბაგრა-ტიონიც. ეს ამბავი ვახუშტის მოხსენიებული აქვს ჩოფან ნოინის სიკვდილამ-

36 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 318. 320.



დე და იმერეთის შემოერთებამდე³⁷. ჩოფან ნოინის სიკვდილი თარიღული 1327 წლით, ხოლო იმერეთის შემოერთებას ვახუშტი ათარილებს 1330 წლით, ლევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ეს ფაქტი თარიღდება 1329 წლით³⁸. ვახუშტისთან წარმოდგენილი ისტორიულ იმპავთა ქრონილოგიური თანამიმდევრობა თითქოს საქუმუნია და, მაშასადამე, ამის მიხედვით გორის აღება მომხდარა 1327 წლამდე. ამრიგად, გიორგი ბრწყინვალეს მიერ გორის აღების ქვედა ქრონილოგიურ მიჯნად სავარუდებელია 1320 წელი, ხოლო ზედა ქრონილოგიურ მიჯნად — 1326 წელი. ამის შემდეგ XVI ს. ბოლო მეოთხედამდე ქართულ წერილობით წყაროებში ქართლის არც ბარში და არც მთიანეთში ოსების კომპაქტური მასის ხსენება აღირ გვხდება.

* * *

საკვლევი თემისთვის საინტერესო ისტორიული ფაქტების თარიღების გარკვევის შემდეგ ლოგიკურია გადავიდეთ იმის გარკვევაზე, თუ საიდან, ან როგორ განვითარები ფარგეან-ბაყათარის და „გორს“ მსხლომ ოსთა“ რაზმები ქართლში და როგორი იყო მათი სოციალური რაობა.

ივ. გავახიშვილი, ეხება რა დავით VIII-ს გამეფებას 1293 წ. და მომდევნო წლებში ყავნის ქარზე მის ყოფნას, აღნაშნავს საქართველოს „მოსახლეობის ბერგან შეთხელებას და ქვენის გაუკაცრიელებას“. მისი გვაებით, ამას მოჰყვა მიგრაციული პროცესი: ქართველი მთიელები ჩამოვიდნენ ბარში, „ხოლო მათ მაგიერ თანდათანობით იძიერებასითვან ისტები გაღმოვიდნენ... საქართველოში ისინი... ცარცვა-გლეჭვას ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ქართველთა და ოსთა შორის მტრობა ჩამოვარდა და ერთიმეროჩეს დაუნდობლად ეპყრობოდნენ“³⁹. ამასთან დაკავშირებით ივ. გავახიშვილი იმოწმებს უამთაამშერელს (ქ. ცხ., II. 1959, გვ. 297—98). ამ აზრს იმეორებს ის შემდეგაც⁴⁰.

არსებითად ამავე აზრისაა ნ. ბერძენიშვილიც. აღწერს რა XIII ს. მიწურულს ორმოსავლეთ საქართველოს მძიმე მდგომარეობას, იგი დასძენს: „სწორედ ამ „შფოთიან“ ხანაში ადგილი აქვს ქართლში, ლიახვის ხეობაში ოსთა ჩამოსახლებას. ოსთა ეს ჩამოსახლება XIII საუკუნის 90-იან წლებში იწყება. XIV ს. პირველ ტოულში მათ უჭირავთ გორი (წაართვეს ქართლის ერთსავთ სურამელთ), ფეხი მოუკიდიათ მტკერის გაღმა მხარეშიაც (გამრეკელ კახას ძეს წაართვეს მამის ციხე) და ლამონძენ დაეპატრონონ ძამის ხეობას“⁴¹. „ოსთა ჩამოსახლებას“ და „ოსთა ჩამოსახლომას და აზნაურთა განსხვას მამულთაგან XIV ს. პირველ მესამედში“ ნ. ბერძენიშვილი განმეორებითაც ახსენებს⁴².

ამრიგად, ორსავე მეცნიერს ერთგვარდა ჰქონდათ წარმოდგენილი ფარეგან და ბაყათარ ოსთა მთავრების და „გორს მსხლომ ოსთა“ წარმომავლობა. მათი გამოჩენა საქართველოს ისტორიის პორიზონტზე XIII ს. მიწურულს იყო

37 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 256, 257.

38 საქართველოს ისტორია, I, დამბ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 251—252.

39 ივ. გავახიშვილი, ციტირ. თხზ., გვ. 245.

40 იქვე, გვ. 257.

41 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის სკოლები, II, თბ., 1965, გვ. 60.

42 იქვე, გვ. 61, 67.



შედევი მიგრაციული პროცესისა, რომელიც წარმოიშვა კავკასიონის მაღალაზროვანების მთიან ზოლში 1290-იან წლების დასაწყისში. ორივე მცენიერი ცნობდა მიგუდის რაციული პროცესის ერთ-ერთი წინაპირობის ასებობას ამ ძროსათვის — ქართლის გაუკაცრიელებას. ოღონდ ივ. ჭავაჩიშვილი ამისათვის ვახუშტის სიტყვების (ბარის გაუკაცრიელებაზე და მთიელთა ბარში ჩამოსახლებაზე) პერიფრაზს მიმართავ, ხოლო ნ. ბერძენიშვილი უმთააღმწერელის სიტყვებისას (ქართლის აოხრებაზე, შიმშილზე და მოსახლეობის სამცხეში წასელზე), გადმოსახლებულთა სოციალურ რობაზე გაჩვევით არაფერი აქვთ ნათქვამი, ოღონდ ისინი მთიელებად მიიჩნიეს. ხოლო მათ მოქმედებაში ხედავ-ლენ მხოლოდ ქვეყნის აოხრება-რეგებასა და შეკობრეობის. ნ. ბერძენიშვილი ხახს უსვამდა კიდევ „აზნაურთა განსხმას მამულისაგან“, ბრძოლის სამამულო ხასიათს და ლიახვის ხეობის დაყავებას გადმოსახლებულ ოსთა მიერ.

ქართლის ბარის გაუკაცრიელების, ბარში მთიელთა ჩამოსახლების და მთიანეთში ჩრდილო კავკასიონან ისების შემოსახლების ერთმანეთთან დაკავშირება საფუძველს მოკლებული და უმართებულო ჩანს.

უმთააღმწერელით ისები ქართლის ბარში ჩანან უკვე 1290-იანი წლების დასაწყისში (და უფრო ადრეც), ხოლო ქართლიდან მოსახლეობის აყრა და სამცხეში გადასვლა მოხდა 1301—1303 წწ.; ე. ი. გაუკაცრიელება კი არ უსწრებდა წინ ისთა გამოჩენას ქართლში, არამედ პირუკუ, ჯერ ისები დასახლდენ ქართლის ბარში და შემდეგ მონილთა და ოსთა რაზმთაგან ჩამოაოხრებამ გაქცია მოსახლეობას სამცხეში.

ვახუშტის აზრიც ქართლის მთა-ბარში მიგრაციულ პროცესზე მიეკუთვნება არა 1290—1300-იან წლებს, არამედ XVII საუკუნეს. მონღოლების ბარონობის ხანში, სოფლის მეურნეობის კრიზისისა და მონღოლთა ძალმორიენის პირობებში, ქართლის ბარი კიდეც რომ გაუკაცრიელებულიყო, ვერ იქნებოდა მთიელებისთვის მიზნიდელი. მევიღრი მოსახლეობაც კი შემოიფარგი და თავისუფლებას მიჩინეულ მთიელს რაღა ჩამოიყვანდა ბარში?

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიულ წყაროებში არაა არის აღნიშნული 1290-იანი წლების დასაწყისში ისთა გადმოსახლების შესახებ ჩრდილო კავკასიონან და მათ მიერ ქართლის მთიანეთის ხეობების დაკავება. ჩრდილო კავკასიონან საქართველოში უცხო ძალების შემოქრას „ქართლის ცხოვრების“ ტკექსტი ჩვეულებრივ გვამცნობს სიტყვებით — „გამოვიდნენ“ და „გარდამოვიდნენ“. 1263 წ. ლტოლვილთა მოსელასაც უამთააღმწერელი ამ ტერმინით გვამცნობს: „...მათ უამთა გარდამოვიდეს ბერქას ყანისაგან ლტოლვილი“. ხოლო 1292 წ. ისების მიერ გორის დაკავებაზე და ქართველებთან მტრობაზე თხრობის დროს ისების მიმართ გამოთქმა „გამოვიდნენ“ ან „გარდამოვიდნენ“ არ არის ხმარებული. კონტექსტიდან (მთავარ ფარეჯანის სახელთან დაკავშირებით მათი სხენება) კი გამომდინარეობს, რომ ეს ქართლის ბარში მყოფი ისები იყვნენ და გორის დაკავება მოხდა უინგანიდან, დმანისიდან, ატენიდან ან ქართლის სხვა რომელიმე ჟუნქტიდან მათი აღვილვადანაცვლების შედეგად.

ამრიგად, ისტორიული წყაროების ცნობილი მოწმობანი და მოსაზრებანი 1290-იან წლებში ქართლის გაუკაცრიელებაზე არ გამოდგებიან იმ კონცეციებს გასამაგრებლად, რომლის თანაბეჭაც, თითქოს, 1290-იანი წლების დასაწყისში მოხდა ისების მასიური გადმოსახლება ქართლში, თითქოს, მათ ლიახვის ხეობა დაჭიროთ და თითქოს ამ პროცესის გამოვლენას წარმოად-

გენდა ფარეჯან-ბაყათარის და „გორს მსხლოშ ოსთა“ რაზმების გამოჩენა ქართველი კულტურული მემკვიდრეობის მიერ თარიღი.

მართალია, უამთააღმწერლის, „ძეგლთა ერისთავთა“-ს და ვაზუშტის მიერ ქართლში ისების მრავალგზისი ხსენება უკეთეს ხდის მათს აქ ყოფნას, მაგრამ მარტო ეს კიდევ არ ქმარა იმისათვის, რომ ისების გამოჩენა ქართლში გავიგოთ მარცდამანიც იმ მიგრაციული პროცესის გამოვლენად, რომელმაც შემდეგში ისების კომპაქტური მოსახლეობა წარმოქმნა ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე.

1290—1320 წწ. ქართლში მყოფ ოსთა წარმომავლობის საკითხი პირდაპირ დავსვით და ვცალეთ გარკვეული პასუხი გაგვეცა მასზე ჩვენს საკანდიდაში დისერტაციაში 1958 წელს⁴³. აქ ჩვენ ეს საკითხი მოყენები გვაქვს განხილული, მაგრამ პასუხი პრინციპულად გარკვეულად არის მოხაზული: ისინი წარმომავლობით დაქავშირებული იყვნენ ზერქა ყავნისგან ლოროლილ და ულუ დავითოან თავეფარებულ წარჩინებულ პირთა მრავალრიცხვოან ჯგუფთან. ქვემოთ უფრო კრიტიკული გავშლით ჩვენს თვალსაზრისს და ამიტომ აქ აღიარას ვიტუვით.

ხსენებული ისების წარმომავლობას შეეხო თავის შრომაში გ. თოვიშვილიც⁴⁴. მისი დებულებები მოყენები ასეთია: „XIII ს. შეა ხანგიდიან ხდება ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლება. იგი ჭერ მშვიდობიანი პროცესია, ვიდრე გადმოსახლებულთა მოწყობის რეგულირება ხერხდება... XIII ს. დასასრულო ისთა ახალ-ახალი ტალღები გადმოდიან ქედს გადმომმა, ლიახვის აუზში — ქართლის რაონებში... ეს პროცესი აღარ შეიძლებოდა შვიდობიანი ყოფილიყო და ამას მართლაც მოჰყვა... სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა...“⁴⁵ პირველ ტალღას მოჰყვნენ ის ისები, „რომლებიც ფარეჯანმა და ბაღათარმა XIII ს. 60-იან წლებში გადმოიყვანეს დარუბანდის გზით და ქართლის სხვადასხვა რაიონებში დაასახლეს“. ხოლო ის ისები, რომლებიც „90-იან წლებში გაშლილ ოპერაციებს გორის მიდამოში დიდი სიძლიერით ახორციელებდნენ“, „ოსთა ახალი ტალღა, რომელიც როკის უღელტეხილით ეშვება დიდი ლიახვის ხეობაში ე. წ. დვალეთის გზით“⁴⁶. XIII ს. მიწურულს მოქმედი ფარეჯან და ბაყათარი ისთა მთავრები კი გ. თოვოშვილს გაივივებული ჰყავს 60-იან წლებში შემოხიზულ მცირეწლოვან ფარეჯანსა და ბაყათართან.

ამრიგად, XIII ს. მიწურულს ქართლში მოქმედი ისები, ნაწილობრივ მაინც (ფარეჯანი თავისი რაზმით და ბაყათარი), გ. თოვოშვილს მიაჩნია საქართველოში XIII ს. 60-იან წლებში შემოსახლებულად, ხოლო ნაწილობრივ კი ახლად გადმოსახლებულად კვკასიონის უღელტეხილებით და ლიახვის ხეობით. ამავე აზრს ავითარებდა ეთნოგრაფი გ. ლზარაშვილიც⁴⁷.

ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია XIII ს. მიწურულს ქართლში მყოფი ისების წარმომავლობა ამავე საუკუნის 60-იან წლებში შემოსულ ისებისაგან (ეს

⁴³ В. Н. Гамрекели, Двали и Двалетия в I—XV вв., Тб., 1961, გვ. 116—117.

⁴⁴ გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი ღრმილი) XIV ს. დამლევამდე), სტალინიზი, 1958. გვ. 171—225.

⁴⁵ იქვე, გვ. 199.

⁴⁶ იქვე, გვ. 202.

⁴⁷ Г. Р. Лазарашвили, О времени переселения осетин в Грузию, см. журн. «Сов. Этнография», № 2, 1966, стр. 104.

დებულება შამოყენებულიც გვაქვს ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში 1958 წ.). მაგრამ მტკიცებას, თითქოს, 90-იან წლებში ოსთა გადმოსახლების ახალ ტალღას პქნოდეს ადგილი, არ ვიზიარებთ, რადგანაც ისტორიულ წყაროებში სამისო საფუძველი არ არსებობს.

ჯერ ერთი, არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა რომელიმე ისტორიული წყაროსი ისების გადმოსახლებაზე 1290-იან წლებში. უკვე ეს ერთი გარემოება საკამარისია, რომ ეკვი დაგვებადოს 1290-იან წლების დასაწყისში ქართლში ოსების გადმოსახლების ვარაუდის საფუძვლიანობაში. ვ. თოგოშვილს ეგცელა 90-იან წლებში ოსების გადმოსახლების „ახალ-ახალი ტალღები“ და მათ წარმოგვიდგენს როგორც „მრავალრიცხვოვანთ“ და „ძლიერთ სამხედრო-ორგანიზაციული თვალსაზრისით“⁴⁸. ლაზარაშვილიც ამბობს 1290-იანი წლების შემდგომ დროზე: „Все новые и новые болны осетин перекатываются через горы и разливаются по Грузии... в конце XIII в. в Карталинин действуют уже большие массы осетин...“⁴⁹.

იბადება კითხვა, როგორ გამორჩა ჟამთაღმწერელს ასეთი დიდი ამბავის მოხსენიები? თუ კი ნაკლებ „ძლიერს“ და უფრო შორეულს (60-იანი წლების) გადმოსახლების ტალღას ახსენებს, რატომდა არ ახსენებს მეტად „ძლიერს“ და გვანდელს, ე. ი. ისეთს, რომელიც მემარიანისათვის უკეთ ცნობილი უნდა ყოფილყო და ქართლის ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ეამ-თავაღმწერლის თხრობა მდიდარია ფაქტებით, თებებიც ბევრჯერ არაინ მოხსენიებული და შედარებით წვრილმან ამბებთან დაკავშირებითაც კი. მატიანეს ასეთ თვისებები დაუგერებელს ხდიან, რომ 90-იანი წლების გადმოსახლების მოუხსენებლობა შემთხვევით ყოფილიყო.

მეტის თქმაც შეიძლება. 1290-იან წლებში ქართლში ოსთა რიცხოვნობას ზემოდასახლებული მკვლევარები აშერად გაზვალდულად წარმოგვიდვენენ. ისტორიული წყაროს — ეამთაღმწერელის — მიხედვით, 1263 წ. ლტოლვილი ოსები განაწილდნენ ორ-სამ ჰუნეტში (ჰმანისი, უინგანი, ქალქი) და 1290—1300-იან წლებშიც ქართლში ასებითად მოქმედებს ოსების მხოლოდ ორი რაზმი: ერთი — ჯერ ფარეგანის შემდეგ ბაყათარის მეთაურობით და მეორე — „გორს მსხვომი ისები“. სხვა ოსების ხენება არ არის. ამრიგად, „გადმოსახლებულთა ახალ-ახალი ტალღები“ ჟამთაღმწერელთან არც ჩანან.

ხაზგასამელია კიდევ ის გარემოება, რომ ეამთაღმწერლის მიერ მრავალჯერ მოხსენიებული ოსები არც ერთხელ არ არიან ლიახვის ხეობაში ლოკალზებული. ოსების ადგილსამყოფლად ისხენიება ჟინვანი, დმანისი, ატენი, გორი, ქალაქი, ზოგადად ქართლი (შიდა), ძამის ხეობა, მაგრამ ლიახვის ხეობის ხენება არ არის და ეს მაშინ, როდესაც ლიახვი უნდა ყოფილიყო (ხენებულ ისტორიკოსთა წარმოდგენით) ჩამოსახლებულ ოსთა დამკვიდრების მთავარი ტერიტორია. არც ლიახვის მოუხსენებლობა მიგვაჩნია შემთხვევით მოვლენად.

1280—90-იან წლებში ოსების ჩამოსახლების და ლიახვის ხეობაში მათი დამკვიდრების მოუხსენებლობა ჟამთაღმწერელთან მიგვაჩნია იმის მანიშნებლად, რომ ასეთ ფაქტს სინამდვილეში არც ჰქონია აღვილი.

მეორე, არსებობს სოლიდური კონტრარგუმეტი: XIII ს. 90-იან

⁴⁸ ვ. თოგოშვილი, ციტ. შრ., გვ. 202.

⁴⁹ Г. Р. Лазарашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

წლებში ოსების ჩამოსახლებას ნ. ბერძენიშვილი ლიახვის ხეობაში გულებული ხმობს. ამ აზრს იზიარებს გ. თოვოშვილიც. მაგრამ ხსენებულმა მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს „ქეღლი ერისთავთა-ს“ ცნობები, რომლის მიხედვითაც, ლიახვის ხეობაში XIII—XIV სს-ში სახლობდნენ მხოლოდ დვალები; ოსების ლიახვი ჩამოსახლების, ან აյ მათი კომპაქტური მოსახლეობის გაჩენის ხსენება სრულიად არ გვხდება. ხოლო დვალები, როგორც ნ. ბერძენიშვილის, გ. თოვოშვილის და ჩვენი გაგებითაც ოსებისაგან ეთნიკურად განსვავებული ტომი იყო.

XIII—XIV სს. მიჯნაზე ქართლის მთიანეთი სრულიადაც არ ჩანს გაუკაცრიელებული. არავის ხეობაში და ხევში სახლობენ მეფე დავით VIII-ს ერთგული მთიულები და მოხევეები; ქსნის ხეობაში — ქსნის ერისთავის ქევშევრდომი ქართველი მთიულები; ხოლო ლიახვის ხეობაში — დვალები. მონალოლთა არა ერთგზისი ლაშერობა მთიულებში 1298—1303 წ. დავით VIII-ს შესაცყრიბად წარუმატებელი დარჩა მთიელთა მედგარი წინააღმდეგობის გამო. მეტიც, 1301 წ. შემოღვმაზე დავით VIII-მ ილაშერა დვალების მონაშილეობით ცხრაზმაში, მოღალატე შალვა ქვენიფნევლის დასსკელად, ხოლო 1303 წ. დავით VIII-მ „ყოველი მთიულით“ ილაშერა თბილისისაჟენ. ამრიგად, აშერაა, რომ ქართლის მთიანეთი XIII—XIV სს. მიჯნაზე არც გაუკაცრიელებულია და იქ არც კომპაქტური ოსური მოსახლეობა ჩანს.

მესამე, თუ 90-იანი წლების დასაწყისში ივარაუდება საქართველოში ოსების გადმოსახლების „ახალ-ახალი ტალღები“, მაშინ იმათ აყრა ჩრდ. კავკასიის დაბლობიდან უნდა მომხდარიყო 80-იან წლებში. მაგრამ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა, რომ XIII ს. 80-იან წლებში ან 90-იანი წლების დასაწყისში ჩრდ. კავკასიის დაბლობის მოსახლეობას თავს დასტეხოდა უჩვეულო გამანადგურებელი დარბევები. ქრონოლოგიურად უახლოესი ფატი, რომელიც გ. თოვოშვილს მოჰყავს, არის ქალ. დედიაკოვის დარბევა მონოლოთაგან 1277—78 წელს⁵⁰. კიდევაც რომ დადასტურდეს დედიაკოვის მდებარეობა ჩრდ. კავკასიის ვაკის ცენტრალურ ნაწილში და მისი მოსახლეობის ეთნიკურად ოსებისადმი კუთვნილება, ეს მაიც არ იყო ისეთი ხასიათის ფატი, რომელსაც შეეძლო გამოწვია გადასახლებათა ახალ-ახალი ტალღების წარმოშობა 1290-იან წლებში.

არსებობს რიგი მოწმობა, რომ ილახები და ისები, რომელთა სახელის ქვეშ ოსებს გულისხმობს ზოგიერთი მკვლევარი, მედგრად და ხანგრძლივად ებრძოლენ მონალოლებს, რომ უფრო გვიან, XIII ს. ხოლო მეოთხედში, ალანების ზოგიერთი წარჩინებული ოქროს ურდოში იყო და მათი რაზმები მონალოლთა ლაშერაშიც შედიოდნენ⁵¹.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ოქროს ურდოს და საილხანოს ყაენთა შორის დაზავების წლებში (1260-იანი წლების ბოლოს, 1290-იანი წლების პირველ ნახევარში, 1300-იან წლებში და სხვა) დარუბანდის გზით

⁵⁰ გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., ვ. 191.

⁵¹ გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., ვ. 187; История Сев. Осет. АССР, М., 1959, ვ. 83; В. Тиценгаузен. Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды. т. II. М., 1911, ვ. 156; Иванов А. И. История монголов (Юнь-ши) об аланах, см. Христианский Вестник, т. II. в. 3, С 16. 1914, ვ. 282—294.

აქლდებოდა ვაჭრებისა და სავაჭრო ქარავნების მიმოსვლა⁵². მონალოთა განვი-
პრეზიდენტი დაბასტურებულია ილინების მონაწილეობა ვაჭრობაშიც⁵³. მაშასა-
დამე, გვაძეს საფუძველი ვიგარაულო, რომ:

1. ალანებისა და იასების ნაწილი შეეწყო მონღოლების ბატონობას და ემსახურება მათ ყავნებს.

2. მიუხედავად დიდი დარბევისა 1220—60-იან წლებში, ჩრდ. კავკასიის უკავშირი აძლინიგნული მოსახლეობა და ქალაქები თუმც კი ჩამომცრობილად, მაგრამ მანიც კიდევ არსებობონ.

3. მონლოლთა შიზეჭით ალანთა საგრძნობმა ნაწილმა ცენტრალურ ჩრდილო კავკასიის ვაკიდან გადაინაცვლა დასაცლეთით ყიჩიმსა და ბალკანითში⁵⁴.

მაშასადმე, ჩრდილო კაცებისი ვაკეზე მონღოლთაგან დამარცხებულ ოსებს თვითი არსებობის შესანარჩუნებლად ჩჩებოდათ სხვადასხვა საშუალება საქართველოში გადასახლებლადაც.

დასასრულ: ილხან-მონლოლთა ბატონობის უღელვეშ მოქალაქი ქართლის ბარი არც შეიძლებოდა სანუვეარ საცხოვრებელ ადგილად მიეჩნია ქართველ მთიელებს, ან მშენმელ ოსმბას. მწარმოებელთა ფენებისათვის, მიწის მუშაკთათვის, გინდ ჩრდ. კავკასიის ბარის ცენტრალურ ზოლში და გინდ ქართლის ბაზში საარსებო პირობები მძიმე იყო, თანაბრად მძიმე იყო მონლოლური გადასახადები და ბეგარები, მათ ხშირ ლაშქრობებში მონაწილეობა, მონლოლთა თვითხებობა და სხვ.

ამრიგად, არ ვცედავთ საფუძველს, რათა 1290-იან წლებში ვივარაულოთ ჩრდ. კავკასიიდან ოსების ქართლში გამდოსახლების „ტალღები“ და მათგან წარმომავლად მივიჩნიოთ, XIII—XIV სს. მიზნაზე ქართლში მებრძოლი და მოთარებელ ფარეგან-ბაყათარისა და „გორს მსხდომ ოსთა“ რაზები.

卷

• •

სხვადასხვა ისტორიული წყაროს მოწმობათა გაცნობა და მათი კომპლექსურად წარმოსახვა სხვარიგად წარმოადგინს ისტორიულ სინაზღაოლის.

შივუბრუნდეთ ქამთაღმწერელს. მან გვამცნ ჰულაგუ ყაენისა და ბერქა ყაენის ლაშქართ ბრძოლა დარტყმანდთან; ჰულაგუ ყაენის მიერ ზაქარია შან-შეს ძეს სპასალარის სიკვდილით დასჭა, თოთქოსდა ღალატისათვის და ბერქა ყაენთა ურთიერთობისათვის; დაბოლოს, მეცე ულუ დაიკითის თბილსს დაბრუნება მონოლოთა ლაშქრობიდან.

ბერქა და ჰულაგუ ყაენთა ბრძოლა ნახსენები არის რაშიდ-ად ღინის, პამდალლაპ ყაზინის თხზულებებში და სხვა წყაროებში. ბერქა ყაენის ლაშერი შირვანში შემოვიდა, მაგრამ ჰულაგუ ყაენის ლაშერმა იგი დამარცხა და გმილევნა თერგის გაღმი მხარემდე. ბრძოლები შამხიის მახლობლად, დარუბანლთან და შემდევ თერგს გაღმა ჯერ ჰულაგუ ყაენის ლაშერს მოვკო. ბოლოს კი თერგს გაღმა ბერქა ყაენის ლაშერმა გაიმარჯვა და ჰულაგუ ყაენის ლაშერი დამარცხებული დაბრუნდა შირვანში. ჰულაგუ ყაენის ლაშერს

⁵² B. Тизенгаузен, *сб.*, 23, 76, 82.

⁵³ История Северо-Осетинской АССР, М., 1959, гл. 83—84.

54 of 30.



სარდლობდა რამდენიმე ნოინი⁵⁵. ყველა ეს ბრძოლა ერთობლივ თარიღდება კავკა-
დროით — 1262 წლის ნოემბრიდან 1263 წ. იანვრის შუა რიცხვებამდე⁵⁶.

ისტორიულ ფაქტთა ამ რიგს უამთააღმწერელთან უშუალოდ მოსდევს
ცნობა: „ამათ უმთა გარდამოვიდეს ბერქს ყაენისაგან ლტოლვილნი დედაკა-
ცი საკვირველი, სახელით ლიმაჩავ და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესა-
ვით ახასარფაკაიანნი პირმშო ფარეჯან და უმრჩვამესი ბაყათარ და სხუანი თა-
ვადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხო-
ლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულოს წინაშე და ყაენმა
შეიშუნარ ფრიად და უბოძა ხარაჯა და მოლაშქრედ და თანამზრობლელად გა-
ნაჩინნა. და ესრულ მეფესთანავე წარმატელინა, ხოლო მეფემან დასხნა რო-
მელნიმე დამანისა და სხუანი უინვანს“⁵⁷.

ამრიგად, ლტოლვილთა მრავალრიცხვობი ჯგუფის მოსვლა აღმოსავ-
ლეთ საქართველოში თარიღდება 1263 წლით.

უცნობი ჩეხება მიზეზი ლტოლვისა და იმ გარემოებათა ხლართი, რო-
მელშიც განხორციელდა ეს ლტოლვა. მაგრამ უამთააღმწერელის თქმა, რომ
დავით მეფესთან მოსულნი იყენებს „ბერქს ყაენისაგან ლტოლვილნი“ და ისინი
მან გაგზავნა ჰულაგუ ყაენთან, მოწმობს, რომ ლტოლვას პოლიტიკური ბრძო-
ლის საჩული ჰქონდა.

უამთააღმწერელის ცნობა მოტანილი ცნობა მოწმობს ლტოლვილთა მრავალ-
რიცხვენობას („თავადნი მრავალნი“, სავარაუდებელია თავის ამალით და ში-
ნაყმებით, „დასხენს“ 2—3 ქალაქებს). თავისი სოციალური ბუნებით ისინი, ჩანს,
ეკუთვნონდნენ სხვადასხვა ფეოდალურ ფერებს (მათ „უბოძეს ხარაჯა“ და „მო-
ლაშქრედ და თანამზრობლელად განიჩინეს“) და არა მწარმოებელთა ფერებს. ლტოლვილთა
ფეოდალურ წრებისადმი კუთვნილება ორგანულად ეთანხმება
იმ გარემოებას, რომ ლტოლვის მიზეზი პოლიტიკური ხასიათის იყო.

ლტოლვილთა ვინაობის უფრო სრული დახასიათებისათვის მნიშვნელოვა-
ნია მათ ეთნიკური კუთვნილების გარკვევაც.

უამთააღმწერელის მოტანილ ცნობში ყურადღებას იქცევს ორი „შვილ-
ნი მცირენის“ სახელები: ფარეჯან და ბაყათარი. 1263 წელს ლტოლვილ მცირე-
წლოვანთა სახელები იგივეა, რაც 1290—1300-იანი წლების „ოვსთა მთავარ-
თა“ ფარეჯანისა და ბაყათარის სახელები. ხომ არ შეიძლება მათი ერთ და
იმავე პირებად მიჩნევა? საესტიო შესაძლებელია; არაფერია ისეთი, რაც გა-
მორიცხავდეს მათი იგივეობის შესაძლებლობას. ითქმის მეტიც. უამთააღმწერ-
ლის თხობის მიზედავით სწორედ რომ საგულვებელია 1263 წელს ლტოლვილ
მცირეწლოვან ფარეჯანისა და ბაყათარის იგივეობა. 1260-იანი წლების „შვილნი მცირე-
ნი“ 1290-იან წლებში 35—40 წლისანი იქნებოდნენ და შეეძლოთ იმ მოქმე-
დების გაშლა, რომელზეც უამთააღმწერელი მოვაითხობს.

ამრიგად, მოქმედების თარიღები და მოქმედ პირთა ასაკები საცებით
შეხამებულნი არიან. დამთხვევა არის სახელების ხმარების თანამიმდევრობა-
შიც: 1263 წელს დასახელებულია ჯერ „პირმშო ფარეჯან“, შემდეგ „უმრ-

⁵⁵ В. Г. Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. II, М., 1941, гл. 74—75, 91—92.

⁵⁶ B. Spuler. Die Goldene Horde. Die Mongolen in Russland 1223—1502, Leipzig 1943, гл. 43; Тизенгаузен, II, стр. 74—75.

⁵⁷ ქრთლის ცხოვრება, II, 1959, ვ. 251.



წამესი ბაყათარ“, 1290-იან წლებშიც ჯერ იხსენიება „ოვსთა მთავარი ფარული ქან“, — უფრო გვიან კი, როდესაც ფარეჯანის ხსენება აღის — „ოვსთა მთავარი ბაყათარ“.

დამთხვევა არის კიდევ იმაში, რომ 1290-იან წლებში ქართლში მყოფ ისებს შორის პირველაციობა ქვეთ ფარეჯანს და ბაყათარს, ხოლო 1263 წელს ლტოლვილთა ჩამოთვლის დროს „შვილნი მცირენი... ფარეჯან და ბაყათარ“ დასახელებულინი არინ „სხვანი თავადნი მრავალნი“—ზე უწინ, რაც აგრძელებ მათი უმაღლესი წარჩინებულობის მაჩვენებელია.

დასასრულ, მეტად ნიშანდობლივად ვთვლით იმ გარემოებას, რომ მემატიანებ საჭიროდ დაინახა ლტოლვილი ორი პატარა ბავშვის პერსონალურად დასახელება, მაშინ როდესაც მიზრდილთაგანს, თავადებაც კი, არც ერთს არ გვისახელებს. ლტოლვილი „შვილნი მცირენი“ თავისთვად მემატიანეს ყურადღებას ვერ და აზ მიიქცევდნენ მათ სახელთან რომ აზ ყოფილიყო და-ავშირებული რამე მნიშვნელოვანი ამბავი.

XIV ს. შუა ხანების ისტორიული — ეამთააღმწერელი, რომელმაც იცოლა, თუ როგორი იყო საქართველოს ბედის ტრიალი XIII ს. მეორე ნახევრი-სა და XIV ს. პირველი 40 წლის მთელს მანძილზე, კერძოდ, ოსთა მთავრების ფარეჯანისა და ბაყათარის და „გორს მსხდომი ოსების“ მოქმედება 1290—1300-იან წლებში, რასაკირველია, ამ პრიზმაში ხედავდა რეტროსპექტულად 1263 წ. ჩრდ. კავკასიიდან დარღვბანდის გზით ლტოლვილთა საქართველოში მოევლასაც.

ასეთ ვითარებაში „შვილთა მცირეთა“ პერსონალურად დასახელება და რიგი ზემოაღნიშნული დამთხვევებისა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ მე-მატიანე ამ ბავშვებს ყავშირებდა სწორედ 1290—1300-იანი წლების ისების ამბებთან და, კერძოდ, „ოსთა მთავრებს“ — ფარეჯანს და ბაყათარს — თვეისი რასახებით თვლიდა 1263 წელს ჩრდ. კავკასიიდან ლტოლვილთაგან წარმომავლად. ამიტომ ეამთააღმწერელის მოტანილი ამონაშერის ყველა განხილული მომენტი და შტრიხი შემთხვევითი ხსიათისად ვერ ჩაითვლება და გამოხატავს მის ისტორიულ კონცეფციის.

ანგარიშგასაწევია კიდევ ის დაკირვება, რომელიც ჰქონდა გ. თოვოშვილს „ქართლის ცხოვრების“ ბრძეს მიერ 1849 წ. გამოცემულ ტექსტზე⁵⁸. კონიექტურა, რომელსაც ის გვთავსობს, აგრეთვე, ადასტურებს 1263 წ. ჩრდ. კავკასიიდან ქართლში მოსულ ლტოლვილთა ოსობას.

1263 წ. ლტოლვილთა ოსობის სასარგებლოდ მეტყველებს „შვილთა მცირეთას“ — ფარეჯანის და ბაყათარის გვარიც — ახასარფაკაიანნი (კითხვა-სხვაობა — „აღსარფაკაიანნი“). „ახასარფაკაიანნი“ კომპოზიტია და ოსურად განიმარტება. „ახსარ“ (axcap) ოსურად ნიშნავს გულადობას, ქველობას, გმირობას და მამაკაცის საკუთარ სახელადაც იხმარება (ანალოგი: ქართული საკუთარი სახელი ქველი), ხოლო „ფაქა“, თუ მივიჩნიეთ იგივე „ფაქა“—დ, ოსურად ნიშნავს ფართეს, გაშლილს (იხ. ლექსიკონები ქს. მილლერის ან ა. კესავევის); შესაძლოა, „ახსარაფაქ“ მამაკაცის ოსური სახელის „ახსარბეგის“ ფონეტიკური სახესხვაობაც იყოს, ხოლო „იანნი“ საგვარეულო სახელის მაწარმოებელი ქართული ფორმანტია.

⁵⁸ გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 195—196; სიტყვა „ორნი“ და რიცხვი შეუთანხმებლობა არის „ქართლის ცხოვრების“ მართამისეულ რედაქციაშიც, იხ. ექ. თაყაიშვილის გმოცემა, 1906, გვ. 688.



აშრიგად, „ახსარფაკაიანნი“ (ც. ოლსარფაკაიანნი) მამის სახელისაგონიშვილის
წარმოები და ქართულად გაფორმებული ოსური გვარის სახელად წარმოგვიდ-
გება და მის მატარებელ პირთა ოსობას გვანიშვებს.

1263 წელს ლტოლვილი ოსების შესახები ციტარებული ცნობა ნაწილობ-
რიც მაინც აღლუნს მათ სოციალურ ბუნებასაც. „ნარაჯის ბოძება“, ქალაქებში
დასახლება, მონლოლთა „მოლაშქრედ და თანამზრილელად განჩინება“, თა-
ვის შემადგენლობაში თავადთა და წარჩინებულთა ყოლა — ეს ყოველივე
მიჩვენებული იმისა, რომ ლტოლვილი იყვნენ არა მიშის მუშავები და მატე-
რიალური დოკუმენტთან მატარებობელნი, არმედ ფეოდალური წრის პირები და
ფეოდალებთან სამსედრო სამსახურით უშუალოდ დაკავშირებულთა ფენა
(წვრილი აზნაურობა და მსახურეულნი). ფეოდალური საზოგადოების სხვადა-
სხვა ფენებისადმი მათი კუთვნილება მით უფრო სარწმუნოა, რომ ისინი იყვ-
ნენ არა მთილები, არამედ ჩრდილო კავკასიის გარის მოსახლენი.

ამავე ნიშნებით ხასიათდებიან ქართლში 1290—1300 წწ. მოქმედი ოსე-
ბის ჯგუფებიც: ფარეგანი და ბაყათარი იწოდებიან „მთავრებად“. ფარეგანი
მეცე დავით VIII-ს დასახლოებული პირია; „მთავარი ბაყათარიც განდიდებულ-
იყო“; ოსებში სხვა წარჩინებული პირებიცაა (სათხი, უზურაბეგ); „გორს
მსხდომი ოსებიც“ სამხედრო პირები არიან; მონლოლთა სხვადასხვა ლაშქრო-
ბის დროს ყველა ჩამოთვლილი ოსი გვევლინება „მოლაშქრედ და თანამზრ-
ძოლელად“.

აძრიგად, 1263 წ. ჩრდ. კავკასიიდან ლტოლვილთა და 1290—1320-იან
წლებში ქართლში მომქმედ ისთა შორის პირდაპირი კავშირი და მემკვიდრეო-
ბითობა მრავალმხრივ ვლინდება. ეს გარემოება, ჩანს, თავის დროზე იქ. ჭავ-
ესშვილის და ნ. ბერძნენშვილის ყურადღებას გამორჩია. ამტომ უმთააღმ-
წერლის მიერ 1290—1300-იანი წლების ამბებობა დაკავშირებით მრავალგზის
დასახელებული ოსების წარმომავლობა გაუგებარი რჩებოდა და მის ასახსნე-
ლად მათ მოიშველიეს მოსაზრება 1290-იანი წლების დასაწისში ქართლში
ისთა შემოსევაზე თუ გაღმოსახლებაზე. ამ მოსაზრებას შედეგ დაემატა მე-
ორე მოსაზრება, რომ ოსები მოდიოდნენ ლიანების ხეობით და ლიანების ხეო-
ბაში დასახლდნენ. და ბოლოს ეს დაგვირგვინდა მტკიცებით, თითქოს, თანა-
მედროვე სამხრეთ ოსურ მოსახლეობას ქართლის მთიანეთში დასაბაზი მის-
ცეს სწორედ მაშინ (XIII—XIV სს. მიჯნაზე) ლიანების ხეობაში დასახლებულ-
მა ოსებმა. პირველი მოსაზრების მცდარობის დადგენა ავტომატურად საფუძ-
ველს აცლის მეორე და მესამე მტკიცებას.

მაგრამ თქმული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოდა 1290—1300-იანი წლე-
ბის ოსები მთლიანად და მხოლოდ 1263 წ. ლტოლვილ ოსთავან წარმომავ-
ლობდნენ. ზემო ნათევამით დგინდება 1290—1300-იანი წლების ოსთა მხო-
ლოდ ძირითადი და უმეტესი ნაწილის წარმომავლობა 1263 წ. ლტოლვილ
ისთავენ. მცირე ნაწილი კი, შესაძლოა, შემდეგ გაღმოსახლებულებსაც შეედ-
გინათ. მეზობლად მოსახლე ხალხების ცხოვრებაში ჩევულებრივი მოვლენაა
მცხოვრებთა ერთეულების და მცირე ჯგუფების ერთმანეთში გადასვლა-გად-
მოსვლა. ეს ეთნიკურ-დიფუზური პროცესის გამოვლინებაა. ამ პროცესს, რა-
საკირველია, ადგილო ექნებოდა ქართველთა და ისთა ურთიერთობაში XIII—
XIV სს. მიჯნაზეც. ამტომ, სავარაუდებელია, რომ 1263 წელს ქართლში დაბი-
ნავებულ ოსებს შემდგომში უნდა შემატებოდათ ჩრდ. კავკასიიდან ცოტ-ცოტა
ისების რაღაც რაოდენობა. მაგრამ წინააღმდეგ გ. ოფოშვილის, გ. ლაზარა-



შვილის და სხვათა აზრისა, ეს შენამარი არ ატარებდა გადმოსახლებათა „ტაროკონცენტრული დეპის“ ხასიათს და დამკაიღრებული იყო არა ქართლის მთიანეთში, არამედ ქართლის ბარში.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ 1263 წელს ქართლში ოსების გადმოსულა არ იყო „მთიელთა ბარში ჩამოწოლის“ გამოვლენა, არ იყო კავკასიის ხეობებში მიწის სივიწროვით შეწუხებული მიწის მუშაქთა მიგრაციის პროცესის გამოვლენა. ეს გადმოსახლება წარმოგვიდგება როგორც ოსი ფეოდალების ერთერთი ნაწილის პოლიტიკური ემიგრაცია. მართალია, ეს იყო ემიგრაციის შედარებით მძლავრი ტალღა, მაგრამ თავისი არსით მინც პოლიტიკური ემიგრაციის ტალღა, ე. ი. პოლიტიკური (და არა სოციალურ-ეკონომიკური) მიზე-ზებით შეპირობებული გადმოსახლება.

ანალიგიური შემთხვევები კავკასიის ხალხთა ისტორიიდან მრავალია ცნობილი. საქართველოს წარსულიდან: ნერსე ქართლის ერისთავის (VIII ს. ბოლო მეოთხედში) ხაზარეთსა და აფხაზეთში წასვლა, ირაკლი I-ის, არჩილ II-ის, ვახტაგ VI-ის თავთავიანთი აბალებით წასვლა რუსეთს; ოსების შინაპოლიტიკურ ბრძოლაში დამარცხებულთა მრავალიც ხუფის ჩამოსახლება ცხრაზმის ხევში („ძეგლი ურისთავთა“-ს მიხედვით); ჭებე და სუბუდაის ლაშქრისაგან 1220-იან წლებში დამარცხებული და დარბეული ყივჩაყანაში ინილის ლტოლვა ჩრდილო კავკასიიდან დარღვანდის გზით და განხის მიდამოებში დამკაიღრება (ინ-ალ-ასირის მიხედვით) და სხვა. ჩიგი მაგალითებისა მოყვანება სომები ხალხის წარსულიდანაც.

გადასახლების პოლიტიკურ-ემიგრაციული ხასიათით თიხსნება ის გარე-შეება, რომ ოსებს ეპყრათ არა კომპაქტური ტერიტორია, არა კავკასიონის სამხრეთი ხეობები და მთები, არამედ აქა-იქ შილა ქართლის ბარში დაბები და ციხეები. უმთავრმწერელი რომ არ დავიმოწმოთ კვლავ, ვახუშტიც ხომ წვრის, რომ „მძლავრობდნენ ავსნი ქართლს და დაეყრათ აღგილ-აღგილთა დაბნები და ციხენი“. საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ბროსეს შეირ 1849 წ. გამოცემული ნუსხით, მოსული ლტოლვილნი დავით მეტემ დაასახლა ქალაქში, დანანიში და უინგაში. ხოლო ჰალაშვილისეულ და ჭანა-შვილისეულ ნუსხების მიხედვით, მოსული ლტოლვილნი მეუე დავითმა „დასხნა რომელიმე დამანისსა და სხუანი უინგას და ესრეფ განპყო აღგილით — აღგოლად“. მოტანილი კითხვა-სხვაობანი დედობეულიც რომ არ იყოს და გადამწერთა ინტერპოლაციას წარმოადგენდნენ, მაჩვენებელია მაინც იმისა, რც როგორ წარმოედგინათ XVII—XVIII სს. გაღმმწერებს ლტოლვილ ოსთა გნისახლება.

*

*

რამ გამოიწვია ოსთა მიერ გორის დაჭერა, ქართლის „რბევა და ტყუენვა“, ბაყათარის მიერ აზნაურთა „განსხმა მამულისაგან“ და სხვ. მსგავსი აქციები? რამ შეაპირობა ეს მოვლენები? რა მიზეზები და სტიმულები მოქმედებნენ აქ?

ამ საკითხს შეეხო არა ერთი ავტორი ჭერ კიდევ XIX ს-ში და შემდეგაც. უკანასკნელად (1958 წ.) კი მას შედარებით ვრცლად შეეხო გ. თოგოშვილი⁵⁹. შეერ დავემაყოფილდებით მხოლოდ მის მიერ გამოთქმული ზოგირთი შეხედულების შეფასებით.

⁵⁹ გ. თოგოშვილი ი. დასახ. ნაშრ., გვ. 199—210.

განიხილა რა პფაფის, დ. ლავროვის, გ. კოეივის შეხედულებები  თქოს სახები კმაყოფილებით შეხვდნენ მონღოლთა შემოსევებს და მონღლურულებას ში მიიჩნიეს ქართველ ფეოდალთა ბატონობისაგან თავის განმათვისუფლებულ ძალად; თითქოს ოსების მიერ გორის დაკავება იყო ქართველ ფეოდალთა ბატონობისაგან მათი განმათვისუფლებელი ბრძოლის პირველი აქცია და სხვ. მსგვ.), გ. თოვოშვილმა დასკვნა: „აღნიშნულ ისტორიუსთა თვალსაზრისით აშკარად ანტიმეცნიერულია“⁶⁰. ჩვენ ვიზიარებთ ამ დასკვნას. ხსნებულ ავტორთა კონკურენცია სრულიად მოკლებულია რამე საფუძველს ისტორიულ წყაროებში. ოსთაგან გორის აღების ფაქტის მათი კომენტარის ნაძალადევი და მთხველობითი ხსიათი იგრძნობა პირველ წაკითხვისთანავე. ამიტომ მათ გამონათქვამთა ანალიზს ზედმეტად ვთვლით.

მართალია გ. თოვოშვილი და ზოგიერთი სხვა მკვლევარი, როდესაც ამ-ბობენ, რომ ოსების „ურთიერთობა ქართველებთან მონღოლების მიერ ხელოვნურად მწვადებოდა“⁶¹.

მაგრამ ზოგ საკითხზე გ. თოვოშვილის მსჯელობას საღლეისოდ შესაძლებელი და საჭირო მეცნიერული სიმაცრე აქლია. ამის გამო ქართლში ოსების ბრძოლის სოციალური ბუნების თოვოშვილისეული განმარტება ვერ მიიჩნევა დამაკმაყოფილებლად, ხოლო, ნაწილობრივ, ის ისტორიული წყაროების ცნობების აშერა შეუსაბამოც კი არის.

გ. თოვოშვილმა თვითნებურად დაუშვა 1290-იან წლებში ოსთა გადმოსახლების „ახალ-ახალი ტალღების“ არსებობა, ხოლო გაღმოსახლებული „ოსთა მახები“ წარმოგვიდგინა სოციალურ ნიშნებს მოკლებულად. ის ლაპარაკობს, რომ „ოსთა მახები მიმართულია ქართველი მიწათმფლობელი არისტოკრატის წინააღმდეგ“ (გვ. 199), რომ „მტრობა არსებობს... ქართველ მიწათმფლობელ აზნაურ-დიდებულთა გარკვეულ ჭგუფსა და ოსთა შორის“ (გვ. 201), რომ „ოსებს ცეკვაზე ძლიერ წინააღმდეგობას უშევდნენ ქართლის ერისთავები — სურამელები, რაღაც მათ მამულზე ხდებოდა ოსთა დასახლება“ (გვ. 209). ის განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს „მეფის“ და „გლეხობის“ დამკიდებულებას „ოსებისადმი“ (გვ. 199—200, 210). ამრიგად, გ. თოვოშვილის მსჯელობაში წარმოგვინილი არიან, ერთს მხრივ, საქართველოს მეფე, აზნაურ-დიდებულები და მიწათმფლობელები, გლეხები, ხოლო მეორის მხრივ — „ოსები“. მაგრამ ვინ არიან ეს „ოსები“ სოციალურ-კლასობრივად? ამაზე ივტორმა გარკვევით არაფერი თქვა. ის მხოლოდ ყრუდ ამბობს, რომ ქართულ სოციალურ ურთიერთობათა დონესთან შედარებით, გაღმოსახლებული ოსები სოციალურ-კლასობრივად იყვნენ ნაკლებ განვითარებული. არც ის ჩანს — იყვნენ ეს „ოსები“ მთიელები, თუ ჩჩდ. კუკასის ბაზილან აყრილები. ერთი სიტყვით, გ. თოვოშვილის ნაშრომში ხშირად ხსენებული „ოსები“ სოციალურად ამორფული მასაა, ეს მსჯელობის მეთოდოლოგიური გაუმართობაა.

ამის გამო, გაურკვეველი რჩება ამ „ოსების“ მიერ წარმოებული ბრძოლის სოციალური ბუნებაც. გ. თოვოშვილის გაგებით, „მტრობა არსებობს ქართველ მიწისმფლობელ აზნაურ-დიდებულთა გარკვეულ ჭგუფსა და ოსთა შორის. მათგან პირველნი უკანასკნელთ დასასახლებელ ტერიტორიას არ აძლევენ და ამ ნიადაგზეა გაშლილი ბრძოლა“⁶² და თითქოს ბაყათარის ძირითა-

60 გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

61 იქვე, გვ. 208.

62 იქვე, გვ. 101.



დი მიზანი იყო „ოსთავეის მტკიცე დასასახლებელი ბაზის შექმნა ქართლში“⁶³ ბრძოლა მიმდინარეობდა „მამულისათვის“, მტკიცე დასასახლებლად ქართლში⁶⁴. მაგრამ გ. თოვოშვილი ორაფერს ამბობს, თუ როგორ დასახლებას გულისხმობს ის, მიწათმფლობელობის რა ფორმისათვის მიმდინარეობდა აქ ბრძოლა. შუა საუკუნეებში დასასახლებლად მიწა ხომ ყველას ჭირდებოდა: გლეხსაც, ხელოსანსაც, აზნაურ-დიდებულსაც და ვაჭარსაც კი; და მიწის მფლობელი ხომ თვით ცდილობდნენ თავის მამულში მიწის მუშაქთა დასახლებას გარევეული პირობით.

ზოგადი თქმა, რომ ოსები იბრძოდნენ „დასასახლებელ ტერიტორიისათვის“, „დასასახლებელი ბაზის შექმნისათვის ქართლში“ ხასს უსვამს ბრძოლაში მხოლოდ ტომობრივი სხვაობის არსებობას და მიშვნელობას. რასაკვირველია, ეს მომენტი თავისებურ როლს ასრულებდა ამ ბრძოლაში, მაგრამ ბრძოლას ტომობრივ მომენტან ერთად გარევეული სოციალური შინაარსიც უნდა ჰქონდა. ბრძოლის ეს უკანასკნელი მხარე გაურკვეველი დარჩა გ. თოვოშვილის ნაშრომში.

* * *

წინა პარაგრაფში დასმული კითხვის საპასუხოდ ისტორიული მასალა კვაძლევს საფუძველს კოქვათ შემდეგი: ქართლში დამკვიდრების პირველი 27 წლის (1263—1290 წწ.) მანძილზე ისების სხენება „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ უამთააღმწერლის ტექსტში არ არის⁶⁵. უამთააღმწერელთან მათი სხენება განახლდა 1290-იანი წლების დასაწყისიდნაც და გრძელდება პატარ-პატარა ინტერვალებით 1320-იან წლებამდე, რის შემდეგაც მათი სხენება ქართულ ისტორიულ წყაროებში საერთოდ წყდება.

ქართლში მომქმედი ოსების ძირითად ბირთვს წარმოადგნდნენ ისინი, ეინც 1263 წ. გაღმოსახლდა ქართლში და მონღლოლთა სამხედრო სამსახურში ჩადგა. სოციალურად ისინი იყვნენ ფეოდალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ პირთა კრებადობა. მათვან შედგა მთავრების ფარეგანისა და ბაყათარის და „გორს მსხდომთა“ რაზმები. ესენი ეწეოდნენ მონღლოლთა „მოლაშქრეობას და თანამბრძოლელობას“, რაც იყო მათი მთავარი ოფიციალური (სოციალურ-პოლიტიკური) ფუნქცია. ასეთი დანიშნულება განსაზღვრავდა მრავალმხრივ ფარეგან ბაყათარის და „გორს მსხდომი ისების“ რაზმთა სოციალურ მდგომარეობას ქართლში და, კერძოდ, მათ დამოკიდებულებას ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფეხებისადმიც.

ამ დამოკიდებულების ხსასათვის ამოსაცნობად უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებური პირობები, რომლებიც სუფევდა აღმოსავლეთ საქართველოში 1290—1320 წწ. მაგრამ ამისათვის მხოლოდ საკუთრივ ადგილობრივი პირობების გათვალისწინება არ კმარა. აღმ. საქართველო ამ დროს იღხან-კაენთა ხელისუფლებს ექვემდებარებოდა. ამიტომ უთუოდ გასათვალისწინებელია იმ ხანად იღხანთა სამფლობელოში მიმდინარე საერთო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებიც.

⁶³ გ. თოვოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

⁶⁴ იქვე, გვ. 204, 205.

⁶⁵ მაგრამ ისინი ისენი ისენინებიან 1268—1269 წლების ამბებთან დაკავშირებით ფ. გორგა-ჯანიძის ისტორიულ თხზულებაში. ამაზე იხ. სტატიის ბოლოში.

XIII ს. მეორე ნახევარში და XIV ს. პირველ მესამედში აღმოს. მაგრამ თუ ლო თუმც კი მონღოლთა (ჰულაგილების) ბატონობის ქვეშ იყო, მაგრამ ამასთანავე გარევეული შინაგანი ივტონომით სარგებლობდა. ამის გამო ემიგრირებულ ოსებს ქართლში დახვდა ხელსუფლების ორი დამოუკიდებელი სისტემა: ერთი, ქართული ფეოდალური ორგანიზაცია მეფის მოთავეობით, მეორე — მონღოლთა სამხედრო გარნიზონები და ნოინები, რომლებიც ილხანთა (ჰულაგილების) ბატონობის განმასახილებლები და დამცველები იყვნენ. ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირებულობა იყო მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა იმ დროის ქართლში.

ლტოლვილი ოსები თავიდანვე არსებითად მონღოლთა სამსახურში ჩადგნენ. ყაენისგან მათვის „ხარაჭის პოძება“, „მოლაშერეობის და თანამდროლეობის“ დაკისრება და ქალაქებში დასახლება (დმანისი, უნგარი, შემდგე გორი) ცხადს ხდის, რომ ისინი მონღოლთა სამსახურში იღვნენ და ქალაქების გარნიზონების ნაწილებს შეაღებინენ.

Затем вновь узаконено было взыскание с тагаров налога на землю и имущество. Важно отметить, что введение налога на землю и имущество в Китае было неслыханным явлением. В то время как в Европе налоги на землю и имущество были распространены, в Китае это было необычно. Важно отметить, что введение налога на землю и имущество в Китае было неслыханным явлением. В то время как в Европе налоги на землю и имущество были распространены, в Китае это было необычно.

⁶⁶ И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., М.—Л., 1960, стр. 352.

67 И. П. Петрушевский, *Фасб.* №78, 33. 383; *иб.* №79/3 33. 370; Али-Заде, *Фасб.* №78, 33. 230—232; Бабаян, *Фасб.* №78, 33. 261—262.

⁶⁸ გრიგოლ აკანცელი, მოისართა ტომის ისტორია, გმომტ. ნ. შოშიაშვილი, ობ., 1961, გვ. 12, 29.

⁶⁹ Али-Заде, Համակ. Եակ., 83. 170.

нялись воинами... Тагар и способы его взимания являлись одной из основных причин разорения населения деревень и городов на протяжении всего XIII—XIV вв.⁷⁰.

1310 წლის აბლო ხანს ქალქ ანიში გამოქვეყნებულ ერთ ბრძანებაში იღხანი აბუსაიდ ყაენი აცხადებდა, რომ ანიში და საქართველოს სხვა მხარეებში თურმე სრულებით თვითონებურად და უკანონოდ მრავალი სხვადასხვაგარი გადასახადი იყრიცებოდა. მას გამო „ქვეყანა გაოხრდა, მდაბით ხალხი გაიფანტა“⁷¹. უმთააღმწერელიც გვამცნობს 1270-იანი წლების ერთ ფაქტს, რომ მონლოლთა ლაშქრის არამტრული მიზნითაც კი გველა სომხითა და ქართლზე „დიდად აენებდა ქუეყანათა, დაღათუ არა ბოროტის მყოფელი, არამედ საზრდელისა დალით დიდად დასპირდა ქუეყანასა“⁷².

რაშიდ-აღ-დინის თხზულებიდან ცხადად ჩანს, რომ იღხანთა სახელში-ფუში სრულიად მოუწესრიგებელი იყო აღშქრის რჩენა-შენახვის საქმე. ხოლო 1290-იან წლებში იღხანთა სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო ვითარდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, სოფლის მეურნეობა დაცემული იყო. მას კიდევ უფრო უნდა გაემწვევებინა ის სიძნელეები, უწისივრობანი. რომლებიც დაყავშირებული იყვნენ ლაშქრის შენახვასა და გადასახადთა აქრეფასთან.

ლტოლვილ ოსთაგან შემდგარი რაზმები, როგორც არა მკვიდრი მოსახლენი და „თანამბროლუნი“, ჩაყენებული მონლოლ მოლაშქრეთა მდგომარეობაში, იძულებული იყვნენ თავი ერჩინათ ქართლში აკრეფილი გადასახადებით. ესაა საფუძველი მრავალგვარი კონფლიქტისა. აქ არის სწორედ საძებარი ის სოციალურ-ეკონომიკური მიზნები, რომლებმაც გამოიწვიეს ქართველ დიდებულთა და ნინითა დაპირისპირებულობა სამეფო ტახტზე კანდიდატის შერჩევაში (დავით VIII თუ ვახტანგ II?) და გამოიწვიეს „მტერობა ქართველთა და ოვსთა“ (რამაც თავი იჩინა უკვე 1290—92 წლებში).

მტიგად, ოსი რაზმების მოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრული ფაქტორი იყო მათი, როგორც მონლოლთა „მოლაშქრეთა და თანამბროლულთა“, არსებობის პირობები. მათ მოქმედებაზე განმსაზღვრული გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს შინაგან სოციალურ-პოლიტიკურ პირობებსაც. ამ პირობებზე იყო დამოკიდებული ბევრად, თუ რამდენად შესძლებონენ ეს რაზმები თავისი თავის გამომჟღვევებას.

ვიდრე ქართულ და მონლოლურ ხელისუფლებათა უმაღლეს ინსტანციებს შორის თანამობა დაცული იყო, საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, ერთგვარად მაინც ორგანიზებული რჩებოდა. ფეოდალური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომარ და მათ შორის ოს ფეოდალებსაც თვითნებური მოქმედებისათვის არ რჩებოდათ ასპარეზი და მათ რამე პატიკულარული როლის შესრულება საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეეძლოთ.

ოსების ქართლში გაღმოსვლის და აქ ქალქებში დაბინავების მომდევნო წლები და ღიმიტრი თავდადებულის მეფობის წლები (1271—1289) სწორედ ასეთი ხანა იყო. ქართულ სამეფო ხელისუფლებასა და მონლოლთ შო-

⁷⁰ Али-Заде, დასახ. ნაშ., გვ. 232; ა. აგრესი, Рашид-ა-д-дин, Сборник летописей, т. III, Баку, 1857, стр. 281, 290.

⁷¹ საქართველოს ისტორია, I, დამხარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 246.

⁷² ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 277.



რის გარეგნულად მაინც თანხმობა სუფევდა; მეფე დიმიტრი ახერხებდა შენარჩუნებას. ამიტომ ოს ფეოდალთა რაზმებს არ ჰქონდათ ოფიციალური (მონლოლური თეალსაზ-რისით) საბაზი და სანქცია სამხედრო მოქმედებისათვის შიდა ქართლში. ამასთან, როგორც ახლად მოსულთ, შემოხიზულთ ერთგვარი რიდი და უცხო-ობის გრძნობა უნდა დაპყოლოდათ ერთხანს მაინც. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ უამთააღმწერელი 1264—1290 წლებში ოსებთან რაიმე კონფლიქტებს არ ახსენებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქ იყვნენ ნამდვილად.

განვლილ ათეულ წლებში (60—80-იანი წლები) ოსები ქართლში დაბი-ნავდენ, გაშინაურდენ, ცოტა მომრავლდენ (ბუნებრივი და მექანიკური ზრდა). განვითარების ბუნებრივ მსვლელობას უნდა გამოეწვია მათი მო-თხოვნილებათა გაზრდაც.

მეფე დიმიტრი II-ის სიკვდილით დასჯის (1289 წ.) მომდევნო წლებში ქართლის შიდაპოლიტიკური ორგანიზებულობა რღვევას იწყებს. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე 1289—92 წწ. ორი პრეტენდენტია — ვახტანგ დავით ნარინის ძე და დავით დიმიტრის II-ს ძე, მონლოლთა ნოინებმა და ქარ-თლის ფეოდალური წრეების უმრავლესობამ შექმნეს ურთიერთ აშერად და-პირისპირებული ბანაკები. ოს ფეოდალთა რაზმები, განაგრძობდნენ რა მონ-ლოლთა „მოლაშქრეთა და თანამშროოლელთა“ ფუნქციის შესრულებას, თა-ვის სამსახურებრივი მდგომარეობით ვალდებული იყვნენ დაპირისპირებოდ-ნენ მათ, ვინც ქართლში უპირატორდებოდა ნოინებს, ე. ი — ქართლის აზნა-ურ-დიდებულებს. ეს მათ გარევეულ სოციალურ წარმატებასაც უქადა.

ქართლის შინაპოლიტიკური რღვევის ვითარებაში ოს ფეოდალთა რაზ-მებს მიეცათ საშუალება გაეშალათ თავიანთი მოქმედება. სახელმობრ, 1292 წელს, ქართლში უმეფების პერიოდში, როდესაც ქვეყანას მხოლოდ ერისთა-ვი და აზნაურები ჰყავდა პატრიონად, უამთააღმწერელის სიტყვით, პირელიად „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქა-ლაქი გორი წარტყუენს და თვისად დატყირეს ოვსთა“, რასაკვირველია, მონ-ლოლთა წარტყუენით თუ მხარდაჭერით. გორის „წარტყუენა“ იყო არა მხო-ლოდ მარჯვე სტრატეგიული პოზიციის დაჭერა, არამედ დიდი შემოსავლიანი (ხარაგა) ადგილის დაჭერაც. შემდეგშიაც მეფის ხელისუფლება დიდად არ მცდავნდება, რადგანაც დავითი „უმეტესთა უამთა იყენის წინაშე ყაენისა“. ამი-ტომ ქართლელ და ოს ფეოდალთა შორის შტრინბა და კონფლიქტი გრძელ-დება.

ქართლის შინაპოლიტიკური მდგომარეობის შემდგომი გამწვავების (და-ვით VIII-ის განდგომა) პარალელურად სულ უფრო და უფრო მძაფრდება კონფლიქტი ოს ფეოდალთა რაზმებთან. 1300 წ. მთავარი ბაყათარი მეგზუ-რობს მონლოლთა ლაშქარს მთიულეთში განდგომილ დავით VIII წინააღმდეგ, ხოლო 1302—1303 წწ. ამბებთან დაკავშირებით უამთააღმწერელი ამბობს: „უმძვინვარესად ახტებდა ბაყათარ ქართლსა და იყო ჭირი დიდი მკეიდრთა ქართლისთა“. სწორედ ამ წლებში ხდება „განსხმა მამულისაგან აზნაურთა“. მაგრამ ეს ხდებოდა არა თითქოსდა ქართლს მოწილილი გადმოსახლებულ ოსთა ტალღების გამო და მათ მიერ (გადმოსახლებულთა ახალ-ახალი ტალ-ღები არ ყოფილა), არამედ იმის გამო, რომ ქართლის და სომხითის აზნაუ-რობა იყო ის სოციალური ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა გამდგარი დავით VIII. ამიტომ მონლოლები, ბუნებრივია, დავით VIII-ის ერთგული აზნაურე-



ბის მიმართ რეპრესიას მიმართავდნენ. ამიტომაც იყო, რომ ბრძოლის გახუკავშირი
გრძლივების გამო აზნაურ-დიდებულთა ნაწილი დაეთხოვა დავით მეფეს, რა-
თა თავის მამულებისათვის პატრიონბა გაუწია. მონღოლები ამით მოწინააღ-
მდეგ პოლიტიკურ ძალას — აზნაურობას ანადგურებდნენ, ქართლის წინააღ-
მდეგობას, ურჩობას სტენენენ და იმორჩილებდნენ მას. მაგრამ ოსი ფეოდა-
ლები მარტო აოხრება-დარბევას არ სჯერდებოდნენ. მათ ისარგებლეს ქართ-
ველთა და მონღოლთა შორის ბრძოლის გამწვავებით და „განასხმიდენ მამუ-
ლისაგან აზნაურთ“. თვით ეპატრიონებოდნენ ამ მამულებს და სოციალურ აღ-
ზევებას აღწევდნენ. იქერდნენ რა ქართლის აზნაურთა მამულებს, ამიტოდან
შემოსავალი („ხარაგა“) ამ მამულებიდან და ციხეების მიმდგომი სოფლებიდან
უნდა შემოსვლოდ ის ფეოდალებს. ამიტომაც მამულებისაგან აზნაურთა
განსხმის მოთავე „მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო“. ე. ი. ოსი ფეოდალები
მონღოლთა მოკავშირეობის გამოყენებით ისწრაფოდნენ ქართლის ბარში დამ-
კვიდრებას⁷³.

ასე უნდა გავიგოთ უამთააღმეტერლის სიტყვები, რომ გორი „თვისად დაი-
კირეს ოცთა“ (გვ. 296), რომ „მთავარი ბაყათარ... განსხმიდა მამულისაგან
აზნაურთ“ (გვ. 316), რომ ბაყათარმა „წარილო ციხე ძამისა“ და „შევიდა ცი-
ხესა“ (გვ. 317). ეს საქმიანობა საკუთრივ ის ფეოდალთათვის სასარგებლო
იყო, მაგრამ მეტად ცუდი იყო ქართლისთვის. ოს ფეოდალთა სეთი „მოლვა-
ზეობა“ არღვევდა საქართველოს მიწა-წყალზე ქართული სახელმწიფოებრი-

⁷³ ამგვარი ტენდენციის გამოვლინებაში გარკვეული როლი უნდა ჰქონდა ისევ იმ სა-
ერთო სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებსაც. რომელმაც თავი იჩინეს ილხანთა სახელმწი-
ფოში 1300 წ. ხელო.

ი. პეტრებულები ითვალისწინებს რა რიგ ისტორიულ წყაროთა მოწმობებს, აღიარებს
სხევბანან ერთად, რომ 1290-იან წლების შუადე სოფლის მეურნეობა მეტად დიდ დაცემუ-
ლობას განიცდიდა, ხოლო XIII—XIV ს. მეჩნევა დაგილი ჰქონდა ამ სფეროში ერთგვარ
გარდატებას. ყაზან ყავნა დასახა და განახორციელა რიგი რეფორმებისა, რომელთაც ხელი
უნდა შეეწყოთ სოფლის მეურნეობის აღმაღლობისათვის, და XIV ს. პირველ წლებში მარ-
თლაც აღგილი მჭიდრა სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მიწათმოქმედების ერთგვარ აღ-
მაღლობას (И. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 67, 77, 83, 84, 90, 92). ამიტომ
შემთხვევითი არ იყო, რამდენად-დინი რომ წერდა XIV ს. პირველ წლებში: „в настоящее время
большая часть воинов страстно желает иметь поместья и (вести) земледелие“ და ასასან
დაკავშირებით დაწესდა მონაშერებზე მიწების ფართოდ გადაცემა იქტის რიგით სარგებ-
ლობასთვის (რაშიდ-ალ-დინი, დასახ. ნაშრ., გვ. 7).

რასაცემულია, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესი როგორიც და პროცესები, რომელიც დამოწ-
მებული არიან ილხანთა სახელმწიფოს ცენტრალურ მხარეებში არ შეიძლება მექანიკურად
და სრული მოცულობით ვიგულოთ საქართველოშიც. მაგრამ, უკველია, რაღაც ღონისძიებით
საქართველოშიც ექნებოდა მათ თავისი გამოძახილი. ის გარემოება. რომ მიწას ფასი დაე-
ცო, მიწათმოქმედება ჰქონდებოდა ეკრანებზე განვითარდა, გასაცემო სდის, თუ რატომ სწორედ 1300-იან
წლებში აღმდრა ის ფეოდალებს სურვილ დაატრინებოდნენ ქართლში მამულებს და ბი-
ნალიან მკედრი მეურნეობა დაგაუზრუნველინა.

ამრიგად, XIV ს. პირველ წლებში ბაყათარის მიერ აზნაურების „განსხმის მამულისაგან“
ჰქონდა თავისი პოლიტიკური მიზნები (განდგომილი მეფის ერთგული სოციალური ძალის
განადგურება) და თავისი სოციალურ-ეკონომიკური მიზნები (გარდატება XIII—XIV ს.).
მინაშენ სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების მდგომარეობაში და მოლაშერე-
თათვის იქტის მიწების მიერმა). ასეთი ისტორიული ვითარების ფონზე ნათლად ჩანს რამ-
დენად ნაძალადევი და გაუმართლებელია ცდა ისთა პიპოორები მიგრაციით ასხსნას ფა-
რენ-ბაყათარის და „გორს მსხდომი ისთა“ რაზების გამოჩენა და მოქმედება ქართლის
ბარში.



ობის სტრუქტურულ ელემენტებს, ანაღგურებდა ქართული სახელმწიფო პრიმიტიული მაორგანიზებელ ძალას — ქართულ ფეოდალურ ორგანიზაციას და შონბლოლთა ბატონობის წინააღმდევ მის ბრძოლის უნარიანობას ასუსტებდა. ეს იყო ხელის შემართება ქართული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის და-სარვევად, ნაწილობრივ მაინც. შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

აქ დასმული იყო ქართლის არა მხოლოდ პოლიტიკურ დაქვემდებარების, დაბევგრის და დახარკვის საკითხი; ოსი ფეოდალები იბრძოდნენ იმი-სათვის, რომ ქართლელი აზნაურობა სოციალურად გაენადგურებინათ და მათი აღილი თეოთონ დაეჭირათ, რომ ქართლის აზნაურ-ფეოდალთა მი-წამიფლობელობა ნაწილობრივ მათ ხელში გადასულიყო.

სწორედ ეს სოციალური მომენტი იწვევდა, ჩვენი გაეგბით, ბრძოლის „დაუნდობელ და შეურიგებელ ხასიათს“, რომელიც, ნ. ბერძენიშვილის დაკურვებითაც, ახლდა ოსი და ქართლელი აზნაურობის ურთიერთბრძოლას.

*
* *

ხომ არ ეწინააღმდეგება ფარეჯან-ბაყათარისა და „გორს მსხდომ ისთა“ რაზმების სახელთან დაკავშირებულ მოცელენათა წარმოდგენილ ინტერპრეტაციას სხვა ქართული წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი მოწმობანი? ისეთი წყაროების რიგს, რომელთაც აქვთ ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ღირებულება, წარმოადგენნ „ძეგლის დება“, „ძეგლი ერისთავთა“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“. ამ ძეგლებში ყველაზე აღრინდელია „ძეგლის დება“. აქ გიორგი V ბრწყინვალეს მიერ არავის — ქვეის — ქსნის ხეობათა შემოვლაზე თხრობაში ოსები არსად არ არიან მოხსენიებული; არ არის ხსენება არც რაიმე მიგრაციულ პროცესისა და არც გარეშე ძალის შემსევისა. მოხსენიებული არაან მხოლოდ ქართველი მთიელები და მრავალგვარი საყოფაცხოვრებო ხასიათის უწესიერობანი მათ ყოფაში. მირიგად, ამ ძეგლს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის აქვს მეტად ძირითადი, მაგრამ მხოლოდ არაპირდაპირ მოწმობათა წყაროს მნიშვნელობა. ეს არაპირდაპირი მოწმობანი არაფერს შეიტანის გიორგი V-ის მიერ აღმდეგოდეს უამთა-აღმწერლის ცნობათა ამ სტატიაში მოცემულ ინტერპრეტაციას.

უფრო მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენი საკვლევი თემისათვის „ძეგლი ერისთავთა“. უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლის მოწმობას იმაზე, რომ ლიახვების ხეობის ზემო წელი XIII—XIV სს. დვალებით არის დასახლებული და არ ჩანს აქ ოსთა მასიური ჩამოსახლების კვალი. მეტად საყურადღებოა კიდევ მოხსენიება გიორგი (ბრწყინვალეს) მეფის ლაშქრობებისა არავის (მაღარო) და ქსნის (ლოწობანი) ხეობებში, გორის გარემოცვის, შიგ მყოფ ისთა რაზმის დამარცხების და გორიდნ გამოიდევნისა. უამთააღმწერლის ცნობათა ამ სტატიაში მოცემული ინტერპრეტაცია სწორედ „ძეგლი ერისთავთა“ ყველა ზემოხსენებული მოწმობების შესაბამისია და წინააღმდეგობა მათ შორის არ არის.

უფრო კრიტიკულ განმარტებას მოითხოვენ გახუშტის „საქართველოს ისტორიაში“ წარმოდგენილი ცნობები. ეს ცნობები ქრისტიანობის თანმიმდევრობით შეიძლება სამ წყებად დაჯგუფდეს: 1. ოსების შემოხაზვა საქართველოში 1263 წ.; 2. ოსთა რაზმების მოქმედება ქართლში XIII ს. 90-იან

და XIV ს. პირველ ათეულ წლებში; 3. მათი დამარცხება და დამორჩილება გიორგი V-ის მიერ.

ვახშტის ცნობა თქვების (ლიმაჩივ ფარეჯან-ბაყათარით „და სხუანი თავადნი მრავალნი“) შემოხინევაზე საქართველოში 1263 წ. და მისი ცნობები XIII—XIV სს. მიზნაზე ქართლში მოქმედ თსთა რაზმებზე უამთააღმწერელის ცნობებათან შედარებით ასალს არაფერს შეიცავენ. ოსები მხოლოდ იმ ეპიზოდებში და იმ როლებში ჰყავს ვახშტის მოხსენიებული, რა ეპიზოდებსა და რა როლებშიც გვხვდებიან ისინი უამთააღმწერელთან.

ამიტომ, განმეორებებს რომ მოვერიდოთ, ვახშტის იმ ცნობებს ანალიზს არ უუკეთებთ. ამ ცნობებს მიმართ ძალაში რჩება ყველაფერი ის, რაც ითვევა უამთააღმწერელის შესატყვის ცნობათ ანალიზის დროს.

ვახშტის მესამე წყების ცნობები ეხება გიორგი V-ის მეფების წლებს, უ. ი. იმ პერიოდს, რომელიც უამთააღმწერელის თხზულების ცნობილ ნაწილში არ არის ასახული. ამიტომ მესამე წყების ცნობების კავშირი უამთააღმწერელის თხზულებასთან არ დგინდება და ვერც დადგინდება. ეს აუცილებლად უაჭიროს ხდის მათს სპეციალურ განხილვას და განმარტებას. ვახშტის ტექსტი ასეთია:

„მაშინ იგდა კათალიკოსად ევთიმი; არამედ დიდებული და ერისთავინი ვერ სცავანა უამთამინ რიცითა ყაენისათა; ॥ხოლო მძლავრობდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ-ადგილთა დაბნები [და ციხენი. ამან მეფეგან განასხნა ძლიერებითა თვისითა და წარუხუნა ციხენი და დაბნებნი]. ॥მერჩე შევიდა და შემუსრნა კავკასიას შინა მყოფნი, ურჩინ მოსრნა და დაიმორჩილა და მოხარე ყვნა ყოველნიდა დაამშვიდა ქართლი ოქსთაგან, ვინადგან გზანი ყოველნი თვით დაიცყრნა“⁷⁴.

ეს ტექსტი არც ივ. ჯავახიშვილს და არც ნ. ბერძენიშვილს სპეციალურად არ გაუანალიზებიათ, ხოლო გ. თოვოშვილს და ზოგიერთ სხვათ გაგებული აქვთ როგორც გიორგი V-ის მიერ მხოლოდ ოსების მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა ასახვა.

ჩვენ ეს ტექსტი გვესმის სხვა რიგად: მეფის ღონისძიებებში იგულისხმება არა ერთობლივი რამ — ღონისძიებები მხოლოდ ოსების წინააღმდეგ, არა პედ არი სხვადასხვა ღონისძიება: 1. „შესვლა და შემუსრვა კავკასიას შინა მყოფთა“, მათი დამორჩილება და დახარკვა. აქ საგულვებელია კავკასიონის მაღლმთან ზოლში (ლოწობანი, მაღარო) ლაშქრობა, რომელიც გიორგი მეფე მოაწყო არჯერ ზედიზედ, თანახმად „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობისა (იხ. მსკი, 30 ნაკ., 1954, გვ. 348—349) და შემდეგ 2. „დაშვიდება ქართლისა ოქსთაგან“, რაზეც ნათვამი აქვთ უამთააღმწერელსაც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296, ოსების მიერ გორის დაქერასთან დაკავშირებით) და „ძეგლი ერისთავთა“-საც (მსკი, 30 ნაკ., 1954, გვ. 350). გიორგი მეფის მიერ გორის ალება).

ტექსტის ასეთ გაგებას გვკარნახობს შემდეგი:

1. ის გარემოება, რომ ოსები იხსენიებიან ორჯერ და ორჯერვე მხოლოდ ქართლთან, ე. ი. ბართან დაკავშირებით („მძლავრობდნენ ოვსნი ქართლს“

⁷⁴ ვახშტი შტრი, საქართველოს ისტორია, გმტც. დ. ბაქრაძის, თბ., 1885, გვ. 276—277. კუთხოვან ფრჩხილებში ჩამოიხსენი ტექსტი ამ გამოცემაში უკავა, მაგრამ აგროგრაფ-ხელნაწერში როის. ეს ამზადი, მისი გაარჩების შესაბამისად, გაყოფილი გვაქვს ოთხად შევლი პარალელურ ხაზებით.

და „დამშვიდა ქართლი ოცნებან“), ოსების სახელი არ ჩანს მთიანეთთან და-
კავშირებული. 2. მთიანეთთან დაკავშირებით იხსენიებიან „კავკასიას გარემონდებული მყოფინი“. გამოთქმა „კავკასიას შინა მყოფინი-ს“ შინაარსს გვიხსნის ცოტა უფ-
რო ქვევით მომდევნო ვახუშტიასვე თხრობა — „მერმე კვალად განიხილნა მე-
ფემან მთიანეთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონ იქმნებოდ-
ნენ, რომლისთვისცა შემოიკრიბნა მან სპანი შევიდა და დიმორჩილნა ყო-
ველნი უმეტეს პირველისა კავკასია შინა მყოფნი. ხოლო მუნიდამ ჩამოვლო
ცხრაზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ რომლინიცა კავკასი-
ასა შინა ქრისტიანები იყვნენ თავინი მათნი და ხევისძერნი“⁷⁵.

მთელი ეს აბზაცი ამოღებულია, უკეცელად, გიორგი მეფის სამართლის
წიგნის „ძეგლის დება-ს“ პრემბულიდან. ამ პრემბულაში სრულიად გარე-
ვევით ლაპარაკია მხოლოდ არაგვის, ხევისა და ქსნის ხეობებზე და იქაურ
შევიდრებზე. ოსების ჩამოსახლება, მათი თავდასხმები სრულებით არ იხსენი-
ება. მაშასაძამე, „კავკასთა“ და „კავკასია შინა მყოფთ“ ქვეშ უნდა ვიგუ-
ლოთ ფხოვლები⁷⁶, მოხვევები, ორუსონელები და, ეგვების, დვალები.

შემდეგ ვახუშტის გამოთქმა „კა ა ლა დ გა ნ ი ხ ი ლ ა... კავკასთა საქ-
მენი“ და „დაიმორჩილნა უ მ ე ტ ე ს პ ი რ ვ ე ლ ი ს ა“, აშეარად გვანიშვნებს,
რომ ამ მარშრუტით უოფილა უკვე უწინ ლაშქრობა. ეს უწინდელი ლაშქრო-
ბა უნდა იყოს სწორედ ის, რომელიც იხსენიება პირველად მოტანილ ციტა-
ტაში („მერმე შევიდა და შემუსრნა...“ დ. ბაქრაძის გმილცემის გვ. 277) და
„ძეგლი ერისთავთა-ში“ მოხსენიებულია მეცე გიორგის მიერ გორის აღება-
ზე უწინ.

3. ოსების ჩამოსახლებაზე ვახუშტი პირდაპირ წერს თავის გეოგრაფიულ
აღწერილობაში — „ხოლო მოსელისა თათართა ჩინგიზ ყენთაგან და უმეტეს
ბათოსა და ორხანისაგან მოისრა და მოოხრდა“ ოსეთი „და შემოივლტოდენ
ოვსნა ამ კა ვ კ ა ს ი ა თ ა შინა“ (ცონტექსტით: კასრის კარს ჩრდილოეთით,
თაგაურ-ქურთაულ-ვალაგირში) „და კვალად შემდგომად მოსვლისა ლანგოუ-
მურისა დ აღებისა კონსტანტინოპოლისა ემდლავრნენ ოვსთა იქით თათარ-
ხანი და აქეთ ლანგოუმურის ელნი მოკმადიანნი და შემოივლტოდენ კავკასი-
ასა შინა, და დაიცყრეს კავკასთა ნათესავნი რომელნი არიან დვალნი“⁷⁷.

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, ოსების აყრა ჩრდ. კავკასიის ბარიდან
მოხდა ორ ჭერად: 1. ბათო ყაენის დროს (XIII ს. 40-იანი წლები), როდესაც
შემოივლტოდენ კავკასიონის ჩრდილო ხეობებში და 2. თემურლენგის „შე-
მოსევის, კონსტანტინოპოლის აღებისა და ყირიმხანის მოძალების შემდეგ (XV
ს. ბოლო). მხოლოდ ამ მეორე ტალის შემდეგ, დაიყრეს რა ოსებმა დვა-
ლები — ვახუშტის მიხედვით, შეეძლო ვახუშტის ეკარაულა კავკასიის სამხ-
რეთ კალთებზე მათი დამკვიდრების დაწყება. ვახუშტის ეს ცნობები ეთანხმე-
ბა „ძეგლი ერისთავთა-ს“ ცნობებსაც, რომ XIV ს. გასვლამდე ლიახვის ხეო-
ბა დვალებს ეჭირათ, რაც გამორიცხავს იქ ოსთა ბინადრობას XIII—XIV სს-ში.

75 ვა ა ტ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ბაქრაძის, თბ., 1885, გვ. 278.

76 ტოპონიმ მაღაროს ხსნება „ძეგლი ერისთავთა-ს“ საფიქრებელს ხდის, რომ ლაშქ-
რობა ფხოვლებით წინაღმდეგ იყო მიმართული.

77 ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია, მ. ბროსეს გამოცემით, 1842, გვ. 460; მ. გა-
ნაშვილის გამოცემით 1904, გვ. 198; იხ. აგრევე თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გა-
მოც. 1941, გვ. 107. მის დამტერს არ შეეძლო ეგულისხმა XIII—XIV სს. მიგნაზე ქართლის
მთიანეთში კომპაქტური ოსური მოსახლეობის არსებობა.

„ქეგლის დება“, „ქეგლი ერისთავთა-ს“ ცნობების და ვახუშტის ისტორიული დან მოტანილი ცატატების შეპარისპირება ცხადს ხდის, რომ გიორგი V-ის პირველი დაშქრობა მთიანეთში მოწყონა არა ოსების წინააღმდეგ, არამედ საერთოდ ქანი-არავის ხეობებში ფეოდალური სახელმწიფოს შესაბამის წესრიგის და ხარჯის მიღების აღდგენისათვის.

ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ იმ აპზაცის, სადაც ლაპარაკია ქართლში მყოფ ისების და „კავკასიის შინა მყოფთა“ მიმართ გიორგი V-ის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, ახლებური გაგება საბოლოოდ გვარწმუნებს იმ აზრის უმართებულობას, თითქოსდა XIII—XIV სს. მიგნაზე ადგილი ჰქონდა ოსების მასიურ გადმოსახლებას და მათ მიერ ქართლის მთიანეთში ხეობების დაჭერას.

*

* * *

წინამდებარე სტატია დაიწერა 1970 წელზე უწინ და მოხსენების სახით ორგზის იქნა საქართველოს წარმომადგენლობის 1970 წლის პირველ ნახევარში. ამიტომ არ გვაქვს გათვალისწინებული 1971 წლის ბოლოს გამოქვეყნებული რ. კიბაძის სტატია „უამთაამმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის“ („მაცწე № 4 1971 წ.“) რომელსაც შემოაქვს სამეცნიერო ბრუნვაში ფ. გორგოვანიძის თხზულების გამოუქვეყნებელ ნაწილში დაცული რამდენიმე ცნობა.

ეს ცნობები მიეკუთვნება 1267—70-იან წლებს, ზემოთ სტატიაში თქმულ არსებითში ეთანხმებიან და რამდენადმე ავსებენ კიდევაც.

პირველი ცნობა: 1268—1269 წლებში⁷⁸ „მეფემანც (დავით ნარინმა — ვ. გ.) უბრძანა იელურსა (ოქროს ურდოს სარდალი — ვ. გ.) და თვითაც ქარი მიაშეველა დასაჩრდევად ქართლისა. ააოხრეს ცხეთამდისინ. და მეფე დავით (ულუ — ვ. გ.) შეწყვნილი და მოუცლელი იყო შირვანს მცველათ სიბისათა და აღარ იყო ღონე. აცნობა ზემოხსენებულთა (ჟინვანს, ღმანისს, ქალაქს დასალებულ — ვ. გ.) ოსთა შეპარან ყოველი გზანი... უბრძანა გორის ციხე-ქალაქი და სამეცნიერო მისნი და დაზვდენ იელურსა და იმერელთა, დაიცონ ქართლი და ამათაც არბიონ რაჭა და იმერეთი“⁷⁹.

ამრიგად, იმერეთიდან თავდასხმათა მოსაგერიებლად ულუ დავითის განკარგულებით დმანისსა და უინგაში დაბანაკებული ოსები გადაყვანილ იქნენ გორში. ეს მოხდა 1268—1269 წლებში.

უამთაამმწერლის მიხედვით კი ის ფეოდალთა რაზმა თვითნებურად დაიკავა გორი 1292 წელს. ამ ორი ცნობის ურთიერთშეთანხმებისათვის უნდა დაუშვათ ერთი რამ, რაც სამხედრო რაზმისთვის ჩვეულებრივი, რეალური ამბავია, მაგრამ წყაროში არ აისახა. სახელდობრ, რომ 1270-იანი და 1292 წლებს შუა, სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით ხელისუფლების განკარგულებით ოსები გორიდან კიდევ სხვა ადგილას იყვნენ გადაყვანილი, ხოლო 1292 წ. ოსთა რაზმა კელაც დაიკავა გორი, მაგრამ ამჯერად ქართულ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მონლოლთა დასტურით (ამაზე იხ. ზევით).

მეორე ცნობა, რომელიც მოითხოვს განმარტებას: 1268—69 წლებში უწინ ზამთრობით მუხრანში და ზაფხულობით მთიულეთში დაყენებულ იქნა

78 რ. კიბაძის დასახ. შრომა, „მაცწე“, № 4 1971, გვ. 120.

79 ხელნაწ. ინსტ-ტი, ფ. H—1240, ფ. 232.

ეინმე ჯანას (თუ ჯასან), მონღლოთაგანი, 500 მხედრით, რომელსაც ევალებოდა და ქართლის ერისთავ ბეგასთან ერთად დარიალის და დვალეთის გზების დაცვა⁸⁰. ვისგან იყო საჭირო ამ გზების დაცვა? ოსებისგან? წყაროები ამაზე არაფერს ამბობენ; მაგრამ გარკვევით ამბობენ იმას, რომ 1260-იანი შუა წლებში საილხანოსა და ოქროს ურდოს შორის დაწყო მტრობა და საომარი შიძებდება, ილხანებს ეშნიათ დარიალის გზით ოქროს ურდოს ლაშქრის ამი-ერკავებასაში შემოჭრისა⁸¹. ისევ აქროს ურდოს შიშით იყო ნაკარნახევი შირ-ვანშიც სიბის აგება და მისი რეგულარული მცველობა. ასეთივე სიტუაცია დამოწმებულია 1290-იანი წლების მიწურულისაოვისაც⁸². ეს გვაძლევს საფუძ-ველს ვიკარაულოთ, რომ დარიალის ან დვალეთის გზების დაცვა 1260-იან წლებშიც ნაკარნახევი იყო ოქროს ურდოს ლაშქრისთვის ამ ხეობებით გზის ჩაერთვის მცდელობით. მესამე: განხილულ ცნობას ფ. გორგიგანიძესთან მოს-ლევს შემდეგი: „და ამას უკან ოსთაგინ დაცვა (მეფემ—ვ. გ.) ქვეყანა, რო-მელიც თავადობდა იყენებ თრინი მანი... ფარეჯან და... ბალათარ“⁸³ ეს შეძ-ლება გავიგოთ ორ გვარად; იმის და მიხედვით თუ როგორ განიმარტება ფორ-ნა „ოსთაგან“: ან რომ მეფემ ქვეყანა მიერეთიდან შემოსევებისაგან დაიცვა თავების მეშვეობით, მათ მიერ, რომელთაც მეთაურობდნენ ფარეჯან და ბა-ლათარი (წყაროში ამაზე ზევითაც არის ნათევამი); ან რომ საჭირო გახდა უფ-რო გვიან ქვეყნის დაცვა თვით ამ ოს ფეოდალთა ჩამისგან. ჩასაც მართლა ადგილა ჰქონდა 1290-იან და შემდგომ წლებში. ამაზე უკვე მსჯელობა გვქონ-და სტატიაში.

ამრიგად, ფ. გორგიგანიძის თხზულებაში შემონახულ ცნობებშიც არა-ფერია ისეთი, რაც 1290-იან წლებში ოსების გადმოსახლების „ტალღებს“ მოწმობდეს.

В. Н. ГАМРЕКЕЛИ

К ИСТОРИИ ГРУЗИИ РУБЕЖА XIII—XIV ВВ.

К пониманию некоторых сведений Жамтаагмцерели

(Р е з и ю м е)

Аноним середины XIV в. Жамтаагмцерели, касаясь событий 1290—1300-х годов, многократно упоминает два военных отряда осетин в низинных районах Картли. В грузинской историографии их появление объяснялось переселением массы осетин из Осетии в ущелья Нагорной Картли в начале 1290-х годов; с этим связывалось и начало образования компактного населения осетин в Нагорной Картли.

В статье доказывается, что принятное толкование сведений Жамтаагмцерели не соответствует действительному смыслу самих сведений. Предпринята попытка датировать события упоминаемые у Жамтаагмцерели. Источники упоминают в Картли два отряда осетин: 1. «Сидящих в Гори» и 2. возглавляемых сперва мтаваром Пареджамом, позже мтаваром Бакатаром. Свое происхождение они ведут от многолюд-

⁸⁰ ხელნ.წერი Н—2140, ფრ. 232 v.; რ. იქნაძის დასახ. შრ., გვ. 119.

⁸¹ ქ. ცხ., II, გვ. 245—246; ხელნ.წერი Н—2140, ფრ. 70 v—71 v.

⁸² აქვთ, გვ. 303—304.

⁸³ ხელნ.წერი Н—2140. ფრ. 232 v.

ной партии эмигрантов, прибывшей в Грузию с Северного Кавказа в 1263 г. через Дербент или Даръял. Они эмигрировали, видимо, по политическим мотивам, оказавшись перед угрозой репрессий со стороны Золотой Орды.

Власти ильханов приняли их благосклонно, обязали нести военную службу, разместили по городам Жинвани, Дманиси, Тбилиси и определили им на содержание часть собираемой подати. В 1268—1269 году осетин перевели в Гори для отражения нападений, совершаемых из Западной Грузии. Позже, видимо, они вновь были переведены куда-то в другое место, т. к. согласно Жамтаагмцерели в 1292 г., во время междусоцарствия в Картли, осетины вновь заняли Гори, но уже против воли грузинских феодальных властей и при поддержке монгольских военных.

Упоминание осетинского мтавара Бакатара, выступавшего соратником монголов и разорявшего имения восставших против монголов картлийских азнауров приурочено к 1300—1304 гг., смерть Бакатара датируется 1304—1306 гг., а поражение «сидящих в Гори осетин» и взятие Гори царем Георгием V-м — 1320 — 1326 годами.

Предположение о переселении в 1290-х годах массы осетин с Севера в Нагорную Картли не подтверждается, об этом данных в известных письменных источниках нет.

Общественное положение осетинских отрядов в Картли и их отношения с разными социальными слоями местного населения во многом определялось их положением «воинов и соратников» монголов.

მიხეილ ქავთარაძე

გამოცემის გარემო—პახეთის სამეცნ სახლის გენეალოგია და
შრომოლოგია (XVII—XVIII სს.)

1. მუზეუმისათონისა უტო

როსტომ მეფის სიკვდილის შემდეგ ქართლში გამეფდა ვახტანგ V, შავნავაზად წოდებული. როსტომს მარიამ დედოფალთან ჰყოლია გერი ოტია (ოტა), რომელიც 1646 წელს გარდაცელილია. ოტიას გარდაცელება და დასაფლავება ვრცლად ძევს აღწერილი ფასადან გორგიგანიძეს (იხ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 523—524) სათაურით „სიკვდილი მარიამ დედოფლის შეილის ოტიასი, რომ გურიელისაგან შვევნდა“.

პოემა „შავნავაზანში“ მარიამ დადიანისა და ვახტანგ V-ის შეუღლების ამბავი დიდი ზარ-ზემითაა წარმოდგენილი. ფეშანგი ფაშვაბერტყაძის გადმოცემით, თითქოს, ვახტანგს მარიამთან შეეძინა არჩილი, გიორგი, ლევანი და ერთი ასული, მაგრამ ეს ცნობა, როგორც კ. კეკელიძემ გაარკვია, არ შეეფერება სიმართლეს. ვახტანგს მარიამთან შეეღლები არ ჰყოლია (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 506). საფლავის ქვის წარწერიდან ვევბულობთ: „ქ. მას უამსა ოდეს ჩვენ ზღვათ მეფის დადიანის ასული დედოფალი პატრიონი მარიამ მოყვანებულ ვიქმენ ქართლისა დედოფლად, გვევა სასურველი ძე ბატონიშვილი ოტა, მცირე უამსა მიგვეფარა ამიერ სოფლით...“¹. როგორც ჩანს, ამის შემდეგ „შვლად თვასად მოიყვანა ისპაანიდამ სემიონ მეფის ძის — ვახტანგის ძე ლუარსაბ და ესე ჰყო ძედ თვასად“. მაგრამ ნადირობის დროს ხუნანს „მოხუდა თოფი ლუარსაბს და მოკუდა იგი“². ლუარსაბის დაღუპვის შემდეგ „გაიშვილა ვახტანგ მუხრანის ბატონი, ძე თეოტიურაზ მუხრანბატონისა“³. 1656 წლიდან ვახტანგი შეუდგა ქართლის მართვას, გარდაიცვალა იგი ორანში 1675 წელს ხოშვაროს ქარგასლაში⁴. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ვახტანგ V-ის მემკვიდრეების შესახებ, რომლებიც მომავალში ქართლის მეფეები გახდნენ, ბევრი რამა ცნობილი და გარკვეული. იმ უფლისწულების შესახებ კი, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურები არ იყვნენ, მხოლოდ შემთხვევითი ცნობებია გაბნეული, სრული გენეალოგიური ტაბულა შედგენილი არა. ჩვენ შევეცადეთ სასტორიო

¹ А. Натроев, Мцхет и его Собор Свети-Цховели, Тб., 1900, стр. 318.

² ვახტანგი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 75. ძველო ყველგან: ვახტანგი ბატონიშვილი.

³ იქევ, გვ. 76.

⁴ სესნია ჩენეიძე, საქართველოს ცხოვრება, გამოცემული ნ. ჩუბინაშვილისაგან, 1854, გვ. 309, ძველი ყველგან: სენა ჩენეიძე, ვახტანგი ვახტანგის გარდაცვალების თარიღი და 1675 წელს და 1677 წელს. გვ. 25.

წყაროების ჩვენებით შეგვედგინა სრული სურათი XVII—XVIII სს. ქართული კახეთის მეფეთა და ბატონიშვილთა შესახებ.

ვახტანგ V-ს ცოლად ჰყავდა როდამ ყაფლანის ასული, „ამასთან ესხნეს ქენი შევენიერნი“⁵. გამეფებისთანავე ვახტანგს ცოლად შერთეს როსტომ მეფის ქვერე მარიამ დედოფალი⁶, „უღონო ქმნილმან (ვახტანგ, მ. ქ.) ვანუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“⁷. როგორც ვახტანგი წერს, მარიამთან „არა ესვა მეფესა შვლინ“⁸.

სანამ ვახტანგ V-ის შვილების შესახებ ვისაუბრებდეთ, გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულა⁹. ხელნაწერი ასტრონომიის სახელმძღვანელოა, თარგმნილია ვახტანგის მიერ ბატონიშვილობაში. ტაბულა ერთ-ერთი პირველი საინტერესო ცდაა ქართველ მეფეთა გენეალოგიური ვანუტოებების სახვენებლად. იყო არც სრულია და არც ამინშეურავი, მაგრამ ზოგიერთი ფაქტის შემოწმებისა და დაზუსტების საშუალებას იძლევა. ვახტანგი განმარტებაში წერს: „ქ. მრავლის ჭირითა და შრომით ეს ადამის აქათი ბაგრატიონთ ნათესაობა მე, ბატონიშვილმა ვახტანგ, გამოვიდე და ასე ილვსწერე, ვიდრე ჩვენადმდე. ხოლო იმერეთის მეფისა და კახეს ბატონის ნათესაობა მრავალს ვეცადე შემეტყო, რომელის ტომისაგან იყო და ვერავისგან შევიტყევ. თვასა (sic) გასინჯეთ და თუ მდაბალი ვინ გინდა ბაგრატიონთ ნათესაობა დავსწერეთ, მათაც უფრო დავსწერდთ; და თუ თვითან იპოვნიან და რომლისც ტომისაგან არიან და დაწერებიან, მე დიდად მეამება“¹⁰. ქვემოთ ვახტანგის ნაშრომს ჩვენ პირობითად „ნათესაობას“ ვუწოდებთ.

საისტორიო წყაროების მიხედვით, ვახტანგ V-ის შაპნავაზის მემკვიდრეობა ასეთია:

ვახტანგ V +	როდამ	ყაფლან	ორბელის ძის ასული	(I ცოლი)
არჩილა გიორგი ილექსნდრე ლევან ლუარსაბ სოლომონ (სულეიმან)	↓ ↓ ↓ ↓ ↓ ↓ ↓	გიორგი ილექსნდრე ლევან ლუარსაბ სოლომონ ასულა თამარ		

ვახტანგ VI-ის „ნათესაობაც“ ეთანხმება მოტანილ ჩვენებას, მხოლოდ ანუკა ბატონიშვილს არ ასენებს. როდამი, ვახტანგ V-ის ცოლი, გარდაცვლილი 1697 წელს, როგორც ეპიტაფიიდან ვკებულობოთ: „საქართველოს მეფეთა, მეფის ვახტანგის მეუღლე და იმერთა და კახთა მეფის არჩილისა საქართველოს მეფეთ-მეფის ყანდაარისა, ქირმანისა და ზირშავისა და ჰაილათის მპირობელისა, სრულიად სპარსეთის სპასალარისა, მეფის გიორგის და ერანის მდინარეების ლევანის და ძმათა მათთა დედა, ორბელის ძე ყაფლანის ასული, დედოფალი როდამ ყოფილი, ცეკვმოსანი ეკატერინე, აშ. მდებარე

5 ს ე ხ ი ა ჩ ხ ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, გამოცემული 6. ჩუბინაშვილისაგან, 1854, გვ. 308. ქვემოთ ყველგან: სენია ჩხეიძე.

6 იქვე, გვ. 308.

7 ვახტანგი, გვ. 77.

8 იქვე, გვ. 77—78; ს ე ხ ი ა ჩ ხ ი ძ ე, გვ. 308.

9 დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q—884, გამოაქვეყნა თ. ჭყონიამ, გორგში აღმოჩენილ ქართული სიძეველი, ლიტერატურული ძეგბანი, ტ. IV. Q ფონდში № 158^a დაცულია XVIII ს. სხვა ტაცულაც.

10 გენეალოგიური ხე ამ ხელნაწერიდან გამოაქვეყნა თ. ჭყონიამ, გორგის ლექში აღმოჩენილი ქართული სიძეველი, „ლიტ. ძეგბანი“, ტ. IV, 1948, დამატება I.

ვერმენ მკვიდრსა ამას საფლავსა ჩვენსა... ქრისტეს აქეთ ქუს ოთ (379) როგორც ციტირებული სტრიქონებიდან ჩანს, როდამი მეულელსთან გაყრას შემდეგ მონაზვნად, ცეკვოსან-მონაზვნად აღვევილა ეკატერინეს სახელით. როდამი იყო სულხან-საბა ორბელიანის მამიდა.

არჩილის ბიოგრაფია კარგადაა ცნობილი. დაბადებულია ის 1647 წელს. 14 წლის ასაქში გამეფდა. სურვილი ჰქონდა ცოლად შეერთო ვამეული დალიანის ასული, მაგრამ უერ მოახერხა. 1667 წელს ცოლად შეირთო იმერთა მეფის — ბრძან ბაგრატის ნაცოლარი, თეიმურაზ I-ის შვილის — დავითის ქალი ქათე ვანი. ქეთევანი ერეკლე I-ის და იყო¹². მაშასადამე, არჩილი ყოფილა ერეკლე I-ის სიძე, არჩილის თათრული სახელი იყო შაპნა ზარებანი¹³. არჩილს და ქეთევანს ჰყოლიათ ოთხი შვილი, სამი ვაჟი და ერთი ქალი. მათი სახელებია:

არჩილი +	ქეთევან			დავითის ასული
	ალექსანდრე	მამუკა	დავითი	
შესტან-დარევანი				

შვილებს შორის უფროსი იყო დარევანი, რომელსაც 1665 წელს დაბადებულა. იგი 1672 წ. დაუწინდავთ ლევან დალიანის ვაჟზე — მანუჩარზე, რომელიც 1680 წ. გარდაცვლილა და დარევანი აღარ გათხოვილა. „შანაზ... სხხოვა ლევან დალიანს ძე მისა მანუჩარ საქმროდ ძისა თვისისა არჩილის ასულის დარევანისითენ. ამან ლევან წარმოუვლინა ძე ოვსი და მისრული მანუჩარ აქორწინეს დარევანისა თანა. გარჩა ყრმა და ქალი იყვნენ წლისა ზ...“ სხვადასხვა მიშვინის გამო მსახურთა „წარმოიპარეს ყრმა და მოვგარეს მამასა თვისა“¹⁴ (ვახუშტი, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 841). მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი რსესთში გაატარა და გარდაცვლილა 1740, თუ 1744 წელს. 1740 წელს ასახელებს ლ. მენაძე¹⁵, ხოლო 1744 წელს კი, თითქოს, გამოდის თ. ჭყონის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტით: „Дочь царя Арчила, падреинна Дария... избрала в наследники себе двоюродного племянника своего Бакара Вахтанговича... По кончине тетки своей царевны в 1744 году вступил...“¹⁶ 11—18 ხელნაწერში დაცული სამძიმრის წერილის მიხედვით იგი თითქოს 1741 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი (22 v).

ალექსანდრე არჩილის ძე დაბადა 1674 წელს¹⁷. მას ჰყოლია ორი ცოლი. პირველი — თეოდორა ივანეს ასული მილოსლავსკაია, რომელზედაც დაქორწინებულა 1687 წელს¹⁸. პირველი ცოლი გარდაცვლილა 1689 წელს¹⁹. მეორე ცოლი ყოფილა გლიკერია ილიას ასული

11 А. Натроев, Мцхет и его Собор Свети-Цховели, стр. 319.

12 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 83.

13 სენია ჩხეიძე, გვ. 308.

14 ლ. ვენაძე, ქართველი კულტურულ-საგანმანათლებლო კერძის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 218.

15 იქვე, გვ. 190.

16 თ. ჭყონია, გორგში აღმოჩნდილი ქართული სიძელენი, ლიტერატურული ძიგბანი, ტ. IV, გვ. 284.

17 ლ. მენაძე დე, დასახელებული წერილი, გვ. 190.

18 ვლ. ბატონიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 192, 193.

19 იქვე, გვ. 245, შდრ. უცნ. „ცისკარი“, 1972 № 2, 4.

დავითაშვილი²⁰. ალექსანდრე გარდაიცვალა 1711 წელს. მის მემკვიდრეობის
რეთა შესახებ არაფერია ცნობილი.

მაშუკა (ანუ იგივე მათე) დაბადებულა 1676 წელს²¹, ხოლო გარდაცვლი-
ლა 1695 წელს²².

დავითი 1681 წელს დაბადებულა²³ და 1688 წელს გარდაცვლილა²⁴. არ-
ჩილს შეიღებიდან მემკვიდრეობი არ დარჩენია.

არჩილს გარდაცვალების წინ (1713) დაუწერდა ანდერძი და გაუგზავნია
პეტრე პირველისათვის. ანდერძი მეტად საინტერესო დოკუმენტია. გამოაქ-
ვენა იგი პირველად პ. ბუტკოვმა 1824 წელს ურნალში „Северный архив“
ითარებით „История о духовном завещании имеретинского патриарха Ачила“²⁵.

გიორგი (შემდეგში გიორგი XI-დ ცნობილი, ქართლის მეფე). ჯერ კიდევ
უფლისწულს ირანის შაჰიმა „უბოძა ქარმანის ბეგლარ-ბეგობა და დაარქევა სა-
ხელი მამისა შაჰიმა თაზ“²⁶. გიორგის ჰყავდა ორი ცოლი. პირველი თამარ, მე-
ორე ხვარავან. თამარი იყო „ასული დავით დავითის (sic!) ელისბარის შეილი-
სა“²⁷. იგი ადრე, 1684 წელს, გარდაცვლილა და „დარჩა ძე ერთი ბაგრატ და
ასული ერთი მარიამ“²⁸. თამარის ეპიტაფიაში კვითხულობთ: „ესმა მას, ოდეს
ჩვენსა სამკიდროს სახელმწიფოში გავბატონდი. მეფის შანავაზის შეილი გიორ-
გი, ინდიკტიონს მეფობისა ჩვენისასა „ე“, უხრწევლმან სოფელმან მოგვიღინა
სიკვდილის სალმობა... ქორონიკოს მბ (372)“²⁹. მაშასადამე:

$$\frac{\text{გიორგი} + \text{თამარი} (+ 1684 \text{ წ.})}{\text{ბაგრატი} \quad \text{მარიამ}}$$

ბაგრატი უმემკვიდროდ გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა 1694—
1695 წლებში. „მეფის ძე ერთის დამარცხებულიყო“ — წერს სეხნია ჩეკი-
ძე³⁰. ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც. მისთვის განკუთვნილი სა-
ცოლე — ჩერქეზთ ბატონის ასული რუსულან, შემდგომში ვახტანგ VI-ს მე-
ულლე გახდა. ვახტანგ VI „ნათესაობაში“ ბაგრატს არ ახსენებს.

²⁰ იქვე, გვ. 201. თემიალა 245-ე გვერდზე ეს ქალი პირველ ცოლადა გამოცხადებუ-
ლი.

²¹ ლ. მენაბედე, დასახლებული წერილი, გვ. 190.

²² ვახუშტი, გვ. 100. ვლ. ტარიშვილის ცნობით იგი 1693 წ. გარდაცვლილა და და-
საულაკებულია დონის მონასტრის მირქმის ეკლესიაში. იხ. ქართველები მოსკოვში, გვ. 245.

²³ ლ. მენაბედე, დასახლებული წერილი, გვ. 190.

²⁴ ვლ. ტარიშვილი, დასახლებული წიგნი, გვ. 245.

²⁵ Северный архив, 1824, декабрь, № 23 и 24, стр. 203—222. ნაწერები ამ ანდერ-
ძიდან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ყოფილა ციტაციებული. ხელნაშერი
ნისხები დაცულია მოსკოვისა და ლენინგრადში. მოსკოვი, ლენინგრადი, ფ. 173, IV
(МДА проч.) № 82, ფ. 6—9. ლენინგრადი, Собр. Толстого, отд. IV, № 59, л. 107.

²⁶ სეხნია ჩეკიძე, გვ. 313.

²⁷ იქვე, გვ. 309. შედრ. ვახუშტი, გვ. 83.

²⁸ იქვე, გვ. 309.

²⁹ А. Нагроев, Мцхет и его Собор Свети-Цховели, стр. 320. ვახუშტი თამა-
რის გარდაცვალებას 1683 წლით ათარღებს, ს. ყაუჩხიშვილის გამოცხამა, გვ. 459.

³⁰ სეხნია ჩეკიძე, გვ. 311. შედრ. ვახუშტი, გვ. 99.

მარიამი ცოლად გაჰყვა ქსნის ერისთავს დაეითს³¹, გარდაცვლილა 1715 წლის 4 ოქტომბერს³².

მარიამ + დაეით ერისთავი

↓ ↓

შავე ფეხ³³

თავარ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი XI-ს ცოლად უთხოვია გიორგი მიქელაძის ასული მიქელაძისა და გარდომიუყანა დედოფლად და იქმნა დედოფლალი ხეარაშან³⁴. ეს მომხდარა 1687 წელს³⁵. ხეარაშანს უდედოფლია სულ 8 წელი. ვახუშტის ცონბით, ხეარაშან დედოფლალი გარდაიცვალა 1695 წელს, იმ წელს, როდესაც გარდაიცვალა არჩილის ვაჟი მამუკა³⁶. სენია ჩხერიძე: „ერთი ამას წინ დამარცხდა ამავ კრკონს. დედოფლალი ხეარაშან მიასვერეს ქვათახევს“³⁷.

გიორგი XI-ს ჰუკლია ქალიშვილი როდამი, ვახტანგის „ნათესაობის“ მინედვით ხეარაშანისაგან. ეს როდმი გამხდარა იმერეთის მეფის გიორგის თანამეცხედრე. სენია ჩხერიძე გვამცნობს: „გამოხდა მცირედი ხანი, ქორონიკონს უც (1710 წ.) მარტის 07 (15) ულალატა იმერელ მეფეს გიორგის აბაშიძეს სვიმონ და მოკლა. მოუვიდა ამბავი მეფეს გახტანგს (VI-ს, მ. ქ.), შეექმნა წყენა და გლოვა, ვითაცა სიძე იყო და ასული მეფისა გიორგისა მემცხედრე იყო როდმ დედოფლალი იმერეთისა და ძე მისი ალექსანდრე, მეფის ვახტანგისაგან გაზრდილი თვით ჰყვანდა ქართლში“³⁸.

ამ ციტატის მიხედვით გამოდის

გიორგი + ხეარაშან

↓

როდმ + გიორგი (იმერეთის მეფე)

↓

ალექსანდრე³⁹

ალექსანდრეს ცოლად უთხოვია ბექნ დაღიანის ასული⁴⁰. როდმის ჰუკლია მეორე ვაჟიც — მამუკა, რომელიც 1732 წელს აუმჯდრდა საკუთარ ძმას,

31 სენია ჩხერიძე, გვ. 309. ვახტუ შტი, გვ. 88.

32 თ. ე ორდანია, ქრონიკები, III, გამისაცმად მთამზადეს გ. ეორდანიმ და შ. ხანთაძემ, 1967, გვ. 58. ქვემოთ ყველგან თ. ეორდანია, ქრონიკები, III.

33 დ. გ ერთი შ ვი ღ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 312—326; გ. ქავთარია, იყსე ერისთავის პიმნოგრაფიული მოღვაწეობათა შესახებ, III, გვ. 160.

34 სენია ჩხერიძე, გვ. 309.

35 თ. ე ორდანია, ქრონიკები, III, გვ. 506.

36 ვახტუ შტი, გვ. 100.

37 სენია ჩხერიძე, გვ. 311.


38 იქვე, გვ. 328.

39 1715 წ. ნასყიდობის წიგნში ნახსენებია ბატონიშვილი როდმი. ნასყიდობის წიგნი მოგვცით ჩვენ „... თქვენ ბატონიშვილი როდმს და შეიოლთა თქვენთა...“ იხ. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, გვ. 169—170. შესაძლებელია, ქმრის დალუპვის შემდეგ როდმი იმერეთიდან ქართლში გადმოვიდა და შეიძინა ის მამული, რომელიც ამ დოკუმენტში ისტენიდა.


40 სენია ჩხერიძე, გვ. 337. ბექნ დაღიანი მოუკლავთ 1727 წელს. იქვე, გვ. 334 ალექსანდრესა და მამუკას შესახებ იხ. ვახტუ ნა თ რ ბ ე ლ ი ა ნ, გვ. 348, 382. შტრ. Hd—7667. გამოქვეყნებულია შ. ბურჯანიძის წიგნში, იმერეთის ისტორიული ღოუშენტები, ტ. I, გვ. 44.



იმერთა შეფეხს ალექსანდრეს. მამუკასაც ცოლად ჰყოლია ბეჟან დადიანის ასული გრიგორი ბაგრამიანის ლი, ე. ი. ძმებს, ალექსანდრესა და მამუკას, ცოლად ჰყოლიათ დები. მაგრამ მამუკას მაშინ შეურთავს ალექსანდრეს ცოლისდა, როდესაც საკუთარი ცოლი უკვე გარდაცვლილ ჰყოლია და მეორედ დაქორწინებულა ლევან აბაშიძის ასულზე. მაშასადამც, ორივე მონაცემებს თუ შევაერთებთ, მივიღებთ:



ვახტანგ V-ს მესამე შვილი იყო ლევანი, რომელსაც 1701 წელს დაარქვეს შაპულონ-ხან. მას ირანის მრავალი თანამდებობა ეყირა. ქართლში კი ჯანიშინის ტიტულით ორ წელს — 1703 — 1704 წ. ბატონობდა. ლევანსაც ჰყავდა ორი ცოლი. მამამ „ლევანს მოჰვარა გურიელის ქაიხოსროს ასული თუთა და უქმნა ქორწილი გორს აღმატებული“⁴¹. ეს უნდა მომხდარიყო 1670—1673 წლებში. გარდაიცვალა თუთა 1678 წელს⁴². ვახტანგის „ნათესაობაც“ ეთანხმება ამ მონაცემებს.



⁴¹ ვახტუ შტ ი, გვ. 83.

⁴² პ. კარბე ლაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, 1900, 130, შენ. I. შდრ. ვახტუ შტ ი, გვ. 89.

⁴³ როგორც ჩანს, ხეარაშე შემდეგ ევფემიას სახელით მონაზონად აღკვეცილა (იხ. ქუთ. მუხ. ხელნაშერის № 151-ის მინაშერი).

თუთას გარდაცვალების შემდეგ ლევანს ცოლად შეურთავს გიორგი აფხაზების ლიშვილის ასული თინათინი, 1680 წელს⁴⁴. თინათინთან ლევანს შესძენია შვილები: იესე, სვიმონ, თეიმურაზ. თინათინი, როგორც თ. უორდანია მიუთი-თებს⁴⁵, გარდაცვლილა 1700 წელს.

$$\frac{\text{ლევან} + \text{თინათინ} \text{ აფხაზებილი}}{\downarrow \quad \downarrow \quad \downarrow \\ \text{იესე} \quad \text{სვიმონ} \quad \text{თეიმურაზ}}$$

ჰყავდა თუ არა ლევანს მეორე ცოლთან ქალიშვილი, ნარატიული შყაროებიდან არ ჩანს. საერთოდ კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უნდა პყოლოდა.

ვახტანგის ამალის ნუსხაში „მეფის ძმებისა და ძმის-შვილების“ სათაურის ქვეშ დასახლებულნი არიან ლევანის შვილები. „მეფის (ე. ი. ვახტანგის) ძმა კოსტანტინე, ლევანის შვილი. მეფის ძმა ოდარნასე, ლევანის შვილი; მეფის და ხორაშან, ლევანის ქალი“⁴⁶;

1737 წელს შედგენილი ვახტანგის ამალის ნუსხის რუსულ ვარიანტში კონსტანტინესთან ნახსენებია ორი და: „с двумя сестрами, царевнами“⁴⁷. ადარნასე ვახტანგის ძმად დამოწმებულია მარი ბროსესთანაც⁴⁸. იგი 1740 წლის დოკუმენტშიც გვხვდება. მაშასადამე, ამ ცნობით:

$$\frac{\text{ლევან} + X}{\downarrow \\ \text{ადარნასე} \quad \text{კოსტანტინე} \quad \text{ხორაშან(?)} \quad (\text{ქალი})}$$

დასახლებულნი პირი ვახტანგს გაჰყუნენ რუსეთში. სამწყხაროდ, მათი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ დასახლებულნი პირი აღალი და-ძმანი იყენენ.

ლევანს, გარდა ჩამოთვლილი შვილებისა, კიდევ პყოლია ქე — როსტომი. სესნია ჩხეიძე ერთ ადგილს წერს: „როსტომს, ძესა ლევანისასა ხარჭას“. ის-ტორიკოსი აქ პირდაპირ მიუთითებს ხარჭაზე.

$$\frac{\text{ლევან} + ხარჭა}{\downarrow \\ \text{როსტომი}}$$

როსტომს სხვადასხვა თანამდებობა სჭერია ირანის კარზე, ყოფილა ყულარ-აღასი, ისპაპანის ტარული და სხვ. მოუკლავთ როსტომი 1722 წელს. „ქორონიკონსა ში (410) თებერვალს მ (5) მოკლეს ყულარაღასი როსტომ, ძმა მეფისა ვახტანგისა“⁴⁹. ვახტანგის „ნათესაობაც“ ემოწმება ლევანის ოჯახურ მდგომარეობას. ლევანი დაიღუპა 1709 წელს⁵⁰. 1700 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა თინათინ ივალიშვილი, 1709 წლამდე, როდესაც დაიღუპა თვით ლევანი,

⁴⁴ ვახტ უ შ ტ ი, გვ. 89.

⁴⁵ ქრონიკები, III, გვ. 4.


⁴⁶ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დ. გურამიშვილი ქართველ პუსართა პოლეში, გვ. 142.

⁴⁷ Historie de la Georgie, II ნაწილი, IX დამატება, გვ. 627, 628.

⁴⁸ იქვე, გვ. 325.


⁴⁹ ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ი შ ე, გვ. 329.

⁵⁰ თ. ე თ რ დ ა ნ ი, ქრონიკები, III, გვ. 28.



ქაიხოსრო ბატონიშვილი ლევანის უფროსი ვაჟი იყო. მისი სახელმწიფო-ებრივი მოღვაწეობა ხანძოებულე აღმოჩნდა. იგი დაიღუპა 1711 წელს შორეულ ირანში. როგორც სესხია ჩხეიძე აღწერს, ქაიხოსრო ვაჟაცურად და რამდენადმე რომანტიულადაც კი დაღუპულა. „ქორონიკონსა ტსთ (1711) ენენის-თვის ძხ (27), დაუმარტინადა ბატონის შვილს ალექსანდრეს (ქაიხოსროს ბიძას, მ. ქ.), მოწინავედ იღვა, სანამდი აქედან ჭარი მიესწორებოდა, მოკლეს ბატონი-შვილი ალექსანდრე, ჩხეიძე, თემისურაზ, თარხანი და ზოგინი სხვა ვინმე თათარნა. გამოხდა მცირედი დღენი. გამოვიდა ცხიდამ მირევისი ჭარითა სრულითა. აქეთ სპასალიარი. შეიქმნა ომი ფიცხელი, თავმან თქვენმან ნახავთათვის საზარო იყო. გამოექცა თათარის ჭარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველი. მოახსენა ცალქალამანიძემ იასემ: ხელმწიფეო, გაგვეცალა ჭარი და არ ჩანს ძმა თქვენი, ნუ მოიკლავ თავსა. უბრავა მეფემ, ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყინო თავი, არცა გვარი ჩემი. მიეჭუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარაქორი კავაბსა გუნდისასა. ჩამოაგდო შებითა ორი კაცი. დახუდა ნათხარი რუ, წაექცა ცხენი. რა სცნეს ცხენის წაექცევა წამოესინენ, დაჩეხეს ხმლითა, ცალქალამიდე იესე წინ მოუკლეს“⁵¹.

ქაიხოსროს ცოლის სახელი ყოფილა ეკატერინე, თუმცა ისტორიკოსებთან არ იხსენიება. ჰყოლია ორი შვილი, ქე და ასული:



დავითი და ანა შემდეგში ვახტანგ VI-თან ერთად მოსკოვში გადასახლებულან. ანა 60-იან წლებშიც ცოცხალია. ანა ხოსროვნას სახელით ხშირად იხსენიება.

51 ს. ე. ხ. ნ. ი. ჩ. ე. ი. ძ. ე. გვ. 325—326.

52 ვ. ლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 253, ეკატერინე გარდაცვლილა 1730 წლის 3 მაისს.

53 დავითის სახელს იძლევა ვახტანგის ამალის ნუსხა (იხ. ს. ყ. უ. ბ. ა. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ა. დ. ვ. შ. რამიშვილი ქართველ პუსართა პოლქში, გვ. 142) და ეპიტაფია, რომელიც გამოქვეყნებული აქვა ვ. ლ. ტატიშვილს. გარდაცვლილა იგი 1738 წლის 28 დეკემბერს. იხ. ვ. ლ. ტატიშვილი, გვ. 252.



ანტონ კათალიერისი თავის „ქართველთა შთამომავლობაში“, რომელიც 1756 წელსაა დაწერილი, იუწყება: „ანა, რომელი მოყვაფების დღეს სამეფოსა ქალაქება მოსკოვს“...

მ. თამარაშვილს ქაიხოსროს შესახებ გამოქვეყნებული აქვს შემდეგი ცნობა, 1708 წ. 13 აგვისტოსი. „აქ პაისათვის მოიტანეს ორი წიგნი, ერთი საქართველოს პატრიარქისა და მეორე ძმა ხოსრო მირზასი, რომელიც არის ისპაპანის მსაჯული...

როდესაც საქართველოში დასახლებული, ერთი თავადის ქალი შეურთავს, მაგრამ ცოლქმრული კავშირი არა ჰქონია, ხოლო გათათრების შემდგომ მრავალი ცოლი მოუყვანია. გარნა ახლა რა ისევ მიუღია წმიდა სარწმუნოება, ამ ქალთაგანი აურჩევია ერთი, რომლისაგანაც შესძენია შვილები“⁵⁴.

ქაიხოსროს ჰყოლია ხარჭაც, რომლის შესახებაც სენია ჩენიძე წერს: ბატონიშვილი ქაიხოსრო „გაისტუმრეს პატრიკია, მაგრამ კაცნი მცირედნი გაატანეს... მსახურნი თან წაიყვანა და ჰყვანდა ხარჭა“⁵⁵. ამ ხარჭის არც სახელია ცნობილი და არც ის, ჰყვავდა თუ არა ამასთან ქაიხოსროს შვილი. ვახტანგ VI „ნათესაობის“ მიხედვით ქაიხოსროს შვილს მხევლისაგან სახელად ერქვა შანაოზ-ხან.

ქაიხოსრო + X
↓
შანაოზ-ხან

ვახტანგის „ნათესაობაში“ მეორე შვილისათვისაც არის გამოყოფილი. გრაფა, მაგრამ სახელი არა ჩატერილი.

ქაიხოსრო + გატერინგ

↓
დავით ანა

ქაიხოსრო + X

↓
შანაოზ-ხან

ვახტანგ ლევანის ძე ჩერება ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა.. იგი ვახტანგ VI-ს სახელით მართავდა ქვეყანას. რჯულის გამოცვლის შემდეგ, 1716 წელს, მას უწოდეს უსეინ ული-ან, უბოძეს ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი, ბარდა (სენია ჩენიძე, გვ. 327).

ვახტანგის ოჯახური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ცნობილია. ვახტანგმა ცოლად ითხოვა ჩერქეზთ ბატონის ასული რუსუდანი, რომელიც თავდაპირველად გოორები XI შვილისათვის — ბაგრატისათვის იყო განკუთვნილი.

რუსუდანის გვარი, თითქოს, უნდა ყოფილიყო ბაკაშვილი (იხ. Г. Т. Бощадзе, Из истории грузино-кабардинских взаимоотношений, Тб., 1963, стр. 162). პ. გ. ბუტკოვის ცნობით, რუსუდანი გვარად უნდა ყოფილიყო მისოსტოვა (დიდი ყაბარდობა), ან ტაუსულტანოვა მცირე ყაბარდობა (Сенатский архив, т. VII, С-Пб., 1895 г. стр. 322—324).

54 მ. თათარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, გვ. 306.

55 სენია ჩენიძე, გვ. 312.

ვახტანგ VI⁵⁶ + რუსულანი

ბაქარ	თამარ	ანუკა	თუთა	გორგი
↓	↓	↓	↓	↓

ვახტანგ VI გარდაიცვალა 1737 წლის 27 მარტს. „საფიქრებელია, წერს თ. შეცნონა, რომ მოსკოვში თავის შვილების სახახავდ მოსული ვახტანგი ასტრახანში დაბრუნების დროს გზაზე გარდაცვლილიყო“⁵⁷, ხოლო ცოლი, რუსულან ჩერქეზთა ბატონის ასული, 1741 წლის 13 იანვარს. ღონის მონასტრის მატიანეში ჩაწერილი ყოფილა: „1741 წლის 13 იანვრის დღესა უფლისა მირქმის ეკლესიაში მარცხენა მხარეზე დაკრძალულია ქართველთა დედოფალი რუსულანი“⁵⁸.

ვახტანგის პირველი ოთხი შვილის თანამიმდევრობას იძლევა, ე. წ. გერგეტის მატიანე⁵⁹ (A—1085), ხოლო ორის სახელი აღებულია სხვა წყაროებიდან. ვახტანგ VI, ბაქარით და ისეთი თავდება ვახტანგ V-ის (მუხრან ბატონთა) შთამომავალთა ბატონობა ქართლში.

ბაქარ ვახტანგის ძე, როგორც ეპიტაფიიდან ჩანს, დაბადებულა 1700 წლის 7 აპრილს⁶⁰. ბაქარი აღრევე ჩაერია სახელმწიფო საქმეებში. 1716 წელს უბრძეს ნაიბობა⁶¹, 1717 წლიდან კი იგი დამოუკიდებლად მართავს ქართლს შაკნაოზის სახელით⁶². 1772 წელს მისცეს ყულარალასობა⁶³. ოსმალობის პერიოდის დასაწყისში ბაქარს „დახურეს ყაუხი და დაარქვეს იძრეომ ფაშა“⁶⁴.

ბაქარს ცოლად ჰყავდა არავეის ერისთავის, გიორგის ასული ანა, რომელიც 1780 წელს გარდაიცვალა⁶⁵. ბაქარი გარდაიცვალა 1750 წლის 2 თებერვალს⁶⁶.

ბაქარი + ანა
↓
ლევანი
ალექსანდრე
ელისაბედი
X

56 გარი ბრისე ვახტანგის ქალიშვილიდ ასახელებს მარიამს. იხ. Notes Hist. p. 50.45. ბრისეს ვარაუდით, ვახტანგის ერთი ქალიშვილი (სახელს არ ასახელებს) გათხოვილი იყო შოშიტა ერისთავზე. იხ. თ. ეორდანია, ქრონიკები, III, გვ. 170.

57 თ. შეკრინია, გორგის ლევანი აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტ. ძეგბანი, ტ. IV, გვ. 259.

58 ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 248.

59 ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), დაბეჭდილია: მასალები საქართველოსა და კუკაბის ისტორიისათვეს, ნაცვლა 30, 1954, გვ. 217, 244. შდრ. თ. ეორდანია, ქრონიკები. III, გვ. 38, ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 248.

60 ვლ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 247—248.

61 ს. ჩეკიძე, გვ. 327.

62 იქვე.

63 იქვე, გვ. 329.

64 იქვე, გვ. 332.


65 თ. შეკრინია, გორგის ლევანი..., გვ. 256.

66 იქვე, გვ. 285. შდრ. ვლ. ტატიშვილის წიგნი, გვ. 248. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიისადმი მიძღვნილ დოკუმენტების კრებულში ბაქარის ცოლად შეცდომით გამოცხადებულია გიორგი ბატონიშვილის ასული იხ.: Документы и материалы по истории Московского университета второй половины XVIII в. Москва, 1960, том I, стр. 337.


ლევანის უშუალო მემკვიდრების შესახებ საყურადღებო დოკუმენტი
გამოვეყენა თ. ჭალიძის „გორჯის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძლიერების
ნი, ლიტერატურული ძეგბანი“, ტ. IV, 1948).



მაშასადამე, დანასჩენი ხუთის (ეპიტაფის ცნობა) სახელი არა დამზუტებული. ერთ სახელს — ალექსანდრეს — იძლევა ანტონ კათალიკოსის წერილი (ხელნაწერი H — 18,39 v). მაშასადამე, თუ შევაგროთ:



იაკობ ლევანის შეს (ბაქარის შვილიშვილს) ჰყავდა შემდეგი მემკვიდრეობა⁶⁷:



ბაქარის შთამომავალი, პეტრე ბაგრატიონი, არ არის 1812 წ. სამამულო
ომის გმირი. თუმცალა, როგორც ჩანს, ამ პეტრესაც მიუღია მონაწილეობა
ომში.

Димитрий Левицкий с дю Умбреквиодором заслужил, в то же время как и он, звания архитектора (Бараки с Умбрецией) за здание, которое было построено в 1800 году в Риме. И это здание, как и здание, построенное в 1800 году в Риме, было построено в 1800 году в Риме.


68. თ. კუთაისი. გორგის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიცელები, ლიტ. მიგბაძი, ტ. IV, გვ. 285.

⁶⁹ ପ୍ରାଚୀ ଶିଳ୍ପିଙ୍କର ମନ୍ଦିର ମହାକାଳିଶ୍ଵର, ୩୩, ୨୪୮—୨୪୯.

вичу Левану Бакаровичу. После его смерти в нем проживала вдова его Прасковья Евграфовна, урожденная Татищева⁷⁰.

სამუშაოებით, უკანასკნელი გვერდი მარტინ ფილიპ არ ასახელებს. ჩევნ კი ვფიქრობთ, რომ ცნობა არ უნდა იყოს მართალი. ლევან ბაქარისძის ცოლი იყო ალექსანდრა იაკობის ასული სიბირსკია, რომელიც 1793 წ. გარდაიცვალა⁷. ამ დროს ლევანი კარგა ხნის შევდორი იყო (გრ. 1763 წ.). ჩევნ არ ვიცნობთ ცნობას, რომ ლევანს ჰყავდა შეორე ცოლი პრასკოვია ტატიშველა.


ლევან ლევანის ძეს პყოლია ზემდეგი შვილები:



მარიაშ ერთი დღე უცოცხლია, დაბადებულა და გარდაცვლილა 1797 წ.
22 მარტს. ევგრაფი დაბადებულა 1788 წლის 7 მარტს და გარდაცვლილა
1794 წლის 26 ნოემბერს⁷².

ალექსანდრე ბაკარის ძის დაბადების თარიღიდან ხელნაშეწილი (H—18,22 გ) თაოქვის იძლევა 1731 წელს. ნ. ტარსაიძის მიხედვით იგი უნდა დაბადებულიყო 1726—1727 წლებში (გვ. 99).

ეს არ უნდა იყოს მართალი, რაღვენაც ბაქარის უფროსი ვაჟი — ლევანი დაიბადა 1728 წელს. იგი საქართველოს აქტორი პირი ჩანს. დაახლოებული პირი იყო ელიზავეტა პეტრეს ასულთან. 1761 წლის 11 ნოემბერს დაქორწინებულა დარა ალექსანდრეს ასულ მეზოიოვაზე (Московский некрополь, 6. ტარსაძის წიგნი, გვ. 103). ეკატერინე II ალექსანდრე ბაქარისძისადმი კეთილად განშეყობილი არ იყო. იგი 70-იან წლებში საქართველოში, იმერეთშია და ქართლის ტახტზე ასვლას ოცნებობს. ალექსანდრე ბაქარის ძე გარდაიყვალა სპოლენბეგი, მაგრამ ზუსტად როდის, ცნობილი არაა. ყოველ შემთხვევაში, 1797 და 1798 წლებში იგი ცოტხალი აღარ არის⁷³. ალექსანდრეს შემკვიდრეობა ასეთია⁷⁴:



სამწუხაოლო, ამავე ცნობაში არც ალექსანდრეს და არც გიორგის მემკვიდრეობზე არათერია ნათელიამ.

გიორგის ოქანური შეღვევების შესახებ საინტერესო მასალა გამოა-
ვევინა თ. ჟურნალში. გიორგის პულლია ორი შეილი (ამ ცნობის მიხედვით) —
ითანე, რომელიც მათის სიცოცხლეში გარდაცვლილა და ანა.

⁷⁰ Н. Г. Тарсаидзе, Исторические этюды, стр. 104.

⁷¹ ვლ. ტიტიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 248.

72 0130; 83: 248—249.

73 Н. Г. Тарсандзе, Исторические этюды, 1972, № 104, 118. № შიგნება ძალის
სამიზნობრივო აზის თვალსაზრისის ცხოვტბის აზი ვალიურებით.

အလျှော်ဆင်ရွက်သူ ပြန်လည်ပေးပို့ ပြုလုပ်ခြင်း ဖြစ်ပါသည်။

⁷⁴ თ. ცყონია, გორევის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტ. ძიებანი, IV, 23, 260, 285.

14. გრაფოლოგია, V

ანა ცოლად გაჟყოლია სუვ ტოლსტოის შორეულ ნათესავს, კენერალ მაიორ გრაფ ალექსანდრე ტოლსტოის⁷⁵. ალექსანდრე ჰერტეს ძე ტოლსტოი გარდა-იცვალა 1873 წელს უენევაში. მისი ცოლი ანა 26 წლის შემდეგ გარდაიცვალა, 91 წლის ასაკში⁷⁶, ვ. ი. გარდაცვლილა 1899 წელს. მაშასადამე, დაბადებულა 920 1808 წელს.

ბაქარის ქალიშვილებიდან ერთის სახელი ცნობილია. ესაა ელისაბერი. 1737 წლის ვატანგის ამაღლის ნუსხაში⁷⁷ ბაქარის ქალიშვილად დასახელებულია ელისაბერი, რომელიც თან გაყვა მამას (ე. ი. ბაქარს) რუსეთში. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ აქედან გვიძლოს, რომ იგი ყოფილა ბაქარის პირველი შვილი (ქართული ნარატიული წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობს). აღბათ, ამ ელისაბერის ქორწილს გულისხმობს ანტონ I კათალიკოსი, როდესაც წერს: „ელისაბერის ქორწილი, მე მოსკოვს ვიყავ, რომ აქ (ე. ი. პეტერბურგში) უჟევს... თვით კელმწიფემ ელისაბერ საქორწილოდ თავის ხელით მორთო...“ (H—18,39 v). ელისაბერი დაწორებულია აღუგესვიზე⁷⁸.

ბაქარს უნდა ჰყოლოდა მეორე ქალიშვილიც, რომელიც, როგორც მისი-
ვე წერილიდან ბიძისადმი — ღომენტი კათალიკოსისადმი ივაჩაულება, საქარ-
თველოში უნდა ყოფილიყო გათხოვილი. მოსალოდნელია ბაქარს ხარჭისგან
ჰყავდეთ იგი. წერილი 1739—1742 წლებშია დაწერილი, რადგანაც ღომენტი
ექსორინიბიდან დაბრუნდა 1739 წ. 27 ნოემბერს (პაბუნა ორბელიანი, გვ.
344), ხოლო გარდაიცვალა 1742 წერს. ბაქარი წერს: „საცოდავი ჩემი ქალი
დაქვრიცებულა, ერთი ვაჟი დარჩომია, ომან ჰქვია, საჩინოშვილის შოთშის
შვილია, შეიძრალე...“ (H—18,23 r).

თამაზ ვახტანგის ასული ცოლად ჰყავდა თემისურაზ II-ს, რომელიც შემდეგში ქართლის მეფედ აკურთხეს. მოგვიანმ დროის დოკუმენტში ვახტანგ VI-ს და მისი მემკვიდრის ბაქარის ემიგრირების შემდეგ „о отезе в своем из Грузии, назначил до прибытия своего правительницаю родную сестру свою Тамару, бывшую в супружестве за владельцем Кахетии Теймуразом, который по невозвращению Бакара и воцарился“⁷⁹.

თამარი თეომშურაზისათვის პირველი ცოლი იყო და შეურთავს 1712 წელს⁸⁰. გრადაცვალა თამარი 1746 წელს. ამათი მემკვიდრეების შესახებ სხვანან ჯავშნება საგანგაბო საუბარი.

ანუკა ვახტანგის ასული ცოლად ჰყავდა ვახტუშტი აბაშიძეს. გარდაიცვალა 1746 წლის პირველი იანვარსას.

75. თ. ვე თნია, გორების ოლქში აღმოჩენილი ქართული სიცელენი, ლიტ. ძიგბანი, IV, 22, 256.

⁷⁶ დაწვერილია იხ. Н. Тарсаидзе, Исторические этюды, стр. 91—94.

77 ს. კუბანე შვილი, დავით გურამიშვილი ქართველ ჰესართა პოლკში, 1961,
ა. 148.

78 ତ. ପ୍ରୟାନ୍ତିକ, ଗର୍ଭାଶାଲିକ ଅଳ୍ପକିଣିଲୋ ଫ୍ରାନ୍କିଲିନୋ, ଲୀଟି. ମେଡିକ୍,
IV 12, 256

63. 250.

80. *oakum* 34. *obnokha* 14. *obnokha* 33. 202.

80 30659 800. 0
81 2120 22 227

ანუკა + ვაჭრები აბაშიძე

↓ ↓ ↓
პატა ლევან ნიკოლოზ

ამ სახელებს იძლევა 1720 წლის 20 სექტემბრის დოკუმენტი *Hd—1283, 1725 წლის იგნისის დოკუმენტი Hd—471* და მრავალი სხვა.

თუთა ვახტანგის ასული. თუთას სახელს იძლევა ვახტანგ VI-ს გერგალო-გოური ტაბულა (თვით ვახტანგის ხელითა ჩატერილი სახელი). ალბათ, დედის საპატივცემულოდ დაარქვა ვახტანგმა თუთა თავის ასულს. ჩვენს ისტორიულსებთან იგი საერთოდ არ იხსენიება.

გიორგი ბატონიშვილი, ვახტანგ VI ძე, დაიბადა 1712 წლის 2 აგვისტოს⁸². მცირე ასაკის გაყვა მამას რუსეთში. რუსეთის სამეფო კარზე გიორგი დაახლოებული პირი ყოფილა. ჰქონია გენერალ მაიორის ჩინი და მონაშილეობა მიუღია რუსეთ-შვეციის ომში⁸³. გიორგის გარევეული როლი შეუსრულებია მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნაში. გარდაცვლილა 1785 წელს⁸⁴. ნ. ტარსაიძის ცნობით გიორგი ბატონიშვილის გარდაცვლება უნდა ვითიქროთ⁸⁵ 1786 წ. პყოლია სამი შვილი იყობი, ვასილი და ანა.

ა. ფირცხალიაშვილის აზრით, გიორგის ცოლი ყოფილა თითქოს ციცი-შვილის ქალი⁸⁶. ლ. ბაშნიძეს მიაჩნია, რომ გიორგის ცოლი იყო პეტრე პირველის სენატორის იაკობ თევდორეს ძე დოლგორუკის ქალი მარიამი⁸⁷.

გიორგი + მარიამ
↓ ↓ ↓
ვასილი იაკობი ანა
(1750 წ. 21/X—1764 წ. მაისი) (1751 წ. 31/V—1768 იანვარი) (1754, 14/V—1779 12/V)

იაკობი 14 წლის ასაკში გარდაცვლილა, ხოლო ვასილი — 17 წლის. ანა 16 წლის ასაკში ცოლად გაპყოლია ალექსი ბორისის ძე გოლიცინს, რომელიც 1732 წლის 30 იანვარს დაიბადა (H. Тарсандзе, გვ. 89). იგი 25 წლის ასაკში გარდაცვლილა, 1779 წელს. ეპიტაფიები გამოქვეყნებული აქვს ვლ. ტატი-შვილს წიგნში: „ქართველები მოსკოვში“ (1959, გვ. 250—251).

ანა გიორგის ასულს ალექსი ბორისის ძე გოლიცინთან ჰყავდა სამი ქალშვილი და ერთი ვაჟი: მარიამი (1772—1826), სოფიო, ელიზავეტა და გორგო.

82 თ. ქორდანია, ქრონიკები, III, გვ. 38, 42.

83 ა. ლ. ფირცხალიაშვილი, მე-18 საუკუნის მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან, დაბეჭდილია უზრნალ „ნათობში“, 1952, № 5.

84 მოსკოვის იურიდიული მუზეუმი.

85 H. Тарсандзе, Исторические этюды, стр. 89.

86 იბ. დასახელებული წერილი.

87 ლ. ბაშნიძე, ანტონ კათალიკოსის წერილები, ძევლი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, წიგნი IV, 1973, გვ. 71. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის სამათ მიღებილ დოკუმენტებს კრებულში გიორგი ბატონიშვილის ცოლად გამოცხადებულია არგამავრის (მოსკოვის უნივერსიტეტის ასებული გიმნაზიის დირექტორი) და. დокументы и материалы по истории Московского университета второй половины XVIII века, т. I, 1756—1764, М., 1960, стр. 337.

↓ მარიამი	↑ სოფია	↓ ელიზავეტა	↓ გიორგი
--------------	------------	----------------	-------------

მარიამი ცოლად გაჰყვა პეტრე ალექსანდრეს ძე ტოლსტიოს (1769—1844 წ.), სოფია — ემანუელ სენ-პრის, ხოლო ელიზავეტა — ა. ი. ოსერმან-ტოლსტიოს. გიორგმ, რომელიც დაიბადა 1772 წელს, განათლება მიიღო პარიზში. გარდაიცვალა უცოლოდ.

მარიამი და პეტრე ალექსანდრეს ძე ტოლსტიოს ოჯახი მრავალშეიღილიანი იყო, რომელთაგან ერთმა ვაკემა — ალექსანდრე პეტრეს ძემ ცოლად ითხოვა ასც თუ შორეული ნათესავი — ანა გიორგის ასული (ბაქარის შეიღილის ალექსანდრეს ძის — გიორგის ასული)⁸⁸.

ვახტანგს ხარჭისაგანაც ჰყოლია შეიღები. ესენია ცნობილი ისტორიკოსი ვახტანგი ბატონიშვილი, ერეკლე II-ს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მეთაური — პაატა ბატონიშვილი, და როსტომი.

ჩენ არ ვიცით სამოვე დასახელებული ვაჟი ერთი ქალისაგან ჰყავდა ვახტანგს, თუ სხვადასხვისაგან. ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა ქალისაგან უნდა წერენდა ვახტანგს ისინი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ერთად აღვნიშვნავთ:

ვახტანგი + X		
↓ ვახტანგი	↓ პაატა	↓ როსტომი

როსტომი უნდა ყოფილიყო უფროსი. მისი სახელი იხსენიება თირის მონასტერში დაცული საფლავის წარწერაში. თითქოს როსტომი უნდა ვახტანგი და სხვადასხვისაგან. ვკითხულობთ: „...საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სამეცნიეროსა მამულსა, სოფელსა ამას რაოდენობე წელთა და მიიცალა ჩემი პირმშო ბატონიშვილი როსტომ და დავფალი ეკლესიასა ამას შინა, სამკვიდროსა მამულსა ჩემსა, ქრისტე აქეთ ჩენთ“⁸⁹. სიტყვა პირმშო მიუთითებს, რომ იყო იყო პირველი შეიღილი, მაგრამ არა რუსულანისაგან.

1962 წ. „ლიტ. გაზეთში“ ბეჭან გიორგაქმ ვამოქვეყნა წერილი „უცნბი ავტორის რელიაცია საქართველოს შესახებ“, რომელშიც იტალიელი მწერლის ლეონის ცონბებია გამოქვეყნებული. ცონბაში ნათქვამია, რომ ვახტანგს პაატა შეეძინა მხევლისაგან⁹⁰.

პაატა — ალ. ფირცხალაშვილის აზრით, პაატა უნდა დაბადებულიყო 1720—1722 წლებში⁹¹. 1749 წლის იანვარში რუსეთის ხელისუფალთაგან განაწყენებული პაატა გაიქცა ეკრობაში და იქიდან ჩამოვიდა თბილისში. როგორც ალ. ფირცხალაშვილმა დაადგინა, მისი მარშრუტი ყოფილა: პეტერბურგი —

⁸⁸ დაწერილებით ი. Н. Тарсандзе. Исторические этюды, стр. 88—91. ჩენი ცნობები აღებულია იმ წიგნიდან.

⁸⁹ კ. კიკეთიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 483, სქოლით.

⁹⁰ ლიტ. გაზეთი, 1962, ივნისი.

⁹¹ А. Г. Пирцхаланиშვili, ცაревიჩ მაატა, დაბეჭილია: საქართველოს ფეოდალები ხანის ისტორიის სკოთები, 1972, გვ. 72.

რიგა — მიტავა — მემელი — კენიგსბერგი — ვარშავა — კამენეცი — ბუქარესტის ტი — კონსტანტინოპოლი — ერზუმი — თბილისი⁹².

პატარა ბატონიშვილმა გადაწყვიტა ქართლის ტახტის დაბრუნება და ჩაუდგა სათავეში შეთქმულებას ერეკლე II-ს წინააღმდეგ. ერეკლემ მას თავი მოჰკვეთა 1767 წ.

ვახუშტი ბატონიშვილი — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პირი ჩვენს ისტორიაში, დაბადებული, დახლოებით, 1696 წელს⁹³. მისი გარდაცვალების თარიღიც დაზუსტებით ცნობილი არ არის. ვალერიან გაბაშვილი მის გარდაცვალებას ვარაუდობს 1757 წლის მაისს, ხოლო სხვები — 1770 წელს. მოსკოვის ქართული კოლონიის გეგმის მიხედვით იგი ცოცხალი ჩანს 1766 წლის 12 ივნისს⁹⁴. ვახუშტის ცოლის სახელია მარიამი. მისი მეკვიდრეები 1737 წელს ვახტანგ VI-ს ამალის ნუსხაში დასახელებულია: ოთანე, ოთამ, პეტრე, გუქა, მარიამი⁹⁵. მაშასადამე:

ვახუშტი + მარიამი				
იოანე	იოთამ	პეტრე	გუქა	მარიამ
↓	↓	↓	↓	↓

რამდენიმე ცნობა ვიპოვეთ იოანეს შესახებ. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, იგი მეტად განსწავლილი ყოფილა: „მეფის ძე ვახუშტი, ნათესავი ჩვენი და ძე მისი იოანე, რომელი აღიზარდა ფრიად სწავლულებასა შინა წერილ-სალათინთასა...”⁹⁶ 1756 წლისათვის იოანე ყოფილა ჯაში. ანტონი წერს: „ჩემი ნათესავი ერთი ლეონ არ მინახავს და ერთი ვახუშტის ყმაწვილი იოანე, ჯაში არის იოანე”⁹⁷.

დომენტი ლევანის ძე წლების განმავლობაში ქართლის ეკლესიას განავებდა (1705—1724, 1739—1742) და გვერდში უდგა საკუთარ ძმას ვახტანგს საქცევნო საქმეების მოგვარებაში. მას ოჯახი არ ჰყავდა, გარდაცვალა 1742 წელს.

ხვარამზე ლევანის ასული მატიანეებში თითქმის არ იხსენიება და ჩვენც ვერაფერი გავარევით.

თეომურაზ ლევანის ძე. მის სახელს იძლევა რამდენიმე დოკუმენტი. იგი გარდაიცვალა 1710 წლის 7 დეკემბერს⁹⁸. დოკუმენტებში თეომურაზი დასახელებულია ქაიხოსროსთან, ვახტანგთან, იესესთან, სვიმონთან ერთად⁹⁹. თეომურაზის ოჯახურ მდგრამარებაზე არაფერი ვიცით.

სვიმონ ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ს ძმა, ქართლის გამგებლად იხსენიება ჯერ კილევ 1714 წელს¹⁰⁰. სვიმონის პირველი მეუღლე ყოფილა არავის

⁹² იქვე, გვ. 79.

⁹³ Н. Г. Тарсандзе, стр. 88.

⁹⁴ ვახტანგ იონ ცაგერ, ვახტანგ VI შეენბლობა — „გრუზინო“, ძეგლის მეგობარი, № 22, 1970, გვ. 42.

⁹⁵ ს. ყუბანე შვილი ი., დავით გურამიშვილი ქართველ პუსართა პოლქი, გვ. 150.

⁹⁶ თ. ეორდანია. ქრინიკები, III, გვ. 223.

⁹⁷ ჩ. 18, 39 v.

⁹⁸ თ. ეორდანია, ქრინიკები, III, გვ. 33. შდრ. ვახუშტი ი., ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 488.

⁹⁹ შდრ. იქვე, გვ. 13.

¹⁰⁰ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, შეადგინა და გამოსკან. ბერეძიშვილმა, ტ. I, № 214, Hd—14613.



ერისთავის ბარძიმ მდივანბეგის ასული გულქან (საბუთებში ისენიება გმიროვანი ქადაგი ფორმითაც)¹⁰¹. სკიმონი დაოჯახებულა მაშინ, როდესაც ვახტანგი სპარსეთში იყო — 1712 წლის ბოლოს — გარკვეული პოლიტიკური მინებით. ვახუშტი საგანგებოდ აღნიშვნას: „ხოლო სკიმონ მასვე ქოჩანიკონს მოიყვანა დაშინდული ქაიხოსრისი, ასული ბარძიმისა ცოლად და იქორწინა მომტკიცებისათვის გიორგი ერისთვის და იწყეს ქვე-გამხედველობა ვახტანგისა“¹⁰². გარდაცვლილა გულქანი 1717 წელს¹⁰³. გუქას ეპტაფია გამოქვეყნებული აქვს ა. ნატრიუმილის: „...მე სიყრმიდანვე შენდა შემავედრებელი, თანმეცხელი მეფისა ძისა სკიმონის და სილად ხმობილი მაღლით მეფეთ, არაგვის ერისთავის ბარძიმის ასული გუქას“¹⁰⁴. მათი შვილების სახელებიდან ცნობილია ერთი — აჩილი. თვით ბარძიმი კი ყოფილა გიორგი არაგვის ერისთავის ძე, მისი ძმები იყვნენ ოთარ და რევაზ¹⁰⁵. მაშასაღამე, გამოდის, რომ ბაქარს ცოლად ჰყოლია ზიძის — სკიმონის ცოლის მამიდა.

სკიმონ + გუქა
აჩილი

სკიმონს გუქას გარდაცვალების შემდეგ მეორე ცოლად შეურთავს ანა პაატას ასული (S—5008, „კლდე სარწმუნოებისა“, ვახუშტის თარგმანი), ლ. ძმენიძის დაკვირვებით, ამილახვარი¹⁰⁶, რომელიც ისენიება ვახტანგის ამალის ნუსხაში — „ნუსხა დ. ბატონის შეილის სკიმონის“¹⁰⁷. აღნიშნულ ნუსხაში სკიმონის ძედ დასახელებულია ბერი — „ამისი შვილი ბერი“. საფიქრებელია, რომ იგი ანასაგან ჰყავდა მას.

სკიმონი + ანა პაატას ასული ამილახორი
ბერი

ხელნაწერი H—18 (22 v, სამდივნო წიგნი), რომელშიც სამძიმრის წერილებიცაა, სკიმონის გარდაცვალების თარიღად თითქოს იძლევა 1741 წლის ვარაუდის შესაძლებლობას¹⁰⁸. ამ თარიღის საფუძვლინობას სხვა მონაცემებით ვერ ვამაგრებთ.

იესე მეფის ოჯახური ამბები ბოლოსათვის შემოვინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ლევან ჯანიშვინის პირველი შვილია მეორე ცოლთან. იესეს ფრიად დახლართული ოჯახური ცხოვრება ჰქონდა.

1709 წელს იესეს მისცეს ქირმანის ბეგლარბეგობა და დაარქვეს ალიული ი-ბანი¹⁰⁹. 1710 წელს უბოძეს თოფჩიბაშობა¹¹⁰. ქართლი პირველად

101 თ. ე თ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გვ. 43.

102 ვ ა ხ უ შ ტ ი, ჩუბანიშვილის გამოცემა, გვ. 77.

103 თ. ე თ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გვ. 63.

104 А. Натроев, Мцхет и его собор Светицховели, გვ. 323.

105 საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 448.

106 ქველი ქართული მწერლობის და რუსთველოლოგის საკითხები. წ. IV, 1974, გვ. 72.

107 ს. კ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, გვ.

137.

108 ამცე ლოკვენტით დასახელებულია სკიმონის „ზმისწული მარიამ“, რომელსაც დომენტი ქათალიკისადმი გაუგზავნია ეპისტოლე (H—18, 22r—v). ვინ უნდა იქოს მარიამ, ჩვენ არ ვიცით.

109 ს ე ხ ნ ი ა, ჩ ხ ე ი ძ ე, ჩუბანიშვილის გამოცემა, გვ. 325.

110 იქვე, გვ. 326.

1714 წ. მისცეს. 1721 წელს ვახტანგმა უბოძა ბატონიბა მუხრანისა. 1723 წ. მუსტაფას სახელით ქართლის ტახტზე აღის იესე ლევანის ძე. გარდაიცვალა იესე 1727 წელს.

იესე მეფის ოჯახური მდგომარეობა, მემკვიდრეობა და ჯალაბობის დადგენა აღვილად ვერ ხერხდება. იესე მეფეს პირველად უთხოვია ერასტი ყაფლანიშვილის ასული მარიამ მარიამ ს. სენია ჩხერიძე წერს: „გამოჩნდა ხანი რაოდენიმე, შეიძოთ ასული ყაფლანის შევილისა ერასტისა მარიამ, ესვა ძე ამასთან გორგი¹¹¹. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო 1712—1714 წლებში. იგი წერს: „წაგვარა ცოლი დედის (თინათინ ავალიშვილი, მ. ქ.) ბიძასა თვისსა ჭაიხოსროს ამირეკიბს ბების (როდამ ყაფლანიშვილი, მ. ქ.) ძმისწული თვისი, ასული ერასტისა (მარიამ, მ. ქ.) და შეიძოთ თვით ცოლად¹¹².

ისტორიკოსები ამ უკანასკნელს ხარჭად მიიჩნევენ და მას მხოლოდ ამ სახელით მოიხსენიებენ. ამის შესახებ პირდაპირი მითითებაა „კალმასობაშიც“. მარიამისაგან იესეს შესძენია გიორგი, ცონბილი პოეტის დომიტრი ბაგრატიონის მამა. გორგის ცოლად შეურთავს ვახუშტი თბელიანის (სულხანსაბა რობელიანის ძმა) ასული თამარი, რომელსაც უშვილო ბიძა ერასტი ზრდიდა. მაშასადამე:

იესე+მარიამ ყაფლანიშვილი ერასტის ასული
↓
იესე+მარიამ ყაფლანიშვილი ერასტის ასული

დომიტრი ბაგრატიონი + ავალიშვილი
|
ელისაბედი ანასტასია

ვახტანგ VI-ს ბაგრატიონთა გენეალოგიურ ტაბულაში იესეს შვილად და-სახელებულია ალავერდი. ალავერდი ბატონიშვილი დამოწმებულია რამდენიმე დოკუმენტშიც და ვახუშტის ისტორიაშიც. ჩ. ნაკაშიძის ვარაუდით, ალავერდი და გორგი ერთი და იგივე პირია¹¹³.

იესე მეფეს ცოლად შეურთავს ერეკლე I-ის ასული ელენე ბეგუმად სახელდებული. ვახუშტი წერს: „მეფის იესეს წინათ ნათხოვნი იყო მეფის ირაკლის ასული ბეგუმ... „გაშეება მისი არ ეგებოდა“. ეს ამბავი აღწერილი აქვს ვახუშტის 1715 წ. ამბებში. „წინათ ნათხოვნი იყო“ უნდა ნიშნავდეს შემდეგს: მარიამ ყაფლანიშვილის თხოვნისას თუ ხარჭად მოყვანისას ელენე ნათხოვნი ჰყავდა იესეს და მისი გაშეება არ ეგებოდა. მაშასადამე, იესეს ელენე უთხოვია 1712 წლიდე, 1712—1714 წლებში კი მარიამი ჰყოლია და შემდეგ კვლავ, ე. ი. 1715 წ. ელენეს დაბრუნებია.

თ. ფრიდანიას „ქრონიკების“ მე-3 წიგნში გამოვეუწებულია პირდაპირი ცონბა, რომ იესემ ელენესთან იქორწინა 1715 წელს¹¹⁴. მაგრამ ეს ცონბა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად, თუ კი ჩვენ ასწანს მივიღებთ. საქმე იმაშია, რომ იესესა და ელენეს ჰყოლიათ შვილი ითანე, რომე-

¹¹¹ სენია ჩხერიძე, საქართველოს ცხოვრება, 6. ჩებინაშვილის გმოცემა, 1953, გვ. 327. ქვემოთ კვლევან სენია ჩხერიძე.

¹¹² ვახუშტი ბატონი გვილი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჰიჭინაძის გამოცემა, 1913, ქვემოთ კვლევან ვახუშტი.

¹¹³ რარა ნაკაშიძე, დიმიტრი ბაგრატიონის ცხოვრება და მოღაწეობა, ნაშროში ფილ. მეცნიერებათა კანკლიდების სამეცნიერო ხარისხის მოსამოვებლიდ, 1971.

¹¹⁴ თ. ცორდანია, ქრონიკები, III, გვ. 58—59. უდრ. ვახუშტი რომელიც წერს „მოყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად ქს. ჩლილი (1715 წ.)“ გვ. 121.

ლიც 1712 წელს გარდაცვლილა და დაუსაფლავებით ალავერდის ტაძრის მიერ დამწუხებულ შობლებს ალავერდის ტაძრისათვის შეუწირავთ ოქროს ხატი წარწერით: „ჩვენ საქართველოს მეყრბელი მეფე იეს და თანამეცხედლემა ჩვენი (sic!) ელენე მას უმსა ოდეს მიგვეცვალა ძე ჩვენი იოანე და მიღეთ ალავერდს, საფლავსა მისსა, ხატი ეს დავსცენეთ ქ' ქ' უ (1712 წ.)“¹¹⁵.

იეს მეფეს ელენესთან სანაქებო ქორწილი გადაუხდია. ხალხში ასეთი ლექსი გამოუთქვამთ:

„იასე ნეფე მობრძანდა, დადგა ქილაქის პირსაო,
სასახლეები დამაზანა, საჩრდილობელი მზისაო,
ზედ ნალირი გამოსახა: ნუკრი, ირები, შვლისო,
ბეგუნ დედოფლის თხოულობს, ნეფის ერეკლეს ქალსაო,
ორშაბათს ქორწილს აძირებს, ქართველთ უქალის ლხინსაო“¹¹⁶.

S—4548 ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „ქართველმან ბატონნან, ძემან ლეონისამან, ქორწილი ქნა, გვარი დაიწერა: მარტყოფს, კვესა ნორიოსასა, საყდარსა, დიდად სახელვენის მეფის ერეკლეს ასულთან, პატრიონს ელენესთან და ჩაიყვანა ქალაქსა ტფილისისა, ქორნიკონსა უგ (1715 წ.), ოქტომბერსა 5“ (3 გ).

ელენესთან იესეს, წყაროთა უმრავლესობის ჩვენებით, ჰყავდა შემდეგი შვილები — თეიმურაზი, ანსატასი და მარიმი. თეიმურაზი იგივე ცნობილი ანტონ კათალიკოსია. ქალიშვილები ადრე გარდაცვლილა¹¹⁷. ანტონმა მწარედ დაიტირა თავისი დედა და დები, მაგრამ არსალ არ უხსენებია სხვა დედმაშიშვილი.

„მოედით მსმენო, იხილეთ ანტონისანი,
ცრემლი ნაზავნი, სიტყუათა გლოვისათა
ვინ მეუღლად ვეგუალე, სეფეთა ჩუზი მშობელთა,
ამან წალონ ჩემი, მთ ცალიერ ჰყო,
როს ჭუარით ჩემებრ, ჩემთან განსულად ისწრაფა.
არ მტრტუენის თქმან თქუზნოვის მე გლოვისანი,
ვინცა ისმინნ, არ მედემის არაეისგან,
ამდ, ვითარედ თქუზი შეილნ მეცეთანი,
ორ მეფობითა ძირთაგან ნაწარმონი
ყრმანი პასაკით შუენიერ, მორც ნაკუთით“¹¹⁸.

ანტონის დედა ელენე თავის ორ წერილში მიუთითებს, რომ მას, ყოველ შემთხვევაში წერილის წერის დროს, ანტონის გარდა ვაეიშვილი არ ჰყოლია. იგი ანტონს წერს: „მან შენ არა გვიყავს და რად დაყარგვ იმედი მეფობისა“. ამასვეს იმეორებს იგი ყიზლარის კომენდანტისადმი მიწერილ წერილშიაც: „ერთი შვილიდა შემჩრენოდა, ჩემი სული და სიცოცხლე იმისი ყურებით იყო... ერთი შვილი მყავს, ამისგან დატირება, დამარხვა მელირსება...“¹¹⁹. მაშასადამე,

115 თ. ტორდანია, ქრინიები, III, გვ. 58—59. შდრ. ვახუშტი, რომელიც წერს „მოიყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად ქ.ს. ჩლილი (1715 წ.)“, გვ. 46.

116 A—1268,3.

117 პ. კარბელაშვილის აზრით, ისინი გარდაცვლილი 1731—1733 წლებში. ის. იერაზია საქართველოს ეკლესიისა, 1900, გვ. 144.

118 ანტონ კათალიკოსი, წყობილისტუვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 300. ათონოვია, II, გვ. 230.

119 ეს წერილი ინხება ცГА დაგესტანის მახაჩკალის ფონდი—კიაზერსკის კომისარი 1738 გ. და 1740 გ. მარტინ ა. სახელის მიერ მიმდინარეობა. მისი მიმდინარეობა დაგვითომ ვერტუველია, რისოვისაც მდგრადი მოახსენებოთ.

ამ ცნობებით ივარაუდება, რომ ელექტრიკული სხვა ძე იქსეს არ ჰყოლია. მაგრავი; როგორულ ქვემოთ ვნახავთ, სხვა მონაცემებით ეს არ მართლდება. ნათელად შეიძლება ასე გამოვჩატოთ:

იესე + ელენე-ბეგუმ (ერეკლეს I ასული)

↑	↓	↓	↓	↓	↓
ითანე (გარდ. 1712)	დაეკითი (Hd 4076, 1724 წ. 22/IV)	ანტონი	ანსტილი	მარიამი	

3. კარბელაშვილის ცნობით, იქნება მეცნეს 1716 წელს დაეხადა ვაკი, ცხალია, არა ანტონი. მკვლევარი არც წყაროს და არც სახელს ვაჟისას არ ასახელებს¹²⁰.

გარდა დასახლებული პირებისა, ნარატიულ წყაროებში იქცეს შვილებად ისენიება ითანე, არჩილი, აბდულაბეგი, უსეინ-ბეგი, ისაუ-ბეგი, ალექსანდრე, დავითი.

ପାଇଁରୁ ଏହିକିମ୍ବାନୀ ତାଙ୍କିରେ „ଶୈଖିକୀୟତାଙ୍କି ଜ୍ଞାନତଲିସାନ୍ତି“ ଦ୍ୱାରା ଉପସ୍ଥିତ ହେଲାମୁ

„ისიც აღსრულდა, ქალაქში დამარხეს თათარზ წესითა, ხუთი ძე დარჩა ოთხ ცოლთან, თეთრი გაიყუდეს ქესითა“¹²¹.

იესუს ორი ცოლის სახელი ცნობილია, ხოლო ორისა კი უცნობია. ამცნობის სახელებია ცნობილი. ჩვენ შევეცადეთ წყაროებიდან დაგვეღგნა იესუს შვილების შესახებ მონაცემები.

პაპუნა ორბელიანი თავისი ისტორიაში იმ აღგლოს, სადაც თეიმიურის მეორის მეორედ დაქორწინებას ჲაპარაკობს, წერს, რომ ანა-ხანუმი, რომელიც იქსე მეფის დეიდაშვილი იყო, კათალიკონმა ანტონმა თავის სასახლეში წაიყვანა და იქიდან გაატანა თეიმიურისზე. ანტონმა „შემწე ექმნა უსუცესი ძმა მისი ბატონიშვილი არჩილ, ეკ მეფის იქსესი, რათა ნათესაობისა მიზეზით თვისისა სახლით მოსცეც“¹²². თუ ამავე წყაროს მეორე ადგილიდან ამოვალო, არჩილის თათრული სახელი ყოფილა აბდულაბეგ. „ამისა შემდგომად წაბანდა მეფე ერეკლე კახეთს და ქართველი ბატონ ჩამობრძანდა მცენობიდ ქადაქსა თბილის, როსტომ მირზამ, ძენინ აბდულაბეგ არჩილისამან, იშოვა მრავლის და-პირებამ...“¹²³ სხვა ცნობებიდანაც არჩილი და აბდულაბეგი ერთი და იგვევ პირია. სენია ჩხეიძე პირდაპირ წერს, რომ 1736 წელს „მოვიდა ყაენისაგან ბძანება და წყალობა, ქართლი ებოდა აბდულაბეგისათვის, იქმნა მეფედ საქართველოსი და დაარქევს არჩილს“¹²⁴ (რამდენიმე წნით ადრე მას მისცეს გორის ნაიბობა. სენ. ჩხეიძე, გვ. 341). ნიკო ბერებინიშვილი მას არჩილ II-ს ეძაბის¹²⁵. მართალია, მისი ბატონობა ლილას არ გავრჩელდულა. იგი მომავალ წელს „ჩამოვიდა სეფი ხანი ქალაქს და დაიკირა მეფე არჩილ და იყვანეს ცახეში. დაებარებინა ყაენს მეფე არჩილ, წავიდა გიორგიბის თევესა ი (10)“¹²⁶. ამის შემდგე იგი მეფედ აღარ იხსნება, თუმცა მრავალი თანამდებობა უჭირა.

¹²⁰ 3. Հարձելութեամբ զօլո, ըղբարինա Տաճ. Այլոցնուսա, 22. 141.

¹²² Յ. Դ. Ա. Խ. 1971, թ. 259.

123 933: 33: 467.

124 b 2 b 6 o o b b o o d o, 23, 341.

125 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გამოსაცემად მომზადა 6. ბერძნებიშვილმა, წ. II, გვ. 28.

126 ს ე ხ ნ ი ა ნ დ ი; 23: 342.

აბდულაბეგი და არჩილის ერთი და ივოვეობა აღრეც იყო აღნიშნული მატერიალის სპეციალურ ლიტერატურაში¹²⁷. საერთოდ წყაროების მიხედვით აბდულაბეგი ძალიან ქრისტიანი პირია და ხშირად მისი პოზიციები და საქმიანობა უპირისპირდება ქართლ-კახეთის მეფეთა ინტერესებს. რომ იგი ყოფილა უფროისი მას ანტონისი, მაგრამ ვინ იყო დედამისი, არ ჩანს. აბდულაბეგს ცოლად ჰყოლია კახის ბატონის ასული ბეგუმ: „გამოეგზავნა ხელმწიფეს (ე. ი. შავას) ერთი მაკლობელი ყული ფრიდონ-ბეგ, დაეპატიუა დედოფალი კახეთისა თამარ (თეიმურაზ II-ის ცოლი, ვახტანგ VI-ის ასული) და მეუღლე აბდულაბეგისა ბატონიშვილისა, რომელიც იყო ასული კახის ბატონისა ბეგუმ...“¹²⁸ ეს დაპატიუება აღწერილია 1742 წლის აბგებში. აბდულაბეგის მეუღლე იყო ოეიმურაზ მეორის და, როგორც ეს პაპუნას შემდეგი ადგილიდან ჩანს: „მიბძანდა მეფე კახეთისა ერეკლე კახ-დარბაისლით. რას წამს მიბძანდა, ნახა მაშინვე ხელმწიფემ და უბოძა ხალათი, მიბძანდა დედოფალი საქართველოსი თამარ, თან ახლა ბეგუმ, აბდულაბეგ ბატონიშვილის ჯალაბი, რომელ იყო და შეფის თეიმურაზისა, და ბატონიშვილი ანუკა (ვახტანგ VII-ის ასული, თამარის და), მეუღლე ვახუშტი აბაშიძისა“¹²⁹. თეიმურაზის დებიდან ბეგუმის ზედწოდებით ყველაზე მეტად ცნობილია ელენე, რომელიც იესე მეფის ცოლი იყო და ანტონ პირველის დედა. ჩვენ სრულებით გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ აბდულაბეგმა ცოლად ითხოვა მამის — იესეს ნაცოლარი (თუმცა ასეთი ფაქტი ცნობილია ჩვენს ისტორიაში. როსტომ მეფის გაზრდილს ვახტანგ V-ს შავამა მეორე ცოლად თხოვია როსტომის ნაცოლარი მარიამი).

პაპუნა ორბელიანის სხვა ცნობებიდან დგინდება, რომ აბდულაბეგის ცოლის სახელი იყო ქეთევანი. პაპუნა წერს: აზატ-ხანმა ერთგულობის დასტურად თეიმურაზისაგან ითხოვა ქალი. აზატ-ხანს „უარი ვერარ უთხრეს მეფეთა ჩვენთა და უბოძა მეფეზ თეიმურაზ თვისი დისტული, (რომელი) ყვანდა აბდულაბეგს ბეგუმ, იმის ქალი მარიამ ბეგუმ, აზატხანის კაცთ...“¹³⁰. ე. ი. მარიამი, რომელიც იყო აბდულაბეგის ასული, მიათხოვეს აზატ ხანს. პაპუნა 1755 წლის აბგებში აღწერს შემდეგს: აზატ-ხანსა და ქართველ მეფეთა შორის გაუგებრობა ჩამოვარდნილა. „ბრძანებითა მეფეთა წავიდა ასან-მირზა, ბატონიშვილის დედა აზატხანთან, თან იახლეს ძმა თვისი... რა ჩავიდნენ აზატ-ხანთან, მისცა პატივი დიდი, ვითაც სიძე იყო და ამ ქეთევან ხანუმის ქალი ცოლად აზატ-ხანს ედგა“¹³¹. მაშასადამე, ქედან გამოდის, რომ აზატ-ხანის მეუღლე მარიამი იყო ქეთევანისა და აბდულაბეგის ასული. ხოლო ეს ქეთევანი, როგორც პაპუნა სხვა ადგილის პირდაპირ წერს, იყო თეიმურაზ მეორის და, ე. ი. ერეკლე I-ის ასული. ერეკლე I-ის შვილების სახელები რჯულიერი მეუღლისაგან და მხევლებისაგანაც შემდეგია: ელენე, ხვარეშანი, მაკრინე, ქეთევანი (ჩვენ ვაჟებზე არას ვამბობთ¹³²). აქ ერთი დიდი წინააღმდეგობაა. ქეთევანის სახელი ცნობილია მხოლოდ მისი ეპიტაფიდან. იგი იყო მეუღლე ქიზიყის მოურავის აბელი-

127 3. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 145; ვალ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკ. მეორე ნახევრის რესეტ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ტ. II, 1968, გვ. 29.

128 ვაჟ უნა ორბელიანი, გვ. 356.

129 იესე, გვ. 374—375.

130 ქევე, გვ. 450.

131 იესე, გვ. 468.

132 კ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტი-ზღვები, ტ. IV, გვ. 230.

სა და გარდაიცვალა 1718 წელს¹³³. პაპუნა ორბელიანი კი დაუინტით ამბობდა, რომ თეომურაში II-ის და იყო აბდულაბეგის ცოლი. (თავისითავად ეს ფაქტი ვერ თავსდება ქორწინების ქართულ წესსა და ტრადიციაში. მამა-შვილს — იქესა და აბდულაბეგს, ცოლად ჰყოლიათ დები). ერთადერთი შესაძლებელი ვარაუდი იქ ისაა, რომ ერეკლე I-ს რომელიმე ხარჭისაგან (ზემოთ ნახსენები ქეთვანი რჩულიერი მეუღლისაგან — ანა ჩოლოცაშვილისაგან ჰყავდა) შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც სახელად დაარქვეს ქეთვანი¹³⁴. ეს ქეთვანი მიუთხოვებით აბდულაბეგისათვის (ალბათ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით). ხოლო თვით აბდულაბეგის დედა ვინ იყო, ჩვენთვის უცნობია. ერთი კია, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო არც ელენეს შვილი და არც მარიამისა, გიორგის დედისა.

აბდულაბეგი და არჩილი მართლაც ერთი პირი ჩანს. იგი ანტონზე უფროსი ყოფილია. მაშასადამე, დაბადებულა იგი 1720 წელზე აღრე, რადგანაც ანტონი 1720 წელს დაიბადა.

აბდულაბეგსა და ქეთვანს რამდენიმე შვილი ჰყოლიათ. ერთის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. აბდულაბეგის უფროსი შვილი ყოფილა აღასი. პაპუნა ორბელიანი წერს: „გამოეგზავნა აბდულაბეგს ბატონის შვილს თავისი უფროსი შველი აღასი და გამოუტანებია სამოცი კაცი...“¹³⁵ სხვა შვილების უფროს-უშუალესობა, ქრონოლოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის. ერთი კი ცხადია, რომ კველანი მამის მსგავსად ამბოხის თავები ყოფილან და ხშირად ჰქონიათ შეხლა-შემოხლა ქართლ-კახეთის მეფეებთან. სწორედ ერთ-ერთი კონფლიქტის შემდეგ წერს პაპუნა, რომ „დაიკირეს როსტომ მირზა და ამყოლნი მისნი... აუშვეს ისევ პატიმრობისაგან და ქალაქიდამ წავიდა ყიზილ-ბაშის ქვეყანათა, სადა ჰყავნენენ ძმები თვისნა“¹³⁶.

აბდულაბეგის შვილს დავითს მონაშილეობა მიულია 1767 წელს პაატა ბატონიშვილის მიერ მოწყობილ შეტემულებაში. იგი პაატას მსგავსად დაუსჭით სიკედილით: „აბდულაბეგის შვილს დავითს თავი გააგდებინა ხმლით ბარამ ნაზირამ გურგენიძე“¹³⁷.

საბუთით Hd—6330—1755 18/IV (უგ—443+1312=1755) დამოშებულია 1756 წლის 27 მარიამობის თვეს (აგვისტოს)—გამოდის, რომ აბდულაბეგის შვილი დავითი და რიზაყული მირზა ერთი და იგივე პირი. „... მოგეცით ჩვენ ბატონის შვილმა როსტომითა თქვენ, ჩვენ ძმას ბატონის შვილს დავით რიზაყული მირზასა, ასე რომე“... მაგრამ ცენტრალქივის საბუთით (ფ. 1448. საქ. № 2761, 1757 5/I, ქ'ს უმე) გამოდის, რომ დავითი და რიზაყული მირზა (რზაყული-მირზა) სხვადასხვა პირია. „მოგეცით ჩვენ აბდულაბეგის შვილმა ბატონის შვილმა დავით და ძმამან ჩვენმან რზაყული-მირზამ და მომავალთ სახლისა ჩვენისათა...“ საბუთზე არის დავითის ხელმოწერა, სადაც საგანგებოდ ცალკე დასახელებულია რიზაყული მირზა.

133 თ. ეორდანია, ქრონიკები, III, გვ. 69.

134 ანალოგიური მაგალითები არის ერეკლე II-სა და გიორგი XII-ს ბიოგრაფიებში.

135 პაპუნა თრბელიანი, გვ. 409. ლასის მონაშილეობა მიულია „მარკოზაშვილის დაბადებიზე“ და მოცულავთ 1765 წელს.

136 იქვე, გვ. 467.

137 თ. ეორდანია, ქრონიკები, III, გვ. 293—294. შდრ. პაპუნა თრბელიანი.

პაპუნა ორბელიანი აბდულაბეგის შვილად ასახელებს ასან-მირზას 138 წელი
მაშასადამე, გამოდის:

აბდულაბეგი არჩილი + ქეთევანი (ირაკლი I-ის ასული ხარჭისგან, თეიმურაზ II-ის და)

↓ აღასი	↓ როსტომ-მირზა	↓ დავით	↓ ასან-მირზა	↓ გარიბ-ბეგუში (ცოლი აზე-ნანას)
------------	-------------------	------------	-----------------	---------------------------------------

აბდულაბეგის მემკვიდრეთა ოჯახური მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია. ერთ-ერთ ვაჟს (რომელს კი არ ჩანს) ცოლად ჰყოლია სატლის დავითის თუ ქახოსროს (ნათლად არ ჩანს) ასული, რომლის სახელი ასევე არაა დოკუმენტში. აბდულაბეგი მთელი თავისი ოჯახით პროსპექტული ორიენტაციის ყოფილა.

იეს მეფის ძედ წყაროებში დასახელებულია ისაყ-ბეგი. პაპუნა ორბელიანი წერს: „მიბრძანდა მეფე კახეთისა ერეკლე... ბატონმა თეიმურაზ უბოძა თავისი განიშინობა ბატონიშვილს ისაყ-ბეგს, მძასა აბდულაბეგისასა...“¹³⁹. როგორც იმავე პაპუნას ცნობებიდან ჩანს, ისაყ-ბატონიშვილს მოვიანებით დაუტოვებდა მაპმადიანობა და კვლავ ქრისტიანობაზე მოქცეულა. „ისაყ-ბატონიშვილი, რომელი ესავდა სჭულსა მაპმადისას, აღიარა წმიდა სჭული ქრისტიანობისა და განიხილა მეფემან მოჩრწმუნემან ცხებულმან თეიმურაზ. განიყვანეს ქალაქისა გარეთ, ჩასვეს ისაყ მტევარსა შინა, განანათლეს შეილითურთ წმიდისა ნათლისალებითა და აღბეჭდეს წმიდისა ბეჭდისა მირონისათა. აღმქმელ ექმენ თითონ მეფე ცხებული და უწოდა სახელი ქრისტიანობისა ალექსანდრე და ძესა მისთა უწოდეს იოანე და სოლომან... გაურიგეს მამული საბატონიშვილონი ალექსანდრე ბატონიშვილს...“¹⁴⁰ დოკუმენტებისათვის ირკვევა ისაყბეგ — ალექსანდრეს ოჯახური მდგომარეობა. ყველაზე საინტერესოა ვახ. გამრეკელის მიერ გამოქვეყნებული ერთი რუსული საბუთი¹⁴¹, რომლის მონაცემებს ქვემოთ დაგიმოწმებთ. ქართული მასალებიდან ჩანს შემდეგი:

იეს + X						
↓ ისაყ-ბეგი (ალექსანდრე) + X						
↓ იოანე სოლომონ	↓ კირილე	↓ თომა	↓ პორფილე	↓ ანა	X (ქალი)	X (ქალი)

იოანეს და სოლომონის სახელს იძლევა ზემოთ დამოწმებული ციტატი. კირილეს და თომას ასახელებს ნ. ბერძნიშვილისა და მ. ბერძნიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი¹⁴² (1756 წ. 9 აგვისტოს). ქალების სახელები, გარდა ანასი, ცნობილი არაა, მათ არსებობაზე მიუთითებს პაპუნა ორბელი-

¹³⁸ პაპუნა ორბელიანი, გვ. 467. ხელნაწერი A—1380 თეიმურაზ II-ის მისწული ასახელებს ასან მირზას (ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, გვ. 476) პაპუნა ორბელიანი, ისევე როგორც დასახელებული წყარო, ასან-მირზას გახის ბატონიშვილად აღიარებს (პაპუნა, გვ. 415).

¹³⁹ პაპუნა ორბელიანი, გვ. 375.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 428.


¹⁴¹ Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., документы подобрал, подготовил к печати В. Н. Гамрекели, 1968, Тб., стр. 144—145.

¹⁴² დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX ს. ს.) წიგ. I. 1962 წ. შეადგინეს. ნ. ბერძნიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, გვ. 372. დოკუმენტში ნახსენებია კირინე.

ან¹⁴³ და რუსული დოკუმენტი. პორფირისაც ასახელებს რუსული დოკუმენტი.

1812 წლის სამამულო ომის გმირის პეტრე ბაგრატიონის გენეალოგიური სქემა შეადგინა ვახტანგ გამრეკელმა¹⁴⁴. დოკუმენტს ვიმოწმებთ ქართულად (დღიური რუსულ ენაზე).

ვახტანგ V — ქართლის მეფე



ეს ტაბულა ზუსტი არ არის. ალექსანდრე ისაყ-ბეგის შვილები ყველა დასახლებული არ არის. ვახტანგ გამრეკელის იმავე წიგნში არის ალექსანდრეს საბუთი¹⁴⁵, რომელიც თავის შვილების შესახებ წერს: 1758 წელს, როცა ის გამოემზავრა რუსეთს, თან წამოიყვანა თომა (16 წლის, მაშასადამე, დაბადებულა 1743 წ.), „А тамо в Грузии оставил жену и детей, двух сыновей и трех дочерей“. მაშასადამე, პაპუნა ორბელიანისა და, ამ დოკუმენტის მიხედვით, ალექსანდრეს შვილებია თომა, იოანე, სოლომონი და სამი ქალი. პორფირი არ ჩანს. დამოწმებულ ცნობაში პორფირი თომას გვერდზე მოხსენიებული, მაშასადამე, გამორიცხულია მათი გაიგვება.

ლენნგრადში, ყოფილი სინოდის საქმეებში, ამ პორფირის შესახებ არის საინტერესო დოკუმენტები. ერთ-ერთ „მიноншение“-ში ნათვამია, რომ იგი რუსეთში გამოიყვა ანტონს (ალბათ, ამიტომ არაა ალექსანდრეს დოკუმენტში, რადგანაც ეს უკანასკნელი 1759 წელს დაწყერა და მხოლოდ საქართველოში დარჩენილ შვილებს ახსენებს); იგი წერს: „Отец мой родной грузинской царевич Александр Багратионов выехал из отечества своего в Россию в 1758 г.“ ანტონის დაბრუნების შემდეგ პორფირს არ სურს სამშობლოში დაბრუნება, რადგანაც მამა რუსეთში ცხოვრიბას.

საინტერესოა, რომ ამავე საქმეებში (და სხვა საქმეებშიც) დაცულია ცნობა იმათ შესახებ, თუ ვინ გაყვა ანტონს რუსეთში და ვინ დაბრუნდა მას-

¹⁴³ ვაკ უნა ორბელი იანი, გვ. 449.

¹⁴⁴ ვ. გამრეკელი, დასახლებული წიგნი, გვ. 297. ალექსანდრეს ბიოგრაფია გადმოცემულია დოკუმენტში, რომელიც გამოაქვეყნა ვლ. მაკრაძემ, იხ. მასალები XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ისტორიისთვის, წიგნი II, გვ. 224—5.

¹⁴⁵ ტრ. რუსად, ქართველების რუსეთის 1812 წლის სამშობლო ოში, 1942, გვ. 30.

¹⁴⁶ იხ. ვ. გამრეკელის წიგნი, გვ. 144. ალექსანდრეს ბიოგრაფიისათვის საინტერესო დოკუმენტია. ალექსანდრე დასახლებულა საბოლოოდ ყაზლარში, სადაც 1795 წლის აქტებში მისი შეიღი ივანე წარჩინებულ და პირველ თავადად იხსენიება. იხ. ვ. გამრეკელის წიგნი, გვ. 297.

თან ერთად სამშობლოში. სხვებთან ერთად დასახელებულია „мона ипподиа кон Порфирий“, რომელიც ასევე სხვებთან ერთადაა დასახელებული, ამ ტრანსკრიფციაში იღებს გამოსამგზავრებელ პასპორტს 1762 წლის 31 დეკემბერს. ამ დროს პორფირი იყროლია ეკონია (82 გ). პორფირი, როგორც ჩანს, სამშობლოში მაინც არ დაბრუნებულა. გარდაცვლილი არქიმანდრიტის გრიგოლის შემდეგ პორფირისათვის არქიმანდრიტის პატივი მოუციათ. ლენინგრადის ცენტრალურ არქიტექტურული საქმე (Фонд 796, опись 50 (1769), дело № 140 (სათაურით „Дело об успехах в Осетии грузинского духовенства в обращении осетинского народа в христианскую веру“). ამ საქმეში (ფ. 101г) არის პორფირის შესახებ ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ოსეთში მის მოლვაშეობას შეეხება:

„ქ. მაღალშობილს უფალს პოლკოვნიკს ყიზლარის კომენდანტს ივან დავიდის ნეიმიჩის. თაგურის ხეობის სტარშინათა და ერთაგან მდაბალთ მოხსენდეს:

ქ. თქვენის მაღალშობილებისაგან გამოგზავნილი არქიმანდრიტი პორფირი მოვიდა ჩვენთან. თქვენი ბრძანება გამოგვიცხადა და ჩვენ ყოვლად მოწყალის ხემწიფის მონებაზედ შეეფაცეთ. ახლა ამას ვითხოვთ ჩვენ ყველანი, რომე ეს მამობრივი მოწყალება მოილოთ ჩვენზედა და კემწიფის კარზე მოახსენოთ, ან საცა თქვენ უმჯობესად გასინჯავთ, რომ ეს ზემოსსენებული არქიმანდრიტი ჩვენთან არქიმანდრიტად განაწევსოთ ამ მიზეზითა, რომე ჩვენ მაგას ვიცომოთ და მაგისი კეთილ ცხრილება და ქცეულება ჩვენ შალ ქრისტეანთათვის სახე იქმნება და რაც ჩვენ საქმე იყო, ყველა ამისთვის გამოგვიცხადება და ეს თქვენ მოგახსენებს. ჩვენმა ხალხმა ეს ამიტომ მთარჩინა და თავი გაშუინა, რომ ამას უფრო შეუძლია ჩვენი მოვლა, ვინემ სხვას ვისმე.

ბოლოს ამას გევედრებით, რომ ჩვენი ერი ამ არქიმანდრიტის სურვილს არ მოგვაშოროთ და წყალობა ვკიყოთ, რომლისათვისაც ჩვენ ყველანი ამ სათხოვარზე ხელს ვაწერთ: ყანჩავ მამსიროვი, ბითა ერისთაოვი, ჩალი აიდემუროვი, თოთრამ ასბივი, სირხავ დაქოვეთ, გეთალს ყანიუოევ, ლიშიყო ბოლათიყოვი, თექ მირზაბეგოვი, ალაგიყო ბიყანოვი, აღილ ნოლაევი, ხამა სირხავი [v], რუვას ხოცირაოვა, ჭახსათ ნაფიევ, ყარამირზა ხაბიძევ, ასლანბეგ სოლთანაზოვი, კორნავ ქემევევი, ორაყო ბიწიევი, აითევ მირზაევ, კარაც ყუმუხევი, ბი ჩიბორსევ, ყაზანთებირ ზამოევ, ბათირსა ვალაევევი, თემურ-სულთან ესენევ“¹⁴⁷.

პორფირის ქართული კულტურის პროპაგანდაშიც მიუღია მონაწილეობა. 1772—1773 წლებში მას გაუცნია ყიზლარში მყოფი გიულდენშტედტი. ამ უკანასკნელის დავალებით პორფირის უთარგმნია „ქართლის ცხოვრების“ დამწყასის თავები რუსულად. ეს არის „ქართლის ცხოვრების“ რუსულად თარგმნის პირველი შემთხვევა¹⁴⁸. მასვე ანტონის დაკვეთით უთარგმნია რუსულიდან თხზულება „ისტორია ბერძენთა და რომაელთა განხეთქილებისა“ (S—4804. 1775 წ. ნუსხა, აქვეა მისი წერილი ანტონისაღმი).

აბდულაბეგის ძმად არის დასახელებული წყაროებში უსეინ-ბეგიც¹⁴⁹. პა-

¹⁴⁷ ამ დოკუმენტის რუსული თარგმანი მოთავსებულია იქვე, გვ. 103. ყველა სახელთან არის თითოს ანაბეჭდი, ან ჭარი.

¹⁴⁸ იბ. ვახტანგ გამრეკელის წიგნი, გვ. 83—84.

¹⁴⁹ პაპუნ ნა ორბელიანი, გვ. 406—407. დამოშებულია 1741 წ. ოქტომბრის დოკუმენტში. იბ. ნ. ბ. ბერძენი შევილი, ღოუმენტები, II, გვ. 37.

პუნა ორბელიანი აღწერს, რომ აბდულაბეგმა გადაწყვიტა კახეთზე გალაშქრება. იგი ყიზილბაშთა ლაშქარს სათავეში ჩაუდგა და „ამოვიდა ჭარი მთლიანი შინდისის წვერზე, იქავ კოდაზე შემოყროდა ძმა თავისი უსეინ-ბეგი, რომელიც ჰსცევდა ბირთვისის ციხესა საბარათაშვილოს ჭარითა“¹⁵⁰.

12. ე. თაყაიშვილის პირად არქეში დაცულია ცნობა — სამპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივნის მიმართები ე. თაყაიშვილისადმი: პირველი მათგანი (1905 წ. 25 აპრილი) ეხბა ე. თაყაიშვილის ნაშრომის „Описание“ ტ. I წარდგნას დ. ა. ტოლსტიოს პრედისზე 1907 წლისთვის: მეორე და მესამე კი (1907 წ. 22 დეკემბერი—1908 წ. 13 ოქტომბერი) ე. თაყაიშვილის იმავე ნაშრომის დაკილოდებას ოქტომბერის ექვთიმე თაყაიშვილის არქივი №№ 20, 2139, მაგრამ არცერთ მათგანში არ არის აღნიშნული, რომ ეს კილოდ უკარიობს სახელობისა.

13. ქართ. უნტის ძირითადი დაბულებანი — ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დაბულებანი შედევნოლია ივ. ჯავახიშვილის მიერ. (1917 წ.). იმ დებულების დედანი ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში: დაბეჭდილია თამაზ ტაბლიაშვილის მიერ „ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. საისტორიო მოამბე, 1967, № 20—21.

14. მ. ჯავახიშვილი — მოცე გორგას ძე ჯავახიშვილი (1855—1932). საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურისა და ენის მკელევარი. 1897—1926 წწ. იყო ქართული საექსლესიო მუზეუმის გამგე; საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ეტრური წევრი (იხ. კ. მკელიძე, ქართული ლიტერატურის კრიტიკოსები: მოსე ჯავახიშვილი, „მნა-



თობა", 1944, № 12; შ. ძიძეური, მოსე განაშეილი, როგორც ქართული ენის მკლევარი და მნათობი", 1944, №№ 4—5; ეგტობიოგრაფია, კურნ. „განათლების მუშავი", 1927, № 4; „მოსე განაშეილი", კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა, 1956).

15. გ. განაშეილის ნაშრომი „საინგილო" დაბეჭდილია „ძველ საქართველო"-ში ტ. I, განკ. IV, გვ. 51—276.

16. ფარსადინ გორგანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული სიტყვების კონკრეტული მისამართი თანამდებობის და მისი თხზულებაზე. ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი და სხვა მასალა, 1896.

17. ქართული გრამატიკა, ეტიმოლოგია და სინტაქსი, 1906.

18. ფარგლელი ალექსანდრე ანტონის ძე (1844—1929). ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი. ქართული ენის კათელის გამგე პეტერბურგის უნივერსიტეტში. მისი დაბეჭდილი წარმომება: „О грамматической литературе грузинского языка", 1873, СПб.; „Сравнительный обзор морфологии картвелльских языков", 1872, СПб. (ხ. ჩემი იუბილე", უნივ. ქართული მწერლობა, 1927, მარტი-აპრილი; ა. შენიდე, „პროფ. ალ. ფარგლელი", თბილისის უნივერსიტეტის მთაბეჭ. 1930, № 10; თ. ვერია, „ალ. ფარგლელი და ძველი ქართული ლიტერატურა", უნივ. „ლიტერატურული ძეგბანი", ტ. IV, 1947; გ. გამურელიძე, „თბილისის უნივერსიტეტი", 1948; შ. ძიძეური, „ქართული ენის და ლიტერატურის გამოჩენილი მკლევარი", განხ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1945, № 4).

19. განაშეილსკ განხ. „ივერია"-ში (1898 წ. № 69, 31/III, გვ. 2—3 და № 70, 1/IV, გვ. 4) მოცემული აქვს ხელნაწერ № 73 (A—73) კაცული ლექტროლობა ქს ხელნაწერი შეაცას ბასილ დიდის „ექტურა დღეთა"-ს და გრიგოლ ნისტოლის „კაცისა შესაქმნესა"-ს. გრიგოლ ნისტოლის შრმომის მე-30 თავი მას დაბეჭდილი აქვს თავის წიგნში „მწერლობა შეათე საუკუნისა".

ის ფარგლე, რომ გრიგოლ ნისტოლის ნაშრომის „კაცისა შესაქმნესა" ქართული თარგმანის ხელნაწერის აღწერლობა და გამოვევენება პირველი მ. განაშეილს ეკუთხინს, არ აქვს იდიონული არც კ. კაცულიძის (იხ. ძეგლი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 წ. გვ. 423) და არც ამ ტექსტის გამოცემებს ი. აბულაძეს (იხ. უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის „ექტურა დღეთასა" და გრიგოლ ნისტოლის „კაცისა აგბალებისათვის" X—XIII სა-ის ხელნაწერთა მთხოვთ, თბ., 1964).

20. სასწავლი წიგნი IX—XI სს. დაბეჭდილია მ. განაშეილის მიერ. იხ. ქართული მწერლობა, IX—X სს., გვ. 118—136.

21. ენიდან კეტელის „თუალთა" დაბეჭდილია: СМОМПК, вып. XXIV, გვ. 1—72.

22. „ცოვერება სერაბონ ზარზელისა" დაბეჭდილია. იხ. ქართული მწერლობა, 1909 წ. II.

23. ახალი ქართული — ახალი ქართლის ცხოვერება, ვახტანგ მელის კომისიის ნამუშევარი. იხ. მ. განაშეილი, ნაშრომი I. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგრადობა ჩვენის და ახალ აღმინიჭილი ახალი ქართლის ცხოვერება. 2. ახალი ქართლის ცხოვერება ვორბგი ბრწყინვალიდან გოორგი ხI-შვე. 1907, თბ.

24. საქართველოს ისტორიის ზოგადი კულტურის ქვეშ უნდა იგულისმებოდეს საქართველოს მოკლე ისტორია, შედგენილი მ. განაშეილის მიერ და გამოცემული 1884 წ. (თ. ქართველიშვილის გამოცემა).

ზოვილებათა სია

1. СМОМПК—Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

2. ХВ — Христианский Восток.

А. К. БЛКРАДЗЕ

И. А. ДЖАВАХИШВИЛИ О ГРУЗИНСКИХ ИСТОРИКАХ

Е. ТАКАЙШВИЛИ И М. ДЖАНАШВИЛИ.

(Резюме)

Статья представляет собой публикацию докладов И. А. Джавахишвили. Доклады хранятся в личном архиве И. А. Джавахишвили. В них дана характеристика и оценка грузинских историков — Е. С. Такайшили и М. Г. Джанашвили.

დამატება

ქვემოთ ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული სამი წერილი: „ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ“ (ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ნუსხით, რომელიც არქივში ცალკეა დაცული), „ხელნაწერთა აღწერილობისათვის“ და „ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და გადმოწერის წესი“. ამ წერილებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანთებდა ივ. ჯავახიშვილი ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემის და საერთოდ ხელნაწერთა შესწავლისა და მოვლა-პატრიონიბის საქმეს. აღნიშნულ წერილებს აქვთ ისტორიოგრაფიული და აგრძოვე პრაქტიკული მნიშვნელობა. მართალია საისტორიო წყაროების და სხვა წერილობითი ძეგლების გამოცემის იმ გეგმიდან, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ითვალისწინებდა, დღეისათვის ბევრი რამ შესრულდა, ზოგიერთი ძეგლის გამოქვეყნება თვით ივ. ჯავახიშვილმაც შოასწრო, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელი დარჩა სწორედ იმ ძირითადი მოთხოვნილებების მიხედვით, რომელთაც ივ. ჯავახიშვილი სახავდა.

თავის დროშე დიდი როლი შეასრულა ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილმა ხელნაწერთა აღწერილობის, თუ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ამოკრების და გადმოღების წესებმა, რომელიც საუგვლად დაედო ჩვენში ამ მიმართულებით გაშლილ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის პროცესში ამ წესებში ზოგი რამ დაზუსტდა, ან დაემატა კიდეც, მათ დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა (რედ.).

ივანი ჯავახიშვილი

ქართული საისტორიო მიგლების ახალი გამოცემის შესახებ*

იყად. მარი ბროსექა შემდგომ ქართული საისტორიო ძეგლები წინასწარ გათვალისწინებული მიზნითა და გეგმიანობით ჯერ არავის გამოუცია. ქართული საისტორიო წყაროების მაშინდელი ცოდნის დონის გამო ბროსეს

* ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 421. გამოცემა ემყარება მანქანზე გადატექდილ, გაუსწორებულ ტექსტს. ამის გამო რედკოლევის მოუხდა ტექსტში ზოგიერთი დაზუსტების შეტანა.



ეგონა, რომ ქართული საისტორიო ძეგლების გამოქვეყნების პრობლემა უპირვესად ველესად „ქართლის ცხოვრების“ დაბეჭდებით იყო დაკავშირებული. სხვა ცალკეულს ძეგლებს იყო ბროსესათვის იმდენად ჰქონდა ღირებულება, რამდენიმდე მათი ცნობები „ქართლის ცხოვრების“ ცნობების შესაკრებად იყო გამოსადგევი. ამით აისნება, რომ ფ. გორგაზანიძის დიდი ისტორიული ნაშრომიდან ბროსებ და დ. ჩუბინაშვილმა მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი აირჩიეს დასაბეჭდად, რომელშიც ავტორი ათეული წლების მოთხრობილი ამბების თანამედროვე და თანადამხდური იყო. წინა ნაწილისთვის კი, რომელიც საქართველოს სულ ცოტა ორი ათეული საუკუნის თავიდასავალს ეხება, ხელი არ უხლიათ და [იგ.] მთლიანად დღევანდლამდე წინანდებურად გამოუცემელია. ამიტომ — ეს იყო, რომ ვახუშტის საისტორიო ნაშრომის მთლიანად გამოქვეყნების მაგივრ, ბროსებ მისი თხზულებებისგან მეორე ნაწილი გამოყო, რომელიც საქართველოს მთლიანობის დარღვევის შემდგომსა და სამეფო -სამთავროების ხანას ეხება, და მარტო ეს ნაწილი დაბეჭდა. პირველი ნაწილი კი, რომელიც უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევამდე მოყვანილი, გამოუქვეყნებელი დატოვა და მხოლოდ დ. ბაქრაძემ კარგა ხნის შემდგომ დაბეჭდა ეს წინანდებული ნაწილიც.

რა თქმა უნდა, იყალ. ბროსეს ღვაწლი ქართული საისტორიო ძეგლების გამოქვეყნების მხრივაც იმდენად დიდია, რომ ზემოაღნიშნული ნაკლი შის დამსახურებას ოდნავადაც არ ჩრდილავს. ქართულ საისტორიო მეცნიერებას რომ ისიც არ ჰქონდა, რაც ბროსებ გავკეთა, მისი მდგომარეობა სრულებით უმშევრებოდა. საქართვისა გაიცისენოთ, რომ დღევანდლამდე ჩვენ იქცებული ვართ უმეტესად ბროსესა და ჩუბინაშვილისაგან გამოქვეყნებული ტექსტით ვისარგებლოთ, მაგრამ, განზრახული ახალი გამოცემის ლირსეულად განხორციელებისათვის, უნდა წინანდელ გამოცემათა, როგორც კარგი მხარე, ისევე ნაკლიც გვქონდეს გათვალისწინებული.

ბროსესა და ჩუბინაშვილის შემდგომ დ. ბაქრაძეს მარტო ვახუშტის საქ. ისტორიის პირველი, მანამდე გამოუცემელი, ნაწილი ჰქონდა გამოქვეყნებული. თ. ეროვნული ინსტიტუტის ძეგლები ცალკეულად არ გამოუცია, არამედ „ქრონიკებში“ ჰქონდა ნაწილ-ნაწილ ჩართული, ასენისა, აბუსერიძის — ტებელისა, [. . . . ?] და „ძეგლი ერისთავთა-ს გარდა, რომელიც დამიტებათა სახით იმავე „ქრონიკებში“ იყო მოთავსებული.

ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემლობა მხოლოდ ექ. თყაი-შეილმა გამოაცოცხლა, ნაწილობრივ მანც. მას, სახელმობრ, გამოქვეყნებული აქვს: „მოქვევაა ქართლისაა“, „წ.წ.ნინოს ცხოვრება“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, ე. წ. „მესხური დავითის მატეანე“ და მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრების“ ორი გაგრძელებითურთ. მათ შორს ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემა არ წასულა. ყოველი მცოდნე პირისათვის ცხადი იქნება, რომ ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერულად გამოცემის მხრივ ჩვენ ძალზე ჩამორჩენილები ვართ. მას შემდგომ რაც გამოირკვა, რომ „ქართლის ცხოვრება“ სრულებით ვახტანგ VI-ის შედგენილი არ ყოფილა და მანამდე მრავალი საუკუნით უწინარეს „ქართლის ცხოვრების“ კრებული უკვე არსებობდა, რომ კრებული სხვა და სხვა დროის ქართულ საისტორიო თხზულებებიდან ყოფილა შედგენილი, ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემა, ცხადია, წინანდელი მარტივი საშუალებითა და ძეგლი გზით უკვე აღარ შეიძლება.



ლება. მარტო ერთ-ერთი ხელნაწერის გადმოწერა და დაბეჭდვა თუნდაც ზორავრის გადმოწერის გადმოწერის გადმოწერის „ერთობის“ კრებული დროთა განმავლობაში სხვადასხვა წყაროებიდან მოღებული და ჩანართი ცნობებით შევსებული აღმოჩნდა და ხელნაწერების ტექსტიც ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამისდა მიუხედავად, სწორედ ამ ხანაში ტექსტების გამოცემის ძირითად მიზნად და პრინციპად ერთი ხელნაწერის ტექსტის ვითომიცდა „ფოტოგრაფიული სისწორით“ დაბეჭდვის წესი შემოიღეს. ეს პრინციპი ისეთ უკიდურესობამდე იყო მიყვანილი, რომ მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ მრავალზე უმრავლესი სტულებით უცილობლად დამახინჯებული აღგილებიც კი გამოცემაში შცვლელად იყო დატოვებული. ამის გამო, დაბეჭდილი ტექსტი არაც არამედ ჩამოიტანა მცოდნე მკითხველისათვისაც კი გაუგებარია. ასეთ შემთხვევებში გამომცემლის მოვალეობა მექანიკურ მუშაობას არ სცილდება და როგორც გამომცემლისა, ისევე, და უფრო მეტად, წამყითხველის შრომა მოქანცველი, უმაღური და მომაბეზრებელი ხდება. ასეთი გამოცემა მარტო მცირებიცხოვან მკვლევართათვის არის გამოსადეგი, მაგრამ მათთვისაც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ხელნაწერის მაგივრად გამოყენება შეიძლება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დასავლეთ ევროპაში, უაღრესად დაწინაურებულს ფილოლოგიურ მეცნიერებასთან დაყაშირებით, საისტორიო ძეგლების გამოცემისთვისაც მტკაც წესები შემუშავდა, რომელთა დაცაც ბერძნული, ლათინური და სხვა ქვეყნების ძელი ავტორების მეცნიერულად გამოცემის ღრმა ყველასთვის სავალდებულოდ არის მიჩნეული. ამ მხრივ მხოლოდ სპარსული, თურქული, სომხური და ქართული ტექსტების გამოცემა მისდევდა ძველ მექანიკურ წესს. სომხებმა ორი ისტორიკოსის (აგათანგელოვანისა და მოსე ხორხელის) თხზულებათა ერთიყულად გამოცემა მაინც შეძლეს, ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომების კრიტიკულად გამოცემა კი მხოლოდ ახლა უნდა დაიწყოს.

როდესაც აყაღმიერის მ. ბრისე ქართველ საისტორიო ძეგლების გამოცემას შეუდგა, მან მხოლოდ საერთო ისტორიოგრაფიას მიაქცია ყურადღება, საეკლესიო ისტორიოგრაფიის ძეგლთაგან კი არც ერთი არ გამოუქვეყნებია. ეს გარემოება საქართველოს სოციალური და კულტურული ისტორიისთვის მეტად საზიანო იყო, რადგან ამ დარგის ძეგლებში საყურადღებო და უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება. მაგალითად, საქმარისია თუნდაც იაკობ ხუცესის, ივანე საბანიძის, გ. მერქულის, ბ. ზარზმელის, გ. მთაწმინდელის და გ. ხუცეს-მონაზონის თხზულებათა დასახელება, ურომლისოთაც საქართველოს სოციალური და კულტურული ისტორიის პირელხარისხოვანი საკითხების გამორჩევა და გაშუქება სტულებით შეუძლებელია. აყად. ბრისეს გამომცემლითი მოღვაწეობის ეს დანაკლისი მ. საბინინმა შეავსო თავისი კრებულით, რომელსაც „საქართველოს სამოთხე“ უწოდა. მაგრამ მისი გამოცემა გაცილებით უფრო მცირებულებისა, რადგან მას არც ფილოლოგიური განათლება მოყვავებოდა, რომელიც ბრისეს ჰქონდა, და არც თავის გამოცემისათვის ბრისესავით წმინდა მეცნიერულ მიზანი დაუსახავს. ყველა ამ ნაკლისდა მიუხედავად, რაკე მ. საბინინის გამოცემის გაჩდა სხვა არაფერი ამის მსგავსი არ არსებობდა, საქართველოს ისტორიის მკვლევარინი უნდღიერ ამ გამოცემით სარგებლობდნენ. მართალია, მ. საბინინის კარგა ხნის შემდგომ ზოგი რამე ხელმეორედ იყო XIX ს. დამლევსა და



XX ს. დამდეგს გამოცემული, მაგ., იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის, გრიგორი მთაშორიძესის, გ. ხუცეს-მონაზონის და ნ. გულაბერიძის ნაშრომები და ახლად აღმოჩენილი გ. მერქულისა და ბ. ზარჩმელის თხზულებებიც პირველად გამოქვეყნდა, მაგრამ მათგან მხოლოდ აკად. ნ. მარისა და ს. გორგაძის გამოცემები იყო თანამედროვე მოთხოვნილების თანახმად დაბეჭდილი.

მარც ყველაზე სამწუხარო ის გარემოებაა, რომ, საუბედუროდ, არც ქველი, ბროს — ჩებინაშვილისა და არც მერმინდელი, ექ. თაყაიშვილისა და არც სხვა ზემოდასახელებულ პირთა გამოცემან უკვე დიდი ხანია აღარსად იშოვება. ასე, რომ არც მკვლევართ, არც მოსწავლე ახალგაზრდობასა და არც ჩვენი საზოგადოების განათლებულ წრეებს ქართულ საისტორიო ქეგლების შოვნისა და შეძენის საშუალება აღარა აქვთ. წინანდელ გამოცემათა თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებებისათვის ზემოაღნიშნულს შეუფრებლობასც რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს თუნდაც მარტო ამ უკანასკნელად დასახელებული გარემოების გამოც, ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების ახალი გამოცემა აუცილებელსა და გადაუდებელ მოვალეობას შეადგენს.

ცხადი, რომ საქართველოს საისტორიო ჟეგლების გამოცემა ახლა უკვე ისეთი ადგილი საქმე აღარ არის, როგორც აკად. ბროსეს ღროს იყო, ან როცა, ვითომტდა „ფოტოგრაფიული ზედმიშვენილობის“ დაცვის გარდა, გამოცემის იდეალად სხვა ვერაფერი წარმოედგინათ. ამიტომ ახლა წინასწარ მექაფიოდ განსაზღვრული მიზანიც და გეგმაც [უნდა] გვქონდეს დასახული [და] შემუშავებული, გამოცემის ყველასათვის სავალდებულო წესებიც შემოვილოთ და გამოსაცემ ჟეგლთა სიაც უნდა გვქონდეს შედგენილი. რა თქმა უნდა, გორმცემლობის მონაწილეთა რიცხვიც, მათ შორის გამოსაცემ ჟეგლთა განაწილებაცა, და თითოეულისათვის დაკისრებული მოვალეობის რაობაც ამთავითევე გათვალისწინებული უნდა იყოს.

წინათ თუ უმთავრეს მიზნად შესაძლებელი იყო „ქართლის ცხოვრება“ ყოფილიყო მიღებული, ამჟამად ჩენ მოვალეობად უნდა უკვე ყველა ქართული საისტორიო ჟეგლების გამოქვეყნება მიენინოთ, როგორც ცალკეული, ისევე კრებულად შედგენილი, მათ შორის, რასაცვირველია, უპირველესად „ქართლის ცხოვრებისაც“.

საერთოდ სულ შემდეგი 39 პატარა და ღილი საისტორიო თხზულებაა გამოსაცემი: 1. იაკობ ხუცესის, „წამებად შუშანიკისი“. 2. „წამებად ევსტათი მცხოვრელისაც“, 3. „წამებად აბიძოს ნეკრესელისაც“ 4. „ცხოვრებად ათ-ცამეტ ასურელ მამათა“, 5. „წამებად ცხრათა ძმათა კოლაელთაც“, 6. იოანე საბანისძის „წამებად პპომის“, 7. „ცხორებად და წამებად კონსტანტინე-კახასი“, 8. სტეფან მტევნარის „წამებად გობრონისა“, 9. არსენი კათალიკოზის „განკორვისათვის ქართლისა და სომხითისა“, 10. „წან ნინოს ცხოვრება“, 11. „მოქცევად ქართლისას მატიანე“, 12. გ. მერქულის „შრომად და მოღვაწებად გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისად და მასთან მრავალთა მამათა ნეტართაც“. 13. ბ. ზარჩმელის „ცხორებად და მოქალაქეობად ნეტარისა მამისა სერაპიონისი“, 14. გიორგი მთაწმინდელის „ცხორებად ნეტარისა მამისა იოანესი და უფთუმესი და უწყებად ლირსისა მის მოქალაქეობისა მათისაც“, 15. გ. ხუცეს-მონაზონის „ცხორებად

¹ წყაროების დასახელება ზოგ შემთხვევაში მოცემულია პირობითად. შემოქლებული სახით (რედ.).



და მოქალაქობად ნეტარისა მამისა გიორგი მთაწმინდელისად“. 16. ეფრემ მცხავარი რის ნაშრომები, 17. ნიკოლოზ გულაბერიძის „სასწაულნ სვეტისა ცხოველი-სანი“, 18. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველ-თავანთა მამათა და ნათესავთა“. 19. ჭუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისა“, 20. სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, 21. „მატიანე ქართლისად“, 22. „ცხოვრება მეფეთ მეფისა და-ვითისი“, 23. „ისტორიანი და ზმანი შარავანდედთანი“, 24. ბასილი ეზოს მოძღვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, 25. ლაშა გიორგის ღროინ-დელი მატეანე, 26. აბუსერიძე ტბელის „სასწაული მთავარმოწამისა გიორ-გისანი“, 27. „ჟამთაღშერელი“, 28. „ძეგლი ერისთავთა“, 29. „მესტური და-ვითინის მატიანე“, 30. „გელათური ქორნიკონი“, 31. ფ. გორგაგანიძის ნაშ-რომი, 32. ეგნატეშვილი ბერის „ახალი ქართლის ცხოვრება“ 33. ვახუშტი ბა-ტონიშვილის „საქართველოს ისტორია“. 34. „ქართლის ცხოვრება“, 35. „ქარ-თლის ცხოვრების“ გაგრძელებანი. 36. სენია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, 37. ბაბუნა ობელიანის „ამბავნი ქართლისანი“, 38. ომან მღივანბეგი ხერ-ხეულიძის „მეფობა ორაკლი მეორისა“. 39. დავით და ბაგრატ ბატონიშვი-ლების მატიანე.

ასეთი დიდი საქმისა და ფართო გეგმის განხორციელება, რა თქმა უნ-და, მხოლოდ შეერთებული ძალითა და თანდათანიბით შეიძლება. თანდა-თანმის საფუძვლად უნდა თითოეული ძეგლთაგანის შედარებითი ღირებულე-ბაც იქნეს გათვალისწინებული და გამოუცემლობასაც გაეწიოს ანგარიში. ამისდა მიხედვით ჯერ უნდა გამოუქვეყნებელი ძეგლების გამოცემას შევუდ-გეთ, ხოლო გამოცემულთაგან, რომელიც უფრო შინაარსიანი და მნიშვნელო-ვანია, იმათ უნდა მიეკცეს განსაკუთრებული ყურადღება.

მოელს გამოსაცემ ძეგლებზე მუშაობა ორად უნდა გავყოთ, [სამუშა-ოს] ერთ ნაწილად ცალკეული ძეგლების გამოცემა უნდა იქნეს მიჩნეული, მეორე ნაწილს კი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის გამოცემაზე მუშაობა უნდა შეადგნდეს.

თითოეული ისტორიების თხზულების გამოცემის ღროს მიზნად უნდა იყოს დასახული ავტორის ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც თვით მას ჰქონდა დაშერილი. მაშასაღამე, ტექსტი კულა ხელნაშერის მიხედვით აღ-დგენილიცა და კულა მერმინდელი ჩანაწერისა და გადამშერთა შეცდომე-ბისაგან გაწმენდილიც უნდა იყოს. ეს, რასაკვირველია, აღვილი საქმე არ არის; მეტადრე სამოქალაქო ისტორიის ძევლი ძეგლების აღსაღებელი იქნე-ბა დიდი, წინასწარი მუშაობის გაწევა აუცილებელი, რადგანაც არც ერთი მათგანის ტექსტი მე-16—17 საუკ. უწინარესი ღროის ხელნაშერებში და-ცული არ არის, საერთო ისტორიული თხზულებების ენის ნორმები და მართ-ლწერა კი მე-9—12 სს. საეკლესიო ძეგლების საკმაოდ კარგად ცნობილი ნორმებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ამიტომაც იმ საკითხის საგანგე-ბოდ შესწავლა და გაღაშევება დაგვეირდება.

პირიქით, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ხელახალი გამოცემის დროს, მიზნად მასში შემავალი ძეგლების პირველელი ტექსტის აღდგენა კი არ უნდა გვქონდეს მიჩნეული, არამედ იმ სახით დაბეჭდვა, როგორადაც ეს კრებული საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

თითოეული ისტორიების ტექსტს უნდა წინ ხელნაშერთა აღშერილობა და ცნობა მუშალოდეს, მათი ურთიერთშორისი დამოყიდებულების, ტექსტის



გრაფიული და მეხსიერებითი შეცდომებისა და ძეგლის ენის ყველა მნიშვნელოვანი ნელოვანი თავისებურების შესახებ. დაზიანებული და გამომცემლის მიერ უწყვეტი დგენილი ადგილები უნდა თვით ამავე ავტორის ანალოგიური ადგილებისა თუ გამონათქმამების დამოწმებით იყოს გამართლებული, რასაცვირველია, თითოეული მოზრდილი აღნადგენი ტექსტის სათანადო ნშნებში ჩართვით, სტრიქონებში კი — ხელნაწერში მყოფი წანაკითხის აღნიშვნით.

ცნობილია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა („წ. ნინოს ცხოვრება“, ითანა საბანისძე, ლეონტი მროველი), ქართველ ისტორიკოსებსაც, მაშინდელი სხვა ქვეყნების ისტორიკოსების მსგავსად, მოთხრობა თვეებად დაყოფილი არ ჰქონდათ და ასევე იძექდებოდა და იძექდება ხოლმე ახლაც მათი ნაწარმოები გამოცემის დროს. ამისდა მიუხედვად, ქართული წყაროების დამოწმებისა და გამოყენების გასაძლიერებლად უცილებლად საჭიროა, რომ ქართველ ისტორიკოსთა ტექსტიც, ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს მიღებული წესის მსგავსად, შინაარსისდა მიხედვით თვეებად და მუხლებად დაიყოს და ასე დაიძექდოს ხოლმე. თუმცა ქართველ ისტორიკოსებს, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თვეიანთი ნაწარმოები გამტულად და გარეგნულად დაუყოფავად აქვთ დაწერილი, მაგრამ მათი შინაარსი მაიცც რამდენიმე მთავარ ნაწილად აქვთ ხოლმე ნაგულისხმევი. დაკვირვებული მკითხველი ამას უეჭველად შემჩნევს და გამომცემელმაც ამისდა მიხედვით ტექსტი თვეებად და, სპეციროებისამებრ, მუხლებადაც უნდა დაანაწილოს. თავების სთაურები უნდა თვით ავტორის შესაფერისი სიტყვებით გამოითქვას, მაგრამ ტექსტში კი არ იქნას შეტანილი, არამედ ყოველი გვერდის თავში და საჩინებში მოთავსდეს, თავებისა და მუხლების სათვალავები კი ტექსტის კიდეზე სათანადო ადგილას თითოეული მათვანის დასწყისის გასწვრივ რომაული და არაბული რიცხვნიშნებით იყოს ნაჩვენები. ამას გარდა, „დაბადებიდან“ და „ოთხთავიდან“, ანდა აღრინდელი ქართველი თუ უცხო ისტორიკოსთავან ამოღებული ცალკეულ წინადარღვევათა, თუ მთელი ნაწყვეტების სადაურობაც უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად გამორკვეული და კაღებზევე აღნიშნული.

ტექსტის შინაარსის ყოველგვარი განმარტება გამოსაცემი ძეგლების ბოლოში უნდა იყოს მოთავსებული. დასასრულ, ყოველი ისტორიკოსის ტექსტს უნდა აუცილებლად საკუთარი და გეოგრაფიული სახელების, ტერმინებისა და იშვიათი გამონათქვამების საძირებებიც ისევე, როგორც თანამედროვე მკითხველთათვის გაუგებარი სიტყვების განმარტებაც, ქონდეს დართული. სასურველია, რომ უამისოდ არც ერთი ტექსტის გამოცემის ნება დართული არ იქნება.

უადგილო არ იქნებოდა, რომ ამ გამოცემის თითოეული წიგნის სასურველი გარეგნობაც წინასწარვე გვქონდეს გათვალისწინებული. ბრისემ, მაშინ მიღებული წესებისდა თანახმად, დიდი ტანის გამოცემა ირჩია. მაგრამ, ამეიად ორი მოსაზრებით ამის გამორჩება უკვე სასურველი არ არის. ახალი გამოცემა უნდა იმ ზომის წიგნებად დაბეჭდოს, რომ მათი თან ტარება აღვილი იყოს, რადგან სტუდენტებს უნივერსიტეტში ამ ძეგლებზე მუშაობა დასჭირდებათ და დადი ტანის წიგნის თრევა მოსწავლე ახალგაზრდობას საჭმეს გაუმნელებს. ამას გარდა, ბრისეს დიდი ტანის წიგნებად ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემა იმიტომაც შეეძლო, რომ ყველა ტექსტი ერთად სულ ორ წიგნად ჰქონდა თავმოყრილი. ამის წყალობით პატარა თხზუ-

ლებებისათვის დიდტანიანი ზომის შეუფერებლობა არ ჩანდა. ახლა კი, გამოცემის დესაც თითოეული ძეგლი ცალკეულად უნდა გამოცემი, პატიარა თხზულებებისათვის დიდი ზომის ქაღალდის არჩევა გამოცემას სრულებით დააუშორებდა. ამიტომ ჭობია, რომ ახალი გამოცემისათვის ბერძნული და ლათინური ავტორების — „ბიბლიოტეკა ტეუბნერიანა“-ს ან ფრანგული გამოცემის ოდნავ მოზრდილი ტანი ავეტირია. დასასრულ, პრაქტიკული მოსაზრებით, უკეთესია, რომ გასაყიდად გამოშევეული კულტურული წიგნი დაკამტული ყოფილიყო.

ახლა ორიოდე სიტყვა ამ გეგმის განხორციელებაზეც. გამოცემის უახლოესი გაგმის შედეგების დროს მუშაობა უნდა პარალელურად წარმოებდეს, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ გამოსაცემად, მეორეს მხრივ კი, ცალკეული ავტორების თხზულებათა და ძეგლების გამოსაქვეყნებლად. ამ უკანასკნელთაგან უნდა უპარველესად ბასილ ეზოს მოძღვრისა და ევნატაშვილი ბერის თხზულებებს დაბეჭდოს. შემდეგ სასურველია განვეხნებულ აკადემიკოს ნ. მარის ქვრივს ნებართვა ეთხოებს მისი ქმრისაგან გამოცემული გ. მერჩულის ნაწარმოების ხელახლი გამოცემის უფლება მოგვცეს. რაյო იოანე საბანისძის და ბ. ზარზმელის თხზულებების ახალი, მეორე გამოცემა უკვე არსებობს და იყობ ხუცესის ნაშრომის გამოცემა ილ. აბულაძეს ქვეს დამზადებული, რომელიც სასურველია ამავე სერიაში ყოფილიყო მოქცეული, ამიტომ მთელი ყურადღება გ. ხუცეს-მონაზონის ახალ გამოცემას უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ საქართველოს სოციალური და კულტურული ისტორიისათვისც უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია და იმავე დროს ქამდის ჭერ არც ერთხელ ხეირიანად დაბეჭდილი არ ყოფილა. დანარჩენ ძეგლთაგან „მოქცევად ქართლისას მატიანე“, ლ. მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე და ზოგიერთი სხვაც არის გამოსაცემი, მაგრამ ამ სხვებზე მნებელობას რეალური მნიშვნელობა მაშინ ექნებოდა, ჩვენი სექციის სრული შემადგრენლობა რომ გამორჩეული ყოფილიყო.

ტურისი

1936 წ. 6 თებერვალი.

* * *

„მესამე ხუთწლედისათვის საგამომცემლო გეგმის შედეგისას, უპარველესად, ქართულ სამეცნიერო კულტურის მონაპოვარათ გაღრმავებული შეოვისებისათვის აუცილებლად საჭირო დარგებს უნდა მიაქციოთ ყურადღება. უკვე კარგა ხანია თითქმის მას შემდეგ, რაც აკად. ბროსემ და ჩუბინაშვილმა ქართული საისტორიო ძეგლები გამოსცეს, თითო-ორთოლა გამონაცემის გარდა, ახალი არა გამოცემულა რა.

„ქართლის ცხოვრების“ ხ. ჭიჭინაძის გამოცემა ხომ ახალ გამოცემად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი მთლიანად პირველი გამოცემის, ზოგან უბრალოს, ზოგან კი ბრალიანს, რამდენადაც იქ კორექტურული შეცდომებია შეპარული, გადმონაბეჭდს წარმადგენს. მაინც ამისთვისაც ზ. ჭიჭინაძე მაღლობის ღირსი იყო, რადგან მას რომ ბროსე — ჩუბინაშვილის ნილვაჭის კვლავ გადმობეჭდვა არ მოხერხებინა, XIX ს. დამლევისა და XX ს. დამდეგის ქართველთა მთელ რიგ თაობას თავისი საშმობლოს ისტორიული წერი-

* ივ. ჭავაჩიშვილის არქივი, № 1010 (ცეტიგარაფი). ტექსტი შეიცავს ძეგლი ქართული წერილობითი ძეგლების შეად შედეგის, დაუმთავრებელ ნუსხას (რედ).

ლობითი წყაროების გადაკითხვის საშუალებაც კი არ ექნებოდა: ბროსე არა მარტივი ჩერიბინიშვილის გამოცემი, ვითარცა პეტერბურგში შედარებით მცირე რაოდენობით გამოსული წიგნები, ქართველი ფართო საზოგადოებისათვის წინათაც მიუწვდომელი იყო, შემდეგ ხომ უკვე აღარსა დ იშოვებოდა.

[გამოსაცემი ძეგლები:]

სან მეტობის სანის ყველა შერჩენილი ძეგლები, ვითარცა ქართული სამწერლობო ენის უძველესი ძეგლები.

აპორიფები (ძველი რედაქციები).

ეფთვამე მთაწმინდელის „მოსაგანებელი მიმოსლვათათვს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“,
ავგაროზი, პილატეს სახარება.

სამართლის ძეგლები

1. „დიდი სჭულის კანონის“ ყველა რედაქციები.
 2. ეფთვამე მთაწმინდელის „მცირე სჭულის კანონი“.
 3. ეფთვამე მთაწმინდელის „კანონი შეცოდებულთანი“.
- [4] ქართული საერო სამართლის ძეგლები.

თარგმანებანი

ეფთვამე მთაწმინდელის: 1. ი[ოან]ე ოქროპირის „თარგმანებად იოანეს სახარებისად“.

2. „თარგმანებად მათეს სახარებისად“.
3. „თარგმანებად ფსალმუნისად“.
4. „ძნიად გულისხმის საყოფელთა მოციქულის პავლის სიტყუათა, გამოკრებული წმიდისა ი[ოან]ე ოქროპირისა თქმულთაგან“.
5. „თარგმანებად ძნიად გულისხმისასაყოფელთა ქრისტეს მიერისა საკითხანისათა გრიგოლ ღმრთისმეტყულისა“.

[ასტრონომია და კალენდარული მასალა]

ი[ოან]ე ზოსიმე 1. „ქრისტო თოვეთად წელიწადისათაა“.

2. „ცნობისათვს და უწყებისა ჟეშმარტად, რომელი მოგუეთხა ჩეუნ მოძლუართა მიერ განსაზღვრებულად გამოძიებისათვს უამთა და წელთა, თთუეთა და დღეთა“ და სხვა.

[3] ი[ოან]ე შავთელის იმავე შინაარსის თხზულებები.

[4] გახუშტი ბატონიშვილი.

[ეგზეგიტიკა]

1. ეპიფანე კვპრელის „თუალთაა“.
2. „სახისმეტყულია“.

¹ შეიძლება იგულისხმებოდეს ვახუშტის ისტორიისათვის დართული კინკლოსი (რედ.).

3. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვს“.
4. ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“ (გიორგი მთაწმიდელის [თარგმ.]).
5. ი[ოან]ე პეტრიწის [თარგმ.] ნემესიოს „ბუნებისათვს კაცისა“.

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

1. ეფრემ მცირის ი[ოან]ე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“.
 2. არსენი იყალთოელის „დოლმატიკონი“.
 3. ი[ოან]ე პეტრიწის „კავშირნი ლმრთისმეტყუელებითნი“ პროცეს დიალოგისისა.
 4. ი[ოან]ე ტარიშისძე: ა) „მოსაკვენებელი ათთა კატილორი-ათადმი არისტოტელისათა“. ბ) „მოსაკვენებელი ხუთთა კმა-თადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“.
 5. ი[ოან]ე ჭიდვიმელის ფილოსოფ[იური შრომები].
-

03160 ՀԱՅԱԽՈՂՑՈՂՈ

ხელნაწერთა აღმარილობისათვეს*

ხელნაწერთა ოღონერილობა ორ მხარეს ეხება ხოლმე: გარეგანსა და შინა-
განს. გარეგანი მხარის აღწერილობა უნდა მის გარეგნ ბუნებასა და თვისე-
ბებს ახასიათებდეს, ე. ი. მასალას, რაზედაც დაწერილია და შედეგნილია
ხელნაწერი და იმ საშუალებასაც, რომლითაც და ჩოგორადაც ის, მისი შინა-
არსი, აღბეჭდილია მასალაზე. ამისდა მიხედვით გარეგანი აღწერილობა
უნდა გვაძლევდეს ცნობებს პაპირუსზე, ეტრატზე, ტყაზზე, ბამბირიზზე თუ
ქალალზე დაწერილი, თანაც თვით ნივთიერების თვისების ნიშანდობლივი
დახასიათება უნდა გვიჩნდეს — მისი ზომისა, სისქე-სისხელისა, სიავ-კარგისა,
ფერისა და შენახულობის წარმოსალგენად. მასალის დახასიათებას წინ უნდა
უძლოდეს ცნობა ხელნაწერის გარეგანი მოყვანილობის შესახებ: გრავნილია
თუ წიგნა აკინძულია, ან დაკაზმულია. თუ დაკაზმულია, აღნიშნული უნდა
იყოს თუ სხვა, და სახელდობრ რომელი ნივთიერებისაგან არის გაყეობული
ყდა და რა ძევს გადაკარული — ტყავი თუ სხვა რამე, რა ფერისა და თვისე-
ბისა, სახიანი, თუ სადა; თუ სახიანი, რით და რა არის გამოყვანილი და რო-
გორი ხელოვნებით. აღმწერმა იმასაც უნდა მიაქციოს ყურადღება და მკითხ-
ველს ამცნოს, თავდაპირველია ყდა თუ მერმინდელი, შეკეთების ნიშნები ამ-
ნენვია თუ ხელშეუხებლად ეჩვენება.

ხელნაწერებში შენახული ძეგლების აღწერა, ჩვეულებრივ, იმ კრებულებრივ წარმოებს ხოლმე, რომელგანაც ისინი მოთავსებულნი არიან: თათვეული კრებული ცალკე აღწერება ხოლმე და ყოველ შემ მოქცეულ ძეგლს იმდენად აქვს დათმიბოლი ადგილი, რამდენადაც ეს ამ კრებულის ცნობებით შესაძლებელი ხდება. აღწერის ამგვარი წესის წყალობით ერთი და იმავე ძეგლის შესახებ აღწერილობაში იმდენჯერ არის ხოლმე ვრცელი სუბარი, რამდენჯერაც იგი ხელნაწერებში გვხვდება. მის გამო, აღმწერელს უნტბლიერ გამეორება და ერთი და იმავე საგანზე მრავალჭერ ლაპარაკი და დახასიათება უზდება, რაც ტყუილუბრალო აგრძელებს და აძნელებს ხელნაწერების აღმწერელის ისედაც მძიმე მუშაობას. ზოგიერთი აღმწერელი ჩვენში, მაგ, ე. თაყაშვილი, რომ ამგვარი გარემოებისგან თავი ცოტადაც მაინც გაეთავისუფლებინა, კრებულების აღწერილობაში მოქცეული რამდენიმე ერთვარი ძეგლის მოქლედ აღწერის შემდგომ, ერთ-ერთ მა ძეგლისათვის უძველეს ხელნაწერად მიჩნეული კრებულის აღწერაში (ყველა მანამდე მოხსენებული ხელნაწერების ცნობათა შედარებითი განხილვით) ამა თუ იმ ძეგლის ტექსტის შენახულობას და ხელნაწერთა ლირსება-ნაკლს აჩვენებს ხოლმე.

* ივ. ჭავახიშვილის არქივი, № 972 (ავტოგრაფი).



მაგრამ სანამ ყველა ხელნაწერთა ოღწერილობა შედგენილი არ არის, ამცველია შედარებითი განხილვა შეიძლება ჩშირად ნადრევეად გამოდგეს, რის გამო შემდეგში აღმოჩენილმა უფრო ძველმა, ან პირველი დენონის უფრო ჟკეთე-სად შემთახველმა, აღწერელი იძულოს ერთხელ უკვე ვრცლად განხილულ საკითხს კვლა დაუბრუნდეს და მაიც და მაიც სხვა, წინათ უცნობი, და შედარებითი შესწავლის დროს გაუთვალისწინებელი ხელნაწერების დახასია-თებას შეუდგეს. ე. თაყაიშვილის აღწერილობაში მეითხელს შეუძლია ამგვა-რი არაერთი მაგალითი ნახოს. მაის გამო ვერც ამ გზით ხერხდება ზედმეტი დროისა და ენერგიის დაკარგვის თავიდან აცილება. თანაც ამზაირად შედ-გენილ აღწერილობაშიც ცნობათა უწესრიგობა აუცილებელი ხდება და მკი-თხველს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სანამ ხელნაწერთა მოელი აღწერილო-ბა დამთავრებული არ იქნება, მაგვე მისთვის საინტერესო საგანჩე შეიძლე-ბა კიდევ უფრო საყურადღებო ცნობებიც აღმოჩნდეს. იმაზე აღარას ვიტყვი, რომ ამ გზით შედგენილ აღწერილობაში საზოგადოდ მეტად მნელია საჭირო ცნობების მოძებნა.

კრებულებრივ ძეგლების აღწერა არსებითადაც, თუ მთლად მცდარ გზას არა, ცალმხრივ მიმართულებას აღვია. რასაკირდელია, ჩვენთვის მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ვიცოდეთ, რაგვარი შინაარსის კრე-ბულები იყო წინათ გავრცელებული, როგორ წარმოშვნენ და განვითარდნენ. მაგრამ ხელნაწერთა ყოველი აღწერილობის მთავარ მიზანს ეს კი არა, არამედ თვით ძეგლთა ტექსტების თავადასაცლისა და შედარებითი ღირსების გამორ-კვევა შეადგენს. ამ მთავარ მიზანთან შედარებით კრებულის ისტორია ერთ-ერთ კერძო საკითხთაგანად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ კრებულებრივ ხელნაწერების აღწერა ამასთანავე ამ დარგში მუშაობის ექსტენსიურ წესს წარმოადგენს და იმ დროს და იმ პი-რობებში იყო შესაძლებელი, როდესაც ასაჩქარებელი არაფრი იყო, ან არა-ცერი მიაჩნდათ, როდესაც და სადაც მრავალი თავისუფალი დრო, მომუშავე და ქონებრივი სახსარია. ჩვენ კი ამგვარ მდგომარეობაში არ ვიმუყოფებით: მე-ტად ჩამოვრჩით დანარჩენ განათლებულ ერებს და სხვა სამეცნიერო დარ-გებს, რომელთაც ხელნაწერთა სრული აღწერილობანი და მათი ღირსება-ნაკ-ლის შედარებითი დახასიათება დიდი ხანის მოეპოვებათ. ჩვენი სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმატებისა და სათანადო დონეზე დასაყენებლად იმიტომ სწორედ ინტენსიურ რი მუშაობის წარმოებას საჭირო. ის, რაც სხვაგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში და თითო-ოროლა მკვლევრის თან-დაარნობითი შრომით იყო გავრცებული, ჩვენ უნდა შეძლებისამებრ მოკლე ხანში და ერთნაირი ინტენსიონით [გავაკეთო] და ერთის მიზანშეწონილი, გეგმით წარმოებული და შეექითებული შრომით გამოვასწოროთ ჩვენი ჩა-მორჩენილობა და ქართულ ჰემანური დარგების მეცნიერებას მკვიდრი სა-ფლექსი შევუქმნათ.

მარტო ხელნაწერები რომ ვიანგარიშოთ უსაბუთებოთ, უნივერსიტეტისა (1623), წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების (5004) და საისტორიო საზო-გადოების (2600) ხელნაწერთა რიცხვი 9227-ს აღემატება. როდესაც ჩვენ წი-ნაშე ასეთი უზარმაზარი სამუშაოა, მხოლოდ განსაკუთრებული საშუალე-ბით შეიძლება, რომ მისი დაძლევის იმედი ვიქონიოთ.

წინამდებარე დიადი საქმის განსახორციელებლად ერთადერთ მიზანშე-წონილ გეგმად მიმაჩნია აღწერილობათა შედგენის შემდეგი წესი:



ყოველი ხელნაშერი უნდა განხილული იყოს:

1. როგორც დამწერლობის ძეგლი — პალეოგრაფიულად., 2. როგორული მწერლობის ძეგლი — ფართო მნიშვნელობით — კრებულებრივ, და მისი შედეგების თითოეული ნაწარმოები თავისთვად — ცალკე და 3. როგორც ხელოვნების ძეგლი, თუ იგი დასურათებულია, ან დაკაზმულ-მოქედილია. ყოველი აღმწერებული ვალდებულია ჯერ ხელნაშერის გარევანი აღწერილობა შეადგინოს; წიგნი დაკაზმულია თუ არა, მასალა და მისი შექრულ-აკინძულობა გამოარევიოს. გამოარევიოს ხელნაშერის ფურცლების აწინდელი და თვედაპირველი რაოდენობა, თუ ნაცლულია, სად რამდენი აკლია. ანდერძის მიხედვით, ან სხვა გზით მისი დაწერილობის თარიღი განსაზღვროს, თუ ეს შესაძლებელია უთუოდ, თუ არა — დაუთარიღებლად დატოვოს. დაახასიათოს ხელნაშერის დამწერლობა საზოგადოდაც და მისი განსაკუთრებული თავისებურების მხრივაც. აღნიშნოს შემცულია თუ არა კამარებით ან სახეებით, ან თუ დასურათებულია, სად — გვერდებისა და მათი ფერადების, თუ უმისოდ ასარულებულების აღნიშვნით. თვით ამ სურათების შესწავლა აღწერლის მოვალეობას არ შეადგენს, არამედ ცალკე ფურცლებზე აღნუსხულ ცნობას აწვდის რეგისტრატორს ყველა სახე-სურათის შესახებ ხელნაშერის N-ის და სათანადო გვერდების აღნიშნულობით. შემდგ [უნდა] მოიყვანოს ხელნაშერის ანდერძი, თუ იგი შენახულია, და ხელნაშერში მყოფი ყოველგვარი სხვა მინაშერები, ხელნაშერის თავგადასავლის შესახებ რამე ცნობების შემცველი სათანადო გვერდების აღნიშვნით.

მერმე ხელნაშერის შინაარსი უნდა აღნუსხოს შეოლოდ სათაურების მოყვანით იმ თანდათანობით, როგორადაც იქ არის მოთავსებული. არც ერთი ძეგლის არც დასაწყისი და არც დასარული, ან სხვა რაიმე მისი შინაარსის დამახასიათებელი ცნობა აქ არ უნდა იყოს მოყვანილი.

შემდეგ ყველა ფერი ცალ-ცალკე ფურცლებზე იწერება და დაწერის შემდეგ რეგისტრატორს გადაეცემა:

1. ხელნაშერში მოთავსებული ყოველი ძეგლის სათაური, ხელნაშერის N-ისა, ძეგლის სივრცისა და გვერდების აღნიშნულობით, თხზულების დასაწყისი და დასარული წინადაღება და სხვა ცნობები, რომელიც ამ ძეგლის დაცულობასა და შინაარსს ნიშანდობლივ ახასიათებენ. თითოეული თხზულების შესახები ყოველი ზემოაღნიშნული ცნობა ერთ ცალკე, ან რამდენსამე გადაბმულ ფურცელზე იწერება.

2. ყოველი მინაშერი, დათარიღებული თუ უთარილო, ცოტად მაინც აზრიანი, ცალკე ფურცელზე იწერება ხელნაშერის N-ისა და გვერდის აღნიშვნით. რეგისტრატორი ვალდებულია აღმწერთაგნ მიღებული მასალა სამ მთავარ ჭგუფად დაყოს: 1. მინაშერები 2. თხზულებები ან ნაწარმოებები 3. სურათები და ხელოვნების ძეგლები.

ყოველი მიღებული ფურცელი ანბანის რიგზე უნდა ჩაიდოს სათანადო ჭგუფში: ავტორის გვარისა თუ სახელის მიხედვით, როცა მხოლოდ სახელია მოყვანილი; ან სათაურის სას მიხედვით, როდესაც ძეგლს ავტორის სახელი არა აქვს ხელნაშერში შერჩენილი. მინაშერებიც იქ მოხსენებული პიროვნებათა გვარისა და სახელის მიხედვით, ან ანბანის რიგზე უნდა დალაგდეს სათანადო ჭგუფში. ეს წესი ყოველ აღმწერელს თანდათანობით

უფრო და უფრო საშუალებას მისცემს ყველგან სათითაოდ აღნუსხული ცნობები გამოიყენოს უთარილო ხელნწერების დასათარილებლად. ამგვარად შეგროვილი მასალა ოლწერილობის დამთავრების შემდგომ შინაარსისდა მიხედვით დარგებად და ჯგუფებად დაიყოფა და სათანადო დაზეის რედაქტორს ან რედაქტორებს გადაეცემა ძეგლების არსებული მასალების საშუალებით უფრო დაწერილებითი და შედარებითი შესწავლისა და დახასიათებისათვის. ამავე წესრიგით უნდა დაიბეჭდოს მთელი ოლწერილობაც.

უფრო უარეს მდგომარეობაშია ჩვენი სიგველ-გუგრების რეგისტრაციისა და ალწერა-შესწავლის საქმე. აქამომდე 2000 საბუთამდეა გამოქვეყნებული, მაგრამ არც ერთი მათგანი დიპლომატიკის თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს.

ჩვენ სულ ცოტა 20—25 ათასი სიგველ-გუგრი უნდა გვქონდეს დაცული ტფილისის სამსავე მუზეუმშია და ცენტრარქიეში. მარტო საისტორიო საზოგადოებას 10000-ზე მეტი მოეპოვება, უნივერსიტეტს 2000-მდე აქვს, წერაკითხვის [გამავრცელებელ საზოგადოებასა] და ცენტრარქიეშის შესახებ ცნობები არ მომეპოვება. ამავე ცენტრარქიეში აღმოსავლეთ საქართველოს ძველი საბუთებას პირების შემცველი 56 წიგნია შენახული.

აქაც ჯერ ალწერილობა უნდა იყოს შედგენილი და თითოეული სიგველ-გუგრის შესახებ ცალკე ფურცელზე შემდეგი ცნობა უნდა აღნუსხოს:

1. საბუთის მიმცემი.
2. საბუთის მიმღები.
3. საბუთის რაობა.
4. საბუთის მოკლე შინაარსი.
5. საბუთის თარიღი.
6. საბუთის მწიგნობარი, გარეგანი ალწერილობა (მასალა, დაწერილობა).
7. პირია თუ დედანი, თუ ამის შესახებ ცნობა პირდაპირ არის აღნიშნული.

ՈՅԱԲԸ ՀԱՅԱԽՈՂՈՂՈՂՈ

ՔՈՂԵՆԱՇՎԻՐՈՒԹՅՈՒՆ ԱՆՁՈՒՐԾ-ԹՈԽԱՇՎԻՐՈՒԹՅՈՒՆ ԱԹՈՎԻՐՈՒԹՅՈՒՆ ԴԱ ՑԱԳՈՎԻՐՈՒԹՅՈՒՆ
 ՉՎԵՏ*

1. ԵղևնաՇվերեցիութան մասալա in 8° հոմիս գուրլուցից շնչար և աղոթերուն, զարկացած դա և լուրջագութ ու զարաւութ, հոմ Շեմջացի միսու յանելած գալութիւն սակարա առ ուղուն. սալուրլունու մելնութ Շվերա. պարզութ անցութիւն, ու մինաՇվերու գուրլունու մելունու ըրտ ցարութիւն շնճա ուղուն գուրլունու.

2. Պարզութ գուրլունու ուղուն շնճա քյոնդյուս աղնունունու եղևնաՇվերուն N, միսու մասալա (ցրտարու, յալալուն, ցրացնունու, այսմունու Շոցնու դա սեց), տարունու — Շեմջութեցնութ դա պարունուացունու — դասելուցիունու, եղևնաՇվերուն սատաւրու (ու յեց տացունու, ու առա յեց Շերիէնունու, միսու հառա մոնաշունու մուսկութ), դաշվերունունու ագցունու դա միսու դաշունունու սադաշունուն (ու ամսու Շեսաեց ցարկացունու ցրունա Շերիէնունու), մելնուն ցուրու դա դանաՇվերուն եղլու.

3. Օնցութիւն դա մինաՇվերեցի պարզութ գամուսպուրլու շնճա օյնես ամունութ դա տոտուրունու ցալ-ցալու գուրլուցից շնճա աղոթերուն § 1 դա 2-ու մոտութեատա դապութ. մացհամ ցրու դա միաց ձորուն անցութիւն, ան մինաՇվերեցի դա և սեղունու-Շենունեցնունու ցրու գուրլուցից շնճա մոտացեսցուն, ունճաւ հոմ ուղուն եղևնաՇվերիւնու սեցածանեցա ազգունուն ուղուն մոտացեսցունու.

Մելուցիունու ամեցիւ ցամուրկացունու դա աղնունունու շնճա ուղուն անցութիւն եղևնաՇվերուն, ու մեցունու տացունուրկութ ժամիշվերուն, անճա մոմցութելու պաշտպունու, ու մերմնունու Շեմջուն, անճա ցարմիշվերուն.

Կալպալու գուրլուցից ամուրեցիունու մասալա տոտուրունու եղևնաՇվերիւնութան ույ շնճա դալացգուն, հոմ յեր անցութիւն ուղուն, մերմի մինաՇվերեցի յիշունունունու հոցունութ ու ուղունութ, ու մատու դրու ուրկացու, ու առա առա եղևնաՇվերիւնու միունու տաճամուցուրկութիւն.

4. Օնցութիւնուս դա մինաՇվերեցի ազգունութեարեանուն ներմութեցնութ շնճա ուղուն դասաելուցունու (եղևնաՇվերուն ցարութ, ցարութու ուղուն, ու ձոլունուն, ան Շուամու, սպարես Շուա, ու կունցութեա). Սպանասպան Շեմտեցեցունու շնճա մոխ-սեցնունունու ուղուն, սակելունու հոմել կունցութեա — նեցուա ու յեցուատնիւ, անճա մարշացնուն (ու մարկենանիւ). հոմուսաւ օլապու, ան Շեմուրլուցիունու Շոցնու ու սպանու մատուն, շնճա աղնունունու ուղուն, հոմելու դրուսա դա բնինդանու ցարմիշրուն արու սպանասարմուն տոտուրունու մատցան մոտացեսցունու. ամս ցարկա անցունունու մինաՇվերեցի թըմիստու, հոցուն արու դաշվերունու — ասպարուն ու

* Պ. քաջանունունու արյուն, № 971 (ցրտոցհանու).

გარდიგარდონ, ანდა აშლით ხელნაწერის ძირითად ტექსტში სტრიქონებზუა ჩატვით, ანდა სხვანაირად.

5. ანდერძებიცა და მინაწერებიც უნდა ისევე გადმოიწეროს, როგორც დედანშია ქარაგმაგაუსნელად და ასონაკლი დაწერილობის, ანდა შეცდომისა და უვიცი დანაწერის შეუსწორებლად. სადაც დაუჭერებელი, ანდა მოულოდნელი დაწერილობაა, უნდა იმ სიტყვის გვერდით გაკვირვების ნიშანი დაისვას ფრჩხილებში (!).

6. ანდერძ-მინაწერების სიტყვათა განკვეთილობის დაცვა საჭირო არ არის, არამედ ზოგადად უნდა აღინიშნოს, მაგ., „ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი ან სამწერტილია ნახმარი“. მაგრამ იქ, სადაც სასვენი ნიშნებია ნახმარი, უნდა მთლიანად დაცული იყოს.

7. ანდერძ-მინაწერების ტექსტის დაზიანებული ადგილი ასწერივი პარალ. ხაზებით აღინიშნოს და, ამას გარდა, სასურველია დასახულებული იყოს დაახლოებით რამდენი ასოს ადგილია დაზიანებული. უნდა დაზიანების მიხეზიც აღინიშნოს, მეტადრე თუ ადგილი განზრახ ჩანს ამოფხეკილი.

8. სქოლიოები და განმარტება-შენიშვნები უნდა გადმოიწერილი იყოს მ სიტყვის, ან წინადადებისა, თუ ცნობასთან ერთად, რომლის განსამარტავა-დაც თითოეული ამ სქოლიო-შენიშვნათაგანი იყო დაწერილი.

9. ყოველი ხელნაწერისგან ამოღებულ ყველა ანდერძ-მინაწერი-სქოლიო-შენიშვნებს უნდა თავისი რიგობითი N ჰქონდეს, რომ ამის მიხედვით ჩანდეს, რომელ ხელნაწერში რამდენი და რანაირი ასეთი მასალა მოიპოვება.

სარჩივი

ნათელა ჭავახიშვილი, ივანე ჭავახიშვილი და საქართველოს მუზეუმი	5
✓ ელენე მეტრეველი, შეპანის უდაბნო — XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპ-ტორიუმი პალესტინაში	22
ნოდარ ჭოშიაშვილი, „ანასული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი	45
რამაზ პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები	56
ლილი ათანელიშვილი, ქართული მრავალთავის ბერძნული და შიომღვიმის ტე-პიკონის ქართული კრიტოგრამები	99
ნიკოლოზ ჭავაშია, „შუშანიკის წამების“ სომხური რედაქციების ურთიერთდამო-კიდებულებისათვის	108
ია გაჩეჩილაძე, დავით რექტორის კალიგრაფიული მოღვაწეობა	119
ზურაბ სარჯველაძე, XI—XV საუკუნეთა ქართული ისტორიული დოკუმენტების ძირითადი მოჩვენელობები და სინტექსური თავისებურებანი	131
ელენე ცაგარევიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შეპუპი) და მისი ის-ტორია	147
ვახტანგ გამრეკელი, XIII—XIV ს. მიქნის საქართველოს ისტორიიდან	165
✓ მიხეილ ჭავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონილოგია (XVII—XVIII ს.)	198
თინათინ ენუჭიძე, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებულში“ შესული მო-სეს სამართლის ბიბლიორი წყარო (საკოდიფიკაციო კომისიის მიერ გამოყენებული ნუსხა A—243)	226
ნანა ყანჩაველი, ერეკლე II-ის წერილი დენგალ ჰავი ტინდილისადმი	234
ნათელა ჭავახიშვილი, პროფესორ მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიცეკოვის ოთხი წერილი ივ. ჭავახიშვილის არქივიდან	238
ნათელა ჭავახიშვილი, ერთი დღემდე უცნობი ფაქტი ივ. ჭავახიშვილის ბიოგ-რაფიიდან	247
ანა ბაქრაძე, ივ. ჭავახიშვილი ქართველი ისტორიკოსების — ე. თაყაიშვილის და მ. ჭანაშვილის შესახებ	252
დაგენტება	
ივანე ჭავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ	262
ივანე ჭავახიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობისათვის	271
ივანე ჭავახიშვილი, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და გამოწე-რის წესი	275

О ГЛАВЛЕНИЕ

Н. И. Джавахишвили, Иване Джавахишвили и музей Грузии	21
Е. П. Метревели, Шеханская пустыня — неизвестный грузинский скрипторий XI века в Палестине	44
Н. Ф. Шошиашвили, Датировка копии списка царицы Аны «Жития Грузии»	55
Ф. М. Патаридзе, Водяные знаки рукописей «Венхисткаосани»	98
Л. А. Атанелишвили, Греческая и грузинская криптограммы Клардзийского многоглава и Шиомгвимского типика	106
Н. С. Джанашвили, К истории древнеармянских редакций «Мученичества Шушаник»	118
И. К. Гачечиладзе, Каллиграфическая деятельность Давида Ректора	130
З. А. Сарджвеладзе, Основные морфологические и синтаксические особенности языка грузинских исторических документов XI—XV вв.	146
Е. А. Цагарелашвили, Анонимный повествователь (т. н. Псевдо-Шапух Багратуни) и его «История»	164
В. Н. Гамрекели, К истории Грузии рубежа XIII—XIV вв.	196
М. Н. Кафартии, Генеалогия и хронология царского дома Багратионов Картли и Кахети (XVII—XVIII вв.)	225
Т. П. Енукидзе, Библейский список, использованный при составлении вошедших в «Судебник» Вахтанга VI «Монсеевых законов»	233
Н. Г. Канчавели, Письмо Ираклия II-го Денгал Хаджи Тиндинскому	237
Н. И. Джавахишвили, Четыре письма профессора Михаила Александровича Полиевктова из архива Иване Джавахишвили	246
Н. И. Джавахишвили, Один, до ныне неизвестный факт из биографии Иване Джавахишвили	251
А. К. Бакрадзе, И. А. Джавахишвили, о грузинских историках — Е. Тайшвили и М. Джанашвили	261
ПРИМЕЧАНИЕ	
И. А. Джавахишвили, О новом издании грузинских исторических памятников	262
И. А. Джавахишвили, К составлению описания рукописей	271
И. А. Джавахишвили, Правила выборки и переписки памятных записей рукописей	275

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქტო-საგამომცემლო საბჭოს დაღვენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმშელევიშვილი
ტექნიკაქტორი ნ. ოკუჭავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ლ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 28.11.75; ხელმოწერილია დასბეჭდად 21.6.76;
ქაღალდის ზომა $70 \times 108!/\text{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბაზი 24.50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 21.23;

უ 01504; ტირაჟი 1300; შეკვეთა № 3996
ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мечниреба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტაბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

МРАВАЛТАВИ, V

(на грузинском языке)

